www.PDF.ChiaturaINFO.GE

ულიევ წიგნი
49
ჩოხელის ჯაჯა
ოდგი სოდასური
ოდ ალგასი

ერიხ მარია
რემარკი

ჟამი სიცოცხლისა და ჟამი სიკვდილისა

Es hat noch nie eine Tyrannei gegeben,
die gedauert hat!

ერიხ მარია რემარკი

ჟამი სიცოცხლისა და ჟამი სიკვდილისა

წიგნის ელექტრონული ვერსია მოამზადა
საიტმა: www.PDF.ChiaturaINFO.GE

გერმანულიდან თარგმნეს
კარლო და გიორგი ჯორჯანელებმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რემარკი და მისი რომანი „ჟამი სიცოცხლისა და ჟამი სიკვდილისა“

ერიხ მარია რემარკი (Erich Maria Remarque) XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გერმანელი მწერალია. მისი რომანები უფროსი და საშუალო თაობის ქართველი მკითხველისთვის მეტად ახლობელი იყო, თუმცა ახალგაზრდა თაობას, სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში, მისი სახელიც კი არ გაუგია. ვეცდები, ძალიან მოკლედ გაგაცნოთ მწერლის ბიოგრაფია და მისი რომანის შესახებაც მოგითხრობთ — იმედი მაქვს, დაინტერესდებით..

დაიბადა 1898 წელს, ქალაქ ოსნაბრიუკში (ქვედა საქსონია). სწავლობდა საეკლესიო სკოლაში, კათოლიკურ სამასწავლებლო სემინარიაში, შემდეგ კი პირველი მსოფლიო ომი დაიწყო, ჯარში გაიწვიეს, დასავლეთის ფრონტზე გაგზავნეს. 1917 წლის იულისში რემარკი მძიმედ დაიჭრა ყუმბარის აფეთქებისას, ომის დასრულებამდე ჰოსპიტალში მკურნალობდა...

სწორედ ომის გამოცდილება, მძაფრი, მტკივნეული განცდები დაედო საფუძვლად მის ყველაზე გახმაურებულ რომანს „დასავლეთის ფრონტი უცვლელია“, რომელიც 1929 წელს გამოქვეყნდა. ამ წიგნმა რემარკს საყოველთაო აღიარება მოუტანა, რადგან არაჩვეულებრივად წრფელი, მართალი, სასტიკი და თან, ადამიანურია. ესაა წიგნი „დაკარგული თაობის“ (თვით ეს გამოთქმა რემარკს ეკუთვნის), ანუ ახალგაზრდების შესახებ, რომელთაც ომის საშინელებამ ცხოვრების საზრისი დაუკარგა, — მიხედნენ, „საზარბაზნე ხორცად“ გამოიყენეს...

რემარკის შემოქმედებაში ანტიმილიტარისტული თემა, შეიძლება ითქვას, წამყვანია, მისი მეორე შესანიშნავი რომანი, რომელიც ამ წამს ხელთა გაქვთ, მოგვითხრობს მეორე მსოფლიო ომზე, უფრო სწორად, უბრალო გერმანელ ჯარისკაცზე, რომელიც ფრონტზეა ომის დაწყების დღიდან და სამკვირიანი შვებულებით ჩადის მშობლიურ ვერდენში, თუმცა ნანატრი სიმშვიდე არც იქ ხედება, ქალაქს განუწყვეტლივ ბომბავენ მოკავშირეები (1944 წელია). ერნსტ გრებერი (ასე ჰქვია მთავარ გმირს) შეხვდება ოცი წლის ქალიშვილს, ელიზაბეტ კრუზეს. ახალგაზრდებს შორის იფეთქებს სიყვარული, რომელიც ტრაგიკულია, რადგან მომავალი არ უწერია.

...ყოველთვის, როცა ახალი წიგნი ჩამოვარდება ხელში, დავფიქრდები ხოლმე, ღირს თუ არა ამაზე დროის ხარჯვა — ანუ რატომ უნდა წავიკითხო მაინცდამაინც ეს წიგნი? ბუნებრივია, მსგავსი კითხვა თქვენც გიჩნდებათ — ამ ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში პასუხი ასე მესახება: ესაა წიგნი, რომელიც დაგაფიქრებთ, შეგძრავთ, და მიუხედავად ომის სისასტიკისა, სიცოცხლეს მოგაწყურებთ.. ესაა საოცრად ამაღლებული, ნატიფი და გულში ჩამწვდომი ამბავი სიყვარულისა — რომანს თავისუფლად შეიძლება ერქვას „ჟამი სიყვარულისა, ჟამი სიკვდილისა“ (სხვათა შორის, ზუსტად ასე ჰქვია მას ინგლისურ თარგმანში), რადგან გიყვარდეს და იცოცხლო — რემარკისთვის სინონიმებია. სიცოცხლის მთავარი პრობლემა — სიკვდილია! სიკვდილის გადალახვა, მისი დამარცხება მხოლოდ სიყვარულს ძალუძს. რემარკი საოცარი რეალიზმით, საოცარი დამაჯერებლობით აღწერს თავისი გმირების ტრაგიკულ ხვედრს და მის ნაწერში ცხოვრებას ეს ტრაგიზმი თითქოს ახალ განზომილებას სძენს, ადამიანურობისა და სიყვარულის ჰიმნად იქცევა.

სიცოცხლეს მხოლოდ სიყვარული ამართლებს და ასულდგმულებს!

რემარკი დიდი ჰუმანისტი და შესანიშნავი ოსტატია — რომანი ერთი ამოსუნთქვით იკითხება. მთავარი გმირი, რიგითი ჯარისკაცი, ჩვენ თვალწინ ნელ-ნელა გარდაიქმნება,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მასში ადამიანი იღვიძებს, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, წინ აღუდგება, დაუპირისპირდება ბოროტებას, ომის ბრმა იარაღად რომ უნდოდა გადაექცია. რომანი იწყება რუსი პარტიზანების დახვრეტის სცენით, — ამაში ერნსტ გრუბერიც მონაწილეობს, — და მთავრდება ანალოგიური სცენით, ოღონდ მისი ფინალი ამჯერად უკვე სრულიად სხვაა.

რემარკს არა აქვს „ჰეფი ენდი" — რემარკი სასტიკია, ცხოვრებასავით..

მაგრამ ცხოვრების ამ სისასტიკეში ხომ ჩვენ, ადამიანები ვართ დამნაშავე... რემარკის წაკითხვა აუცილებელია, რადგან ადამიანის გაადამიანურებას უწყობს ხელს — გონებით ხვდები და გულითაც გრძნობ, რა საზარელი აბსურდია ომი!..

სწორედ იმიტომაც აკრძალეს და საჯაროდ დაწვეს კაცთმოძულე ნაცისტებმა რემარკის წიგნები, რომ დიდ, მსოფლიო ომს აშზადებდნენ — გამოაცხადეს, ანტიპატრიოტულიაო! მწერალი იმხანად შვეიცარიაში ცხოვრობდა. თავის ვილაში იგი გერმანიიდან ლტოლვილებს იფარავდა, სიტყვითა და კალმით ებრძოდა „ყავისფერ ჭირს". 1939 წელს რემარკი ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახლდა, სადაც ომის შემდეგ მოქალაქეობაც მიიღო, თუმცა ორმოცდაათიანი წლების ბოლოს ისევ შვეიცარიაში დაბრუნდა, სადაც სიკვდილამდე ცხოვრობდა (1970 წელს გარდაიცვალა).

რემარკს ორი ცოლი ჰყავდა. პირველი, მოცეკვავე ქალი ილზე იუტე ზამბონა, 1925 წელს შეირთო, ოთხი წლის შემდეგ გაშორდა, თუმცა 1938 წელს ხელმეორედ მოაწერა მასთან ხელი, რათა გერმანიიდან ლეგალური ემიგრაციის საშუალება მიეცა. 1939 წელს აშშ-ში ერთად გაემგზავრნენ – ამერიკის მოქალაქეობა 1947 მიიღეს. 1951 წელს რემარკი შეხვდა ჰოლივუდის მსახიობს, პოლეტ გოდარს, ჩარლი ჩაპლინის ყოფილ მეუღლეს, რომელიც 1958 წელს ცოლად მოიყვანა (ილზე ზამბონას 1957 წელს გაეყარა). რემარკი და გოდარი ერთად დაბრუნდნენ შვეიცარიაში და სიკვდილამდე ერთად ცხოვრობდნენ.

რემარკს რამდენიმე სასიყვარულო რომანი ჰქონდა, ყველაზე გახმაურებული — სახელგანთქმულ მსახიობ მარლენ დიტრიხთან, რომელიც 1937 წელს გაიცნო (მათი სასიყვარულო მიწერ-მოწერა 2000 წელს წიგნად გამოიცა).

ზემოხსენებული რომანების გარდა, რემარკს დაწერილი აქვს კიდევ 15, მათგან ყველზე ცნობილია „სამი მეგობარი" და „ტრიუმფალური თაღი".

წერა 16-17 წლისას დაუწყია — კითხვა ბავშვობიდან უყვარდა (მამა წიგნის ამკინძავი იყო). პირველი მოთხრობა „ახალგაზრდა ოქროსთვალებიანი ქალი" დაბეჭდა 1919 წელს, პირველი რომანი „ოცნებების მანსარდა" — 1920 წელს.

რემარკის ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქული რომანი, „დასავლეთის ფრონტი უცვლელია" 1930 წელს ნობელის პრემიაზე იყო ნომინირებული, თუმცა ჯილდო ვერ მიიღო — ამის მიზეზი უთუოდ იმდროინდელი პოლიტიკური კონიუნქტურა გახლდათ, რაც, სამწუხაროდ, ძალიან ხშირ შემთხვევაში, ნობელის პრემიის კომიტეტისთვის გადამწყვეტი ფაქტორის როლს ასრულებს ხოლმე.

რემარკის რომანები თავის დროზე მსოფლიო ბესტსელერები იყო. XXI საუკუნეში, პოსტმოდერნიზმის ეპოქაში, მისი რეალისტური წიგნები ზოგიერთ ინტელექტუალს (კინაღამ დავწერე, „სნობს"), შესაძლოა, ძველმოდურადაც კი მოეჩვენოს, მაგრამ ეს ნამდვილი, ცოცხალი ლიტერატურაა...

ირაკლი ლომოური

www.PDF.ChiaturaINFO.GE

I

სიკვდილს რუსეთში სხვა სუნი უდიოდა, ვიდრე აფრიკაში. აფრიკაშიც, ინგლისელთა გააფთრებული ცეცხლის ქვეშ, ხშირად ეყარა დაუმარხავი გვამები მოწინააღმდეგეთა წინა ხაზებს შორის; მაგრამ მზე სწრაფად მოქმედებდა. ღამით ქარს მოჰქონდა მოტკბო, სულშემხუთავი და მძიმე სუნი, — მკვდრები გაზებისგან იბერებოდნენ და მოჩვენებებივით ზევით იწევდნენ უცხო ვარსკვლავთა შუქზე, თითქოს კვლავ განაგრძობდნენ ბრძოლას, უჩუმრად, უიმედოდ და განმარტოებით; მაგრამ უკვე მომდევნო დილას იკრუნჩხებოდნენ, მიწას ეკვროდნენ ქანცმილეულნი, თითქოს შიგ ჩაძრომას ლამობდნენ — და შემდეგ, როდესაც მათ აკრეფას ახერხებდნენ, ზოგი უკვე საკსებით მსუბუქი და გამოფიტული იყო, ხოლო იმათგან, ვისაც რამდენიმე კვირის შემდგომ პოულობდნენ, თითქმის მხოლოდ ჩონჩხილა იყო დარჩენილი და მათი ძვლები ახლა უკვე ერთობ ფართო მუნდირებში თავისუფლად ყანყალებდნენ. ეს მშრალი სიკვდილი იყო, ქვიშაში, მზესა და ქარში. რუსეთში კი წებოვანი და მყრალი იყო სიკვდილი.

*

უკვე რამდენიმე დღე წვიმდა. თოვლი დნებოდა. ამ ერთი თვის წინათ კი ორ მეტრზე მეტი დადო. დანგრეული სოფელი, რომელიც თავდაპირველად ისე ჩანდა, თითქოს მხოლოდ დანახშირებული სახურავებისგან შედგებოდა, ყოველ ღამეს უხმაუროდ იზრდებოდა თოვლის საბურვლიდან, რომელიც დაბლა იწევდა. ჯერ ფანჯრის თამასებმა ამოყვეს თავი, ორიოდე ღამის შემდეგ კი — კართა წირთხლებმა; მოგვიანებით გამოჩნდნენ კიბეთა საფეხურებიც, რომლებიც პირდაპირ დამპალ სითეთრეს ერთოდნენ. თოვლი სულ დნებოდა და დნებოდა და დახოცილთა გვამებს აჩენდა.

ეს გვამები დიდი ხნისა იყო. სოფელი მრავალგზის გადავიდა ხელიდან ხელში — ნოემბერში, დეკემბერში, იანვარში და ახლა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

აპრილში. მას იკაკვებდნენ და ტოკვებდნენ, ტოკვებდნენ და კვლავ იკაკვებდნენ, ხოლო ნამქერი ისე ღრმად მარხავდა გვამებს, რომ ხშირად სანიტრები უკვე რამდენიმე საათის შემდეგ მათგან ბევრს ველარ პოულობდნენ. შემდეგ კი ყოველი დღე ახალ თეთრ საბურველს ჰფენდა გაპარტახებულ მიდამოს. ისევე, როგორც მოწყალების და აფარებს ხოლმე ზეწარს გასისხლიანებულ საწოლს.

პირველად იანვრის მკვდრები გამოჩნდნენ. ისინი ყველაზე მაღლა ელაგნენ და აპრილის დასაწყისშივე ამოიზიდნენ, სულ მალე მას შემდეგ, რაც თოვლმა დნობა და დაბლა დაწევა დაიწყო. გვამები გაქვავებულიყვნენ ყინვისგან და სახეები თითქოს ნაცრისფერი სანთლისგან ჰქონდათ ჩამოსხმული.

მათ მორებივით ყრიდნენ საფლავში. სოფელს იქით, ერთ გორაკზე, თოვლი გადახვეტეს, სადაც იგი ისე ღრმად არ იდო და გაყინულ მიწაში საფლავი გაჭრეს. ეს მძიმე სამუშაო იყო.

დეკემბრის მკვდრებთან პოულობდნენ იარაღს, რომელიც იანვარში დახოცილთ ეკუთვნოდათ. შაშხანები და ხელყუმბარები უფრო ღრმად ეფლობოდნენ თოვლში, ვიდრე გვამები; ზოგჯერ ფოლადის მუზარადებიც ამოჰქონდათ. ამ გვამებზე უფრო იოლი იყო მუნდირის ქვეშ ყელზე ჩამობმული ამოსაცნობი ნიშნების აჭრა: გამდნარ თოვლის წყალს ტანსაცმელი დაელბო. წყალი ედგათ აგრეთვე დაფჩენილ პირებშიც, თითქოს მოკლულნი წყალში დამხრჩვალნი ყოფილიყვნენ. ზოგიერთ მათგანს კიდურებიც გალღობოდა და როდესაც გადაჰქონდათ, ტანი ჯერ კიდევ არ იღუნებოდა, მაგრამ ხელი უკვე დაბლა ეშვებოდა და ქანაობდა — თითქოს მოუხმობდა ვიღაცას, შემაძრწუნებელი გულგრილობითა და თითქმის ცინიკურადაც კი. ყველას, ვინც კი მზეში იწვა, პირველად თვალები ულღვებოდა. გუგებს მინისებრი ბრჭყვიალი ეკარგებოდათ და ჟელესმაგვარნი ხდებოდნენ. ყინული კი დნებოდა მათში და ნელინელ იღვრებოდა უპეებიდან — გეგონებოდათ, ტირიანო.

რამდენიმე დღე კვლავ ყინვები დაიჭირა. თოვლი ყინულის ქერქით დაიფარა და დაბლა დაწევა შეწყვიტა. მაგრამ შემდეგ კვლავ დაუბერა დამპალმა, სულის შემხუთავმა ქარმა.

ჯერ მხოლოდ ნაცრისფერი ლაქა დააჩნდა მჭკნარ სითეთრეს. ერთი საათის შემდეგ კი მაღლა აწეული და დაკრუნჩხული ხელის მტევანი გამოისახა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— კიდევ ერთი, — თქვა ზაუერმა.

— სად? — შეეკითხა იმერმანი.

— აგერ, ეკლესიის წინ. ხომ არ ამოვთხაროთ?

— რა საჭიროა? ქარი ისედაც ამოთხრის. თოვლი მანდ, უკან, სულ მცირე ერთი ან ორი მეტრი სიღრმისა იქნება. ეს წყეული სოფელი ხომ უფრო დაბლა მდებარეობს, ვიდრე ყველაფერი ის, რაც ირგვლივაა განლაგებული. თუ შენ მაინცდამაინც გინდა, რომ ისევ გაივსო ყინულოვანი წყლით ჩექმები?

— არა, ნამდვილად არა! — ზაუერმა საშზარეულოსკენ გააპარა თვალი, — არ იცი, დღეს რას მოგვცემენ სათხლაკად?

— კომბოსტოს. ღორის ხორციან კომბოსტოს, კარტოფილს და წყალს. შიგ, რა თქმა უნდა, ღორის ხორცის ნასახიც კი არ იქნება.

— ისევ კომბოსტო! უკვე მესამეჯერ ამ კვირაში!

ზაუერმა შარვლის ღილები გაიხსნა და მოშარდვა დაიწყო.

— ამ ერთი წლის წინათ კიდევ ჯიგრიანად ვფსამდი, შადრევანივით მივუშვებდი ხოლმე, — წარმოთქვა მწარედ, — ნამდვილ სამხედრო ყაიდაზე, როგორც წესი და რიგია. თავს კარგად ვგრძნობდი. გენიალური სათხლაკი გვქონდა! წინ მივიწევდით, ყოველდღე ამდენი და ამდენი კილომეტრით! მეგონა, მალე შინაც დაკბრუნდებოდი. ახლა კი ისე ვფსამ, როგორც სამოქალაქო პირი, უნდილად და უმარიფათოდ.

იმერმანმა ხელი მუნდირის ქვეშ შეიყო და გულიანად დაიწყო ფხანა.

— ჩემთვის კი სულერთი იქნებოდა, როგორ მოვფსამდი, ოღონდაც ისევ სამოქალაქო პირი გავხდებოდე.

— ჩემთვისაც. მაგრამ როგორც ჩანს, ჩვენ სამუდამოდ ჯარისკაცებად დავრჩებით.

— მაგას წყალი არ გაუვა. იმამაცეთ, ვიდრე ფეხებს გაჭიმავდეთო. მარტოოდენ ესესელებს შეუძლიათ კიდევ შადრევანივით ფსან.

ზაუერმა შარვალი შეიკრა.

— აბა, რა იქნება! მთელ შავ სამუშაოს ჩვენ ვასრულებთ, შემდეგ კი მოდიან ჩვენი ძმები და მთელი პატივი და დიდება მათ რჩებათ. ჩვენ ორი-სამი კვირა ვიბრძვით რომელიმე წყეული ქალაქისათვის,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უკანასკნელ დღეს კი გამოცხადდებიან ესესელები და გამარჯვებული სახით ჩვენზე წინ შედიან შიგ. ერთი ნახე, როგორ ზრუნავენ მათზე! ყოველთვის მათ აცვიათ ყველაზე თბილი ფარაჯები, ყველაზე კარგი ჩექმები და ხორცის ყველაზე დიდი ნაჭერიც ხომ მუდამ მათთვის არის განკუთვნილი!

იმერმანმა ჩაიცინა.

— ახლა უკვე ესესვლებიც აღარ იღებენ ქალაქებს. ახლა ისინიც ჩვენსავით უკან იხევენ.

— არა, ჩვენსავით არ იხევენ უკან. ჩვენ არა ვწვავთ და არა ვხვრეტთ, რასაც კი მოვიხელთებთ.

იმერმანმა ფხანა შეწყვიტა.

— მაინც რა შეგიჯდა დღეს? — ჰკითხა გაკვირვებით, — უეცრად რაღაც ადამიანურ კილოზე იწყებ ლაპარაკს! ფრთხილად, შტაინბრენერმა არ გაგიგოს, თორემ პირდაპირ საჯარიმო ასეულში ამოჰყოფ თავს. იქ კი, ეკლესიასთან, თოვლი კვლავ დაბლა იწევს! ახლა მკვდარს უკვე თითქმის იდაყვამდე უჩანს ხელი.

ზაუერმა იქით გაიხედა.

— თუ ასე განაგრძო დნობა, ხვალ იგი რომელიმე ჯვარს დაეკიდება. სწორედ შესაფერისი ადგილი ამოურჩევია. ზედ სასაფლაოს თავზე გახირულა.

— მანდ სასაფლაოა?

— ჰო. განა არ გახსოვს? ჩვენ ხომ ერთხელ უკვე ვიყავით აქ, უკანასკნელი შეტევის დროს. ოქტომბრის ბოლოს.

ზაუერმა თავის კარდალაზე იტაცა ხელი.

— აგერ, სალაშქრო საშხარეულოც! ჩქარა, თორემ ნარეცხი წყლის მეტი აღარაფერი შეგვხვდება.

ხელი სულ იზრდებოდა და იზრდებოდა. გეგონებოდათ, თოვლი კი არ დნებოდა, არამედ ხელი იწევდა ნელ-ნელა დედამიწიდან — როგორც ბუნდოვანი მუქარა და გაქვავებული ვედრება, რომელიც მხსნელს უხმობს.

ასეულის მეთაური შეჩერდა.

— ეს რა ჩანს იქ?

— ვინმე სლავი გლეხი იქნება, ჰერ ლეიტენანტო!

რაე დააკვირდა, გამოხუნებული სახელო გაარჩია და თქვა:

— ეგ რუსი არ არის!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფელდფებელმა[1] მიუკემ ფეხის თითები შეათამაშა ჩექმებში. იგი ვერ იტანდა ასეულის მეთაურს. მართალია, ახლაც სარივით გაჭიმული იდგა მის წინ, დისციპლინას ყოველგვარ გრძნობაზე მაღლა აყენებდა, მაგრამ როგორმე რომ გამოეხატა თავისი ზიზღნარევი სიძულვილი, უჩინრად ფეხის თითებს ამოძრავებდა ჩექმებში. „ნამდვილი დოყლაპიაა, — ფიქრობდა იგი, — ეს ყბედი ჩურჩუტი, ესა!“

— უბრძანეთ, რომ ამოთხარონ, — თქვა რაემ.

— მესმის!

— ახლავე გაგზავნეთ რამდენიმე კაცი!.. არასასიამოვნო სურათია.

„ქალაჩუნა, — ამბობდა გულში მიუკე, — შიშისგან ლამის ქვეშ გაუვიდეს. არასასიამოვნო სურათიაო! თითქოს მკვდარი ჯერ არ გვენახოს!“

— ეს გერმანელი ჯარისკაცია, — თქვა რაემ.

— მესმის, ჰერ ლეიტენანტო! უკვე ოთხი დღეა ჩვენ მხოლოდ რუსებს ვპოულობთ.

— ამოათხრევინეთ და მაშინ ვნახავთ, ვინც არის.

რაე თავისი სადგომისკენ გაემართა. „ინდაურივით იფხორება, — ფიქრობდა მიუკე, — ღუმელი აქვს, თბილი ბინა აქვს, თან რკინის ჯვარიც ჰკიდია ყელზე. მე კი პირველი ხარისხის ჯვარიც არ გამაჩნია, თუმცა ამ კონკიაჟღარუნაზე ნაკლებად არ დამიმსახურებია იგი“.

— ზაუერ! — დაიყვირა მიუკემ, — იმერმან! აქ მოდით! ნიჩბები წამოიღეთ თან! ვინ არის კიდევ მანდ? გრებერ! ჰირშმან ბერნინგ! შტაინბრენერ, თქვენ მეთაური იქნებით! ხედავთ ხელს? ამოთხარეთ და დაასაფლავეთ, თუ გერმანელია! თუმცა ნაძლევს ვდებ, გერმანელი არ არის.

შტაინბრენერი მოლაყუნდა მასთან.

— ნაძლევს? — იკითხა. შტაინბრენერს წვრილი, ყმაწვილური ხმა ჰქონდა და ამაოდ ცდილობდა დაებოხებინა, — რამდენზე?

მიუკე წამით შეყოყმანდა.

— სამ მანეთზე, — თქვა მან შემდეგ, — სამ საოკუპაციო მანეთზე.

— არა, ხუთზე. ხუთ მანეთზე ნაკლებ მე ნაძლევს არ ვდებ.

---

[1] *ფელდფებელი (გერმ.) — აქ: გერმანიაში ქვეითი ჯარის, არტილერიის, საინჟინრო ჯარების უფროსი უნტერ-ოფიცრის წოდებულება.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— კარგი, ხუთი იყოს, მაგრამ იცოდე, მერე გადახდაზე უარი არ თქვა.

შტაინბრენერმა გაიცინა. მისმა კბილებმა გაიელვა მქრქალი შუბის შუქზე. იგი ცხრამეტი წლის ქერა ჭაბუკი იყო და სახე გოთურ ანგელოზს მიუგავდა.

— აბა, რა, უნდა გადავიხადოთ, მაშ, როგორ, მიუკე?!

მიუკეს მაინცდამაინც არ უყვარდა შტაინბრენერი, მაგრამ ეშინოდა მისი და ფრთხილობდა. ყველამ იცოდა, რომ შტაინბრენერი ასპროცენტიანი ნაცისტი იყო.

— კარგი, კარგი, — მიუკემ ჯიბიდან ბლის ხის პორტსიგარი ამოიღო, პორტსიგარის სახურავზე ყვავილები იყო ამომწვარი, — გინდა სიგარეტი?

— ავადმყოფს ჰკითხავენ.

— ფიურერი თამბაქოს რომ არ ეწევა, შტაინბრენერ? — ისე თქვა, ვითომც აქ არაფერიაო, იმერმანმა.

— ხმა გაიკმინდე!

— შენ თვითონ გაიკმინდე!

— გეტყობა, ისევ თავს გაგვიდა! — შტაინბრენერმა ხშირი წამწამები ზეასწია და იმერმანს ალმაცერად გადახედა, — ალბათ უკვე დაგავიწყდა, არა?

იმერმანმა გაიცინა.

— ასე იოლად არ მავიწყდება და კარგად ვიცი, რასაც გულისხმობ, მაქს! მაგრამ შენც არ დაგავიწყდეს, რაც ვთქვი, — ფიურერი თამბაქოს არ ეწევა! ეს არის და ეს. აქ ოთხი მოწმეა. და რომ ფიურერი მართლაც არ ეწევა, ეს ყველამ იცის.

— გეყოფათ ყბედობა! — თქვა მიუკემ, — დაიწყეთ ამოთხრა. ასეულის მეთაურის ბრძანებაა.

— აბა, შევუდგეთ! — შტაინბრენერმა სიგარეტს მოუკიდა.

— როდის აქეთ ეწევიან სამხედრო დავალების შესრულების დროს? — იკითხა იმერმანმა.

— ეს სამხედრო დავალება არ არის, — მიუგო გაჯავრებით მიუკემ, — ახლა კმარა ყბედობა. დაიწყეთ რუსის ამოთხრა. ჰირშმან, თქვენც!

— რუსი არ არის, — თქვა გრებერმა, რომელმაც ის-ის იყო, რამდენიმე ფიცარი გასდო მოკლულამდე და მისი ხელისა და მხრის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ირგვლივ თოვლის ამოთხრა დაიწყო. ახლა უკვე გარკვევით გამოჩნდა სველი მუნდირი.

— რუსი არ არის? — შტაინბრენერმა მოცეკვავესავით სწრაფად და მარჯვედ გაიარა მოქანავე ფიცრებზე და გრებერის გვერდით ჩაცუცქდა, — ჰო, მართალია. ეს გერმანული მუნდირია, — იგი მოტრიალდა, — მიუკე! რუსი არ არის! მე მოვიგე!

მძიმე ნაბიჯით მოვიდა მიუკეც და დააშტერდა ორმოს, რომელშიც წყალი ნელ-ნელა იღვრებოდა კიდეებიდან.

— ვერ გამიგია, — ჩაიბურტყუნა მან, — თითქმის ერთი კვირაა, რაც მხოლოდ რუსებს ვპოულობდით. ეს ალბათ დეკემბრის მკვდარია, მაგრამ, როგორც ჩანს, უფრო ღრმად ჩაფლულა.

— შეიძლება ოქტომბრისაც იყოს, — თქვა გრებერმა, — მაშინ ჩვენმა პოლკმა გაიარა აქ.

— სისულელეა. მათგან არც ერთი არ შეიძლებოდა დარჩენილიყო.

— რატომაც არა. აქ ღამე გვქონდა ბრძოლა. რუსებმა უკან დაიხიეს და სარდლობამ გვიბრძანა დაუყოვნებლივ განგვეგრძო წინსვლა.

— სწორია, — დაუდასტურა ზაუერმა.

— აჰ, სისულელეა! ჩვენი ზურგის სამსახური ნაღდად აკრეფდა და დამარხავდა ყველა გვამს.

— ეგ კიდევ არავინ იცის. ოქტომბრის ბოლოს უკვე მაგრად თოვდა, თანაც ჩვენ მაშინ ჯერ კიდევ სწრაფად მივიწევდით წინ.

— ამას შენ უკვე მეორეჯერ ამბობ, — შტაინბრენერმა გრებერს შეხედა.

— თუ ძალიან მოგწონს, შემიძლია მესამეჯერაც გაგიმეორო. ჩვენ მაშინ კონტრშეტევაზე გადავედით და ასი კილომეტრით წავიწიეთ წინ.

— ხოლო ახლა კი უკან ვიხევთ, არა?

— ახლა იმავე ადგილზე დავბრუნდით.

— მაშასადამე, უკან ვიხევთ, — ჰო თუ არა?

იმერმანმა გაფრთხილების მიზნით მუჯლუგუნი წაჰკრა გრებერს.

— მაშ, იქნებ წინ მივიწევთ, ჰა? — შეეკითხა გრებერი.

— ჩვენ ფრონტის ხაზს ვამოკლებთ, — თქვა იმერმანმა და დამცინავად მიაშტერდა შტაინბრენერს, — აი, უკვე ერთი წელიწადია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეს სტრატეგიული აუცილებლობაა, რათა ომი მოვიგოთ. ყველამ იცის.

— ხელზე ბეჭედი აქვს, — თქვა უცებ ჰირშმანმა, რომელიც თხრას განაგრძობდა და მკვდარს უკვე მეორე ხელი გაუთავისუფლა. მიუკვ დაიკუნხა.

— მარიალია, — თქვა მან, — თანაც ოქროსი, ჯვრისწერისა.

ყველამ ბეჭედს დაუწყო ყურება.

— ფრიზიდად იყავი, — წასჩურჩულა იმერმანმა გრებერს, — ან ძალლისაპირს შეუძლია შვებულების საქმე ჩაგიფუშოს. დაგაბეზღებს, პანიკაორიათ და მორჩა. ხომ ხედავ, სულ მაგაზე აქეს თვალები დაჭყეტილი.

— ეგ ძალიან ბეკრს იეჭიმება. შენ თეითონ გაფრთხილდი, ჩემზე უფრო შენ ჰყავხარ ძიზანში ამოღებული.

— ჩემი დარდიც ეგ იყოს! მე მაინც არ მომცემენ შვებულებას.

— ჩვენი ბილეთის ნიშნები აქვს, — თქვა ჰირშმანმა და თან ახლა შეკვ ხელებით აკილებდა თოვლს.

— ან ნაძდვილად არ ყოფილა რუსი, არა? — ღიმილით შეხედა მიუკვს შტაინბრენერმა.

— ჰი, რუსი არ არის! — გაჯავრებით მიუგო მიუკემ.

— ხუთი ანეთი! აფსუს, რომ ათზე არ დაგნაძლევდით. დაყაჭე!

— თან არ მაქვს ფული.

— მაშ სად გაქვს, სახელმწიფო ბანკში? მიდი, მიდი, დაყაჭე!

მიუკემ გაბოროტებით შეხედა შტაინბრენერს. შემდეგ გულის ჯიბიდან საფულე ამოიღო და ხუთი ანეთი დაუთვალა.

— რა საშინლად ვარ დღეს დანაგსული, ეს ოხერი!

შტაინბრენერმა ფული ჯიბეში ჩაიდო.

— მე მგონი, ეს რაიკეა, — თქვა გრებერმა.

— რა თქვი?

— ლეიტენანტი რაიკე, ჩვენი ასეულიდან. ეს მისი სამხრეებია. მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითზე ბოლო სახსარი აკლია.

— რას ამბობ. რაიკე დაიჭრა და ზურგში გადაიყვანესო, ასე გვითხრეს შემდეგ.

— და მაინც ეს რაიკეა!

— აბა, სახე გამოუჩინეთ.

გრებერი და ჰირშმანი თხრას განაგრძობდნენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ფრთხილად! — დაიყვირა მიუკემ, — თავში არ მოახვედროთ ნიჩაბი!

თოვლში სახე გამოჩნდა, სველი, გაცრეცილი. თვალები ჯერაც თოვლით ამოვსებოდა და ეს უჩვეულო შთაბეჭდილებას ახდენდა. იტყოდით, მოქანდაკეს, რომელიც ნიღაბს აკეთებდა, არ დაუსრულებია თავისი საქმე და ბრმად დაუტოვებიაო. დალურჯებულ ტუჩებს შორის ოქროს კბილი გამოკრთოდა.

— მე ვერ ვცნობ, — თქვა მიუკემ.

— ჰო, მაგრამ ის უნდა იყოს. ოფიცერთაგან ჩვენ მაშინ სხვა არავინ დაგვკარგვია.

— ამოუწმინდეთ თვალები.

გრუბერი წამით შეყოყმანდა. შემდეგ ფრთხილად ამოუწმინდა თვალები ხელთათმანით.

— ის არის, ის! — წამოიძახა მან.

მიუკე აღელდა. ახლა კვლავ თვითონ იკისრა უფროსობა. რახან საქმე ოფიცერს ეხება, გადაწყვიტა მან, საჭიროა დამსწრეთაგან ყველაზე მაღალი ჩინის მქონე მეთაურობდესო.

— აბა, აწიოთ! ჰირშმან და ზაუერ — ფეხებში მოჰკიდეთ ხელი, შტაინბრენერ და ბრუნინგ — ხელებში! გრუბერ, თქვენ თავი გეჭიროთ! აბა, ერთდროულად — ერთი, ორი და სამი!

გვამი ოდნავ შეინძრა. მის ქვემოდან, თოვლის ზედაპირიდან, ყრუ ამოოხვრა მოისმა, როცა შიგ ჰაერი შეიჭრა.

— ჰერ ფელდფებელო, ფეხი სძვრება! — დაიყვირა შეშინებულმა ჰირშმანმა.

ეს ჩექმა იყო. მიცვალებულს ჩექმებში გალღობილი თოვლისგან ფეხებზე ხორცი დალპობოდა და ახლა ერთ-ერთი მათგანი ნახევრად გასძვრა.

— ხელი გაუშვით! ძირს დასდეთ! — დაუყვირდა მიუკემ.

მაგრამ უკვე გვიანი იყო. გვამი კვლავ ძირს განერთხო და ჰირშმანს ჩექმა ხელში შერჩა.

— ფეხი შიგ დარჩა? — იკითხა იმერმანმა.

— ჩექმა გვერდზე დასდეთ და თხრა განაგრძეთ! — შეუყვირა მიუკემ ჰირშმანს, — რას წარმოვიდგენდი, თუ ასე მომბალი იყო უკვე! თქვენ კი, იმერმან, წყნარად იყავით. სიკვდილის წინაშე მეტი მოკრძალებაა საჭირო!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იმერმანმა გაკვირვებით შეხედა მიუკეს, მაგრამ ხმა არ ამოულია.

რამდენიმე წუთის შემდეგ მთელი თოვლი გადახვეტეს გვამის ირგვლივ. სველ მუნდირში საბუთები იპოვეს. ნაწერი გადასულიყო, მაგრამ წაკითხვა მაინც შეიძლებოდა. გრებერი მართალი აღმოჩნდა; ეს ლეიტენანტი რაიკე იყო, რომელიც შემოდგომაზე ოცეულს მეთაურობდა მათ ასეულში.

— უნდა დაუყოვნებლივ ვუპატაკო, — თქვა მიუკემ, — აქ დარჩით! ახლავე უკან დაბრუნდები.

იმ სახლისკენ გაემართა, სადაც ასეულის მეთაური ბინადრობდა. ეს ერთადერთი, ასე თუ ისე, უვნებლად გადარჩენილი სახლი იყო. რევოლუციამდე იგი, როგორც ჩანს, მღვდელს ეკუთვნოდა. რაე დიდ ოთახში იჯდა. მიუკე მძულვარებით დააშტერდა ფართო რუსულ ღუმელს, რომელშიაც ცეცხლი გიზგიზებდა. ღუმლის თავზე რაეს გერმანული ნაგაზი იწვა და ეძინა. მიუკემ მოახსენა მომხდარი ამბავი, რაე წაჰყვა და კარგა ხანს დასცქეროდა რაიკეს გვამს.

— თვალები დაუხუჭეთ, — თქვა ბოლოს.

— ვერ მოხერხდება, ჰერ ლეიტენანტო, — მიუგო გრებერმა, — ქუთუთოები ისე აქვს მომბალი, შეიძლება მოეგლიჯოს.

რაემ ყუმბარებით დაზიანებულ ეკლესიას გახედა.

— ჯერჯერობით იქ გადაიტანეთ. კუბო გვაქვს ნეტავი?

— იძულებული გავხდით, კუბოები დაგვეტოვებინა, — მოახსენა მიუკემ, — ჩვენ გვქონდა რამდენიმე ცალი განსაკუთრებული შემთხვევისთვის. ისინი რუსებს ჩაუვარდათ ხელში. იმედია, გამოადგებათ!..

შტაინბრენერმა გაიცინა. რაეს არ გაუცინია.

— ახალს ვერ დავამზადებთ?

— ამას კარგა ხანი დასჭირდება, ჰერ ლეიტენანტო, — თქვა გრებერმა, — გვამი კი უკვე ძალიან არის მომბალი. და თანაც ალბათ შესაფერის მასალას ვერც ვიშოვით სოფელში.

რაემ თავი დაიქნია.

— საწვიმარ-მოსასხამში გაახვიეთ და ეგრევე დავმარხოთ. სამარე გათხარეთ და ჯვარიც შეჰკარით.

გრებერმა, ზაუერმა, იმერმანმა და ბერნინგმა უკვე მომჩვარული გვამი ეკლესიისკენ წაიღეს. ჰირშმანი გაუბედავად გაჰყვა მათ, ჩექმაც თან წაიღო, რომელშიაც ფეხის ნაფლეთები გახირულიყო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ფელდფებელო მიუკე! — დაუძახა რაემ.

— დიახ, ჰერ ლეიტენანტო!

— დღეს ოთხ ტყვე რუს პარტიზანს გადმოგვიგზავნიან. ისინი ხვალ, გამთენიისას უნდა დავხვრიტოთ, ჩვენს ასეულს დაევალა. გამოძებნეთ თქვენს ოცეულში მოხალისენი. წინაალმდეგ შემთხვევაში, წერილობითი ბრძანებით დაინიშნებიან.

— მესმის, ჰერ ლეიტენანტო!

— ღმერთმა იცის, რატომ მაინცდამაინც ჩვენ მოგვიწია. თუმცა ასეთი ორომტრიალის დროს...

— მე მოხალისედ მიგულეთ, — განაცხადა შტაინბრენერმა.

— კარგი.

რაეს სახეზე არაფერი გამოხატვია. სახლისკენ გაბრუნდა და ისე მიაბიჯებდა თოვლში გაყვანილ გზაზე, თითქოს ოჩოფეხებზე იდგა. „ისევ თავის ღუმელს მიუჯდა, — გაიფიქრა მიუკემ, — ქალაჩუნა! დიდი ამბავი, თუ ორიოდე პარტიზანის დახვრეტა დაავალეს! თითქოს ისინი ჩვენებს ასობით არ ხოცავდნენ!“

— თუ რუსებს დროზე მოიყვანენ, რაიკეს საფლავიც მათ ამოვათხრევინოთ, — თქვა შტაინბრენერმა, — ჩვენ არ გავწვალდებით. მაინც ხომ თავისთვისაც უნდა გათხარონ. არა, ჰერ ფელდფებელო?

— საწინაალმდეგო არაფერი მაქვს!

მიუკეს ბოლმა ახრჩობდა. „ეს ჯლაბნია, ესა! — ფიქრობდა იგი, — სარეცით აწოწილა და გამხმარა, თანაც რქის სათვალე წამოუცვამს ცხვირზე. ლეიტენანტის ჩინი ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომში მიიღო და მას შემდეგ ერთხელაც არ დაუწინაურებიათ. მამაცია? ძალიან კარგი, მაგრამ ახლა ვიღა არ არის მამაცი? არა, მასში არ იგრძნობა ბელადის სული“.

— თქვენ რა აზრის ხართ რაეზე? — შეეკითხა შტაინბრენერს.

— იგი ჩვენი ასეულის მეთაურია, ასეა ხომ?

— ჰო, რა თქმა უნდა, მაგრამ — საერთოდ?

— საერთოდ? რა საერთოდ?

— არაფერი, — ჩაიბურტყუნა მიუკემ გაჯავრებით.

*

— საკმარისად ღრმაა? — იკითხა რუსთაგან ყველაზე ხნიერმა. იგი დაახლოებით სამოცდაათი წლის იქნებოდა, თეთრი, ჭუჭყია-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნი წვერი და ცისფერი თვალები ჰქონდა და დამტვრეული გერმანულით ლაპარაკობდა.

— მოკეტე და ხმა მხოლოდ მაშინ ამოიღე, როცა რამეს შეგეკითხებიან! — მიუგო შტაინბრენერმა.

იგი მხიარულ ხასიათზე იყო. პარტიზანთაგან ერთი ქალი გამოდგა. შტაინბრენერი თვალს არ აშორებდა მას. ქალი ახალგაზრდა და ტანსრული იყო.

— უფრო ლრმად, — თქვა გრებერმა. შტაინბრენერსა და ზაუერთან ერთად იგი ტყვეებს დარაჯობდა.

— ჩვენთვისაა? — იკითხა რუსმა.

შტაინბრენერი სხარტად წამოხტა, მოხუცთან მიიჭრა და სახეში სილა გაანწა.

— ხომ გითხარი, მოკეტე-მეთქი, ბაბუა! შენ აქ რა, ბაზრობა ხომ არა გგონია?

და შტაინბრენერმა გაილიმა. სახეზე სიბრაზის ნატამალიც კი არ ემჩნეოდა, იმ ბავშვივით განიცდიდა სიამოვნებას, რომელიც ფეხებს აგლეჯს ბუზს.

— არა, ეს სამარე თქვენთვის არ არის, — თქვა გრებერმა.

რუსი არ განძრეულა. იგი წყნარად იდგა და თვალს არ აშორებდა შტაინბრენერს. ხოლო, თავის მხრივ, ეს უკანასკნელიც დააშტერდა, მოულოდნელად ფერი ეცვალა და მთელი სხეული დაეძაბა. ეტყობა, იფიქრა, რომ რუსი ეს-ეს არის დაეძგერებოდა და შტაინბრენერი მხოლოდ პირველ მოძრაობასლა ელოდა. არაფერი მოხდებოდა, თუ რუსს ადგილზეევე დახვრეტდა. სულერთია, ის ხომ ისედაც სიკვდილმისჯილი იყო და ამიტომაც ბევრს არ გამოიძიებდნენ, თავდაცვის მიზნით მოიმოქმედა ეს შტაინბრენერმა თუ არა, მაგრამ თვით შტაინბრენერისთვის არ იყო ეს სულერთი. გრებერს ვერ გაეგო, შტაინბრენერი რუსს მხოლოდ ერთგვარი სპორტული ინტერესის გამო ახელებდა, რათა იგი წამით თავდავიწყებამდე მიეყვანა, თუ მასში კიდევ ღვიოდა იმ უცნაური პედანტობის ნაპერწკალი, რომლის გამოც ადამიანი მარად საბაბს ეძებს, რომ მკვლელობასაც კი გამართლება მოუძებნოს საკუთარი თავის წინაშე. ორივეს შეიძლებოდა შეხვედროდით, ზოგჯერ ორივეს ერთადაც კი. გრებერი ბევრჯერ ყოფილა ამის მოწმე.

რუსი არ განძრეულა. ცხვირიდან წამსკდარი სისხლი წვერში ჩასდიოდა. გრებერი ფიქრობდა, თუ რას იზამდა თვითონ ამავე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მდგომარეობაში — დაეძგერებოდა მოწინააღმდეგეს და არაფრად ჩააგდებდა იმას, რომ ერთი დარტყმისთვის შეიძლებოდა იმწამსვე მოეკლათ, თუ ყველაფერს მოითმენდა, რათა კიდევ რამდენიმე საათი, კიდევ ერთი ღამე ეცოცხლა? მაგრამ მას ვერც ამაზე მოეძებნა პასუხი.

რუსი მძიმედ დაიხარა და წერაქვი აიღო. შტაინბრენერმა ნაბიჯით უკან დაიწია. მზად იყო გაესროლა, მაგრამ რუსი აღარ გამართულა. მან საფლავის ძირის ჩიჩქნა განაგრძო. შტაინბრენერმა ჩაიცინა.

— შიგ ჩაწექი! — უბრძანა.

რუსმა წერაქვი განზე გადადო და საფლავში ჩაწვა. უძრავად იწვა. გაყინული თოვლის რამდენიმე კოშტი დაეცა ზევიდან, როდესაც შტაინბრენერმა სამარეს გადაალაჯა.

— სიგრძე საკმარისი აქვს? — შეეკითხა გრებერს.

— კი, რაიკე მალალი არ იყო.

რუსი ზევით იხედებოდა. მის ფართოდ გახელილ თვალებში თითქოს ცის სილაჟვარდე ირეკლებოდა. წვერის ფუმფულა ღერები პირთან ოდნავ ირხეოდა სუნთქვისას. შტაინბრენერმა ერთხანს აცადა ასე წოლა.

— ამოდი! — დაუყვირა შემდეგ.

რუსი ზემოთ ამოძვრა. სველი მიწა ტანისამოსზე მიჰკრობოდა.

— აი, ასე, — თქვა შტაინბრენერმა და ქალს შეხედა, — ახლა კი წავიდეთ და თქვენი საფლავები ამოვთხაროთ. აუცილებელი არ არის, რომ ისინიც ისე ღრმა იყოს. რა მენაღვლება, თუ ზაფხულში მელიები შეგჭამენ.

*

ახალი გათენებული იყო. მქრქალი, წითელი ზოლი გაწოლილიყო ჰორიზონტზე. თოვლს ხრაშახრუში გაჰქონდა: ღამით ოდნავ კიდევ გაეყინა. გათოშილ სამარეებს შავად დაელოთ პირი.

— დალახვროს ეშმაკმა, — თქვა ზაუერმა, — რას არ მოგვახვევენ ხოლმე თავზე! რატომ მაინცდამაინც ჩვენ უნდა გავაკეთოთ ეს და რატომ უშიშროების სამსახურმა არა? ისინი ხომ გაწაფულნი არიან ამ საქმეში. ჩვენ რა შუაში ვართ? აი, უკვე მესამეჯერ გვავალებენ. ჩვენ ხომ პატიოსანი ჯარისკაცები ვართ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გრებერს მაშხანა დაუდევრად ეჭირა ხელში. ფოლადი ფინულიგით ცივი იყო. მან ხელთათმანები ჩაიცვა.

— უმიშროების ხაშხური ჩვენს ზურგში მუშაობს.

მოვიდნენ დანარჩენებიც: მხოლოდ შტაინბრენერი გამოიყურებოდა მკვირცხლად და ეტყობოდა, კარგადაც გამოეძინა. სახის კანი ბავშვივით ვარდისფერად ულვიოდა.

— ყური მიგდეთ, — თქვა მან, — მათ შორის ხომ ერთი ძროხაა. ის მე დამანებეთ.

— რიგორ თუ შენ? — დაეკითხა ზაუერი, — შენ უკვე ველარ მოახერებ მის გაბერვას. ადრევე უნდა გეცადა.

— ხვადა კიდევაც, — თქვა იმერმანმა.

შტაინბრენერი ბრაზით მიუბრუნდა:

— საიდან იცი?

— მაგრამ ქალმა ახლოსაც არ გაიკარა.

— ბიჭოს, რა ჭკუის კოლოფია! მე რომ მნდომებოდა, ის წითელი ძროხა მაშინვე ჩემი გახდებოდა.

— ან არ გახდებოდა.

— კარგი, გეყოფათ კინკლაობა, — ზაუერმა საღეჭი თამბაქოს ნაჭერი მოკბიჩა, — თუ მაინცდამაინც თვითონ უნდა დახვრიტოს, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. მე ძალიან კი არ მეჯალისება.

— არც მე, — განაცხადა გრებერმა.

დანარჩენებს არაფერი უთქვამთ. სინათლემ იმატა. შტაინბრენერმა გადააფურთხა და თქვა:

— დახვრეტაც კი არ მემეტება მაგ ბანდიტებისთვის! ტყუილუბრალოდ უნდა დაიხარჯოს ვაზნები! ეგეთები უნდა ჩამოახრჩონ!

— აბა, სად? — ზაუერმა ირგვლივ მიმოიხედა, — თუნდაც ერთ ხეს ხედავ სადმე? თუ ახლა ისიც გინდა, რომ ჯერ სახრჩობელა აღვმართოთ? და თანაც რისგან?

— აგერ ისინიც, — თქვა გრებერმა.

*

გამოჩნდა მიუკე ოთხ რუსთან ერთად. ორ-ორი ჯარისკაცი ახლდათ წინაც და უკანაც. ყველაზე წინ მოხუცი მოდიოდა. მას ქალი მოსდევდა და შემდეგ ორი შედარებით ახალგაზრდა კაცი მოაბიჯებდა. ბრძანება არ დასჭირვებიათ, ისე ჩამწკრივდნენ საფლავების წინ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვიდრე სამარესთან ზურგით დადგებოდა, ქალმა შიგ ჩაიხედა. მას შალის წითელი ბოლოკაბა ეცვა.

ლეიტენანტი მიულერი, რომელიც პირველ ოცეულს ეკუთვნოდა, ასეულის მეთაურის სადგომიდან გამოვიდა. იგი რაეს ცვლიდა განაჩენის სისრულეში მოყვანის დროს. სასაცილო იყო, მაგრამ ჯერ კიდევ ხშირად იცავდნენ ფორმალობას. ყველამ იცოდა, რომ ეს ოთხი რუსი შეიძლებოდა პარტიზანები ყოფილიყვნენ და შეიძლებოდა არც ყოფილიყვნენ, და მაინც ისინი მთელი ფორმალობის დაცვით დაჰკითხეს და განაჩენი გამოიტანეს, თუმცა კი მათ გამართლების მცირედი შანსიც არ გააჩნდათ. და ან კი რა იყო აქ დასადგენი? იარაღის შენახვა ბრალდებოდათ და ახლა კი მთელი ფორმალობის დაცვით, ოფიცრის თანდასწრებით დახვრეტდნენ, თითქოს მათთვის ეს სულერთი არ იყო.

ლეიტენანტი მიულერი ოცდაერთი წლისა იყო და იგი სულ ექვსიოდე კვირის წინ გამოგზავნეს ამ ასეულში. მან ყურადღებით შეათვალიერა სიკვდილმისჯილნი და განაჩენი წაიკითხა.

გრებერმა ქალს შეხედა, ქალი წყნარად იდგა სამარის წინ. ზორბა, ახალგაზრდა და ჯანმრთელი ქალი იყო, შექმნილი იმისთვის, რომ ბავშვები გაეჩინა, მას არ ესმოდა, რასაც მიულერი კითხულობდა, მაგრამ იცოდა, რომ ეს მისი სასიკვდილო განაჩენი იყო. იცოდა, რომ რამდენიმე წუთში სიცოცხლე, რომელიც ასე დაუდეგრად ჩქეფდა მის ჯანსაღ ძარღვებში, სამუდამოდ შეწყდებოდა — და მაინც შშვიდად იდგა, თითქოს მნიშვნელოვანი არაფერი ხდებოდა და თითქოს მხოლოდ ოდნავ შესცივნოდა დილის სუსხიან ყინვაში დგომის გამო.

გრებერმა დაინახა, რომ მიუკემ მრავალმნიშვნელოვანი სახით რაღაც წასჩურჩულა მიულერს. მიულერმა თავი მაღლა აიღო.

— არ შეიძლება, რომ შემდეგ გაკეთდეს ეგ?

— ისე სჯობია, ჰერ ლეიტენანტო, როგორც მოგახსენეთ. უფრო იოლია.

— კარგი. როგორც გსურთ, ისე მოიქეცით.

მიუკე წინ წამოდგა.

— უთხარი აი, მაგას, რომ ჩექმები გაიხადოს, — მიმართა მოხუცს, რომელსაც გერმანული ესმოდა, და ერთ-ერთ, შედარებით ახალგაზრდა ტყვეზე მიუთითა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოხუცმა ტყვეს რუსულად გაუმეორა ნათქვამი. იგი წყნარად, თითქმის ღიღინით ლაპარაკობდა. ტყვემ — ტანმორჩილმა ყმაწვილმა კაცმა — ჯერ ვერ გაიგო.

— რაღას უყურებ! — შეუღრინა მიუკემ, — ჩექმები! ჩექმები გაიძვრე!

მოხუცმა კიდევ გაუმეორა ის, რაც ერთხელ უკვე უთხრა. ყმაწვილმა კაცმა, როგორც იქნა, გაიგო და ისე ნაჩქარევად იწყო ჩექმების გახდა, თითქოს ეს თავის მოვალეობად მიიჩნია. ცალ ფეხზე დამდგარი, მეორე ფეხიდან ჩექმას იძრობდა და თან წონასწორობის შესანარჩუნებლად ასკინკილა ხტებოდა. „ნეტავი რისთვის ჩქარობს? — ფიქრობდა გრებერი, — რომ ერთი წუთით ადრე მოკვდეს?“ ყმაწვილმა კაცმა ჩექმები ხელში აიღო და მორჩილად გაუწოდა მიუკეს. ჩექმები კარგი იყო. მიუკემ რაღაც წაიბურტყუნა და ხელით გვერდზე მიუთითა. ტყვემ იქ დაწყო ჩექმები, თავის ადგილზე დაბრუნდა და თოვლში დადგა ჭუჭყიანი ფეხსახვევების ამარა. ყვითელი ფეხის თითები გარეთ გამოსჩროდა და მათ უხერხულად სწევდა ზევით.

მიუკე დაკვირვებით ათვალიერებდა დანარჩენებს. მან ქალზე ბეწვის ხელთათმანი შენიშნა და უბრძანა ჩექმების გვერდით დაწყო. ერთხანს მის წითელ ბოლოკაბასაც უჭვრეტდა. ბოლოკაბა სრულიად ახალი იყო და თანაც კარგი მასალისა. შტაინბრენერმა ჩუმად ჩაიცინა, მაგრამ მიუკეს ქალისთვის მისი გახდა არ უბრძანებია. ან რაესი ეშინოდა, რომელსაც შეეძლო განაჩენის სისრულეში მოყვანისთვის ფანჯრიდან ედევნებინა თვალი, ანდა არ იცოდა, რა ექნა შემდეგ ამ ბოლოკაბისთვის. იგი უკან გატრიალდა.

ქალმა სწრაფად თქვა რაღაც რუსულად.

— ჰკითხეთ, რა უნდა, — თქვა ლეიტენანტმა მიულერმა. იგი გაფითრებული იყო, სიკვდილით დასჯას პირველად ესწრებოდა.

მიუკე მოხუცს შეეკითხა.

— მას არაფერი არ უნდა. მხოლოდ წყევლა-კრულვას გითვლით.

— რაო? — წამოიძახა მიულერმა, რომელმაც ვერაფერი გაიგო.

— წყევლა-კრულვას გითვლით, — თქვა რუსმა უფრო ხმამაღლა, — ის გწყევლით თქვენ და ყველა გერმანელს, რომლებიც რუსეთის მიწა-წყალზე შემოიჭრნენ! ის წყევლის თქვენს შვილებს! ნატრობს იმ დღეს, როდესაც მისი შვილები ისევე დახვრეტდნენ თქვენს შვილებს, როგორც ამჟამად ჩვენ გვხვრეტთ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— რა უსაზღვრო თავხედობაა! — მიუკე გაშტერებული უყურებდა ქალს.

— მას ორი შვილი ჰყავს, — თქვა მოხუცმა, — ხოლო მე სამი, ვაჟები...

— კმარა, მიუკე! — დაიყვირა მიულერმა ნერვიულად, — ჩვენ ხომ პასტორები არ ვართ.

ჯარისკაცთა ათეული სმენაზე დადგა. გრებერს შაშხანაზე ეჭირა ხელი. ხელთათმანი ისევ გაეხადა და ცივი ფოლადი ცერსა და საჩვენებელ თითს უსუსხავდა. მის გვერდით ჰირშმანი იდგა. ფერი წასვლოდა, მაგრამ უძრავად იყო. გრებერმა გადაწყვიტა იმ რუსისთვის ესროლა, რომელიც მარცხნივ იდგა. თავდაპირველად ასეთ შემთხვევაში ჰაერში ისროდა ხოლმე, მაგრამ ეს უკვე წარსულს ჩაჰბარდა, დასახვრეტად განწირულთ ხომ ეს არაფერს შველოდა. სხვებიც ამასვე ჩიოდნენ და ზოგჯერ მომხდარა, რომ თითქმის ყველა განგებ აცდენდა ხოლმე. მაშინ დახვრეტის პროცედურა მეორდებოდა და ამრიგად, ტყვეები ორგზის ისჯებოდნენ. თუმცა ერთხელ იყო შემთხვევა, როდესაც ერთი ქალი, რომელსაც ტყვია არ მოახვედრეს, მუხლებზე დაეცა და ცრემლმორეული მადლობას უხდიდა ჯარისკაცებს იმ ორიოდე წუთის სიცოცხლისთვის, რომელიც მათ აჩუქეს. მას არ უყვარდა ამ ქალის გახსენება და ასეთი რამ არც გამეორებულა შემდგომ.

— დაუმიზნეთ!

ჯორის[1] ამონაკვეთში გრებერი ხედავდა რუსს. იგი სწორედ ის წვეროსანი და ცისფერთვალა მოხუცი იყო. ნიშანი სახეს ორად უჭრიდა, გრებერმა უფრო დაბლა დაუმიზნა. ამას წინათ ვილაცას ქვედა ყბა მოანგრია. მკერდში უფრო საიმედო იქნებოდა. გრებერმა დაინახა, რომ ჰირშმანს შაშხანის ლულა მაღლა აეწია და ჰაერში აპირებდა გასროლას.

— მიუკე გიყურებს! დაბლა დასწიე და გვერდით დაუმიზნე! — წაჰბუტბუტა მან.

ჰირშმანმა ლულა დასწია.

— ცეცხლი! — გაისმა ბრძანება.

რუსი თითქოს გამაღლდა, გაიზარდა და გრებერისკენ წადგა ფეხი. შემდეგ წელში გაიზნიქა, თითქოს ბაზრის თავშესაქცევ ფარ-

---

[1] *ჯორი — ადგილი თოფის ლულაზე, რომლის საშუალებითაც იღებენ მიზანში სროლის დროს.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დულებში გამოდგმული მრუდე სარკის გამოსახულება ყოფილიყოს და გულალმა დაეცა. ნახევრად გადაკარდა სამარეში და ფეხები ზევით ამოჩრილი დარჩა. ორი დანარჩენი კი ადგილზევე ჩაიკეცა. მან, რომელიც ჩექმაგახდილი იყო, უკანასკნელ მომენტში ხელები მაღლა ასწია, რათა სახე დაეფარა, და ბათქის შემდეგ ცალი ხელი ჩვარივით დაეკიდა მყესებზე. რუსებისთვის ხელები არ შეუკრავთ და არც თვალები აუხვევიათ. ეს ყველას დააკიწყდა.

ქალი პირქვე დაეცა. იგი მკვდარი არ იყო, ხელს დაეყრდნო, თავი მაღლა ასწია და ჯარისკაცთა ათეულს მიაჩერდა. შტაინბრენერს კმაყოფილი სახე ჰქონდა. მის გარდა ქალისთვის არავის დაემიზნებინა.

მოხუცმა რაღაც ამოიძახა სამარიდან და შემდეგ დადუმდა. მხოლოდ ქალი იწვა კიდევ ხელებზე დაყრდნობილი. ფართო, ყვრიმალებიანი სახით ჯარისკაცებს მისჩერებოდა და სისინებდა. მოხუცი რუსი მოკვდა და უკვე აღარავის შეეძლო გადმოეთარგმნა მისი ნათქვამი. ასე იწვა, ხელებზე დაყრდნობილი, როგორც დიდი, ჭრელი ბაყაყი, რომელსაც უკვე აღარ შეუძლია ადგილიდან დაიძრას, და სისინებდა, თან წამით თვალს არ აშორებდა ჯარისკაცებს. ალბათ ვერ ხედავდა, როგორ უახლოვდებოდა გვერდიდან ბრაზმორეული მიუკე. ქალი სისინებდა და სისინებდა, და მხოლოდ უკანასკნელ წამში დაინახა რევოლვერი. თავი განზე გასწია და მიუკეს ხელში ჩაეფრინდა კბილებით. მიუკემ შეიგინა და მარცხენა ხელით ზეიდან ქვედა ყბაში გაარტყა. როდესაც კბილები მოეშვნენ, კეფაში ესროლა ქალს.

— საძაგლად ისროდით, — დაუტია მიულერმა ჯარისკაცებს, — სროლა არ იცით?

— ეს ჰირშმანი იყო, ჰერ ლეიტენანტო! — მოახსენა შტაინბრენერმა.

— არა, ჰირშმანი არა, — თქვა გრებერმა.

— წყნარად! — დაიღრიალა მიუკემ, — თქვენ არავინ გეკითხებათ, — და მიულერს გახედა. მიულერი მთლად გაფითრებულიყო და ადგილიდან არ იძვროდა. მიუკე დაიხარა, რათა დანარჩენი რუსებიც დაეთვალიერებინა. ყურზე რევოლვერი მიადო ყველაზე ახალგაზრდას და გაისროლა. თავი შეირხა და ისევ უძრავად გაჩერდა. მიუკემ რევოლვერი ბუდეში ჩადო და ხელზე დაიხედა. შემდეგ ცხვირსახოცი ამოიღო და შეიხვია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— იოდი წაასმევინეთ, — უთხრა მიულერმა, — სად არის სანიტარიული პუნქტი?

— მესამე სახლში მარჯვნივ, ჰერ ლეიტენანტო!

— ახლავე გასწიეთ იქ.

მიუკე წავიდა. მიულერმა მოკლულებს გახედა, ქალი თავით წინ ედო სველ მიწაზე.

— შიგ ჩააწვინეთ და მიწა მიაყარეთ! — ბრძანება გასცა და უეცრად გაბრაზდა, თვითონაც არ იცოდა, რატომ.

II

ღამით ჰორიზონტიდან მომავალი გრუხუნი კვლავ გაძლიერდა. ზეცა წითლად შეიღება და ყუმბარების აფეთქებანი უფრო მკაფიოდ გამოჩნდა.

პოლკი ათი დღის წინათ მოხსნეს წინა ხაზიდან და ახლა ისვენებდა. მაგრამ რუსები ახლოვდებოდნენ. ფრონტი ყოველდღე იცვლიდა ადგილს. ამჟამად იგი უკვე აღარ შეადგენდა ერთ განსაზღვრულ ხაზს. რუსები უტევდნენ. უკვე რამდენიმე თვე იყო, რაც ისინი უტევდნენ, ხოლო პოლკი უკვე რამდენიმე თვე იყო, რაც უკან იხევდა.

*

გრებერს გამოელვიძა. გრუხუნს ყური მიაპყრო და ისევ დაძინება სცადა, მაგრამ ვერ მოახერხა. რამდენიმე ხნის შემდეგ ჩექმები ჩაიცვა და გარეთ გავიდა.

ნათელი ღამე იყო და არ ციოდა. მარჯვნივ, ტყის უკან, აფეთქებათა ხმა ისმოდა. გამანათებელი შუშხუნები გამჭვირვალე მედუზებივით ეკიდნენ ჰაერში და სინათლეს აფრქვევდნენ. უფრო უკან კი პროჟექტორები ეძებდნენ ცაში თვითმფრინავებს.

გრებერი გაჩერდა და მაღლა აიხედა. ცა უმთვარო, მაგრამ ვარსკვლავებით მოჭედილი იყო. გრებერი მათ ვერ ამჩნევდა; მხოლოდ იმას ხედავდა, რომ ასეთი ღამე ხელსაყრელი იყო მფრინავებისთვის.

— კარგი ამინდია იმათთვის, ვინც შვებულებაშია, — ჩაილაპარაკა ვიღაცამ მის გვერდით. ეს იმერმანი იყო, სადარაჯოზე იდგა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მართალია, პოლკი ისვენებდა, მაგრამ პარტიზანები ყველგან იყვნენ და ამიტომ ღამით გუშაგებს აყენებდნენ.

— ადრე ამდგარხარ, — უთხრა იმერმანმა, — ვიდრე შემცვლიდე, კიდევ ნახევარი საათია შენს განკარგულებაში. მოუსვი აქედან და დაიძინე. მე გაგაღვიძებ. შენი ხნისას ყოველთვის შეუძლია ძილი. რამდენი წლის ხარ? ოცდასამის?

— ჰო...

— აი, ხომ ხედავ!

— არ მეძინება!

— ალბათ, მომავალ შვებულებაზე ფიქრობ, არა? — იმერმანმა გამომცდელად შეხედა, — ძაღლის ბედი გაქვს! შვებულებას გაიკრავ!

— ეგ ჯერ კიდევ არავინ იცის. შეიძლება უკანასკნელ მომენტში ყველა შვებულება გააუქმონ. მე ეგრე უკვე სამჯერ დამემართა.

— ყველაფერი შეიძლება მოხდეს. უკვე რამდენი ხანია, რაც გეკუთვნის?

— ექვსი თვეა. ყოველთვის რაღაც გამოჩნდება ხოლმე. უკანასკნელად ხელი შემიშალა დუნდულში მიღებულმა ჭრილობამ, რომელიც არ კმაროდა საშობლოში გასაგზავნად.

— ჰო, უბედურებაა პირდაპირ, — მაგრამ შენ მაინც გეკუთვნის, მე კი არა! მე ხომ ყოფილი სოციალ-დემოკრატი ვარ, პოლიტიკურად არასაიმედო. გმირულად დაღუპვის შანსი მაქვს — სხვა არაფერი. საზარბაზნე ხორცსა და ნაკელს წარმოვადგენ ათასწლოვანი იმპერიისთვის.

გრებერმა მიიხედ-მოიხედა.

იმერმანმა გაიცინა.

— აი, ნამდვილი გერმანული მზერა! ნუ გეშინია, ყველას ძილქუში აქვს დაცემული. შტაინბრენერსაც სძინავს.

— მე ეგ არ მიფიქრია, — მიუგო გრებერმა გაჯავრებით. სწორედ ამას კი ფიქრობდა.

— მით უარესი, — იმერმანმა ისევ გაიცინა, — ისე გვაქვს ძვალ-რბილში გამჯდარი, უკვე ვერ ვამჩნევთ. სასაცილოა, რომ სწორედ მაბეზღრები მომრავლდნენ ასე ძლიერ ჩვენს გმირულ ეპოქაში, როგორც სოკოები ავდრის შემდეგ! თავსამტვრევი ამბავია, არა?

გრებერი ერთხანს დუმდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— თუ შენ ეს ყველაფერი ასე კარგად იცი, მით უფრო უნდა უფრთხოდე შტაინბრენერს, — თქვა მან ბოლოს.

— შტაინბრენერი ფეხებზეც არ მკიდია. მას შეუძლია უფრო თქვენ გაგნოთ, ვიდრე მე. სწორედ იმიტომ, რომ მე ფრთხილი არა ვარ. ისეთებისთვის, როგორიც მე ვარ, ეს პატიოსნების საწინდარია. ზედმეტი კუდის ქიცინი ნაცისტ ბობოლებს ეჭვს აღუძრავს. ეს ყოფილი სოციალ-დემოკრატების ძველი წესია, რათა მათზე ეჭვი არავინ მიიტანოს. სწორია თუ არა?

გრებერმა ხელები დაიორთქლა.

— ცივა, — თქვა მან.

პოლიტიკურ კამათში ჩაბმა არ სურდა. უმჯობესი იყო, არაფერში ჩარეულიყო. ერთი რამ უნდოდა — შვებულების მიღება და ცდილობდა, საქმე არ გაეფუჭებინა. იმერმანი მართალი იყო. უნდობლობა ყველაზე გავრცელებული სენი იყო მესამე რაიხში. თითქმის არსად შეეძლო კაცს თავი უშიშრად ეგრძნო, და როდესაც თავს უშიშრად ვერ გრძნობ, უკეთესია, ენას კბილი დააჭირო.

— როდის იყავი უკანასკნელად შინ? — შეეკითხა იმერმანი.

— დაახლოებით ორი წლის წინათ.

— ჯოჯოხეთურად დიდი ხანია მას შემდეგ. შენ ბევრი რამ გაგაოცებს!

გრებერს არაფერი უპასუხია.

— გაგაოცებს, — გაიმეორა იმერმანმა, — ისეა იქ ყველაფერი გამოცვლილი!

— მაინც რა არის ასე გამოცვლილი?

— ბევრი რამ! თვითონ ნახავ.

გრებერმა წამით მწვავე შიში იგრძნო, თითქოს მუცელში რაღაც უჩხვლიტესო. ეს ნაცნობი გრძნობა იყო. ჟამიდან ჟამზე დაეუფლებოდა ხოლმე, უეცრად, რაიმე თვალსაჩინო მიზეზის გარეშე და ეს არც იყო გასაკვირი იმ სამყაროში, რომელშიაც უკვე დიდი ხანია ყველაფერს საფრთხე ემუქრებოდა.

— შენ რა იცი, — თქვა მან, — შენ ხომ შვებულებაში არ ყოფილხარ?

— არა, მაგრამ ვიცი.

გრებერი წამოდგა. ნეტავი რისთვის გამოვიდა? მას სრულებით არ სურდა ლაპარაკი, მხოლოდ მარტო ყოფნა უნდოდა. ნეტავი გააღწე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვდეს როგორმე აქედან! ოჯიდან არ გამოსდის ეს აზრი! მას მარტო ყოფნა სწყურია, მარტო ყოფნა ორიათვე კეთილით, სულ მარტო და ფიქრი, სხვა არაფერი. აქ იმდენი რამაა საფიქრალი, ოღონდ აქ კი არა — იქ, საბჭოთაში, მარტოდმარტო, ოთახის მიღმა.

— შენი შეცვლის დროა, — თქვა მან, — წადი, ჩემს ხარახურას წამოიღებ და ზაუერს გაჯალეიძებ.

*

მთელი ღამე ისმოდა გრუხუნი. ყუმბარათა აფეთქებანი განუწყვეტლივ ასხივოსნებდნენ ჰორიზონტს. გრებერი იქით იყურებოდა. ეს რუსები იყვნენ. 1941 წლის შემოდგომაზე ფიურერმა განაცხადა, რუსები დამარცხდნენო. და ეს ასეც ჩანდა. 1942 წლის შემოდგომაზე მან კვლავ იგივე განაცხადა და მაშინაც ჯერ კიდევ ასე ჩანდა ყველაფერი. მაგრამ შემდეგ მოსკოვსა და სტალინგრადთან გაუგებარი რამ მოხდა და უეცრად ყველაფერი მოჯადოებულივით ერთ წერტილზე გაიყინა. და აი, უეცრად რუსებს კვლავ აღმოაჩნდათ არტილერია. ჰორიზონტზე დაიწყო გრუხუნი, რომელიც ახშობდა ფიურერის ყველა სიტყვას, და ის უკვე აღარ შეწყვეტილა. იგი უკან ერეკებოდა გერმანულ დივიზიებს მათ მიერ გამოვლილ გზებზე. ვერ გაეგოთ, რა ხდებოდა, მაგრამ ანახდეულად დაირხა ხმა, მთელი საარმიო კორპუსები მოეშწყვდნენ ალყაში და იარაღი დაყარესო. მალე უკვე ყველამ იცოდა, რომ გაქცევით შეიცვალა ახლა ყველა გამარჯვება, გაქცევით, როგორც ეს მოხდა აფრიკაში, როცა კაირო ახლო იყო.

გრებერი მძიმე ნაბიჯით უვლიდა სოფელს გარშემო. უმთვარო ღამის შუქი პერსპექტივას ამახინჯებდა. ეს შუქი სადღაც თოვლის ზედაპირზე ირეკლებოდა და აქეთ-იქით იფანტებოდა. სახლები უფრო შორს ჩანდა, ტყეები უფრო ახლო, ვიდრე სინამდვილეში იყო. ყველაფერში რაღაც მტრული და საშიში იგრძნობოდა.

1940 წლის ზაფხული საფრანგეთში. გასეირნება პარიზისკენ. მოპიკრე ყუმბარმშენის ღმუილი თავზარდაცემულ ქვეყანაზე. ლტოლვილებითა და დაშლილი არმიის ნაშთებით გაჭედილი გზები. შუა ივნისი, მინდორ-ველები, ტყეები, ლაშქრობა დაუნგრეველ მიდამოებში და შემდეგ ვერცხლისფერი შუქით გაცისკროვნებული ქუჩები და კაფეები ქალაქისა, რომელმაც ისე დაყარა იარაღი, რომ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ერთხელაც არ გაუსროლია. რას ფიქრობდა იგი მაშინ? აშფოთებდა რამე? არა! ყველაფერი სწორად ეჩვენებოდა. გერმანია, რომელსაც ომის მოსურნე მტრები დაესხნენ, თავს იცავდა, ეს იყო და ეს. არ უკვირდა, რომ დაპირისპირებული მხარე ასე ცუდად იყო მომზადებული და თითქმის არ შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა.

ხოლო მოგვიანებით, აფრიკაში, წინსვლის გადამწყვეტ ეტაპზე, ვარსკვლავებით მოოჭვილ და ტანკების გრუხუნით აღსავსე უდაბნოს ღამეებში, — ფიქრობდა განა მაშინ? არა, — იგი არ ფიქრობდა თვით მაშინაც კი, როდესაც უკან იხევდნენ. ეს აფრიკა იყო, შორეული ქვეყანა. შუაში ხმელთაშუა ზღვა გადაჭიმულიყო, მერე საფრანგეთი მოდიოდა და უკვე მხოლოდ ამის შემდეგ — გერმანია. საფიქრებელი აქ არაფერი იყო, თუნდაც იგი მთლიანად დაკარგულიყო. ხომ არ შეიძლებოდა ყველგან გაემარჯვათ?

მაგრამ ახლა რუსეთში დაიწყო, დაიწყო დამარცხება და უკან გაქცევა. და ამჯერად ზღვა კი არ იყო გადაჭიმული შუაში, არამედ უკან დახევის გზა პირდაპირ გერმანიისკენ მიემართებოდა, და თანაც უკან იხევდა არა ცალკეული დამარცხებული კორპუსი, როგორც აფრიკაში, არამედ გერმანიის მთელი არმია. მაშინ მან ანაზდეულად დაიწყო ფიქრი. მან და ბევრმა სხვამაც. და ან კი როგორ არ ეფიქრათ? ვიდრე იმარჯვებდნენ, ყველაფერი რიგზე იყო, და თუ რამე არ იყო რიგზე, ამაზე თვალს ხუჭავდნენ, ანდა დიადი მიზნით ამართლებდნენ. მაგრამ რა დიადი მიზანი იყო ეს? განა ამ მიზანს ყოველთვის ორი მხარე არ ჰქონდა? და განა ერთ-ერთი მათგანი მუდამ ბნელი და არაადამიანური არ იყო? რატომ ადრე არ ამჩნევდა ამას? ან კი მართლა ვერ ამჩნევდა? რამდენჯერ აღძვრია ეჭვი და ზიზღი, მაგრამ მაშინვე თავიდან იცილებდა ხოლმე!

ზაუერის ხველა გაიგონა და რამდენიმე დანგრეულ ქოხს შემოუარა, რათა მას შეხვედროდა.

ზაუერმა ჩრდილოეთისკენ მიუთითა, სადაც ჰორიზონტზე ვეებერთელა ხანძარი გიზგიზებდა. ისმოდა აფეთქების ხმა და დროდადრო ცეცხლის ალი ავარდებოდა ხოლმე ზეცისკენ.

— რა, იქაც უკვე რუსები არიან? — შეეკითხა გრებერი.

ზაუერმა თავი გააქნია.

— არა, ეს ჩვენი მესანგრეები არიან, რომელიღაც სოფელს სპობენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მაშასადამე, ისევ უკან ვიხევთ.

ისინი გაჩუმდნენ და ყური მიუგდეს.

— დიდი ხანია, რაც უვნებლად გადარჩენილი სახლი არ მინახავს, — თქვა ზაუერმა შემდეგ.

გრებერმა რაღაც სადგომისკენ გაიშვირა ხელი.

— აი, ეს საკმაოდ უვნებლად გადარჩენილა.

— ამას ეძახი უვნებლად გადარჩენილს?! ტყვიამფრქვევის ჯერით დაუცხრილავთ და სახურავიც დაბზარული აქვს, ხოლო გომური მთლად დანგრეულა, — ზაუერმა ხმამაღლა ამოუშვა ჰაერი პირიდან, — უვნებლად გადარჩენილი ქუჩა მე უკვე მთელი საუკუნეა არ მინახავს.

— არც მე.

— შენ კი მალე ნახავ. შინ.

— ჰო, ღმერთო, შემეწიე!

ზაუერმა ხანძრის ალს გახედა.

— ზოგჯერ, როდესაც ხედავ, თუ როგორ დაუანგრიეთ ჩვენ აქ, რუსეთში, ყველაფერი, კაცს პირდაპირ შიში გიპყრობს. როგორ გგონია, რა დღეს დაგვაყრიან ისინი, თუ ერთ მშვენიერ დღეს ჩვენს საზღვარს მოადგებიან? შენ ოდესმე გიფიქრია ამაზე?

— არა!

— მე კი მიფიქრია! მე მამული მაქვს აღმოსავლეთ პრუსიაში და ჯერ კიდევ მახსოვს, როგორ მოგვიხდა გაქცევა 1914 წელს, როდესაც რუსები მოვიდნენ. მაშინ ათი წლის ვიყავი.

— ჩვენს საზღვრამდე ჯერ შორს არის.

— მაგრამ ვუახლოვდებით და შეიძლება ძალიან მალეც ამოვყოთ იქ თავი. გახსოვს, დასაწყისში აქ რა სწრაფად მივიწევდით წინ?

— არა. მე მაშინ აფრიკაში ვიყავი.

ზაუერმა კვლავ ჩრდილოეთისკენ გაიხედა. იქ ცეცხლოვანი კედელი აღიმართა დედამიწიდან, შემდეგ ამას მოჰყვა მთელი რიგი ძლიერი აფეთქებებისა.

— ხედავ, რას ვაკეთებთ? წარმოიდგინე, რომ რუსებმაც ერთ მშვენიერ დღეს იგივე ჩაიდინონ ჩვენთან, — რაღა დარჩება?

— უფრო მეტი არა, ვიდრე აქ.

— მეც ხომ სწორედ ამას გეუბნები! შენ ეს არ უნდა გაგიკვირდეს. ცხადია, ასეთ მდგომარეობაში კაცს ძალაუნებურად ათასგვარი აზრი მოსდის თავში.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მათ ჯერ კიდევ არ მიუღწევიათ ჩვენს საზღვრამდე. შენ ხომ მოისმინე გუშინწინ პოლიტიკური მოხსენება, რომელზედაც ყველას გვიკრეს თავი. თანახმად ამ მოხსენებისა, ჩვენ ფრონტის ხაზს ვამოკლებთ, რათა ახალი საიდუმლო იარაღით შეტევისთვის ხელსაყრელი პოზიციები მოვამზადოთ.

— აჰ, ეგ ყველაფერი ცარიელი ყბედობაა, რომლისაც არავის სჯერა. მაშ, რიღასთვის შევიჭერით ამ სიშორეზე? აი, რას გეტყვი: როგორც კი ჩვენს საზღვრამდე მოვალთ, უნდა ზავი შევკრათ. სხვა გამოსავალი არ არის.

— რატომ?

— განა ეს საკითხავია? იმისთვის, რომ მათაც იგივე დღე არ დაგვაყენონ, რაც ჩვენ დავმართეთ. გესმის?

— კი, მაგრამ მათ რომ არ მოისურვონ ჩვენთან ზავის დადება, მაშინ?

— ვინ რომ არ მოისურვოს?

— რუსებმა.

ზაუერი განცვიფრებით მიაჩერდა გრებერს.

— არა, ამაზე უნდა დაგვთანხმდნენ! ჩვენ თუ ზავს შევთავაზებთ, მათ უნდა მიიღონ ეს წინადადება. ზავი ზავია! ომი შეწყდება და ჩვენ გადავრჩებით.

— ისინი მხოლოდ მაშინ დაგვთანხმდებიან ზავზე, თუ უსიტყვო კაპიტულაციას გამოვაცხადებთ. ამ შემთხვევაში კი მთელ გერმანიას დაიკავებენ და შენს მამულს მაინც დაჰკარგავ. ამაზე არ ფიქრობ?

ზაუერი ერთხანს გაოგნებული დუმდა.

— როგორ არ ვფიქრობ, — მიუგო შემდეგ, — მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს მაინც სხვაა უკვე... მშვიდობიანობის დროს ისინი ვერაფრის დანგრევას ვერ გაბედავენ, — თვალები მოჭუტა და ანაზდად მასში ცბიერი გლეხი გამოჩნდა, — ჩვენთან ყველაფერი უვნებლად გადარჩება. მხოლოდ სხვებს ექნებათ ყოველივე გაპარტახებული. თანაც, ოდესმე მაინც ხომ მოუხდებათ მათ გერმანიიდან წასვლა.

გრებერს არ უპასუხია. „მაინც კიდევ ავყევი ლაპარაკს, — ფიქრობდა იგი, — მე ხომ გადაწყვეტილი მქონდა, რომ ხმა-კრინტი არ დამეძრა. ლაპარაკით არაფერი კეთდება. რალა არ ყოფილა განხილული და განქიქებული ამ წლებში! და აი, ყოველგვარი რწმენა განადგურდა. ლაპარაკი უნაყოფო და სახიფათოა“. თანაც ის ახალი,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რაც ჩუმად და ნელ-ნელა ახლოვდებოდა, ერთობ თვალშეუდგამი, ერთობ გაურკვეველი და პირქუში იყო. ლაპარაკობდნენ სამხედრო სამსახურზე, საკვებზე, სიცივეზე, მაგრამ, არა იმაზე, ახალზე. არც იმაზე და არც მკვდრებზე ხმას არ იღებდნენ.

*

უკან მობრუნებულმა გრებერმა სოფელი გამოიარა. გზებზე ხარიხები და ფიცრები დაეყარათ, რათა გალღობილ თოვლზე გავლა შესაძლებელი ყოფილიყო. ხარიხები ისე იღუნებოდა, როდესაც მათზე აბიჯებდა, რომ სულ იოლად შეიძლებოდა, ტლაპოში გადავარდნა; ქვემოდან მათ უკვე აღარაფერი იმაგრებდა.

ეკლესიას ჩაუარა წინ. ეს იყო ყუმბარებით დაზიანებული პატარა ეკლესია, რომელშიაც ახლა ლეიტენანტი რაიკე ესვენა. კარი ღია იყო. საღამოთი კიდევ ორი მკვდარი ჯარისკაცი იპოვეს და რაემ განკარგულება გასცა, ხვალ დილით სამივენი სამხედრო პატივით დაესაფლავებინათ. ერთ-ერთი, ჯარისკაცის, ეფრეიტორის, ვინაობის დადგენა ვერ მოხერხდა. სახე მთლიანად მოჭმული ჰქონდა და არც ამოსაცნობი ნიშანი აღმოაჩნდა რამე.

გრებერი ეკლესიაში შევიდა. შიგ გვარჯილის, სიდამპლისა და მკვდრის სუნი იდგა. ჯიბის ფარანი აანთო და კუთხეებს მიაშუქა. ერთ-ერთ მათგანში ორი წმინდანის დამსხვრეული გამოსახულება იდგა და იქვე გვერდით ჭირნახულის რამდენიმე დაგლეჯილი ტომარა ელაგა, რაც იმას მოწმობდა, რომ საბჭოების ხელში ეკლესია ალბათ მარცვლეულის საწყობის როლს ასრულებდა. იქვე, შესასვლელთან, გარედან ქარის მიერ შემოხვეტილ თოვლში, დაჟანგული ველოსიპედი იდგა, რომელსაც არც ჯაჭვი ჰქონდა და არც რეზინის სალტეები. შუაში დახოცილები ეყარნენ საწვიმარ-მოსასხამებზე. ეყარნენ მკაცრად, მარტოსულნი, მიუსაფარნი და ამა ქვეყნისა უკვე აღარაფერი აშფოთებდათ.

გრებერმა კარი დახურა და სოფლის ჩამოვლა განაგრძო. ნანგრევების ირგვლივ ჩრდილები დარიალებდნენ და თვით ღამის სუსტი შუქიც კი მზაკვრული ჩანდა. იმ გორაკზე ავიდა, რომელზედაც საფლავები გაეთხარათ. რაიკესთვის განკუთვნილი სამარე გააფართოეს, რათა ის ორი მოკლული ჯარისკაციც მასთან ერთად დაემარხათ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გრებერს ესმოდა, თუ როგორ იღვრებოდა წყალი წკანწკარით საფლავში. იქვე გვერდით დახვავებული მიწა მკრთალ შუქს გამოსცემდა. ზედ ჯვარი მიეყუდებინათ, რომელზედაც გვარები ეწერა. თუ ვინმეს სურვილი ექნება, ამ ჯვრის დახმარებით, მხოლოდ ორიოდე დღის განმავლობაში შეეძლება შეიტყოს, თუ ვინ მარხია მის ქვეშ, მაგრამ შემდგომ უკვე არა — მალე სოფელი კვლავ ბრძოლის ველად გადაიქცევა.

გრებერმა გორაკიდან ირგვლივ გადაშლილ ტრამალს გადახედა. მიდამო შიშველი, უნუგეშო და მზაკვრული იყო. ღამის შუქი თვალს ატყუებდა: საგანთა კონტურებს ადიდებდა და დეტალებს ჩქმალავდა. ყველაფერს უცხო იერი მიეღო. ყველაფერი უცნობი იყო, და ამ შეუცნობლის ენით უთქმელი მარტოობითა და სუსხით გამსჭვალული. არაფერი იყო ისეთი, რაზედაც დაყრდნობა შეიძლებოდა და რაც კაცს გაათბობდა. ყველაფერი დაუსაბამოდ ქცეულიყო, როგორც ეს ქვეყანა, უსაზღვრო და უცხო. უცხო გარედანაც და უცხო შიგნიდანაც. გრებერს გააჟრჟოლა. აი, რა მოხდა! აი, როგორ შემოტრიალდა ცხოვრება.

ამოთხრილი მიწის გროვიდან ერთი გოროხი დაგორდა და გრებერმა გაიგონა, როგორ ყრუდ დაეცა იგი საფლავის ძირზე. ნეტავი ამ გათოშილ მიწაში კიდევ ცოცხლობენ თუ არა მატლები? შეიძლება... — თუ საკმაოდ ღრმად ჩაძვრნენ მიწაში, მაგრამ ძალუძთ კი, რამდენიმე მეტრის სიღრმეზე იცოცხლონ? და ან რითი უნდა ისაზრდოონ? თუმცა ხვალიდან მათ საკმაო ხანს ბლომად ექნებათ საკვები, თუკი ისევ არიან იქ.

„ამ უკანასკნელ წლებში მატლებს საკვები თავზე საყარი ჰქონდათ, — ფიქრობდა იგი, — ყველგან, სადაც კი ჩვენ ფეხი დავდგით, მათ შეეძლოთ, რამდენიც სურდათ, იმდენი ეჭამათ. ევროპის, აზიისა და აფრიკის მატლებს ჩვენ ოქროს ხანა გავუთენეთ. გვამების მთელი არმიები დავუტოვეთ. მატლების თქმულებებში კარგა ხნით შევალთ, როგორც სიუხვის კეთილი ღმერთები“.

გრებერმა პირი იბრუნა. მკვდრები... ჰმ, მკვდრები ერთობ ბევრნი იყვნენ. თავდაპირველად მხოლოდ სხვებისა, უმთავრესად მხოლოდ სხვებისა, შემდეგ კი სიკვდილი სულ უფრო და უფრო ძლიერად იკიდებდა ფეხს მათივე რიგებში. და იძულებული იყვნენ ისევ და ისევ შეევსოთ პოლკები; ამხანაგებიდან, რომლებიც თავიდანვე მათ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გვერდით იბრძოდნენ, სულ უფრო და უფრო ცოტანი რჩებოდნენ და ახლა მათგან მხოლოდ მცირე ჯგუფიღა გადარჩენილიყო. მის მეგობართაგან კი მხოლოდ ფრეზენბურგი, მეოთხე ასეულის მეთაური, იყო აქ. დანარჩენთაგან კი ვინ მოკლეს, ვინ სხვაგან გადაიყვანეს, ვინ კიდევ დაჭრეს და ჰოსპიტალში იწვა, ზოგიც, ვისაც ბედმა გაულიმა, სამხედრო სამსახურისთვის უვარგისად მიიჩნიეს და გერმანიაში გაგზავნეს. ეს ყოველივე ერთ დროს სულ სხვაგვარად გამოიყურებოდა და სულ სხვანაირად იწოდებოდა.

ზაუერის ნაბიჯის ხმა გაიგონა, გაიგონა, თუ როგორ ამოდიოდა იგი გორაკზე.

— ხომ არაფერი მომხდარა? — შეეკითხა.

— არაფერი. წამით მომეჩვენა, თითქოს რაღაც საეჭვო ხმაური გავიგონე, მაგრამ ეს მხოლოდ ვირთაგვები იყვნენ თავლაში, სადაც რუსები წვანან.

ზაუერმა ბექობს დახედა, რომლის ქვეშაც პარტიზანები იყვნენ დასაფლავებულნი.

— ამათ საფლავი მაინც ელირსათ.

— ჰო, თვითონ გათხარეს თავისთვის.

ზაუერმა გადააფურთხა.

— ამ საცოდავებს შეიძლება გაუგოს კაცმა. ეს ხომ მათი საკუთარი ქვეყანაა, რომელსაც ჩვენ ასე ვანადგურებთ.

გრებერმა შეხედა მას. მართალია, ღამით სხვაგვარად ფიქრობს ადამიანი, ვიდრე დღისით, მაგრამ ზაუერი ძველი ჯარისკაცი იყო და მისი გულის აჩვილება არც ისე იოლ საქმეს წარმოადგენდა.

— როგორ მოგვიდა ეგ თავში? — შეეკითხა, — რადგან უკან ვიხევთ, არა?

— რასაკვირველია. წარმოიდგინე, რომ ერთ მშვენიერ დღეს მათ ჩვენც ასეთივე დღე დაგვაყენონ!

გრებერი ერთ წამს დუმდა. „მე არაფრით ვარ მასზე უკეთესი, — ფიქრობდა იგი, — მეც სულ ვაჭიანურებდი და ვაჭიანურებდი, რაც კი შემეძლო, ასეთი დასკვნის გამოტანას“.

— საოცარია, როგორ კარგად მიუხვდება ხოლმე კაცი სხვებს, როდესაც თვითონაც მოეწვება კუდი, — თქვა შემდეგ, — ხოლო როცა საქმე კარგად მისდის, მაშინ ასეთი რამ აზრადაც არ მოსდის თავში, არა?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— რა თქმა უნდა, არა. ეს ყველამ იცის!

— ჰო, მაგრამ ეს არავისთვის სასიქადულო ამბავი არ არის.

— სასიქადულო? მაგას ვილა დაეძებს, როდესაც საქმე საკუთარი ძვლების გადარჩენას ეხება? — ზაუერი გაკვირვებითა და თან გაჯავრებით უყურებდა გრებერს, — თქვენ, განათლებულებმა, ჩემო ძმაო, ყოველთვის ასე იცით, რალაცას გამოიგონებთ! არც ერთ ჩვენგანს არ დაუწყია ომი და არც პასუხს ვაგებთ. ჩვენ მხოლოდ ჩვენს მოვალეობას ვასრულებთ. ხოლო ბრძანება ბრძანებაა! ან იქნებ არ მეთანხმები?

— როგორ არა, — მიუგო ზანტად გრებერმა.

III

ბათქი ერთბაშად ჩაიხშო თვალუწვდენელი ზეცის ნაცრისფერ ბურუსში. კედლებზე დაყუნცული ყვავები არც კი აფრენილან. მათ მხოლოდ ყრანტალით უპასუხეს, რომელიც თითქოს სროლაზე უფრო ძლიერ გაისმა. ისინი კიდევ უფრო მეტ ხმაურს მიჩვეულიყვნენ.

გამდნარ თოვლში ნახევრად ელაგა სამი საწვიმარ-მოსასხამი. ის, რომელიც სახემოჭმულ ჯარისკაცს ეკუთვნოდა, შეკრული იყო. რაიკე შუაში ესვენა. გალღობილი ჩექმა ფეხის ნარჩენებთან ერთად თავის ადგილზე მიადვეს, მაგრამ ეკლესიიდან წამოღების დროს გზაში გვერდზე მოეღრიცა და ახლა ძირს ეკიდა. უკვე ალარავის სურდა მისი გასწორება. ერთბაშად ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს რაიკეს, რაც შეიძლება ღრმად ეწადა მიწაში ჩაძრომა.

ცხედრებს მიწის სველი გორობები დააყარეს. როდესაც სამარე ამოივსო, მცირეოდენი მიწა კიდევ დარჩა. მიუკემ მიულერს შეხედა.

— დავტკეპნოთ?

— რა თქვით?

— დავტკეპნოთ-მეთქი, ჰერ ლეიტენანტო, სამარე? მაშინ დანარჩენი მიწაც ჩაეტევა. ზევიდან კი ქვებს დავალაგებთ მელიებისა და მგლებისგან დასაცავად.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ისინი ყურაფყურს დააკლებენ მათ, რადგან საფლავი საკმაოდ ღრმაა და ისინაც აძას გარდა...

მიულერმა გაიფიქრა, რომ მელიებსა და მგლებს მიწის ზევითაც საკმარისი საკვები ჰქონდათ და აბა, რა ძალა ადგათ, საფლავები აძოეთხარათ.

— სისულელეა, — თქვა მან, — ეგ რა თავში მოსასვლელია?

— იყო ასეთი შემთხვევები...

მიუკვმ არაფრისმთქმელი სახით შეხედა მიულერს. „აი, კიდევ ერთი უტვინო რუკვენი, — გაიფიქრა მან, — ყოველთვის ასეა, ოფიცრობას ყოველად უმაქნისი ხალხი იღებს, კარგები კი იღუპებიან“.

მიულერმა თავი გააქნია.

— დარჩენილი მიწისგან ბექობი გააკეთეთ, — განაცხადა მან, — ასე სჯობია. და ჯვარი თავების მხარეზე ჩაარჭვეთ.

— მესმის, ჰერ ლეიტენანტო!

მიულერმა ასეული დააწყო და წასვლა უბრძანა. ბრძანებას უფრო ხმამაღლა იძლეოდა, ვიდრე საჭირო იყო, რადგან გამუდმებით ეჩვენებოდა, რომ ძველი ჯარისკაცები დიდად არ აფასებდნენ. და ეს მართლაც ასე იყო.

ზაუერმა, იმერმანმა და გრებერმა დარჩენილი მიწა პატარა ბექობად შეაგროვეს სამარეზე.

— ჯვარი დიდხანს არ გაჩერდება სწორად, — თქვა ზაუერმა, — მიწა ძალიან ფხვიერია.

— ჰო, მართალია.

— სამი დღეც ვერ გაძლებს.

— რა, რაიკე ნათესავად ხომ არ გერგებოდა? — ჰკითხა იმერმანმა.

— ენა დააყენე! კარგი ბიჭი იყო. თუმცა შენ რა გესმის.

— აბა, ჰა, დავდგათ თუ არა ჯვარი? — იკითხა გრებერმა.

იმერმანი მიუბრუნდა.

— აა, ეს ჩვენი შვებულებიანი ლაპარაკობს? რას იზამ, ეჩქარება!

— თორემ შენ არ აჩქარდებოდი, არა? — შეეკითხა ზაუერი.

— მე შვებულებას არ მომცემენ, და ეს შენ მშვენივრად იცი, შენ ნებვის ჭიაკ, შენა!

— ცხადია, არ მოგცემენ. ხომ შეიძლება აღარც კი დაბრუნდე უკან.

— რა იცი, შეიძლება დავბრუნებულიყავი კიდეეაც.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ზაუერმა გადააფურთხა.

იმერმანმა დამცინავად გაიღიმა და ჩაილაპარაკა:

— იქნებ მოხალისედაც კი დავბრუნებულიყავი უკან.

— ჰო, შეიძლება. შენსას ხომ ვერაფერს გაიგებს კაცი. თქმით ყველაფერს იტყვი, მაგრამ ვინ იცის, რა გიდევს გულში.

ზაუერმა ბოლოში წამახვილებული ჯვარი აიღო, ჩაარჭო მიწაში და ნიჩაბი სიბრტყივ რამდენჯერმე დაჰკრა ზევიდან. ჯვარი ღრმად ჩაეფლო მიწაში.

— ხედავ, — მიუბრუნდა გრებერს, — სამი დღეც ვერ გაძლებს!

— სამი დღე საკმაოდ დიდი ხანია, — შეესიტყვა იმერმანი, — და ერთი რამ მინდა გირჩიო, ზაუერ. სამ დღეში თოვლი სასაფლაოზე იმდენად დაიწევს დაბლა, რომ შიგ შესვლას შეძლებ. მოიტანე იქიდან ერთი ქვის ჯვარი და აქ დადგი. ამით შენს ქვეშევრდომულ სინდისს დაიწყნარებ.

— რუსული ჯვარი?

— რატომაც არა? ღმერთი ინტერნაციონალურია, თუ ისიც გამოიცვალე უკვე?

ზაუერი მიუბრუნდა:

— ნამდვილი ოინბაზი ხარ! ნამდვილი ინტერნაციონალური ოინბაზი!

— დიდი ხანი არ არის, რაც ასეთი გავხდი. დიახ, გავხდი, ზაუერ! ადრე სხვანაირი ვიყავი. რაც შეეხება ჯვარს, ეს შენი მოგონილია. გუშინ შენ თვითონ შემოგვთავაზე.

— გუშინ! გუშინ! მაშინ გვეგონა, რომ რუსი იყო. შენ კი ყოველ სიტყვას შენს ნებაზე ატრიალებ.

გრებერმა ნიჩაბი აიღო.

— მე მივდივარ, — განაცხადა მან, — აქ ხომ უკვე ყველაფერს მოვრჩით, ასე არ არის?

— ჰო, შვებულებიანო, — მიუგო იმერმანმა, — ჰო ფრთხილო ბაჭიავ! უკვე ყველაფერს მოვრჩით.

გრებერს არაფერი უპასუხია. იგი გორაკიდან დაეშვა.

*

ათუული სარდაფში განლაგებულიყო, რომელშიაც სინათლე ჭერში დატანებული ხვრელიდან ჩადიოდა. ხვრელის ქვეშ ოთხი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კაცი ჩაცუცქულიყო და ყიცარზე სკატს[1] თამაშობდა. რამდენიმეს კუთხეში ეძინა, ზაუერი წერილს წერდა. სარდაფი დიდი იყო და სინესტისგან მეტ-ნაკლებად დაცული. ადრე ალბათ რომელიმე პარტიულ ბობოლას ეკუთვნოდა.

შემოვიდა შტაინბრენერი.

— უკანასკნელი ცნობები მოისმინეთ?

— რადიო გაფუჭებულია.

— რა ღორობაა! რადიო ყოველთვის წესრიგში უნდა იყოს.

— მოიყვანე მერე, რალას უყურებ, ლაწირაკო! — გაბრაზდა იმერმანი, — მაგის მომველელ კაცს ორი კვირაა თავი მხრებზე აღარ აბია.

— რადიოს რა აქვს გაფუჭებული?

— ბატარეები გაგვითავდა.

— გაგვითავდა?

— ჰო, — იმერმანი შტაინბრენერს გაელრიჭა, — მაგრამ იქნებ ამუშავდეს, ცხვირში რომ შეირჭო მავთულები: შენ ხომ მუდამ ელექტრონით გაქვს თავი დამუხტული. აბა, ერთი სცადე!

შტაინბრენერმა თმა ხელით უკან გადაიწია.

— არის ხალხი, რომლებიც იქამდე არ აჩერებენ ენას, ვიდრე მაგრად არ მოეწვებათ კუდი.

— რა გადაკერით ლაპარაკობ, მაქს, — მიუგო იმერმანმა წყნარად, — შენ ხომ უკვე რამდენჯერმე დამაბეზღე. ეს ყველამ იცის. სიფხიზლეს იცავ და ეს ძალიან კარგია, მაგრამ, საუბედუროდ, მე საუკეთესო მექანიკოსი ვარ და კარგი მეტყვიამფრქვევე. ასეთები კი ამჟამად უფრო სჭირდებათ აქ, ვიდრე შენისთანები. აი, ამის გამო არ გწყალობს ბედი. მაინც რამდენი წლის ხარ?

— მოკეტე!

— დაახლოებით ოცის, არა? თუ ჯერ მაგდენისაც არა და მხოლოდ ცხრამეტის? სამაგიეროდ, რამხელა ღვაწლი მიგიძღვის! ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში დასდევდი ებრაელებსა და ხალხის მოღალატეებს. დიდება შენ! ოცი წლისა მე მხოლოდ გოგოებს დავდევდი...

— გეტყობა კიდეც!

— დიახ, — მიუგო იმერმანმა, — მეტყობა კიდეც!

---

[1] *სკატი (გერმ.) — ბანქოს თამაში ერთგვარი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შემოსასვლელში მიუკე გამოჩნდა.

— რა შეგიჩნდათ ისევ?

არავის უპასუხია. მიუკე ყველას ბრიყვად მიაჩნდა.

— რა დაგემართათ-მეთქი, გეკითხებით!

— არაფერი, ჰერ ფელდფებელო, — მიუგო ბერნინგმა, რომელიც ყველაზე ახლოს იჯდა მასთან, — მხოლოდ ვსაუბრობდით.

მიუკემ შტაინბრენერს შეხედა.

— მოხდა რამე?

— ამ ათი წუთის წინ უკანასკნელი ცნობები გადმოსცეს.

შტაინბრენერი წამოდგა და ირგვლივ მიმოიხედა. არავინ იჩენდა ცნობისმოყვარეობას. მხოლოდ გრებერი უსმენდა. ბანქოს მოთამაშენი არხეინად განაგრძობდნენ თამაშს. ზაუერს თავი არ აუღია წერილიდან და მძინარენიც ისევ განაგრძობდნენ ხვრინვას.

— ყურადღება! — დაიღრიალა მიუკემ, — დაყრუვდით, თუ რა არის? უკანასკნელი ცნობები! ყური დაუგდეთ! ყველასთვის საყალდებულოა!

— არის ყური დავუგდოთ! — მიუგო იმერმანმა.

მიუკემ მზერა ესროლა მას. იმერმანის სახე მხოლოდ ყურადღებას გამოხატავდა. ბანქოს მოთამაშეებმა კარტები პირქვე დაალაგეს ფიცარზე. ერთად არ შეუგროვებიათ, რათა შემდეგ ამით რამდენიმე წამი მოეგოთ და თამაშის დაუყოვნებლივ განგრძობა შესძლებოდათ. ზაუერმა ოდნავ აიღო თავი წერილიდან.

შტაინბრენერი გაიჭიმა.

— მნიშვნელოვანი ცნობებია! „ნაციის საათში“ გადმოსცეს. ამერიკიდან იუწყებიან, რომ იქ გაფიცვები მძვინვარებს. ფოლადის წარმოება პარალიზებულია. სამხედრო ფაბრიკა-ქარხნების უმეტესობა გაჩერდა. საავიაციო მრეწველობაში საბოტაჟის აქტები აღინიშნება. ყველგან დემონსტრაციები ტარდება ზავის დაუყოვნებლივ დასადებად. მთავრობა ირყევა და მის ჩამოგდებას მოელიან.

მცირე ხნით გაჩუმდა. არავინ გამოხმაურებია. მძინარეთ გამოღვიძებოდათ და ახლა იქექებოდნენ. ჭერის ხვრელიდან გამდნარი თოვლის წყალი წვეთავდა ქვეშ მიდგმულ ვედროში. მიუკე ხმამაღლა ქშინავდა.

— ჩვენი წყალქვეშა ნავები მთელი ამერიკის სანაპიროს ბლოკირებას ახდენენ. გუშინ ჩაძირეს ჯარით სავსე ორი დიდი სატრანსპორტო გემი და სამხედრო საჭურვლით დატვირთული სამი ხო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მალდი; სულ ოცდათოთხმეტი ათასი ტონა წყალწყვეისა მხოლოდ ამ კვირაში. ნანგრევებად ქცეული ინგლისი შიშშილობს. ნაოსნობა ყველგან დარღვეულია ჩვენი წყალქვეშა ნავების მიერ. შექმნილია ახალი საიდუმლო იარაღები, მათ შორის რადიოთი სამართავი ყუმბარმშენები, რომლებსაც ეკიპაჟის გარეშე შეუძლიათ ძირს დაუშვებლად ჩაფრინდნენ ამერიკაში და უკან დაბრუნდნენ. ატლანტიკური სანაპირო ვლებერთულა ციხესიმაგრედ არის გადაქცეული. თუ მოწინააღმდეგე შემოეჭრას გაბედავს, მის ჯარებს ოკეანეში გადაყრიან, როგორც ერთხელ, 1940 წელს.

სკატის მოთამაშეებმა ისევ დაუკლეს ხელი კარტებს. თოვლის პატარა ბურთულამ ტეატანი მოადინა ვედროში.

— ვისურვებდი, ახლა რიგიან თაკშესაფარში ვმსხდარიყავით, — ჩაიბურტყუნა შნაიდერმა, მოკლე წითურწვერიანმა ჩასკვნილმა მამაკაცმა.

— შტაინბრენერ, — შეეკითხა იმერმანი, — რუსეთის შესახებ არაფერი გადმოსცეს უკანასკნელ ცნობებში?

— რატომ მეკითხები?

— იმიტომ, რომ ჩვენ აქ ვართ. ზოგიერთ ჩვენგანს აინტერესებს ეს. მაგალითად, ჩვენს ამხანაგს გრებერს, რომელიც შვებულებას ელოდება.

შტაინბრენერი მერყეობდა. იგი არ ენდობოდა იმერმანს. მაგრამ პარტიულმა გულმოდგინებამ დასძლია.

— ფრონტის ხაზის შემოკლება თითქმის დამთავრებულია, — განაცხადა მან, — რუსები დიდი დანაკლისისგან მთლად ქანცგაწყვეტილნი არიან. ახალი გამაგრებული პოზიციები კონტრშეტევისთვის უკვე მზად არის. რეზერვების მოზიდვაც დამთავრებულია. ჩვენი კონტრშეტევა, რომელიც ახალი იარაღის დახმარებით ჩატარდება, უძლეველი იქნება.

ნახევრად ასწია ხელი მაღლა, მაგრამ შემდეგ ისევ დაბლა დაუშვა. ძნელი იყო რუსეთთან დაკავშირებით რაიმე სახარბიელოს თქმა; ყველამ ერთობ კარგად იცოდა, თუ რა ხდებოდა აქ. შტაინბრენერი უეცრად იმ ბეჯით მოწაფეს დაემსგავსა, რომელიც ცდილობს, როგორმე გამოცდაზე არ ჩაიჭრას.

— ეს, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის! ყველაზე მნიშვნელოვან ცნობებს ყოვლად საიდუმლოდ ინახავენ. მათი გად-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოცემა თვით „ნაციის საათშიც“ კი არ შეიძლება. მაგრამ ერთი რამ აბსოლუტურად უტყუარია: მოწინააღმდეგეს წელსვე გავანადგურებთ, — შტაინბრენერი, ცოტა არ იყოს, უნიათოდ გატრიალდა გასასვლელისკენ, რათა მომდევნო თავშესაფარში წასულიყო. მიუკეც თან გაჰყვა.

— ერთი უყურეთ ამ უკანალის ჭიას, — წამოისროლა ერთ-ერთმა გამოღვიძებულმა, მერე ისევ დაეგდო და ხვრინვა ამოუშვა.

სკატის მოთამაშეებმა თამაში განაგრძეს.

— გავანადგურებთ, — თქვა შნაიდერმა, — ჩვენ მათ წელიწადში ორჯერ ვანადგურებთ, — თავის კარტებში ჩაიხედა, — მე ოცი მაქვს.

— რუსები ბუნებით ცბიერნი არიან, — განაცხადა იმერმანმა, — ფინეთის ომში მათ ბევრად სუსტად მოგვაჩვენეს თავი, ვიდრე სინამდვილეში იყვნენ. ეს ვერაგული ბოლშევიკური ფანდი იყო.

ზაუერმა თავი აიღო.

— ნუთუ არ შეგიძლია, რომ ერთხელ მაინც წყნარად გაჩერდე? გამოდის, ყველაზე უკეთ შენ ერკვევი ყველაფერში, არა?

— თორემ ტყუილს ვამბობ, აი! ისინი ხომ ჩვენი მოკავშირეები იყვნენ, ჯერ კიდევ ამ ორიოდე წლის წინათ. რაც შეეხება ფინეთის ამბებს, ეს პირადად რაიხსმარშალმა გერინგმა თქვა. რა, არ ეთანხმები?

— კარგი რა, ბიჭებო, გეყოფათ დავა, — წამოიძახა კედელთან მწოლიარეთაგან ერთ-ერთმა, — მაინც რა დაგემართათ დღეს!

სიწყნარე ჩამოვარდა. მხოლოდ წყალი წვეთავდა და კარტებს გაუდიოდა ტყაპატყუპი ფიცარზე. გრებერი გაუნძრევლად იჯდა თავის ადგილზე. იცოდა, რაც დაემართათ. ასეთ გუნებაზე იყვნენ ყოველთვის დახვრეტებისა და დასაფლავებათა შემდგომ.

*

შესაღამოვებულზე დაჭრილთა ქარავნებმა იწყეს მოსვლა. ერთ ნაწილს მაშინვე გზავნიდნენ უფრო ღრმა ზურგისკენ. ისინი გასისხლიანებული სახვევებით ჩნდებოდნენ მონაცრისფრო-მოთეთრო ტრამალზე და მქრქალი ჰორიზონტის მეორე მხარეს იკარგებოდნენ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ვერასოდეს მიაღწევდნენ ჰოსპიტალს და ამ დაუსაბამო მონაცრისფრო სითეთრეში ჩაიძირებოდნენ. მათგან უმეტესობა დუმდა და ყველანი მშიერები იყვნენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იმათთვის, ვისაც სიარული არ შეეძლო და ვისთვისაც არც სანიტარიული მანქანები ჰყოფნიდათ, ეკლესიაში სახელდახელო ჰოსპიტალი მოაწყვეს. ყუმბარებით დაცხრილულ სახურავში ხვრელები ამოჩურთეს. მოვიდა დაღლილობისგან სიკვდილის პირამდე მისული ექიმი, ორ სანიტართან ერთად, და ოპერაციების კეთებას შეუდგა. ვიდრე დაბნელდებოდა, კარი ღია იყო, და საკაცეები გაუთავებლად შეჰქონდათ და გამოჰქონდათ. ქათქათა შუქი საოპერაციო მაგიდის ზემოთ ეკლესიის ოქროსფერ ბინდბუნდში ნათელი კარავივით ჩანდა. კუთხეში ისევ ეყარა ორი წმინდანის გამოსახულებათა ნარჩენები. ღვთისმშობელს მკლავები წინ გაეშვირა, მტევნები მოემტვრიათ, ქრისტეს ფეხები აკლდა, და ისე გამოიყურებოდა, თითქმის ამპუტირებული აცვეს ჯვარსო. დაჭრილები იშვიათად ყვიროდნენ. ექიმს კიდევ დარჩენოდა გამაყუჩებელი საშუალებანი. ქვაბებსა და მონიკელებულ ფიალებში წყალი დულდა, ამპუტირებული კიდურები ნელ-ნელა ჯსებდნენ თუთიის აბაზანას, რომელიც ასეულის მეთაურის სახლიდან მოეტანათ. საიდანღაც ძაღლი გამოჩნდა. იგი კარის მახლობლად ტრიალებდა და რამდენჯერაც გააგდებდნენ, იმდენჯერ უკან ბრუნდებოდა.

— ნეტავ საიდან მოვიდა? — იკითხა გრებერმა, რომელიც ფრეზენბურგთან ერთად იმ სახლის მახლობლად იდგა, სადაც ადრე მღვდელი ცხოვრობდა.

ფრეზენბურგი ყურადღებით ათვალიერებდა გაქუცულ ცხოველს, რომელიც კანკალებდა და თავი წინ გაეშვირა.

— როგორც ჩანს, ტყიდან.

— მერედა რას იპოვის იქ? იქ ვერაფრით გამოიკვებავს თავს.

— რატომ? საკვებს ახლა საკმარისად იშოვის და არა მხოლოდ ტყეში, არამედ ყველგან.

გრებერი და ფრეზენბურგი უფრო ახლოს მივიდნენ. ძაღლმა ფრთხილად მიაბრუნა თავი მათკენ და გაქცევა დააპირა. ისინი გაჩერდნენ.

ძაღლი მაღალი და გამხდარი იყო, მონაცრისფრო-მოწითალო ბეწვი ჰქონდა და გრძელი, წინ წაწვეტებული თავი.

— ეზოს ძაღლი არ არის, — თქვა ფრეზენბურგმა, — ჯიშიანია.

და წყნარად დაუწლაპუნა. ძაღლმა ყურები დაცქვიტა. ფრეზენბურგმა კიდევ დაუწლაპუნა და დაელაპარაკა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— შენ გგონია, ელოდება, ვიდრე რამეს გადაუგდებენ? — შეეკითხა გრებერი.

ფრეზენბურგმა თავი გააქნია.

— საჭმელი ახლა ყველგან არის. ეგ მაგიტომ არ მოსულა. აქ სინათლეა და რაღაც სახლის მაგვარი. მე მგონია, ადამიანებთან ყოფნა სწყურია.

გარეთ საკაცე გამოიტანეს. ზედ ვიღაც ესვენა, რომელიც ოპერაციის დროს მომკვდარიყო. ძაღლი ორიოდე მეტრით გახტა განზე, ისე მსუბუქად, თითქოს მოქნილ ზამბარებზე მდგარიყოს. შემდეგ გაჩერდა და ფრეზენბურგს დაუწყო ყურება. ისიც ისევ დაელაპარაკა და აუჩქარებლად ნაბიჯი გადადგა მისკენ. ძაღლმა მაშინვე უკან ისკუპა, მაგრამ შემდეგ გაჩერდა და რამდენჯერმე კუდი ოდნავ შესამჩნევად გააქიცინა.

— ეშინია, — თქვა გრებერმა.

— ჰო, რა თქმა უნდა. მაგრამ კარგი ძაღლია.

— და კაციჭამიაც, ამასთანავე.

ფრეზენბურგი გრებერს მიუბრუნდა:

— ყველანი კაციჭამიები ვართ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ეს ასეა. და ჩვენც ამ ძაღლივით ვფიქრობთ, რომ კარგები ვართ და ჩვენც მასავით ვეძიებთ მცირეოდენ სითბოს, სინათლესა და მეგობრობას.

ფრეზენბურგმა ცალყბად გაიღიმა. მეორე თითქმის უძრავად გაშეშებოდა ვეება ნაჭრილობევის გამო. სახის ეს მხარე თითქოს მომკვდარიყო და ამის გამო გრებერს ყოველთვის უჩვეულო გრძნობა ეუფლებოდა, როდესაც ამ ღიმილს ხედავდა, ღიმილს, რომელიც სახის განსაზღვრულ ზღუდემდე ცოცხლობდა მხოლოდ. ეს თითქოს შემთხვევითი არ იყო.

— ჩვენც ისეთები ვართ, როგორიც დანარჩენი ადამიანები. ომის გამოა ყველაფერი, მორჩა და გათავდა!

ფრეზენბურგმა თავი გააქნია და ხელჯოხით თოვლი გადაიბერტყა გამაშებიდან.[1]

---

[1] *გამაში — სქელი, წინდისებური უძირო ნაქსოვი, რომელსაც იცვამდნენ ფეხსაცმლის ზემოდან სითბოსთვის, ასევე კერავდნენ ტყავისგან. გამაშებს ძირითადად ცხენოსნები და სპორტსმენები, ასევე ჯარისკაცებიც იყენებდნენ.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— არა, ერნსტ, ჩვენ ყოველგვარი საზომი დაკარგეთ. ათი წლის განმავლობაში იზოლირებული ვყავდით და აღმაშფოთებელ, მაყივნებელ, არაადამიანურ და სასაცილო ქედმაღლობას გვინერგავდნენ. გამოგვაცხადეს ერად, რომელიც მოწოდებულია იბატონოს და რომელსაც დანარჩენები მონებივით უნდა ემსახურონ, — მან მწარედ გაიცინა, — ბატონთა ნაცია! დაემორჩილო ყოველ ბრიყვს, ყოველ თაღლითს. ყოველ ბრძანებას — განა ეს ბატონთა ნაციად ყოფნას ნიშნავს? და აი, ესეც პასუხი: როგორც ყოველთვის, იგი უდანაშაულოებს უფრო ურტყამს, ვიდრე დამნაშავეებს.

გრებერი მისჩერებოდა მას. ფრეზენბურგი აქ ერთადერთი ადამიანი იყო, რომელსაც საკვებით ენდობოდა. ორივენი ერთი და იმავე ქალაქიდან იყვნენ და დიდი ხანია იცნობდნენ ერთმანეთს.

— თუ ეს ყველაფერი იცი, — თქვა მან ბოლოს, — აქ რატომ ხარ?

— აქ რატომ ვარ? ნაცვლად იმისა, რომ საკონცენტრაციო ბანაკში ვიჯდე? ანდა სულაც სამხედრო სამსახურისთვის თავის არიდების გამო დამხვრიტონ?

— ამას არ ვგულისხმობ. 1939 წელს ხომ შენი ასაკისას არ იწვევდნენ. რატომ წახვედი მოხალისედ?

— ჩემი ასაკისას მაშინ არ იწვევდნენ, მაგრამ შემდგომ ეს შეიცვალა და ახლა ჩემზე უფროსებიც კი მიჰყავთ. მაგრამ ამაში არ არის საქმე. ამით თავს ვერ გაიმართლებს კაცი. და არც იმით წყდება არაფერი, რომ ჩვენ აქა ვართ. მაშინ საკუთარ თავს ვარწმუნებდით, რომ არ გვსურდა საშშობლო ბედის ანაბარა მიგვეტოვებინა განსაცდელის ჟამს, ომის დროს. სულერთია, თუ რა ომი იყო ეს, ან ვინ იყო მასში დამნაშავე და ვინ დაიწყო იგი. ეს თავის გასამართლებლად მოძებნილი საბაბი იყო. ზუსტად ასევე ვიქცეოდით უფრო ადრე, როდესაც ვირწმუნებოდით, რომ მათთან მხოლოდ იმიტომ ვთანამშრომლობდით, რათა უარესი რამ აგვეცდინა თავიდან. ესეც გამართლება იყო, გამართლება საკუთარი თავის წინაშე და სხვა არაფერი! — მან ღონივრად დაჰკრა თოვლს ხელჯოხი. ძაღლი უხმოდ გახტა განზე და ეკლესიას ამოეფარა, — ჩვენ ღმერთს მეტისმეტად ვუვუთაბამდით, ერნსტ, გესმის ეს?

— არა, — მიუგო გრებერმა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მას არ სურდა გაეგო. ფრეზენბურგი ერთ წამს დუმდა.

— შენ არ შეგიძლია ამის გაგება, — განაგრძო უფრო მშვიდად, — საამისოდ ერთობ ახალგაზრდა ხარ. თითქმის სხვა არაფერი გინახავს, ისტერიკული მანჭვა-გრეხისა და ომის გარდა. მე კი პირველ მსოფლიო ომშიც ვარ ნამყოფი და კარგად ვიცნობ განვლილ პერიოდს, — მისი სახის ერთმა ნახევარმა ისევ გაიღიმა, მეორე კი უძრავად იყო. ღიმილი ტალღასავით აწყდებოდა, მაგრამ ვერ გადაელახა, — ნეტავი ოპერის მომღერალი ვიყო, — განაგრძო მან, — ცარიელი თავის, მაგრამ შთამაგონებელი ხმის მქონე ტენორი. ანდა მოხუცი, ან კიდევ ბავშვი. არა, ბავშვი არა. არ მსურს ის ვიყო, ვისაც თავს უნდა დაატყდეს მომავალი უბედურება. ომი წაგებულია. ეს მაინც გესმის?

— არა!

— ყოველი გერმანელი, რომელსაც კი პასუხისმგებლობის გრძნობა აქვს, მას უკვე დიდი ხანია დასთმობდა. ჩვენ ამაოდ ვიბრძვით, — და გაიმეორა: — ამაოდ ვიბრძვით. თვით ოდნავ მისაღები საზავო პირობებისთვისაც კი არ ვიბრძვით, — ფრეზენბურგმა ხელი ჰორიზონტისკენ გაიშვირა, რომელიც უკვე ბინდით იბურებოდა, — ჩვენთან უკვე არ დაიწყებენ მოლაპარაკებას. ჩვენ ატილასა[1] და ჩინგის-ხანივით[2] ვთარეშობდით. დავარღვიეთ ყველა ხელშეკრულება და ყველა ადამიანური კანონი. ჩვენ...

— ამას ხომ ესესელები სჩადიოდნენ, — თქვა გრებერმა სასოწარკვეთით.

იგი იმიტომ შეხვდა ფრეზენბურგს, რომ სურდა იმერმანს, ზაუერსა და შტაინბრენერს დასძვრომოდა ხელიდან, და მასთან ძველი მშვიდობიანი ქალაქის შესახებ ელაპარაკა, რომელიც მდინარის პირას იყო გაშენებული. ელაპარაკა ცაცხვის ხეივნებსა და სიჭაბუკეზე; მაგრამ ახლა უფრო აებნა თავგზა. ამ დღეებში თითქოს ყველაფერს ჯადო ჰქონდა გაკეთებული. სხვებისგან არ მოელოდა შველას, მაგრამ ფრეზენბურგისგან კი — დიახაც. მაგრამ იგი უკან

---

[1] *ატილა (ლათ. ბერძნ.) — ჰუნების ბელადი 434-453 წლებში, რომელმაც თავისი მმართველობის ქვეშ გააერთიანა ბარბაროსული ტომები რეინიდან შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპირომდე.*

[2] *ჩინგის-ხანი, იგივე ჩინგიზ-ყაენი (1162-1227) — მონღოლი პოლიტიკური და სამხედრო ლიდერი. მან მოახერხა დაქუცმაცებული მონღოლი ტომების გაერთიანება მსოფლიოს დასაპყრობად.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დახვეის ორომტრიალში დიდი ხანია ალარ ენახა. და ახლა სწორედ მისგან გაიგო ის, რისი ალიარებაც ამდენი ხანია არ სურდა, ის, რისი მოფიქრებაც სახლში სურდა და რისიც ყველაზე მეტად ეშინოდა.

— ესესელები! — მიუგო ზიზღით ფრეზენბურგმა, — მხოლოდ მათთვის ვიბრძვით კიდევ! მხოლოდ ესესელების, გესტაპოელების, მატყუარებისა და სპეკულანტებისთვის, ფანატიკოსების, მკვლელებისა და შეშლილებისთვის, რათა მათ ერთი წელი კიდევ შეინარჩუნონ ძალაუფლება. ამისთვის და სხვა არაფრისთვის. თორემ ომი დიდი ხანია წაგებულია.

კიდევ უფრო დაბნელდა. ეკლესიის კარი დახურეს, რათა სინათლე გარეთ არ გამოსულიყო. ხახადაფჩენილ ფანჯრებში თალხი ფიგურები გამოჩნდნენ, რომლებიც საბნებს აფარებდნენ მათ აბნელებდნენ აგრეთვე სარდაფთა და თაღშესაფართა შესასვლელებს.

ფრეზენბურგმა იქით გაიხედა.

— ნამდვილ თხუნელებად ვიქეცით. სულიც ნამდვილი მუდოებისა გაგვიხდა. რა დიდებულად შევტოპეთ!

გრებერმა გარეთა ჯიბიდან სიგარეტის გახსნილი კოლოფი ამოიღო და ფრეზენბურგს გაუწოდა. ფრეზენბურგმა უარი უთხრა.

— შენ თვითონ მოსწიე. ანდა თან წაიღე. მე საკმარისი მაქვს.

გრებერმა თავი გააქნია.

— აიღე...

ფრეზენბურგმა ოდნავ გაიღიმა და სიგარეტი გამოართვა.

— როდის მიდიხარ?

— არ ვიცი. შვებულების ბრძანება ჯერ კიდევ არ არის ხელმოწერილი, — გრებერმა ნაფაზი დაარტყა და კვამლი გამოუშვა.

კარგია, როცა სიგარეტები გაქვს. ზოგჯერ უფრო კარგიც კი, ვიდრე მეგობრების ყოლა. სიგარეტები თავგზას არ გიბნევენ. ისინი დუმან და ყოველთვის სასიამოვნონი არიან.

— არ ვიცი, — განაგრძო გრებერმა, — ეს რამდენიმე ხანია საერთოდ არაფერი ვიცი. ადრე ყველაფერი ნათელი იყო, ახლა კი ეს ყველაფერი ერთმანეთში აირია. კარგი იქნებოდა, რომ შეიძლებოდეს უცებ დაკიძინო და სულ სხვა დროში გამოვიღვიძო. იოლად გაკიდოდა ფონს კაცი. მე საშინლად გვიან დაკიწყე ფიქრი და ეს საამაყო არ არის.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფრეზენბურგმა ხელისზურგით დაიფხანა სახეზე ნაჭრილობები.

— ამას დიდ მნიშვნელობას ნუ მიანიჭებ. ბოლო ათი წლის განმავლობაში ყურები ისე გამოგვიჭედეს პროპაგანდით, რომ ძნელი იყო სხვა რამის გაგონება, განსაკუთრებით კი იმისა, რაც ხმაურობა არ ყავყავებს — დაეჭვებისა და სინდისის ხმისა. შენ პოლმანს იცნობდი?

— იგი ისტორიასა და საღმრთო სჯულს გვასწავლიდა.

— შინ რომ მიხვალ, მასთან შეიარე. იქნებ კიდევ ცოცხალია. ჩემგან მოკითხვა გადაეცი.

— რატომ არ უნდა იყოს ცოცხალი? ის ხომ ჯარში არ გაუწვევიათ.

— არა, არ გაუწვევიათ!

— მაშ, ნამდვილად ცოცხალი იქნება. ის ახლა ბევრი-ბევრი, სამოცდახუთის იყოს.

— მოკითხვა გადაეცი ჩემგან.

— კარგი.

— ჩემი წასვლის დროა უკვე. კარგად იყავი. ჩვენ ალბათ ველარ ვნახავთ ერთმანეთს.

— ველარ, ვიდრე უკან დავბრუნდებოდე. ამას კი დიდი ხანი არ დასჭირდებოდა: სულ სამი კვირით მივდივარ.

— ჰო, სწორია. აბა, კარგად იყავი.

— შენც კარგად იყავი.

ფრეზენბურგი თავისი ასეულისკენ გაემართა, რომელიც მახლობელ დანგრეულ სოფელში იდგა. გრებერი უყურებდა, როგორ მიაბოტებდა იგი თოვლში, ვიდრე ბინდბუნდში არ გაუჩინარდა. შემდეგ უკან წავიდა. ეკლესიის წინ ძაღლის მრუმე ჩრდილი დაინახა. კარი გაიღო და გარეთ წამით სინათლის ვიწრო ზოლი გამოიჭრა. შესასვლელში საწვიმარ-მოსასხამები ჩამოეფარებინათ. ეს მცირეოდენი შუქი თითქოს სითბოსაც გამოსცემდა, შეიძლებოდა კაცს თავი სამშობლოში წარმოედგინა, რომ არ სცოდნოდა, თუ რისთვის ენთო იგი. გრებერი ძაღლთან მივიდა. ძაღლი განზე გახტა და გრებერმა დაინახა, რომ თოვლში წმინდანის ორი დაშავებული ფიგურა იდგა. იქვე გვერდით დამტვრეული ველოსიპედი ეგდო. ისინი გარეთ გამოეტანათ; ეკლესიაში ყოველი გოჯი ფართობისა საჭირო იყო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მან გზა განაგრძო სარდაფისაკენ, სადაც მისი ოცეული იყო განლაგებული. ნანგრევების მიღმა დაისით ოდნავ შეფაკლულიყო ცის კაბადონი. ეკლესიიდან მოშორებით მკვდრები დაესვენებინათ. გალღობილ თოვლში კიდევ სამი იპოვეს, სამივე ძველები, ოქტომბრის მკვდრები. ისინი მთლად მომბალიყვნენ და ისე გამოიყურებოდნენ, თითქოს ნახევრად მიწად ქცეულიყვნენ უკვე. მათ გვერდით ესვენა სხვებიც, რომლებიც მხოლოდ ნასადილევს დაიხოცნენ ეკლესიაში. გაფითრებულნი, მტრულნი და უცხონი ჩანდნენ, თითქოს თავიანთ ხვედრს ჯერ არ შერიგებოდნენ.

IV

როცა გამოელვიძათ, სარდაფი ირყეოდა. ყურებში ზრიალი ედგათ. ყველგან ნაგავი ცვიოდა. სოფელს იქით საზენიტო ქვემეხები მძვინვარებდნენ.

— არიქა, გარეთ გავიდეთ! — დაიყვირა ვილაცამ ახალმოსული შვესებიდან.

— წყნარად! სინათლე არ აანთოთ!

— გარეთ გავიდეთ ამ ვირთაგვების ხაფანგიდან!

— შე შტერო, სად გინდა, რომ გახვიდე? წყნარად! რა ჯანდაბაა, ისევ ახალწვეულები ხომ არა ხართ?

ყრუ გრგვინვამ ისევ შეადანდგარა სარდაფი. სიბნელეში რაღაც ჩამოინგრა. ზათქითა და ზრიალით ცვიოდა აგურები, ნაგავი და ფიცრები. ხახადაფჩენილ ჭერში დროდადრო აფეთქებათა მქრქალი შუქი ელავდა.

— აქ ვილაცები დაიტანა!

— წყნარად! ეს მხოლოდ კედლის ნაწილი ჩამოინგრა!

— გარეთ გავიდეთ, ვიდრე აქ ცოცხლად დაგვმარხავდნენ!

სარდაფში შესასვლელის მკრთალ ფონზე სილუეტები გამოჩნდა.

— ბატისტვინებო! — ილანძღებოდა ვილაც, — აქ დარჩით, ქვევით! აქ ნამსხვრევები მაინც არ ცვივა!

მაგრამ ბევრი ამას ყურადღებას არ აქცევდა. არ ენდობოდნენ გაუმაგრებელ სარდაფს და მართალიც იყვნენ, ზუსტად ისევე, რო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გორც ისინი, ვინც ქვევით რჩებოდა. შემთხვევის საქმე იყო: შეიძლებოდა ქვეშ მოყოლილიყვნენ, შეიძლებოდა ნამსხვრევები მოხვედროდათ და დახოცილიყვნენ.

ისინი ელოდნენ. პირი უშრებოდათ და სუნთქვა ეკვროდათ. შემდგომ დარტყმას ელოდნენ. აი, სადაცაა დაეცემათ თავზე. მაგრამ ეს არ მომხდარა. ნაცვლად ამისა, რამდენიმე აფეთქების ხმა გაიგონეს, რომლებიც ზედიზედ მიჰყვა ერთიმეორეს და მათგან უკვე საგრძნობლად იყვნენ დაშორებული.

— დალახვროს ეშმაკმა! — ილანძღებოდა ვილაც, — სად არიან ჩვენი გამანადგურებლები?

— ინგლისის თავზე!

— ხმა გაიკმინდე! — დაუყვირა მიუკემ.

— სტალინგრადის თავზე! — თქვა იმერმანმა.

— ხმა გაიკმინდე!

საზენიტო ქვემეხების ბათქებს შორის მოტორთა გუგუნი გაიგონეს.

— აი, ისინიც! — დაიყვირა შტაინბრენერმა, — ეს ჩვენები არიან!

ყველა სმენად გადაიქცა. ტყვიამფრქვევთა კაკანი გამოიცრა გარეთ გამეფებულ გუგუნსა და გრიალში. ამას სამი აფეთქება მოჰყვა ზედიზედ. ყუმბარები სოფლის ბოლოში ჩამოცვივდა. მქრქალი შუქი შეიჭრა სარდაფში და იმავე წამს შიგ ჩაეშვა რალაც მძვინვარე თეთრი, წითელი და მწვანე. დედამიწა ზეალიმართა და დაიქცა ჭექა-ქუხილის, გაელვებისა და წყვდიადის გრიგალში. აფეთქებებით გამოწვეულმა რყევამ ის იყო იკლო, რომ გარედან ადამიანთა ყვირილი მოისმა და სარდაფში ღრჭიალით გადმოწვა კედლები.

გრებერი ხელების ფათურით წამოიწია ბათქაშის წვიმაში. ეკლესია! — გაიფიქრა მან და თავი ისე დაცარიელებულად იგრძნო, თითქოს მხოლოდ კანილა ჰქონდა შერჩენილი და ყველაფერი დანარჩენი გარეთ გამოსვლოდა. სარდაფში შესასვლელი უვნებლად გადარჩენილიყო; იგი ნაცრისფრად გამოჩნდა წყვდიადში, როგორც კი დაბრმავებულმა თვალებმა კვლავ რამის დანახვა შეძლეს. გრებერმა ხელ-ფეხი გაანძრია. დაშავებული არ იყო.

— დალახვროს ეშმაკმა! — თქვა ზაუერმა მის გვერდით, — აი, ეს მართლაც ახლოს იყო. ალბათ, მთელი სარდაფი ნანგრევებად იქცა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოპირდაპირე მხარეს გაცოცდნენ. გრიალი გარეთ ისევ განახლდა. შიგადაშიგ მიუკეს ბრძანებები ისმოდა. მას აგურის ნატეხი მოხვედროდა შუბლში და მოკიაფე შუქზე სისხლი, რომელიც სახეზე ჩამოსდიოდა, შავად მოჩანდა.

— აბა, მოდით! ყველანი დატრიალდით! ამოვთხაროთ! ვინ გვაკლია?

არავის უპასუხია. კითხვა ერთობ ბრიყვული იყო. გრებერი და ზაუერი ლორლისა და აგურებისგან ათავისუფლებდნენ ადგილს. საქმე ნელა მიიწევდა წინ. რკინის დირეები და დიდრონი ნატეხები აბრკოლებდათ. თითქმის ვერაფერს ხედავდნენ. მხოლოდ გაცრეცილი ცა და აფეთქებათა შუქი ჩანდა.

გრებერმა განზე გახვეტა ბათქაში და სარდაფის ჩამონგრეული ნაწილის გასწვრივ გაცოცდა. სახე ნანგრევებზე დაედო და ხელებით სინჯავდა იქაურობას. დაძაბული უგდებდა ყურს, რათა საერთო ხმაურში ძახილი ან კვნესა გაეგონა და ამავე დროს ნანგრევებს შორის ხელებით ეძებდა ადამიანთა კიდურებს. ასე უკეთესი იყო, ვიდრე ალალბედზე სადმე ამოთხრა. ასეთ შემთხვევაში დროის მოგებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

უეცრად მოძრავ ხელს წააწყდა.

— აქ ვილაც არის! — დაიყვირა და მიწა მოფხოჭნა. თავს ეძებდა, მაგრამ ვერ იპოვა და ხელზე მოსწია, — სადა ხარ? ხმა ამოიღე! თქვი, ვინა ხარ?! სადა ხარ? — ყვიროდა იგი.

— აქ, — წაიჩურჩულა ქვეშდატანებულმა ზედ მის ყურის ძირთან, როდესაც სროლა ცოტა ხნით შეწყდა, — ნუ მეწევი, მაგრად ვარ მოყოლილი.

ხელი ისევ შეირხა. გრებერმა ბათქაში გასწი-გამოსწია. სახე იპოვა. პირზე ხელი შეახო.

— არიქა, აქ მოდით! — დაიყვირა მან, — დამეხმარეთ!

ამ ვიწრო კუნჭულში მხოლოდ ორ-სამ კაცს თუ შეეძლო ერთდროულად ამოეთხარა. გრებერმა შტაინბრენერის ხმა გაიგონა:

— შენ იმ მხრიდან მოუარე და თვალყური ადევნე, სახე არ დაეფაროს! ჩვენ კი აქედან ამოვთხრით!

გრებერი კედელს გაეკრა. დანარჩენები გაფაციცებით მუშაობდნენ სიბნელეში.

— ნეტა რომელია? — იკითხა ზაუერმა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— არ ვიცი, — გრუბერი დაბლა დაიხარა, — რომელი ხარ?

ნანგრევებში მოყოლილმა რაღაც წაილულლულა. გრუბერმა ვერაფერი გაარჩია. მის გვერდით სხვები მუშაობდნენ, გამალებით თხრიდნენ და განზე მიათრევდნენ ნანგრევებს.

— კიდევ ცოცხალია? — იკითხა შტაინბრენერმა.

გრუბერმა ნანგრევებში მოყოლილს სახეზე მოუსვა ხელი. იგი აღარ იძვროდა.

— არ ვიცი, — თქვა გრუბერმა, — ამ ორიოდე წუთის წინ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.

ისევ დაიწყო გრიალი. გრუბერი სულ ახლოს დაიხარა ნანგრევებში მოყოლილის სახესთან.

— ახლავე ამოგიყვანთ! — დაუყვირა მან, — გესმის?

მოეჩვენა, რომ სუნთქვის მაგვარი იგრძნო ლოყაზე, მაგრამ საკვსებით დარწმუნებული არ იყო. მის ზემოთ ქშინავდნენ შტაინბრენერი, ზაუერი და შნაიდერი.

— აღარ პასუხობს.

— არაფერი გამოვა! — ზაუერმა ისე მძლავრად ჩაარჭო ნიჩაბი, რომ დაიზრიალა, — აქ რკინის ჩალანგარებია და ნანგრევებიც ძალიან დიდებია. საჭიროა სინათლე და ხელსაწყოები.

— არავითარი სინათლე! — დაიღრიალა მიუკემ, — სინათლის ანთებაზე დახვრეტაა!

იმათაც კარგად იცოდნენ, რომ საჰაერო თავდასხმის დროს შუქის ანთება თვითმკვლელობას უდრიდა.

— რა შტერი ვინმეა! — ილანძღებოდა შნაიდერი, — ჰგონია, რომ ყველაფერი მარტო თვითონ იცის!

— არაფერი გამოვა. უნდა დავიცადოთ, ვიდრე რამის დანახვას შევძლებდეთ.

— ჰო...

გრუბერმა კედელთან ჩაიცუცქა და ცას მიაჩერდა, საიდანაც სარდაფში ზათქი და გრიალი იჭრებოდა. ველარაფერს არჩევდა... მხოლოდ უხილავი, მაგრამ მძვინვარე სიკვდილის მოძახილიღა ესმოდა. აქ არაფერი იყო უჩვეულო. ხშირად დაუცდია ასე და უფრო უარესიც უნახავს.

ფრთხილად მოუსვა ხელი უცნობ სახეს. იგი ახლა უკვე აღარ იყო ჭუჭყითა და მტვრით დაფარული. შემდეგ ტუჩებზე შეახო ხელი,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მერე კი კბილებზე და თითებზე მსუბუქი კბენა იგრძნო. კბენა ჯერ გაძლიერდა, მაგრამ შემდეგ სრულიად მოეშვა.

— კიდევ ცოცხალია, — თქვა გრებერმა.

— უთხარი, რომ ორნი ხელსაწყოების მოსაძებნად წავიდნენ.

გრებერი ერთხელ კიდევ შეეხო ნანგრევებში მოყოლილის ტუჩებს. ისინი უკვე აღარ ინძრეოდნენ. მან ხელი მოძებნა ღორღში და ხელი მოუჭირა. აღარც ხელი პასუხობდა უკვე. გრებერს მაინც მაგრად ჩაებღუჯა იგი; ეს იყო ყველაფერი, რისი გაკეთებაც შეეძლო. ასე იჯდა იგი და იცდიდა, ვიდრე თავდასხმა დამთავრდებოდა.

*

ხელსაწყოები მოიტანეს და ნანგრევებში მოყოლილი ამოთხარეს. იგი ლემერსი გამოდგა — სათვალიანი კაფანდარა კაცი. იპოვეს სათვალეც, ერთი მეტრის დაშორებით ეგდო ძირს, სრულიად უვნებელი. ლემერსი კი მკვდარი იყო.

გრებერი შნაიდერთან ერთად საგუშაგოზე დადგა. ჰაერი ნისლით დამძიმებულიყო და აფეთქებათა სუნი ისევ იდგა. ეკლესიის ცალი მხარე ჩამონგრეულიყო. ძირს დამხობილიყო ასეულის მეთაურის სახლიც. „ნეტავი რაე ცოცხალი გადარჩა თუ არა“? — ეკითხებოდა თავის თავს გრებერი. შემდეგ ბინდბუნდში სახლის უკან მისი გამხდარი და გრძელი სილუეტი დაინახა. რაე თვალყურს ადევნებდა, თუ როგორ წმენდდნენ ეკლესიას ნანგრევებისგან. დაჭრილთა ერთი ნაწილი ქვეშ დაეტანა. დანარჩენები კი გარეთ იწვნენ, პირდაპირ მიწაზე გაშლილ საბნებსა და საწვიმარ-მოსასხამებზე. არ კვნესოდნენ და თვალები ზეცისკენ აღეპყროთ. მაგრამ არა იმიტომ, რომ ხსნას ითხოვდნენ, არამედ ეშინოდათ ცისა. გრებერმა ახალამოთხრილ ძაბრებს ჩაუარა. ისინი ყარდნენ და თოვლზე უფსკრულებივით შავად დაელოთ პირი. ნისლის ქულები უკვე ჩამდგარიყო მათში. ერთი შედარებით პატარა ძაბრი იმ გორაკის მახლობლად ჩანდა, რომელზედაც საფლავები იყო.

— ეგ სამარის მაგივრად შეგვიძლია გამოვიყენოთ, — თქვა შნაიდერმა, — მე შენ გეტყვი, მკვდრები არ გვეყოფა საამისოდ.

გრებერმა თავი გააქნია.

— მერე მიწას სად იშოვი, რომ ზედ დააყარო?

— ნაპირებიდან შეიძლება ჩამოჭრა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ეგ რას უშველის. ეგრე მიწის ზედაპირთან მაინც ვერ გათანაბრდება და ჩაღრმავებული ადგილი დარჩება. ახალი საფლავების გათხრა უფრო იოლია.

შნაიდერმა წითური წვერი მოიქექა.

— აუცილებელია, რომ საფლავი უფრო მაღლა იყოს, ვიდრე მიწის ზედაპირი?

— არა, აუცილებელი არ უნდა იყოს, მაგრამ ასეა მიღებული.

მათ გზა განაგრძეს. გრებერმა დაინახა, რომ რაიკეს საფლავზე ჯვარი აღარ იდგა. ეტყობა, აფეთქებებმა სადღაც გადაისროლეს ღამის წყვდიადში.

შნაიდერი გაჩერდა და ყური დაუგდო.

— აი, ესეც შენი შვებულება, — თქვა მან.

ორივე სმენად იქცა. ფრონტი უეცრად გამოცოცხლდა. ჰორიზონტზე გამანათებელი რაკეტები გაუშვეს. საარტილერიო ცეცხლი გაძლიერდა და თანაბარზომიერი გახდა. გაისმა ნაღმების აფეთქების ხმა.

— გრიგალისებური ცეცხლია, — თქვა შნაიდერმა, — მაშასადამე, ისევ ბრძოლაში შევყავართ. შენს შვებულებას წირვა გამოუვიდა!

— ჰო...

ისევ მიაპყრეს ყური. შნაიდერი მართალი იყო. ის, რაც მათ ესმოდათ, ადგილობრივი ხასიათის შეტევას არ ჰგავდა. ეს იყო ფრონტის არამდგრად უბანზე დაწყებული გაძლიერებული საარტილერიო მომზადება. დილით ადრე ალბათ საყოველთაო შეტევა დაიწყება. ღამით ჩამოწოლილი ნისლი სულ უფრო და უფრო გაუმჭვირვალე ხდებოდა, რუსები ალბათ წინსვლის დროს ნისლს ამოეფარებიან, როგორც ორი კვირის წინათ, როცა ასეულმა ორმოცდაორი კაცი დაკარგა.

შვებულება პატრონს ჩაჰბარდა. გრებერს ხეირიანად არასოდეს სჯეროდა და ამიტომ მშობლებსაც კი არ მისწერა, შეიძლება შვებულება მომცენო. იგი მხოლოდ ორჯერ იყო შინ მას შემდეგ, რაც ჯარში გაიწვიეს. უკანასკნელად ყოფნის შემდეგ იმდენმა ხანმა განვლო, თითქოს არც ყოფილიყოს, — თითქმის ორმა წელიწადმა. თუ ოცმა?.. აჰ, განა ეს ყველაფერი სულერთი არ იყო? გულგაცრუებასაც კი არ გრძნობდა, მხოლოდ სიცარიელე ედგა სულში.

— საით კენ გინდა წახვიდე? — ჰკითხა მან შნაიდერს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— სულერთია. მარჯვნივ წავიდე?

— კარგი. მაშინ მე მარცხნიდან მოვუვლი.

ნისლი სულ უფრო და უფრო დაბლა იწევდა და სწრაფად ძლიერდებოდა. მრუმე ფერის რძის წვნიანს წააგავდა, რომელშიაც ადამიანები დააბიჯებდნენ: იგი მათ ყელამდე სწვდებოდა, ზღვასავით ბორგავდა და ცივად თუხთუხებდა. შნაიდერის თავი მარჯვნივ გაცურდა მის ზედაპირზე, გრებერი კი მარცხნივ გაემართა და ფართო რკალი შემოხაზა სოფლის ირგვლივ. დროდადრო შიგ ჩაიყურყუმელავებდა ხოლმე, შემდეგ ისევ თავს ამოყოფდა და ამ რძისფერი ბურუსის ნაპირას სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

მან არ იცოდა, თუ რამდენ ხანს იარა ასე, რომ რამდენიმე ცალკეული გასროლის ხმა გაიგონა. „ეს შნაიდერია, — გაიფიქრა, — ალბათ გული უნდა გაიმაგროს“. შემდეგ ისევ რამდენჯერმე მოესმა სროლის ხმა და შეძახილებიც. წინ წაიხარა, ნისლის საფარში ჩაიძირა და ასე ელოდა თოფმომარჯვებული. ძახილის ხმები მოახლოვდა. ვიღაცამ მისი სახელი დაიყვირა. მან უპასუხა.

— სადა ხარ?

— აქა ვარ!

გრებერმა წამით ამოყო თავი ნისლიდან და სიფრთხილისთვის ერთი ნაბიჯით განზე გახტა. არავის უსვრია. ხმა ახლა ძალიან ახლოდან გაიგონა, მაგრამ ნისლსა და სიბნელეში მანძილის განსაზღვრა ერთობ ძნელი იყო. შემდეგ შტაინბრენერი დაინახა.

— არამზადები! შნაიდერს მიჰპარვიან და მოუკლავთ. თავში აქვს მორტყმული!

ეს პარტიზანები იყვნენ, ნისლში მოპარულან. შნაიდერის წითური წვერი, ეტყობა, მშვენიერი სამიზნე აღმოჩნდა. ალბათ მოელოდნენ, რომ ასეულს მძინარეს მოასწრებდნენ, ნანგრევების გაწმენდაზე ჩატარებულმა სამუშაოებმა შეუშალათ ხელი; მაგრამ შნაიდერი კი მაინც იმსხვერპლა.

— ყაჩაღები! ჩვენ არ შეგვიძლია, ამ წყეულ ბურუსში გამოვედევნოთ მათ! — შტაინბრენერს ნისლისგან სახე დასველებოდა. თვალებიდან ნაპერწკლებს აკვესებდა, — ჩვენ ახლა წყვილ-წყვილად უნდა ვიაროთ ყარაულში, — თქვა მან, — რაეს ბრძანებაა. და თანაც შორს არ უნდა წავიდეთ.

— კარგი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ერთმანეთთან ისე ახლოს ეჭირათ თავი, რომ ერთიმეორეს კიდევ არჩევდნენ. შტაინბრენერი ყურადღებით აცეცებდა თვალებს ნისლში და ფრთხილად მიიპარებოდა წინ. იგი კარგი ჯარისკაცი იყო.

— ნეტავი ერთი მაინც ჩამაგდებინა ხელში, — ჩურჩულებდა იგი, — მე ვიცი, რასაც ვუზამდი ასეთ ნისლში. ჯერ ჩვარი დრუნჩში, რათა ირგვლივ ვერავინ გაიგოს რამე, შემდეგ ხელ-ფეხის გაკოჭვა და მიდი და მიდი! შენ არც კი დაიჯერებ, თუ როგორ შეიძლება კაცს თვალი გადმოაკარკვლინო, მაგრამ ისე, რომ მთლად მაინც არ ამოუვარდეს ბუდიდან, — და შტაინბრენერმა ხელებით ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს ნელ-ნელა ჭყლეტდა რაღაცას.

— არა, რატომ, მე მჯერა, — თქვა გრებერმა.

„შნაიდერი, — ფიქრობდა იგი, — მარჯვენა მხარის ნაცვლად მარცხნივ რომ წასულიყო, ისინი მე მიმასაკლავებდნენ“.

ამ აზრს მასში რაიმე განსაკუთრებული გრძნობა არ აღუძრავს. მსგავსი რამ უკვე არაერთგზის გადახდომია. ჯარისკაცის სიცოცხლე შემთხვევაზე იყო დამოკიდებული.

ისინი ეძებდნენ, ვიდრე გამოცვლიდნენ, მაგრამ ვერავინ იპოვეს. არტილერიის ცეცხლმა უკან გადაინაცვლა. უკვე გათენდა. შეტევა დაიწყო.

— დაიწყო უკვე, — თქვა შტაინბრენერმა, — ნეტავი ახლა წინა ხაზზე მამყოფა! ასეთი შეტევის დროს ყოველთვის დიდი დანაკლისია და შევსება სჭირდებათ. ორიოდე დღეში შეიძლება უნტეროფიცერიც გავხდე.

— ანდა ტანკმა გაგსრისოს.

— ოჰ, კარგი ერთი! თქვენისთანა ბებრუხანებს ყოველთვის ეგ აფიქრებთ! ამგვარი ფიქრებით შორს ვერ წახვალ. ყველა კი არ კვდება.

— ნამდვილად არა, მაშინ ომებიც აღარ იქნებოდა.

ისევ სარდაფში შეცოცდნენ. გრებერი მიწვა და დაძინება სცადა, მაგრამ ვერ შეძლო. ყურს უგდებდა ფრონტიდან მომავალ გრუხუნს.

*

ულიმლამო და ნოტიო დღე დადგა. ფრონტი ბობოქრობდა. ბრძოლებში ტანკები მონაწილეობდნენ. სამხრეთით თავდაცვის მოწინავე ხაზი უკვე უკუაგდეს. თვითმფრინავთა გუგუნი ისმოდა. ტაფობში

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ავტოსატრანსპორტო კოლონები მიექანებოდნენ. დაჭრილები უკან მოდიოდნენ. ასეული ბრძოლაში ჩაბმის ბრძანებას ელოდა.

გრუბერი ათ საათზე რაესთან გამოიძახეს. ასეულის მეთაურს ბინა გამოეცვალა და ახლა ქვის სახლის მეორე კუთხეში ცხოვრობდა, რომელიც უენებლად გადარჩენილიყო. მის გვერდით კანცელარია იყო.

რაეს ოთახი პირველ სართულზე მდებარეობდა. სამფეხა სკამი, დიდი დანგრეული ღუმელი, რომელზედაც რამდენიმე საბანი ელაგა, საველე საწოლი და მაგიდა შეადგენდა მთელ მის მოწყობილობას. გატეხილი ფანჯრიდან ყუმბარის მიერ ამოთხრილი ძაბრი მოჩანდა. ფანჯარაზე დამსხვრეული მინები ქაღალდით დაეწებებინათ. ოთახში ციოდა. მაგიდაზე სპირტქურა იდგა ყავადანით.

— თქვენი შვებულებაში გაშვების ბრძანება ხელმოწერილია, — თქვა რაემ და ყავა დაისხა ჭრელ ფინჯანში, რომელსაც სახელური არ ჰქონდა, — უარი არ გეთქვათ, გიკვირთ განა?

— დიახ, ჰერ ლეიტენანტო!

— მეც მიკვირს! შვებულების მოწმობა კანცელარიაშია. აიღეთ და დაუყოვნებლივ გაემგზავრეთ. იქნებ რომელიმე მანქანამ წაგიყვანოთ, თორემ ყოველ წამს მოველი, რომ შვებულებები გაუქმდება. ხოლო თუკი წასვლას მოასწრებთ, მაშინ აბა რაღა იქნება, გასაგებია?

— დიახ, ჰერ ლეიტენანტო!

რაეს თითქოს კიდევ რაღაცის თქმა სურდა, მაგრამ მერე გადაიფიქრა, მაგიდას მოუარა და გრუბერს ხელი გაუწოდა.

— აბა, კარგად იყავით და რაც შეიძლება მალე მოძურწეთ აქედან. თქვენ ხომ უკვე დიდი ხანია შვებულება გეკუთვნით. თქვენ დაიმსახურეთ იგი.

რაე გატრიალდა და ფანჯარასთან მივიდა. ფანჯარა ერთობ დაბალი იყო მისთვის და უნდა მოხრილიყო, რათა გარეთ გაეხედა.

გრუბერი ზურგისკენ შეტრიალდა და სახლის შემოვლით კანცელარიისკენ გაემართა. როდესაც ფანჯარას ჩაუარა, რაეს ორდენებით სავსე მკერდი დაინახა, თავი არ უჩანდა.

კანცელარიის მწერალმა გრუბერს ბეჭედდარტყმული და ხელმოწერილი მოწმობა მიაჩეჩა.

— ძაღლის ბედი გაქვს, — განუცხადა ბუზღუნით, — და მგონი, ცოლიანიც კი არა ხარ, არა?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ჰო, არა ვარ სამაგიეროდ, ეს ჩემი პირველი შვებულებაა ამ ორი წლის განმავლობაში.

— ძალლის ბედი გქონია, — გაიმეორა მწერალმა, — ეხუმრები, შვებულების მიღება ასეთი გახურებული ბრძოლის დროს!

— მე ხომ განგებ არ შემირჩევია ეს დრო.

გრებერმა სარდაფს მიაშურა. მას უკვე აღარ ჰქონდა შვებულების მიღების იმედი და ამის გამო წინასწარ არ შეუკრავს ბარგი. და ან კი რა ჰქონდა შესაკრავი? სწრაფად მოუყარა თავი ორიოდე ნივთს. მათ შორის იყო რუსული მომინანქრებული ხატი, რომელიც დედისთვის სურდა ეჩუქებინა და რომელიც სადღაც გზაში ეპოვა.

*

გრებერმა სანიტარიულ მანქანაზე იშოვა ადგილი. დაჭრილებით გატენილი ავტომობილი თოვლით ამოვსებულ ღრანტეში გადაიჩეხა. სათადარიგო მძღოლი თავისი ადგილიდან გადმოვარდა და მკლავი მოიტეხა. გრებერმა მისი ადგილი დაიკავა.

მანქანა პალოებით აღნიშნულ გზას მისდევდა, რომელიც სოფლიდან გასვლის შემდეგ უკან უხვევდა და სოფელს წინ უვლიდა. გრებერმა ეკლესიის წინ, სოფლის მოედანზე, თავისი ასეული დაინახა მწყობრში ჩამდგარი.

— ეგენი მოწინავე ხაზზე მიდიან, — თქვა მძღოლმა, — ბრძოლაში უნდა ჩაებნენ. კაი დროს ტარებაა, არა? არა, მაინც საიდან აქვთ რუსებს ამდენი არტილერია!

— ჰოო...

— ტანკებიც საკმარისი აქვთ. საიდან ეს ყველაფერი?

— ამერიკიდან... ანდა ციმბირიდან. ამბობენ, რომ მათ იქ ბლომად აქვთ ქარხნები.

გვერდი აუქციეს გზაში გახირულ სატვირთო მანქანას.

— რუსეთი ერთობ დიდია. ერთობ დიდია-მეთქი. აქ კაცს დაღუპვა ელის!..

გრებერმა თავი დაუქნია და წვიმსახვევები გაისწორა. წამით თავი დეზერტირად მოეჩვენა. ასეული შავად ჩანს სოფლის მოედანზე; ის კი საშობლოსკენ მიემგზავრება, მარტოდმარტო. დანარჩენები აქ რჩებიან, ის კი მიემგზავრება. ისინი ფრონტზე მიდიან. „მე დავიმსახურე, — ფიქრობდა იგი, — რაემაც ხომ ასე თქვა. მაგრამ რატომ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვფიქრობ ამას? მე ხომ მხოლოდ იმისი მეშინია, რომ ვინმე დამეწევა და უკან დამაბრუნებს?“

რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ დაჭრილებით დატვირთულ ავტომანქანას წააწყდნენ, რომელიც გვერდზე გადაქანებულიყო და თოვლში ჩაფლული იდგა. გაჩერდნენ და თავიანთი საკაცეები გასინჯეს. ორი კაცი გზაში მომკვდარიყო. გვამები გადმოიღეს და მათ ადგილზე მეორე მანქანიდან სამი დაჭრილი მოათავსეს. გრებერი შველოდა მათ გადმოყვანას. ორი მათგანი ამპუტირებული იყო; მესამე კი სახეში დაეჭრათ და ჯდომა შეეძლო. დარჩენილები ილანძღებოდნენ და ყვიროდნენ. ისინი მწოლიარენი იყვნენ, ხოლო საკაცისთვის მანქანაში ადგილი აღარ იყო. ყველა მათგანს დაჭრილთათვის ჩვეული შიში აწვალებდა: უკანასკნელ მომენტში კიდევ არ წამოსწეოდათ ომი.

— რა გაგიფუჭდათ? — იკითხა მძღოლმა.

— ღერძი გამიტყდა.

— ღერძი გაგიტყდა, თოვლში?!

— ნათქვამია, ვილაცამ ცხვირის ქექვის დროს თითი მოიტეხაო. ნუთუ არ გაგიგონია, შე ლაწირაკო, შენა? — გაცეცხლდა გაჩერებული მანქანის მძღოლი.

— გასაგებია, რასაც ამბობ. ყოველ შემთხვევაში ამაში, მაინც გქონია იღბალი, რომ ზამთარი თითქმის უკვე გასულია, თორემ ეგენი ყველანი გაგეყინებოდნენ.

გზა განაგრძეს. მძღოლი უკან გადაიხარა და საკარძლის ზურგს მიეყრდნო.

— ასეთი რამ მეც შემემთხვა ორი თვის წინათ, — თქვა მან, — მანქანას რალაც მოეშალა გადამცემში და კუს ნაბიჯით მივიწევდით წინ. ხალხი ეგრევე მიმეყინა საკაცეებზე, მაგრამ რას ვიზამდი. როცა როგორც იქნა, ჩავედით, ექვსი მათგანი კიდევ ცოცხალი იყო. ხელ-ფეხი და ცხვირი, რა თქმა უნდა, ყველას მოყინული ჰქონდა. რუსეთში და ისიც ზამთარში, ჭრილობის მიღება ხუმრობა საქმე არ არის, — საღეჭი თამბაქო ამოიღო და ერთი ნაჭერი მოკბიჩა, — ახლა ისინი, ვისაც სიარული შეეძლოთ!.. ისინი ხომ ფეხით მოდიოდნენ! ღამე, სიცივეში! მათ ჩვენი მანქანის ხელში ჩაგდება სურდათ, ებღაუჭებოდნენ კარს, ხტებოდნენ საფეხურებზე, ნაყარი ფუტკარივით გვეხვეოდნენ, და იძულებულნი ვიყავით, ძირს ჩამოგვებერტყა ხოლმე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გრებერმა უგულისყუროდ დაუქნია თავი და უკან გაიხედა. სოფელი უკვე აღარ ჩანდა. ნამქერს ამოფარებოდა. ირგვლივ აღარაფერი ჩანდა, ცისა და ტრიალი მინდვრის გარდა, რომელზედაც ისინი დასავლეთისკენ მიქროდნენ. შუადღე იყო. მზე უნიათოდ აშუქებდა ნაცრისფერ საბურველს მიღმა. თოვლი ოდნავ ბრწყინავდა. და აი, ანაზდეულად რაღაცამ იქუხა გრებერის სულში, რაღაც მცხუნვარემ და თავბრუდამხვევმა, და მან პირველად იგრძნო, რომ გადარჩა, რომ სიკვდილს შორდებოდა. შორს, შორს მიდიოდნენ მისგან. იგი გრძნობდა ამას და მიშტერებოდა ნავალ თოვლს, რომელიც ბორბლებს ქვეშ იკარგებოდა მეტრი მეტრზე; და ეს წინსვლა ნიშნავდა საფრთხისგან თავის დაღწევას, საშშობლოს მოახლოებას და ახალ ცხოვრებას, რომელიც მხსნელი ჰორიზონტის მიღმა კიაფობდა.

მძღოლმა ხელი მოახვედრა, როდესაც სიჩქარე გადართო. გრებერი შეკრთა. ჯიბეები მოიქექა და სიგარეტის კოლოფი ამოიღო.

— აიღე, — შესთავაზა მძღოლს.

— მერსი, — მიუგო შოფერმა, ისე, რომ არც კი მიუხედავს მისკენ, — მე არ ვეწევი, მხოლოდ ვღეჭავ თამბაქოს.

V

ვიწროლიანდაგიან რკინიგზაზე მატარებელი გაჩერდა. პატარა, შენიღბული სადგური მზისგულზე იდგა. ირგვლივ მიმოფანტული რამდენიმე სახლიდან მხოლოდ ნანგრევებილა გადარჩენილიყო; მათ ნაცვლად ორიოდე ბარაკი აეგოთ, რომელთა სახურავები და კედლები დამცველი ფერებით მოეხატათ. ლიანდაგებზე ვაგონები იდგა. მათ რუსი ტყვეები ტვირთავდნენ. რკინიგზის პატარა შტო აქ დიდ მაგისტრალს ერთვოდა.

დაჭრილები ერთ-ერთ ბარაკში გადაიყვანეს. ისინი, ვისაც სიარული შეეძლო, სახელდახელოდ გაკეთებულ მერხებზე ჩამოსხდნენ. მათ შეუერთდათ რამდენიმე შვებულებიანიც, რომლებიც ცდილობდნენ, რაც შეიძლება ნაკლებად თვალში საცემი ყოფილიყვნენ, რადგან ეშინოდათ, რომ შეამჩნევდნენ და უკან გაგზავნიდნენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უმზეო დღე იყო. თოვლზე მჭვარი შუქი ცაცვდა. მორიდან თეთრძვრიანავთა მოტორების გუგუნი ისმოდა. მაგრამ ცოდან არა; აქ სადღაც შენიღბული აეროდრომი უნდა ყოფილიყო. მოგეანებით კი სადგურს თეთრძვრიანავთა ესკადრილიამ გადაუარა და მაღლა ასვლა იწყო იქამდე, ვიდრე ტორიოლების გუნდს არ დაეშვა. გრეტერს რული მოეკიდა. „ტორიოლები. — ფიქრობდა იგი. — ბავშ".

შვებულებიანები ორმა საველე ჟანდარმმა წამოახტუნა.

— თქვენი საბუთები!

ჟანდარმები ჯანმრთელები და ლინიერები ჩანდნენ და ახე გულდაჯერებით იქცეოდნენ. როგორც ადამიანები. რომელთაც არავითარი საფრთხე არ ემუქრებათ. მათი მუნდირები უნაკლო იყო. მათ იარაღს კრიალი გაჰქონდა და თითოეული მათგანი ხულ მცირე, ოცი გირვანქით მეტს იწონიდა. ვიდრე შვებულებიანთაგან რომელიმე.

ჯარისკაცებმა მდუმარედ გაუწოდეს თავიანთი შვებულების მოწმობები. ჟანდარმებმა საფუძლიანად შეეხედნენ ახალი. ვიდრე უკან დაუბრუნებდნენ. და შემდეგ ჯარისკაცის წიგნაკებიც მოსთხოვეს.

— საჭმელს მესამე ბარაკში მიიღებთ, — თქვა ბოლოს მათგან უფროსმა, — და თანაც უნდა გახუფთავდეთ ამა, რას ჰგავხართ! თუ ლირებივით გინდათ საშობლოში ჩახვიდეთ?

შვებულებიანთა რაზმი მესამე ბარაკისკენ გაემართა.

— ხედავ ამ წყეულ მეძებრებს? — ილანძღებოდა ერთი ჯარისკაცი, რომელსაც სახე ჯაგარივით უხეში შავი წვერით ჰქონდა დაფარული, — კისრები დაუსქელებიათ და არხეინად დაამბიჯებენ ზურგში! ისე გვექცევიან, თითქოს ავაზაკები ვიყოთ.

— სტალინგრადთან ეგენი ათობით ხვრეტდნენ. როგორც დეზერტირებს, ისე თავიანთ პოლკს მოწყვეტილ ჯარისკაცებს, — ჩაურთო მეორემ.

— რა, სტალინგრადთან იყავი?

— სტალინგრადთან რომ ვყოფილიყავი, ახლა ხომ აქ არ ვიჯდებოდი. იქ ხომ ალყიდან თავი არავის დაულწევია.

— ყური დამიგდე, — უთხრა მას ერთმა ხანში შესულმა უნტეროფიცერმა, — ფრონტზე, რაც მოგეპრიანება, ყველაფერი შეგიძლია ილაპარაკო. მაგრამ აქ სხვანაირად არის საქმე. ამიერიდან გირჩევნია მაგრად მოკეტო, თუ გინდა, რომ სანანებელი არ გაგიხდეს, გაიგე?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ისინი რიგში ჩამწკრივდნენ თავ-თავიანთი კარდალებით. ერთ საათზე მეტი ალოდინეს, მაგრამ არავინ დაძრულა ადგილიდან. იყინებოდნენ, მაგრამ მაინც იცდიდნენ. ამას შეჩვეული იყვნენ.

ბოლოს თითო ჩამჩა წვნიანი დაუსხეს, რომელშიაც ერთი ციცქნა ხორცი, ბოსტნეული და ორიოდე კარტოფილი დაცურავდა.

ჯარისკაცმა, რომელიც სტალინგრადში არ იყო ნამყოფი, ფრთხილად მიმოიხედა:

— ძალიან გამიკვირდება, თუ ჟანდარმებიც ამასვე თქვლეფენ.

— მეტი დარდი არ გაწუხებს? — უთხრა უნტეროფიცერმა დაცინვით.

გრებერი წვნიანს შეექცეოდა. „თბილი მაინც არის", — ფიქრობდა იგი. შინ მას სხვა საჭმელი ელოდება. დედა ალბათ რამეს მოუმზადებს. შეიძლება ძეხვიც კი შეუწვას ხახვსა და კარტოფილთან ერთად და შემდეგ ვანილიანი საწვბლით შეზავებული ყოლოს პუდინგით გაუმასპინძლდეს.

*

მთელი ღამე მოუხდათ ცდა. საველე ჟანდარმერებმა ორჯერ შეამოწმეს ისინი. დაჭრილები მოდიოდნენ და მოდიოდნენ. ყოველი ახალი პარტიის დანახვაზე სულ უფრო და უფრო მეტად ნერვიულობდნენ შვებულებიანები. ეშინოდათ, რომ აქ დატოვებდნენ. ბოლოს, შუაღამე უკვე გადასული იყო, როდესაც მატარებლის შემადგენლობა ჩამოაყენეს. უფრო აცივდა, ცა კაშკაშა ვარსკვლავებით მოჭედილიყო. ყველა სიძულვილით უყურებდა მათ: ასეთი ამინდი მფრინავებისთვის იყო კარგი. ბუნება, როგორც ასეთი, დიდი ხანია უკვე აღარ არსებობდა მათთვის. იგი კარგი იყო ან ცუდი მხოლოდ ომთან დაკავშირებით: ან თავშესაფარს წარმოადგენდა, ანდა საფრთხე მოჰქონდა.

დაჭრილთა დატვირთვას შეუდგნენ. სამი მათგანი მაშინვე უკან გამოიტანეს, მკვდრები იყვნენ. საკაცეები ეგრევე დარჩა პლატფორმაზე. მკვდრებს საბნები გადააძვრეს. არსად ენთო სინათლე.

შემდეგ მათ მიჰყვნენ დაჭრილები, რომელთაც თავისით შეეძლოთ სიარული. მათ საგულდაგულოდ ამოწმებდნენ. „ჩვენ არ წაგვიყვანენ, — ფიქრობდა გრებერი, — ძალიან ბევრნი არიან. მატარებელში ტევა აღარ არის". იგი უსაზღვრო ღამის წყვდიადში იყურებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გული გამალებით უცემდა. ცაში უჩინრად ზუოდნენ თვითმფრინავები. იცოდა, ეს გერმანული თვითმფრინავები იყო და მაინც ეშინოდა. აქ ბევრად უფრო ეშინოდა, ვიდრე ფრონტზე.

— შვებულებიანები! — დაიძახეს ბოლოს როგორც იქნა.

შვებულებიანთა ჯგუფი წინ გაეშურა. ისევ საველე ჟანდარმერია გადაეღობა მათ. უკანასკნელი გასინჯვის დროს, რომელიც ნასადილევს ჩატარდა, თითოეულმა მათგანმა ტალონი მიიღო და ახლა ეს ტალონები უკან უნდა ჩაებარებინათ. შემდეგ ვაგონში ავიდნენ. რამდენიმე დაჭრილი უკვე იჯდა შიგ. შვებულებიანები ერთმანეთს აწვებოდნენ და ეჯახებოდნენ. ვიღაცამ ბრძანება დაიღრიალა. იძულებულნი გახდნენ, ისევ გარეთ გამოსულიყვნენ და მწყობრში ჩამდგარიყვნენ. შემდეგ ისინი მეორე ვაგონთან მიიყვანეს, რომელშიაც აგრეთვე უკვე ასულიყვნენ დაჭრილები, და ნება დართეს, ჩამსხდარიყვნენ.

გრებერმა შუაში იპოვა ადგილი. ფანჯარასთან დაჯდომა არ სურდა, რადგან იცოდა, თუ რა შეიძლება დააწიონ ნამსხვრევებმა.

მატარებელი არ მიდიოდა. კუპეში ბნელოდა. ყველა ელოდა. გარეთ სიწყნარე ჩამოვარდა, მაგრამ მატარებელი ადგილიდან არ იძვროდა. გამოჩნდა ორი საველე ჟანდარმი, რომელთაც ვიღაც ჯარისკაცი ჩაეყენებინათ შუაში და მიჰყავდათ. ჩაიარა რუსი ტყვეების ჯგუფმა. ისინი საბრძოლო საჭურვლით სავსე ყუთებს მიათრევდნენ. შემდეგ გამოიარეს ესესელებმა, რომელნიც ხმამაღლა ესაუბრებოდნენ ერთმანეთს. მატარებელი კვლავ ადგილიდან არ იძვროდა. ყველაზე ადრე დაჭრილებმა დაიწყეს ლანძღვა. მათ ჰქონდათ ამის უფლება. მათ ახლა უკვე არაფერი შეიძლებოდა დამართნოდათ.

გრებერმა კუპის კედელს მიაყრდნო თავი. დაძინება სცადა, რათა მაშინ გამოეღვიძა, როცა მატარებელი უკვე გზაში იქნებოდა, მაგრამ ვერ შეძლო. ყურს უგდებდა ყოველ ხმაურს, სიბნელეში ხედავდა დანარჩენთა თვალებს. ისინი ბდღვრიალებდნენ თოვლისა და ვარსკვლავების მქრქალ შუქზე, რომელიც გარედან ატანდა. საკმაო სინათლე არ იყო იმისთვის, რომ სახეების გარჩევა ყოფილიყო შესაძლებელი. მხოლოდ თვალები ჩანდა. მთელი კუპე სავსე იყო წყვდიადითა და შეშფოთებული თვალებით, და შიგადაშიგ სახვევების მკვდრული სითეთრეც გაიელვებდა ხოლმე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მატარებელი დაიძრა, მაგრამ მაშინვე ისევ გაჩერდა. ძახილის ხმები მოისმა, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ კარის ჯახუნი. პლატფორმაზე ორი საკაცე დადგეს. „კიდევ ორი მკვდარი, კიდევ ორი ადგილი ცოცხლებისთვის, — გაიფიქრა გრებერმა, — ნეტავი უკანასკნელ მომენტში ახალი პარტია არ მოვიდეს კიდევ და გარეთ არ „გამოგვყარონ!“ ყველანი ამასვე ფიქრობდნენ.

მატარებელი ისევ დაიძრა. პლატფორმა ნელა გასრიალდა მათ გვერდით. საველე ჟანდარმები, ტყვეები, ესესელები, საბრძოლო საჭურვლით სავსე ყუთები... და უეცრად დაბლობი გამოჩნდა. ყველანი წინ წაიხარნენ. მათ ჯერ კიდევ არ სჯეროდათ და ფიქრობდნენ, რომ მატარებელი ისევ გაჩერდებოდა. მაგრამ იგი მისრიალებდა, და ნელ-ნელა უსწორმასწორო რყევა თანაბარზომიერ რიტმში გადაიდა. გამოჩნდა ტანკები და ქვემეხები. აგრეთვე ჯარის ნაწილებიც, რომლებიც თვალს აყოლებდნენ ვაგონებს. გრებერმა თავი ანაზდეულად მეტისმეტად დაღლილად იგრძნო. „შინ მივდივარ, — ფიქრობდა იგი, — შინ! ო, ღმერთო, ჯერ სიხარულს ვერც კი ვბედავ“.

*

დილით თოვდა, მატარებელი რომელიღაც სადგურზე გაჩერდა, რათა დაჭრილთათვის ყავა დაელევინებინათ. სადგურის შენობა პატარა ქალაქის განაპირას მდებარეობდა, რომლისგანაც არცთუ ბევრი რამ გადარჩენილიყო. მკვდრები გადმოტვირთეს. მატარებელი მანევრებს ახდენდა. გრებერს ერზაცყავა[1] უკვე დაელია და თავის კუპეს მიაშურა. პურის მოსატანად მეორედ გადასვლა ველარ გაბედა.

მატარებელში პატრულებმა იწყეს ჩამოვლა, რათა მსუბუქად დაჭრილები გამოეჭირათ. მათ ქალაქის ლაზარეთში გზავნიდნენ. ამ ცნობამ ელვის სისწრაფით დაურბინა ვაგონს, ხელში დაჭრილები დასამალად ტუალეტისკენ გაქანდნენ. იქ ადგილისთვის გაჩაღდა ჩხუბი. გაბოროტებულნი და სასოწარკვეთილნი, ერთნი კარის დახურვას ცდილობდნენ, მაშინ, როდესაც მეორენი მათ გარეთ ითრევდნენ.

---

[1] *ერზაცყავა — აქ: ყავის სუროგატი. ერზაც (გერმ.) — რისამე არასრულფასოვანი შემცვლელი; სუროგატი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მოდიან! — დაიყვირა უცებ გარედან ვილაცამ.

ზედამხედველი გაიყინა. ორნი ტუალეტის დასაჯდომზე აფოფხდნენ და კარი მიკეტეს. ერთი, რომელიც ამ წაწია-გლეჯაში წაქცეულიყო, თავის არტახებდახეულ მკლავს მისჩერებოდა. ვიწრო წითელი ლაქა სულ უფერო და უფერო იზრდებოდა მასზე. ერთმა კიდევ კარი გამოიღო, რომელიც ჩასასვლელის მოპირდაპირე მხარეს გადიოდა, გაჭირვებით ჩაეშვა თოვლის კორიანტელში და გარედან მიეკრა მატარებელს. დანარჩენები ისევ თავ-თავიანთ ადგილებზე ისხდნენ.

— კარი დახურეთ, — თქვა ვილაცამ, — თორემ მაშინვე მიხვდებიან.

გრეგორმა კარი მიხურა. თოვლის კორიანტელში წამით თვალი მოჰკრა მოკუნტული ჯარისკაცის გათეთრებულ სახეს.

— შინ წასვლა მინდა, — თქვა დაჭრილმა, რომლის არტახშიაც სისხლმა გამოჟონა, — ორჯერ ვიყავი უკვე ერთ წყეულ საველე ლაზარეთში და ორჯერვე დაუყოვნებლივ მოწინავეზე გამაგდეს, ისე, რომ გამოჯანმრთელებისთვის საჭირო შვებულება არ მოუციათ. მე საშობლოში წასვლა მინდა.

და იგი მძულვარებით აღსავსე თვალებით მიაჩერდა ჯანმრთელ შვებულებიანებს. არავის უპასუხია მისთვის. დიდი ხანი გავიდა, ვიდრე პატრულები გამოჩნდებოდნენ. ორმა მათგანმა კუპეები ჩამოიარა, დანარჩენები კი გარეთ დარაჯობდნენ იმ დაჭრილებს, რომლებიც უკვე გადმოეყვანათ მატარებლიდან. პატრულთაგან ერთ-ერთი ახალგაზრდა ფერშალი იყო. ზედაპირულად ათვალიერებდა დაჭრილთა საბუთებს.

— გადმოდით, — ამბობდა მეორე გულგრილად და უკვე შემდეგი ჯარისკაცის მოწმობაში იხედებოდა.

ერთ-ერთი დაჭრილი ადგილიდან არ დაძრულა. ეს იყო ჩია ტანის ჭალარა მამაკაცი.

— ჩადი, ბაბუავ, ჩადი, — უთხრა ჟანდარმმა, რომელიც თან ახლდა ფერშალს, — რა, არ გესმის?

ჯარისკაცი ისევ იჯდა. მას მხარი ჰქონდა შეხვეული.

— ჩადი ძირს! — გაიმეორა ჟანდარმმა.

ჯარისკაცი არ განძრეულა. ტუჩები მაგრად მოეკუმა და თვალები ერთი წერტილისთვის მიეპყრო, თითქოს არაფერი ესმოდა. ჟანდარმი წინ გამოეჯგიმა გალაჯული:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— რა, საგანგებოდ უნდა გთხოვო, თუ რა არის. ადექი!

ჯარისკაცს კვლავ თავი ისე ეჭირა, თითქოს არაფერი გაეგონა.

— ადექით! — ახლა უკვე დაუყვირა ჟანდარმმა, — ვერ ხედავთ, რომ უფროსი გელაპარაკებათ? თუ სამხედრო სასამართლო მოგვნატრათ?

— დინჯად, — თქვა ფერშალმა, — სიდინჯე მთავარია ყველა საქმეში.

ფერშალს ვარდისფერი სახე და უწამწამო თვალები ჰქონდა. ტუალეტში ადგილის დასაკავებლად იბრძოდა, — თქვენ დაუყოვნებლივ ხელახლა უნდა შეგიხვიონ ჭრილობა. გადმოდით ვაგონიდან.

— მე... — ის-ის იყო დაიწყო ამ ჯარისკაცმა, მაგრამ შემდეგ დაინახა, რომ მეორე ჟანდარმიც ამოვიდა. მან პირველ ჟანდარმთან ერთად ჭალარა ჯარისკაცს საღ მხარეს ჩაავლო მკლავში ხელები და მოქაჩა. ჯარისკაცმა წვრილ ხმაზე შეჰყვირა, მაგრამ სახეზე კუნთიც არ შესტოკებია. მეორე ჟანდარმმა წელზე მოხვია ხელები და მსუბუქ ფუთასავით გაიტანა კუპედან, რაც სრულიად გულგრილად, ყოველგვარი უხეშობის გარეშე მოიმოქმედა. ჯარისკაცს მეტი აღარ დაუყვირია. იგი გარეთ მდგომ დაჭრილთა გროვაში გაუჩინარდა.

— რა შენ? — ჰკითხა ფერშალმა.

— სამედიცინო სამსახურის კაპიტანო, ჭრილობის შეხვევის შემდეგ მე შემეძლება გამგზავრება? — ჰკითხა ჯარისკაცმა, რომელსაც სისხლი მოსდიოდა.

— ვნახოთ, შემდეგ გამოჩნდება! ჯერ კი ჭრილობა ხელახლა უნდა შეიხვიოთ.

ჯარისკაცი სასომიხდილი სახით ჩავიდა. უმცროს ექიმს სამედიცინო სამსახურის კაპიტანი უწოდა, მაგრამ ვერც ამან უშველა. ჟანდარმმა ტუალეტის კარი მოსინჯა.

— რა თქმა უნდა, — ჩაილაპარაკა დაცინვით, — ახალს ვერაფერს მოიგონებენ. ყველგან ერთი და იგივე მეორდება. გააღეთ! — ბრძანების კილოთი წარმოთქვა შემდეგ, — ჩქარა!

კარი გაიღო. ერთი ჯარისკაცთაგანი გარეთ გამოვიდა.

— მოტყუება გინდოდათ, არა? — შეულრინა ჟანდარმმა, — ვითომ რატომ დაიმალეთ, კუკუმალობანას თამაშობთ?

— ფალარათი მაქვს. მგონი, ტუალეტი ამისთვის არის ვაგონში.

www.PDF-ChiaturaINFO.GE

— ნუთუ? მაინცდამაინც ახლა მოგინდათ, არა? და გსურთ, დაგიჯეროთ?

ჯარისკაცმა ფარაჯა გადაიღელა და მის მკერდზე პირველი ხარისხის რკინის ჯვარი გამოჩნდა. შემდეგ ჟანდარმის მკერდს შეხედა, რომელზედაც არაფერი იყო.

— ჰო, — მიუგო მან წყნარად, — უნდა დამიჯეროთ.

ჟანდარმი გაწითლდა. ფერშალმა დაასწრო:

— გთხოვთ, ჩახვიდეთ, — უთხრა მან ჯარისკაცს, ისე, რომ ზედაც არ შეუხედავს მისთვის.

— თქვენ არ შეგიმოწმებიათ, რა მაქვს მე.

— ამას შეხვეულზე გატყობთ. გთხოვთ, ჩახვიდეთ.

ჯარისკაცმა ოდნავ ჩაიცინა.

— კარგი.

— აქ ჩვენ უკვე მოვრჩით, არა? — ჰკითხა ნერვიულად ფერშალმა ჟანდარმს.

— დიახ, — ჟანდარმმა შვებულებიანებს გახედა. თითოეულ მათგანს ხელში გამზადებული ჰქონდა საბუთები, — დიახ, მოვრჩით, — განაცხადა და ფერშალს ჩაჰყვა ვაგონიდან.

ტუალეტის კარი ჩუმად გაიღო. იქიდან გამოსული ეფრეიტორი ფეხაკრეფით შეეიდა კუპეში. სახეზე ხვითქი გადასდიოდა და ხმის ამოუღებლივ დაეშვა მერხზე.

— წავიდა? — იკითხა ჩურჩულით ცოტა ხნის შემდეგ.

— ჰო, მგონი...

ეფრეიტორი დიდხანს იჯდა მდუმარედ. ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა.

— მე ვილოცებ მისთვის, — თქვა ბოლოს.

ყველამ მას შეხედა.

— რაო? — ჰკითხა ერთ-ერთმა მათგანმა უნდობლად, — ამ საკვლე ჟანდარმერიის ღორისთვის გინდა ილოცო?

— არა, ღორისთვის კი არა, ვინც ჩემთან ერთად იყო ტუალეტში, იმისთვის ვილოცებ. მან მირჩია შიგ დავრჩენილიყავი, მე რამეს მოვახერხებო. რა იქნა იგი?

— ჩაიყვანეს. მართლაც რომ მოახერხა. ისე აადგა ნასუქი ღორი, რომ მან ძებნა შეწყვიტა.

— მე ვილოცებ მისთვის.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ილოცე რამდენიც გინდა, რა მენალვლება!

— აუცილებლად. ჩემი გვარია ლიუტიენსი. აუცილებლად ვილოცებ მისთვის.

— კარგი. მაგრამ ახლა მოკეტე. ხვალ ილოცე. ანდა ყოველ შემთხვევაში, იქამდე მაინც მოითმინე, ვიდრე მატარებელი წავიდოდეს, — უთხრა ვილაცამ.

— მე ვილოცებ. მე უსათუოდ უნდა ჩავიდე შინ. ხოლო თუ იმ ლაზარეთში მოვხვდი, მაშინ ვილა გამიშვებს საშშობლოში. ჩემი გერმანიაში ჩასვლა კი აუცილებელია. ცოლს კიბო აქვს. იგი ოცდათექვსმეტის გახდა ოქტომბერში. უკვე ოთხი თვეა ლოგინადაა ჩავარდნილი.

მან სათითაოდ ყველას შეხედა დამფრთხალი თვალებით. არავის უპასუხია რამე. ყოველგვარ უბედურებას იყვნენ უკვე მიჩვეულნი.

*

ერთი საათის შემდეგ მატარებელმა გზა განაგრძო. ჯარისკაცი, რომელიც მეორე მხარეს გამავალი კარიდან გაძვრა გარეთ, აღარ გამოჩენილა. „ეტყობა, ჩაავლეს“, — ფიქრობდა გრებერი.

შუაღამისას მათთან ერთი უნტეროფიცერი შემოვიდა.

— გაპარსვა არავის გინდათ? — იკითხა მან.

— რაო?

— გაპარსვა-მეთქი. პარიკმახერი ვარ. საკუთარი საპონი მაქვს. ჯერ კიდევ საფრანგეთიდან შემორჩენილი.

— გაპარსვა? გაქანებულ მატარებელში?

— აბა, რა. მე ეს-ეს არის, ოფიცერთა ვაგონში გავპარსე ხალხი.

— მერედა რა ღირს?

— ორმოცდაათი პფენიგი. ნახევარი რაიხსმარკა. იაფია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ჯერ წვერი უნდა შეგკრიჭოთ.

— კარგი, — ვილაცამ წინასწარ ამოიღო ფული, — მაგრამ თუ კანს გამიჭრი, იცოდე, ვერაფერს მიიღებ.

დალაქმა სასაპნე გვერდით დაიდგა და ჯიბიდან მაკრატელი და საკარცხელი ამოიღო. თან ქალალდის დიდი პარკი ჰქონდა, რომელშიც თმას ყრიდა. შემდეგ გასაპვნას შეუდგა. იგი ერთ-ერთ სარკმელთან მუშაობდა. ქაფი ისეთი თეთრი იყო, თითქოს საპნის მაგიერ თოვლს უსვამდა. დალაქი მარჯვე გამოდგა. უკვე სამი კაცი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გაპარსა. დაჭრილებმა უარი უთხრეს. მეოთხე გრებერი დაჯდა. იგი უკვე გაპარსულებს ათვალიერებდა. უცნაური შესახედაობა ჰქონდათ: სახეები ტაროსისგან გაწითლებული და ტალებიანი, ნიკაპები კი თეთრი. ეს ნახევრად ჯარისკაცთა სახეები იყო. გრებერს სამართებლის ფხაჭუნი ესმოდა. გაპარსვამ გაამხიარულა. თითქოს უკვე სამშობლოში იყო. განსაკუთრებით იმიტომ, რომ ჩინით მაღლა მდგომი ემსახურებოდა. ეს ისე მოქმედებდა, თითქოს ყველას უკვე სამოქალაქო ტანსაცმელი სცმოდა. მზე გადასულიყო, როდესაც მატარებელი ისევ გაჩერდა. გარეთ სალაშქრო სამზარეულო იდგა. ისინი გადავიდნენ, რათა სადილი მიეღოთ. ლიუტიენსი მათთან ერთად არ გადასულა. გრებერმა დაინახა, როგორ ნაჩქარევად აცმაცუნებდა იგი ტუჩებს. ამასთან, საღი ხელი ისე ეჭირა, თითქოს მეორე, უხილავ ხელთან ჰქონდა გადაჭდობილი. მარცხენა, შეხვეული ხელი კურტაკის ქვეშ ეკიდა. მათ ოდნავ შემთბარი კომბოსტოს წვნიანი ჩამოურიგეს.

*

საზღვარს საღამოთი მიაღწიეს. მატარებელი დაცალეს. შვებულებიანებს ერთად მოუყარეს თავი და სანჰიგიენის პუნქტში წაიყვანეს. მათ იქ ტანისამოსი ჩააბარეს და ბარაკში შიშვლები ისხდნენ, რომ ტანზე ტილები დახოცოდათ. სადგომში თბილოდა, წყალი და საპონი უხვად იყო. საპონს კარბოლმჟავას მძაფრი სუნი ასდიოდა. მრავალი თვის შემდეგ გრებერი პირველად იჯდა ნამდვილ თბილ ოთახში. ფრონტზე მართალია ზოგჯერ ჰქონდათ ღუმელი, მაგრამ იქ მუდამ მხოლოდ ცალი მხარე უთბებოდა ხოლმე, რომელიც ღუმლისკენ ჰქონდა მიქცეული, მეორე კი ეყინებოდა. აქ მთელ სადგომში თბილოდა. ძლივს გაითბო ბოლოს ძვლები. ძვლებიცა და თავის ქალაც, რომელიც ყველაზე საშინლად გაყინვოდა.

ისხდნენ, ტილებს ეძებდნენ და სრესდნენ. გრებერს თავში არ ჰყავდა მკბენარი. ჯღიბები და ტანისამოსის ტილები თავზე არ გადადიან. ეს — როგორც კანონი, ტილები პატივს სცემენ ერთმანეთის ტერიტორიას და ერთმანეთს არ ეომებიან.

სითბოში რული მოეკიდა გრებერს. იგი ხედავდა ამხანაგების ფერმკრთალ სხეულებს, მოყინულ ადგილებს მათ ფეხებზე და ჭრილობათა წითელ ნაკვალევს. უეცრად თითქოს ჯარისკაცები აღარც

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იყვნენ. მათი მუნდირები სადღაც ორთქლში ეკიდა, ისინი კი, ჩვეულებრივი შიშველი ადამიანები, ისხდნენ აქ და ტილებს ხოცავდნენ. საუბრის თემაც უკვე სულ სხვა იყო: ომის ნაცვლად, საჭმელსა და ქალებზე ლაპარაკობდნენ.

— ჩემს ცოლს ბავშვი ჰყავს, — ამბობდა ერთ-ერთი მათგანი, სახელად ბერნჰარდი.

იგი გრებერის გვერდით იჯდა, ტილები წარბებში დასეოდა და ჰატარა სარკის დახმარებით იჭერდა.

— ორი წელია, რაც შინ არ ვყოფილვარ, ბავშვი კი ოთხი თვისაა. ცოლი მარწმუნებს, თითქოს ბავშვს უკვე თოთხმეტი თვე შეუსრულდა და რომ იგი ვითომ ჩემგან ჰყავს, მაგრამ დედაჩემმა მომწერა, რომ ბავშვი რუსისაგან ეყოლა. თვითონ ცოლმაც სულ ათი თვეა, რაც ამის შესახებ მომწერა. ადრე კი არაფერი მოუწერია. ჰა, რას იტყვით ამაზე?

— ხდება ხოლმე ასეთი რამ, — მიუგო გულგრილად ერთმა მელოტმა კაცმა, — სოფლად ახლა ბევრი ბავშვი ჩნდება სამხედრო ტყვეებისგან.

— არა, მართლა?! კარგი, მაგრამ მე როგორღა უნდა მოვიქცე?

— მე მაგნაირ ქალს პანჩურს ამოვკრავდი, — განაცხადა ვიღაცამ, რომელიც ფეხს ხელახლა იხვევდა, — ეს ღორობაა.

— ღორობა? რატომ არის ვითომ ღორობა? — მელოტმა უარყოფის ნიშნად თან ხელები გაატატანა, — ომიანობის დროს ეს ცოტა სხვანაირად არის, ვიდრე ჩვეულებრივ. ბავშვი ბიჭია თუ გოგო?

— ბიჭი! ცოლი მწერს, ზედგამოჭრილი შენა ხარო...

— თუ ბიჭია, შეგიძლია შეინახო. გამოგადგება. სოფლად დამხმარე ყოველთვის საჭიროა.

— მაგრამ ის ხომ ნახევრად რუსია.

— მერე რა მოხდა? რუსებიც არიელები[1] არიან. სამშობლოს კი ჯარისკაცები სჭირდება.

---

[1] *არიელები — ინდოირანულ ენებზე მოლაპარაკე ტომებისა და ხალხების (ინდოელების, ირანელების) საერთო სახელწოდება. XIX საუკუნიდან მოყოლებული იხმარებოდა საერთოდ ინდოევროპულ ენებზე მოლაპარაკე ხალხების აღსანიშნავად. ფაშისტურ გერმანიაში ამ სიტყვას მიენიჭა ტენდენციური და ანტიმეცნიერული მნიშვნელობა (უძველეს ძეგლებში იმდროინდელი ხალხები, მეზობელი ან დამპყრობელი ხალხებისგან განსხვავებით, თავის თავს უწოდებდნენ არიელებს, რაც ნიშნავს სრულუფლებიან ადამიანებს).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბერნჰარდმა სარკე ძირს დადო.

— ასე უბრალოდ არ წყდება საქმე. შენთვის იოლია ლაპარაკი. შენ ხომ არ მოგსვლია ეს ამბავი.

— იქნებ გერჩივნა, შენი ცოლისთვის რომელიმე ჯიშიანსა და ნასუქ მშობლიურ ბუღას გაეკეთებინა ბავშვი?

— არა, ეგ ნამდვილად არა!

— აი, ხედავ.

— რა, არ შეეძლო, ჩემთვის დაეცადა? — თქვა ბერნჰარდმა ხმადაბლა და დარცხვენით.

მელოტმა მხრები აიჩეჩა.

— ზოგი იცდის და ზოგი არა. არ შეიძლება ყველაფერი მოითხოვო, როდესაც წლობით არ ჩადიხარ შინ!

— შენც ცოლიანი ხარ?

— არა, მადლობა ღმერთს, არა!

— რუსები არ არიან არიელები, — თქვა უცებ თაგვისმაგვარმა კაცმა, რომელსაც წაწვეტებული სახე და პატარა პირი ჰქონდა. იგი აქამდე დუმდა.

ყველამ მას შეხედა.

— გეშლება, — მიუგო მელოტმა, — არიელები არიან! ჩვენ ხომ ხელშეკრულება გვქონდა მათთან.

— ისინი სრულფასოვანი ადამიანები არ არიან, ბოლშევიკურ არაკაცებს წარმოადგენენ და არა არიელებს. ასეა დადგენილი!

— გეშლება! ჰოლანდიელები, ჩეხები და ფრანგები არიან არასრულფასოვანი ადამიანები. რუსებს კი ჩვენ კომუნისტებისგან ვათავისუფლებთ. ისინი არიელები არიან. გარდა კომუნისტებისა, რა თქმა უნდა! შეიძლება არა ისეთი მბრძანებელი არიელები, როგორიც ჩვენ, არამედ უბრალო მუშა არიელები, მაგრამ მათ არ ეშლეტენ.

თაგვი დაიბნა.

— ისინი ყოველთვის არასრულფასოვნებად მიიჩნეოდნენ, — განაცხადა მან, — დანამდვილებით ვიცი. წმინდა წყლის არასრულფასოვნებად.

— ეგ დიდი ხანია უკვე შეიცვალა. ისევე, როგორც იაპონელების შეფასებაც. ახლა ისინიც არიელები არიან; ეს მას შემდეგ, რაც ჩვენი მოკავშირეები გახდნენ ომში, ყვითელი არიელები.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— თქვენ არც ერთი არა ხართ მარიალი, — თქვა ერთმა არაჩვეულებრივად ბანჯგვლიანმა ბანმა, — რუსები არ იყვნენ არასრულფასოვნები, ვიდრე ჩვენთან ხელშეკრულება აქვთდათ საძაგელოდ, ახლა გახდნენ. აი, როგორ არის საქმე.

— მაშ, რა უნდა უყოს ბიჭმა?

— უნდა ჩაბარდეს, — თქვა გამხნევებულმა თაგვმა აქტორიტეტული ტონით, — მოკვდინება ტკიცელგარეშე, სხვა რაღა კიდევ?

— ქალს რაღა უყოს?

— ეს უკვე ხელისუფლების საქმეა, რას მიუსჯის: დადაღვას, თმის გადაპარსვას, საკონცენტრაციო ბანაკს, ცხვს თუ სახრჩობელას.

— ჯერ ხელი არ უხლიათ მისთვის, — თქვა ბერნჰარდმა.

— ალბათ ჯერ კიდევ არ იცვიან.

— არა, იცვიან. დედაჩემმა შეატყობინა.

— მაშინ ალბათ ადგილობრივი ხელისუფლებაც მიწამლულია და მოდუნებული. მაშინ მისი ადგილიც საკონცენტრაციო ბანაკშია, ანდა სახრჩობელაზე.

— ოჰ, კარგი ერთი, ადამიანო! თავი გამანებე! — განუცხადა უეცრად ბერნჰარდმა გაჯავრებით და ზურგი შეაქცია.

— მაინც ალბათ ფრანგი რომ ყოფილიყო, ის აჯობებდა, — თქვა მელოტმა, — ისინი მხოლოდ ნახევრად არასრულფასოვანნი არიან უკანასკნელ გამოკვლევათა მიხედვით.

— ისინი გადაგვარებულ საშუალო რასას წარმოადგენენ, — ბანმა გრებერს შეხედა. გრებერმა მის ვეება სახეზე მსუქანი ღიმილი შენიშნა.

ვილაც ქათმისმკერდიანი ახალგაზრდა, რომელიც ნამგალივით მოხრილი ფეხებით მოუსვენრად დალაჯუნობდა ოთახში, ანაზდად გაჩერდა.

— ჩვენ მბრძანებელთა რასას ვეკუთვნით, — განაცხადა მან, — დანარჩენები კი არასრულფასოვანი ადამიანები არიან, ეს ნათელია. მაგრამ ვინლა არიან ჩვეულებრივი ადამიანები?

მელოტი ჩაფიქრდა.

— შვედები, — თქვა მან შემდეგ, — ანდა შვეიცარიელები.

— ეგენი ველურები არიან, — განაცხადა ბანმა, — ველურები არიან, რა თქმა უნდა!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— თეთრკანიანი ველურები უკვე აღარ არსებობენ, — თქვა თაგვმა.

— ნუთუ?! — ბანმა დაკვირვებით შეხედა მას.

გრებერი ბურანში გაეხვია. მას ესმოდა თუ როგორ დაიწყეს ისევ დანარჩენებმა ქალებზე ლაპარაკი, მაგრამ ამ საკითხში მაინცდამაინც გამოცდილი არ იყო. მის საშობლოში გაბატონებული რასობრივი თეორიები ვერ ეგუებოდნენ მის წარმოდგენებს სიყვარულის შესახებ. მას არ სურდა სიყვარულის გვერდით ეფიქრა იძულებით შერჩევაზე. წინაპართა საგვარეულო ნუსხებსა და შვილოსნობის უნარიანობაზე. ჯარში ყოფნის განმავლობაში მას მხოლოდ ორიოდე მეძავთან თუ ჰქონდა საქმე იმ ქვეყნებში, რომლებშიც იბრძოდა. ისინი ისეთივე პრაქტიკულები იყვნენ, როგორიც გერმანელ ქალიშვილთა კაუშირის წევრები, მაგრამ მეძავთათვის ეს მაინც ხელობას წარმოადგენდა.

*

მათ უკან მიიღეს თავიანთი ნივთები და ჩაიცვეს. ერთბაშად კვლავ რიგით მებრძოლებად, ეფრეიტორებად, ფელდფებელებად და უნტეროფიცრებად იქცნენ. კაცი, რომელსაც რუსი ბავშვი ჰყავდა, უნტეროფიცერი გამოდგა. აგრეთვე ბანიც. თაგვი უმწყობრო ნაწილის ჯარისკაცი იყო. იგი მიიმალა, როდესაც დაინახა, რომ თურმე უნტეროფიცრებს ელაპარაკებოდა. გრებერი თავის მუნდირს ათვალიერებდა, რომელიც ჯერ კიდევ თბილი იყო და სიმჟავეთა სუნი ასდიოდა. აჭიმის ბალთებს ქვეშ ტილების მთელი კოლონია აღმოჩნდა, რომელთაც იქ შეეფარებინათ თავი. ისინი გაზს დაეხოცა. გრებერმა ფრჩხილით გადაფხიკა მწერები.

შემდეგ ყველანი ბანაკში წაიყვანეს. ერთმა ოფიცერმა ნაციონალ-სოციალისტური ხელმძღვანელობის სახელით მათ სიტყვით მიმართა. იგი შემაღლებულ ადგილზე იდგა, რომლის უკანაც ფიურერის სურათი ეკიდა, და განუმარტავდა შეკრებილთ, რომ ახლა, როდესაც ისინი საშობლოში მიდიან, დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ. კრინტი არ უნდა დაძრან იმის შესახებ, თუ რამდენი ხანი დაჰყვეს ფრონტზე, არც ჯარის განლაგებაზე, დასახლებულ პუნქტებზე, სამხედრო ნაწილებზე, მათ გადაადგილებასა და ადგილსამყოფელზე. ჯაშუშები ყველგან არიან მოდებული, ამიტომ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყველაფერს დუმილი სჯობია. ვინც ყბედობს, უნდა იცოდეს, რომ მკაცრი სასჯელი მოელის. უსაფუძვლო კრიტიკაც სახელმწიფო ღალატია. ომს ფიურერი აწარმოებს და მან იცის, რასაც აკეთებს. მდგომარეობა ჩინებულია. რუსები ლამის სისხლისგან დაიცალნენ. მათ გაუგონარი დანაკლისი განიცადეს. მზადდება კონტრშეტევა მათ წინააღმდეგ. მომარაგება პირველხარისხოვანია, ჯარის საბრძოლო სულისკვეთება საუცხოო. მაშ ერთხელ კიდევ: რომელიმე ადგილმდებარეობის დასახელება და ჯარების განლაგებაზე ლაპარაკი სახელმწიფო ღალატია, წუწუნიც აგრეთვე.

ოფიცერი ცოტა ხნით გაჩუმდა. შემდეგ სულ სხვა ტონით განაცხადა, რომ ფიურერი, მიუხედავად საშინელი გადატვირთვისა, მაინც ზრუნავს თავის ყოველ ჯარისკაცზე. მან დაადგინა, რომ ყოველმა შვებულებიანმა სამშობლოში საჩუქარი უნდა ჩაიტანოს. ამ მიზნით თითოეულ მათგანს მიეცემა სანოვაგით სავსე პაკეტი, რომელიც მათ თავის ახლობლებს უნდა გადასცენ, როგორც საბუთი იმისა, რომ ჯარისკაცებს ფრონტზე არათუ უჭირთ, არამედ საჩუქრებიც კი შეუძლიათ თან წამოიღონ. ვინც პაკეტს გზაში გახსნის და თვითონ შეჭამს, დაისჯება.

— ამას შეამოწმებენ იმ სადგურზე, სადაც თქვენ გადმოხვალთ. ჰაილ ჰიტლერ! — დაამთავრა ოფიცერმა.

ყველანი სმენაზე იდგნენ. გრებერი მოელოდა, რომ ახლა „გერმანიის სიმღერასა“ და ჰორსტ ვესელის[1] სიმღერას დააქუხებდნენ. მესამე რაიხი[2] მაგარი იყო თავისი სიმღერებით, მაგრამ არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა. ნაცვლად ამისა, გაისმა ბრძანება:

— ვინც რაინის მხარეში მიდის, სამი ნაბიჯი წინ!

რამდენიმე კაცი გამოვიდა.

---

[1] *ვესელი, ჰორსტი (დაბ. 1927 წ.) — გერმანელი კომპოზიტორი. მისი სიმღერები სრულდებოდა მესამე რაიხის ღონისძიებებზე. ჰიმნის „გერმანიის სიმღერის“ შემდეგ აუცილებლად ასრულებდნენ ჰორსტ ვესელის სიმღერას, როგორც სიმბოლოს გერმანიის ერთიანობისა.*

[2] *მესამე რაიხი (გერმ. — მესამე იმპერია) — გერმანიის არაოფიციალური სახელწოდება 1933 წლის 24 მარტიდან 1945 წლის 23 მაისამდე. ასევე გამოიყენება სახელწოდებები „ნაცისტური გერმანია“, „ათასწლეულის რაიხი“. მესამე რაიხმა შეცვალა ვაიმარის რესპუბლიკა მთავრობაში ნაციონალ-სოციალისტების გერმანული მუშათა პარტიის მოსვლის შემდეგ ადოლფ ჰიტლერის მეთაურობით. ჰიტლერი იყო უცველელი რაიხსკანცლერი მესამე რაიხის არსებობის განმავლობაში.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— შვებულება რაინის მხარეში აღკვეთილია, — განაცხადა ოფიცერმა. შემდეგ ყველაზე ახლოს მდგომ შვებულებიანს მიუბრუნდა, — სად გსურთ, გაემგზავროთ ამის მაგიერ?

— კიოლნში.

— ახლა არ გითხარით, რომ რაინის მხარეში აღკვეთილია-მეთქი. სად გსურთ, გაემგზავროთ, ამის მაგიერ?

— კიოლნში, — გაიმეორა უაზროდ ჯარისკაცმა, — მე კიოლნიდან ვარ.

— კიოლნში არ შეიძლება, ნუთუ არ გესმით? სხვა რომელ ქალაქში გსურთ გაემგზავროთ?

— არც ერთ სხვა ქალაქში. კიოლნში ცოლ-შვილი მყავს. ზეინკლად ვმუშაობდი იქ. შვებულების მოწმობაზეც კიოლნი მიწერია.

— ვხედავ ამას, მაგრამ იქ არ შეიძლება, რომ გაემგზავროთ, გაიგებთ, ბოლოს და ბოლოს? კიოლნში ამჟამად არ უშვებენ შვებულებიანებს!

— არ უშვებენ?! — იკითხა ყოფილმა ზეინკალმა, — რატომ?

— შენ ხომ არ შეიშალე? ვინ უნდა სვამდეს აქ კითხვებს? შენ თუ უფროსები?

მათთან რომელიღაც კაპიტანი მივიდა და ოფიცერს რაღაც წასჩურჩულა. მანაც თავი დაუქნია და შემდეგ ბრძანება გასცა:

— ვინც ჰამბურგსა და ელზასში მიდის, ნაბიჯი წინ!

არავინ გამოსულა.

— რაინის მხარეში მიმავალნი ადგილზე დარჩნენ! დანარჩენებმა მარცხნისკენ ნაბიჯით იარ! შეუდექით სამშობლოში წასაღები პაკეტების მილებას!

*

კვლავ სადგურში იდგნენ. ცოტა ხნის შემდეგ რაინის მხარეში მიმავალნიც შემოემატნენ.

— რა მოხდა? — იკითხა ბანმა.

— ვერ ნახე, რაც მოხდა?

— კიოლნში არ გიშვებენ? მაშ, სად აპირებ ახლა?

— როთენბურგში. იქ და მყავს. მაგრამ რა უნდა გავაკეთო როთენბურგში, აზრზე არა ვარ. მე კიოლნში ვცხოვრობ. ნეტავი რა მოხდა კიოლნში, რომ არ მიშვებენ?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ფრთხილად! — უთხრა ერთ-ერთმა შეებულებიანმა და თან ორ ესესელს გადახედა, რომელთაც ჩექმების ჭრაჭუნით გაიარეს გვერდით.

— ფეხებზედაც არ მკიდია ეგენი! რა მინდა როთენბურგში? სად არის ჩემი ოჯახი? აქამდე კიოლნში იყო. ნეტა რა მოხდა იქ?

— იქნებ შენი ოჯახიც როთენბურგშია.

— არა, როთენბურგში არ იქნება. იქ ადგილი არ არის. თანაც ჩემი ცოლი და ჩემი და ერთმანეთს ვერ იტანენ. ნეტა რა მოხდა კიოლნში?

ზეინკალი დანარჩენებს მიაჩერდა. თვალები ცრემლით ავსებოდა. მსხვილი ტუჩები უთრთოდა.

— რატომაა, რომ თქვენ შეგიძლიათ შინ ჩახვიდეთ და მე კი არა? და ისიც ამდენი ხნის შემდეგ! რა მოხდა? რა დაემართათ ჩემს ცოლსა და შვილებს? უფროსს გეორგი ჰქვია. თერთმეტი წლისაა. რაო?

— ყური მიგდე, — უთხრა ბანმა, — შენ აქ ვერაფერს გააწყობ. გაუგზავნე ცოლს დეპეშა, რომ როთენბურგში ჩამოვიდეს. თორემ შეიძლება სულაც ვერ ნახო.

— მერე გზა? ვინ გადაიხდის გზის ფულს? ან სად უნდა ჩამოხტეს?

— თუ შენ კიოლნში არ გიშვებენ, მაშინ შენს ცოლსაც არ გამოუშვებენ იქიდან, — თქვა თაგვმა, — ნაღდად ასე იქნება!

ზეინკალმა პირი დაალო, მაგრამ არაფერი უთქვამს. მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ თქვა:

— რატომ არა?

— ამას უკვე შენ თვითონ უნდა მიხვდე.

ზეინკალმა ირგვლივ მიმოიხედა. ხან ერთს შეხედავდა და ხან მეორეს.

— ნუთუ ყველაფერი დაიღუპა! არა, ეს შეუძლებელია!

— გიხაროდეს, რომ მაშინვე ფრონტზე არ დაგაბრუნეს, — თქვა ბენმა, — ასეც ხომ შეიძლებოდა მომხდარიყო.

გრებერი მდუმარედ უსმენდა. გრძნობდა, რომ აჟრჟოლებდა და რომ სიცივე ატანდა გარედან მასში. ის შეუცნობელი და ჩვეულებისმაგვარი, რაც ამდენი ხანია უჩუმრად დარიალებდა ირგვლივ, ისევ აქ იყო; ის, რასაც მთლიანად ვერასოდეს სწვდომოდა და რაც ხელიდან უსხლტებოდა, მაგრამ ისევ ბრუნდებოდა და დაჟინებით უმზერ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და; ის, რომელსაც ათასმაგი ბუნდოვანი სახე ჰქონდა და ამასთანავე არც ერთი. გრებერი რელსებს მისჩერებოდა. ისინი საშშობლოსკენ მიემართებოდნენ — იმისკენ, რაც მდგრადი იყო, თბილი იყო, რაც იცდიდა; მიემართებოდნენ მშვიდობისკენ — ერთადერთისკენ, რაც კიდევ არსებობდა. და აი, თურმე ის შეუცნობელი გამოსდევნებოდა ფეჯაკრეფით, იგი გრძნობდა მის აყყია სუნთქვას გვერდით, მაგრამ მისი განდევნა არ ძალუძდა.

— შვებულება, — თქვა მწარედ ზეინკალმა, — ესეც ჩემი შვებულება! როგორ მოვიქცე?

დანარჩენებმა შეხედეს, მაგრამ არაფერი უპასუხიათ. თითქოს უეცრად რაღაც ფარული სენი გამოაჩნდა. მას ბრალი მიუძღოდა, მაგრამ თითქოს დაღი ესვა, და დანარჩენებმა ზურგი აქციეს. მათ უხაროდათ, რომ მათაც არ დაემართათ იგივე, მაგრამ მთლიანად არ იყვნენ დარწმუნებულნი, და ამის გამო თავი შორს დაიჭირეს. უბედურება გადამდებია.

მატარებელი ნელა შევიდა გადახურულ სადგურში. იგი გაშავებულიყო და სადგური მთლიანად ჩამოაღამა.

VI

დილით ლანდშაფტი შეიცვალა. იგი კამკამებდა დილის მსუბუქი ნისლის მილმა. გრებერი ახლა ფანჯარასთან იჯდა და სახე მინისთვის მიეყრდნო. ის ხედავდა ხნულებსა და ველებს, რომლებზედაც აქა-იქ ჯერ კიდევ იდო თოვლი, მაგრამ მის ქვეშიდან უკვე ჩანდა სახნისის მიერ გავლებული თანაბარზომიერი შავი კვლები და ღია მწვანე ფერის ხასხასა ჯეჯილი. არსად ხელყუმბარებით ამოთხრილი ძაბრები, არსად ნანგრევები. ირგვლივ ხელისგულივით სწორი, ტრიალი დაბლობი. არსად სანგრები, არსად გამაგრებული საცეცხლე წერტილები. მხოლოდ სანახები.

შემდეგ გამოჩნდა პირველი სოფელი. ეკლესია, რომლის თავზეც ჯვარი ბრჭყვიალებდა. სკოლის შენობა, რომელზედაც ნელა ბრუნავდა ფლუგერი. ლუდხანა, რომლის წინაც რამდენიმე კაცი იდგა. კარლია სახლები; მოჯამაგირე გოგოები ცოცხებით ხელში; ფორა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნი; მზის პირველი სხივი ფანჯრებში, რომელთა მინები საღ-სალამათი იყო; დაუზიანებელი სახურავები; დაუნგრეველი სახლები; ხეები, რომელთაც ყველა ტოტი შერჩენოდათ; ქუჩები, რომლებიც ქუჩებს ჰგავდნენ და ბავშვები, რომლებიც სკოლაში მიდიოდნენ. ბავშვები გრებერს უკვე დიდი ხანია აღარ ენახა. ღრმად ამოისუნთქა. ეს იყო ის, რასაც ელოდა. აი, აქ იყო ეს. ნატვრა აუცხადდა!

— ცოტა სხვანაირად გამოიყურება აქაურობა, არა? — შეეკითხა ერთი უნტეროფიცერი, რომელიც მეზობელ ფანჯარაში იყურებოდა.

— სულ სხვანაირად.

მიწიდან მაღლა ამავალი ჰაერის ჭავლი უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ჰორიზონტზე ტყეები ამოიზიდნენ. თვით შორეული საგნებიც კი კარგად ჩანდნენ. ტელეგრაფის მავთულები მისდევდნენ მატარებელს. ხან მაღლა იწევდნენ, ხან დაბლა ეშვებოდნენ... ეს იყო ნოტების ხაზები დაუსრულებელი, უხმო მელოდიისა. ჩიტუნები ისე წამოიშლებოდნენ ხოლმე მათგან, როგორც სიმღერები. გარეთ სიწყნარე სუფევდა. ფრონტის ბათქაბუთქი მასში ჩაიძირა. თვითმფრინავები აღარსად ჩანდნენ. გრებერს ეჩვენებოდა, თითქოს უკვე რამდენიმე კვირა იყო გზაში. თვით ამხანაგების ხსოვნაც კი გაუფერულდა უეცრად.

— რა დღეა დღეს? — იკითხა მან.

— ხუთშაბათი.

— აჰა, ხუთშაბათი.

— რა თქმა უნდა, გუშინ ოთხშაბათი იყო.

— როგორ ფიქრობ, სადმე ყავას ვერ გამოვიგდებთ?

— ნაღდად. აქ ხომ ყველაფერი ძველებურადაა.

თანამგზავრთაგან ზოგმა პური ამოიღო ზურგჩანთიდან და ხარბად ილუკმებოდა. გრებერი იცდიდა; პური ყავისთვის უნდოდა შეეტანებინა. გაახსენდა დილის საუზმე სახლში, ომამდე. დედა ცისფერ და თეთრუჯრედიან სუფრას გადაუფარებდა ხოლმე მაგიდაზე და ყავასთან ერთად ყოველთვის ჰქონდათ თაფლი, ფუნთუშები და ცხელი რძე. იადონი გალობდა და ზაფხულობით მზე აშუქებდა ფანჯარაზე მდგარ ნემსიწვერებს. ხშირად ხელში გასრესდა ხოლმე ამ ყვავილის მუქმწვანე ფოთოლს, იყნოსავდა მის უცხოსა და მძაფრ სურნელს და უცხო ქვეყნებზე იწყებდა ფიქრს. ახლა უკვე ბლომად ენახა ეს უცხო ქვეყნები, მაგრამ არა ისე, როგორც მაშინ ოცნებობდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კვლავ გარეთ გაიხედა. ანაზდად მხნეობა შეემატა. გარეთ მიწის მუშები იდგნენ და მატარებელს უყურებდნენ. მათ შორის ხილაბანდიანი ქალებიც იყვნენ. უნტეროფიცერმა ფანჯარა ჩამოსწია და ხელი დაუქნია მათ. არავის უპასუხია.

— რახან არ გინდათ, ნუ გინდათ, თქვე გაუთლელებო, — წამოიძახა უნტეროფიცერმა წყენით.

რამდენიმე წუთის შემდეგ მეორე მინდორი გამოჩნდა. აქაც ხალხი იყო და მან ისევ დაუქნია ხელი. ამჯერად ფანჯრიდან მაგრად გადაიხარა, მაგრამ კვლავ არავის უპასუხია ხელის დაქნევაზე, თუმცა ზეზე ამდგარიყვნენ და ისე უყურებდნენ მატარებელს.

— მიდი და იბრძოლე ასეთებისთვის, — განაცხადა უნტეროფიცერმა გაჯავრებით.

— შეიძლება აქ მომუშავე ტყვეები ან უცხოელი მუშები არიან.

— მათ შორის ქალიც ბევრია. მათ მაინც დაექნიათ ხელი.

— იქნებ ისინი რუსები ან ჰოლანდიელები არიან.

— სისულელეა. მათ არ ჰგვანან.

— ჩვენი მატარებელი სანიტარიულია, — თქვა მელოტმა, — ჩვენ ხელს არავინ დაგვიქნევს.

— ხეპრეები არიან, — დაასკვნა უნტეროფიცერმა, — გაუთლელები და გომბიოები, — ერთი აქნევით ასწია ფანჯარა.

— კიოლნში სხვა ხალხია, — თქვა ზეინკალმა.

*

მატარებელი გზას განაგრძობდა. მხოლოდ ერთხელ გაჩერდა ორი საათით რომელიღაც გვირაბში. ვაგონში სინათლე არ იყო და გვირაბშიც უკუნი სიბნელე იდგა. მართალია, შეჩვეულნი იყვნენ მიწის ქვეშ ცხოვრებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ცოტა ხნის შემდეგ გვირაბში სული ეხუთებოდათ.

თამბაქოს ეწეოდნენ. სიგარეტების გავარვარებული წერტილები ისე დარიალებდნენ ზევით-ქვევით, თითქოს ციცინათელები ყოფილიყვნენ.

— ალბათ ორთქლმავალს გაუფუჭდა რამე, — თქვა უნტეროფიცერმა.

ყური დაუგდეს. არც თვითმფრინავთა ხმა ისმოდა, არც აფეთქებისა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— თქვენგან რომელიმე ყოფილა ოდესმე როთენბურგში? — იკითხა კიოლნელმა ზეინკალმა.

— ძველთაძველი ქალაქი უნდა იყოს, — თქვა გრუბერმა.

— ნამყოფი ხარ?

— არა! შენ თვითონ არასოდეს ყოფილხარ?

— არა! აბა, რა მინდოდა იქ?

— ბერლინში უნდა წასულიყავი, — უთხრა თაგვმა, — შვებულება ერთხელ ეძლევა კაცს. ბერლინში კი ბევრი რამეა სანახავი.

— სად მაქვს ბერლინის ფული? სად უნდა ვიცხოვრო იქ? სასტუმროში? მე ჩემი ოჯახი მენატრება.

მატარებელი დაიძრა.

— როგორც იქნა, — თქვა ბანმა, — თორემ უკვე მეგონა, რომ აქ დავიმარხებოდით.

სიბნელეში ნაცრისფრად გამოჟონა სინათლემ, შემდეგ ვერცხლისფერი გახდა და მერე კვლავ იგივე ლანდშაფტი გადაიშალა. იგი უფრო საამურად ეჩვენათ, ეიდრე ოდესმე. ყველანი ფანჯრებს მიაწყდნენ. დღის მიწურული ღვინოსავით ოქროსფრად კამკამებდა. თავისდა უნებურად ყუმბარებით ამოხეთქილ ახალ ძაბრებს ეძებდნენ, მაგრამ ვერც ერთი ვერ იპოვეს.

რამდენიმე სადგურის შემდეგ ბანი ჩავიდა. შემდეგ უნტეროფიცერი და კიდევ ორი სხვა. ერთი საათის შემდეგ გრუბერი უკვე ცნობდა ადგილებს. ჩამოწვა ბინდბუნდი. ხეები მრუმე საბურველში გაეხვივნენ. რომელიმე განსაზღვრულ საგანს კი არ ცნობდა — სახლებს ან სოფლებს, ანდა გორაკთა მწკრივს, არამედ ეს თვითონ ლანდშაფტი იყო, რომელიც უეცრად ამეტყველდა. იგი ყოველი მხრიდან გარს ერტყმოდა გრუბერს, სანეტარო, თავბრუდამხვევი და აღსავსე ძველთაძველი მოგონებებით. მართალია, ეს ლანდშაფტი ჯერ კიდევ არ იყო მკაფიო, მის დეტალებთან რაიმე კონკრეტულ ფაქტებს არ ჰქონდათ კავშირი, იგი სხვა არა იყო რა, თუ არა დაბრუნების წინათგრძნობა და არა თავად დაბრუნება. მაგრამ სწორედ ამის გამო მით უფრო ძლიერ მოქმედებდა. მასში ოცნებათა დაბურული ხეივნები ჩაძირულიყვნენ, რომელთაც ბოლო არ უჩანდათ.

სადგურთა სახელწოდებანი სულ უფრო და უფრო ნაცნობი ხდებოდა. ჩაიქროლეს ადგილებმა, სადაც წინათ ქალაქგარეთ გასეირ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნებებს აწყობდა. მახსოვრობაში უეცრად გაცოცხლდა სურნელი მარწყვის, ნაძვის ფისისა და მზისგულზე გადაშლილი მდელოებისა. კიდევ რამდენიმე წუთი და ქალაქი გამოჩნდა. გრებერმა თავისი ნივთები ზურგჩანთაში ჩაალაგა და ზედ თასმები მოუჭირა, შემდეგ ფეხზე წამოდგა და ელოდა პირველი ქუჩების გამოჩენას.

*

მატარებელი გაჩერდა. პლატფორმაზე ხალხი მორბოდა. გრებერმა გარეთ გაიხედა. ქალაქის სახელი გაიგონა.

— აბა, კარგად იყავი, — უთხრა კიოლნელმა.

— ჯერ არ ჩავსულვარ. სადგური ქალაქის შუაგულშია.

— იქნებ გადმოიტანეს. უკეთესია, იკითხო.

გრებერმა კარი გამოაღო. ბინდბუნდში დაინახა, რომ ვიღაცები მატარებელში სხდებოდნენ.

— ეს ვერდენია? — შეეკითხა მათ.

რამდენიმე კაცმა ახედა, მაგრამ არაფერი უპასუხიათ. ჩქარობდნენ. გრებერი გადმოვიდა. შემდეგ გაიგონა, თუ როგორ იძახდა ვიღაც რკინიგზელი:

— ვერდენია! გადმოდით!

გრებერმა თავის ზურგჩანთას თასმებში ჩაავლო ხელი, ხალხის ნაკადი გაარღვია და რკინიგზელთან მივიდა.

— მატარებელი სადგურამდე არ მიდის?

რკინიგზელმა დაღლილი სახით შეათვალიერა.

— ვერდენში მიდიხართ?

— დიახ.

— მარჯვნივ, პლატფორმის უკან, ავტობუსი დგას. ის წაგიყვანთ.

გრებერი პლატფორმას გაჰყვა, რომელსაც პირველად ხედავდა. იგი ახლად აეგოთ ჯვრაც ნედლი ფიცრებისგან. ავტობუსი იპოვა და მძღოლს შეეკითხა:

— ვერდენში მიდის მანქანა?

— დიახ!

— მატარებელი სადგურში აღარ გაივლის?

— არა!

— რატომ?

— იმიტომ, რომ მხოლოდ აქამდე მოდის.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გრებერმა მძღოლს შეხედა. იცოდა, ამაო იყო კიდევ რამე ეკითხა, რადგან სიმართლეს მაინც არ ეტყოდნენ. ნელა ავიდა ავტობუსში. ერთ კუთხეში კიდევ იყო ადგილი. გარეთ ყველაფერი წყვდიადს მოეცვა. მხოლოდ ჩანდა, როგორ ბზინავდნენ სიბნელეში რელსები, რომლებიც ახალგაყვანილნი უნდა ყოფილიყვნენ და ქალაქის მიმართულებიდან განზე უხვევდნენ. მატარებელს უკვე მოაბეს ახალი ორთქლმავალი. გრებერი კუთხეში მიიყუჟა. „შეიძლება სიფრთხილის გამო გადმოიტანეს სადგური“, — ფიქრობდა იგი უიმედოდ.

ავტობუსი დაიძრა. იგი ძველი და ჯაბახანა იყო და თანაც ცუდ ბენზინზე მუშაობდა. მოტორი თუხთუხებდა. რამდენიმე „მერსედესმა“ გაუსწრო მათ. ერთში არმიელი ოფიცრები ისხდნენ, ორ დანარჩენში კი — ესესელი ოფიცრები. მგზავრებმა მათ თვალი გააყოლეს, მაგრამ არაფერი უთქვამთ. საერთოდ, მთელი გზის მანძილზე თითქმის არავის ამოუღია ხმა. მხოლოდ ბავშვი იცინოდა და თამაშობდა გასასვლელში. ეს იყო პატარა გოგონა, დაახლოებით ორი წლისა. ქერა თმაზე ცისფერი ბაფთა ეკეთა.

გრებერმა პირველი ქუჩები დაინახა. უვნებლად გადარჩენილიყვნენ. შვებით ამოისუნთქა. ავტობუსი კიდევ რამდენიმე წუთს მიგორავდა ჯაყჯაყით და შემდეგ გაჩერდა.

— გადმოდით! ყველანი გადმოდით!

— სად ვართ! — ჰკითხა გრებერმა გვერდით მჯდომ კაცს.

— ბრაშშეშტრასეზე.

— რა, მანქანა ამას იქით აღარ წავა?

— არა!

გვერდით მჯდომი კაცი ჩამოვიდა. გრებერიც უკან მიჰყვა.

— მე შვებულებაში ჩამოვედი, — თქვა მან, — პირველად ამ ორი წლის განმავლობაში, — ვინმესთვის ხომ უნდა ეთქვა ეს.

კაცმა გრებერს შეხედა. შუბლზე ახალი ნაჭრილობევი ეტყობოდა და წინა ორი კბილი აკლდა.

— სად ცხოვრობთ?

— ჰაკენშტრასე, 18.

— ეგ ძველ ქალაქშია?

— მის მიჯნაზე. ლუიზენშტრასეს კუთხეში. იქიდან წმინდა კათარინას ეკლესია ჩანს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— აა, გასაგებია, — და კაცმა ბნელ ცას ახედა, — მაშ, გზა გეცოდინებათ.

— რა თქმა უნდა! ასეთი რამ არ ავიწყდებათ.

— რასაკვირველია, არა! ყოველივე კარგს გისურვებთ.

— გმადლობთ.

გრებერი ბრამშეშტრასეს გაუყვა. სახლებს ათვალიერებდა. არც ერთი არ დანგრეულიყო. უყურებდა ფანჯრებს. არც ერთ მათგანში არ ენთო სინათლე. „ჰო, რა თქმა უნდა, — ფიქრობდა იგი, — საჰაერო თავდასხმებისგან თავდაცვის მიზნით". ბავშვობა იყო, მაგრამ მაინც მოელოდა, რომ ქალაქი განათებული იქნებოდა. თუმცა კი ადრევე უნდა სცოდნოდა, რომ ეს წარმოუდგენელი იყო. სწრაფად მიჰყვებოდა ქუჩას. პურის მაღაზია დაინახა, მაგრამ შიგ პური არ იყო. ვიტრინაზე მინის ლარნაკი იდგა, რომელშიც ქაღალდის რამდენიმე ვარდი ჩაედოთ. შემდეგ საბაყლოს ჩაუარა. ვიტრინა სავსე იყო სხვადასხვა პაკეტით, მაგრამ ცარიელით. მერე სარაჯის[1] საკაჭრო გამოჩნდა. გრებერს გაახსენდა ეს დუქანი. წინათ მის ვიტრინაში ქურანი ცხენის ფიტული იდგა. შიგნით შეიხედა. ცხენი ჯერაც იქ იდგა და მის წინ — ესეც ისევე, როგორც წინათ — შავ-თეთრი ტერიერის ფიტულს თავი ისე აეწია მაღლა, თითქოს ცხენს უყეფდა. წამით შეჩერდა ვიტრინის წინ, რომელიც მიუხედავად ყოველივე იმისა, რაც ბოლო წლებში მოხდა, არ შეცვლილიყო. შემდეგ გზა განაგრძო. ანაზდად თავი სახლში იგრძნო.

— საღამო მშვიდობისა, — უთხრა ვიღაც უცნობს, რომელიც უახლესი კარის წინ იდგა.

— საღამო მშვიდობისა! — მიაძახა გაკვირვებულმა უცნობმაც ცოტა ხნის შემდეგ.

გრებერის ჩექმებს ბრახაბრუხი გაუდიოდა ასფალტზე. მალე გაიძრობს ამ ფლახვებს და თავის მსუბუქ, სამოქალაქო ფეხსაცმელს მოძებნის. ტანს კამკამა ცხელი წყლით დაიბანს და გაქათქათებულ პერანგს ჩაიცვამს. ნაბიჯს აუჩქარა. ქუჩა ფეხქვეშ თითქოს ზევით იწევდა, თითქოს სული ჩასდგომოდა ანდა ელექტრობით დაემუხტათ. შემდეგ უეცრად ბოლის სუნი ეცა.

---

[1] *სარაჯი (არაბ.) — უნაგირისა და ცხენის სხვა აღკაზმულობის მკეთებელი. მეუნაგირე.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

*

გრებერი გაჩერდა. ეს არ იყო საკვამლე მილიდან ამოსული ბოლი; არც კოცონის კვამლი. ეს ტრუსის სუნი იყო. მიიხედ-მოიხედა. სახლები ყველა უვნებლად იდგა. არც სახურავები იყო დაზიანებული. მათ ზეგარდმო ფართოდ გადაშლილიყო მუქლურჯი ცა.

გზა განაგრძო. ქუჩა პატარა მოედანს უერთდებოდა, რომელზედაც სკვერი გაეშენებინათ. ტრუსის სუნი გაძლიერდა. იგი თითქოს ხეების გაშიშვლებულ ტოტებში გახირულიყო. გრებერი ჰაერს ყნოსავდა, მაგრამ ვერასგზით დაედგინა, საიდან მოდიოდა სუნი.

მახლობელ კუთხეში პირველი დანგრეული სახლი დაინახა. გრებერს თითქოს რაღაცამ უბიძგა. ნანგრევების მეტი რა ჰქონდა ნანახი ამ უკანასკნელ წლებში, მაგრამ არასოდეს რაიმე განსაკუთრებული არ განუცდია; ამ ნანგრევების გროვას კი თვალებდაჭყეტილი უყურებდა, თითქოს დანგრეულ შენობას პირველად ხედავდა ცხოვრებაში.

„ერთი სახლი არაფერია, — ფიქრობდა იგი, — ერთადერთი სახლია, მეტი ხომ არა. დანარჩენები ისევ ისე დგანან“. ნაჩქარევად ჩაუარა ნანგრევების გროვას და კიდევ დაყნოსა ჰაერი. ტრუსის სუნი აქედან არ მოდიოდა. ეს სახლი ალბათ უკვე დიდი ხანია დანგრეულიყო. შეიძლება სრულიად შემთხვევითაც, შეიძლება რომელიმე მფრინავმა უკან დაბრუნებისას, სადაც მოხვდა, იქ ჩამოაგდო დავიწყებული ყუმბარა.

გრებერმა ქუჩის სახელწოდება მოძებნა თვალებით. ბრემერშტრასე. ჰაკენშტრასემდე ჯერ კიდევ საკმაო მანძილი იყო, სულ მცირე ნახევარი საათის სავალი მაინც. ნაბიჯს აუჩქარა. ხალხი თითქმის არ ჩანდა. რომელიღაც ჩაბნელებული ჭიშკრის თაღქვეშ პატარა ლურჯი ელექტრონათურები ენთო. მათ ზევიდან შუქფარები ვკეთათ და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ჭიშკრის თაღს ჭლექი სჭირდა.

შემდეგ პირველი დანგრეული კუთხე გამოჩნდა. ამჯერად უკვე რამდენიმე სახლი იყო დანგრეული. მხოლოდ ორიოდე კაპიტალური კედელიღა გადარჩენილიყო. მათი უსწორმასწორო კონტურები შავად აზიდულიყვნენ ჰაერში. შიგადაშიგ კი აქამდე უხილავი ფოლადის დირეკები ჩანდა, რომელნიც ნანგრევებიდან გამოჩრილიყვნენ,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შავი გველებივით დაგრეხილნი. ღორღის ერთი ნაწილი განზე გადაეხვეტათ. ეს ნანგრევებიც ძველი იყო. გრებერმა სულ ახლოს ჩაუარა მათ. ტროტუარზე ავიდა დაყრილ ღორღზე და სიბნელეში კიდევ უფრო ბნელი სილუეტები დაინახა, რომლებიც ისე მოძრაობდნენ, თითქოს ვეებერთელა ხოჭოები დაცოცავენო.

— ეჰეი! — დაიყვირა გრებერმა, — არის მანდ ვინმე?

ბათქაში ჩამოცვივდა. აგურებმა გაიხრაჭუნეს. სილუეტებმა აქეთ-იქით მოცოცხეს. გრებერმა გაშმაგებული სუნთქვა გაიგონა. ყური დაუგდო და შემდეგ მიხვდა, რომ თვითონ სუნთქავდა ასე ხმამაღლა.

ახლა უკვე გარბოდა. ტრუსის სუნი უფრო და უფრო ძლიერდებოდა. გახშირდა ნანგრევებიც. ბოლოს ძველ ქალაქს მიაღწია. ერთ ადგილზე გაშეშდა, გაშტერებული იცქირებოდა და იცქირებოდა. ადრე აქ ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან შემონახული ხის სახლები იყო ჩამწკრივებული — წინწამოწეულ ფრონტონებიანი[1], წვეტიანსახურავებიანი და ფერად-ფერადწარწერებიანი სახლები. ისინი აღარ იდგნენ აქ. მათ ნაცვლად ხედავდა ნახანძრალთა ქაოსს, დანახშირებულ კოჭებს, ხახადაფჩენილ საძირკვლებს, ნამსხვრევების გროვას, ქუჩების ნარჩენებს და ყოველივე ამის ზემოთ მოთეთრო კვამლი ხრჩოლავდა. სახლები ხმელი ნაფოტებივით აპრიალებულიყვნენ.

კვლავ სირბილით განაგრძო გზა. უეცრად თავზარდამცემმა შიშმა აიტანა. გაახსენდა, რომ მისი მშობლების სახლის მახლობლად სპილენძის სატკეცი პატარა ქარხანა იყო. მას ალბათ მიზანში ამოიღებდნენ მოწინააღმდეგის მფრინავები. გრებერი რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გარბოდა ქუჩებში, მხრჩოლავსა და ნოტიო ნანგრევებს შორის. ხან რას ეჯახებოდა და ხან რას, აწყდებოდა ადამიანებს. მიილტვოდა წინ, მიბობღავდა ნანგრევთა გროვებზე და შემდეგ ანაზდად გაჩერდა: გზა დაჰკარგოდა.

ქალაქი, რომელსაც ბავშვობიდანვე იცნობდა, ისე გამოცვლილიყო, რომ აღარ იცოდა, საით წასულიყო. სახლების ფასადებით ორიენტაციას იყო მიჩვეული, მაგრამ ახლა სახლები აღარ იდგნენ

---

[1] *ფრონტონი (ფრანგ.) — (არქიტ.) შენობის ფასადის ზემოთა, ჩვეულებრივ სამკუთხა ნაწილი, რომელიც შემოსაზღვრულია ორმხრივ დაქანებული სახურავითა და კარნიზით.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

აქ. ერთ ქალს რომელმაც გაუბედავად ჩაუარა წინ, შეეკითხა, თუ როგორ შეიძლებოდა ჰაკენშტრასემდე მისულიყო.

— რა თქვი? — ჰკითხა შემკრთალმა ქალმა. იგი ჭუჭყში ამოსვრილიყო და ხელები მკერდზე მიეკრა.

— ჰაკენშტრასემდე როგორ მივიდე-მეთქი.

ქალმა ხელით გაურკვეველი მოძრაობა გააკეთა.

— აგერ იქ... იმ კუთხეში შეუხვევ...

გრებერი ნაჩვენები მიმართულებით წავიდა. ცალ მხარეზე დანახშირებული ხეები ჩამწკრივებულიყვნენ. წვრილი რტოები და კაპები დასწვოდათ, ტანი და თითო-ოროლა მსხვილი ტოტი კი ისევ მაღლა ჰქონდათ გაშვერილი.

გრებერმა ორიენტირება სცადა. აქედან წმინდა კათარინას ეკლესიის სამრეკლო უნდა დაენახა, მაგრამ ვინ იცის, იქნებ ეკლესიაც დანგრეული იყო? უკვე აღარავისთვის უკითხავს რამე. სადღაც საკაცეები დაინახა. ხალხი ნამსხვრევებს თხრიდა ნიჩბებით. ირგვლივ მეხანძრეები ირეოდნენ. ხშირი ბოლი იდგა და იმის იქით წყლის ნაკადის დგაფუნი ისმოდა. სპილენძის სატკეცი ქარხნის თავზე შემზარავი ხანძრის ალი გიზგიზებდა. შემდეგ ჰაკენშტრასეც იპოვა.

VII

ფარნის ბოძზე აბრა ეკეთა. ბოძი გაღუნულიყო და აბრა ახლა ქვევით, ყუმბარით ამოთხრილი ძაბრისკენ მიუთითებდა, რომლის ფსკერზეც კედლის ნარჩენები და რკინის საწოლი ეგდო. ძაბრს შემოუარა და სირბილით განაგრძო გზა. ცოტა მოშორებით დანგრეული სახლი შენიშნა.

— თვრამეტი, — ჩურჩულებდა იგი, — ეს თვრამეტი ნომერი უნდა იყოს! ღმერთო, რა იქნება, თვრამეტი გადარჩენილი იყოს!

შეეშალა. ეს მხოლოდ სახლის ფასადი იდგა და სიბნელეში ისე ჩანდა, თითქოს მთელი სახლი უვნებლად გადარჩაო. როდესაც უფრო ახლოს მივიდა, დაინახა, რომ სახლის მთელი უკანა ნაწილი დამხობილიყო. მაღლა, ფოლადის ნივნივებს შორის გახირული როიალი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეკიდა, სახურავი მოვარდნოდა და კლავიატურა ისე გამოკრთოდა, როგორც კბილებდაკრეჭილი ვეებერთელა პირი, თითქოს უზარმაზარი წინარეისტორიული ცხოველი გააფთრებით იმუქრებოდა ზევიდან. სადარბაზო შესასვლელი ფართოდ იყო გაღებული.

გრებერმა შესასვლელთან მიირბინა.

— თქვენ, ეი! — დაუყვირა ვიღაცამ, — შეჩერდით! მანდ რა გინდათ?

გრებერს არაფერი უპასუხია. უეცრად ველარ გაეხსენებინა, თუ სად უნდა მდგარიყო მისი მშობლიური სახლი. მთელი ეს წლები თვალწინ ედგა იგი, მისი ყოველი ფანჯარა, შესასვლელი, კიბე — მაგრამ ახლა, ამ ღამეს, ყველაფერი ერთმანეთშია არეული. უკვე ისიც კი არ იცოდა, ქუჩის რომელ მხარეზე უნდა ყოფილიყო მისი სახლი.

— ეჰეი, შენ! — დაუყვირა ისევ იმავე ხმამ, — მაინცდამაინც გინდათ, თავზე დაგემხოთ კედელი?

გრებერი სადარბაზო შესასვლელს მისჩერებოდა. შიგნით კიბის დასაწყისი ჩანდა. შემდეგ სახლის ნომერს დაუწყო ძებნა. მას უბნის საჰაერო თავდაცვის კომენდანტი მიუახლოვდა.

— აქ რას აკეთებთ?

— ეს თვრამეტი ნომერია? სად არის თვრამეტი?

— თვრამეტი? — კომენდანტმა მუზარადი შეისწორა, — თვრამეტი სად არის? თქვენ ალბათ გინდათ თქვათ, თუ სად იყო თვრამეტი, არა?

— რას ამბობთ?

— განა გასაგები არ არის? რა, თვალები არა გაქვთ?

— ეს თვრამეტი ნომერი არ არის!

— არ იყო-თქო, ასე თქვით! არ იყო-თქო! სიტყვა „არის“ ალარ არსებობს უკვე. ახლა „იყო“ უნდა იხმარო ყველაფერში!

გრებერმა მას ლაცკანებში[1] ჩაავლო ხელი.

— გამიგონე, — უთხრა გააფთრებით, — აქ იმისათვის კი არ მოვსულვარ, რომ შენი ანგლობა მოვისმინო. სად არის თვრამეტი?

კომენდანტმა დაკვირვებით შეხედა.

— ახლავე ხელი გამიშვით, თორემ სასტვენში ჩავბერავ და პოლიცია აქ გაჩნდება. თქვენ არაფერი გესაქმებათ ტერიტორიაზე, რომელსაც ნანგრევებისგან წმენდენ. თქვენ დაგაპატიმრებენ.

---

[1] *ლაცკანი (გერმ.) — პალტოს, ლაბადის ან პიჯაკის ბორტის გადანაკეცი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მე არ დამაპატიმრებენ. მე ფრონტიდან ვარ ჩამოსული.

— დიდი ამბავი! როგორ ფიქრობთ, აქ ფრონტი არ არის?

გრებერმა ხელი გაუშვა.

— მე თვრამეტ ნომერში ვცხოვრობ, — წარმოთქვა მან, — ჰაკენშტრასეს თვრამეტში. აქ ჩემი მშობლები ცხოვრობენ...

— ამ ქუჩაზე უკვე აღარავინ ცხოვრობს!

— აღარავინ?!

— ჰო, აღარავინ! ჩემზე უკეთ ვინ იცის. მე თვითონაც აქ ვცხოვრობდი, — კომენდანტმა უეცრად კბილები დაკრიჭა, — ვცხოვრობდი! ვცხოვრობდი! — დაიყვირა მან, — ჩვენ აქ ორ კვირაში ექვსი საჰაერო თავდასხმა გვქონდა, დიახ, ფრონტელო ჯარისკაცო, დიახ! თქვენ კი, ჩვენო შეჩვენებულო ძმებო, ზარმაცობდით ფრონტზე! თქვენ საღ-სალამათი და მხიარულნი ხართ, ეს ზედვე გეტყობათ! მაგრამ ჩემი ცოლი? აგერ, იქ არის... — მან იმ სახლზე მიუთითა, რომლის წინაც იდგნენ, — ვინ ამოთხრის მას? არავინ! მკვდარია უკვე! აზრი აღარა აქვს ამოთხრასო, ამბობენ მაშველი რაზმები, სხვაც ბევრია სასწრაფო სამუშაოებიო. ჰო, ნაკელივით ბევრია ოფიციალური ქაღალდები, ბიუროები, ხელისუფლების ორგანოები, რომელთა გადარჩენაც საჭიროა, — მან გამხდარი სახე გრებერს მიუახლოვა, — იცი, რას გეტყვი, ჯარისკაცო? მანამდე კაცმა არაფერი არ იცი, ვიდრე საკუთარ ტყავზე არ გამოცდი, მაგრამ მერე, როდესაც თვითონაც იწვნევ, უკვე გვიანია. ასეა, ჩემო ფრონტელო ჯარისკაცო, ასე! — მან გადააფურთხა, — მაშ, ჩემო მამაცო ფრონტელო ჯარისკაცო, კონკიაჟღარუნასავით რომ დაგიკერებია მკერდზე ორდენები! თვრამეტი ნომერი აგერ იქ, ზევითაა, სწორედ იქ, სადაც ახლა ნანგრევებს თხრიან ნიჩბებით.

გრებერი მოშორდა ამ კაცს. „სწორედ იქ, სადაც ახლა ნანგრევებს თხრიან ნიჩბებით! არა, ეს მართალი არ არის! ახლა გამომელვიძება და თავშესაფარში აღმოვჩნდები, გამომელვიძება რუსული უსახელო სოფლის სარდაფში და ჩემ გვერდით იქნება იმერმანი. გავიგონებ, თუ როგორ ილანძღება იგი, დავინახავ მიუკეს, ზაუერს. ეს ხომ რუსეთია და არა გერმანია, გერმანია უვნებელია და დაცული, იგი...“

მან წამოძახილები გაიგონა და ნიჩბების ჯახაჯუხი, შემდეგ ადამიანებიც დაინახა ნანგრევების გროვებზე. წყალსადენის გამსკდარი

მილიდან წყალი პირდაპირ ქუჩაში მოთქიშინებდა. იგი ოდნავ ციგლიგებდა შუქფარიანი ნათურების სინათლეზე.

ვიღაც კაცთან მიირბინა, რომელიც ბრძანებას იძლეოდა.

— ეს თვრამეტი ნომერია?

— რაა? ახლავე მოუსვით აქედან! აქ რას აკეთებთ?

— ჩემს მშობლებს ვეძებ. თვრამეტ ნომერში ცხოვრობდნენ. სად არიან ისინი?

— აბა, მე საიდან უნდა ვიცოდე? რა, მამა ღმერთი ხომ არა გგონიარ?

— გადარჩნენ?

— სადმე სხვაგან იკითხეთ. ეს ჩვენ არ გვეხება. ჩვენი საქმე გათხრაა მხოლოდ.

— არიან კი აქ ქვეშმოყოლილნი?

— რა თქმა უნდა! თუ გგონიათ, რომ დროის სატარებლად ვართ აქ თავმოყრილნი? — იგი თავის ბრიგადას მიუბრუნდა, — შეწყვიტეთ თხრა! სიწყნარე! ვილმან, დააკაკუნე!

მთხრელები წელში გაიმართნენ. ზოგს სვიტერი ეცვა, ზოგს გაჭუჭყიანებული თეთრი საყელო ეკეთა, ზოგიც მექანიკოსის ძველი სპეცტანსაცმლით იყო, ზოგი კიდევ სამხედრო შარვლითა და სამოქალაქო პიჯაკით. ისინი დასვრილები იყვნენ და სახე ოფლში გახვითქოდათ. ერთ-ერთმა მათგანმა ჩაქუჩით ხელში ჩაიჩოქა ნანგრევებში და ზევით ამოჩრილ მილზე დააკაკუნა.

— სიწყნარე! — დაიყვირა უფროსმა.

სიწყნარე გამეფდა. ჩაქუჩიანმა კაცმა მილს ყური მიადო. ადამიანთა სუნთქვა ისმოდა და ბათქაშის ნამუსრევის ცვენა. შორიდან სანიტარიული და სახანძრო მანქანების სირენების ხმა აღწევდა. ჩაქუჩიანმა კაცმა ისევ დააკაკუნა. შემდეგ წამოდგა:

— ჯერ კიდევ პასუხობენ. უფრო სწრაფად აკაკუნებენ. ეტყობა, ჰაერი დიდხანს არ ეყოფათ.

მან პასუხად რამდენჯერმე სწრაფად დააკაკუნა.

— აბა, მოდით! — დაიყვირა უფროსმა, — განაგრძეთ თხრა! აი, აქ. მარჯვნივ! ჩვენ უნდა შევეცადოთ, როგორმე მილი გავატაროთ ნანგრევებში, რომ ჰაერი ჩაუვიდეთ.

გრუბერი კვლავ მის გვერდით იდგა.

— აქ რა, თავშესაფარია?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— აბა, რა? სხვა რა შეიძლება იყოს? თუ გგონიათ, აქ ვინმე კიდევ შეძლებდა დაკაკუნებას, თავშესაფარში რომ არ იყოს?

გრებერმა ნერწყვი გადაყლაპა.

— მანდ ამ სახლის მცხოვრებლები არიან? უბნის საჰაერო თავდაცვის კომენდანტი ამბობს, რომ აქ უკვე აღარავინ ცხოვრობს.

— ეგ კომენდანტი, ეტყობა, ცოტათი აფრენს, ქვევით ადამიანები არიან. ისინი აკაკუნებენ. ეს საკმარისია ჩვენთვის.

გრებერმა ზურგჩანთა მოიხსნა.

— მე ძალ-ღონე არ მაკლია, შემიძლია ამოთხრაში დაგეხმაროთ, — უფროსს შეხედა, — სხვაგვარად არ შემიძლია. შეიძლება ჩემი მშობლებიც...

— სიამოვნებით! ვილმან, აი, აქ კიდევ ერთი დამხმარე გამოჩნდა. ზედმეტი ნაჯახი არ გაქვთ?

*

პირველად გასრესილი ფეხები გამოჩნდა. ისინი ბოძს მოეტეხა და ზედ დასწოლოდა. კაცი ისევ ცოცხალი იყო და გრძნობაც შერჩენილი ჰქონდა. გრებერი სახეში მიაჩერდა, მაგრამ ნაცნობი არ გამოდგა. ბოძი გადახერხეს და საკაცე მოიტანეს. კაცი არ ყვიროდა. მხოლოდ თვალებს ატრიალებდა ისე, რომ ლამის გადმოსცვენოდა. და ანაზდეულად ისინი გაუთეთრდა...

შესასვლელი გააფართოეს და კიდევ ორი მკვდარი იპოვეს, ორივე მთლად გაბრტყელებული. სახეები სრულიად გადასწორებოდათ: არც ერთი ნაკვთი აღარ იყო მათზე ამოზნექილი. ცხვირი გამქრალიყო, კბილები გაბრტყელებული მარცვლების ორ მწკრივს მოგაგონებდათ, ფუნთუშაში დატანებული ნუშის გულებივით ოდნავ განზე გაფანტულთ და დაბრეცილთ. გრებერი მათკენ დაიხარა. მუქი ფერის თმა დაინახა. მისი მშობლები კი ქერათმიანები იყვნენ. მკვდრები გარეთ გამოიტანეს. გაბრტყელებულნი, უცნაურად ელაგნენ ქუჩაში.

შუქმა იმატა. მთვარე ამოვიდა. ცა ნაზ, თითქმის უფერულ და ერთობ ცივ ლაჟვარდისფრად შეიღება.

— როდის იყო თავდასხმა? — იკითხა გრებერმა, როდესაც იგი შეცვალეს.

— გუშინლამ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გრებერმა ხელებზე დაიხედა. ისინი შავად ჩანდნენ ამ თითქმის ირეალურ შუქზე. სისხლი, რომელიც ხელებიდან სდიოდა, აგრეთვე შავი იყო. არ იცოდა, ეს მისი სისხლი იყო თუ არა. ისიც კი არ იცოდა, რომ შიშველი ხელებით თხრიდა ღორღსა და შუშის ნამსხვრევებს. მუშაობა განაგრძეს. თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე, რადგან ყუმბარათა აფეთქებების შედეგად დაგროვილი მწვავე აირები უწიწკნიდნენ გუგებს. ცრემლებს სახელოებით იწმენდდნენ, მაგრამ მალე ისევ ევსებოდათ თვალები.

— ეი, ჯარისკაცო! — დაუყვირა ვილაცამ უკნიდან.

იგი მიტრიალდა.

— ეს თქვენი ზურგჩანთაა? — შეეკითხა კაცი, რომელიც ბუნდოვნად კრთოდა გრებერის ცრემლით სავსე თვალებში.

— აბა, სად?

— აგერ, ვილაც მიაცუხცუხებს.

გრებერმა მიბრუნება დააპირა.

— ვერ ხედავთ, იპარავს, — თქვა კაცმა და იქით მიუთითა, — თქვენ კიდევ შეგიძლიათ დაიჭიროთ იგი, სწრაფად! აქ მე შეგცვლით.

გრებერს ფიქრის თავი აღარ ჰქონდა. მექანიკურად დაემორჩილა ამ კაცის ხმას და გაშვერილი ხელის მიმართულებით გაქანდა. ქუჩაზე სირბილით დაეშვა. დაინახა, რომ ნანგრევების გროვაზე ვილაც მიბობღავდა და ქურდს წამოეწია, რომელიც ბერიკაცი გამოდგა. იგი ზურგჩანთას მიათრევდა. გრებერმა თასმაზე დააბიჯა ფეხი. ბერიკაცმა ჩანთას ხელი უშვა, მოტრიალდა, ხელები ასწია და წვრილი, გამყინავი ხმით აწკმუვლდა. პირი დიდად და შავად გამოუჩნდა მთვარის შუქზე და თვალები ულაპლაპებდა.

გამოჩნდნენ პატრულები. ისინი ორნი იყვნენ, ესესელები.

— რა მოხდა? — იკითხეს მათ.

— არაფერი, — მიუგო გრებერმა და ჩანთა ზურგზე გადაიკიდა. ბერიკაცი აღარ წკმუოდა. მხოლოდ მალიმალ და ხმამაღლა სუნთქავდა.

— რას აკეთებ აქ? — იკითხა ესესელთაგან ერთ-ერთმა, რომელიც ხანში შესული ობერშარფიურერი იყო, — საბუთები!

— მე ნანგრევების ამოთხრას ვშველი. აგერ იქ, ჩემი მშობლები ცხოვრობდნენ. მე უნდა...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— თქვენი ჯარისკაცის წიგნაკი! — უთხრა ობერშარფიურერმა უფრო მკაცრად.

გრებერი პატრულებს მისჩერებოდა. უაზრო იყო იმაზე დავა, ჰქონდა თუ არა ესესელებს უფლება ჯარისკაცისთვის საბუთები მოეთხოვათ. ისინი ორნი იყვნენ და ორივეს იარაღი ჰქონდა. გრებერმა ჯიბეები მოიქექა და პატრულებს შვებულების მოწმობა გაუწოდა, ხანში შესულმა ესესელმა ჯიბის ფარანი ამოიღო და კითხვას შეუდგა. ქაღალდის ნაჭერი წამით ისე ძლიერ განათდა, თითქოს შიგნიდან იყო გავარვარებული. გრებერი გრძნობდა, როგორ უთრთოდა კუნთები. ბოლოს ფარანი ჩაქრა და ობერშარფიურერმა მოწმობა უკან დაუბრუნა.

— თქვენ ჰაკენშტრასეს თვრამეტ ნომერში ცხოვრობთ?

— დიახ, — მიუგო მოუთმენლობისგან გააფთრებულმა გრებერმა, — აგერ იქ. ჩვენ ახლა სწორედ ამ შენობის ნანგრევებს ვთხრით. მე ჩემს ოჯახს ვეძებ.

— სადა?

— აგერ იქ, სადაც ახლა თხრიან, განა ვერ ხედავთ?

— ეგ თვრამეტი ნომერი არ არის, — თქვა ობერშარფიურერმა.

— რაა?

— ეგ თვრამეტი ნომერი არ არის, ეგ ოცდაორია. თვრამეტი კი აი, ეს არის, — და მან ნანგრევებზე მიუთითა, რომლიდანაც რკინის დირეები ამოჩრილიყვნენ.

— ნამდვილად იცით? — ენის ბორძიკით შეეკითხა გრებერი.

— რასაკვირველია. ახლა ყველაფერი ერთნაირად გამოიყურება, მაგრამ თვრამეტი ნომერი ეს არის, დანამდვილებით ვიცი.

გრებერმა ნანგრევებს შეხედა. ისინი არ ხრჩოლავდნენ.

— ქუჩის ეს მონაკვეთი გუშინ არ დაუბომბავთ, — თქვა ობერშარფიურერმა, — მგონი, გასულ კვირას დაბომბეს.

— ხომ არ იცით.. — გრებერს ხმა ჩაუწყდა, მაგრამ მერე ისევ განაგრძო, — ხომ არ იცით, ვინმე გადაარჩინეს თუ არა?

— ეგ არ ვიცი, მაგრამ ყოველთვის ვინმე მაინც იქნება და გადაარჩენენ ხოლმე. შესაძლოა, თქვენი მშობლები არც იყვნენ იმ დროს შინ. განგაშის გამოცხადებისთანავე მოსახლეობის უმრავლესობა დიდ თავშესაფრებში მიდის.

— სად შემიძლია ეს შევიტყო? ან სად შემიძლია შევიტყო, თუ სად არიან ისინი ამჟამად?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ამ შუალამისას ვერსად. ქალაქის სამმართველოს შენობა დანგრეულია და იქ ძაღლი პატრონს ვერ ცნობს. ხვალ დილით ადრე რაიონის სამმართველოს მიმართეთ. მაინც რა შეგემთხვათ ამ კაცთან?

— არაფერი. როგორ ფიქრობთ, ამ ნანგრევების ქვეშ კიდევ არიან ადამიანები?

— სად გინდა, რომ არ არიან? მაგრამ მკვდრები, რა თქმა უნდა. ჩვენ ყველა მათგანის ამოთხრა რომ მოგვენდომებინა, ასჯერ უფრო მეტი ხალხი დაგვჭირდებოდა. ის წყეული არამზადები ხომ განურჩევლად მთელ ქალაქს უშენენ ყუმბარებს.

ობერშარფიურერი წასასვლელად გატრიალდა.

— აქ აკრძალული ზონაა? — შეეკითხა გრებერი.

— რატომ?

— უბნის საჰაერო თავდაცვის კომენდანტი ირწმუნება ამას.

— ეგ კომენდანტი ჭკუაზე შეცდა. იგი უკვე მოხსნილია. შეგიძლიათ იმდენ ხანს დარჩეთ აქ, რამდენიც მოგესურვებათ. ღამის გასათევ ადგილს ალბათ წითელ ჯვარში იშოვით. აი, იქ, სადაც წინათ სადგური იყო. ეს იმ შემთხვევაში, თუ ბედმა გაგიღიმათ.

*

გრებერი შესასვლელს ეძებდა. ერთ ადგილას ნამსხვრევები გადახვეტილი იყო, მაგრამ კარის მსგავსი რამ არსად ჩანდა, რომლითაც სარდაფში შესვლაც იქნებოდა შესაძლებელი. მაშინ იგი ნანგრევებზე აბობღდა. შუაში კიბის ნაწილი ამოჩრილიყო. საფეხურები და მოაჯირი გადარჩენილიყო, მაგრამ უაზროდ გაშვერილიყო სიცარიელეში. კიბის უკან ნამსხვრევების მთელი ზვინი დახორავებულიყო. ზვინებს შორის წარმოქმნილ ნიშში ხავერდის სავარძელი იდგა — ისე სწორად და საგულდაგულოდ, თითქოს ვიღაცას დიდი სიფრთხილით დაედგა. სახლის უკანა კედელი ბაღის გარდიგარდმო გადაწოლილიყო და სხვა ნანგრევებს ზედ დასწოლოდა. იქიდან რაღაცამ მოძურწა. გრებერს ეგონა, ისევ ის ბერიკაციაო, მაგრამ შემდეგ შენიშნა, რომ კატა იყო. ანგარიშმიუცემლად ქვას დასწვდა და ესროლა. ანაზდად თავში უმართებულო აზრმა გაუელვა, თითქოს კატა გვამებს ჭამდა. სწრაფად გადაძვრა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მეორე მხარეს. ახლა კი დარწმუნდა, რომ ეს ნამდვილად მშობლების სახლი იყო. ბაღში ერთი პატარა კუნჭული უვნებლად გადარჩენილიყო. ხის ფანჩატური თავის ადგილზე იყო, შიგ მერხი იდგა, ხოლო უკან კი ყუმბარებისგან გადასხეპილი ცაცხვი აღმართულიყო. ფრთხილად შეავლო ხელი ხის ტანს და ქერქში ჩაჭდეული ასოები იპოვა, რომელნიც თვითონ ამოჭრა მრავალი წლის წინათ. მობრუნდა და მიმოიხედა. მთვარე ჩამონგრეულ კედელს ზევით ამოსულიყო და ნანგრევებს დაჰნათოდა. ირგვლივ კრატერებით მოფენილი ლანდშაფტი გადაშლილიყო, უდაბური და უჩვეულო, — ისეთი, როგორიც შეიძლება გეზმანოს, მაგრამ სინამდვილეში არ არსებობს. გრებერს დაავიწყდა, რომ ბოლო წლებში ამის გარდა თითქმის არაფერი ენახა.

უკანა შესასვლელები ღრმად დამარხულნი ჩანდნენ. გრეჭერმა ყური მიუგდო. ერთ-ერთ რკინის დირეზე დააკაკუნა, შემდეგ გაირინდა და ისევ ყური დაუგდო. უეცრად მოეჩვენა, რომ ვილაცის კვნესა გაიგონა. „ალბათ ქარი იყო, — გაიფიქრა მან, — მაშ, სხვა რა უნდა ყოფილიყო ქარის მეტი?“ შემდეგ კვლავ გაიგონა იგივე ბგერები. იგი კიბის მიმართულებით გაქანდა. წინ კატა გადმოხტა საფეხურებიდან, სადაც წელან თავი შეეფარებინა. გრებერი ისევ სმენად გადაიქცა და თან გრძნობდა, როგორ უთრთოდა სხეული. და შემდეგ, ანაზდეულად, სავსებით უტყუარი გახდა მისთვის, რომ მისი შშობლები ამ ნანგრევების ქვეშ იწვნენ, რომ ისინი ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ და, უკუნეთ სიბნელეში დამარხულნი, სასოწარკვეთით ფხაჭნიდნენ მიწას გადაყვლეფილი ხელებით, შესაბრალისად მოთქვამდნენ და ეძახდნენ მას...

გაშმაგებით შეუდგა აგურებისა და სხვა წვრილი ნამსხვრევების განზე გადაყრას, შემდეგ გონს მოვიდა და უკან გაქანდა. წაიქცა, მუხლები გადაიყვლიფა, ქვევით, ქუჩამდე ბათქაშსა და აგურებზე ჩასრიალდა და იმ სახლის ნანგრევებისკენ გაიქცა, რომელთა გათხრაშიც მონაწილეობდა.

— წამოდით! ეს თვრამეტი ნომერი არ არის. თვრამეტი ნომერი იქითაა! დამეხმარეთ ამოთხრაში!

— რაა? — შეეკითხა უფროსი და წელში გაიმართა.

— ეს თვრამეტი ნომერი არ არის! ჩემი შშობლები იქ არიან...

— სად?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— აგერ იქ! სწრაფად!

უფროსმა ნაჩვენები მიმართულებით გაიხედა.

— ეგ ძველი ნანგრევებია, — თქვა შემდეგ რაც შეეძლო მეტი მზრუნველობითა და სინაზით, — ახლა უკვე ერთობ გვიანაა, ჯარისკაცო. ჩვენ აქ უნდა განვაგრძოთ...

გრებერმა მხრებიდან მოიძრო ზურგჩანთა.

— იქ ჩემი მშობლები არიან! აჰა, ჩემი ნივთები, საჭმელი. მე ფულიც მაქვს...

უფროსმა დაწითლებული და ცრემლებით სავსე თვალები მიაპყრო.

— და ამის გამო, ვინც აქ არის დატანებული, ისინი მივატოვოთ, არა?

— არა... მაგრამ...

— ჰოდა, აქ ცოცხლები არიან კიდევ...

— იქნებ თქვენ უფრო მოგვიანებით...

— მოგვიანებით! ვერ ხედავთ, რომ მთხრელები ლამის წაიქცნენ დაღლილობისგან?

— მე მთელი ღამე ვიმუშავე თქვენთან და თქვენ არ შეიძლება, რომ მე...

— გონება მოიკრიბეთ! — გააწყვეტინა უეცრად გაჯავრებულმა უფროსმა, — იქ ამოთხრას აზრი აღარ აქვს. ნუთუ არ გესმით? თქვენ ისიც კი არ იცით, იქ ვინმე არის დატანებული თუ არა. ალბათ არა, თორემ ჩვენ ამის შესახებ რამეს გავიგებდით. ჰოდა, ახლა მოგვასვენეთ, თუ შეიძლება!

იგი წერაქვს დასწვდა. გრებერი ადგილიდან არ დაძრულა. უყურებდა მომუშავეთა ზურგებს. ხედავდა საკაცეებს და ორ სანიტარს, რომელნიც ის-ის იყო, მოვიდნენ. წყალსადენის გამსკდარი მილიდან მომდინარე წყალს ქუჩა ლამის წაელეკა. გრებერი გრძნობდა, რომ სასოების ნასახიც კი წაერთვა. წამით გაიფიქრა, ისევ ამოთხრაში დავეხმარებიო, მაგრამ არც ეს შეეძლო უკვე. ფეხების ფრატუნით დაუბრუნდა იმას, რაც ერთ დროს სახლი ნომერი თვრამეტი იყო.

ნანგრევებს შეხედა. შემდეგ ერთხელ კიდევ დაიწყო ნამსხვრევების აქეთ-იქით გადაყრა, მაგრამ მალე მიანება თავი. ვერაფერს გააწყობდა. მას შემდეგ, რაც წვრილ-წვრილი ნამსხვრევებისგან გაათავი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სუფლა ერთ-ერთი მონაკვეთი, რკინის დირეები, ბეტონი და თლილი ლოდები გამოჩნდა. სახლი მკვიდრად იყო ნაგები და ეს ახლა ნანგრევებს თითქმის მიუვალს ხდიდა. „იქნებ მშობლებმა მართლაც მოასწრეს გაქცევა, — გაიფიქრა გრებერმა, — იქნებ ევაკუირებული არიან და ახლა სამხრეთ გერმანიის რომელიმე სოფელში ან როთენბურგში იმყოფებიან? იქნებ ახლა სადმე მყუდროდ სძინავთ საწოლებში? დედა... მე ყველაფერი წამერთვა. აღარც თავი გამაჩნია და აღარც კუჭი“.

კიბის გვერდით ჩამოჯდა. „ნამდვილი იაკობის კიბეა, — გაიფიქრა მან, — ჰო, რა კიბე იყო? მგონი, ცამდე იყო აწვდილი და ზედ ანგელოზები ადიოდნენ და ჩამოდიოდნენ. ახლა სად არიან ის ანგელოზები? ისინი თვითმფრინავებად გადაიქცნენ. სად არის ეს ყოველივე? სად არის დედამიწა? ნუთუ იგი მხოლოდ იმიტომლა არსებობს, რომ შიგ სამარეები გათხარონ? მეც გამითხრია სამარე, — ფიქრობდა იგი, — მრავალი სამარე. ახლა აქ რას ვაკეთებ? რატომ არავინ მეხმარება? მე ათასობით ნანგრევი მინახავს, მაგრამ ნამდვილად კი არც ერთი. მხოლოდ დღეს. მხოლოდ ეს. ეს სულ სხვაგვარია, ვიდრე ყველა დანარჩენი. რატომ მე არ ვწევარ მათ ქვეშ? მე უნდა ვწოლილიყავი მათ ქვეშ“.

სიწყნარე ჩამოდგა. უკანასკნელი საკაცეებიც წაიღეს. ნამგალა მთვარე უფრო მაღლა ამოვიდა. ულმობლად აშუქებდა ქალაქს. კატა ისევ გამოჩნდა. დიდხანს უთვალთვალებდა გრებერს. თვალები მწვანედ უკიაფებდნენ ღამეულ შუქზე. შემდეგ ფრთხილად მიუახლოვდა, უხმაუროდ შემოუარა რამდენჯერმე ირგვლივ, მერე მივიდა, ფეხებზე გაეხახუნა, ზურგი მაღლა აზნიქა და კრუტუნი დაიწყო. ბოლოს გვერდით მიუხოხდა და დაწვა. მაგრამ გრებერს ეს უკვე აღარ შეუნიშნავს.

VIII

მზიანი დილა გათენდა. გრებერი ერთხანს ვერც კი მიხვდა, სად იმყოფებოდა, იმდენად მიჩვეული იყო ნანგრევებში ძილს. მაგრამ შემდეგ ყველაფერი ერთად გაახსენდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კიბეს მიეყუდა და ფიქრი სცადა. კატა მისგან ოდნავ მოშორებით იჯდა, ნახევრად ნანგრევებით დაფარული აბაზანის ქვეშ და არხეინად იბანდა პირს. ნგრევასთან მას არაფერი ესაქმებოდა.

გრებერმა საათზე დაიხედა. რაიონის სამმართველოში წასვლა ჯერ კიდევ ადრე იყო. ნელა წამოდგა, სახსრები გაშეშებული ჰქონდა, ხელები — გასისხლიანებული და ჭუჭყიანი. აბაზანაში მცირეოდენი ანკარა წყალი აღმოჩნდა — ეტყობა, ხანძრის ჩაქრობის დროიდან ჩარჩა შიგ, ანდა წვიმის წყალი თუ იყო. წყალში თავისი სახე დაინახა. გრებერს იგი უცხოდ მოეჩვენა. ზურგჩანთიდან საპნის ნაჭერი ამოიღო და დაბანა დაიწყო. წყალი გაშავდა, ხოლო ხელებიდან სისხლი წამოუვიდა. გრებერმა ისინი შზეს მიუშვირა გასაშრობად. შემდეგ ზედ დაიხედა. შარვალი გახეოდა, მუნდირი გასჭუჭყიანებოდა, სველი ხელსახოცით დაუწყო აქა-იქ წმენდა. სხვა არაფერი შეეძლო.

ზურგჩანთაში პური ჰქონდა. საველე მათარაში კიდევ დარჩენოდა ყავა. ყავის სმა დაიწყო და თან პურს ატანდა. უეცრად იგრძნო, რომ ძალზე მოშივებოდა. ყელი ისე ჩახრინწოდა, თითქოს მთელი ღამის განმავლობაში ეყვიროს. კატა მასთან მივიდა. გრებერმა პური მოუტეხა და გაუწოდა. კატამ ფრთხილად გამოართვა პურის ნატეხი, განზე წაიღო და იქ დასკუპდა მის შესაჭმელად, თან გრებერს არ აცილებდა თვალს. კატა შავი იყო, მხოლოდ ცალ თათზე ჰქონდა თეთრი ბეწვი. ნანგრევებს შორის შუშის ნამსხვრევები ბრჭყვიალებდნენ მზეზე. გრებერმა ხელი დაავლო თავის ზურგჩანთას და ქუჩაში ჩაბობღდა.

ქვევით გაჩერდა და მიიხედ-მოიხედა. ქალაქის სილუეტი ველარ იცნო. ყველგან ჩანაქცევები ჩანდა, როგორც კბილებჩამტვრეულ ყბაში. ტაძრის მწვანე გუმბათი სადღაც გამქრალიყო. წმინდა კათარინას ეკლესია ჩამონგრეულიყო. ირგვლივ სახურავთა მწკრივები ქეციანებივით იყვნენ გაქუცულნი და დაღრღნილნი, თითქოს გიგანტურ წინარეისტორიულ მწერებს ვეება ჭიანჭველების ბუდე აეოხრებინათ. ჰაკენშტრასეზე მხოლოდ ორიოდე სახლი იდგა. ქალაქი უკვე არაფრით ჰგავდა იმ სამშობლოს, რომლის ნახვასაც გრებერი მოელოდა, და ისეთი შესახედაობა ჰქონდა, თითქოს რუსეთის რომელიმე კუთხე ყოფილიყო.

გაიღო კარი იმ სახლისა, რომლისგანაც მხოლოდ ფასადი გადარჩენილიყო, და იქიდან წინაღამინდელი უბნის კომენდანტი გამოვიდა. და ვინაიდან იგი, ვითომც აქ არაფერიაო, ისე გამოვიდა უკვე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

არარსებული სახლიდან, ეს სურათი მოჩვენებასავით მოქმედებდა. მან ხელი დაუქნია გრებერს. გრებერმა ერთ წამს დააყოვნა. ობერშარფიურერის ნათქვამი გაახსენდა, კომენდანტი შეშლილიაო. შემდეგ, ამისდა მიუხედავად, მისკენ გაემართა.

— რას აკეთებ აქ? — შეეკითხა იგი მკვახედ, — ძარცვავთ? არ იცით, რომ აკრძალულია...

— თავი ანებეთ მაგ უაზრო ლაპარაკს! — უთხრა გრებერმა, — უმჯობესია მითხრათ, თუ რამე იცით ჩემი მშობლების შესახებ! პაული და მარია გრებერები. ისინი აგერ, იქ ცხოვრობდნენ.

კომენდანტმა მას თავისი გამხდარი, ჯაგარივით მოუხეშავი წვერით დაფარული სახე მიუახლოვა.

— აჰა, ეს თქვენ ხართ, წუხანდელო ფრონტელო მებრძოლო! ოღონდ ეგრე ძალიან ნუ ყვირით, ჯარისკაცო! ნუთუ გგონიათ, რომ ერთადერთი ხართ, ვინც ვინმე დაკარგა? როგორ ფიქრობთ, მაშინ ეს რა არის? — და მან იმ სახლზე მიუთითა, საიდანაც გამოვიდა.

— რა?

— აგერ ის! კარზე! ვერ ხედავთ? თუ გგონიათ, რომ ეს იუმორისტული ფურცელია?

გრებერს არ უპასუხია. დაინახა, რომ ქარი კარს ნელა აქანავებდა და მთელი მისი გარეთა მხარე ზედ გაკრული პატარა ბარათებით დაფარულიყო, და სწრაფად მივიდა კართან.

აქ მისამართები იყო აღნიშნული და ორიოდე სიტყვა ეწერა უკვალოდ დაკარგულთათვის. ზოგი ფანქრით, მელნით ან ნახშირით იყო პირდაპირ კარზე დაწერილი, უმეტესობა კი — ქაღალდის ნაგლეჯებზე, რომლებიც ჭიკარტით ან წებოიანი ქაღალდით დაემაგრებინათ. „ჰაინრიჰ და გეორგ, ძია ჰერმანთან მოდით. ირმა დაიღუპა. დედა“.

ბარათი დიდ, ცალხაზიან ფურცელზე ეწერა, რომელიც სასკოლო რვეულიდან ამოეხიათ და კარზე ოთხი ჭიკარტით მიემაგრებინათ. იქვე, ქვევით ფეხსაცმლის ყუთის მუყაოს სახურავზე წაეწერათ: „ღვთის გულისათვის, მოგვაწოდეთ რაიმე ცნობა ბრუნჰილდე შმიტის შესახებ, ტიურინგშტრასე, 4“. ხოლო მის გვერდით ღია საფოსტო ბარათზე: „ოტო, ჩვენ ჰასტეში ვართ, სახალხო სკოლაში“. და სულ ქვევით კი, ფანქრით და მელნით ნაწერი მისამართების შემდეგ, ქაღალდის დაკბილულ ხელსახოცზე სხვადასხვა ფერის პასტელით გამოეყვანათ: „მარია, სადა ხარ?“ ხელმოწერის გარეშე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გრებერი წელში გაიმართა.

— რას იტყვი? — შეეკითხა კომენდანტი, — შენიანებიც არიან მანდ?

— არა. მათ არ იცოდნენ, რომ ჩამოვდიოდი.

შეშლილს სახე ისე დაელრიჯა, თითქოს უხმოდ იცინისო.

— სხვისი არავინ არაფერი იცის, ჯარისკაცო, არავინ! და მატყუარები ყოველთვის ფონს გადიან. არაშხადებს არაფერი ემართებათ. ნუთუ თქვენ ეს აქამდე არ იცით?

— ვიცი!

— მაშინ თქვენც შეუერთდით ამათ! თქვენც შეიტანეთ თქვენი სახელი ამ საბრალოთა სიაში და შემდეგ ელოდეთ! ელოდეთ, როგორც ყველა ჩვენ. ელოდეთ, ვიდრე გაშავდებოდეთ! — კომენდანტს სახე შეეცვალა, თითქოს ანაზდეულად აუტანელი ტკივილისგან დაეძაგრაო.

გრებერმა ზურგი შეაქცია. ძირს დაიხარა და ნაგავში ეძებდა ისეთ რამეს, რაც დასაწერად გამოადგებოდა. მან ჰიტლერის ფერადი პორტრეტი იპოვა, რომელიც გატეხილ ჩარჩოში იყო ჩასმული, უკანა მხარე თეთრი ჰქონდა და ზედ არაფერი იყო დაბეჭდილი. ზედა ნაწილი მოახია, ფანქარი ამოიღო და ჩაფიქრდა. ერთბაშად აღარც კი იცოდა, რა უნდა დაწერა. „გთხოვთ, გვაცნობოთ პაულ და მარია გრებერების შესახებ, — დაწერა ბოლოს დიდრონი ასოებით, — ერნსტი შვებულებაშია და აქ იმყოფება“.

— სახელმწიფო ღალატია, — თქვა კომენდანტმა ჩუმად მის უკან.

— რაა? — მიუტრიალდა გრებერი.

— სახელმწიფო ღალატია-მეთქი, თქვენ ფიურერის სურათი დახიეთ.

— უკვე დახეული იყო და ნაგავში ეგდო, — მიუგო გრებერმა გაჯავრებით, — და, საერთოდ, თავი დამანებეთ, აღარ მსურს თქვენი ყბედობის მოსმენა!

მან ვერაფერი იპოვა, რითაც ბარათის მიმაგრებას შეძლებდა და ბოლოს იმ ჭიკარტებიდან, რომლებითაც დედის ბარათი იყო დამაგრებული, ორი მოხსნა და თავისი გააკრა. ეს უხალისოდ გააკეთა და დაახლოებით ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს გვირგვინს იპარავდა უცხო კუბოდან. მაგრამ სხვა გზა არ იყო და თანაც დედის წერილი ორ კნოპსაც ისევე კარგად ეჭირა, როგორც ოთხს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კომენდანტი მის უკან იდგა და ისე უყურებდა ყოველივე ამას.

— მორჩა! — განაცხადა მან ბრძანების კილოთი, — ახლა კი ვაშა გამარჯვებას, ჯარისკაცო! გლოვა აკრძალულია! სამგლოვიარო ტანსაცმელიც ასევე! იგი საბრძოლო სულისკვეთებას ასუსტებს! იამაყეთ იმით, რომ მსხვერპლი მოგაქვთ! თქვენ რომ თქვენი მოვალეობა შეგესრულებინათ, ძაღლთაპირებო, ასეთი რამ აქ არასოდეს მოხდებოდა!

მოულოდნელად მიბრუნდა და თავისი გრძელი, წვრილი ფეხებით წაჩლახუნდა.

გრებერმა მაშინვე დაიწყო იგი. კიდევ ერთი პატარა ნაგლეჯი მოხია ჰიტლერის სურათის ნარჩენებიდან და ზედ ერთი მისამართი ჩაიწერა, რომელიც კარზე იპოვა. ეს ლოოზეების ოჯახის მისამართი იყო. გრებერი იცნობდა ამ ოჯახს და იქ სურდა თავისი დედ-მამა მოეკითხა. შემდეგ ჩარჩოდან სურათის დარჩენილი ნახევარიც გამოაძრო, უკანა მხრიდან იგივე დააწერა, რაც პირველ ნახევარზე, და თვრამეტ ნომერ სახლთან დაბრუნდა. იქ ორ ქვას შუა ჩაჭედა, ისე, რომ შორიდანვე თვალში საცემი ყოფილიყო. ახლა უკვე ორგან შეიძლებოდა მისი ბარათი ეპოვათ. ეს იყო ყველაფერი, რისი გაკეთებაც ამ წუთში შეეძლო. ერთხანს კიდევ იდგა ღორღისა და აგურების გროვასთან, ისე, რომ არ იცოდა საფლავი იყო ეს თუ არა. ხავერდის სავარძელი სმარაგდივით[1] ბრჭყვიალებდა მზეზე. წაბლის ხე მის გვერდით, ქუჩაზე, სრულიად უვნებელი გადარჩენილიყო. სავარძლის მწვანე სამოსელი ნაზად ციაგებდა მზის სხივებში. რტოებში სკვინჩები ჟღურტულებდნენ და ბუდეს იკეთებდნენ.

საათს დახედა. უკვე ქალაქის სამმართველოში წასვლის დრო იყო.

*

სარკმლები, სადაც უკვალოდ დაკარგულთა შესახებ იძლეოდნენ ცნობებს, სახელდახელოდ შეეკრათ ახალი ფიცრებისგან. არ შეუღებავთ და ფისისა და ტყის სუნი ასდიოდათ. სადგომის ერთ მხარეს ჭერი ჩამონგრეულიყო. დურგლები იქ ხის კოჭებს სდებდნენ და ჩაქუჩებს აკაკუნებდნენ. ყველგან ხალხი იდგა. მდუმარედ და მოთ-

[1] *სმარაგდი — მინერალი, მწვანე ფერის ძვირფასი ქვა; ზურმუხტი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მინებით იცდიდნენ. სარკმლების უკან ერთი ცალხელა მოხელე და ორი ქალი იჯდა.

— გვარი? — შეეკითხა ქალი მარჯვნიდან ყველაზე განაპირა სარკმელში. მას ფართო, გაბრტყელებული სახე ჰქონდა და ბურძგლიან თმაზე წითელი აბრეშუმის ბანტი ეკეთა.

— გრუბერი. პაულ და მარია გრუბერები. გადასახადთა სამმართველოს მდივანი. პაენშტრასეს თვრამეტი.

— რა თქვით? — ქალმა ყურთან მიიტანა ხელი.

— გრუბერი, — გაიმეორა გრუბერმა უფრო ხმამაღლა ჩაქუჩის კაკუნში, — პაულ და მარია გრუბერები. გადასახადთა სამმართველოს მდივანი.

მოხელე ქალმა ძებნა დაიწყო სიებში, — გრუბერი, გრუბერი... მისმა თითმა გვარების სვეტს ჩასდია და ერთ-ერთ მათგანთან გაჩერდა, — გრუბერი... ჰო... სახელი რა ერქვა?

— პაული და მარია.

— როგორ?

— პაული და მარია! — გრუბერს უეცრად ბრაზი წაეკიდა. აუტანლად ეჩვენებოდა ის ამბავი, რომ თავისი უბედურების შესახებ ახლა უნდა ეყვირა კიდეც.

— არა, აქ ერნსტ გრუბერია!

— ერნსტ გრუბერი მე თეითონ ვარ. ჩვენს ოჯახში სხვას არავის ჰქვია ერნსტი.

— აბა, თქვენ ხომ არ შეიძლება ეს იყოთ. ხოლო სხვა გრუბერი სიაში არ არის, მოხელე ქალმა თავი მაღლა აიღო და გაიღიმა, — თუ გინდათ, რამდენიმე დღის შემდეგ კიდევ შემოიარეთ. ჩვენ ჯერ კიდევ ყველა ცნობა არ გვაქვს ხელთ. შემდეგი.

გრუბერი ისევ იდგა.

— სხვაგან სად შეიძლება კიდევ ვიკითხო?

ქალმა წითელი ბანტი გაისწორა თმაზე.

— გამწერ ბიუროში. შემდეგი.

გრუბერმა იგრძნო, რომ ვილაცამ უბიძგა ზურგში. იგი ერთი მოცუცქნული დედაბერი გამოდგა. გრუბერის უკან იდგა და ხელები ჩიტის კლანჭებს მიუგავდა. გრუბერი განზე გადგა.

ერთხანს კიდევ იდგა სარკმლის გვერდით გაოგნებული. ვერ წარმოედგინა, თუ უკვე ყველაფერი დამთავრდა, ისე სწრაფად მოხდა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყოველივე. მისი დანაკარგი კი ერთობ დიდი იყო ამისთვის. ცალხელა მოხელემ თვალი მოჰკრა და სარკმელში გამოჰყო თავი.

— უნდა გიხაროდეთ, რომ თქვენიანები არ აღმოჩნდნენ ჩვენს სიებში, — უთხრა მან.

— რატომ?

— ეს ხომ გარდაცვლილთა და მძიმედ დაჭრილთა სიებია. ვიდრე ჩვენთან არ არიან გატარებულნი, ისინი მხოლოდ უკვალოდ დაკარგულნი არიან.

— უკვალოდ დაკარგულები? მათი სიები სადღაა?

მოხელემ მას იმ კაცის მოთმინებით შეხედა, რომელსაც ყოველდღე რვა საათის განმავლობაში სხვების უბედურებასთან აქვს საქმე, მაგრამ დახმარება კი არაფრით შეუძლია.

— ცოტა თქვენც იფიქრეთ, — უთხრა მან, — უკვალოდ დაკარგულები — უკვალოდ დაკარგულები არიან. აქ სიები რას გიშველის? სია ხომ ვერ გეტყვის, რა დაემართა მათ? ეს რომ ვიცოდეთ, მაშინ ხომ ისინი უკვალოდ დაკარგულებიც აღარ იქნებოდნენ. ასე არ არის?

გრებერი გაშტერებული უყურებდა. მოხელე, როგორც ჩანდა, ამაყობდა თავისი ლოგიკით. მაგრამ გონიერება და ლოგიკა ცუდად ეწყობოდა დანაკარგსა და გულის იარას. ან კი რა უნდა უთხრა კაცს, რომელსაც თვითონაც ცალი ხელი დაუკარგავს?

— ჰო, მგონი, ასეა, — მიუგო გრებერმა და გატრიალდა.

*

გრებერმა, როგორც იქნა, კითხვა-კითხვით მიაკვლია გამწერ ბიუროს. იგი ქალაქის სამმართველოს შენობის მეორე ბოლოში იყო მოთავსებული და შიგ სიმჟავისა და ტრუსის სუნი იდგა. დიდი ხნის ლოდინის შემდეგ ერთ ნერვებაშლილ ქალთან მოხვდა, რომელსაც პენსნე ეკეთა.

— მე არაფერი ვიცი! — მაშინვე დაუყვირა მან, — აქ უკვე არაფრის დადგენა არ შეიძლება. კარტოთეკაში ნამდვილი დომხალია. ერთი ნაწილი დაიწვა, დანარჩენი კი წყლით დაასველეს რეგვენმა მეხანძრეებმა.

— რატომ საიმედო ადგილას არ შეინახეთ საბუთები? — შეეკითხა უნტეროფიცერი, რომელიც გრებერის გვერდით იდგა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— საიმედო ადგილას? სად არის მერე საიმედო ადგილი? იქნებ თქვენ მიგვასწავლოთ? მე მაგისტრატი[1] ხომ არა ვარ. წადით და იქ იჩივლეთ.

ქალმა სასოწარკვეთილებით აღსავსე მზერა შეავლო სველი ქაღალდის ნაგლეჯის უზარმაზარ გროვას.

— ყველაფერი გაოხრდა! მთელი გამწერი ბიურო! რა გვეშველება? ახლა ხომ ყველას შეუძლია, რაც მოეპრიანება, ის დაირქვას!

— ეს მართლაც საშინელება იქნებოდა, არა? — უნტეროფიცერმა გადააფურთხა და გრებერს უბიძგა, — წამო, ძმაო. აქ, როგორც ვხედავ, ყველა აფრენს.

გარეთ გამოვიდნენ და ქალაქის სამმართველოს წინ გაჩერდნენ. ირგვლივ ყველა სახლი გადამწვარი იყო. ბისმარკის[2] ძეგლიდან მხოლოდ ჩექმებილა გადარჩენილიყო. თეთრი მტრედების გუნდი დაფრინავდა ღვთისმშობლის ტაძრის დამხობილი სამრეკლოს გარშემო.

— მაგარი ამბებია, არა? — თქვა უნტეროფიცერმა, — შენ ვის ეძებ?

— დედ-მამას.

— მე კი — ცოლს. არ მომიწერია, ჩამოვდივარ-მეთქი, მინდოდა მოულოდნელად გამეხარებინა. შენ?

— მეც მაგდაგვარი რამ დამემართა. არ მინდოდა ამაოდ ამეღელვებინა მშობლები. შვებულება უკვე რამდენჯერმე გადამიდეს და არც ამჯერად მქონდა იმედი. ხოლო როდესაც მოულოდნელად გამომიშვეს, მაშინ უკვე გვიანლა იყო.

— მაგარი ამბებია! ახლა რას აპირებ?

გრებერმა დანგრეულ საბაზრო მოედანს გადახედა. 1933 წლის შემდეგ მას ჰიტლერპლაცი[3] ეწოდებოდა. უფრო ადრე კი, პირველი წაგებული მსოფლიო ომის შემდეგ — ებერტპლაცი. კიდევ უფრო ადრე — კაიზერ-ვილჰელმპლაცი და სულ წინათ კი — უბრალოდ, ბაზრის მოედანი.

---

[1] *მაგისტრატი (ლათ.) — ევროპის ზოგ ქვეყანაში: ქალაქის მმართველი, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი.*

[2] *ბისმარკი, ოტო ედუარდ ლეოპოლდ (1815-1898) — გერმანიის სახელმწიფო მოღვაწე. გერმანიის იმპერიის დამაარსებელი და პირველი რაიხსკანცლერი.*

[3] *ჰიტლერპლაცი — ჰიტლერის მოედანი. პლაცი (გერმ.) — მოედანი სამხედრო პარადებისა და სამწყობრო ვარჯიშისთვის.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— არ ვიცი, — მიუგო მან, — ჯერ კიდევ გონს ვერ მოვსულვარ. ხომ არ შეიძლება, ასე უბრალოდ დაიკარგონ ადამიანები აქ, შუა გერმანიაში...

— არ შეიძლება? — უნტეროფიცერმა გრებერს ირონიითა და თანაგრძნობით აღსავსე მზერა მიაპყრო, — ჩემო ძვირფასო, აქ შენ კიდევ ბევრი რამ გაგაოცებს! მე ჩემს ცოლს უკვე ხუთი დღეა ვეძებ. ხუთი დღე — დილიდან საღამომდე და არ ვიცი, ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ. თითქოს ჯადო გაეკეთებინოს ვილაცას!

— კი მაგრამ, ნუთუ ეს შესაძლებელია? სადმე მაინც ხომ...

— სადღაც ჩაიყლაპა-მეთქი, გეუბნები, — გაიმეორა უნტეროფიცერმა, — და ასევე სხვებიც, რამდენიმე ათასი კაცი. მათგან ნაწილი ლტოლვილთა გამანაწილებელ ბანაკებსა და წვრილ-წვრილ ქალაქებში გადაუყვანიათ. მოდი, ერთი იპოვე, თუ ბიჭი ხარ, როდესაც ფოსტა წესიერად აღარ მუშაობს; მეორე ნაწილი კი ქვეითად გაიქცა ჯგუფ-ჯგუფად სოფლებში.

— სოფლებში? — წამოიძახა გრებერმა და გულზე მოეშვა, — რა თქმა უნდა! ეგ აზრად არ მომსვლია. სოფლებში ხომ საშიში არ არის. იქ იქნებიან...

— იქ იქნებიანო! რა აღმოაჩინა! — უნტეროფიცერმა დამცინავად ჩაიფრუტუნა, — ამის ცოდნა ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს! იცი შენ, რომ ამ წყეულ ქალაქს თითქმის ორი ათეული სოფელი აკრავს გარშემო, და ვიდრე ყველას მოივლიდე, შენი შვებულებაც დასრულდება, გესმის?

გრებერს ესმოდა, მაგრამ ვს მისთვის სულერთი იყო. ერთადერთი, რაც მას სურდა, ის იყო, რომ მისი მშობლები ცოცხლები ყოფილიყვნენ. ხოლო თუ სად იქნებოდნენ, ამას უკვე მნიშვნელობა არ ჰქონდა მისთვის.

— ყური მიგდე, მეგობარო, — უთხრა უნტეროფიცერმა უფრო წყნარად, — უნდა გონივრულად მოეკიდო მაგ საქმეს, თორემ თუ გიჟივით აქეთ-იქით ირბინე, მხოლოდ დროს დაჰკარგავ და სულ გადაირეკი. უნდა თადარიგიანად მოიქცე. თავდაპირველად, რა გაქვს განზრახული?

— ჯერ არ ვიცი. მგონი, შეეცდები, ნაცნობებისგან შევიტყო რამე. თანაც ერთი ოჯახის მისამართი ვიპოვე, რომელიც ჩვენს ქუჩაზე ცხოვრობდა, და რომლის სახლიც საჰაერო თავდასხმის შედეგად დაინგრა.

— მათგან ბევრს ვერას შეიტყობ. ყველას ეშინია კრინტის დაძვრისა. ეს მე საკუთარ თავზე გამოვცადე. მაგრამ მაინც ცდა ბედის მონახვევრეა, ყური მიგდე! ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთს დავეხმაროთ. იქ, სადაც შენს შშობლებს მოიკითხავ, ჩემი ცოლიც იკითხე და მეც, სადაც ჩემი ცოლის შესახებ ვიკითხავ, შენს დედ-მამაზეც შევაგროვებ ცნობებს, კარგი?

— ეგრე იყოს!

— ჩემი გვარია ბოტჰერი. ცოლს ალმა ჰქვია. ჩაიწერე!..

გრებერმა ჩაიწერა. შემდეგ ქაღალდის ნაგლეჯზე დაწერა თავისი შშობლების გვარი და სახელი და ბოტჰერს გადასცა. მან გულდასმით წაიკითხა გრებერის ნაწერი და ჯიბეში ჩაიდო.

— შენ სად ცხოვრობ, გრებერ?

— წარმოდგენა არ მაქვს. სადმე უნდა მოვძებნო ღამის გასათევი ადგილი.

— ყაზარმაში არის სათადარიგო სადგომი იმ შვებულებიანთათვის, რომელთა სახლებიც დაბომბვაში მოყვა. კომენდატურაში გამოცხადდი და მიმართვას მოგცემენ. უკვე იყავი იქ?

— არა ჯერ.

— ეცადე, რომ ორმოცდამერვე ნომერში მოხვდე. ეს ქსენონია. იქ საჭმელი უკეთესია, ვიდრე სადმე სხვაგან. თანაც მეც იქა ვარ.

ბოტჰერმა ჯიბიდან სიგარეტის ნამწვი ამოიღო, დახედა და ისევ უკან შეინახა.

— დღეს სათითაოდ ყველა საავადმყოფოს ჩამოვივლი. საღამოთი კი შეგვიძლია სადმე შევხვდეთ ერთმანეთს. შეიძლება მაშინ ერთ-ერთმა ჩვენგანმა უკვე იცოდეს რამე.

— კი, მაგრამ სად?

— ყველას ისევ აქ სჯობია. ცხრა საათი კარგი დროა?

— კარგია. შევთანხმდით.

ბოტჰერმა თავი დაუქნია და შემდეგ ლაქვარდისფერ ცას ახედა.

— ხედავ შენ, — თქვა მან მწარედ, — გაზაფხულია! მე კი უკვე ხუთი ღამეა ზურგის დაცვის თორმეტიოდე კუანასთან ერთად მძინავს ერთ ოთახში — ნაცვლად იმისა, რომ ჩემს ცოლთან ვიწვე, რომელსაც ცხენივით გავა აქვს!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

*

გარტენშტრასეზე პირველი ორი სახლი დანგრეული იყო. მათში უკვე აღარავინ ცხოვრობდა. მესამე ჯერჯერობით თითქმის უვნებლად გადარჩენილიყო. მხოლოდ სახურავი გადასწვოდა. ამ სახლში ციგლერების ოჯახი ცხოვრობდა. ციგლერი წინათ გრუბერის მამის მეგობარი იყო.

გრუბერი კიბეზე ავიდა. პარმაღებზე ქვიშითა და წყლით სავსე ვედროები იდგა. კედლებზე განცხადებები გაეკრათ. მან დარეკა და გაუკვირდა, რომ ზარი კიდევ მუშაობდა. ცოტა ხნის შემდეგ ერთმა სულამოსულმა მოხუცმა ქალმა ფრთხილად გამოაღო კარი.

— ფრაუ ციგლერ, — თქვა გრუბერმა, — ეს მე ვარ, ერნსტ გრუბერი.

— აა, ჰო... — დედაბერი მიაშტერდა მას, — მაშ, ეს თქვენა ხართ.. — და ცოტა ხნის შემდეგ დაუმატა, — მობრძანდით, ჰერ გრუბერ!

ახლა უფრო ფართოდ გააღო კარი, გრუბერი შიგნით შეუშვა და მერე ისევ ურდულით დაკეტა იგი.

— მოხუცო! — გასძახა შემდეგ ბინის სიღრმეში, — არაფერია. ეს ერნსტ გრუბერი მოვიდა. პაულ გრუბერის ვაჟი.

სასადილო ოთახში ცვილის სუნი იდგა. ლინოლეუმი იატაკზე სარკესავით პრიალებდა. ფანჯრის რაფაზე ყვავილების ქოთნები ჩაემწკრივებინათ. ყვავილებს, დიდრონი და ყვითელი ტალებით დაფარული ფოთლები ჰქონდა, თითქოს ზედ კარაქის წვეთები დაღვენთიათო. დივნის უკან ხალიჩა ეკიდა. „საკუთარი კერა ოქროზე ძვირფასია“, — ჯვარედინული დალამბვით ამოექარგათ ზედ წითლად.

საძილე ოთახიდან ციგლერი გამოვიდა. იგი იღიმებოდა. გრუბერმა შენიშნა, რომ მასპინძელი აღელვებული იყო.

— რა იცი კაცმა, ვინ შემოეხეტება, — თქვა მან, — თქვენზე კი, რასაკვირველია, არ გვიფიქრია. ფრონტიდან ჩამოხვედით?

— დიახ, და ახლა მშობლებს ვეძებ. ჩვენი სახლი დაუბომბავთ.

— ზუგჩანთა მოიხსენით, — უთხრა ფრაუ ციგლერმა, — ახლავე ყავას აგიდულებთ. ჩვენ კიდევ შემოგვრჩა კარგი ქერის ყავა.

გრუბერმა ზურგჩანთა წინკარში გაიტანა.

— ჭუჭყიანი ვარ, — თქვა მან, — აქ კი ყველაფერს კრიალი გაუდის. გადაჩვეული ვარ უკვე ასეთ რამეებს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— არა უშავს. დაჯექით, დაჯექით. აგერ იქ, დივანზე.

ფრაუ ციგლერმა სამზარეულოს მიაშურა. ციგლერმა გაუბედავად შეხედა გრებერს.

— ასე... — თქვა მან.

— ხომ არაფერი გაგიგიათ ჩემი დედ-მამის შესახებ? ველარ მიპოვია ისინი. ქალაქის სამმართველოში არაფერი იციან. იქ ნამდვილი დომხალია.

ციგლერმა თავი გააქნია. კარში კი ისევ მისი ცოლი იდგა.

— ჩვენ გარეთ თითქმის არ გავდივართ, — თქვა მან აჩქარებით, — უკვე დიდი ხანია არ გავდივართ. ამიტომ თითქმის ვერაფერს ვიგებთ, ერნსტ!

— ნუთუ სულ არ გინახავთ ისინი. ერთხელ მაინც შეხვდებოდით სადმე.

— უკვე დიდი ხანია მას შემდეგ. სულ მცირე ხუთი-ექვსი თვე მაინც იქნება. მაშინ... — და იგი დადუმდა.

— რა მაშინ! — შეეკითხა გრებერი, — როგორ იყვნენ ისინი მაშინ?

— კარგად. ო, მაშინ საღ-სალამათნი იყვნენ, — მიუგო ქალმა, — ოღონდ მას შემდეგ, რა თქმა უნდა...

— ჰო... — თქვა გრებერმა, — მე ვნახე. ჩვენ, ფრონტზე, რასაკვირველია, ვიცოდით, რომ ქალაქებს ბომბავდნენ, მაგრამ თუ საქმე აქამდე იყო მისული, ეს ვერ წარმოგვედგინა.

არც ერთ მათგანს არ უპასუხია, არც სახეში შეუხედავთ გრებერისთვის.

— ყავა ახლავე მზად იქნება, — თქვა ბოლოს ქალმა, — თქვენ ხომ დალევთ, არა? ერთი ფინჯანი ცხელი ყავა არასოდეს აწყენს კაცს.

მან მაგიდაზე ცისფრად მოხატული ფინჯნები დაალაგა. გრებერმა შეხედა მათ. სახლში მათაც ზუსტად ასეთები ჰქონდათ. „ხახვის ნახატი“ ერქვა რატომღაც ამგვარ ორნამენტს.

— ასე... — თქვა ისევ ციგლერმა.

— როგორ ფიქრობთ, შეიძლება, ჩემი მშობლები რომელიმე საევაკუაციო ეშელონით გაეგზავნათ სადმე? — შეეკითხა გრებერი.

— შეიძლება, — უპასუხა და ცოლს მიმართა, — დარჩა კიდევ რამე ერვინის ჩამოტანილი ნამცხვრიდან? მოართვი ჰერ გრებერს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ერვინი როგორ არის?

— ერვინი? — ბერიკაცი შეკრთა, — ერვინი კარგად არის, კარგად.

ქალმა ყავა მოიტანა და მაგიდაზე ჰოლანდიურწარწერიანი თუნუქის მოზრდილი ქილა დადო. შიგ ნამცხვრები ცოტალა იყო. „ჰოლანდიიდან არის", — გაიფიქრა გრებერმა. მანაც ასევე ჩამოიტანა საჩუქები ომის დასაწყისში საფრანგეთიდან.

ფრაუ ციგლერმა მიიპატიჟა, მიირთვიო. გრებერმა ერთი ნაჭური აიღო, შაქრით ვარდისფრად მოსარკლული. ნამცხვარი ძველი იყო. მოხუცები თვითონ არ ჭამდნენ. მათ არც ყავა დაულევიათ. ციგლერი ანგარიშმიუცემლად აკაკუნებდა მაგიდაზე.

— კიდევ მიირთვით, — უთხრა ქალმა, — ჩვენ სხვა არაფერი გვაქვს. ეს ნამცხვარი კი კარგია.

— დიახ, ძალიან კარგია! გმადლობთ, ახლახან ვისაუზმე.

გრებერი გრძნობდა, რომ მეტს ვერაფერს ათქმევინებდა მოხუც ცოლ-ქმარს. თანაც შეიძლება მათ მართლაც არაფერი იცოდნენ. იგი წამოდგა.

— იქნებ შეგიძლიათ მითხრათ, სხვაგან სად შეიძლება მათი ამბავი შევიტყო?

— ჩვენ არაფერი ვიცით. ჩვენ, საერთოდ, თითქმის არ გავდივართ გარეთ. არაფერი ვიცი. ძალიან ვწუხვარ, ერნსტ, მაგრამ რას ვიზამ.

— მჯერა, მჯერა. გმადლობთ ყავისთვის, — გრებერი კარისაკენ გაემართა.

— სადა ხართ ახლა გაჩერებული? — შეეკითხა უეცრად ციგლერი.

— სადმე ვიშოვი ადგილს. თუ ვერსად მოვახერხე, მაშინ ყაზარმაში.

— ჩვენ ადგილი არ გვაქვს, — სწრაფად თქვა ფრაუ ციგლერმა და თან ქმარს შეხედა, — სამხედრო ხელისუფლება ალბათ რამეს ილონებდა იმ შვებულებიანთათვის, რომელთა სახლებიც დაინგრა დაბომბვის შედეგად.

— რა თქმა უნდა, — მიუგო გრებერმა.

— ზურგჩანთა მაინც დაეტოვებინა აქ, ვიდრე სადმე ადგილს იშოვიდა, — თქვა ციგლერმა, — ხომ ხედავ, მძიმეა.

გრებერმა თვალი შეასწრო ფრაუ ციგლერის მზერას.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— არაფერია, — მიუგო მან, — შეჩვეული ვარ!

კარი გამოიხურა და კიბეზე დაეშვა. ჰაერი შეხუთულიყო. ციგლერებს რაღაცის ეშინოდათ. მან არ იცოდა, სახელდობრ, რისი. ვინ იცის, შიშის რამდენგვარი მიზეზი არსებობდა 1933 წლის შემდეგ.

*

ლოოზების ოჯახი ფილარმონიის დიდ დარბაზში მოეთავსებინათ. დარბაზი სავსე იყო საველე საწოლებითა და ლეიბებით. კედლებზე რამდენიმე დროშა ეკიდა. აგრეთვე მყვირალა ლოზუნგებით შემკული სვასტიკები და ფიურერის პორტრეტი, რომელიც ზეთის საღებავებით იყო შესრულებული და ოქროსვარაყიან ჩარჩოში ჩასმული, — ყველა ეს ძველი პატრიოტული ზეიმებიდან შემორჩენილიყო. დარბაზში ქალები და ბავშვები ზიმზიმებდნენ. საწოლებს შორის ელაგა ჩემოდნები, ქვაბები, ნავთქურები, სანოვაგე და აქა-იქ ავეჯეულობაც ჩანდა, რომლის გადარჩენაც მოესწროთ.

ფრაუ ლოოზე აპათიურად იჯდა საწოლზე დარბაზის შუაგულში. ეს იყო გაჩეჩილთმიანი ჭალარა, მსუქანი ქალი.

— შენი ძმობლები? — გრებერს ჩამქრალი თვალები მიაპყრო და დიდხანს იგონებდა რაღაცას, — დაიხოცნენ, ერნსტ, — წაიდუდუნა ბოლოს.

— რაა?

— დაიხოცნენ-მეთქი, — გაიმეორა მან, — მაშ, სხვა რა შეიძლება იყოს?

ვიღაც ფორმიანი პატარა ბიჭი გრებერს დაეჯახა და მის მუხლებში გაიხირა. გრებერმა თავიდან მოიცილა.

— საიდან იცით? — შეეკითხა ფრაუ ლოოზეს და თან შენიშნა, რომ ხმა წართმეოდა. გაჭირვებით გადაყლაპა ნერწყვი, — თქვენ ნახეთ ისინი? სად?

ფრაუ ლოოზემ დაღლილი სახით გააქნია თავი.

— არაფრის დანახვა არ შეიძლებოდა, ერნსტ, — წაიდუდუნა მან, — ირგვლივ მხოლოდ ცეცხლი იყო და წივილ-კივილი, ხოლო შემდეგ...

მისი სიტყვები ჩურჩულში გადაიზარდა და მერე ესეც შეწყდა. ქალი დადუმდა და უაზროდ იყურებოდა სივრცეში, ხელებზე დაყრდ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნობილი და ერთ პოზაში გაშეშებული, თითქოს მთელ დარბაზში მარტო თვითონ ყოფილიყო. გრებერი თვალს არ აშორებდა მას.

— ფრაუ ლოოზე, — წარმოთქვა მან ბოლოს გაჭირვებით, — ეგებ გაიხსენოთ, როდის ნახეთ ჩემი მშობლები? საიდან იცით, რომ დაიხოცნენ?

ქალმა ამღვრეული მზერა შეაგება.

— ლენაც მოკვდა, — წაიდუდუნა მან, — და ავგუსტიც. შენ ხომ იცნობდი მათ..

გრებერს ბუნდოვნად გაახსენდა ორი ბავშვი, რომლებიც ერთთავად თაფლის კვერებს შეექცეოდნენ ხოლმე.

— ფრაუ ლოოზე, — გაიმეორა მან და თან თავს ძალას ატანდა, რომ ხელში არ აეტაცა იგი და მაგრად არ შეენჯღრია, — გეთაყვა, მითხარით, საიდან იცით, რომ ჩემი მშობლები დაიხოცნენ? სცადეთ, იქნებ მოიგონოთ! თქვენ ნახეთ ისინი?

მაგრამ ქალს თითქოს აღარ ეყურებოდა მისი.

— ლენა, — ჩურჩულებდა ის, — მე ლენაც არ მინახავს. არ მიმიშვეს მასთან, ერნსტ. მთლიანად ვერ შეაგროვეს მისი სხეული. და ის ხომ ასე პატარა იყო. რატომ სჩადიან ისინი ამას? შენ უნდა იცოდე ეს, შენ ხომ ჯარისკაცი ხარ.

სასოწარკვეთილმა გრებერმა მიიხედ-მოიხედა. ვიღაც კაცმა საწოლებს შუა გზა გაიკვლია და მათ მიუახლოვდა. ეს ლოოზე გამოდგა. იგი გამხდარიყო და დაბერებულიყო. სათუთად დაადო მხარზე ხელი ცოლს, რომელიც კვლავ უნუგეშო მწუხარებაში ჩაფლული იჯდა საწოლზე, და გრებერს ანიშნა.

— ჯერაც ვერ შერიგებია იმას, რაც მოხდა, ერნსტ, — თქვა მან.

ქალი ხელის დადებაზე შეირხა და ნელინელ აღაპყრო მისკენ თვალები.

— შენ კი შეურიგდი?

— ლენა...

— თუ შენ მართლაც შეურიგდი, — თქვა მან უეცრად მკაფიოდ, ხმამაღლა და გარკვევით, თითქოს სკოლაში ლაპარაკობდა, — მაშინ შენ იმათზე ბევრად უკეთესი არ ყოფილხარ, ვისაც ამაში ბრალი მიუძღვის.

ლოოზეს შიშით აღსავსე მზერა სწრაფად შემოეცლო ახლომახლო მდგარ საწოლებს. მაგრამ არავის გაუგონია რამე. ფორმიანი ბიჭი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რამდენიმე ბავშვთან ერთად ჩემოდნებს შორის ერთი აურზაურით თამაშობდა დამალობანას.

— ბევრად უკეთესი არ ყოფილხარ — გაიმეორა ქალმა. შემდეგ თავი ჩაქინდრა და მისგან კვლავ სხვა ალარა დარჩა რა, თუ არა ხორცშესხმული ცხოველური შეუხარება.

ლოიზემ ხელით ანიშნა და ისინი განზე გადგნენ.

— რა დაემართათ ჩემს შვილებს? — შეკითხა გრებერი, — თქვენი ცოლი ამბობს, დაიღუპნენო.

ლოიზემ თავი გააქნია.

— მან არაფერი იცის, ერნსტ. ჰგონია, რომ ყველა დაიღუპა, რახან ჩვენი შვილები დაიღუპნენ. ეგ ხომ თავის ჭკუაზე ვერ არის... შენ თვითონ შენიშნავდი... — მან ნერწყვი გადაყლაპა. ადამის ვაშლი მის წვრილ ყელზე რამდენჯერმე შეთამაშდა, — ისეთ რამეებს ლაპარაკობს, რომ... უკვე დაგვაბეზღეს... აი, ამათ..

გრებერს წამით მოეჩვენა, რომ ლოიზე ძალზე დაპატარავებული, სადღაც შორს იდგა ამ ჭეჭყიან, ნაცრისფერ სინათლეში, მაგრამ შემდეგ კვლავ მის წინ გაჩნდა, ისევ ჩვეულებრივი ლოიზე იყო, ისეთი, როგორსაც ადრე იცნობდა... და დარბაზიც ალარ ტრიალებდა.

— მაშ, ცოცხლები არიან? — შეეკითხა იგი.

— ამას ვერ გეტყვი, ერნსტ. შენ არ იცი, რა ორომტრიალი იყო აქ ამ უკანასკნელ წელს, როდესაც ფრონტზე სულ უფრო და უფრო უარესად მიდიოდა საქმე. ხალხი ერთიმეორეს ველარ ენდობოდა. ყველას ერთმანეთის ეშინოდა. შენი შვილები ალბათ სადმე საიმედო ადგილას არიან.

გრებერმა თავისუფლად ამოისუნთქა.

— თქვენ ნახეთ ისინი? — შეეკითხა იგი.

— ერთხელ შემხვდნენ ქუჩაში, მაგრამ მას შემდეგ ერთი თვე იქნება გასული. მაშინ თოვლი ცოტა კიდევ იდო. ეს საჰაერო თავდასხმათა დაწყებამდე იყო.

— როგორ გამოიყურებოდნენ? ჯანმრთელად იყვნენ?

ლოიზეს მაშინვე არ უპასუხია.

— მგონი, რომ კი, — თქვა შემდეგ და ნერწყვი გადაყლაპა.

გრებერს უეცრად შერცხვა. მიხვდა, ასეთ ვითარებაში არ კითხულობენ ჯანმრთელად იყო ადამიანი ერთი თვის წინ თუ არა. აქ მხოლოდ იმას კითხულობენ, ცოცხალია იგი თუ მკვდარი, და სხვას არაფერს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მაპატიეთ, — თქვა მან დარცხვენით.

ლოოზემ ხელები გაასავსავა.

— რას ამბობ, ერნსტ! დღეს ყველა მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს. ერთობ დიდი უბედურება ტრიალებს ქვეყნად...

*

გრებერი ქუჩაში გამოვიდა. ქუჩა ულიმლამო და უდაბური იყო, როდესაც ფილარმონიაში მოდიოდა, ახლა კი უეცრად ნათელი ეჩვენა და სიცოცხლეც არ იყო მასში მთლიანად ჩამქრალი. გრებერი ახლა უკვე მხოლოდ დანგრეულ სახლებს კი არ ხედავდა, არამედ გაფოთლილ ხეებს, ორ მოთამაშე ძაღლს და ველ ლურჯ ცასაც. მისი მშობლები არ დალუპულან. მხოლოდ უკვალოდ დაიკარგნენ. ერთი საათის წინ, როდესაც ცალხელა მოხელემ იგივე უთხრა, ეს ცნობა საშინლად, თითქმის აუტანლად ეჩვენა. ახლა კი ამან რალაც იდუმალი ძალის შემწეობით იმედი ჩაუსახა გულში. მან იცოდა, რომ ეს მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ წამით დაიჯერა, თითქოს მისი მშობლები ცოცხლები აღარ იყვნენ — და იმედისთვის ხომ მცირედიც საკმარისია.

IX

გრებერი სახლის წინ გაჩერდა. ბნელოდა და ნომერი ვერ გაერჩია.

— რას ეძებთ? — შეეკითხა ვიღაც კაცი, რომელიც კარის გვერდით აყუდებულიყო.

— ეს მარიენშტრასეს ოცდაორია?

— დიახ, ვინ გინდათ?

— მედიცინის მრჩეველი კრუზე.

— კრუზე? მერედა, რა გინდათ მასთან?

გრებერმა სიბნელეში შეხედა ამ კაცს. მას ჩექმები და მოიერიშეთა ფორმა ეცვა. „ალბათ რომელიმე მეტიჩარა უბნის ზედამხედველია, — გაიფიქრა მან, — ეგლა მაკლდა“.

— ამას მე თვითონ მოვახსენებ ექიმ კრუზეს, — მიუგო გრებერმა და სახლში შევიდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საშინლად დალლილ-დაქანცული იყო, თვალები უჭრიალებდა, ძვლები ტეხდა — დაღლილობა სხეულის ყოველ ნაკვთში გასჯდომოდა. მთელი დღის განმავლობაში კითხულობდა და ეძებდა, მაგრამ თითქმის ვერაფერი შეიტყო. მის მშობლებს ნათესავები არ ჰყავდათ ამ ქალაქში, ხოლო მეზობლებიდან ცოტანიღა დარჩენილიყვნენ. ბოტჰერი მართალი გამოდგა: ირგვლივ თითქოს მოჯადოებული იყო ყოველივე. ხალხს გესტაპოსი ეშინოდა და დუმილს არჩევდნენ, ანდა მხოლოდ ხმებისთვის მოეკრათ ყური და გრებერს სხვებთან გზავნიდნენ, ხოლო ამ უკანასკნელთაც, თავის მხრივ, არაფერი იცოდნენ.

კიბეზე ავიდა. დერეფანში ბნელოდა. მედიცინის მრჩეველი მეორე სართულზე ცხოვრობდა. გრებერი თითქმის არ იცნობდა კრუზეს, მაგრამ იცოდა, რომ იგი დედამისს მკურნალობდა. შეიძლება დედა იყო მასთან და ექიმს მისი ახალი მისამართი ჰქონდა.

კარი ხანში შესულმა ქალმა გაუღო, რომელსაც თითქოს წაშლილი სახე ჰქონდა.

— კრუზე? — შეეკითხა იგი, — თქვენ ექიმი კრუზე გნებავთ?

— დიახ!

ქალი მდუმარედ ათვალიერებდა მას და განზე არ გამდგარა, რომ შიგნით შეეშვა.

— შინ არის? — შეეკითხა გრებერი მოუთმენლად.

ქალს არ უპასუხია. თითქოს ქვევიდან მომავალ ბგერებს უგდებდა ყურს.

— თქვენ გასასინჯად ხართ მასთან მოსული?

— არა, პირად საქმეზე.

— პირად საქმეზე?

— დიახ, პირადზე, თქვენ ფრაუ კრუზე ბრძანდებით?

— ღმერთმა დამიფაროს!

გრებერი გაკვირვებით მიაჩერდა ქალს. რას არ შეეჩეხა ამ ერთი დღის განმავლობაში: სიფრთხილეს, სიძულვილს, თავის დაძვრენის ათასგვარ ფანდს, მაგრამ ეს სრულიად ახალი რამ იყო.

— ყური მიგდეთ, — უთხრა მან, — არ ვიცი, აქ რა ხდება და ეს ჩემთვის სულერთიცაა. მე მხოლოდ ექიმ კრუზეს ნახვა მინდა, სხვა არაფერი. გასაგებია?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— კრუზე აქ ალარ ცხოვრობს, — ანაზდეულად განაცხადა ქალმა ხმამაღლა, უკმეხად და მტრულად.

— კი, მაგრამ, აი მისი გვარი, — გრუბერმა თითბრის ფირფიტაზე მიუთითა, რომელიც კარის გვერდით გაეკრათ.

— ეგ აბრა დიდი ხანია უნდა მოგვეძრო.

— მაგრამ მაინც რომ არ მოგიძვრიათ? იქნებ მისი ოჯახის რომელიმე წევრი მაინც ცხოვრობს აქ?

ქალი დუმდა. გრუბერს მოთმინების ფიალა აეავსო. ის უკვე აპირებდა პირდაპირ ეთქვა მისთვის, — ეშმაკსაც წაულიხარო, როცა გაიგონა, როგორ გაიღო ბინის სიღრმეში რომელიღაც კარი. ბნელი დერეფნის ბოლოში სინათლის ზოლი შემოიჭრა ალმაცერად გვერდით ოთახიდან.

— მე მკითხულობს ვინმე? — იკითხა ვიღაცის ხმამ.

— დიახ, — აუგო გრუბერმა ალალბედზე, — მე ვინმე მინდა ვნახო, ვინც მედიკინის მრჩეველ კრუზეს იცნობს. მაგრამ ეს, როგორც ჩანს, იოლი საქმე არ უნდა იყოს.

— მე ელიზაბეტ კრუზე ვარ.

გრუბერმა შეხედა ქალს, რომელსაც თითქოსდა სახე წაშლოდა. მან კარს ხელი უშვა და ბინაში შეტრიალდა.

— ძალიან დიდი შუქია! — მაინც ჩაიბუზღუნა, როდესაც ღია ოთახს გაუსწორდა, — არ იცი, რომ ელექტროენერგიის გადახარჯვა აკრძალულია?

გრუბერი ისევ კარში იდგა. ვიღაც ქალიშვილი, დაახლოებით ოცი წლისა, სინათლის ზოლში ისე გამოვიდა, როგორც მდინარეში. წამით გრუბერმა თვალი შეასწრო ფართოდ მორკალულ წარბებს, მრუმე თვალებს და წითელი ხისფერ თმას, რომელიც ჩქერალივით ჩამოშლოდა მხრებზე, შემდეგ იგი ნახევრად წყვდიადით მოცულ დერეფანში ჩაიძირა და მის წინ გაჩნდა.

— მამაჩემს კერძო პრაქტიკა ალარა აქვს, — თქვა მან.

— მე სამკურნალოდ არ მოვსულვარ. რაღაც მინდოდა შემეტყო მისგან.

ქალიშვილს სახე ეცვალა. სანახევროდ მიბრუნდა, თითქოს სურდა ენახა, მეორე ქალი ისევ იქ იდგა თუ არა. შემდეგ კარი სწრაფად გაიღო ბოლომდე და შიგნით შემოდითო, წაიჩურჩულა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გრებერი ოთახში შეჰყვა, საიდანაც შუქი გამოდიოდა. ქალიშვილი მისკენ შემობრუნდა და გამომცდელი თვალით დაუწყო თვალიერება. თვალები ახლა მუქი ფერისა აღარ უჩანდა, ნაცრისფერი და კამკამა იყო. მე კი თურმე გიცნობთ თქვენ, — წარმოთქვა ქალიშვილმა, — წინათ აქაურ გიმნაზიაში არ სწავლობდით?

— დიახ, ერნსტ გრებერი ვარ!

გრებერს ახლა თეითონაც გაახსენდა ეს ქალიშვილი. გამხდარი გოგონა იყო მაშინ, დიდრონთვალება და ხშირთმიანი, დედა ადრე გარდაეცვალა და სხვა ქალაქში გადავიდა ნათესავებთან საცხოვრებლად.

— ღმერთო ჩემო, ელიზაბეტ, მე უცებ ვერც კი გიცანი, — თქვა გრებერმა.

— შვიდი-რვა წელი იქნება მას შემდეგ, რაც უკანასკნელად ვნახეთ ერთმანეთი. შენ ძალიან გამოცვლილხარ.

— შენც გამოცვლილხარ...

ერთმანეთის პირისპირ იდგნენ.

— რა ხდება აქ? — შეეკითხა გრებერი, — შენ ისე გიცავენ, როგორც გენერალს.

— ელიზაბეტ კრუზემ მწარედ ჩაიცინა.

— არა, როგორც გენერალს კი არა — როგორც ტყვეს.

— რაა? მერედა რატომ? მამაშენი...

ელიზაბეტმა სწრაფი მოძრაობა გააკეთა.

— მოიცა! — წასჩურჩულა გრებერს და მაგიდისკენ მიმავალმა წინ ჩაუარა. მაგიდაზე პატეფონი იდგა. ელიზაბეტმა მომართა იგი. გახმიანდა ჰოენფრიდბერგული მარში, — ასე, — წარმოთქვა მან, — ახლა შეგიძლია განაგრძო.

გრებერი ვერაფერს მიმხვდარიყო და გაკვირვებული უყურებდა. ბოტჰერი, ეტყობა, მართალი იყო: ამ ქალაქში თითქმის ყველა შეშლილიყო.

— ეგ რად გინდა? — შეეკითხა იგი, — გააჩერე! მარშებისგან ისედაც თავი მაქვს მობეზრებული. უმჯობესია მითხრა, რა ხდება აქ? ტყვესავით რატომ გექცევიან?

ელიზაბეტი ისევ მასთან მივიდა.

— ის ქალი გარედან ყურს გვიგდებს, ჯაშუშია. ამიტომ მოვმართე პატეფონი, — იგი გრებერის წინ იდგა და უეცრად გრებერმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქალიშვილის მღელვარე სუნთქვა გაიგონა, — რა მოუვიდა მამას? რამე იცი მის შესახებ?

— მე? არაფერი. მხოლოდ რაღაც მინდოდა მეკითხა მისთვის. რა დაემართა?

— მაშ, არაფერი იცი მის შესახებ?

— არა. მე ჰხოლოდ მინდოდა მეკითხა მისთვის, დედაჩემის მისამართი ხომ არ იცოდა. ჩემი მშობლები უკვალოდ დაიკარგნენ.

— მეტი არაფერი?

გრებერი გაკვირვებული მიაჩერდა ელიზაბეტს.

— ჩემთვის ესეც საკმარისია, — თქვა მან ბოლოს.

ელიზაბეტს სახეზე დაძაბულობა გაუქრა.

— ეგ მართალია, — თქვა დაღლილი გამომეტყველებით, — მე მეგონა, რომ მამას ამბავი მომიტანე.

— მაინც რა დაემართა მამაშენს?

— საკონცენტრაციო ბანაკშია. აი, უკვე ოთხი თვეა. დააბეზღეს. ჰოდა, როცა ვთქვი, რომ რაღაც გინდოდა მისგან შეგეტყო, ვიფიქრე, მისი ამბავი მომიტანე.

— მაშინ იქვე გეტყოდი.

ელიზაბეტმა თავი გააქნია.

— არ მეტყოდი, თუ ცნობა არალეგალურად გექნებოდა მიღებული. მაშინ სიფრთხილის დაცვა მოგიხდებოდა.

„სიფრთხილე, — გაიფიქრა გრებერმა, — მთელი დღე მხოლოდ ეს სიტყვა მესმის“. ჰოენფრიდბერგული მარში ისევ და ისევ შემზარავად გრგვინავდა, თითქოს თუნუქის ჭურჭელზე ურახუნებდნენ რაღაცას.

— ახლა ხომ შეიძლება გავაჩეროთ? — შეეკითხა გრებერი.

— კი. და შენთვის სჯობია, რომ წახვიდე. მე ხომ უკვე გითხარი, რაც მოხდა აქ.

— მე ჯაშუში არა ვარ, — თქვა გაჯავრებულმა გრებერმა, — ეგ ვინ ქალია თქვენს ბინაში? მაგან დააბეზღა მამაშენი?

ელიზაბეტმა პატეფონის მემბრანა აიღო, მაგრამ ფირფიტა არ გაუჩერებია. იგი უხმაუროდ განაგრძობდა ტრიალს. სიჩუმეში სირენის გაბმული ყმუილი გაისმა.

— საჰაერო განგაშია! — წაიჩურჩულა ელიზაბეტმა, — ისევ!..

ვილაცამ კარზე დააკაკუნა:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— სინათლე ჩააქრეთ! სწორედ მაგისგან ხდება ხალმე! ყოველთვის გაჩახჩახებული აქვთ!

გრებერმა კარი გააღო.

— რა ხდება სწორედ ამისგან?

ქალი უკვე წინკარის მეორე ბოლოში იყო. კიდევ რაღაც დაიყვირა და გაუჩინარდა. ელიზაბეტმა გრებერს ხელი ააღებინა კარის სახელურიდან და კარი დახურა.

— ეს რა მახრჩობელა ვინმე გყოლია! — თქვა გრებერმა, — საიდან გაჩნდა ეგ ალქაჯი თქვენს ბინაში?

— იძულებით შემოგვისახლეს. მდგმურად მოგვახვიეს თავს. მე კიდევაც უნდა მიხაროდეს, რომ ეს ოთახი მაინც დამიტოვეს.

გარედან ხმაური მოისმა. ქალის ძახილი და ბავშვის ყვირილი. პირველი გამაფრთხილებელი სირენის ღმუილი უფრო გაძლიერდა. ელიზაბეტმა საწვიმარი ჩამოიღო და გადაიცვა.

— თავშესაფარში უნდა წავიდეთ.

— ჯერ ბევრი დრო გვაქვს. რატომ არ გადახვალ აქედან? ხომ ნამდვილი ჯოჯოხეთი უნდა იყოს ამ ჯაშუშთან ერთად ცხოვრება.

— სინათლე ჩააქრეთ! — ახლა ქუჩიდან დაიყვირა ქალმა.

ელიზაბეტი მიბრუნდა და შუქი ჩააქრო. შემდეგ ბნელი ოთახი გადაჭრა და ფანჯარასთან მივიდა, — რატომ არ გადავდივარ? იმიტომ, რომ გაქცევა არ მინდა!

გრებერმა ფანჯარა გააღო. ოთახში ერთბაშად შემოიჭრა სირენების ხმა და ავსო იგი. ელიზაბეტი შავად ჩანდა გარედან მომავალი მქრქალი შუქის ფონზე. მან ღია ფანჯრის საგდულები ჩარაზა: აფეთქებით გამოწვეული ჰაერის ტალღით ღია ფანჯრებში უფრო ნაკლებად იმსხვრეოდნენ მინები. შემდეგ ისევ უკან დაბრუნდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ხმაური, როგორც ნიაღვარი, ისე მოერეკებოდა მას თავის წინ.

— გაქცევა არ მინდა! — დაუყვირა სირენების ღმუილში, — ნუთუ არ გესმის?

გრებერი მის თვალებს ხედავდა. ისინი ახლა კვლავ მრუმე ფერისანი იყვნენ, როგორც უფრო ადრე, კართან, და ბობოქარი ვნებისმიერი ძალით ალსავსენი. გრებერს ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს რაღაცისგან უნდა დაეცვა თავი, — ამ თვალების, ამ სახისგან, სირენათა შემოტევისა და ქაოსისგან, რომელიც მათ უკან იჭრებოდა ფანჯარაში.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— არა, — წარმოთქვა მან, — არ მესმის. ეგ შენ მხოლოდ ბოლოს მოგიღებს. პოზიციას, რომლის შენარჩუნებაც არ ძალუძთ, თმობენ ხოლმე. ეს ჯარისკაცად ყოფნის დროს ვისწავლე.

ელიზაბეტი ერთხანს მისჩერებოდა.

— მაშინ აიღე და შენ თვითონ დათმე! — დაუყვირა შემდეგ გაგულისებით, — შენ თვითონ დათმე, თუ კარგია, ხოლო მე თავი დამანებე!

მან სცადა გრებერისთვის გვერდი აევლო და კარამდე მიაღწია, მაგრამ ვაჟმა მკლავში სტაცა ხელი. ელიზაბეტი ხელიდან დაუსხლტა. უფრო მეტი ლონე აღმოაჩნდა, ვიდრე გრებერი მოელოდა.

— მოიცა! — დაუყვირა, — მეც მოვდივარ.

ხმაური წინ მიერეკებოდა მათ, იგი ყველგან ატანდა — ოთახში, დერეფანში, წინკარში, კიბეზე. იგი იმსხვრეოდა კედლებზე და ამით აღძრულ გამოძახილს კვლავ თავის წიაღში იბრუნებდა. ამიტომ ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს იგი ყოველი მხრიდან მოდიოდა და ვერსად გაექცეოდი, ვერსად იპოვიდი ხსნას. ხმაური იჭრებოდა ყურებში და კანიდან პირდაპირ ატანდა სხეულში, იმღვრეოდა სისხლი, თრთოლდნენ ნერვები, ზრიალებდნენ ძვლები და აზროვნებას ბინდი ეკვროდა.

— ნეტა სად არის ეს წყეული სირენა? — დაიყვირა გრებერმა კიბეზე, — იგი ადამიანს ჭკუაზე შეშლის.

ქვევით სახლის კარი მიჯახუნდა. წამით ღმუილი მხოლოდ ყრუდღა ისმოდა.

— მეზობელ ქუჩაზეა, — თქვა ელიზაბეტმა, — ჩვენ უკან კარლსპლაცზე მდებარე თავშესაფარში წავიდეთ. ჩვენი სახლისა არაფრად არ ვარგა.

კიბეზე ჩრდილები ჩამორბოდნენ, ხელში ჩემოდნები და ფუთები ეჭირათ. ჯიბის ფარანი აინთო და ელიზაბეტის სახე გააშუქა.

— ჩვენთან ერთად წამოდით, თუ მარტო ხართ! — დაუყვირა ვილაცამ.

— მე მარტო არა ვარ.

კაცმა გზა განაგრძო. სახლის კარი ისევ გაიღო. ირგვლივ ხალხი გამალებით გამორბოდნენ სახლებიდან, თითქოს მათ, როგორც კალის ჯარისკაცებს, ყუთებიდან ვილაც ბერტყავდა გარეთ. საჰაერო თავდაცვის მორიგეები ყვირილით იძლეოდნენ ბრძანებებს. ვილაც

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქალმა, რომელსაც წითელი აბრეშუმის ხალათი ეცვა და ყვითელი თმა გასწეწოდა, ამორძალისებური ნავარდით ჩაურბინა მათ. რამდენიმე მოხუცი ბორძიკით მიჩანჩალებდა კედლების გასწვრივ. ისინი ლაპარაკობდნენ, მაგრამ სირენების ღმუილში არაფერი ისმოდა, თითქოს მათი დამჭკნარი ყბები უხმაუროდ იცოხნიდნენ მკვდარ სიტყვებს.

გრებერი და ელიზაბეტი კარლსპლაცამდე მივიდნენ. თავშესაფრის შესასვლელთან ხალხის მღელვარე ბრბო ბობოქრობდა. საჰაერო თავდაცვის მორიგეები მეცხვარის ძაღლებივით დარბოდნენ და ცდილობდნენ წესრიგი დაემყარებინათ. ელიზაბეტი გაჩერდა.

— მოდი, გვერდიდან ვცადოთ შესვლა, — თქვა გრებერმა.

ელიზაბეტმა თავი გააქნია.

— აქ დავიცადოთ.

ხალხის ბრბოს ნაკადი შავად ეშვებოდა წყვდიადში ჩამავალ კიბეზე და მიწის ქვეშ იკარგებოდა. გრებერმა ელიზაბეტს შეხედა და ანაზდეულად აღმოაჩინა, რომ ქალი ისე მშვიდად იდგა, თითქოს ეს ყოველივე მას არ შეეხებოდა.

— მამაცი ყოფილხარ, — უთხრა გრებერმა.

ელიზაბეტმა ახედა.

— არა, მე თავშესაფრის უფრო მეშინია.

— აბა, ჩქარა! — დაუყვირა მათ ერთ-ერთმა მორიგემ, — ჩადით, რაღას უყურებთ! თუ გინდათ, რომ საგანგებოდ დაგპატიჟონ!

*

სარდაფი დაბალჭერიანი, მაგრამ დიდი და მკვიდრად ნაგები იყო. მას ჰქონდა ტალანები, გვერდით გასასვლელები და შუქი. მერხებიც იდგა და საჰაერო თავდაცვის ჯგუფიც მორიგეობდა. ხალხთაგან ზოგს თან მოჰქონდა ლეიბები, საბნები, ჩემოდნები, პაკეტები სანოვაგით და დასაკეცი სკამები. ცხოვრება მიწის ქვეშ უკვე ორგანიზებული იყო. გრებერი აქეთ-იქით იყურებოდა. პირველად იყო სამოქალაქო პირებთან ერთად თავშესაფარში, პირველად — ქალებსა და ბავშვებთან ერთად, პირველად — გერმანიაში.

მოლურჯო მქრქალი შუქი სახეებს ფერს უკარგავდა, თითქოს წყალში დამხრჩვალნი ყოფილიყვნენ. მან იქვე მახლობლად წითელ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხალათში გამოწყობილი ქალი დაინახა, რომელსაც ადრე ქუჩაში მოჰკრა თვალი. ხალათი ახლა იისფერი ჩანდა, ხოლო თმას მომწვანო ფერი გადაჰკრავდა. გრებერმა ამჯერად ელიზაბეტს შეხედა. მისი სახეც ნაცრისფერი და გამხდარი მოეჩვენა. თვალები ღრმად ჩასცვენოდა და მათ ბუდეებს მრუმე ჩრდილები ადგა. თმაც გახუნებული და მკვდრული უჩანდა. „ნამდვილი დამხრჩვლები არიან, — გაიფიქრა გრებერმა, — ისინი დაახრჩვეს ტყუილისა და შიშის მორევში, შერეკეს მიწის ქვეშ და შეაძულეს სინათლე, სიცხადე და სიმართლე“.

მის პირდაპირ ვიღაც ქალი იჯდა ორ ბავშვთან ერთად, ბავშვები კალთაზე ეკვროდნენ. პატარებს ბრტყელი, ყოველგვარ გამომეტყველებას მოკლებული, თითქოს გაყინული სახეები ჰქონდათ. მათი თვალებიღა ცოცხლობდნენ მხოლოდ. ისინი ბრწყინავდნენ, როდესაც შუქი პირდაპირ ეცემოდათ. დიდრონი და ფართოდ გახელილნი იყვნენ და უმალ შემოსასვლელს აპყრობდნენ მზერას, როცა საზენიტო ქვემეხთა ბათქაბუთქი ძლიერდებოდა და დაბლა იწევდა, შემდეგ კი მათი მზერა დაბალ ჭერსა და კედლებს ეცლებოდა და კვლავ შემოსასვლელს უბრუნდებოდა. თვალები სწრაფად არ მოძრაობდნენ და არც ბიძგებით, არამედ ნელ-ნელა და მდორედ, რადგან ბავშვები ხმაურს აყოლებდნენ მათ, როგორც ეს პარალიზებული ცხოველების თვალებს სჩვევიათ. მათი მზერა, დამძიმებული და მაინც მოფარფატე, სხარტი და ამავე დროს თითქოს ღრმა ტრანსით გათანგული, თან სდევდა ხმაურს, ტრიალებდა, და ბავშვების თვალებში თავშესაფრის ნათურების სუსტი შუქი ირეკლებოდა. ისინი გრებერს ვერ ხედავდნენ, თვით დედასაც კი ვერ ამჩნევდნენ; რისიმე აღქმის ან გამოხატვის უნარი დაჰკარგოდათ; რაღაც განუსაზღვრელი დაძაბულობით ადევნებდნენ თვალს იმას, რისი დანახვაც არ შეეძლოთ; გრუხუნს, რომელიც შეიძლება სიკვდილსაც კი მოასწავებდა. ბავშვები იმდენად პატარები არ იყვნენ, რომ საშიშროება ვერ ეგრძნოთ, და არც იმდენად დიდები, რომ ფუჭი სიმამაცით შენიღბულიყვნენ. დაძაბულნი იყვნენ, უმწეონი და განწირულნი.

გრებერმა უეცრად შენიშნა, რომ არა მხოლოდ ბავშვები, არამედ დანარჩენთა თვალებიც იმავე გზას გადიოდნენ. სახე და სხეული ყველას გაშეშებოდა; ხალხი სმენად ქცეულიყო, მაგრამ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უსმენდნენ არა მარტო ყურებით, არამედ წინ წახრილი მხრებით, ბარძაყებით, მუხლებით, მკლავებით და ხელებით, რომლებზედაც თავები დაეყრდნოთ. უსმენდნენ გაუნძრევლად და მხოლოდ თვალებს აყოლებდნენ ხმაურს, თითქოს უსიტყვო ბრძანებას ემორჩილებოდნენ.

და მაშინ გრებერი გუმანით მიხვდა, რომ ყველას ეშინოდა.

თავშესაფრის შეხუთულ ატმოსფეროში შეუმჩნევლად რაღაც ცვლილება მოხდა. გარეთ ზათქი და გრიალი ისევ მძვინვარებდა, მაგრამ საიდანღაც მაცოცხლებელმა ნიავმა დაუბერა თითქოს. გარინდებული ხალხი ამოძრავდა. ერთბაშად სარდაფი მოკუნტული სხეულებით სავსე კი არ ჩანდა, არამედ მასში კვლავ ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ, რომელთაც უკვე აღარ ჰქონდათ სასოება წართმეული და გონება დახშული. წელში სწორდებოდნენ და მოძრაობას იწყებდნენ. გამომეტყველებაც ადამიანური გახდომოდათ უკვე, სახეები ნიღბებს აღარ მიუგავდათ.

— იქით გაფრინდნენ, — თქვა ბერიკაცმა ელიზაბეტის გვერდით.

— შეიძლება ისევ უკან დაბრუნდნენ, — გამოეპასუხა ვიღაც, — მაგათ ეგრე იციან. ერთი პირობა დაუვლიან და მერე გაფრინდებიან ხოლმე, შემდეგ კი ისევ უკან ბრუნდებიან, როდესაც ყველანი ამოვლენ ხოლმე თავშესაფრებიდან.

ორივე ბავშვი ამოძრავდა, რომელიღაც მამაკაცმა დაამთქნარა. საიდანღაც გოშია გამოძვრა და ყველაფერს სუნვა დაუწყო. ძუძუმწოვარა ბალღი ატირდა. ზოგმა სანოვაგის პაკეტი გახსნა და ჭამას შეუდგა. ერთმა ვალკირიას[1] მსგავსმა ქალმა წიკვინა ხმით წამოიყვირა:

— არნოლდ! გაზის გამორთვა რომ დაგავიწყდა? სადილი სულ დაგვეწვებოდა! როგორ არ გაგახსენდა?

— დამშვიდდით, — თქვა ბერიკაცმა, — საჰაერო განგაშის დროს გაზს მთელ ქალაქში გამორთავენ ხოლმე.

— თქვენც ვითომ დამამშვიდეთ! ეგ ხომ კიდევ უარესია: როცა ხელახლა ჩართავენ, მთელი ბინა გაზით გაივსება!

---

[1] *ვალკირიები (გერმ., ძვ. სკანდინ.) — სკანდინავიურ მითოლოგიაში: მეომარი ქალღმერთები (ღმერთ ოდინის შვილები), რომლებიც ომს წარმართავენ, ხოლო ომში დაღუპული ვაჟკაცების სულები მიჰყავთ ვალჰალაში (ოდინის სასახლეში) და იქ ემსახურებიან, ალხენენ მათ.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— განგაშის დროს გაზი არ გამოირთვება, — განაცხადა ჯილაჯის პუდანტურმა დამრიგებლურმა ხმამ, — მხოლოდ საპაერო თავდასხმის დროს.

ელიზაბეტმა ჯიბიდან საკარცხელი და სარკე ამოიღო და თმის ვარცხნა დაიწყო. სარდაფის მკვდრულ სინათლეში ისე ჩანდა, თითქოს საკარცხელი მშრალი მელნისგან იყო ნაკეთი, მაგრამ თმა მის ქვეშ ტალღებად იგრაგნებოდა და ტკაცატკუცი გაუდიოდა.

— ნეტავი მალე გავიდოდეთ აქედან! — წაჩურჩულა მან, — სული მეხუთება აქ!

მათ კიდევ ნახევარი საათი მოუხდათ ცდა. შემდეგ, როგორც იქნა, ყველა კარი გააღეს და გასასვლელისკენ გაემართნენ. კართა ზევით პატარა, შუქფარიანი ნათურები ენთო. გარედან კი კიბის საფეხურებზე უხვად იღვრებოდა მთვარის შუქი. ელიზაბეტი ყოველ წინ გადადგმულ ნაბიჯზე იცვლვბოდა, თითქოს საღათას ძილიდან ერკვეოდა. თვალის ბუდეებში მრუმე ჩრდილები გაუქრა. სახიდან ტყვიისფერი წარეხოცა, თმამ სპილენძისებური ათინათი შეიძინა, კანი კვლავ თბილი და სალუქი გაუხდა. სიცოცხლე დაუბრუნდა — უფრო მჩქეფარე, სავსე და ძლიერი იყო, ვიდრე მანამდე; სიცოცხლე ხელახლა ნაპოვნი, არდაკარგული და მით უფრო სანუკვარი და ნათელფენილი, რომ იგი მხოლოდ მცირე ხნით დაბრუნებულიყო უკან.

ისინი თავშესაფრის წინ იდგნენ. ელიზაბეტი ლაღად სუნთქვდა. მხრებსა და თავს ისე ამოძრავებდა, როგორც გალიიდან ახალგამოშვებული ჯეირანი.

— როგორ მეჯავრება ეს ძმათა სასაფლაოები მიწის ქვეშ! — თქვა მან, — მათში სული ეხუთება ადამიანს! — ენერგიული მოძრაობით უკან გადაიყარა წინ ჩამოშლილი კულულები, — ნანგრევები სამოთხეა მათთან შედარებით. იქიდან ცა მაინც მოჩანს.

გრებერმა შეხედა ელიზაბეტს. თითქოს რაღაც ველურსა და დაუოკებელ ჟინს მოეცვა, ისე იდგა ბეტონის ვეება და შიშველი ნაგებობის წინ, რომლის კიბეც მიწისქვეშეთში ეშვებოდა და საიდანაც ის-ის იყო, თავი დააღწია.

— შინ დაბრუნება გინდა? — ჰკითხა გრებერმა.

— ჰო... მაშ, სხვაგან სად უნდა წავიდე? ბნელ ქუჩებში ხომ არ დავიწყებ ხეტიალს. ეგ უკვე დიდი ხანია მომბეზრდა.

წყვილმა კარლსპლაცი გადასერა. ქარი ისე დასუნსულებდა მათ, როგორც ვეება ნაგაზი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ნუთუ არ შეგიძლია იქიდან სადმე გადახვიდე? — შეეკითხა გრებერი, — მიუხედავად ყოველივესი, რასაც ამბობ?

— სად უნდა გადავიდე? გეგულება სადმე ოთახი?

— არა.

— არც მე. ათასობით არიან უსახლკაროდ დარჩენილნი და მე როგორ შევძლებ სადმე გადასვლას?

— მართალს ამბობ. ახლა უკვე გვიანღაა.

ელიზაბეტი გაჩერდა.

— და კიდევაც რომ შემეძლოს, მაინც არ გადავიდოდი. მაშინ მეგონებოდა, რომ მამა გასაჭირში ბედის ანაბარა მივატოვე. შენთვის ეს გაუგებარია?

— არა, რატომ.

გზა განაგრძეს. გრებერს ანაზდად მოჰბეზრდა ამ ქალთან ყოფნა. როგორც უნდა, ისე მოიქცესო, — გაიფიქრა. ძალიან დაღლილი იყო და მოთმინების უნარი წაერთვა, თანაც ერთბაშად წარმოიდგინა, რომ მისი მშობლები ახლა, სწორედ ამ წამში, ჰაკენშტრასეზე ეძებდნენ მას.

— უნდა წავიდე, — წარმოთქვა მან, — ერთს შევპირდი მისვლას და უკვე ვაგვიანებ. ღამე მშვიდობისა, ელიზაბეტ.

— ღამე მშვიდობისა, ერნსტ!

გრებერმა თვალი გააყოლა ელიზაბეტს, მაგრამ იგი წამსვე გაუჩინარდა სიბნელეში. „სახლამდე უნდა გაჟყოლოდი“, — გაიფიქრა გრებერმა. მაგრამ საბოლოო ჯამში ეს მისთვის სულერთი იყო. გაიხსენა, რომ ბავშვობაშიც არ მოსწონდა იგი.

შემდეგ სწრაფად შეტრიალდა და ჰაკენშტრასესკენ გაემართა. მაგრამ იქ ვერაფერი იპოვა. არც არავინ დახვდა. მხოლოდ მთვარე იყო იქ და ახალი ნანგრევების უცნაური, გამთანგავი მდუმარება, რომელიც ჰაერში თითქოს უტყვი ყვირილის გაყინულ გამოძახილს წარმოადგენდა. ძველი ნანგრევების მდუმარება სხვაგვარი იყო.

*

ბოტჰერი უკვე უცდიდა ქალაქის სამმართველოს შენობის საფეხურებზე. მის გარშემო მთვარის შუქზე ქიმერის[1] ფერმკრთალი სახე ლიცლიცებდა, რომლითაც წყალსადინარი შეემკოთ.

---

[1] *ქიმერა (ბერძნ.) — აქ: ფანტასტიკური ურჩხულის სკულპტურული გამოსახულება.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— რამე ხომ არ გაგიგია? — შეეკითხა იგი გრებერს.

— არა, შენ?

— არც მე. საკადმყოფოში ისინი არ არიან. ამის თქმა დანამდვილებით შეიძლება, რადგან ახლა უკვე თითქმის ყველა საკადმყოფო მაქვს შემოვლილი. კაცო, რა არ ვნახე იქ! ქალები და ბავშვები მაინც სულ სხვანი არიან, ვიდრე ჯარისკაცები! წამოდი, სადმე თითო ლუდი დავლიოთ.

ჰიტლერპლაცი გადასერეს. მათ ჩექმებს ბრაგაბრუგი გაუდიოდა.

— კიდევ ერთი დღე გავიდა, — თქვა ბოტჰერმა, — რა უნდა გააკეთო კაცმა? მალე ასე მთელი შვებულება გავა.

ლუდხანის კარი შეაღეს და ფანჯარასთან მდგარ მაგიდასთან დასხდნენ. ფარდები მჭიდროდ ჩამოეფარებინათ. დახლზე, ნახევრად სიბნელეში, ნიკელის ონკანები ბრჭყვიალებდნენ. ბოტჰერი, ეტყობოდა, უკვე ნამყოფი იყო აქ. მათ ლუდხანის დიასახლისმა უკითხავად ორი კათხა ლუდი დაუდგა წინ. ბოტჰერმა თვალი გააყოლა. ქალი მსუქანი იყო და სიარულის დროს თეძოები უთამთამებდა.

— აი, ასე ზიხარ კაცი მარტოდმარტო, — განაცხადა ბოტჰერმა, — ხოლო სადღაც სხვაგან ზის შენი ცოლი. აგრეთვე მარტოდმარტო, — ყოველ შემთხვევაში, ვიმედოვნებ, რომ მარტოდმარტო! ხომ შეიძლება ამისგან კაცი გაგიჟდეს?

— არ ვიცი, მე, მაგალითად, მოხარული ვიქნებოდი, ოღონდაც ვიცოდე, რომ ჩემი მშობლები სადმე სხედან. სულერთია, სად.

— მერე რა. მშობლები სულ სხვა რამეა, ვიდრე ცოლი. ისინი შენ არ გესაჭიროებიან. ჯანმრთელად არიან? ძალიან კარგი, მორჩა და გათავდა. მაგრამ ცოლი...

კიდევ ორი ჭიქა ლუდი შეუკვეთეს და საკახშმოდ სანოვაგე ამოალაგეს. ლუდხანის დიასახლისი ერთთავად მათ ძეხვსა და ქონს უყურებდა.

— ურიგოდ არ ცხოვრობთ, ბიჭებო, — თქვა მან.

— ჰო, ურიგოდ არ ვცხოვრობთ, — მიუგო ბოტჰერმა, — ორივეს თითო გაუხსნელი პაკეტიც გვაქვს ხორცითა და შაქრით სავსე! აი, შვებულებიანებს რომ აძლევენ სახლში წასაღებად. პირდაპირ არ ვიცით, სად წავიღოთ! — ლუდი მოსვა, — შენ რა გიჭირს, — მწარედ მიმართა გრებერს, — ახლა გამოძღები, მერე წახვალ, სადმე ბოზს დაიჭერ და მასზე გადმოანთხევ შენს ჭირ-ვარამს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ეს ხომ შენც შეგიძლია.

ბოტჰერმა თავი გააქნია. გრებერმა გაკვირვებით შეხედა: არ მოელოდა ასეთ ერთგულებას ძველი ჯარისკაცისგან.

— ისინი მეტისმეტად გამხდრები არიან, ძმაო, — განუმარტა ბოტჰერმა, — მთელი უბედურება იმაშია, რომ მე მხოლოდ გათქვირულ ქალებს ვეტანები, დანარჩენებს კი ვერ ვიტან. მათთან უბრალოდ არ შემიძლია... ვითომ ტანსაცმლის საკიდართან დავწოლილვარ ლოგინში. მხოლოდ ძალიან გათქვირულები მიყვარს, დანარჩენები თუნდაც არ ყოფილან!

— აგერ, სწორედ საშენო, — გრებერმა ლუდხანის დიასახლისზე მიუთითა.

— არა, ცდები! — ბოტჰერი გამოცოცხლდა, — აქ ძალიან დიდი განსხვავებაა, ჩემო ძმაო. ის, რასაც შენ ხედავ, ცარიელი ქონია, დუნე და დონდლო. შიგ შეიძლება ჩაეფლო კაცი. მართალია, წარმოსადეგი ქალია, ხორცსავსე, ფუნჩულა, მაგრამ ეგ ხომ ბუმბულის ქვეშაგებია და არა ორსაწოლიანი ზამბარებიანი ლეიბი, როგორიც ჩემი ცოლი. მას ყველაფერი ისეთი აქვს, თითქოს რკინისგან იყოს ჩამოსხმული. მთელი სახლი სამჭედლოსავით ზანზარებდა ხოლმე, როდესაც ის ამუშავდებოდა, და კედლებიდან ბათქაში ცვიოდა. არა, ძმაო, ასეთს ქუჩაში ვერ იპოვი.

ბოტჰერი ფიქრში ჩაიძირა. გრებერს ანაზდეულად იების სუნი მოუვიდა. მიიხედ-მოიხედა. ფანჯრის რაფაზე მდგარ ქოთანში ჩარგული იები უტკბეს სურნელს აფრქვევდნენ. ყველაფერი იყო მათ სურნელებაში: საშობლო, იმედი და სიჭაბუკის დავიწყებული ზმანებანი. იების სურნელი მძაფრი იყო და იგი გრებერს ერთბაშად ეცა, მოულოდნელ თავდასხმასავით ერთბაშად, მაგრამ სწრაფადვე განქარდა და გრებერი ისე გაოგნებული და დაქანცული დატოვა, თითქოს მას, ჯარისკაცის სრული აღჭურვილობით დატვირთულს, მთელი დღე ღრმა თოვლში ერბინა.

იგი წამოდგა.

— სად მიდიხარ? — შეეკითხა ბოტჰერი.

— რა ვიცი. წავალ სადმე.

— კომენდატურაში იყავი?

— კი. მიმართვა მომცეს ყაზარმაში.

— კეთილი. ეცადე, ეგებ ორმოცდამერვე ნომერში მოხვდე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— კარგი.

ბოტჰერი ზანტად აყოლებდა თვალს დიასახლისს.

— მე ცოტა ხანს კიდევ ვიჯდები აქ. ერთიც დალიე კიდევ.

გრებერი ნელა მისდევდა ქუჩას ალმართ-ალმართ. ყაზარმაში მიდიოდა. ღამე აციოდა. ერთ გზაჯვარედინზე ყუმბარით ამოთხრილი ძაბრის ზევიდან რელსები ამოშვერილიყო და ბზინავდა. სახლების კართა ჭრილებში მთვარის შუქი ლითონივით ჩაწოლილიყო. საკუთარი ნაბიჯის გამოძახილი ისე ესმოდა, თითქოს ქუჩის ქვემოთაც ვილაც მიდიოდა მასთან ერთად.

ყაზარმა გორაკზე მდებარეობდა, ქალაქის განაპირას. იგი დაუზიანებლად გადარჩენილიყო. სამოსწავლო მოედანი თეთრი შუქით მოფენილიყო, თითქოს თოვლი იდო ზედ. გრებერი ალაყაფის კარში შევიდა. ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს შვებულება უკვე გაუთავდა. წარსული დაემხო, როგორც მისი მშობლების სახლი, იგი კვლავ ფრონტზე მიდიოდა; მართალია, ამჯერად სხვაზე, სადაც არ იქნებოდა ქვემეხები და შაშხანები, მაგრამ საფრთხე იქაც არანაკლები იყო.

X

ეს მოხდა სამი დღის შემდეგ. ორმოცდამერვე ოთახში მაგიდასთან იჯდა ოთხი კაცი და სკატს თამაშობდა. ისინი უკვე ორი დღის განმავლობაში თამაშობდნენ და მხოლოდ ჭამისა და ძილის დროს წყვეტდნენ თამაშს. სამი მოთამაშე იცვლებოდა, მეოთხე კი შეუნაცვლებლად თამაშობდა. იგი რუმელი იყო გვარად და ამ სამი დღის წინ შვებულებაში ჩამოსულიყო — სწორედ დროულად იმისთვის, რომ თავისი ცოლი და ქალიშვილი დაემარხა. ცოლი ხალზე იცნო, რომელიც ქალს თეძოზე ჰქონდა, თორემ თავი ველარ იპოვეს. დასაფლავების შემდეგ ყაზარმაში მივიდა და სკატის თამაში დაიწყო. ხმას არავის სცემდა, გაუნძრევლად იჯდა და თამაშობდა. გრებერი ფანჯარასთან იჯდა. მის გვერდით მოთავსებულიყო ეფრეიტორი როიტერი, რომელსაც ხელში ლუდით სავსე ბოთლი ეჭირა და ბანდით შეხვეული მარჯვენა ფეხი ფანჯრის რაფაზე ჩამოედო. იგი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყველაზე უფროსი იყო ამ ოთახში და ნიკრისის ქარები ტანჯავდა. ორმოცდამერვე ოთახი არა მხოლოდ ნავსაყუდელს წარმოადგენდა დაზარალებულ შვებულებიანთათვის, არამედ ლაზარეთსაც მსუბუქად დაავადებულებისთვის. ბანქოს მოთამაშეთა უკან მესანგრე ფელდმანი იწვა. იგი თავგამოდებით ცდილობდა, რომ რაც სამი წლის განმავლობაში ძილი დაჰკლებოდა, ამ სამ კვირაში შეევსო როგორმე, და საწოლიდან მხოლოდ ჭამისთვის დგებოდა.

— ბოტჰერი სად არის? — იკითხა გრებერმა, — ჯერ არ დაბრუნებულა?

— იგი ჰასტესა და იბურგში გაემგზავრა. დღეს შუადღისას ვიღაცამ ველოსიპედი ათხოვა. ახლა დღეში ორი სოფელი შეუძლია მოიაროს. მაგრამ ათზე მეტი აქვს კიდევ დარჩენილი. და მერე ბანაკები? ბანაკი აღარ დარჩა, რომ ევაკუირებულნი არ გაეგზავნათ იქ. ისინი ასეული კილომეტრებით არიან აქედან დაშორებულნი. იმათ როგორღა მოივლის?

— ოთხ ბანაკში უკვე მივწერე, — თქვა გრებერმა, — ორივეს მაგივრად.

— და გჯერა, რომ პასუხს მიიღებ?

— არა, მაგრამ რას იზამ. მიუხედავად ამისა, მაინც სწერ კაცი.

— მერედა ვის მისწერე?

— ბანაკის ხელმძღვანელობას და აგრეთვე ყოველ ბანაკში პირდაპირ ბოტჰერის ცოლისა და ჩემი დედ-მამის სახელზე.

გრებერმა წერილების მთელი დასტა ამოიღო ჯიბიდან და დაანახვა.

— ახლავე უნდა წავიღო ფოსტაში.

როიტერმა თავი დაუქნია.

— დღეს სად იყავი?

— სამოქალაქო სკოლაში და საეკლესიო სკოლის ტანვარჯიშის დარბაზში, შემდეგ რომელიღაც საერთო საცხოვრებელში და ერთხელ კიდევ გამწერ ბიუროში. ყველგან ამაოდ.

ბანქოს ერთ-ერთი მოთამაშე, რომელიც სხვამ შეცვალა, მათ მიუჯდა.

— ვერ გამიგია, როგორ ჩერდებით თქვენ, შვებულებიანები, ყაზარმაში, — მიმართა გრებერს, — მე, მაგალითად, შევეცდებოდი, რაც შეიძლება შორს ვყოფილიყავი ყაზარმული სულისგან. ეს იქნე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბოდა ჩემი დევიზი! ერთ პატარა ოთახს დავიქირავებდი, სამოქალაქო ტანსაცმელს გადავიცვამდი და ორი კვირით ადამიანი გავხდებოდი.

— მერე სამოქალაქო ტანსაცმლის ჩაცმა კმარა იმისთვის, რომ ადამიანი გახდე?

— ცხადია. აბა, მაშ სხვა რა?

— გესმის? — მიუბრუნდა როიტერი გრებერს, — რა მარტივია ცხოვრება, როდესაც მარტივად მიუდგები. შენ თან გაქვს სამოქალაქო ტანსაცმელი?

— არა. ჩემი სამოქალაქო ტანსაცმელი ჰაკენშტრასეს ნანგრევების ქვეშ აწყვია.

— მე შემიძლია გათხოვო, თუ მოისურვებ.

გრებერმა ფანჯრიდან ყაზარმის ეზოში გაიხედა. იქ რამდენიმე ოცეული მეცადინეობდა, სწავლობდნენ დატენასა და დამცველზე დაყენებას, ხელყუმბარის ტყორცნასა და სალმის მიცემას.

— რა კრეტინობაა, — თქვა მან, — ფრონტზე ვფიქრობდი, როდესაც სახლში ჩამოვიდოდი, პირველ ყოვლისა, ამ წყეულ ჩვრებს გავიძრობდი და სამოქალაქო ტანსაცმელში გამოვეწყობოდი. ახლა კი ჩემთვის ეს სულერთია.

— ეს იმიტომ, რომ წმინდა წყლის ყაზარმის ფუნა ხარ! — განუცხადა ბანქოს მოთამაშემ და საქონლის გულ-ღვიძლისგან დამზადებული ძეხვის ნაჭერი გადაყლაპა, — უსაქმური, რომელმაც არ იცის, თუ რა არის კარგი. რა სისულელეა, რომ შვებულებას ყოველთვის ულირსები იღებენ! — იგი უკან გაბრუნდა, რათა თამაში განეგრძო. მან ოთხი მარკა წააგო რუმელთან და თანაც დილით ამბულატორიის ექიმმა სამწყობრო სამსახურისთვის ვარგისად მიიჩნია. ამიტომ იყო გამწარებული.

გრებერი წამოდგა.

— სად მიდიხარ? — შეეკითხა როიტერი.

— ქალაქში. ჯერ ფოსტაში და შემდეგ კი ძებნას განვაგრძობ.

როიტერმა ლუდის ცარიელი ბოთლი მაგიდაზე დადგა.

— ნუ დაგავიწყდება, რომ შვებულებაში ხარ და გახსოვდეს, რომ იგი მალე დამთავრდება.

— მაგას რა დამავიწყებს, — მწარედ მიუგო გრებერმა.

როიტერმა ფრთხილად ჩამოიღო შეხვეული ფეხი ფანჯრის რაფიდან და დაბლა დაუშვა წინგაშვერილი.

— ამას არ ვგულისხმობ. ყოველი ღონე იხმარე, რომ დედ-მამა იპოვო, მაგრამ ნუ დაგავიწყდება, რომ შვებულებაში ხარ. ბევრი წყალი ჩაივლის, ვიდრე კიდეც მოგცემდნენ.

— ვიცი, თანაც მანამდე ალბათ ბევრჯერ მომეცემა შემთხვევა, სამუდამოდ გავჭიმო ფეხები. ესეც ვიცი.

— კეთილი, — თქვა როიტერმა, — რახან იცი, მაშ ყველაფერი წესრიგში ყოფილა.

გრებერი კარისკენ გაემართა. როდესაც ბანქოს მოთამაშეთა მაგიდას მიუახლოვდა, რუმელს ის-ის იყო „გრანი“ გამოეცხადებინა. ოთხივე ვალეტი ხელთ ჰქონდა და ამასთან ერთად ყველა ჯვარიც. უკეთეს კარტს ვერც კი ინატრებდით. გაქვავებული სახით ამარცხებდა მოწინააღმდეგეებს, ისე, რომ ეს უკანასკნელნი გონზე მოსვლასაც ვერ ასწრებდნენ.

— რა დანავსული ვარ, ერთხელაც არ ამიყვანია! — სასოწარკვეთილებით წარმოთქვა მამაკაცმა, რომელმაც გრებერს ყაზარმის ფუნა უწოდა, — მაინც როგორ მოსდის, არა? და თანაც, არც უხარია!

— ერნსტ!

გრებერი მიტრიალდა. მის წინ კრაისლაიტერის ფორმაში გამოწყობილი პატარა, მაგრამ ჩასკვნილი მამაკაცი იდგა. გრებერმა ერთი შეხედვით ვერ იცნო, მაგრამ შემდეგ ერთბაშად გაახსენდა, თუ ვისი უნდა ყოფილიყო ეს წითელლოყება და თხილისმაგვართვალებიანი მრგვალი სახე.

— ბინდინგ, — წარმოთქვა მან, — ალფონს ბინდინგ!

— სწორედ ის გახლავს.

ბინდინგი სახეგაბრწყინებული უყურებდა.

— ერნსტ, ჩვენ ხომ მთელი საუკუნე არ გვინახავს ერთმანეთი! საიდან ჩამოხვედი?

— რუსეთიდან.

— მაშასადამე, შვებულებაში, არა? ეს ჩვენ აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ. წამო ჩემს ქოხმახში. მე აქვე, სულ ახლოს ვცხოვრობ. საუკეთესო კონიაკი მაქვს! ხუმრობა საქმეა, შეხვდე სკოლის ამხანაგს, რომელიც ეს-ეს არის, ფრონტიდან ჩამოვიდა? ასეთი შემთხვევა აუცილებლად უნდა დავასველოთ!

გრებერი მისჩერებოდა მას. ბინდინგი რამდენიმე წელიწადს მის ჯგუფში სწავლობდა, მაგრამ გრებერს თითქმის სრულიად დავიწ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყებული ჰყავდა. მხოლოდ ერთხელ შემთხვევით მოჰკრა ყური, რომ ალფონსი პარტიაში შესულიყო და დაწინაურებულიყო კიდეც. ახლა კი ბინდინგი მის წინ იდგა, მხიარული და უდარდელი.

— წამოდი, ერნსტ! — აძალებდა იგი, — ხასიათი არ გამიფუჭო!

გრებერმა თავი გააქნია.

— დრო არა მაქვს.

— კარგი რა, ერნსტ! მხოლოდ თითო გადაკრათ ვაჟკაცურად! ამისთვის ძველ ამხანაგებს ყოველთვის მოეძებებათ დრო!

ძველ ამხანაგებს! გრებერი უყურებდა მის მუნდირს. ბინდინგი მაგრად დაწინაურებულიყო. „მაგრამ იქნებ სწორედ ამის გამო შეუძლია დამეხმაროს მშობლების მოძებნაში? — გაუელვა უეცრად გრებერს, — თუნდაც იმიტომ, რომ პარტიული ბობოლა გამხდარა“.

— კარგი, ალფონს, — წარმოთქვა მან, — ოღონდ მხოლოდ თითო, იცოდე.

— აი, ეს მესმის, ერნსტ. წამო, ჩემი სახლი აქვეა.

*

ბინდინგის სახლი უფრო შორს აღმოჩნდა, ვიდრე მასპინძელი ირწმუნებოდა. იგი გარეუბანში ცხოვრობდა, პატარა, თეთრ ვილაში, რომელიც სრულიად დაუზიანებელი, მშვიდად იდგა მაღალ არყისხეებიან ბაღში. ხეებზე პაწია სახლები ეკიდა ჩიტებისთვის და სადღაც წყალი დგაფუნობდა.

ბინდინგი გრებერზე წინ შევიდა სახლში. დერეფანში ირმის რქები, გარეული ღორის თავის ქალა და დათვის თავისვე ფიტული ეკიდა. გრებერი მათ გაოცებული უყურებდა.

— შენ რა, ასე დიდი მონადირე გახდი, ალფონს?

ბინდინგმა ჩაიცინა.

— რას ამბობ, ჩემს სიცოცხლეში თოფი არ მჭერია ხელში. ეს ყველაფერი დეკორაციაა. მაგრამ კარგი კია, არა? გერმანული სული გამოსჭვივის.

მან გრებერი მთლიანად ხალიჩებით მოფენილ ოთახში შეიყვანა. კედელზე მდიდრულ ჩარჩოებში ჩასმული ნახატები ეკიდა. ირგვლივ დიდრონი ტყავის საკარძლები იდგა.

— რას იტყვი ამ „სენაკზე“? — შეეკითხა იგი ამაყად, — მყუდროა, არა?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გრებერმა თავი დაუქნია. პარტია, ეტყობა, ზრუნავდა თავის წევრებზე. ალფონსი ერთი ღარიბი რძით მოჯარის შვილი იყო და მისმა მამამ დიდი გაჭირვებით შეძლო შვილისათვის გიმნაზიაში ესწავლებინა.

— დაჯექი, ერნსტ. როგორ მოგწონს ჩემი რუბენსი?

— რა თქვი?

— რუბენსი-მეთქი! აგერ, ის განიერთეძოებიანი, როიალის გვერდით!

ნახატზე გამოსახული იყო გაფაშფაშებული შიშველი ქალი, რომელიც გუბურის ნაპირას იდგა. მას ოქროსფერი თმა ჰქონდა და ვეება დუნდულები, რომელთაც ზზე აშუქებდა. „აი, ეს ბოტჰერს ნამდვილად მოეწონებოდა“, — გაიფიქრა გრებერმა.

— კარგია, — წარმოთქვა მან.

— კარგია? — ბინდინგი გულაცრუებული დარჩა, — კაცო, ეს ხომ არაჩვეულებრივი რამეა! თანაც იმავე ანტიკვართან არის ნაყიდი, ვისგანაც რაიხსმარშალი ყიდულობს ხოლმე. შედევრია! მე იაფად ჩავიგდე მეორე ხელიდან! არ მოგწონს?

— როგორ არა, მაგრამ მე ხომ მცოდნე არა ვარ. აი, მე ვიცნობ ერთს, რომელიც პირდაპირ გაგიჟდებოდა ამ სურათის დანახვაზე.

— მართლა? ცნობილი კოლექციონერია?

— არა, მაგრამ რუბენსის სპეციალისტია.

ბინდინგს სიამოვნებისგან სახე გაუბრწყინდა.

— მოხარული ვარ, ერნსტ! ნამდვილად მოხარული! მე თვითონაც ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე კოლექციონერი გავხდებოდი. მაგრამ ახლა ის მითხარი, თუ როგორ ხარ და რას აკეთებ. ან იქნებ რამე შემიძლია შენთვის გაკეთო? ხომ იცი, ყველას თავისი ნაცნობობა ჰყავს! — და მან ეშმაკურად ჩაიცინა.

გრებერს თავისდა უნებურად ცოტათი გული აუჩუყდა. პირველად იყო, რომ ვილაც ყოველგვარი სიფრთხილის გარეშე დახმარებას სთავაზობდა.

— შენ მართლაც შეგიძლია რაღაც გააკეთო ჩემთვის, — თქვა მან, — ჩემი შშობლები უკვალოდ დაიკარგნენ. შეიძლება ეკაკუირებული არიან რომელიმე სოფელში. როგორ შემიძლია აღმოვაჩინო? აქ, ამ ქალაქში, ისინი, როგორც ჩანს, უკვე აღარ არიან.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბინდინგი საკარძელში ჩაჯდა, რომელიც თამბაქოს მოსაწევი მაგიდის გვერდზე იდგა. მაგიდა სპილენძით იყო მოჭედილი. გაკრიალებული ჩექმები ბინდინგის წინ ისე აღიმართნენ, როგორც ღუმლის მილები.

— ეგ არც ისე იოლია, თუ უკვე ქალაქში აღარ არიან, — განაცხადა მან, — ვნახავ, რა შეიძლება გაკეთდეს. ამას რამდენიმე დღე სჭირდება. შეიძლება მეტიც. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ სად იმყოფებიან. ახლა ყველაფერში საგრძნობი არეულობაა. ეს შენც ალბათ მოგეხსენება.

— კი, ეს საკუთარი თვალით ვნახე.

ბინდინგი წამოდგა, კარადასთან მივიდა და ერთი ბოთლი და ორი ჭიქა გადმოიღო.

— ჯერ თითო შევსვათ, ერნსტ. ნამდვილი არმანიაკია[1]. ეს მე თითქმის კონიაკსაც კი მირჩევნია. გაგიმარჯოს!

— გაგიმარჯოს, ალფონს!

ბინდინგმა კიდევ დაასხა.

— სად ცხოვრობ ამჟამად? ნათესავებთან?

— ჩვენ ნათესავები არ გვყავს ქალაქში. ყაზარმაში ვარ.

ბინდინგმა ჭიქა მაგიდაზე დადგა.

— კი მაგრამ, ერნსტ, ეს ხომ სისულელეა! ყაზარმაში გატარებული შვებულება! ეს ხომ იგივეა, რომ შვებულება სულ არ გქონდეს?! ჩემთან შეგიძლია იცხოვრო! აქ ადგილი საკმარისია! საძილე, საბანაზანო, სრული სიწყნარე, და რა გინდა, სულო და გულო!

— მერე შენ მარტო ცხოვრობ აქ?

— ცხადია, მარტო! ან იქნებ ფიქრობ, რომ ცოლიანი ვარ? ჯერ ეგრე არ გავსულელებულვარ! ჩემნაირი მდგომარეობის კაცს ისედაც პირდაპირ სახლში უცვივდებიან ქალები. აი, გეუბნები, ერნსტ, მათ მუხლებზედაც კი უხოხიათ ჩემ წინაშე.

— ნუთუ მართლა?

— ჰო, მუხლებზე! ჯერ კიდევ გუშინ! ერთი მანდილოსანი მეახლა საზოგადოების მაღალი წრიდან. წარმოიდგინე წითელთმიანი ბანოვანი შესანიშნავი მკერდით, პირბადით და ბეწვის ქურქით — და აი აქ, ამ ხალიჩაზე, ცხარე ცრემლებს აფრქვევდა და ყველაფერზე

[1] *არმანიაკი — ფრანგული არაყი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თანახმა იყო. მთხოვდა, მისი ქმარი გამომეხსნა საკონცენტრაციო ბანაკიდან.

გრუბერმა ზეაიღო თავი.

— განა შეგიძლია ასეთი რამ?

ბინდინგმა გაიცინა.

— იქ ვისმეს ჩასმა შემიძლია, მაგრამ გამოყვანა კი იოლი საქმე არ არის. ეს, რასაკვირველია, მისთვის არ მითქვამს. ჰა, რას შვრები, გადმოდიხარ თუ არა? აქ როგორც არის საქმე, ამას შენც ხედავ.

— კი, ამას ვხედავ. მაგრამ ჯერ ვერ გადმოვალ. მე ყველგან ყაზარმის მისამართი მაქვს ნაჩვენები და ამ მისამართზე შემატყობინებენ მშობლების ამბავს. მე იქ დავიცდი, ვიდრე ცნობა მოვიდოდეს.

— კარგი, ერნსტ, შენ უკეთ იცი, როგორც გიჯობს. მაგრამ გახსოვდეს, რომ ალფონსთან ყოველთვის მოგეძებება ბინა. მომარაგებაც საუკეთესო მაქვს, ადრევე ვიზრუნე ამაზე.

— გმადლობ, ალფონს.

— რა სისულელეა! ჩვენ ხომ სკოლის ამხანაგები ვართ. ჩვენ უნდა ერთმანეთს დავეხმაროთ. რამდენჯერ გადაგიწერინებია ჩემთვის საკლასო დავალება. მართლა, გახსოვს კიდევ ბურმაისტერი?

— მათემატიკას რომ გვასწავლიდა?

— ჰო, სწორედ ის. მე ხომ სულ მაგ ყეყეჩის გამოისობით გამოვვარდი მეშვიდე ჯგუფიდან. აღარ გახსოვს? ლუცი ედლერის საქმესთან დაკავშირებით.

— როგორ არა, — მიუგო გრუბერმა, მაგრამ აღარაფერი ახსოვდა.

— როგორ ვეხვეწე მაშინ, არ გაეცხადებინა ეს ამბავი და მაინც არაფერი გამოვიდა! მაგ ეშმაკის ფეხს გული ვერ მოვულბე! მორალური ვალია ჩემიო და ასე შემდეგ. მამაჩემმა კინალამ მომკლა. ჰმ, ბურმაისტერი! — ალფონსმა ისე წარმოთქვა ეს გვარი, თითქოს პირს იტკბარუნებდა, — სამაგიერო მივუზღე, ერნსტ, ნახევარი წლით საკონცენტრაციო ბანაკში მოვაყუჩებინე. უნდა გენახა, როცა იქიდან გამოვიდა! გაჭიმული იდგა ჩემ წინაშე და ლამის შარვალში გასვლოდა, როცა მხვდებოდა ხოლმე. ის მე მასწავლიდა და მეც ლაზათიანად ვასწავლე ჭკუა. კარგად ვიანგლე, არა?

— ჰო...

ალფონსმა გაიცინა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ამგვარი რამ კაცს გულზე გესალბუნება. ჩვენი ნაცისტური მოძრაობა სწორედ იმით არის კარგი, რომ ამის საშუალებას იძლევა, — მან დაინახა, რომ გრებერი წამოდგა, — რა, უკვე მიდიხარ?

— ჰო, უნდა წავიდე. ერთ ადგილზე ვერ ვისვენებ.

ბინდინგმა თავი დაუქნია.

— მესმის, ერნსტ, და ძალიან ვწუხვარ. შენ ხომ გრძნობ ამას, არა?

— კი, ალფონს, — გრებერს სურდა მალე წასულიყო აქედან, ისე, რომ მასპინძლისთვის არ ეწყენინებინა, — ორ-სამ დღეში ისევ შემოვივლი.

— ხვალ მოდი, ნაშუადღევს. ანდა საღამოთი, ასე ექვსის ნახევრისთვის.

— კარგი, ხვალ ასე ექვსის ნახევრისთვის. შენ ფიქრობ, რომ უკვე გეცოდინება რამე?

— შეიძლება. ვნახოთ. ყოველ შემთხვევაში, თითოს მაინც გადავკრავთ. მართლა, ერნსტ, საავადმყოფოებში უკვე იყავი?

— ვიყავი...

ბინდინგმა თავი დაუქნია.

— და — მხოლოდ ყოველი შემთხვევისათვის, რასაკვირველია — სასაფლაოებზე?

— არა.

— იქაც გაიარე. მხოლოდ ყოველი შემთხვევისთვის. იქ ბევრია ისეთი, რომლებიც ჯერ არ გაუტარებიათ რეგისტრაციაში.

— ხვალ დილით წავალ.

— კეთილი, ერნსტ, — ბინდინგს, როგორც ეტყობოდა, გულზე მოეშვა, — და ხვალ უფრო დიდი ხნით მოდი. ჩვენ, სკოლის მეგობრები, ერთმანეთთან ახლოს უნდა ვიყოთ. ვერ წარმოიდგენ, როგორ მარტოდმარტო გრძნობს თავს ადამიანი ისეთ თანამდებობაზე, როგორიც ჩემია. ყველა რაღაცას გთხოვს.

— მეც ხომ გთხოვე.

— ეს სხვა საქმეა. მე მხედველობაში მყვანან ისინი, ვინც რაიმე პრივილეგიას ითხოვს ხოლმე.

ბინდინგმა არმანიაკის ბოთლი აიღო, ხელისგულის ერთი დარტყმით საცობი ბოლომდე ჩაარჭო და გრებერს გაუწოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— გამომართვი, ერნსტ! თან წაიღე! მშვენიერი სასმელია. უთუოდ გამოგადგება. მოიცა ერთ წამს! — მან კარი გააღო. ფრაუ კლაინერტ! ქაღალდის ნაჭერი ან პარკი მომეცით!

გრებერს ხელში შერჩა ბოთლი.

— რა საჭიროა, ალფონს...

ბინდინგმა ხელები გაშალა.

— წაიღე! მე მთელი სარდაფი მაქვს მაგითი გამოტენილი, — მან აიღო ქაღალდის პარკი, რომელიც მნე ქალმა გამოუტანა და ბოთლი შიგ ჩადო, — აბა, შენ იცი, ერნსტ! ყოჩაღად იყავი! ხვალამდე.

გრებერი პაკენშტრასესკენ გაემართა. ოდნავ დათრგუნვილი იყო ალფონსთან შეხვედრით. „აი, კრაისლაიტერი! — ფიქრობდა იგი, — პირველი ადამიანი, რომელსაც უსიტყვოდ სურს დამეხმაროს, ბინას და საჭმელ-სასმელს მთავაზობს, პარტიული ბობოლაა!“ — გრებერმა ბოთლი ფარაჯის ჯიბეში ჩაიდო.

ახალი შესაღამოებული იყო. ცა სადაფს ჰგავდა და ნათელი სივრცის ფონზე ხეები კამკამებდნენ. ბინდი მოლურჯოდ ჩაწოლილიყო ნანგრევებში.

გრებერი იმ კარის წინ გაჩერდა, რომელზედაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნანგრევების გაზეთი გაეკრათ. მისი ბარათი აღარსად ჩანდა. ჯერ იფიქრა, ქარი ჩამოგლეჯდაო, მაგრამ მაშინ ჭიკარტები მაინც უნდა დარჩენილიყო. ისინიც ქაღალდთან ერთად გამქრალიყვნენ. მაშასადამე, ბარათი ვილაცამ ჩამოიღო.

იგრძნო, ერთბაშად როგორ მოაწვა გულს სისხლი. სწრაფად დაუწყო ძებნა კარზე რაიმე ცნობას, მაგრამ ვერაფერი იპოვა. მაშინ მშობლების სახლში გადაირბინა. მეორე ბარათი კვლავინდებურად ორ ქვას შორის გახირულიყო. ხელი დასტაცა ქაღალდის ნაგლეჯს და დააშტერდა. მისთვის არავის ეხლო ხელი. ზედ არაფერი იყო მიწერილი.

უაზროდ გაიმართა წელში და ირგვლივ მიმოიხედა. შემდეგ შორს, ქვევით, ქუჩაზე, თვალი მოჰკრა რაღაცას, თეთრ ფრთასავით რომ ათამაშებდა სიო და გამოეკიდა. ეს მისი ბარათი იყო. ხელში აიღო და თვალიერება დაუწყო. ვილაცას ჩამოეგლიჯა იგი. კიდეზე პედანტური ხელით ეწერა: „არ იპარო“. გრებერი ჯერ ვერ მიხვდა, თუ რას ნიშნავდა ეს. მაგრამ შემდეგ გაახსენდა, რომ ჭიკარტები აღარსად იყო, ხოლო დედის ბარათს კი, საიდანაც ისინი მოხსნა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ისევ ოთხივე ეკეთა. მას უკან წაელო თავისი საკუთრება და მისთვის ჭკუა დაერიგებინა.

გრებერმა ორი ბრტყელი ქვა მოძებნა, ბარათი ძირს დადო კარის წინ და ქვებით დაამაგრა. შემდეგ ისევ მშობლების სახლისკენ გაემართა.

ნანგრევების წინ გაჩერდა და ზევით აიხედა. მწვანე ხავერდის სავარძელი აღარსად ჩანდა. ეტყობა, ვიღაცამ წაიღო იქ, სადაც ადრე სავარძელი იდგა, ახლა რამდენიმე გაზეთი ამოჩრილიყო ნამსხვრევებიდან. ზევით აფოფხდა და ამოაძრო ისინი. ეს ძველი გაზეთები იყო, სავსე ცნობებით გამარჯვებათა შესახებ და სახელმოხვეჭილთა გვარებით, გაყვითლებული, დაფხაჟებული და გაჭუჭყიანებული გაზეთები. გადაყარა ისინი და ძებნა განაგრძო. რამდენიმე ხნის შემდეგ პატარა წიგნს წააწყდა, რომელიც, გაყვითლებული და გახუნებული, გადახსნილი ეგდო ორ დირეს შორის, თითქოს ვიღაცას გადაეშალა. ქვევიდან გამოაძრო იგი და თავისი სახელმძღვანელო იცნო. შუიდან თავფურცლისკენ გადაშალა და პირველ გვერდზე თავისი გვარი დაინახა. ნაწერი გახუნებულიყო. ალბათ თორმეტი-ცამეტი წლისა იქნებოდა, როდესაც ეს წარწერა გაუკეთა წიგნს.

ეს კატეხიზმო იყო — საღმრთო სჯულის სახელმძღვანელო. წიგნი ასობით კითხვასა და პასუხს შეიცავდა. გვერდები მელნით იყო დალაქავებული, ხოლო ზოგიერთზე შენიშვნებიც — მისი ხელით ნაწერი. გრებერი უგულისყუროდ დასცქეროდა წიგნს და ანაზდეულად წამით ყველაფერი შექანდა. ვერ გაეგო, სახელდობრ რა — დანგრეული ქალაქი, წყნარი სადაფისფერი ცით თუ პატარა ყვითელი წიგნი მის ხელებში, რომელსაც კაცობრიობის ყველა კითხვაზე მოეძებნებოდა პასუხი.

წიგნი გვერდზე გადადო და ძებნა განაგრძო. მაგრამ ველარაფერი იპოვა — ვერც დანარჩენი წიგნები და ვერც სხვა რამ მისი მშობლების ავლადიდებიდან. კატეხიზმოს პოვნა აკვირვებდა. ისინი მესამე სართულზე ცხოვრობდნენ და მათი ნივთები ბევრად უფრო ღრმად უნდა ყოფილიყვნენ ნანგრევებში დამარხულნი. კატეხიზმო, როგორც ჩანს, აფეთქების დროს შემთხვევით მაღლა აიტყორცნა ჰაერში და შემდეგ, რადგან მსუბუქი იყო, ნელა დაეშვა დაბლა. „როგორც მტრედი, — გაიფიქრა მან, — მარტოსული თეთრი მტრე-

დი მშვიდობისა. მთელი თავისი კითხვებითა და ნათელი პასუხებით დაეშვა იგი ამ ცეცხლით, მახრჩობელა კვამლით, ყვირილითა და ხიკვდილით აღსავსე ღამეში“.

კიდევ კარგა ხანს იჯდა ნანგრევებზე. საღამოს ნიავი ამოვარდა და წიგნს ფურცვლა დაუწყო, თითქოს ვიღაც უჩინრად კითხულობდა. „ღმერთი მოწყალეა, ეწერა იქ, — ყოვლისშემძლეა, ყოვლისმცოდნეა, ყოვლადბრძენია და უსაზღვროდ კეთილი და სამართლიანი“...

გრებერმა ჯიბეში მოსინჯა არმანიაკის ბოთლი, რომელიც ბინდინგმა მისცა. საცობი ამოაძრო და ერთი ყლუპი მოსვა. შემდეგ დაბლა ჩაბობღდა ქუჩაში. კატეხიზმო თან არ წაულია.

*

დაბნელდა. შუქი არსად ენთო. გრებერმა კარლსპლაცი გადასერა. კუთხეში, თავშესაფართან, კინაღამ ვიღაცას დაეჯახა. ეს ახალგაზრდა ოფიცერი იყო, რომელიც ძალზე სწრაფად მოდიოდა.

— ყურადღებით უნდა იყოთ!— გაჯავრებით დაუყვირა ლეიტენანტმა.

გრებერმა შეხედა.

— კარგი, ლუდვიგ, — წარმოთქვა მან, — სხვა დროს ყურადღებით ვიქნები.

ლეიტენანტი ერთხანს გაკვირვებული მისჩერებოდა. შემდეგ მის სახეს ფართო ღიმილი მოეფინა.

— ერნსტ, თურმე შენა ხარ!

ეს ლუდვიგ ველმანი იყო.

— რას აკეთებ აქ? შვებულებაში ხარ? — შეეკითხა იგი.

— კი, შენ?

— მე უკვე გამითავდა. სწორედ დღეს მიეემგზავრები უკან. ამიტომაა, რომ ასე ვჩქარობ.

— როგორ გაატარე შვებულება?

— ისე რა! ხომ იცი, საერთოდ, როგორც არის! მაგრამ შემდეგში სულ სხვანაირად მოვიქცევი. კრინტსაც არავისთან დავძრავ და სადმე სხვაგან გავემგზავრები. სახლში არავითარ შემთხვევაში არ ჩამოვალ!

— რატომ?

ველმანი დაილრიჯა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ოჯახი, ერნსტ! შშობლები! მათგან საშველი არ არის! შზად არიან, მთელი შვებულება ჩაგამწარონ! რამდენი ხანია, რაც აქა ხარ?

— ოთხი დღეა.

— დაიცა, თვითონაც შენიშნავ ამას.

ველმანმა სცადა, სიგარეტისთვის მოეკიდებინა, მაგრამ ქარმა ასანთი ჩაუქრო. გრებერმა თავისი სანთებელა მიაწოდა. ალმა წამით გაანათა ველმანის ვიწრო, ენერგიული სახე.

— მათ ჰგონიათ, რომ ჩვენ ისევ ბავშვები ვართ, — თქვა მან და კვამლი გამოუშვა, — ერთ საღამოსაც ვერ გაიპარები სადმე: მაშინვე ცხვირებს ჩამოუშვებენ. უნდათ, რომ მთელი დრო მათთან გაატარო. დედაჩემისთვის ისევ ცამეტი წლის ბიჭი ვარ. შვებულების პირველ ნახევარში ცრემლებს ღვრიდა იმიტომ, რომ ჩამოვედი, ხოლო მეორე ნახევარში იმიტომ, რომ ისევ უნდა წავსულიყავი. აბა, რას გააწყობ აქ კაცი?

— მამაშენი? ის ხომ ჯარისკაცად არის ნაყოფი პირველ ომში.

— ეგ უკვე დავიწყებული აქვს, ყოველ შვმთხვევაში, ზოგი რამ მაინც. ჩემი მოხუცისთვის მე გმირი ვარ. ამაყობს ჩემი ორდენებით და უნდა, რომ მუდამ ჩემთან ერთად გამოჩნდეს ხალხში. გულისამაჩუყებელი ბერიკაცი გარდასული დროებიდან! ამგვარ მოხუცებს ჩვენი აღარა გაეგებათ რა, ერნსტ! გაფრთხილდი, რომ შენც ასევე მაგრად არ ჩაგავლონ შენიანებმა!

— არხეინად იყავი, — უთხრა გრებერმა.

— ისინი, რა თქმა უნდა, ამას კეთილი განზრახვით სჩადიან. მარტოოდენ შზრუნველობა და სიყვარული ამოძრავებთ, მაგრამ სწორედ ეს არის დამღუპველი. ამის წინააღმდეგ ძნელია რამე მოიმოქმედო. მაშინვე უსულგულო არამზადა გამოჩნდები საკუთარ თვალში.

ველმანმა ვიღაც ქალიშვილს გააყოლა თვალი, რომლის ნათელი წინდები წყვდიადში გამოკრთნენ.

— ამ ამბებში ისე გადის შვებულება, რომ ვერც კი იგებ, — თქვა მან, — ერთადერთი, რისი მიღწევაც კიდევ შეგძელი, ის არის, რომ მათ სადგურზე არ გამაცილონ, და ამაშიც არა ვარ დარწმუნებული, რომ იქ არ აღმოჩნდებიან! — მან გაიცინა, — თავიდანვე სწორად დაიჭი თავი, ერნსტ! საღამოობით მაინც დაუძვერი ხოლმე ხელიდან. რაიმე მოიგონე! რისიმე კურსები! სამსახურებრივი საქმეები! თორემ იგივე დაგემართება, რაც მე, და შვებულებას გიმნაზიელი ყმაწვილივით გაატარებ!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მე მგონია, რომ უფრო სხვაგვარად წამოვა საქმე.

ველმანმა ხელი ჩამოართვა გრებერს.

— იმედია, ეგრე მოხდება! მაშინ შენ უფრო გქონია ბედი, ვიდრე მე! სკოლაში უკვე იყავი?

— არა.

— არც წახვიდე. მე ვიყავი და ძალიან შეეცდი. გული მერეკა, როცა მახსენდება. ერთადერთი წესიერი მასწავლებელი ჰყავდათ და ისიც გაუგდიათ. პოლმანი, საღმრთო სჯულში რომ გვყავდა. გახსოვს?

— რასაკვირველია. მასთან მისასვლელიც ვარ.

— გაფრთხილდი. შავსიელებს ეკუთვნის. უმჯობესია, ხელი ჩაიქნიო! საერთოდ, უკან არსად არ უნდა დაბრუნდეს კაცი! მაშ ასე, ერნსტ! გისურვებ ყოველივე კარგს ჩვენს ხანმოკლე და სახელოვან ცხოვრებაში. სწორია, არა?

— ჰო, ლუდვიგ. უფასო ჭამა-სმით, საზღვარგარეთ მოგზაურობებით და სახელმწიფო ხარჯზე დამარხვით.

— მაგარ წუმპეში შევტოპეთ, აი! ღმერთმა იცის, კიდევ როდის ვნახავთ ერთმანეთს! — ველმანმა გაიცინა და სიბნელეში გაუჩინარდა.

გრებერმა გზა განაგრძო. აღარ იცოდა, რა გაეკეთებინა. ქალაქი სამარესავით უკუნეთით მოცულიყო. ძებნის გაგრძელება უკვე შეუძლებელი იყო და მიხვდა, რომ მოთმინება უნდა მოეკრიბა. უსიამოდ ახსენდებოდა გრძელი საღამო, რომელიც ჯერ კიდევ წინ იყო. ყაზარმაში დაბრუნება ჯერ არ უნდოდა, არც იმ ორიოდ ნაცნობთან ეწეოდა გული, რომლებიც ჰყავდა. ვერ იტანდა მათ მოუქნელ თანაგრძნობას, და თანაც იცოდა, რომ უხაროდათ, როდესაც მათგან მიდიოდა.

გრებერი სახლების დაფხავებულ სახურავებს მისჩერებოდა. რას მოელოდა იგი? რომ ფრონტების რკალის შიგნით მშვიდობიან კუნძულს იპოვიდა? სამშობლოს, უშიშროებას, თავშესაფარსა და ნუგეშს მოიძიებდა? შეიძლება. მაგრამ იმედის კუნძულები დიდი ხანია უჩუმრად ჩაიძირნენ უკვე უმიზნო სიკვდილის მონოტონურობაში, ფრონტები გაირღვა და ახლა ომი ყველგან იყო, თვით ყოველი ადამიანის აზრთა სალაროსა და გულშიაც კი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კინოთეატრს ჩაუარა წინ და შიგ შეავიდა. დარბაზში უფრო ნაკლებად ბნელოდა, ვიდრე ქუჩაში. აქ ჯდომა სჯობდა შავ ქალაქში ხეტიალს, ანდა რომელიმე ლუდხანაში შესვლას და დათრობას.

XI

სასაფლაო მზეს გაეჩირაღდნებინა. გრებერმა დაინახა, რომ ერთი ყუმბარა ალაყაფის კარს მოხვედროდა. რამდენიმე ჯვარი და გრანიტის ლოდი ბილიკებსა და საფლავებზე მიმოფანტულიყო. მტირალა ტირიფები ძირს დამხობილიყვნენ და ამის გამო ფესვები რტოებს მოგაგონებდათ, ხოლო რტოები კი გრძელ, დაფანჩულ და მწვანე ფესვებს. ისინი რაღაც უცნაურ მცენარეებს წააგავდნენ, რომლებიც თითქოს რომელიღაც მიწისქვეშა ზღვას ამოეტყორცნა ზვით, წყალმცენარეებით დახუნძლულნი. დაბომბილ მიცვალებულთა ძვლები მეტწილად ისევ შეეგროვებინათ და გულმოდგინედ ერთ ადგილზე დაეხორავებინათ. მხოლოდ პაწია კილიტები ძვლებისა და ძველი, უკვე დამპალი კუბოების ნარჩენები გახირულიყო კიდევ ტირიფებში, თავის ქალები კი უკვე არა.

ეკვდერის გვერდით ფარდული აეგოთ. შინ სასაფლაოს ზედამხედველი და ორი დარაჯი მუშაობდა. ზედამხედველი ოფლში გალვრილიყო. მან ხელი ჩაიქნია, როდესაც გაიგო, თუ რა სურდა გრებერს.

— კაცო, დრო არა მაქვს! სადილობამდე თორმეტი უნდა დავასაფლავო! ღმერთო ძლიერო, საიდან უნდა ვიცოდეთ, თქვენი მშობლები აქ მარხია თუ არა? ჩვენთან ათობით სამარეა ისეთი, რომელთაც არც საფლავის ქვები აქვთ და არც ვინაობა აწერიათ. აქ უკვე მასობრივი წარმოებაა, როგორ შეიძლება რაიმე ვიცოდეთ?

— სიებს არ ადგენთ?

— სიებს! — გაიმეორა ზედამხედველმა მწარედ და თან ორივე დარაჯს მიუბრუნდა, — სიების ნახვა მოუნდა, გესმით? სიები! თქვენ იცით, რამდენი დაუმარხავი გვამი ალაგია კიდევ გარეთ? ორასი! იცით, რამდენი მოიტანეს ჩვენთან უკანასკნელი საჰაერო თავდასხმის შემდეგ? ხუთასი! და ახლა რამდენი, იმის წინა თავდასხმის შემ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დეგ? სამასი! მათ შორის კი მხოლოდ ოთხმა დღემ განვლო. ჩვენ აქ რას გავაწყობთ? განა ვართ საამისოდ მოწყობილნი? ჩვენ ექსკავატორები გვჭირდება მესაფლავეების ნაცვლად, რათა ნაწილობრივ მაინც ავუვიდეთ იმას, რაც ჯერაც დაუმარხავი აწყვია გარეთ, და განა იცის ვინმემ, როდის იქნება შემდეგი თავდასხმა? დღეს საღამოს? ხვალ? თქვენ კიდევ აქ სიებს ითხოვთ!

გრებერს არაფერი უპასუხია. ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო და მაგიდაზე დადო. ზედამხედველმა და დარაჯებმა ერთმანეთს გადახედეს. გრებერმა წამით შეიცადა, შემდეგ სამი სიგარაც დაუმატა. ისინი მამისთვის წამოელო რუსეთიდან.

— კარგი მაშ, — თქვა ზედამხედველმა, — ის მაინც გავაკეთოთ, რაც შეგვიძლია. დაწერეთ მათი სახელები და გვარი. ერთ-ერთი ჩვენგანი სასაფლაოთა სამმართველოში იკითხავს. ამასობაში კი თქვენ შეგიძლიათ ის მიცვალებულები დაათვალიეროთ, რომლებიც ჯერ რეგისტრაციაში არ არიან გატარებულნი. აგერ იქ, სასაფლაოს გალავნის გასწვრივ ალაგია მწკრივებად.

გრებერი გალავნისკენ გაემართა. მიცვალებულთა ერთ ნაწილს ვინაობა ზედ ეწერა და კუბოები, საკაცეები, საფარები და ყვავილები ჰქონდა, დანარჩენებს კი მხოლოდ თეთრი ზეწრები ეფარა. მან წაიკითხა გვარები, შემდეგ ზეწრები გადახადა იმათ, რომელთაც ვინაობა ზედ არ ეწერათ, და შემდეგ უცნობთა მწკრივებისაკენ გადავიდა, რომლებიც ერთიმეორეზე მიტყუპებულნი ელაგნენ. გალავნის გასწვრივ გაკეთებული ვიწრო ფარდულის ქვეშ.

ზოგს თვალები დახუჭული ჰქონდა, ზოგს კიდევ — ხელები გულზე დაკრეფილი, მაგრამ უმეტესად ისევე ელაგა, როგორც ეპოვათ. მხოლოდ ხელები მიეტკუცათ სხეულთან და ფეხები გაესწორებინათ, რათა მეტნი დატეულიყვნენ. მათ წინ მდუმარე ადამიანთა პროცესია მოძრაობდა. წინწახრილნი ათვალიერებდნენ გაფითრებულ და გაქვავებულ სახეებს და თავიანთ ახლობლებს ეძებდნენ.

გრებერიც შეუერთდა მათ. მის წინ, რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით, უეცრად ვიღაც ქალი დაეშვა მიწაზე, რომელიღაც მიცვალებულის გვერდით და ქვითინი მოართო. დანარჩენები მდუმარედ უვლიდნენ გარს და გზას განაგრძობდნენ, წინწახრილნი და ისეთი დაძაბული სახეებით, რომ თითქმის დაცლილნი იყვნენ ყოველგვარი შინაარსისგან და სხვას აღარაფერს გამოხატავდნენ, თუ არა შიშით

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ალსავსე მოლოდინს. მხოლოდ თანდათანობით, როდესაც მწკრივის ბოლოს უახლოვდებოდნენ, ეფინებოდა მათ სახეებს გაუბედავი, ფარული იმედის სხივი, და ცხადია ჩანდა, როგორ შვებით ამოისუნთქავდნენ ხოლმე, როდესაც მწკრივის ბოლოში გადიოდნენ.

გრებერი უკან დაბრუნდა.

— ეკვდერშიც იყავით უკვე? — შეეკითხა ზედამხედველი.

— არა.

— იქ ასო-ასოდ ქცეულნი ალაგიან, — ზედამხედველმა გრებერს შეხედა, — და მაგარი ნერვებია საჭირო... მაგრამ თქვენ ხომ ჯარისკაცი ხართ.

გრებერი ეკვდერში შევიდა. მერე ისევ უკან დაბრუნდა. ზედამხედველი გარეთ ელოდა.

— საშინელი სანახავია, არა? — მან გრებერს გამომცდელად შეხედა, — ბევრს შიგ გული მისდის, — განაცხადა მან.

გრებერს არაფერი უპასუხია. უკვე იმდენი მკვდარი ენახა, რომ ესენი რაიმე განსაკუთრებულს არ წარმოადგენდა მისთვის. არც ის ფაქტი იყო უჩვეულო, რომ აქ სამოქალაქო მოსახლეობა იყო, მათ შორის მრავალი ქალი და ბავშვი. ესეც საკმაოდ ხშირად ენახა და რუსები, პოლონელები და ფრანგები ნაკლებად არ სახიჩრდებოდნენ, ვიდრე ესენი იყვნენ აქ დაშავებულნი.

— სასაფლაოთა სამმართველოში თქვენები არ არიან რეგისტრირებული, — განაცხადა ზედამხედველმა, — მაგრამ ქალაქში კიდევ ორი საცხედრეა. ხომ არ ყოფილხართ იქ?

— კი.

— მათ კიდევ აქვთ ყინული. ჩვენ უარეს დღეში ვართ, ვიდრე ისინი.

— საცხედრეები გატენილია.

— ჰო, მაგრამ გვამებს აცოვებენ, ჩვენ კი ამის შესაძლებლობა არა გვაქვს. თანაც დღითი დღე სულ უფრო თბება და თბება. თუ თავდასხმები რამდენჯერმე ზედიზედ განმეორდა და თანაც მზიანი დღეები დაიჭირა, ნამდვილი კატასტროფა მოხდება. მაშინ ძმათა სასაფლაოზე გადასვლა მოგვიწევს.

გრებერმა თავი დაუქნია. მას ვერ გაეგო, თუ რატომ იქნებოდა ეს კატასტროფა. კატასტროფა იყო ის, რამაც ძმათა სასაფლაომდე მიიყვანა ქვეყანა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ჩვენ ვმუშაობთ, რაც შეგვიძლია, — განაგრძობდა თავისას ზედამხედველი, — იმდენი მესაფლავეები ავიყვანეთ, რამდენიც შეგვეძლო, მაგრამ მაინც ერთობ ცოტანი არიან. ტექნიკა მოძველებულია ჩვენი დროისთვის. ამას ზედ ერთვის კიდევ, რა თქმა უნდა, რელიგიური წეს-ჩვეულებანიც.

იგი წამით ჩაფიქრდა და გალავანს ზემოთ გაიხედა. შემდეგ ოდნავ თავი დაუქნია გრებერს და სწრაფი ნაბიჯით გაემართა ფარდულისკენ ეს ერთგული, მუყაითი მსახური სიკვდილისა.

გრებერს რამდენიმე წუთით მოცდა დასჭირდა: ორმა სამგლოვიარო პროცესიამ გადაკეტა გზა გასასვლელში. ერთხელ კიდევ მიიხედ-მოიხედა. საფლავებზე მღვდლები ლოცულობდნენ, ახალი სამარეების ბექობთა ირგვლივ ნათესავები და მეგობრები იდგნენ, დამჭკნარი ყვავილებისა და ეს-ეს არის, ამოთხრილი მიწის სუნი იდგა, ჩიტუნები გალობდნენ, თავიანთი ახლობლების მაძებართა პროცესია კვლავ მიემართებოდა გალავნის გასწვრივ, მესაფლავენი წერაქვებს იქნევდნენ ნახევრად ამოთხრილ სამარეებში, ქვისმთლელები და დამკრძალავ ბიუროთა აგენტები მიმოდიოდნენ ირგვლივ — სიკვდილის სავანე ქალაქის ყველაზე გამოცოცხლებულ ადგილად გადაქცეულიყო.

*

ბინდინგის პატარა თეთრი სახლი დაისის ბინდბუნდით მოცულ ბაღში ჩაფლულიყო. მოლზე პაწია აუზი იყო ჩიტებისთვის, რომელშიც წყალი დგაფუნით ღვრებოდა. იასამნის ბუჩქების წინ ნარგიზები და ტულიპები[1] ყვაოდნენ და არყის ხეების ქვეშ ყმაწვილი ქალის მარმარილოს ქანდაკება გამოკრთოდა.

კარი მნე ქალმა გაულო. იგი ჭაღარათმიანი იყო და ვეება თეთრი წინსაფარი ეკეთა.

— თქვენ ჰერ გრებერი ბრძანდებით, არა?

— დიახ.

— ჰერ კრაისლაიტერი შინ არ გახლავთ. ძალზე მნიშვნელოვან პარტიულ კრებაზე მოუხდა წასვლა, მაგრამ თქვენ ბარათი დაგიტოვათ.

---

[1] *ტულიპი (ფრანგ.) — დეკორატიული ბოლქვიანი მცენარე შროშანისებრთა ოჯახისა. აქვს სხვადასხვა ფერის მსხვილი ლაშაზი ყვავილები; ტიტა, ტიულპანი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გრებერი მნეს რქებითა და ნახატებით მორთულ სახლში შეჰყვა. რუბენსის ნახატი თვით ბინდბუნდშიც კი ანათებდა. თამბაქოს მოსაწევ სპილენძის მაგიდაზე ქაღალდში გახვეული ბოთლი იდგა. ხოლო მის გვერდით ბარათი იდო. ალფონსი სწერდა, რომ ჯერჯერობით ბევრი ვერაფერი შეეტყო, მაგრამ გრებერის მშობლები ქალაქში არსად იყვნენ რეგისტრირებულნი, როგორც მოკლულნი ან დაჭრილნი. როგორც ჩანდა, ისინი ევაკუირებული არიან, ანდა თვითონ გაემგზავრნენ სადმეო. შემდეგ სთხოვდა გრებერს, ხვალაც შეეკლო მასთან, ხოლო არყით ამ საღამოს ექეიფა — აღენიშნა თუნდაც ის ფაქტი, რომ ასე შორს იყო რუსეთიდან.

გრებერმა ბარათი და ბოთლი ჯიბეში ჩაიდო. მნე ქალმა კარის ზღურბლამდე გამოაცილა.

— ჰერ კრაისლაიტერმა ბრძანა, გულითადი სალამი გადმომეცა თქვენთვის.

— ჩემგანაც გადაეცით სალამი, და უთხარით, რომ ხვალ ისევ შემოვიკლი. აგრეთვე დიდი მადლობა მოახსენეთ ბოთლისთვის. ეს მე დიახაც გამომადგება.

ქალმა დედაშვილურად გაუღიმა:

— მას ძალიან გაუხარდება. ისეთი კეთილი ადამიანია, რომ!..

გრებერმა უკან წამოსვლისას ისევ ბაღში გამოიარა. „კეთილი ადამიანიაო, — ფიქრობდა იგი, — მაგრამ განა ალფონსი მათემატიკის მასწავლებელ ბურმაისტერის მიმართაც კეთილი იყო, რომელიც საკონცენტრაციო ბანაკში ჩაასმევინა? როგორც ჩანს, ყოველი ადამიანი ერთისთვის კარგია, ხოლო მეორისთვის კი, პირიქით, — ცუდი“.

წერილი და ბოთლი მოსინჯა ჯიბეში. „ვიქეიფო? — გაიფიქრა მან, — მაგრამ რა ვიდღესასწაულო? იმედი, რომ ჩემი მშობლები ალბათ არ დახოცილან? და მერე ვისთან ერთად? ორმოცდამერვე ნომრის ბინადრებთან ყაზარმაში?!

ბინდბუნდით მოცულ სივრცეს გახედა. ბინდი უფრო გალურჯებულიყო და გაღრმავებულიყო. თუ ელიზაბეტ კრუზესთან წაელო ეს ბოთლი? იგი ელიზაბეტს ისევე გამოადგებოდა, როგორც მას. და თანაც თავისთვის ხომ არმანიაკიც ჰქონდა კიდევ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

*

კარი ისევ იმ ქალმა გაულო, რომელსაც თითქოსდა წაშლილი სახე ჰქონდა.

— მე ფროილაინ კრუზესთან ვარ, — გადაჭრით უთხრა გრებერმა და დააპირა გვერდი აევლო მისთვის, მაგრამ ქალმა ხელი არ გაუშვა კარს.

— ფროილაინ კრუზე შინ არ არის, — მიუგო მან, — განა არ იცით?

— საიდან უნდა ვიცოდე?

— თქვენთვის არაფერი უთქვამს?

— სულ დამავიწყდა. როდის დაბრუნდება?

— შვიდზე.

გრებერი არ მოელოდა, რომ ელიზაბეტი შინ არ დახვდებოდა, და ახლა ფიქრობდა, დაეტოვებინა თუ არა არაყი, მაგრამ ვინ იცის, რას მოიმოქმედებდა ჯაშუში ქალი. შეიძლება თვითონაც კი დაელია.

— კეთილი. მაშ, მერე კიდევ შემოვივლი.

გრებერი ქუჩაში გაჩერდა და აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. საათს დახედა, ექვს ცოტა აკლდა. წინ ისევ გაუთავებელი ბნელი საღამო ელოდა. „არ დაგავიწყდეს, რომ შვებულებაში ხარ“, — უთხრა როიტერმა. არ ივიწყებდა, მაგრამ მარტოოდენ ეს არაფერს შველოდა.

კარლსპლაცზე წავიდა და ერთ-ერთ მერხზე ჩამოჯდა სკვერში. მის წინ თავშესაფრის მასიური შესასვლელი ვეება გომბეშოსავით გართხმულიყო. წინდახედული ადამიანები აჩრდილებივით ეშვებოდნენ შიგ. სიბნელე ილვრებოდა ბუჩქნარიდან და სინათლის უკანასკნელი სხივები იძირებოდნენ მასში.

გრებერი გაუნძრევლად იჯდა მერხზე. ერთი საათის წინ აზრადაც არ ჰქონდა ელიზაბეტის ნახვა, ხოლო შინ რომ დახვედროდა, ალბათ არაყს მისცემდა და წამოვიდოდა, მაგრამ ახლა ვინაიდან სახლში არ დახვდა, მოუთმენლად ელოდა, როდის შესრულდებოდა შვიდი საათი.

*

კარი თვითონ ელიზაბეტმა გაულო.

— შენ არ მოგელოდი, — უთხრა გაკვირვებულმა გრებერმა, — მეგონა, ისევ ის ურჩხული გამოლებდა, რომელიც შესასვლელს იცავს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ფრაუ ლიზერი შინ არ არის. ქალთა კავშირის კრებაზე წავიდა.

— ო, რასაკვირველია, ბრტყელტერფიანთა ბრიგადაში! სწორედ იმათი ჯილაგისაა! — გრებერმა მიიხედ-მოიხედა, — ყველაფერი სხვანაირად გამოიყურება, როდესაც ის აქ არ არის.

— ყველაფერი სხვანაირად იმიტომ გამოიყურება, რომ წინკარში სინათლე ანთია, — მიუგო ელიზაბეტმა, — მე მაშინვე ვანთებ ხოლმე, როდესაც ის სადმე მიდის.

— როცა სახლშია?

— როცა სახლშია, მაშინ ეკონომიას ვეწევით, ეს პატრიოტული საქმეა — სიბნელეში ყოფნა.

— სწორია, — თქვა გრებერმა, — ჩვენი სიბნელეში ყოლა ყველაფერს ურჩევნიათ, — მან ბოთლი ამოიღო ჯიბიდან, — ცოტა არაყი მოგიტანე. კრაისლაიტერის სარდაფიდან არის, სკოლის ამხანაგის ნაჩუქარია.

ელიზაბეტმა შეხედა.

— განა შენ ასეთი სკოლის ამხანაგები გყავს?

— ჰო. ისევე როგორც შენ — იძულებით შემოსახლებული მდგმურები.

ელიზაბეტმა გაიღიმა და ბოთლი გამოართვა.

— ერთი ვნახავ, თუ კორპსაძრობია სადმე.

იგი საშხარეულოსკენ გაემართა. გრებერი უკან გაჰყვა. ელიზაბეტს შავი ჯემპრი ეცვა და შავივე ვიწრო ბოლოკაბა. თმა მსხვილი და ხასხასა წითელი ალის ლენტით გაეკრა კეფაზე. სწორი, ძლიერი მხრები და ვიწრო თეძოები ჰქონდა.

— ვერ მიპოვია კორპსაძრობი, — თქვა და ბუფეტის უჯრები უკან შესწია, — ფრაუ ლიზერი, ეტყობა არ სვამს.

— ისე კი გამოიყურება, თითქოს მაგის მეტს სხვას არაფერს აკეთებდეს. ჩვენ კორპსაძრობის გარეშეც იოლად წავალთ.

გრებერმა ბოთლი აიღო, ყელზე ლუქი შემოაცალა და ძირით ორჯერ მძლავრად დაირტყა ბარძაყზე. საცობი ამოვარდა.

— ჯარში ასე ხსნიან, — განაცხადა მან, — ჭიქები გაქვს? თუ ბოთლიდან უნდა დავლიოთ?

— ჭიქები ჩემს ოთახში მაქვს. წამოდი.

გრებერი გაჰყვა. ახლა უკვე უხაროდა, რომ მოვიდა. წელანდელივით აღარ ეშინოდა, რომ კვლავ მთელი საღამო მარტოდმარტო ჯდომა მოუხდებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ელიზაბეტმა ორი თხელი ღვინის ჭიქა გადმოიღო წიგნების თაროებიდან, რომელიც კედელთან იდგა. გრებერმა მიიხედ-მოიხედა, ველარ ცნობდა ამ ოთახს, რომელშიც ერთი საწოლი, რამდენიმე მწვანე გარსაცმიანი სავარძელი, წიგნების თაროები და ბიდერმაიერის სტილის[1] საწერი მაგიდა იდგა და რომელსაც სიძველისა და მყუდროების ელფერი დაჰკრავდა. გრებერს იგი უფრო არეული და ბობოქარი ახსოვდა. „ალბათ სირენათა ღმუილის ბრალი იყო", — გაიფიქრა მან. მათმა მოძახილმა ყველაფერი არია მაშინ. დღეს ელიზაბეტიც სხვაგვარად გამოიყურებოდა, ვიდრე მაშინ, მაგრამ არც ძველებური მოდის ქალად და არც მშვიდად.

ქალი მისკენ მოტრიალდა.

— მაინც რამდენი ხანია, რაც ერთმანეთი აღარ გვინახავს?

— მთელი საუკუნე. მაშინ ბავშვები ვიყავით და არც ომი იყო.

— ამჟამად?

— ამჟამად მოხუცები ვართ, მაგრამ მოხუცებულობის გამოცდილების გარეშე, — მოხუცები და ცინიზმით მოცულნი! ჩვენ არაფერი გვწამს და ზოგჯერ კაეშნით ვართ შეპყრობილნი, თუმცა არც მაინცდამაინც ხშირად.

ქალმა ვაჟს შეხედა.

— ეს ჭეშმარიტებაა?

— არა, მაგრამ იცი კი, რა არის ჭეშმარიტება?

ელიზაბეტმა თავი გააქნია.

— ნუთუ აუცილებელია, რომ ყოველთვის რაღაც იყოს ჭეშმარიტება?

— მე მგონი, არა. რატომ უნდა იყოს აუცილებელი?

— არ ვიცი. მაგრამ ალბათ ომები უფრო იშვიათად იქნებოდა, ყველას რომ არ სურდეს სხვებიც დაარწმუნოს იმაში, რაც თვითონ ჭეშმარიტად მიაჩნია.

გრებერმა გაიღიმა: მაინც რა უცნაურად თქვა ეს ელიზაბეტმა.

---

[1] *ბიდერმაიერის სტილი — ცენტრალურ ევროპაში მიუთითებს ლიტერატურის, მუსიკის, მოდის, საბეითი ხელოვნებისა და ინტერიერის დიზაინის ნამუშევრებზე პერიოდში, რომელიც მოიცავს წლებს 1815-დან (ვენის კონგრესი), ნაპოლეონის ომის დასასრულსა და 1848, ევროპული რევოლუციების წელს. რადიკალურად განსხვავდება მისი წინამორბედი რომანული პერიოდისგან.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— შემწყნარებლობა, — წარმოთქვა მან, — აი, რა აკლიათ ადამიანებს, ასე არ არის?

ქალმა თავი დაუქნია. გრებერმა ჭიქები აიღო და პირამდე შეავსო.

— სწორედ ამისი სადღეგრძელოც დაგლიოთ. კრაისლაიტერს, რომელმაც ეს ბოთლი მომცა, ასეთი რამ, რა თქმა უნდა, აზრადაც არ მოუვა, მაგრამ მით უფრო უნდა დაგლიოთ ეს სადღეგრძელო.

და ჭიქა გამოცალა.

— კიდევ დალევ? — შეეკითხა ვაჟი.

ელიზაბეტს ოდნავ შეაჟრჟოლა.

— ჰო, — თქვა შემდეგ.

გრებერმა დაუსხა და ბოთლი მაგიდაზე დადგა. მაგარი არაყი იყო, გამჭვირვალე და სუფთა.

— წამოდი, — უთხრა ელიზაბეტმა და ცარიელი ჭიქა ძირს დადგა, — შემწყნარებლობის ნიმუში უნდა გაჩვენო.

ქალმა ვაჟი წინკარში გაიყვანა და მეორე ოთახში შეაღო კარი.

— ფრაუ ლიზერს სიჩქარეში დაკეტვა დავიწყებია. ერთი ნახე მისი ოთახი. ეს ნდობის ღალატი არ იქნება. ის ჩემსას ძირისძირობამდე სინჯავს ხოლმე, როცა სადმე ვარ წასული.

ოთახის ერთი ნაწილი ჩვეულებრივი აქვეკით იყო მოწყობილი, მაგრამ კედელზე, ფანჯრის პირდაპირ, ვეებერთელა ჩარჩოში ჩასმული ჰიტლერის დიდი და ფერადი პორტრეტი ეკიდა, რომელიც გარშემო ნაძვის რტოებითა და მუხის ფოთლების გვირგვინით იყო შემკული. მის ქვევით კი, მაგიდაზე გაშლილ დიდსვასტიკიან დროშაზე, იდო ძვირფასი გამოცემა „ჩემი ბრძოლა“, რომელიც შავი ტყავის ყდაში იყო ჩასმული და ზედ ოქროსვარაყიანი სვასტიკა ჰქონდა ამოტვიფრული. ორივე მხრიდან ვერცხლის სასანთლეები იდგა, რომლებშიც წმინდა სანთლები დაეშაგრებინათ. ხოლო მათ გვერდით კი — ფიურერის ფოტოსურათები: ერთზე ის გერმანულ ნაგაზთან ერთად იყო გადაღებული ბერჰტესგადენში, ხოლო მეორეზე — თეთრკაბიან გოგონასთან, რომელიც მას ყვავილებს აწვდიდა. ეს ყოველივე საპატიო ხანჯლებითა და პარტიული სამკერდე ნიშნით ბოლოვდებოდა.

გრებერს მაინცდამაინც არ გაპკვირვებია. მსგავსი რამ უკვე ხშირად ენახა. დიქტატორების კულტი ადვილად იქცეოდა რელიგიად.

— აქ წერს ხოლმე თავის დაბეზღებებს? — შეეკითხა იგი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— არა, აგერ იქ, მამაჩემის საწერ მაგიდაზე.

გრებერმა საწერ მაგიდას შეხედა. ძველებური სეკრეტერი იყო, თაროებითა და გადმოსაწევი სახურავით.

— ყოველთვის დაკეტილი აქვს, — თქვა ელიზაბეტმა, — რამდენჯერ ვცადე და მაინც ვერასგზით გავაღე.

— მაგან დააბეზღა მამაშენი?

— დანამდვილებით არ ვიცი. რაც მამა წაიყვანეს, მას შემდეგ არაფერი გამიგია მის შესახებ. ეს ქალი უკვე აქ ცხოვრობდა თავის ბავშვთან ერთად. ოლონდ მხოლოდ ერთი ოთახი ეჭირა. როცა მამა წაიყვანეს, მამაჩემის ორივე ოთახიც მას მისცეს.

გრებერი ელიზაბეტს მიუბრუნდა.

— შენ ფიქრობ, რომ მას სწორედ ამ მიზნით შეეძლო დაებეზღებინა მამა?

— რატომაც არა? ზოგისთვის ამაზე მცირე საფუძველიც კი კმარა.

— რა თქმა უნდა, მაგრამ ეს საკურთხეველი ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს შენი მდგმური ერთ-ერთი ფანატიკოსი იყოს ბრტყელტერფიანთა ბრიგადიდან.

— ერნსტ, — წარმოთქვა ელიზაბეტმა მწარედ, — ნუთუ გგონია, რომ ფანატიზმი არასოდეს შეიძლება ხელიხელჩაკიდებული იყოს პირად სარგებლიანობასთან?

— რატომ, შეიძლება, და ხშირადაც კი. საკვირველია, რომ ეს ყოველივე გავიწყდება კაცს! არსებობს ისეთი უგვანო რამეები, რომელთაც ოდესღაც სადმე დაისწავლი და შემდეგ ყოველთვის დაუფიქრებლად იმეორებ. სამყარო იარლიყიან თაროებად როდია დაყოფილი და მით უმეტეს, ადამიანი. ალბათ ამ შხამიან გველს უყვარს თავისი შვილი, ქმარი, ყვავილები და ყოველივე კეთილშობილური ამქვეყნად. რამე იცოდა მამაშენზე, თუ თვითონ მოჭორა ყველაფერი?

— მამა გულკეთილი იყო და ყველას ენდობოდა. მას ალბათ უკვე დიდი ხანია ეჭვის თვალით უყურებდნენ. ყველას კი არ შეუძლია გაჩუმდეს, როდესაც მთელი დღე პარტიული ყბედობა ესმის საკუთარ ბინაში.

— არ იცი, რა შეიძლებოდა ეთქვა?

ელიზაბეტმა მხრები აიჩეჩა.

— მას აღარ სჯეროდა, რომ გერმანია ომს მოიგებდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ეს უკვე ბევრს ალარ სჯერა.

— შენც არ გჯერა?

— ჰო, მეც არ მჯერა. ახლა კი გავიდეთ აქედან, თორემ იმ ეშმაკის კერძმა შეიძლება აქ მოგვისწროს; ვინ იცის, რა ამბავს დააწევს მაშინ!

ელიზაბეტს პირზე ღიმილმა გადაურბინა.

— ვერ მოგვასწრებს. დერეფნის კარი ურდულით ჩავკეტე. ის ვერ შემოვა.

კართან მივიდა და ურდული უკან გამოსწია. „მადლობა ღმერთს, — გაიფიქრა გრეგერმა, — მართალია, ელიზაბეტი მარტვილის როლშია, მაგრამ ის მაინც სანუგეშოა, რომ ამ როლს უცერემონიოდ, მაგრამ ამავე დროს წინდახედულად ასრულებს“.

— სასაფლაოს სუნი დგას აქ, — თქვა ვაჟმა — ალბათ ამ წყეულ დამჭკნარ მუხის ფოთლებს ასდით. წამო, ცოტა კიდევ დავლიოთ.

*

გრეგერმა ჭიქები შეავსო.

— ახლა მე ვიცი, თავს მოხუცებად რატომ ვგრძნობთ, — თქვა მან, — ეს იმიტომ, რომ ერთობ ბევრი სიბინძურე ვნახეთ. სიბინძურე, გაქექილი იმ ადამიანთა მიერ, რომლებიც ჩვენზე უფროსები იყვნენ ასაკით და რომელთაც მეტი გონიერება უნდა გამოეჩინათ.

— მე თავი სულაც არ მიმაჩნია მოხუცად, — მოუჭრა ელიზაბეტმა.

ვაჟმა ქალს შეხედა. იგი მოხუცის გარდა ყველაფერს ჰგავდა.

— გიხაროდეს, — მიუგო მან.

— მე თავი ტუსალი მგონია, — თქვა ქალმა, — ეს უარესია, ვიდრე მოხუცებულობა.

გრეგერი ბიდერმაიერის სტილის საკარძელში ჩაჯდა.

— რა იცი, იქნებ დაგაბეზღოს მაგ ქალმა, — თქვა მან, — იქნებ მთელი ბინის ხელში ჩაგდება სწადია. რად გინდა, ასეთ რამეს დაელოდო: სადმე სხვაგან გადადი! განა არ იცი, რომ შენისთანებს ყველა უფლება ჩამორთმეული აქვთ?

— კი, ვიცი, — უეცრად ელიზაბეტს ერთდროულად სიჯიუტე და უმწეობა დაეტყო, — ეს პირდაპირ ცრუმორწმუნეობის მსგავსი რაღაცაა, — ნაჩქარევად მიუგო ისეთი ტანჯული გამომეტყველებით,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თითქოს საკუთარი თავისთვის უკვე ასჯერ გაუცია იგივე პასუხი, — ასე მგონია, ვიდრე აქ ვიმყოფები, მამა უკან დაბრუნდება-მეთქი, ხოლო როდესაც წასვლას დაჯაპირებ, ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს მას ბედის ანაბარად ვტოვებდე. შეგიძლია გაიგო ეს?

— ამის გაგება აუცილებელი არ არის. ამგვარ გრძნობას უბრალოდ ემორჩილებიან. მორჩა და გათავდა! თუნდაც უაზროდ ეჩვენებოდეთ.

— კეთილი...

ქალმა ჭიქა აიღო და დალია. გარედან გასაღების ჩხაკუნი მოისმა.

— აგერ, ისიც მობრძანდა, — თქვა გრებერმა, — რაღაც მალე მოვიდა, ეტყობა, კრებამ დიდხანს არ გასტანა.

წინკარიდან ნაბიჯის ხმა გაიგონეს. გრებერმა პატეფონს გადახედა.

— მარტო მარშები გაქვს? — შეეკითხა იგი.

— არა, მაგრამ მარშები უფრო ხმაურობენ. და ზოგჯერ, როდესაც სიჩუმე ყვირის, იძულებული ხარ ყველაზე მაღლით ჩააბშო, რაც კი რამ გაგაჩნია.

გრებერმა შეხედა მას:

— რა კარგ რამეებზე ვსაუბრობთ! სკოლაში კი ხშირად გვეუბნებოდნენ, რომ ახალგაზრდობა ყველაზე რომანტიკული დროა სიცოცხლეში.

ელიზაბეტს გაეცინა. წინკარში რაღაც დაეცა იატაკზე. ფრაუ ლიზერმა შეიკურთხა. შემდეგ კარის ჯახუნი მოისმა.

— სინათლე ანთებული დამრჩა, — წასჩურჩულა ელიზაბეტმა, — წამო, წავიდეთ აქედან. ზოგჯერ სრულიად ველარ ვიტან ხოლმე აქ ყოფნას. და მოდი სხვა რამეზე ვილაპარაკოთ.

— სად წავიდეთ? — შეეკითხა გრებერი, გარეთ რომ გავიდნენ.

— არ ვიცი. სადმე წავიდეთ.

— აქ ახლომახლო კაფე არ არის, ან ლუდხანა, ან ბარი?

— არ მინდა ისევ ჭერქვეშ ამოვყო თავი. ისე გავიაროთ ცოტაოდენი.

— კარგი...

ქუჩები უკაცრიელი იყო და ქალაქში წყვდიადი და მდუმარება სუფევდა. მათ განვლეს მარიენშტრასე, გადასერეს კარლსპლაცი,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შემდეგ მდინარეზე გადავიდნენ და ძველ ქალაქში დაიწყეს ხეტიალი. ცოტა ხნის შემდეგ ისეთი გრძნობა დაეუფლათ, თითქოს ირეალურ სამყაროში მიდიოდნენ, თითქოს ყველა სულდგმული დახოცილიყო და ადამიანთაგან მარტოოდენ თვითონლა გადარჩენილიყვნენ. საცხოვრებელბინებიანი შენობების წინ მიდიოდნენ, მაგრამ როდესაც წინ ჩავლისას ფანჯრებში იხედებოდნენ, რათა ოთახებისთვის მოეკრათ თვალი და დაენახათ სკამები, მაგიდები — სიცოცხლის ეს უტყვი მოწმენი, სხვას ვერაფერს ხედავდნენ, თუ არა მინებში არეკლილი მთვარის შუქის ელვარებას, მის უკან კი ქსოვილის ან ქაღალდის შავი ფარდების უკუნეთს. გეგონებოდათ, მთელი ქალაქი გლოვის თალხი სუდარით შემოსილაო, თითქოს იგი დაუსაბამო საცხედრე იყო. ხოლო ბინები — აკლდამები მიცვალებულთა, და თვითონ კი ერთადერთი საპატიო სამგლოვიარო გუშაგები ამ მიცვალებულთა.

— რა მოხდა? — შეეკითხა გრებერი, — სად არის ხალხი? დღეს კიდევ უფრო უკაცრიელია ქუჩები, ვიდრე ჩვეულებრივ.

— ალბათ ყველანი სახლებში სხედან. რამდენიმე დღეა საჰაერო თავდასხმა არ ყოფილა და გარეთ გამოსვლას ვერ ბედავდნენ, მორიგ თავდასხმას მოელიან. ეს ყოველთვის ასეა. მხოლოდ თავდასხმიდან ცოტა ხნის შემდეგ ნახავ გარეთ შედარებით მეტ ხალხს.

— უკვე აქაც ჩამოყალიბდა არა თავისებური ჩვეულებანი?

— ჰო, თქვენთან, ფრონტზე?

— ჩვენთანაც.

ისინი მიდიოდნენ ქუჩაზე, რომელიც მთლიანად ნანგრევებად ქცეულიყო. დაფხაჭებული ღრუბლები მიცურავდნენ მთვარიან ცაზე და მქროლავ შუქს ჰფენდნენ დედამიწას. ნანგრევებში რაღაც ჩრდილები გაიელვებდნენ ხოლმე, როგორც მთვარის მოშიში ურჩხულები. შემდეგ ფაიფურის წკრიალი გაიგონეს.

— მადლობა ღმერთს! — თქვა გრებერმა, — აქ ადამიანები არიან. ისინი საჭმელს შეექცევიან, ანდა ყავას სვამენ. ყოველ შემთხვევაში, ცოცხლები მაინც არიან.

— უფრო ალბათ ყავას სვამენ, რადგან დღეს ყავას არიგებდნენ. თანაც კარგი ხარისხისას. დაბომბვის ყავას.

— დაბომბვისა?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ჰო, დაბომბვისა, ანუ ნანგრევებისა. ასე ეძახიან. მას დამატებით გვაძლევენ ხოლმე მძიმე საჰაერო თავდასხმის შემდეგ. ზოგჯერ შაქარს იძლევიან, ან შოკოლადს, ანდა ერთ კოლოფ სიგარეტს.

— როგორც ფრონტზე. იქ შეტევის წინ არაყს ან თამბაქოს იძლევიან. არსებითად ეს სასაცილოა, არა? ორასი გრამი ყავა სიკვდილის წინაშე მთელი საათის განმავლობაში განცდილი შიშის წილ.

— ასი გრამი!

გზას განაგრძობდნენ. ცოტა ხნის შემდეგ გრებერი გაჩერდა.

— ელიზაბეტ, ასე სიარული კიდევ უარესია, ეიდრე სახლში ჯდომა. არაყი უნდა წამოგველო თან! ჩემთვის აუცილებელია იგი და შენთვისაც. აქ არის სადმე ლუდხანა?

— ლუდხანაში მე არ წამოვალ. იქ ისევე ხარ გამომწყვდეული, როგორც თავშესაფარში. შიგ ყველაფერი ჩაბნელებულია და ფანჯრებსაც შავი ფარდები აქვს ჩამოფარებული.

— მაშინ ყაზარმაში წავიდეთ. იქ ერთი ბოთლი კიდევ მაქვს. ქვევით ჩამოვიტან და ღია ცის ქვეშ დავლიოთ.

— კარგი...

სიჩუმეში ბორბლების რახრახი გაიგონეს და მალე ცხენი გამოჩნდა, რომელიც დათხილი მოქროდა მათკენ. ცხენი დამფრთხალი იყო, ტორებს მაღლა სწევდა და ჩრდილების დანახვაზე განზე იწევდა. მქრქალ სინათლეში მოჩვენებას ჰგავდა შეშლილი თვალებითა და გაფართოებული ნესტოებით. კოფოზე მჯდომმა სადავეს მოსწია. ცხენი ყალყზე შედგა. პირიდან ქაფი გადმოსდიოდა. მათ ნანგრევებზე ასვლა მოუხდათ, რათა ცხენი გაეტარებინათ. ელიზაბეტი მარდად შეხტა ნანგრევებზე, სწორედ დროულად, იმიტომ, რომ ცხენს გვერდი არ გაეკრა. წამით ისეთი შესახედაობა ჰქონდა, თითქოს ზურგზე სურდა მოვლებოდა ამ აქშინებულ ცხოველს და მასთან ერთად სადღაც შორეთში გაჭენებულიყო; მაგრამ, როცა ცხენმა ჩაიქროლა, ადგილზე გაჩერდა, და მარტო იდგა დაფხაჭებული ცის თვალუწვდენელი ცარიელი სივრცის ფონზე.

— ისე გამოიყურებოდი, თითქოს ცხენზე ახტომა და ჭენებით გაქცევა გწადდა აქედან.

— ნეტავი შეიძლებოდეს! მაგრამ სად წახვალ? ყველგან ომია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ეს მართალია. იგი ყველგან არის, თვით მარადიული ზაუის ქვეყნებშიც კი — ოკეანეთსა და ინდოეთშიაც კი. ვერსად გაექცევი.

ყაზარმასთან მივიდნენ.

— აქ დაიცადე, ელიზაბეტ. არაყს ჩამოვიტან. ამას დიდი ხანი არ დასჭირდება.

გრუბერმა ყაზარმის ეზო გადაჭრა და ხმიერ საფეხურებზე ორმოცდარვა ნომერ ოთახამდე ავიდა. მის ბინადართა ნახევარს ეძინა და სადგომი ხვრინვისგან ზანზარებდა. მაგიდის ზევით შუქფარიანი ნათურა ენთო. ბანქოს მოთამაშენი ზეზე იყვნენ. როიტერი მათ გვერდით იჯდა და კითხულობდა.

— ბოტჰერი სად არის? — იკითხა გრუბერმა.

როიტერმა წიგნი დახურა.

— მან დაგიბარა, რომ ვერაფერი შეიტყო. ველოსიპედი კედლისთვის დაუჯახებია და დაუმტვრევია. ხომ იცი, ნათქვამია: საწყალ კაცს ქვა ალმართში დაეწიაო. ხვალიდან ისევ ფეხით მოუხდება სიარული. ამიტომ დღეს მთელი საღამო ლუდხანაში ზის და დარდს იქარვებს. შენ რაღა დაგემართა? სახეზე ფერი აღარ გადევს.

— არაფერი. ახლავე უკან უნდა წავიდე. რაღაცის წასაღებად მოვედი.

გრუბერმა თავის ზურგჩანთაში დაიწყო ქექვა. რუსეთიდან მან ერთი ბოთლი ჯინი და ერთი ბოთლი არაყი ჩამოიტანა. ამასთანავე, ბინდინგის მიერ მოცემული არმანიაკიც ჰქონდა.

— ჯინი ან არმანიაკი წაიღე, — უთხრა როიტერმა, — არაყი უკვე აღარ არის.

— როგორ თუ აღარ არის?

— ჩვენ დავლიეთ. შენ ხომ მაინც უნდა დაგეპატიჟებინეთ, მაგრამ რას იზამ. რუსეთიდან ჩამოსული კაცი კაპიტალისტივით არ უნდა იქცეოდეს. მან ცოტა მაინც უნდა უწილადოს თავის ამხანაგებს! საუკეთესო არაყი იყო, მე და ჩემმა ღმერთმა.

გრუბერმა ორივე დარჩენილი ბოთლი ამოიღო. არმანიაკისა ჯიბეში ჩაიდო, ხოლო ჯინი როიტერს გაუწოდა.

— შენ მართალი ხარ. აპა, გამომართვი. მაშინვე მოგირჩენს ნიკრისის ქარებს. ოღონდ არც შენ იყო კაპიტალისტი და სხვებსაც არგუნე.

— მერსი! — როიტერი კოჭლობით გაემართა თავის სანივთე კარადასთან და კორპსაძრობი გამოიღო.

— მგონი, შენ ყველაზე პრიმიტიული ხერხით აპირებ ვიღაცის შეცდენას, — თქვა მან, — ვფიქრობ, დამათრობელი სასმლის მეშვეობით. ასეთ შემთხვევაში ბოთლის წინასწარი გახსნა მეტწილად ავიწყდებათ ხოლმე, ხოლო თუ ბოთლს თავს მოამტვრევ, ზედ კაცმა აღელვებისგან ადვილად შეიძლება დრუნჩი გაიჭრას. აჰა, წინდახედული კაცი იყავი!

— ეშმაკსაც წაულიხარ! ბოთლი უკვე გახსნილია.

როიტერმა ჯინი გახსნა.

— როგორ იშოვე ჰოლანდიური არაყი რუსეთში?

— ვიყიდე. კიდევ გაქვს შეკითხვები?

როიტერმა ჩაიცინა.

— არა. მოუსვი შენი არმანიაკიანად, შე პრიმიტიულო კაზანოვა, შენა, და ნუ გრცხვენია. შენ ხომ დანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოება გაგაჩნია: დროის ნაკლებობა. შვებულება ხანმოკლეა, ხოლო ომი კი ხანგრძლივი.

ფელდმანი ლოგინში წამოჯდა.

— იქნებ პრეზერვატივი გინდა, გრებერ? რამდენიმე ცალი მაქვს საფულეში. მე არ მჭირდება ისინი: მძინარე სიფილისს ვერ აიკიდებს.

— ეგ კიდევ არავინ იცის, — განაცხადა როიტერმა, — აქაც შეიძლება უბიწო მუცლადღების მსგავსი რამ მოხდეს. გრებერი კი ხალასი ბუნებისაა, ჯიშიანი არიელია და თორმეტი წმინდა სისხლის მქონე წინაპარი ჰყავს. ასეთ შემთხვევაში პრეზერვატივის გამოყენება დანაშაული იქნებოდა საშობლოს წინაშე.

გრებერმა არმანიაკს საცობი მოხსნა, ერთი ყლუპი მოსვა და ისევ ჯიბეში ჩაიდგა.

— რომანტიკოსები ხართ, შეჩვენებულებო, — წარმოთქვა მან, — თქვენი თავისთვის ვერ მოგვლიათ და სხვის საქმეში ეჩრებით.

როიტერმა ხელი დაუქნია.

— გზა მშვიდობისა, შვილო ჩემო! დაივიწყე სამწყობრო წესდება და ეცადე ადამიანი იყო! სიკვდილი უფრო იოლია, ვიდრე სიცოცხლე. განსაკუთრებით თქვენთვის, გმირული ახალგაზრდობისა და ნაციის რჩეულთათვის!

გრებერმა სიგარეტების კოლოფი და წყლის ჭიქაც ჩაიდო ჯიბეში. უკვე წასვლისას შენიშნა, რომ ბანქოში ისევ რუმელი იგებდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მის წინ ფულის მთელი ზვინი იდგა მაგიდაზე. სახე კვლავინდებურად გაჰქვავებოდა, მაგრამ ახლა ოფლის კამკამა წვეთები გამოსვლოდა ზედ.

ყაზარმის კიბე დაცარიელებული იყო, ვინაიდან ეს საღამოს დაფიონის შემდეგ ხდებოდა. დერეფნებში საკუთარი ნაბიჯის ექო მისდევდა უკან. შემდეგ ვრცელი მოედანი გადაჭრა. ელიზაბეტი კართან აღარ იდგა. „წასულა“, — გაიფიქრა გრებერმა, ამას თითქმის მოელოდა კიდეც. ან რატომ უნდა დაეცადა მისთვის ელიზაბეტს?

— შენი გოგო აგერ, იქ გიცდის, — უთხრა გუშაგმა, — როგორ ჩაიგდო შენისთანა არიფმა ასეთი ქალი? მაგნაირები მხოლოდ ოფიცრებთან დადიან.

ახლა გრებერმაც დაინახა ელიზაბეტი. კედელს მიყრდნობოდა. გრებერმა მხარზე ხელი დაჰკრა გუშაგს:

— ახალი დადგენილებაა, ბიჭუნი! ასეთებს ახლა ორდენის ნაცვლად აძლევენ, ვინც ოთხი წლის განმავლობაში ფრონტზე იყო. თანაც, სულ გენერლების ქალიშვილებს! სასწრაფოდ მოითხოვე იქ გაგზავნა, შე უდღეურო! არ იცი, რომ საგუშაგოზე მდგომისთვის ლაპარაკი აკრძალულია?

და ელიზაბეტისაკენ გაემართა.

— შენ თვითონ ხარ უდღეური! — მიაძახა საქციელწამხდარმა გუშაგმა.

*

მათ ყაზარმის უკან ერთ-ერთ გორაკზე მერხი იპოვეს. მერხი წაბლის ხეებს შორის იდგა, და აქედან მთელი ქალაქი ხელისგულივით გადაშლილიყო. არსად ენთო შუქი. მხოლოდ მდინარე კიაფობდა მთვარის სინათლეზე.

გრებერმა ბოთლს საცობი მოხსნა და წყლის ჭიქა ნახევრად აავსო. არმანიაკი მდნარ ქარვასავით ციაგებდა. ჭიქა ელიზაბეტს გაუწოდა და უთხრა:

— სულ გამოცალე.

ქალმა ცოტაოდენი მოსვა და უკან დაუბრუნა ჭიქა.

— სულ გამოცალე, — გაუმეორა გრებერმა, — ისეთი საღამოა, რომ არ შეიძლება არ დალიო. რისი სადღეგრძელოც გინდა დალიე, თუნდაც ჩვენი გაძაღლებული ცხოვრებისა, ანდა იმისა, რომ კიდევ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცოცხლები ვართ... მაგრამ უთუოდ კი დალიე. ჩვენთვის ეს აუცილებელია მას შემდეგ, რაც მკვდარი ქალაქი გამოვიარეთ, და საერთოდ დღეს, როგორც ჩანს, აუცილებელია ჩვენთვის.

— კარგი. მაშ, ყოველივე ამისა იყოს!

ვაჟმა ისევ შეავსო ჭიქა და ახლა თვითონ დალია. მაშინვე იგრძნო, როგორ დაუარა სითბომ, მაგრამ ამასთანავე ისიც შეიგრძნო, თუ რაოდენ დაცლილიყო შინაგანად. ეს ტკივილის გარეშე სიცარიელე იყო.

ერთხელ კიდევ შეავსო ჭიქა ნახევრად და დაახლოებით დასხმულის ნახევარი მოსვა. შემდეგ მერხზე მოიდგა გვერდით. ელიზაბეტს ფეხები მაღლა აეტანა, მუხლებზე ხელები შემოეხვია და ისე იჯდა მერხზე. ახალგაფოთლილი წაბლის მწვანე სამოსელი თითქმის თეთრად ანათებდა მთვარის სხივებში — იტყოდით, ნაადრევი ფარვანების მთელი გუნდი დაფრენილა ზედო.

— რა შავად ჩანს, — წარმოთქვა ქალმა და ქალაქისკენ მიუთითა, — როგორც ქვანახშირის გადამწვარი მაღაროები.

— ნუ იყურები იქით. აქეთ მოტრიალდი. ეს მხარე სულ სხვანაირია.

მერხი გორაკის მაღლობზე იდგა. მეორე მხარეს მისი კალთები თანდათან ეშვებოდნენ დაბლა და უერთდებოდნენ მთვარით განათებულ გზებითა და ალვის ხეთა ხეივნებით დასერილ ველ-მინდვრებს, რომელთა უკან სოფლის ეკლესიის სამრეკლო ჩანდა, ხოლო უფრო შორს, ცის დასავალზე, ტყე და ლურჯი მთები.

— რა სიმშვიდე სუფევს აქეთ მხარეს, — თქვა გრებერმა, — სულ უბრალო ამბავია, არა?

— უბრალო ამბავი მაშინ არის, როცა შეგიძლია მოტრიალდე და მეორე მხარეზე აღარ იფიქრო.

— ამას იოლად სწავლობს კაცი.

— შენ უკვე ისწავლე?

— რასაკვირველია, — თქვა გრებერმა, — სხვაფრივ ახლა ცოცხალიც აღარ ვიქნებოდი.

— ნეტავი მეც შემეძლოს.

— შენ ეს უკვე დიდი ხანია შეგიძლია. ამაზე თვითონ ცხოვრება ზრუნავს. იგი, სადაც კი ხელი მიუწვდება, ყველგან იკრებს რეზერვს და საფრთხის დროს არ იცის, რა არის სისუსტე ან სენტიმენტალობა, — მან ჭიქა ელიზაბეტისკენ გააჩოჩა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ესეც მეორე მხარეს ყურებას ნიშნავს? — შეეკითხა ქალი.

— ჰო, — მიუგო ვაჟმა, — დღეს საღამოს მაინც უთუოდ.

მას თვალი არ მოუშორებია, ვიდრე ელიზაბეტი ჭიქას გამოცლიდა.

— მოდი, ცოტა ხანს მაინც ნუ ვილაპარაკებთ ოშზე, — უთხრა მან.

ელიზაბეტი უკან გადაიწია და მერხის ზურგს მიეყრდნო.

— მოდი, საერთოდ ნურაფერზე ნუ ვილაპარაკებთ.

— კარგი.

ისხდნენ და დუმდნენ. ირგვლივ ღრმა სიჩუმე გამეფებულიყო და ნელინელ იწყეს ამ მდუმარების გამოცოცხლება ღამის მშვიდობიანმა ხმებმა, რომლებიც კი არ არღვევდნენ მას, არამედ კიდევ უფრო აღრმავებდნენ. ეს იყო ხან წყნარი სიო, რომელიც ტყის ამოსუნთქვას ჰგავდა, ხან ბუს ძახილი, ხან რაღაც ფაჩიფუჩი ბალახში, ხანაც ღრუბლებისა და შუქის გაუთავებელი თამაში. სიწყნარე ძლიერდებოდა, მაღლა იწევდა, გარს ერტყმოდა მათ და მათში იჭრებოდა სულ უფრო და უფრო მეტად ყოველი ამოსუნთქვის შემდეგ და ბოლოს თვითონ სუნთქვაც სიჩუმეში გადადიოდა, იგი ჰკურნავდა და ათავისუფლებდა, ხდებოდა უფრო მდორე, უფრო ღრმა და უკვე მტერი კი აღარ იყო, არამედ შორეული კურთხეული ძილის ბურანი...

*

ელიზაბეტი შეირხა. გრუბერი შეკრთა და მიიხედ-მოიხედა.

— რას იტყვი ამაზე? ჩამძინებია.

— მეც, — ქალმა თვალი გაახილა. გაბნეული შუქი თითქოს დაგუბდა მის თვალებში და ერთობ გამჭვირვალე გახადა ისინი, — დიდი ხანია ასე არ მძინებია, — წარმოთქვა გაკვირვებით, — ყოველთვის შუქზე ვიძინებ, რადგან სიბნელისა მეშინია, და გაღვიძების დროს რაღაც შიში მეუფლება ხოლმე... ახლა კი სულ სხვანაირად იყო ყველაფერი...

გრუბერი ჩუმად იჯდა. არაფერს ეკითხებოდა. ცნობისმოყვარეობა ჩაკლა დროებამ, რომელშიაც ამდენი რამ მოხდა. ბუნდოვნად უკვირდა მხოლოდ, რომ თვითონ ასე წყნარად იჯდა აქ, ანკარა ძილით გარემოცული, როგორც კლდე, რომელიც წყლის ქვეშ ძევს და მონანავე წყალმცენარეებით დახუნძლულა. რუსეთიდან გამგზავრების

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შემდეგ პირველად იგო, თავს დაძაბულად აღარ გრძნობდა. რაღაც სათუთი სიმშვიდე შეჭრილიყო მასში, როგორც წყლის მოქცევა, რომელიც ღამის განმავლობაში ნაპირებიდან გადმოვიდა, ანაზდეულად წალეკა მშრალი, გადაბუგული ადგილები და, სარკესავით მოკამკამე, ერთ მთლიანთან შეაერთა ისინი.

*

ქალ-ვაჟი უკან დაეშვა ქალაქისკენ. ქუჩამ კვლავ მიიღო ისინი, ნახანძრალთა ცივი სუნი გარშემოეკვლოთ ისევ და დაბნელებული შავი ფანჯრები კატაფალკების პროცესიასავით მიაცილებდნენ. ელიზაბეტს შეაჟრჟოლა.

— წინათ სახლები და ქუჩები გაჩირაღდნებული იყო და ეს სრულიად ბუნებრივ ამბად გვეჩვენებოდა, იმდენად ეიყავით მიჩვეულნი. მხოლოდ ახლა გრძნობ ადამიანი, თუ რა იყო ეს...

გრებერმა ზევით აიხედა. ცა ნათელი და მოწმენდილი იყო. კარგი ღამე იდგა მფრინავთათვის. უკვე მარტო ამის გამო იყო იგი გრებერისთვის ერთობ ნათელი.

— თითქმის მთელი ევროპა ასეა ჩაბნელებული, — თქვა მან, — მხოლოდ შვეიცარიაა კიდევ ღამლამობით განათებული. იქ სინათლეს იმიტომ ანთებენ, მფრინავებმა დაინახონ, რომ ნეიტრალურ ქვეყანაზე მიფრინავენ. ეს ერთმა მიამბო, რომელიც თავის ესკადრილიასთან ერთად საფრანგეთსა და იტალიაში იყო. შვეიცარია სინათლის კუნძულივით ჩანს თურმე — სინათლისა და მშვიდობის კუნძულივით, ვინაიდან ერთი მეორესაც გულისხმობს. ხოლო მის ირგვლივ განრთხმული არიან წყვდიადით მოცულნი, თითქოს დაუსაბამო შავ სუდარაში გახვეული გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ავსტრია, მთელი ბალკანეთი და ომის მონაწილე სხვა დანარჩენი ქვეყნები.

— ჩვენ სინათლე მოგვეცა და მან ადამიანებად გვაქცია. ჩვენ კი ჩაკალით იგი და კვლავ გამოქვაბულთა მკვიდრებად ვიქეცით, — წარმოთქვა ელიზაბეტმა ფიცხად.

„ვითომ მან გვაქცია ადამიანებად? — გაიფიქრა გრებერმა, — მე მგონია, ეს გადაჭარბებულია. ელიზაბეტი, როგორც ჩანს, განწყობილია, ყველაფერი გააზვიადოს. და მაინც შეიძლება ეს მართალია: ცხოველებს არა აქვთ სინათლე, არც სინათლე და არც ცეცხლი. მაგრამ სამაგიეროდ, არც ყუმბარები აქვთ“.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მარიენშტრასეზე იდგნენ. გრებერმა უეცრად დაინახა, რომ ელიზაბეტი ტიროდა.

— ნუ მიყურებ, — უთხრა ქალმა, — არ უნდა დამელია. არ შეიძლია. სევდა კი არ შემომწოლია. ისე მომიდუნდა უეცრად ყველაფერი.

— მერე რა, ნუ შეიკავებ თავს და ნურც ნურაფერს ინაღვლებ. მეც მთლად მოშვებული ვარ. ეს დამახასიათებელია.

— რისთვის არის დამახასიათებელი?

— იმისთვის, რაზედაც ჩვენ ეს-ეს არის, ვლაპარაკობდით. აი, მეორე მხარეს მიტრიალებისთვის. ხვალ საღამოს ასე აღარ ვიხეტიალებთ ქუჩა-ქუჩა. სადმე წავიდეთ ერთად, ისეთ ადგილას, სადაც იმდენი სინათლე იქნება, რამდენიც კი შეიძლება იყოს ამ ქალაქში. მე ვიკითხავ ამას.

— რატომ? შენ შეგიძლია უფრო მხიარული საზოგადოება მოძებნო, ვიდრე მე.

— მე არანაირი მხიარული საზოგადოება არ მჭირდება.

— მაშ რა?

— ყოველ შემთხვევაში, მხიარული საზოგადოება არა. მე ვერ ავიტანდი მას. და ვერც სხვებს — მთელი მათი თანაგრძნობით, რომელიც ისედაც ყელში ამომდის მთელი დღის განმავლობაში, ყალბიცა და ნამდვილიც. შენც გამოგიცდია ალბათ.

ელიზაბეტი აღარ ტიროდა.

— ჰო, — თქვა მან, — მეც გამომიცდია.

— ჩვენ შორის კი სულ სხვანაირადაა საქმე. ჩვენ არ გვჭირდება ერთმანეთს თვალი ავუხვიოთ. ეს უკვე ბევრს ნიშნავს. და აი, ხვალ საღამოთი ქალაქის ყველაზე განათებულ რესტორანში წავალთ და ვივახშმებთ, ღვინოს დავლევთ და ერთი საღამო მაინც დავიწყებთ მთელ ჩვენს გაძაღლებულ ცხოვრებას!

ქალმა შეხედა მას.

— ესეც მეორე მხარეს განეკუთვნება?

— ჰო! ესეც მეორე მხარეს განეკუთვნება. ყველაზე ღია ფერის კაბა ჩაიცვი, რომელიც კი გაქვს.

— კარგი. რვაზე მოდი...

უეცრად ვაჟმა ქალის თმა იგრძნო სახეზე და მერე მისი ტუჩებიც, თითქოს უეცრად სიო გაელამუნაო, — და ვიდრე გრებერი გონს მოვი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დოდა, ქალი კარში გაუჩინარდა. მან ბოთლი მოსინჯა ჯიბეში. ბოთლი ცარიელი იყო და იგი მახლობელი სახლის წინ დადგა. „კიდევ ერთი დღეც გავიდა, — გაიფიქრა მან, — კარგია, რომ როიტერი და ფელდმანი არ მხედავენ ახლა აქ, ვინ იცის, რას არ იტყოდნენ ისევ!“

XII

— მაშ ასე, მეგობრებო, რაც გინდათ, თქვით და მე კი გამოგიტყდებით, — თქვა ბოტჰერმა, — რომ ლუდხანის დიასახლისთან ვიწექი. აბა, სხვა რა გზა მქონდა? რაღაც ხომ უნდა გამეკეთებინა?! მაშ, რისთვის მაქვს შვებულება? ხელცარიელი ხომ არ დავბრუნდები ფრონტზე?

იგი ფელდმანის საწოლის გვერდით იჯდა, ხელში ყავადანის თავსახური ეჭირა, რომელშიაც ყავა ესხა და ფეხები ცივწყლიან ვედროში ჩაეყო. მას შემდეგ, რაც ველოსიპედი მიამსხვრია, ბევრი სიარულისგან ფეხებზე ბებერები გამოსვლოდა.

— შენ კი, — შეეკითხა იგი გრებერს, — შენ რაღა გააკეთე დღეს? სადმე იყავი?

— არა.

— არა?

— მაგას ეძინა, — განაცხადა ფელდმანმა, — შუადღემდე. ისე მაგრად, რომ ზარბაზანიც კი ვერ გამოაღვიძებდა. პირველად გვიჩვენა, რომ ჭკუა აქვს.

ბოტჰერმა წყლიდან ფეხები ამოყო და ტერფებს დაუწყო თვალიერება, რომლებიც დიდრონ თეთრ ბუშტებს დაეფარა.

— ერთი შეხედეთ ამას! ამხელა კაცი ვარ და ფეხები კი ჩვილი ბალღივით სუსტი მაქვს. იმთავითვე ასე მქონდა, ვერ იქნა და ვერ გამიმაგრდა. და აი, ახლა ასეთი ფეხების პატრონმა, ვინ იცის, კიდევ რამდენი უნდა ვიხეტიალო.

— რიღასთვის? ახლა ხომ შეგიძლია აღარ იჩქარო, — უთხრა ფელდმანმა, — ახლა ხომ ლუდხანის დიასახლისი გყავს.

— აბა, რას ამბობ, კაცო! დიასახლისს რა კავშირი აქვს ამასთან? და თანაც, მან ძალიან გამიცრუა მოლოდინი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— როცა კაცი ფრონტიდან ბრუნდები, პირველ ჯერზე ყოველთვის მოლოდინის გაცრუება გელის. ეს ყველამ იცის.

— მე მაგას არ ვგულისხმობ, მეგობარო. მაგ მხრივ კი გამოვიდა ყველაფერი, მაგრამ ისე არა, როგორც საჭიროა.

— არ შეიძლება ყველაფერი ერთბაშად მოითხოვო, — უთხრა ფელდმანმა, — ქალი ჯერ უნდა შეეჩვიოს.

— შენ კიდევ ვერ გამიგე, მას წუნი არ დაედებოდა, მაგრამ სულიერი მხარე ჩაგვეშალა. ყური დამიგდე! აი, ვწევართ ლოგინში, საქმე დაწყებული გვაქვს და უეცრად, ასე ვთქვათ, გახურებული ბრძოლის ქარცეცხლში დამაყიწყდა და ალმა ვუწოდე. მას კი ლუიზე ჰქვია. ალმა ჩემი ცოლის სახელია, გაიგე?..

— გაიგე.

— ეს ნამდვილი კატასტროფა იყო, ჩემო ძმაო.

— ეგრე მოგიხდება, — უკმეხად გადმოსძახა მოულოდნელად ბოტჰერს მაგიდიდან ერთ-ერთმა ბანქოს მოთამაშემ, — სამართლიანად დასჯილხარ ცოლის ღალატისთვის, შე ღორო, შენა! იმედია, მაგრად შეგაჩვენა და ისე გამოგაგდო გარეთ.

— ცოლის ღალატი? — ბოტჰერმა თავი ანება ფეხებს, — მერე ვინ ლაპარაკობს აქ ცოლის ღალატზე?

— შენ! დღე და ღამე ლაპარაკობ! თუ ყველაფერთან ერთად ჭკუანაკლებიც ხარ? — ეს ბანქოს მოთამაშე კვერცხისმაგვართავიანი კაცუნა იყო, მძულვარედ მისჩერებოდა ბოტჰერს. ეს უკანასკნელი კი უალრესად აღშფოთებულიყო.

— ნეტავი კიდევ თუ სადმე გაგიგონია ასეთი სიბრიყვე? — იკითხა მან და მიიხედ-მოიხედა, — ერთადერთი, ვინც აქ ღალატზე ლაპარაკობს, ეს შენა ხარ! ხედავთ, რა მოჭორა! ღალატი მაშინ იქნებოდა, შე რეგვენო, ჩემი ცოლი აქ რომ იყოს და მე სხვასთან ვიძინებდე! მაგრამ ის აქ არ არის და მთელი უბედურებაც ეგაა! რაღა ღალატია? ის რომ აქ იყოს, მე ხომ არ დავწვებოდი ლუდხანის დიასახლისთან!

— მაგას ყურს ნუ უგდებ, — უთხრა ფელდმანმა, — მაგას შურს, მორჩა და გათავდა. რა მოხდა მერე, შენ რომ ლუიზე დაუძახე?

— ლუიზე? ლუიზე არა. ლუიზე ხომ მას ჰქვია. მე ალმა დავუძახე.

— ჰო, კარგი, ალმა. მერე?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მერე? შენ არ დაიჯერებ, ჩემო ძმაო, რა მოხდა მერე! ნაცვლად იმისა, რომ გაეცინა და ჩხუბი აეტეხა ჩემთვის, რა ჩაიდინა, იცი? სლუკუნი მორთო. ნიანგივით გადმოუშვა ცრემლები, წარმოგიდგენია? მსუქანმა ქალებმა არ უნდა იტირონ, ჩემო ძმაო...

როიტერმა ჩაახველა, წიგნი დახურა და ბოტჰერს ცნობისმოყვარეობით შეხედა:

— რატომ არა?

— არ უხდებათ. არ შეესაბამება მათ სოლიდურ ნაკვეთებს. მსუქანი ქალები უნდა იცინოდნენ.

— როგორ ფიქრობ, გაიცინებდა შენი ალმა, მისთვის რომ ლუიზე დაგეძახა? — გესლიანად შეეკითხა კვერცხისთავა ბანქოს მოთამაშე.

— ჩემს ალმასთან რომ მომსვლოდა ასეთი რამ, — განაცხადა ბოტჰერმა დარბაისლური სიდინჯით და თავგამოდებით, — მაშინ პირველსავე ლუდის ბოთლს მითავაზებდა სახეში, მერე კი ყველაფერს დამიშენდა ზედ, რის ადგილიდან დაძვრასაც შეიძლებს ძეხორციელი, ხოლო შემდეგ, როდესაც ისევ გრძნობაზე მოვიდოდი, ისე მაგრად დამამჟავებდა, რომ ძვალსა და რბილს ერთს გამიხდიდა. აი, ასე მოხდებოდა ეს, შე ვირისთავო, შენა!

კვერცხისთავა ერთხანს დუმდა, როგორც ჩანდა, ბოტჰერის მიერ დახატულმა სურათმა თავისი გააკეთა.

— და ასეთ ქალს ატყუებ, არა? — უთხრა შემდეგ ხმაწასულმა.

— შე კაი კაცო, მე ხომ სრულიადაც არ ვატყუებ მას! ის რომ აქ იყოს, ლუდხანის დიასახლისს ზედაც არ შევხედავდი! ასეთი რამ ხომ მოტყუება არ არის. გაჭირვებიდან გამოსავალია. მორჩა და გათავდა!

როიტერი გრებერს მიუბრუნდა:

— შენ? შენ რაღას მიაღწიე შენი ერთი ბოთლი არმანიაკით?

— არაფერს.

— არაფერს? — შეეკითხა ფელდმანი, — და ამის გამო შუადღემდე მკვდარივით გძინავს?

— ჰო. ეშმაკმა უწყის, რატომ დამძალა ასე უეცრად დაღლილობამ. რომ დავწვე, ახლავე ისევ დამეძინება. ისე ვარ, თითქოს მთელი კვირის განმავლობაში თვალი არ მომეხუჭოს.

— მაშინ დაწექი და განაგრძე ძილი.

— ბრძნული რჩევაა, — თქვა როიტერმა, — ძილის ოსტატის — ფელდმანის რჩევა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ფელდმანი ვირია, — განაცხადა კვერცხისთავამ, რომელმაც ის-ის იყო, პასი გამოაცხადა, — მთელ თავის შვებულებას ძილში ატარებს. ბოლოს ისე გამოვა, თითქოს შვებულება არც კი ჰქონოდეს. ასე ფრონტზედაც მშვენივრად შეეძლო ეძინა და სიზმარში ენახა ხოლმე, რომ შვებულებაშია.

— ეგრე ალბათ შენ გინდა, რომ იყოს, ჩემო ძმაო. მე კი პირიქით მემართება, — მიუგო ფელდმანმა, — მე აქ მძინავს და როცა სიზმარს ვხედავ, მესიზმრება, რომ ფრონტზე ვიმყოფები.

— მაინც სად იმყოფები სინამდვილეში? — შეეკითხა როიტერი.

— როგორ თუ სად? აქ, სად შეიძლება, კიდევ რომ ვიყო?

— დარწმუნებული ხარ ამაში?

კვერცხისთავამ ჩაიკიკინა.

— მეც სწორედ მაგის თქმა მინდა, — წარმოთქვა მან, — განა სულერთი არ არის, სად იმყოფება, თუ განუწყვეტლივ სძინავს? მხოლოდ პირუტყვს არ შეუძლია ეს გაიგოს.

— როცა ვიღვიძებ, მაშინ სულერთი არ არის, თქვე ჭკუის კოლოფებო, — განუცხადა მათ უეცრად გაჯავრებულმა ფელდმანმა და ისევ დაწვა.

როიტერი კვლავ გრებერს მიუბრუნდა:

— შენ რაღა გინდა, რომ შენი უკვდავი სულისთვის გააკეთო დღეს?

— მითხარი, სად უნდა წავიდეს კაცი, კარგად რომ ივახშმოს?

— მარტომ?

— არა.

— მაშინ „გერმანიაში“ წადი. ერთადერთი რიგიანი ადგილია. ოღონდ შეიძლება არც შეგიშვან. ყოველ შემთხვევაში, შენს ფრონტულ ტანსაცმელში ნამდვილად არ გაგაჭაჭანებენ. ეს ოფიცერთა სასტუმროა და რესტორანიც აგრეთვე. მაგრამ კელნერმა[1] შეიძლება შენს ორდენებსაც სცეს პატივი.

გრებერმა მუნდირზე დაიხედა. იგი რამდენიმე ადგილას დაკერებული და ძალზე გაცრეცილი იყო.

— შენ ვერ მათხოვებ შენს მუნდირს? — შეეკითხა იგი.

— სიამოვნებით. ოღონდ ოცდაათი გირვანქით მსუბუქი იქნები ჩემზე. მაშინვე უკან გამოგიძახებენ, როგორც კი შეხვალ, თუ ჩემსას

---

[1] *კელნერი — გერმანიასა და ზოგ სხვა ქვეყანაში: ოფიციანტი რესტორანში, ლუდხანაში და სხვ.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩაიცვამ, მაგრამ მე შემიძლია შენი ტანის უნტეროფიცრის საპარადო მუნდირი ვიშოვო. აგრეთვე შარვალიც. ზეციდან ფარაჯას ჩაიცვამ და ყაზარმაში ვერაფერს გაიგებენ. მართლა, რიგითი ჯარისკაცი რატომა ხარ ამდენი ხანი? შენ ხომ აქამდე ლეიტენანტის ჩინამდე უნდა მიგელწია?

— ერთხელ უკვე ვიყავი უნტეროფიცერი, მაგრამ ერთი ლეიტენანტი ვცემე და ამის გამო დამაქვეითეს. კიდევ ჩემი იღბალი, რომ საჯარიმო ასეულში არ მიკრეს თავი. დაწინაურებაზე კი მას შემდეგ ფიქრიც ზედმეტია.

— კეთილი. მაშასადამე, მორალური უფლებაც კი გქონია უნტეროფიცრის მუნდირზე. თუ შენს მანდილოსანს „გერმანიაში" წაიყვან, სასმელად იოჰანისბერგული კოხსბერგი შეუკვეთე, №37, გ. ს. ფონ მუმის მარნიდან. ისეთი ღვინოა, მკვდრეთით აღადგენს კაცს.

— კარგი. სწორედ ასეთი რამ მჭირდება.

*

ნისლი ჩამოწვა. გრებერი ხიდზე იდგა, რომელიც მდინარეზე გადიოდა. წყალი ნანგრევებით აესებულიყო, მღვრიედ მოედინებოდა და გარს ეკვლებოდა დირეებსა და საოჯახო აკლადიდებას. მოპირდაპირე მხარეს თეთრი ბურუსიდან მრუმედ აღმართულიყო სკოლის სილუეტი. გრებერი ერთხანს მისჩერებოდა მას; შემდეგ უკან გატრიალდა ხიდზე, განვლო პატარა შუკა და სკოლის ეზოს მიადგა. რკინის ვეება ალაყაფის სინესტისგან სველი კარი ფართოდ გაეღოთ. შიგ შევიდა. სკოლის ეზოში არავინ ჭაჭანებდა, რადგან უკვე ერთობ გვიანი იყო. ეზო გადაჭრა და მდინარის პირამდე მივიდა. წაბლის ხეები ისე შავად ჩანდნენ ნისლში, თითქოს ნახშირისანი ყოფილიყვნენ. მათ შორის სველი მერხები იდგა. გრებერს გაახსენდა, რომ ხშირად იჯდა ხოლმე აქ. არაფერი ახდენია, რაზეც მაშინ ოცნებობდა. სკოლიდან პირდაპირ ომში წავიდა.

კარგა ხანს მისჩერებოდა მდინარეს. ნაპირზე დამსხვრეული საწოლი გამორიყა. გატიკნული ღრუბლებივით ელაგნენ ზედ დამძიმებული სველი ბალიშები. გააჟრჟოლა. უკან გამოტრიალდა და სკოლის შენობის წინ გაჩერდა. შემდეგ კარის სახელური მოსინჯა. დაკეტილი არ იყო. შვალო და ყოყმანით შევიდა შიგნით. ვესტიბიულში გაჩერდა და მიიხედ-მოიხედა. სკოლისთვის დამახასიათებელი დახ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შული სული ეცა და ნახევრად ბნელი კიბე და მუქყვრად შელებილი კარები დაინახა, რომელნიც საალტო დარბაზსა და საშასწავლებლოში გადიოდნენ. არავითარი გრძნობა არ აღძვრია — თვით ზიზღი ან ირონიაც კი. ველმანი გაახსენდა. უკან არსად არ უნდა დაბრუნდეო, — უთხრა მან და მარიალიც უთხრა. გრუბერი სიცარიელის მეტს ვერაფერს გრძნობდა. მიული გამოცდილება, რომელიც სკოლის შემდეგ შეიძინა, ეწინააღმდეგებოდა იმას, რასაც აქ ასწავლიდნენ. ალარაფერი დარჩენია — პირწმინდად გაკოტრდა.

მოტრიალდა და გარეთ გამოვიდა. შესასვლელის ორივე მხარეს ომში დაღუპულთა ორ მემორიალურ დაფას მოჰკრა თვალი. დაფა, რომელიც მარჯვენა მხარეს ეკიდა, ნაცნობი იყო მისთვის. ზედ პირველ მსოფლიო ომში მოკლულთა გვარები იყო აღბეჭდილი. ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ყრილობების დროს მას ნაძვის რტოებითა და მუხის ფოთლების გვირგვინებით ამკობდნენ ხოლმე და შიმელი, სკოლის დირექტორი, მის წინ მგზნებარე სიტყვას წარმოთქვამდა რევანშის შესახებ, დიდი გერმანიისა და მომავალი ანგარიშსწორების შესახებ. შიმელს ვეება, მსუქანი ლიპი ჰქონდა და მუდამ ოფლში იღვრებოდა. მეორე დაფაც, რომელიც შესასვლელის მარცხენა მხარეს ეკეთა, ახალი იყო. გრუბერი მას პირველად ხედავდა. იგი ამ ომში მოკლულთათვის იყო განკუთვნილი. გვარები წაიკითხა, ბევრნი იყვნენ; მაგრამ დაფა დიდი გაეკეთებინათ და გვერდით კიდევ ერთისთვის დაეტოვებინათ ადგილი.

გარეთ ეზოში, სკოლის დარაჯი შეხვდა.

— ეძებთ რასმე? — შეეკითხა ბერიკაცი.

— არა, არაფერს ვეძებ.

გრუბერმა გზა განაგრძო, შემდეგ გაახსენდა და უკან დაბრუნდა.

— არ იცით, პოლმანი სად ცხოვრობს? — შეეკითხა იგი, — ჰერ პოლმანი, აქ რომ ასწავლიდა.

— ჰერ პოლმანი აქ აღარ ასწავლის.

— ეგ ვიცი, მაგრამ სად ცხოვრობს?

დარაჯმა გაიხედ-გამოიხედა.

— აქ არავინ არის, რომ ყური დაგვიგდოს, — უთხრა გრუბერმა, — სად ცხოვრობს?

— წინათ იანპლაცის ექვს ნომერში ცხოვრობდა, მაგრამ ახლაც თუ იქ ცხოვრობს, ეგ აღარ ვიცი. თქვენ ალბათ აქ სწავლობდით, არა?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— დიახ! დარეკილია? ეს ეს

— რა იცის უნდა, — ბიუგი გაკვირვებულმა დარაჯმა, — რა თქმა უნდა, ეს ეს ის არის, ან კი რატომ არ უნდა იყოს?

— ეს, — თქვა გრებერმა, — ან კი რატომ არ უნდა იყოს?

გზა გასაგრძელი, ეიბუიმტონიდე წუთის შემდეგ მიხვდა, რომ გზა აერია. ალარ იცოდა, სად იმყოფებოდა. ნისლი გასქელდა და ნანგრევებმა ბინდბინდლება დაკარგა. ყველა ნანგრევი ერთმანეთს ჰგავდა და ქუჩის ერთმანეთისგან ალარ გაარჩევდა კაცი. უცნაური გრძნობა დაეუფლა — თითქოს საკუთარ თავში დაბნეულიყოს.

საკმაო ხანი დასჭირდა, ვიდრე პაკინშტრასესკენ გზას გაიგნებდა. შენდეგ ანაზღეულად ქარმა დაუბერა და ისე აზვირთდა და აბობოქრდა ნისლი, თითქოს უხმაურო ქიმერული ზღვა ყოფილიყოს.

თეფისა ძმობლების სახლთან მივიდა. არავითარი ცნობა არ დახვდა და ის იყო, წასვლას აპირებდა, რომ უცნაურად მელერი ბგერა გაიგონა. ქნარის ხმას წააგავდა. გრებერმა მიიხედ-მოიხედა, სადამდეც თვალი მიუწვდებოდა, ქუჩა ცარიელი იყო. ბგერა კვლავ გახმაურდა, ამჯერად უფრო მაღალი, მწუხარე და მონანავე, თითქოს უხილავი გაბაფრთხილებელი ტოტტოვა რეკდა ამ ნისლის ზღვაში. იგი შეორდებოდა ხან დაბალ, ხან მაღალ ნოტზე, არათანაბრად, მაგრამ დროის თითქმის თანაბარზომიერ მონაკვეთებში და გეგონებოდათ, ზეციდან მოდიოდა, თითქოს სადღაც სახურავზე ქნარს უკრავდა ვილაც.

გრებერი უსმენდა. შემდეგ სცადა გაერკვია, თუ საიდან მოდიოდა ეს ბგერები. მაგრამ არაფერი გამოუვიდა. თითქოს ყველგან იყო და ყოველი მხრიდან ისმოდა, ძლიერი და გამომწვევი, ზოგჯერ თითო-თითო, ზოგჯერ კი როგორც არპეჯო[1] და უნუგეშო მწუხარებით ალსავსე ამოუცნობი აკორდი.

„ალბათ კომენდანტია, — გაიფიქრა მან, — ალბათ ჭკუაზე შეშლილია. მაშ, სხვა ვინ უნდა იყოს?“ და იმ სახლისკენ გაემართა, რომლისგანაც მხოლოდ ფასადი გადარჩენილიყო. მივიდა, კარი გამოიალო. კარს უკან ვილაც წამოხტა საკარძლიდან. გრებერმა შენიშნა, რომ ეს სწორედ ის მწვანე საკარძელი იყო, რომელიც მისი მშობლიური სახლის ნანგრევებში იდგა.

---

[1] არპეჯო — „რიგრიგ არფაზე“. მითითება იაპზე, რომ აკორდის ბგერები ერთდროულად კი არ იკვრება, არამედ ერთიმეორის მიყოლებით.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— რა მოხდა? — უკმეხად იკითხა შეშინებულმა კომენდანტმა.

გრებერმა დაინახა, რომ ხელში მას არაფერი ეჭირა. ბგერები კი ახლა ისმოდა.

— ეს რა არის? — შეეკითხა იგი, — საიდან ისმის?

კომენდანტმა სველი სახე გრებერს სახესთან ახლოს მიუტანა:

— აა, ეს თქვენა ხართ, ჯარისკაცო?! რა არისო, კითხულობთ განა, საშობლოს დამცველო? განა არ გესმით? ეს რეკვიემია აქ დამარხულთათვის! ამოთხარეთ! ამოთხარეთ! შეწყვიტეთ მკვლელობანი!

— სისულელეა! — გრებერმა ნისლს გახედა, რომელიც მაღლა იწევდა, და დაინახა, რომ ქარში რაღაც მუქი ფერის კაბელის მსგავსი რამ ქანაობდა აქეთ-იქით და ყოველთვის, როდესაც უკან ბრუნდებოდა, ის საიდუმლოებრივი გონგის ხმა ისმოდა. უეცრად როიალი გაახსენდა, რომელიც სახურავმოგლეჯილი და მაღლა ნანგრევებს შორის გახირული ნახა. კაბელი ალბათ გაშიშვლებულ ხიმებს ხვდებოდა.

— ეს როიალია, — თქვა გრებერმა.

— როიალია! როიალია! — გამოაჯავრა კომენდანტმა, — თქვენ რას გაიგებთ, თქვე მოურჯულებელო მკვლელო, თქვენა! ეს მიცვალებულთა ზარია და ქარი რეკავს მას! ზეცით მოისმის ღაღადისი მოწყალებისა, დიახ, მსროლელო ავტომატო, მოწყალებისა, რომელიც დედამიწაზე აღარ არსებობს უკვე! თქვენ რა იცით სიკვდილისა, თქვე დამანგრეველო, თქვენა! და ან კი როგორ შეიძლება იცოდეთ? იმათ, ვინც სიკვდილს თესავენ, მის შესახებ არასოდეს არაფერი უწყიან, — იგი წინ წაიხარა, — ყველგან მკვდრები არიან, — ჩურჩულით წარმოთქვა, — ნანგრევების ქვეშ წვანან, გასრესილი სახეებითა და გაშლილი ხელებით, წვანან იქ, მაგრამ აღდგებიან და დევნილთ გყოფენ თქვენ...

გრებერმა უკან დაიხია და ქუჩაში გამოვიდა.

— დევნილთ გყოფენ თქვენ! — ბურტყუნებდა მის კვალდაკვალ კომენდანტი, — ბრალს დაგდებენ და ყველას სათითაოდ გაგასამართლებენ... — გრებერი უკვე ვერ ხედავდა მას, მხოლოდ ჩახლეჩილი ხმა ესმოდა ნისლის კორიანტელიდან: — რამეთუ რავდენი უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ, — ამბობს უფალი...

გრუბერი გზას განაგრძობდა.

— ეშმაკსაც წაულიხარ — ბუტბუტებდა იგი, — ეშმაკსაც წაულიხარ! მიდი და თვითონაც თავი დაიმარხე ნანგრევებში, რომლებზედაც სიკვდილის ფრინველივით ჩამოფხატულხარ! — იგი გზას განაგრძობდა, — მკვდრები, — ფიქრობდა მწარედ, მკვდრები, მკვდრები! ყელში ამოვიდნენ ეს მკვდრები! ნეტავი რისთვის მოვედი აქ? იქნებ იმიტომ, რომ მეგრძნო, თუ როგორ ფეთქავს კიდევ სიცოცხლე ამ უდაბნოს ერთ-ერთ კუნჭულში?

*

ზარი დარეკა. კარი მაშინვე გაიღო, თითქოს მის უკან ვიღაც იდგა.

— აჰ, ეს თქვენა ხართ?.. — წარმოთქვა გაკვირვებულმა ფრაუ ლიზერმა.

— დიახ, მე ვარ, — მიუგო გრუბერმა. იგი ელიზაბეტს მოელოდა.

იმავ წამს ისიც გამოვიდა თავისი ოთახიდან. ფრაუ ლიზერი ამჯერად უსიტყვოდ გატრიალდა.

— შემოდი, ერნსტ, — უთხრა ელიზაბეტმა, — ახლავე მზად ვიქნები, — ვაჟი შეჰყვა.

— ეს არის შენი ყველაზე ღია ფერის კაბა? — შეეკითხა იგი და შავ ჯემპრსა და მუქ ბოლოკაბას შეხედა, რომლებშიც ელიზაბეტი გამოწყობილიყო, — თუ დაგავიწყდა, რომ დღეს საღამოს სადმე წასვლას ვაპირებთ?

— შენ სერიოზულად მითხარი მაშინ?

— რასაკვირველია! აბა, შეხედე! უნტეროფიცრის საპარადო მუნდირი მაცვია. ერთმა ამხანაგმა მიშოვა. ხომ ხედავ, ვთაღლითობ კიდეც იმისთვის, რომ სასტუმრო „გერმანიაში“ შენი წაყვანა შევძლო — და მაინც კიდევ საკითხავია, შევალთ თუ არა. შეიძლება იქ ლეიტენანტებსა და უფრო მაღალი ჩინის მქონეთ უშვებენ მხოლოდ. ალბათ ეს შენზეც იქნება დამოკიდებული. სხვა ჩასაცმელი არ გაქვს?

— კი, მაგრამ...

გრუბერმა მაგიდაზე ბინდინგის არაყს მოჰკრა თვალი.

— ვიცი, რასაც ფიქრობ, — უთხრა მან, — დავიწყე ეგ. დავიწყე ფრაუ ლიზერიცა და მეზობლებიც. შენ არავისთვს ვნება არ მოგა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქვს. ეს არის ერთადერთი რამ, რასაც შეიძლება ანგარიში გაეწიოს, ხოლო სადმე გაჯლა კი შენთვის აუცილებელია, თორემ ჭკუიდან შეიშლები. აი, ცოტა არაყი ძოსეი.

ჭიქა აჯსო და ელიზაბეტს მიაწოდა. ქალმა გამოცალა.

— კარგი, — თქვა მან, — ბევრი დრო არ დაჰჭირდება. მე ხომ მოგელოდი და თითქმის მოვეშზადე, თუმცა კი დარწმუნებული არ ვიყავი, გახსოვდა თუ არა კიდევ დანაპირები. მხოლოდ გარეთ გადი, ვიდრე ჩაიცვამ, თორემ სულაც არ მინდა ფრაუ ლიზერმა დამაბეზღოს, თითქოს პროსტიტუციას ვეწევი.

— ამ შემთხვევაში მაგით ვერაფერს გახდება. როცა ჯარისკაცთან იქმ ასეთ რამეს, ეს პატრიოტულ საქმედ ითვლება. მაგრამ მე მაინც გარეთ დაგელოდები. ქუჩაში, წინკარში კი არა.

გრებერმა ქუჩაში წინ და უკან სიარული დაიწყო. ნისლი შეთხელებულიყო, მაგრამ სახლების კედლებს შორის კიდევ ხრჩოლავდა, თითქოს იქ სამრეცხაო ყოფილიყოს. უეცრად ფანჯარამ დაიწკრიალა. ელიზაბეტი გადმოიხარა სინათლის ჩარჩოში შიშველი მხრებით და გარეთ ორი კაბა გადმოფინა. ერთი ყავისფერი იყო და ოქროსფერი დაჰკრავდა, ხოლო მეორე — გაურკვეველი ფერისა და მუქი. ისინი დროშებივით ფრიალებდნენ ქარში.

— რომელი? — შეეკითხა იგი.

ვაჟმა ოქროსფერზე მიუთითა. ქალმა თავი დაუქნია და ფანჯარა დახურა. გრებერმა მიიხედ-მოიხედა. არავის შეუნიშნავს ეს საჰაერო თავდაცვის წესების დარღვევა.

წინ და უკან სიარული განაგრძო. ღამე ანაზდეულად უფრო ღრმა და დასრულებული ჩანდა, ვიდრე აქამდე. დღისით განცდილი დაღლა, უცნაური განწყობილება საღამოთი და გადაწყვეტილება, წარსულისთვის ზურგი ექცია, მის სულში ნაზმა მღელვარებამ და მოუსვენარმა მოლოდინმა შეცვალა.

ელიზაბეტი კარში გამოჩნდა, სწრაფად მოდიოდა, ტანკენარი და ნატიფი კვლავინდებურზე მაღალი ჩანდა გრძელ, ოქროსფერ კაბაში, რომელზედაც სუსტი შუქი დალიცლიცებდა. სახეც გამოსცვლოდა. უფრო ვიწრო უჩანდა, ხოლო თავი კი უფრო დაპატარავებოდა. გრებერი ერთბაშად ვერც კი მიხვდა, რომ ეს კაბის ბრალი იყო, რომელიც ქალს ყელს არ უფარავდა.

— ფრაუ ლიზერმა დაგინახა? — შეეკითხა იგი.

— ჰო, კინაღამ ენა ჩაუვარდა. მისი აზრით, მე უნდა მარად ძაძები მეცვას და ცოდვების მონანიებაში ვიყო. წამით სინდისის ქენჯნა ვიგრძენი.

— სინდისის ქენჯნას, ჩვეულებრივ, დამნაშავენი არ გრძნობენ ხოლმე.

— ეს მხოლოდ სინდისის ქენჯნა კი არ იყო, არამედ შიშიც, როგორ ფიქრობ...

— არა, — მიუგო გრუბერმა, — მე არაფერს ვფიქრობ. და, საერთოდ, მოდი, ამ საღამოთი ნურაფერზე ვიფიქრებთ. ისედაც უკვე ბევრი გვიფიქრია და ბევრი შიშიც განგვიცდია ამის გამო. მოდი, ერთხელ მაინც ვცადოთ, ცოტაოდენი დრო გავატაროთ...

სასტუმრო „გერმანია“ ისე იდგა ორ ძირს დამხობილ სახლს შორის, როგორც მდიდარი ბანოვანი ორ გაღარიბებულ ნათესავ ქალს შუა. სასტუმროს ორივე მხარეს ღორღი სუფთად აეხვეტათ და ორ გროვად დაეხროვებინათ. ამიტომ ნანგრევები უკვე აღარ ტოვებდნენ ქაოსითა და სიკვდილით მოცულ ადგილთა შთაბეჭდილებას; მათ უკვე წესიერი, თითქმის ცივილიზებული შესახედაობა მიეღოთ.

მეკარემ გრუბერის მუნდირს აგდებით შეავლო თვალი.

— სად არის აქ რესტორანი? — შეეკითხა გრუბერი მკვახედ, ვიდრე ის რამის თქმას მოასწრებდა.

— ვესტიბიულის ბოლოში, მარჯვნივ, ჰერ! ობერკელნერ ფრიცს იკითხავთ.

მათ ვესტიბიული განვლეს. ვიღაც მაიორმა და ორმა კაპიტანმა ჩაუარათ გვერდით. გრუბერმა სამხედრო სალამი მისცა.

— აქ ალბათ ჭყეპაზე არიან გენერლები, — განაცხადა მან, — მეორე სართულზე რამდენიმე სამხედრო კომისიის ბიუროა მოთავსებული.

ელიზაბეტი გაჩერდა.

— მერე საშიში არ არის? ვინმემ რომ ეჭვი აიღოს, რომ სხვისი მუნდირი გაცვია?

— როგორ უნდა აიღონ ეჭვი? უნტეროფიცერივით თავის დაჭერა ძნელი არ არის; მით უმეტეს, რომ ერთხელ უკვე მქონდა ეგ ჩინი.

ახლა ვიღაც პოდპოლკოვნიკი გამოჩნდა, დეზების წკარაწკურით მოდიოდა პატარა, გამხდარ ქალთან ერთად. სადღაც გრუბერის ზევით იხედებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— რას გიზამენ, რომ მიგიხვდნენ? — შეეკითხა ელიზაბეტი.

— ბევრს არაფერს.

— შეუძლიათ დაგვხვრიტონ?

გრებერს გაეცინა.

— მე მგონი, ამას არ გააკეთებენ, ელიზაბეტ! საამისოდ მათ ერთობ ვჭირდებით ფრონტზე.

— მაშ, სხვა რა შეუძლიათ გიყონ?

— ბევრი არაფერი! ალბათ რამდენიმე კვირით ჩამსვამენ, ეს კი რამდენიმე კვირის დასვენებას უდრის. ვითომც შვებულება გქონია. როდესაც კაცს ორ კვირაში ფრონტზე დაბრუნება მოელის, მას ბევრი არაფერი შეიძლება დაემართოს.

ობერკელნერი ფრიცი გამოჩნდა დერეფნიდან, რომელიც მარჯვენა მხრიდან უერთდებოდა დარბაზს. გრებერმა ქაღალდის ფული ჩაუდო ხელში, რომელიც ფრიცმა დაუყოვნებლივ ჯიბეში გააქრო და მაშინვე თავაზიანი გახდა.

— მაშ, რესტორანში, საუახშმოდ, რა თქმა უნდა, — წარმოთქვა მან და თავმომწონედ გაუძღვა მათ წინ.

ქალ-ვაჟი მან სვეტის უკან მიმალულ მაგიდასთან დასხა და თვითონ მოზომილი ნაბიჯით უკან გატრიალდა. გრებერმა მიიხედ-მოიხედა.

— სწორედ ის არის, რაც მე მინდოდა. მაგრამ ცოტა დრო მჭირდება, რომ შევეჩვიო. შენ? — ელიზაბეტს შეხედა, — შენ კი ნამდვილად არა, — წარმოთქვა გაკვირვებულმა, — შენ ისე გამოიყურები, თითქოს ყოველდღე აქ დადიოდე.

მათთან პატარა ტანის მოხუცი კელნერი მივიდა, რომელიც მარაბუს[1] წააგავდა. მენიუ მოიტანა. გრებერმა გამოართვა, შიგ ქაღალდის ფული ჩადო და უკან დაუბრუნა.

— ჩვენ ისეთი რამ გვინდა, რაც მენიუში არ არის მოხსენიებული. რა შეგიძლიათ, შემოგვთავაზოთ?

მარაბუმ არაფრის გამომხატველი სახით შეხედა:

— რაც გვაქვს, ყველაფერი მენიუშია ნაჩვენები.

— კეთილი. მაშინ ჯერჯერობით ერთი ბოთლი იოჰანისბერგული კოხსბერგი მოგვიტანეთ, №37, გ. ს. ფონ მუმის მარნისა. ოღონდ ძალიან ცივი ნუ იქნება.

---

[1] *მარაბუ — დიდი ფრინველი ყარყატების ოჯახისა. აქვს დიდი ნისკარტი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მარიანეს თვალები გაბრწყინებულა.

— ძალიან კარგი, ბატონი ჩემი, — წარმოთქვა მან მოულოდნელი მოკრძალებით. შემდეგ წინ წაიხარა, — შემთხვევით მცირეოდენი ინტერესული ქაღალდი გვაქვს. სულ ახალთახალია. მასთან ერთად, თუ ისურვებთ, შეიძლება ბელგიურად მოჭრადებული სალათი და ინფორმაციული ინფორმაციაც მოგართვათ.

— კეთილი. საუზმეზე რაღა შეგიძლიათ მოიტანოთ? ღვინოზე ხიზანიანი ან ოკონომის, რა თქმა უნდა.

მარიანე კიდევ უფრო გაბრწყინებულა.

— რასაკვირველია, არა! მაგრამ ჩვენ კიდევ დაგვრჩა ცოტაოდენი შტრასბურგული ბატის ღვიძლი, ქაბა სოკოთი შეზავებული...

გრეტჩენმა თავი დაუქნია.

— და ბიღლის, შეიძლება შემოგთავაზოთ ჰოლანდიური ყველის ნაჭერიც, იგი ძალიანად ავლენს ღვინის გემოსა და არომატს.

— ძალიან კარგი.

მარიანე ადგილიდან მოსხლტა. ეტყობა, გრეტჩერი თავდაპირველად ჯარისკაცად ძალზე, რომელიც შემთხვევით მოხვდა აქ; ახლა კი გასტრონომიული დელიკატესთა უბადლო მცოდნეს ხედავდა, რომელიც შეინახვიათ ჯარისკაცი იყო.

ელიზაბეტი ამ დიალოგს გაკვირვებული უსმენდა.

— ერნსტ, — უთხრა მან, — საიდან იცი ეს ყველაფერი?

— ერთი ჩემი ამხანაგის, როიტერისგან. დღეს დილით ჯერ კიდევ არაფერი არ ვიცოდი. მაგრამ ის ისეთი დიდი მცოდნეა, რომ ამის გამო ნიკრისის ქარიც კი აიკიდა. მაგრამ ახლა ეს სენი მას ფერისტედან ახლევს. ასეა მარად, მანკიერება წაგებული არასოდეს რჩება.

— კარგი, მაგრამ ფულის ფეხის ქირად გაჩუქება და მენიუზე გაწეული ხრიკიც მან გასწავლა?

— ჰო, ყველაფერი. ასეთ რამეებში როიტერი კარგად ერკვევა. საზოგადოებაში გამოსული კაცივით თავის დაჭერაც მანვე მასწავლა.

ელიზაბეტს უეცრად გაეცინა. ეს გულითადი, ალალი და ალერსიანი სიცილი იყო.

— იცის ღმერთმა, რომ მე ასეთად სრულებითაც არ მახსოვხარ! — უთხრა მან.

— არც მე მახსოვხარ ისეთად, როგორიც ამჟამად ხარ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვაჟმა ქალს შეხედა. სრულიად გამოცვლილი ეჩვენა იგი. განსაკუთრებით, როცა იცინოდა, სულ სხვანაირი იყო, თითქოს ჩაბნელებულ სახლში ყველა ფანჯარა ერთბაშად გაიღო.

— ძალიან ლამაზი კაბა გაცვია, — უთხრა ოდნავ დაბნეულმა.

— ეს დედაჩემის ნაქონი კაბაა. გუშინ სალამოთი გადაკეთე და ტანზეც მოვირგე, — მან გაიცინა, — ასე რომ, როცა შენ მოხვედი, არც ისე მოუმზადებელი ვიყავი, როგორც გარეგნულად ჩანდა.

— მერედა იცი კერვა? შენგან არ მოელის ამას კაცი.

— წინათ მართლაც არ ვიცოდი, მაგრამ ეისწავლე. ახლა ყოველდღე რვა საათის განმავლობაში სამხედრო ფარაჯებს ვკერავ.

— ნუთუ მართლა? მობილიზაციაში ხარ?

— ჰო... მაგრამ თვითონაც მინდოდა. მე მგონია, ამით მამას ვუშველი რამეს.

გრებერმა თავი გააქნია და ელიზაბეტს შეხედა:

— ეგ შენ არ გიხდება, ისევე როგორც შენი სახელი. მაინც ვინ დაგარქვა ნეტავი?

— დედამ შემირჩია. იგი სამხრეთ ავსტრიიდან იყო და იტალიელ ქალს ჰგავდა. იმედი ჰქონდა, ქერა და ცისფერთვალება გამოვიდოდი და ამიტომ, მისი აზრით, ელიზაბეტი უნდა მრქმეოდა. მერე კი, მართალია, იმედი არ გაუმართლდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ეს სახელი დამარქვა.

მარაბუმ ღვინო მოიტანა. ბოთლი ისე ეჭირა, თითქოს რალაც საუნჯე ყოფილიყოს, და ფრთხილად დაასხა ჭიქებში.

— მე თხელი, სადა ბროლის ჭიქები მოგართვით, — თქვა მან, — ღვინის ფერი მათში ყველაზე უკეთ ჩანს. იქნებ თქვენ მწკანეებს არჩევდით?

— არა! თხელი, გამჭვირვალე ჭიქები იყოს...

მარაბუმ თავი დაუქნია და მაგიდაზე ვერცხლის ლანგარი დადო. ბატის ღვიძლების მოვარდისფრო ნაჭრები შავ ქამა სოკოებთან ერთად მოკამკამე ჟელეს წრეში ელაგა.

— ეს-ეს არის, ელზასიდან მივიღეთ, — ამაყად განაცხადა მან.

ელიზაბეტმა გაიცინა:

— რა ფუფუნებაა!

— ჰო! ფუფუნებაა! — გრებერმა ჭიქა აიღო, — ნამდვილად ფუფუნებაა! — გაიმეორა მან, — სწორედ ამის სადღეგრძელო შევსვათ, ელი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ზაბეტ! ორი წლის განმავლობაში ოუნუქის კარდალიდან ვჭამდი და თანაც არასოდეს ვიყავი დარწმუნებული, რომ ბოლომდე შეჭმას მოვასწრებდი... ამიტომ ეს ყოველივე უბრალოდ ფუფუნება კი არ არის, არამედ ბევრად მეტი. ეს აშკვიდობა და უშიშროებაა, ეს სიხარული და ზეიმია — ერთი სიტყვით, ყველაფერია, რაც ფრონტზე არ მოიპოვება.

იგი ღვინოს სვამდა, პირს იტკბარუნებდა და ელიზაბეტს უყურებდა. ისიც ხომ ამ ნადიმის ნაწილს შეადგენდა. ეს იყო სწორედ ის ანაზდეულად მოგერილი ნეტარება, რასაც სიმსუბუქე და აღმაფრენა მოჰქონდა. მან უეცრად იგრძნო ის, რაც მაღლდებოდა აუცილებლობაზე, რაც არასაჭირო და თითქოსდა უსარგებლო იყო და ეს იმიტომ, რომ ყოფიერების მეორე მხარეს ეკუთვნოდა, ბრწყინვალე მხარეს, სიჭარბის მხარეს, თამაშისა და ოცნების მხარეს. სიკვდილის პირისპირ გატარებული წლების შემდეგ ღვინო მხოლოდ ღვინო კი არ იყო, ვერცხლი — მხოლოდ ვერცხლი, მუსიკა, რომელიც საიდანღაც ატანდა დარბაზში, — მხოლოდ მუსიკა და ელიზაბეტი — მხოლოდ ელიზაბეტი კი არა, არამედ ყველა ესენი ცხოვრების სიმბოლოებს წარმოადგენდნენ, ცხოვრებისა მკვლელობათა და ნგრევის გარეშე, ცხოვრებისა და ცხოვრებისათვის, რაიც უკვე თითქმის მითად და აუხდენელ ოცნებად გადაქცეულიყო.

— ზოგჯერ კაცს გაუიწყდება, რომ კიდევ ცოცხალი ხარ, — თქვა მან.

ელიზაბეტს ისევ გაეცინა.

— მე კი ყოველთვის მახსოვს, მაგრამ არ ვიცი, რაში მჭირდება ამგვარი სიცოცხლე.

მათთან მარაბუ მივიდა.

— როგორი ღვინოა, ჰერ?

— ჩინებული უნდა იყოს, თორემ უეცრად ისეთ რამეებზე არ დავიწყებდი ფიქრს, რომლებზედაც დიდი ხანია არ მიფიქრია.

— სულ მზის ბრალია, ჰერ! მზისა, რომელმაც შემოდგომაზე დაამწიფა ყურძენი. ახლა სასმელი უკან გამოსცემს იმ სხივებს. რაინის მხარეში ასეთ ღვინოს სანაწილეს ეძახიან.

— სანაწილეს?

— დიახ! როგორც ოქრო, ისეთია და ყოველმხრივ სხივებს აფრქვევს.

— მართალია!

— პირველ ჭიქაზევე იგრძნობა. ასე არ არის? ნამდვილი დაწურული მზეა!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— თვით პირველი ყლუპის შემდეგაც კი. კუჭში კი არ ჩადის, არამედ მაშინვე თვალებში აგიარდება და სამყაროს გარდაქმნის.

— თქვენ მართლაც იცით ღვინის გემო, ჰერ! — ნდობით აღსავსე მარაბუ მისკენ დაიხარა, — აგერ იქ, მარჯვნივ, იმ მაგიდაზეც ეგ ღვინო აქვთ, მაგრამ წყალივით ხვრეპენ. მაგათ მთხლე უნდა სვან.

იგი გატრიალდა და გვერდით ჩავლისას იმ მაგიდას მქირდავი მზერა ესროლა.

— ეტყობა, დღეს მატყუარებისთვის ბედნიერი დღეა, ელიზაბეტ, — თქვა გრებერმა, — შენ როგორღა მოგწონს ეს ღვინო? შენც სანაწილედ მიგაჩნია?

ქალი სკამის ზურგს მიეყრდნო და მხრებში გასწორდა.

— მე ისე ვგრძნობ თავს, როგორც ციხიდან გამოქცეული, რომელსაც ეშინია, რომ ტყუილისთვის ისევ ციხეში ჩაამწყვდევენ.

ვაჟს გაეცინა.

— აი, ასეთები ვართ ჩვენ! საკუთარი გრძნობების გვეშინია და როგორც კი გაგვიჩნდება რომელიმე მათგანი, მაშინვე თავი მატყუარებად გვესახება.

მარაბუმ ქამბალა და სალათი მოიტანა. გრებერი თვალს ადევნებდა, როგორ აწყობდა იგი ყველაფერ ამას მაგიდაზე. ახლა თავს დაძაბულად აღარ გრძნობდა. იგი იმ ადამიანს ჰგავდა, რომელმაც შემთხვევით გაბედა თხელ ყინულზე ფეხის შედგმა და ახლა თავისდა გასაოცრად ხედავს, რომ ყინული იჭერს მას და არ იმტვრევა. მან იცოდა, რომ ყინულის ფენა თხელი იყო და რომ ამის გამო ალბათ დიდხანს ვერ გაუძლებდა, მაგრამ ჯერჯერობით უძლებდა და ეს საკმარისი იყო.

— როდესაც ამდენი ხანი კაცი ნაკელში ეგდე, ეს ყოველივე ბევრად უფრო მოგწონს, — თქვა მან, — ყველაფერი ახალია შენთვის, ყველაფერი გაღელვებს, თითქოს პირველად ხედავდე... ყველაფერი — თვით ჭიქა და თეთრი სუფრაც კი.

მარაბუმ ახალი ბოთლი გახსნა. ახლა იგი დედასავით დასტრიალებს თავს.

— საერთოდ, თევზთან მოზელი მოაქვთ ხოლმე, — განაცხადა მან, — მაგრამ ქამბალა სულ სხვა რამეა: თითქმის ნიგოზივით ხორცი აქვს. მაგას ერთი ბოთლი რაუნგაუერი მირონივით მოუხდებოდა. ჰა, რას იტყვით?

— უთუოდ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კელნერმა თავი დაუქნია და გაუჩინარდა.

— ერნსტ, — თქვა ელიზაბეტმა, — მერედა ამდენი შეგვიძლია გადავიხადოთ? ეს ყველაფერი ხომ საშინლად ძვირი იქნება.

— შეგვიძლია. მე ომიანობის პერიოდის ორი წლის ჯამაგირი ჩამოვიტანე. და განა დიდხანს კი უნდა მეყოს ეს ფული? — გრებერმა გაიცინა, — სიცოცხლის მხოლოდ ერთობ ხანმოკლე მონაკვეთს, ორ კვირას. ამდენ ხანს კი იგი ნამდვილად მეყოფა.

*

წყვილი ელიზაბეტის სახლის კარის წინ იდგა, ქარი ჩამდგარიყო და ნისლი ჩამოყოლილიყო ისევ.

— როდის უნდა დაბრუნდე უკან? — შეეკითხა ელიზაბეტი, — ორი კვირის შემდეგ?

— ჰო, დაახლოებით.

— რა მალეა!

— მალეცაა და არც არის მალე. ეს ყოველწამს იცვლება. ომში დროც სხვანაირია, ვიდრე მშვიდობიანობის პერიოდში. ალბათ შენც გამოცდიდი: ახლა აქაც ხომ ისეთივე ომია, როგორიც ფრონტზე.

— განსხვავება მაინც არის.

— რა თქმა უნდა, მაგრამ მაინც. და სინამდვილეში დღეს ჩემი შვებულების პირველი საღამო იყო. ღმერთმა დალოცოს მარაბუც, როიტერიც, შენი ოქროსფერი კაბაცა და ღვინოც.

— და ჩვენც, — დაუმატა ელიზაბეტმა, — ჩვენც არ გვაწყენდა მისი დალოცვა.

ქალი მის წინ იდგა. ნისლის ფთილები გახირულიყვნენ მის კულულებში და სუსტი შუქი დასციმციმებდა თმასა და კაბაზე. სახე ნისლისგან ნაყოფივით ნოტიო ჰქონდა. ვაჟს უეცრად გაუძნელდა განშორება — სინაზის, რუდუნების, სიმშვიდისა და აღელვების ქსელის გაწყვეტა, რაშიც ასე მოულოდნელად გაეხვია მთელი ეს საღამო: უნდა დაჰბრუნებოდა ყაზარმის მყრალ ჰაერსა და ანგლობებს, სასოებას მოკლებულ მოლოდინსა და მომავალზე კაეშნით აღსავსე ფიქრს.

მკვახე ხმამ გააპო სიწყნარე:

— თქვენ რა, თვალები არა გაქვთ, უნტეროფიცერო?

მათ წინ ჩია ტანის ჩასუქებული მაიორი იდგა, რომელსაც ჯაგრისისმაგვარი თეთრი ულვაშები ჰქონდა. ეტყობა, რეზინის ლანჩა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეკერა ფეხსაცმელზე, ისე ჩუმად წაადგა მათ თავზე. გრებერი მაშინვე მიხედა, ეისთანაც ჰქონდა საქმე: ეს ალბათ ერთხელ უკვე სამსახურიდან გადაყენებული სათადარიგო საბრძოლო ულაყი იყო, რომელიც ის-ის იყო, ნაფტალინიდან ამოელოთ, ამიტომ თავისი მუნდირი ახარებდა და იჭიმებოდა. გრებერი ამ ბებრუხანას სიამოვნებით აიტაცებდა ჰაერში და ერთს ლაზათიანად შეანჯღრევდა, მაგრამ ასეთი რამის გაბედვა არ შეიძლებოდა, მით უფრო, მის მდგომარეობაში და ისე მოიქცა, როგორც იქცევა ამ შემთხვევაში გამოცდილი ჯარისკაცი: ხმა არ ამოუღია და სმენაზე გაიჭიმა. ბებერმა ჯიბის ფარნის შუქით თავიდან ბოლომდე შეათვალიერა, რაც გრებერს რატომღაც განსაკუთრებით შეურაცხმყოფლად მოეჩვენა.

— საპარადო მუნდირი! — დაიყეფა ბებერმა, — თბილ ადგილზე ხართ ალბათ მოყუჩებული, რომ მაგის თავი გაქვთ, არა?! ზურგში მჯდომი საშშობლოს მამაცი დამცველი! და თანაც საპარადო მუნდირში გამოწყობილი! რატომ ფრონტზე არა ხართ?

გრებერს არაფერი უპასუხია. მას დაეწყებია საბრძოლო წარჩინების ნიშნები თავისი ძველი მუნდირიდან ნათხოვარზე გადაეტანა.

— ქალების კუდში დევნა შეგიძლიათ მხოლოდ, არა? — იყეფებოდა მაიორი.

ელიზაბეტი შეირხა უცებ. ჯიბის ფარნის სინათლემ მას სახეში მიაშუქა. ქალიშვილმა ბებერს შეხედა, შუქის წრიდან გამოვიდა და მისკენ გადადგა ნაბიჯი. მაიორმა ჩაახველა, ალმაცერად გადახედა ელიზაბეტს და მოშორდა მათ.

— ის იყო მოთმინების ფიალა ამევსო, — თქვა ელიზაბეტმა.

გრებერმა მხრები აიჩეჩა.

— აბა, რა გინდა, რომ უყო ამ ბებერ ეაცებს. დაეხეტებიან ქუჩებში და უმცროსი ჩინებისგან მოითხოვენ, მოგვესალმეთო. ესაა მთელი მათი ცხოვრება. წარმოგიდგენია, რამდენიმე მილიონი წელიწადი მოანდომა განგებამ, რათა ბოლოს აი, ასეთი რამ წარმოექმნა.

— ჰოდა, რატომ არა ხართ ფრონტზე! — უთხრა სიცილით ელიზაბეტმა.

გრებერმაც გაიღიმა.

— ახია ჩემზე, სხვისი საპარადო მუნდირით თაღლითობისთვის მომეზღო. ხვალ სამოქალაქო ტანსაცმელს ჩავიცვამ. ერთგან შემიძლია ვითხოვო. თორემ სამხედრო მისალმებანი ყელში ამომოვიდა, თანაც მაშინ შეგვიძლია არხეინად გამოვიჭიმოთ „გერმანიაში“.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— კიდევ გინდა იქ წასვლა?

— ჰო, ელიზაბეტ! ეს ისეთი რამეა, რასაც მერე ფრონტზე გაიხსენებ კაცი. და არა ყოველდღიურ ამბებს. რვა საათზე შემოვიარ შენს წასაყვანად. ახლა კი წადი, თორემ ის ბებერი ბრიყვი კიდევ გამოივლის და ჯარისკაცის წიგნაკს მომთხოვს. ღამე ნებისა.

ვაჟმა ქალიშვილი მკერდზე მიიხუტა და ქალიც დაჰყვა მის ნებას. შემდეგ წელზე მოხვია მკლავი და ანაზდეულად ყოველივე ჩაინთქა ირგვლივ; ვაჟს იგი სურდა, მხოლოდ იგი და სხვა არაფერი. გულში იკრავდა, კოცნიდა, აღარ უნდოდა გაეშვა, მაგრამ მაინც გაუშვა.

*

ერთხელ კიდევ წავიდა ჰაკენშტრასეზე. თავისი დედ-მამის სახლთან გაჩერდა. ნისლში მთვარემ გამოიხედა. გრებერი ძირს დაიხარა, შემდეგ ხელი დასტაცა ორ ქვას შორის გახირულ თავის ბარათს. ერთ-ერთ კუთხეში რაღაც ეწერა მსხვილი ფანქრით. სწრაფად ამოიღო ჯიბის ფარანი: „გამოცხადდით მთავარ ფოსტაში, სარკმელი №15“, — წაიკითხა მან.

უნებურად საათზე დაიხედა. ერთობ გვიანი იყო. ფოსტა ღამით იკეტებოდა და დილის რვა საათამდე ვერაფერს შეიტყობდა, მაგრამ ხვალ დილით ადრე კი უკვე რაღაც ეცოდინებოდა. ქაღალდის ნაგლეჯი დაკეცა და ჯიბეში ჩაიდო, რათა ხვალ ფოსტაში წარედგინა. შემდეგ სამარისებური სიჩუმით მოცულ ქალაქის ქუჩებს გაჰყვა ყაზარმისკენ. თავს ისე გრძნობდა, თითქოს სიმძიმე დაჰკარგოდა და უჰაერო სივრცეში მოძრაობდა, რომლის გარღვევაც ვერა და ვერ გაებედა.

XIII

ფოსტის ერთი ნაწილი გადარჩენილიყო, დანარჩენი კი ძირს დამხობილი და დამწვარი იყო. ყველგან ხალხი ზიმზიმებდა. გრებერს კარგა ხანს მოუხდა ცდა, შემდეგ, როგორც იქნა, მიაღწია სარკმელ №15-მდე, აჩვენა თავისი ბარათი და ზედ წარწერა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოხელემ ბარათი უკან დაუბრუნა.

— პირადობის მოწმობა თან გაქვთ?

გრებერმა სარკმელზე გაკეთებული ბადურის ქვეშ ჯარისკაცის წიგნაკი და შვებულების მოწმობა შეაცურა. მოხელემ ყურადღებით გასინჯა ისინი.

— რაშია საქმე? — შეკითხა გრებერი, — რაიმე ცნობა მოვიდა?

მოხელემ არაფერი უპასუხა. წამოდგა და სადღაც წავიდა. გრებერი იცდიდა და თან უაზროდ მიხეერებოდა თავის საბუთებს, რომლებიც გადახსნილი ელაგა მაგიდაზე.

მოხელე უკან დაბრუნდა. ხელში პატარა დაქნელტილი ამანათი ეჭირა. ერთხელ კიდევ შეადარა ამანათზე დაწერილი მისამართი გრებერის შვებულების მოწმობას და შემდეგ ამანათი სარკმელში გამოდგა.

— აი, აქ მოაწერეთ ხელი.

გრებერმა ამანათზე დედის ხელით ნაწერი იცნო. დედას იგი ფრონტზე გაეგზავნა მისთვის. მაგრამ იქიდან უკანვე დაებრუნებინათ. გამოგზავნილის მისამართს დახედა. აქ ჯერ კიდევ პაკეტშტრახე იდო ნაჩქენები. ამანათი აიღო და ქვითარს ხელი მოაწერა.

— ხხეა არაფერი ფოთელა? — შეკითხა იგი. მოხელემ ახედა მას:

— როგორ ფიქრობთ, ჩვენ რაშეს დავიტოვებდით?

— არა, რას ამბობთ, მაგრამ ვიფიქრე, იქნებ ჩემი მშობლების მისამართი მიიღეს-მეთქი უკვე.

— მისამართები ჩვენ არ გვაქვს. მეორე სართულზე იკითხეთ წერილების მიტანის განყოფილებაში.

გრებერი მაღლა ავიდა. მეორე სართული მხოლოდ ნახევრად იყო გადახურული. დანარჩენი კი ღია ცის ქვეშ იყო და ღრუბლები და მზე ადგა თავზე.

— ახალი მისამართი რომ გვქონოდა, — უთხრა სარკმლის უკან მჯდომმა, — მაშინ პაკეტშტრასეზე არ გავგზავნიდით ამანათს. მაგრამ თქვენ მაინც შეგიძლიათ თქვენი უბნის წერილების დამტარებელს შეკითხოთ

— სად არის ეგი?

ქალმა საათზე დაიხედა.

— ახლა უბანშია წასული. დაახლოებით ოთხ საათზე რომ შემოივლიდეთ, აქ იქნება. ამ დროს ფოსტას ანაწილებენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მერეკა შეიძლება, რომ მან მისამართი იცოდეს, თუკი თქვენ არ იცით?

— რა თქმა უნდა, არა! მას ხომ ჩვენ ვაძლევთ მისამართებს. მაგრამ არიან ადამიანები, რომლებსაც, მიუხედავად ამისა, მაინც სურთ ხოლმე დაჰკითხონ. ეს მათ აშფოთებს. რას იზამ, ასეთია ადამიანი, არა?

— ჰო, როგორც ჩანს.

გრეგერმა ამანათი აიღო და კიბეზე დაეშვა. თარიღს დახედა. სამი კვირის წინათ იყო გამოგზავნილი. ბევრი დრო დასჭირდებოდა, ვიდრე ფრონტამდე მიაღწევდა, იქიდან კი სწრაფად დაბრუნებულიყო. კუთხეში მიდგა და ყავისფერი ქაღალდი გახსნა. შიგ გამხმარი ნამცხვარი, ერთი წყვილი შალის წინდა, სიგარეტების კოლოფი და დედის წერილი იდო. წერილი წაიკითხა. ბინის მოსალოდნელ გამოცვლაზე ან საჰაერო თავდასხმებზე არაფერი ეწერა. წერილი ჯიბეში შეინახა და ცოტა ხანს კიდევ შეიცადა, ვიდრე დაშშვიდდებოდა. შემდეგ ქუჩაში გამოვიდა. თავს არწმუნებდა, რომ მალე სხვა წერილიც მოვიდოდა, რომელზედაც ახალი მისამართი იქნებოდა აღნიშნული; მაგრამ, მიუხედავად ამისა, სული მაინც უფრო დაშძიმებოდა, ვიდრე მოელოდა.

ბინდინგთან წასვლა გადაწყვიტა. იქნებ იმან იცოდეს ახალი რამეო.

*

— შემოდი, ერნსტ! — დაუყვირა ალფონსმა, — ჩვენ სწორედ ღვინის სმით ვართ გართულნი. შეგიძლია შენც დაგვეხმარო.

ბინდინგი მარტო არ იყო. ვილაც ესესელი გადაწოლილიყო დიდ დივანზე, სწორედ რუბენსის ქვეშ, ისეთ პოზაში, თითქოს ის-ის იყო, ზედ დავარდნილიყო და ჯერ ვერ ამდგარიყო. ესესელი ხმელ-ხმელი და ფერმკრთალი კაცი იყო, ხოლო თმა იმდენად ღია ქერა ჰქონდა, გეგონებოდათ, წამწამები და წარბები არა აქვსო.

— ეს ჰაინია, — თქვა ალფონსმა ერთგვარი მოკრძალებით, — ჰაინი, გველთა მგესლავი! ეს კიდევ ჩემი მეგობარი ერნსტია, შვებულებით არის ჩამოსული რუსეთიდან.

ჰაინი უკვე საკმაოდ გადაკრულში იყო. მას ერთობ უფერული თვალები და პატარა პირი ჰქონდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— რუსეთი! — წაიბუტბუტა მან, — მეც ვარ ნამყოფი! რა დროს ვატარებდით! უკეთესს ვიდრე აქ!

გრებერმა გაკვირვებით შეხედა ბინდინგს.

— ჰაინმა უკვე ერთი ბოთლი დალია, — განუმარტა ალფონსმა, — უბედურება დაატყდა თავს. მისი მშობლების სახლი დაბომბეს. ოჯახის წევრები გადარჩნენ, ყველანი თავშესაფარში იყვნენ, მაგრამ ბინას წირვა გამოუვიდა.

— ოთხი ოთახი! — წამოიღრინა ჰაინმა, — თანაც სულ ახალი აუეჯით მოწყობილი. როიალიც მქონდა. უნაკლო როიალი! რა ტემბრი ჰქონდა! უჰ, ის ღორები!

— როიალის გამო ჰაინი ნაღდად იძიებს შურს, — თქვა ალფონსმა, — მოდი, ერნსტ, რას დალევ? ჰაინი კონიაკს სვამს. მაგრამ აქ რუსული არაყიც არის და კიუმელიც[1] და სხვაც, რაც გინდა, სულო და გულო!

— მე არაფერი მინდა. მხოლოდ წუთით შემოვირბინე, რათა მეკითხა, ხომ არაფერი შეგიტყვია-მეთქი.

— ჯერჯერობით ახალი არაფერია, ერნსტ! ქალაქის მიდამოებში შენი მშობლები უკვე აღარ არიან. ყოველ შემთხვევაში, ისინი არსად არიან რეგისტრირებულნი, არც სოფლებში. ან სადმე გაემგზავრნენ და ჯერ არ ჩაწერილან, ანდა ევაკუირებულთა ეშელონით გაგზავნეს. ხომ იცი, ამჟამად როგორი მდგომარეობაც არის. ის პირუტყვები ხომ მთელ გერმანიას უშენენ ყუმბარებს, ამიტომ დროა საჭირო, რათა კავშირგაბმულობა ისევ აღდგეს. მოდი, ცოტა მაინც დალიე. ერთი ჭიქა მაინც გაბედე როგორმე.

— კარგი, ერთ ჭიქა არაყს დავლევ.

— არაყი, — ბუტბუტებდა ჰაინი, — ვედრობით ვსვამდით! და მერე იმ პირუტყვებს ყელში ვასხამდით და ცეცხლს ვუკიდებდით. ცეცხლმტყორცნებს ვაკეთებდით მათგან. ერთი უნდა გეყურებინათ, ბიჭებო, როგორ დახტოდნენ აქეთ-იქით! სიცილით დაიხოცებოდით!

— რაა? — შეეკითხა გრებერი.

ჰაინს არ უპასუხია. გაშტერებული იყურებოდა სივრცეში. თვალები თითქოს შუშისა ჰქონდა.

— ცეცხლმტყორცნები... — ბუტბუტებდა იგი, — დიდებული იდეა!..

---

[1] *კიუმელი — კვლიავის (სურნელოვანი მცენარის) არაყი. ამზადებენ გერმანიაში, ჰოლანდიაში.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— რას ლაპარაკობს? — შეეკითხა გრებერი ბინდინგს.

ალფონსმა მხრები აიჩეჩა.

— ჰაინს ბევრ რამეში მიუღია მონაწილეობა. უშიშროების სამსახურში მუშაობდა.

— უშიშროების სამსახურში, რუსეთის ტერიტორიაზე?

— ჰო... ერთი კიდევ დალიე, ერნსტ!

გრებერმა არყის ბოთლი აიღო თამბაქოს მოსაწევი მაგიდიდან, რომელიც სპილენძით იყო მოჭედილი, და გასინჯვა დაუწყო. შიგ გამჭვირვალე სითხე კამკამებდა.

— რამდენგრადუსიანია ეს არაყი?

ალფონსმა გაიცინა.

— საკმაოდ მაგარია. სამოცგრადუსიანი იქნება ნაღდად. ვანკებს მხოლოდ მაგარი უყვართ.

„მათ მაგარი უყვართ, — ფიქრობდა გრებერი, — და როდესაც ასეთ მაგარ არაყს ვინმეს ყელში ჩაასხამენ და ცეცხლს წაუკიდებენ, მაშინ ის სპირტივით ინთება“. იგი ჰაინს უყურებდა. საკმაოდ ბევრი რამ სმენოდა ესესელთა უშიშროების სამსახურზე და ამიტომ იცოდა, რომ ის, რასაც ჰაინი როშავდა, ალბათ მხოლოდ უგონოდ მთვრალის ლაყბობა არ იყო. უშიშროების სამსახური დაკავებულ რაიონებში ათასობით ადამიანს სპობდა. აქაოდა, გერმანელი ხალხისთვის სასიცოცხლო სივრცე უნდა შეექმნათო. სპობდა ყველას, ვინც არასასურველად მიაჩნდა. ამას იგი მეტწილად დახვრეტის გზით იქმოდა, მაგრამ ადამიანთა მასობრივი ჟლეტა ერთობ მონოტონური რომ არ გამხდარიყო, ესესელები ზოგჯერ მოკვდინების ერთობ ახირებულ ვარიანტებს იგონებდნენ. გრებერი იცნობდა ზოგიერთ მათგანს; ზოგჯერ შტაინერი უამბობდა ხოლმე, მაგრამ ცოცხალი ცეცხლმტყორცნების ამბავი ახალი იყო მისთვის.

— რას მისჩერებიხარ მაგ ბოთლს? — შეეკითხა ალფონსი, — ნუ გეშინია, არ გიკბენს. დაისხი.

გრებერმა უკან დადგა ბოთლი. სურდა ამდგარიყო და გასცლოდა იქაურობას, მაგრამ მაინც განაგრძობდა ჯდომას. თავს ძალას ატანდა, რომ არ წამომხტარიყო. ერთობ ხშირად არიდებდა ხოლმე თვალს აქამდე ასეთ რამეებს და არაფერი სურდა სცოდნოდა. არა მხოლოდ იგი, არამედ ასიათასობით სხვაც ასე იქცეოდა და იმედოვნებდნენ, რომ ამ გზით შეძლებდნენ სინდისის ქენჯნის გაყუ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩებას. გრებერს მეტი აღარ სურდა ასეთი რამ. აღარ სურდა განზე გადგომა. არსებითად ამის გამო იყო სწორედ, რომ აქამდე შვებულებაში არ წამოვიდა.

— არ გინდა? კიდევ ერთი დალიე, — შესთავაზა ალფონსმა.

გრებერი ჰაინს მისჩერებოდა, რომელიც უკვე თვლემდა.

— ისევ უშიშროების სამსახურშია?

— არა. ახლა აქ არის.

— სად?

— ობერშარფიურერია საკონცენტრაციო ბანაკში.

— საკონცენტრაციო ბანაკში?

— ჰო! კიდევ ერთი ყლუპი მაინც მოსვი, ერნსტ! ხომ იცი, ასე ახალგაზრდები ველარასოდეს ვერ შევხვდებით! და ცოტა ხანს მაინც დარჩი კიდევ. რა არის, რომ მაშინვე უკან გარბიხარ ხოლმე!

— არა, — წარმოთქვა გრებერმა და თან ისევ ჰაინს მისჩერებოდა, — მეტს აღარ გავიქცევი.

— აი, როგორც იქნა, ჭკვიანური სიტყვა გავიგონე. რას დალევ? კიდევ არაყს?

— არა! კიუმელი მომეცი ან კონიაკი. არაყი არა!

ჰაინი შეირხა.

— რა თქმა უნდა, არაყი არა, — წაიდუდუნა მან, — აფსუსია საამისოდ. არაყს ჩვენ თვითონ ვსვამდით, მათ კი ბენზინს ვასხამდით. ცეცხლიც უკეთ ეკიდება...

ჰაინი სააბაზანოში აღებინებდა. ალფონსი გრებერთან ერთად კარის წინ იდგა. ცა თეთრად მოქათქათე ღრუბლის ქულებით ავსებულიყო. არყის ხეებში შაშვი ჭახჭახებდა, — ეს ერთი ციცქნა შავი ბურთი, ყვითელი ნისკარტითა და ხმით, რომელშიაც მთელი გაზაფხული იყო ჩაქსოვილი.

— მაგარი ვინმეა, არა, ეს ჰაინი? — შეეკითხა ალფონსი.

ეს მან ისე თქვა, როგორც პატარა ბიჭი იტყოდა რომელიმე სისხლისმსმელ ინდიელ ტომის ბელადზე, — ერთდროულად შიშითაც და აღტაცებითაც.

— მაგარია იმათთან, ვისაც არ შეუძლია თავი დაიცვას, — მიუგო გრებერმა.

— მას მკლავი აქვს გაშეშებული, ერნსტ! ამის გამო არ შეუძლია ჯარში სამსახური. ხელი 1932 წელს დაუსახიჩრდა მდინარე

ზაალეზე კომუნისტებთან ერთ-ერთ შეტაკებაში. სწორედ ამის გამოა ასე გაცოფებული. აუ, რუებს მოგიყვა, არა? — ალფონსმა ნახევრად დანახშირებული სიგარა მოქაჩა, რომელსაც მაშინ მოუკიდა, როცა ჰაინი თავს გადახდენილი ამბებით ბაქიობას მოჰყვა. ისეთი აღელვებით უსმენდა, რომ ვერ შენიშნა, როგორ ჩაქრობოდა სიგარა.

— მაგარი რამეები, არა?

— ჰო, მაგარი რამეები. ისურვებდი, რომ შენც იქ ყოფილიყავი იმ დროს?

ბინდინგი წამით ჩაფიქრდა. შემდეგ თავი გააქნია:

— მგონი, არა! თუმცა ალბათ ერთხელ მაინც ვისურვებდი, რათა საკუთარი თვალით მენახა. ისე კი მე სხვა ტიპის კაცი ვარ, ერთობ რომანტიკოსი, ერნსტ.

კარში ჰაინი გამოჩნდა. საშინლად გაფითრებულიყო.

— დღეს მორიგე ვარ! — დაიღრინა მან, — მაგვიანდება! გაგიხარია, ყოფას ვუტირებ იმ პირუტყვებს!

ბორძიკით გაიარა ბალის ბილიკი. ჭიშკრის წინ ქუდი გაისწორა, მხრებში გაიმართა და ყარყატივით განაგრძო გზა.

— არ ვისურვებდი იმის ადგილზე ყოფნას, ვინც ახლა ჰაინს ჩაუვარდება ხელთ საკონცენტრაციო ბანაკში, — თქვა ბინდინგმა.

გრებერმა თავი მაღლა აიღო. ისიც ამასვე ფიქრობდა.

— მერე შენ სწორად მიგაჩნია ეს, ალფონს? — შეეკითხა იგი.

ბინდინგმა მხრები აიჩეჩა.

— ისინი ხომ ხალხის მოღალატენი არიან, ერნსტ. ტყუილად როდი სხედან იქ.

— ბურმაისტერიც ხალხის მოღალატე იყო?

ალფონს გაეცინა.

— ეს კერძო შემთხვევა იყო. თანაც მას ბევრი არც არაფერი მოსვლია.

— და რომ მოსელოდა?

— მაშინ ილბალი არ ჰქონია და ეგ არის. ვინ იცის, რამდენი ხალხი უბედურდება დღეს, ერნსტ. თუნდაც საჰაერო თავდასხმების შედეგად. მარტო ამ ქალაქში ხუთი ათასი დაიღუპა. თანაც ბევრად უკეთესები, ვიდრე საკონცენტრაციო ბანაკში არიან. ამიტომ რა ჩემი საქმეა, თუ რა ხდება იქ? მე პასუხს არ ვაგებ ამაზე და არც შენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რამდენიმე ბულერა მოფრინდა წრიპინით ჩიტებისთვის მოწყობილი აუზის პირას, რომელიც ბილის შეკეთებულში იდგა. ერთ-ერთი მათგანი ბერხერ წყალში შეეფინა და ფრთები აიფრთხიალა, მაშინვე დამარცხებაც გადაეშვნენ და ტუმბალობა იწყეს. ალფონსი დაკვირვებით აკვირდებოდა მათ თამაშს. როგორც ჩანდა, პაინი უკვე აღარ ახსოვდა.

გრეტერმა შეხედა მის კმაყოფილ, უწყინარ სახეს და ანაზღაურებლად საცნაურები, თუ რაოდენ უეცრად იყო განწირული მარად ყოველგვარი ხამართლიანობა და თანაგრძნობა: ისინი ყოველთვის აწყდებოდნენ ეგოიზმს, გულგრილობასა და შიშს. საცნაურები ეს და ალიარა ისიც, რომ არც თვითონ შეადგენდა გამონაკლისს. რომ ისიც შიგ იყო ჩათრეული, რაღაც უსახელო, შორეული და მუქარით აღსავსე აკავშირებდა ყოველივე ამასთან. მიუხედავად იმისა, რომ თვითონვე მეტგრად ებრძოდა ამ გრძნობას. მაინც ეჩვენებოდა, რომ ის და ბინდინგი რაღაცით ერთნი იყვნენ.

— პასუხისგების ამბავი ეგრე მარტივად არ წყდება, ალფონს, — თქვა მან პირქუშად.

— კარგი ერთი, ერნსტ! გეყოფა მაგაზე ლაპარაკი! პასუხი შეიძლება მხოლოდ იმაზე აგოს კაცმა, რაც თვითონ ჩაიდინა და ისიც მარტოოდენ მაშინ, თუ ეს მისთვის არაკის უბრძანებია.

— როდესაც ჩვენ მძევლებს ვხვრეტთ, მაშინ პირიქით ვამბობთ ხოლმე. სახელდობრ, რომ ისინი პასუხს აგებენ იმაზე, რაც სხვებმა ჩაიდინეს.

— შენ დაგიხვრეტია მძევლები? — შეეკითხა ბინდინგი და ცნობისმოყვარეობით მიუბრუნდა.

გრეტერს არაფერი უპასუხია.

— მძევლები გამონაკლისს შეადგენენ, ერნსტ. ეს აუცილებლობით არის გამოწვეული.

— ეგრე ყველაფერი აუცილებლობით არის გამოწვეული, — მწარედ თქვა გრეტერმა, — ყველაფერი! ამაში ვგულისხმობ იმას, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, და არა იმას, რა თქმა უნდა, რასაც სხვები აკეთებენ. როდესაც ჩვენ ყუმბარებს ვუშენთ რომელიმე ქალაქს, ეს სტრატეგიული აუცილებლობაა; ხოლო თუ ამას სხვები სჩადიან, მაშინ — ბარბაროსული დანაშაულია!

— აი, ეგ სწორია! როგორც იქნა, მართებულად აზროვნებ! — ალფონსმა ეშმაკურად შეხედა გვერდიდან გრებერს და გაიღიმა, — ამას ეწოდება სწორედ თანამედროვე პოლიტიკა! „მარიჟებულია ის, რაც გერმანელი ხალხისთვის არის სასარგებლო“, — თქვა იმპერიის იუსტიციის მინისტრმა. მან კი ეს კარგად უნდა იცოდეს! ჩვენ კი, ჩვენ მხოლოდ მოვალეობას ვასრულებთ. ჩვენ პასუხს არ ვაგებთ, — იგი წინ წაიხარა, — აგერ, აგერ — შაშვი! პირველი შემთხვევაა, რომ ბანაობს! როგორ ითესებიან ბელურები!

*

გრებერმა უეცრად წინ ჰაინი დაინახა. ქუჩა დაცარიელებულიყო, ბალების მესერთა შორის მზის უნიათო შუქი ჩაფენილიყო. ყვითელი პეპელა სულ დაბლა მიფარფატებდა ქვიშის ბილიკის ზეგარდმო, რომელიც მოკირწყლულ ტროტუარს გასდევდა ზოლად. დაახლოებით ასი მეტრის დაშორებით ჰაინს ის-ის იყო, კუთხეში უნდა შეეხვია. გრებერი ქვიშის ბილიკზე მიდიოდა. ღრმა მდუმარება სუფევდა, მაგრამ მისი ნაბიჯის ხმა მაინც არ ისმოდა. „ვინმეს რომ ჰაინის მისაკლავება სურდეს, ამაზე უკეთეს შემთხვევას ვერ იპოვიდა, — გაიფიქრა მან, — ირგვლივ არავინ ჭაჭანებს. ქუჩა თითქოს ძილშია გახვეული. ქვიშის ბილიკით თითქმის უხმაუროდ შეიძლება კაცმა წაქციო და დაახრჩო ან დანით განგმირო. გასროლა არ ივარგებდა, ხმაზე სწრაფად მოცვივდებოდა ხალხი. ჰაინი ღონიერი არ უნდა იყოს; შეიძლება მისი დახრჩობა“.

გრებერმა შენიშნა, რომ ნაბიჯს აუჩქარა. „თვით ალფონსიც კი ვერ აიღებდა ეჭვს, — ფიქრობდა იგი, — ალბათ იფიქრებდა, რომ ვიღაცამ შური იძია ჰაინზე. საამისო საბაბი ალბათ ბევრს აქეს. ახლა კი მშვენიერი შემთხვევაა შურისძიებისთვის. ასეთი შესაძლებლობა ხშირად არ ეძლევა კაცს. მაგრამ შურისძიების გარეშე, მკვლელისა, რომელიც ერთი საათის შემდეგ ალბათ რამდენიმე უმწეო და სასოწარკვეთილ ადამიანს აწამებს“.

გრებერმა იგრძნო, როგორ გაუოფლიანდა ხელები. უეცრად საშინლად დასცხა. კუთხემდე მივიდა და დაინახა, რომ ჰაინს ოცდაათიოდე მეტრით წამოსწეოდა. ქუჩაში ისევ არავინ ჩანდა. თუ ისე სწრაფად მიირბენს ჰაინამდე ქვიშის ბილიკით, ერთი წუთის შემდეგ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყველაფერი მორჩება. შეუძლია ჰაინი განგმიროს და უმალვე გზა განაგრძოს ხარბილით.

იგრძნო, როგორ გაუდიოდა მის გულს ბაგაბუგი. იგი ისე ხმამაღლა ძგერდა, რომ გრებერს წამით შეეშინდა, ჰაინს არ გაეგონა. „რა მოხდის? — ეკითხებოდა თავს გრებერი, — მე რა შუაში ვარ? როგორ გაეჭვიე ამ ამბავში?“ მაგრამ აზრი, რომელიც ცოტა ხნის წინათ შემთხვევით გაუჩნდა, ახლა ერთბაშად რაღაც საიდუმლოებრივი ძალის მქონე ძახილად იქცა. გრებერს ეჩვენებოდა, თითქოს ამით ბევრი რამ გამართლდებოდა მის წარსულში, საერთოდ გამართლდებოდა გრებერის მთელი ცხოვრებაც და კერძოდ კი ზოგი ისეთი რამ, რაც გაკეთებული ჰქონდა და ისიც, რაც აქამდე არ გაეკეთებინა. „ეს შურისძიება იქნებოდა, — ფიქრობდა დაბნეული, — მაგრამ მე ხომ თითქმის სრულებით არ ვიცნობ ამ კაცს, მას ჩემთვის არაფერი დაუშავებია და რაზე უნდა ვიძიო შური? ჯერ არ დაუშავებია, — ფიქრობდა იგი, — მაგრამ ხომ შეიძლება, ელიზაბეტის მამა უკვე მის მსხვერპლთა რიცხვს ეკუთვნოდეს, ანდა დღეს თუ არა, ხვალ ჩაუვარდეს ხელში? ან კიდევ: განა ვის რა აკნეს მძვლებმა ან ათასობით უდანაშაულოდ წამებულმა ადამიანებმა, ვის მიუძღვის ამაში ბრალი და როგორ უნდა მოინანიონ იგი“.

ჰაინის ზურგს მისჩერებოდა. პირი გაშრობოდა. ბაღის ჭიშკრის უკან ძალლის ყეფა გაისმა. გრებერი შეკრთა და მიიხედ-მოიხედა. „ძალიან ბევრი დავლიე, — გაიფიქრა, — უნდა გავჩერდე, ეს ყველაფერი მე არ მეხება, ნამდვილი სიშლეგეა“. მაგრამ მაინც განაგრძობდა წინსვლას, კიდევ უფრო სწრაფად და უხმაუროდ; რაღაც მიერეკებოდა წინ, რაც მას მრისხანე და სამართლიან აუცილებლობად ესახებოდა. ესახებოდა იმ ადამიანთა სიკვდილის გამოსყიდვად და მონანიებად, სიკვდილისა, რომელშიც წილი ედო.

ჰაინამდე სულ რაღაც ოცდაათ მეტრი აშორებდა და ჯერ კიდევ არ იცოდა, რას მოიმოქმედებდა. შემდეგ დაინახა, რომ ქუჩის ბოლოში, ლობეებს შორის დატოვებულ გასასვლელში ვიღაც ქალი გამოვიდა, ნარინჯისფერი ბლუზა ეცვა, რაღაც კალათი ეჭირა ხელში და მისკენ მოდიოდა. გრებერი შეჩერდა. მთელი სხეული მოუდუნდა. შემდეგ ნელა განაგრძო გზა. ქალმა კალათის ქნევით არხეინად ჩაუარა გვერდით ჰაინს და ახლა გრებერს უახლოვდებოდა. აუჩ-

ქარებელი ნაბიჯით მოდიოდა, დიდრონი ძუძუები, მზით დამწვარი ფართო სახე და შუაზე გაყოფილი, გლუვი და მუქი ფერის თმა ჰქონდა. მის თავს უკან ცის კაბადონი აღმართულიყო, მკრთალი, მოციაგე და ბუნდოვანი. მხოლოდ ქალი ჩანდა ერთ წამს მკაფიოდ, ყველაფერი დანარჩენი კი გაუფერულდა, გაქრა, მხოლოდ ის ქალი იყო რეალური, ის იყო ცხოვრება. ქალს თავისი ფართო მხრებით მოჰქონდა იგი. მოჰქონდა როგორც ძღვენი, და ცხოვრება იყო დიადი და სიკეთით აღსავსე, ხოლო მის მიღმა კი უდაბნო და მკვლელობა სუფევდა.

გვერდით ჩავლისას ქალმა შეხედა.

— გამარჯობა! — მიესალმა გულღიად.

გრებერმა თავი დაუქნია. ხმის ამოღება არ შეეძლო. შემდეგ ზურგს უკან გაიგონა ქალის ნაბიჯის ხმა და წინ ისევ უდაბნო დაესახა, ოდნავ აბრჭყვიალებული უდაბნო და ამ ბრჭყვიალში თვალი მოჰკრა, თუ როგორ შეუხვია კუთხეში ჰაინის თალხმა ფიგურამ და ქუჩა დაცარიელდა.

უკან მიიხედა. ქალი დინჯად განაგრძობდა გზას და არაფერს ნაღვლობდა. „რატომ არ გავრბივარ? — ეკითხება საკუთარ თავს გრებერი, — ჯერ კიდევ მოვასწრებ ყველაფერის გაკეთებას!“ მაგრამ უკვე იცოდა, რომ არ გააკეთებდა ამას. „ქალმა დამინახა, — ფიქრობდა იგი, — და თუ საქმე საქმეზე მიდგა, მიცნობს. უკვე აღარაფერი გამოვა“. მაგრამ მაშინ კი მოიმოქმედებდა ამას, ქალს რომ არ გამოევლო? თუ რაიმე სხვა საბაბს გამონახავდა? ეს მან არ უწყოდა.

გრებერი გზაჯვარედინამდე მივიდა, სადაც ჰაინმა შეუხვია, მაგრამ იგი უკვე არსად ჩანდა. მხოლოდ მომდევნო შესახვევში დაინახა გრებერმა ისევ. ჰაინი შუა ქუჩაში გაჩერებულიყო და ვიღაც ესესელს ელაპარაკებოდა. შემდეგ ორივენი ერთად წავიდნენ. რომელიღაც ჭიშკრიდან ფოსტის დამტარებელი გამოვიდა. ორი ველოსიპედისტი იდგა ოდნავ მოშორებით თავ-თავიანთი ველოსიპედებით. ყველაფერმა გაიარა. გრებერი ერთბაშად გამოფხიზლდა. მიიხედ-მოიხედა. „ეს რა იყო? — გაიფიქრა, — დასწყევლოს ეშმაკმა, კინაღამ მართლა მივასაკლავე! საიდან მომივიდა თავში ასეთი აზრი? რა მემართება? რამ ამოხეთქა ჩემში ასე ანაზდეულად?“ მან გზა განაგრძო. „უნდა თვალყური ვადევნო ჩემს თავს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მეგონა. წყნარი ვიყავი. მაგრამ არა, წყნარი სულაც არ ვყოფილ-ვარ. ჩემი სული ბევრად უფროა აფორიაქებული, ვიდრე მეგონა. უნდა თვალყური ვადევნო საკუთარ თავს, თორემ საოცარ სისულ-ელეებს ჩავიდენ!“

*

კოსკში გაზეთი იყიდა, გაჩერდა და უმაღლესი სარდლობის ცნობის კითხვას შეუდგა. ეს პირველი შემთხვევა იყო მას შემდეგ, რაც შვებულებაში იმყოფებოდა. ფრონტიდან წამოსვლის მერე სამხედრო ვითარებაზე არაფრის გაგონებაც არ სურდა. ახლა კი შეიტყო, რომ უკან დახევა გრძელდებოდა. გაზეთში მოთავსებულ პატარა რუკაზე ის პუნქტი იპოვა, სადაც ამჟამად მისი პოლკი უნდა მდგარიყო. ამის დადგენა ზუსტად არ შეეძლო, რადგან სამხედრო ცნობაში მხოლოდ არმიათა დაჯგუფებანი იყო მოხსენიებული, მაგრამ ვარაუდით მაინც გამოიანგარიშა, რომ პოლკმა დაახლოებით ასი კილომეტრით დაიხია უკან.

ერთხანს გარინდებული იდგა. მთელი იმ დროის განმავლობაში, რაც შვებულებაში იმყოფებოდა, თავისი ფრონტელი ამხანაგები თითქმის არ გახსენებია. მათი ხსოვნა ლოდივით ჩაიძირა სულის სიღრმეში. ახლა კი კვლავ ამოტივტივდა და ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ნაცრისფერი მარტოობა ამოიწია დედამიწიდან. ამოიწია უჩუმრად. სამხედრო ცნობა გრებერის ქვეგანაყოფის უბანზე მძიმე ბრძოლებს იუწყებოდა; მაგრამ ნაცრისფერი მარტოობა უხმო და უფერული იყო, თითქოს ფერები და თვით ბრძოლის ქარცეცხლიც დიდი ხანია ჩამკვდარიყო მასში. აჩრდილნი ალდგნენ მიწიდან. უსისხლონი და ცარიელნი. ისინი ფუთფუთებდნენ, უჭრეტდნენ მას, მსჭვალავდნენ თავიანთი მზერით და ოდეს კვლავ მიწაზე განერთხმოდნენ, მიწასავით ნაცრისფერნი ხდებოდნენ და დედამიწაც მათი ფერისა იყო, თითქოს მათთან ერთად მოძრაობდა და მათთან შეზრდილიყო. მაღალი ბრჭყვიალა ზეცაც მის ზეგარდმო უფერულდებოდა ამ გაუთავებელი სიკვდილიანობის ნაცრისფერი ოხშივრისგან, რომელიც დედამიწიდან მაღლა იწევდა და ლამის მზეც კი დაებნელებინა. „ეს გამცემლობაა, — ფიქრობდა იგი მწარედ, — ისინი გასცეს და გასვარეს, ხოლო მათი ბრძოლა და სიკვდილი მკვლელობასა და უსამართლობაში, სიცრუესა და

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ძალმომრეობაში გადაიზარდა. ისინი მოატყუეს, ყველაფერში მოატყუეს, თვით მათ შესაბრალის, თავგანწირულ, ტანჯვით ალსავსე უსარგებლო სიკვდილშიაც კი“.

ვილაც ქალი, რომელსაც ორივე ხელი ტომრისთვის მოეხვია და ისე მოჰქონდა, გრებერს დაეჯახა.

— ბრმა ხომ არა ხართ? — დაუყვირა ქალმა გაჯავრებით.

— არა, მაგრამ, — მიუგო გრებერმა, ადგილიდან კი არ დაძრულა.

— მაშინ, რა ფეხებში მედებით?

გრებერს არაფერი უპასუხია. უეცრად მიხვდა, თუ რატომ გამოეკიდა ჰაინს. აქაც იმ ბუნდოვანმა გრძნობამ უბიძგა, რომელიც ხშირად აღძვრია ფრონტზეც, კითხვამ, რომელზედაც პასუხის გაცემას ვერ ბედავდა, იმთავითვე აკვიატებულმა მტანჯველმა სასოწარკვეთილებამ, რომელსაც მარად გაურბოდა ხოლმე... და აი, ბოლოს ყველამ ერთად ჩაჰკიდეს ხელი და გამოცდის წინაშე დააყენეს. ახლა იცოდა, რაც იყო ეს და უკვე აღარ უნდოდა მისი თავიდან არიდება. პირიქით, მეტი სიცხადე სურდა. შზად იყო საამისოდ. „პოლმანი, — გაიფიქრა მან, — ფრეზენბურგმა მთხოვა მასთან შემეკლო. მე კი დამავიწყდა. უნდა ველაპარაკო მას. მინდა ისეთ ვინმეს ვესაუბრო, ვისაც სავსებით ვენდობი“

— შტერია ვილაც! — ჩაილაპარაკა მძიმედ დატვირთულმა ქალმა და გზა განაგრძო.

*

იანპლაცის ერთი ნახევარი დანგრეული იყო, მეორე ნახევარი კი უვნებლად გადარჩენილიყო. მხოლოდ რამდენიმე ფანჯარა ჩამტვრეულიყო. ცხოვრება ჩვეულებრივი გზით მიდიოდა უვნებლად გადარჩენილ ნაწილში. ქალები ალაგებდნენ და საჭმელს ამზადებდნენ, მაშინ, როდესაც მოპირდაპირე სახლების ფასადები დანგრეული იყო და მხოლოდ ოთახების ნარჩენებილა ჩანდა, რომელთა კედლებზეც ისე ეკიდა შპალერის ნაფლეთები, როგორც დაფლეთილი დროშები წაგებული ბრძოლის შემდეგ.

სახლი, რომელშიც პოლმანი ცხოვრობდა, მოედნის დანგრეულ მხარეს აღმოჩნდა. ზედა სართულები ჩამონგრეულიყო და შესასვლელი ქვეშ დაეტანათ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თითქოს იქ აღარავინ ცხოვრობდა. გრებერი ის იყო, უკან გამოტრიალებას აპირებდა, რომ ღორღში გაკვალული ბილიკი შენიშნა. გაჰყვა მას და ნანგრევებში გათხრილ უფრო ფართო გზას მიადგა, ხოლო ამ უკანასკნელმა უკანა შესასვლელამდე მიიყვანა, რომელიც უვნებლად გადარჩენილიყო. დააკაკუნა. არავინ გამოეხმაურა. მაშინ ერთხელ კიდევ დააკაკუნა. ცოტა ხნის შემდეგ რაღაც ფაჩიფუჩი მოისმა. ჯაჭვმა დაიჩხარუნა და კარი ფრთხილად გაიღო.

— ჰერ პოლმანი ბრძანდებით? — შეეკითხა იგი.

კარიდან მოხუცმა გამოიხედა.

— დიახ! რა გნებავთ?

— მე ერნსტ გრებერი ვარ. თქვენი ყოფილი მოწაფე.

— აა, გასაგებია. მერედა, რა გნებავთ?

— თქვენი ნახვა. შვებულებაში ვარ ჩამოსული.

— მე უკვე აღარ ვასწავლი, — მოკლედ მოუჭრა პოლმანმა.

— ეს მე ვიცი.

— კეთილი. მაშ, იცოდეთ ისიც, რომ ჩემს განთავისუფლებას რეპრესიული ზომების ხასიათი ჰქონდა. მე აღარ ვიღებ მოსწავლეებს და არცა მაქვს ამის უფლება.

— მე ხომ უკვე მოწაფე არა ვარ; მე ჯარისკაცი ვარ და რუსეთიდან ჩამოვედი. თქვენ კი იმიტომ გეახელით, რომ ფრეზენბურგისგან მოკითხვა გადმოგცეთ. ეს მან მთხოვა თქვენთან შემომევლო.

მოხუცი ახლა მეტი ყურადღებით დააცქერდა გრებერს.

— ფრეზენბურგმა? ცოცხალია კიდევ?

— ამ ათი დღის წინათ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.

პოლმანმა ერთი კიდევ შეათვალიერა გრებერი.

— კეთილი, მობრძანდით, — თქვა შემდეგ და უკან დაიწია, რათა გრებერი შიგნით შეეშვა.

გრებერი უკან გაჰყვა ყოფილ მასწავლებელს. მათ დერეფანი გაიარეს და რაღაც საშზარეულოს მსგავს სადგომში შევიდნენ, ხოლო იქიდან კი მეორე, უფრო მოკლე დერეფნით გაემართნენ. პოლმანმა ერთბაშად ნაბიჯს აუჩქარა, კარი გაიღო და ბევრად უფრო ხმამაღლა, ვიდრე მანამდე ლაპარაკობდა, წარმოთქვა:

— მობრძანდით. მე კი მეგონა, რომ პოლიციიდან იყავით. გრებერმა გაკვირვებით შეხედა. მერე კი მიხვდა და უკან არ მიიხედა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პოლმანი ასე ხმამაღლა ალბათ იმიტომ ლაპარაკობდა, რომ ვიღაცისთვის გაეგონებინა, — საშიში არაფერიაო.

ოთახში მწვანეაბაჟურიანი პატარა ნავთის ლამპა ენთო. ფანჯარა ჩამტვრეული იყო და პირამდე ღორღით ამოვსებული, ასე რომ, გარეთ გახედვა შეუძლებელი იყო. პოლმანი ოთახის შუაგულში გაჩერდა.

— აი, ახლა კი გიცანით, — თქვა მან, — გარეთ ერთობ ძლიერი შუქი იყო. მე იშვიათად გავდივარ გარეთ და უკვე გადავეჩვიე. აქ კი დღის სინათლე ვერ ატანს. მხოლოდ ლამპა მინთია ხოლმე და ისიც ყოველთვის არა, რადგან ნავთი ცოტა მაქვს. ხშირად სიბნელეში ხანგრძლივად მიხდება ჯდომა. ელექტროგაყვანილობა მოშლილია.

გრებერი ათვალიერებდა პოლმანს. ქუჩაში რომ შეხვედროდა, ალბათ ვერ იცნობდა, იმდენად დაბერებულიყო. შემდეგ ოთახში მიიხედ-მოიხედა და ისეთი გრძნობა დაებადა, თითქოს რომელიღაც მეორე სამყაროში მოხვედრილიყოს. ამაში ბრალი მიუძღოდა არა მხოლოდ სიჩუმით მოცულ და მოულოდნელად ლამპის შუქით განათებულ ოთახს, რომელიც კატაკომბივით გამოიყურებოდა შუადღის მზის ჭახჭახა შუქის შემდეგ, არამედ სხვა რამესაც: წიგნების ყავისფერსა და ოქროსფერ მწკრივებს კედლების გაყოლებით, საკითხავ პიუპიტრს[1], გრავიურებს და თვითონ მოხუცსაც, ჭაღარა თმითა და დაღარული სახით, რომელიც სანთლისა გეგონებოდათ და როგორიც მხოლოდ მრავალი წლის ტუსაღებს აქვთ ხოლმე.

პოლმანმა გრებერის მხერა შენიშნა.

— ბედმა გამიღიმა, — უთხრა მან, — თითქმის მთელი ჩემი წიგნები შევინარჩუნე.

გრებერი მისკენ მიტრიალდა:

— მე კი დიდი ხანია წიგნები თვალითაც არ მინახავს და უკანასკნელი წლების განმავლობაში ძალიან ცოტა თუ წამიკითხავს.

— თქვენ ალბათ არც გქონდათ ამის შესაძლებლობა. წიგნები ერთობ მძიმეა იმისთვის, რომ ზურგჩანთით მათი ტარება შეიძლებოდეს.

---

[1] *პიუპიტრი — სპეციალური დახრილი ფიცარი ნოტების დასადებად. დამაგრებულია ვერტიკალურ ჯოხზე ან რიალზე და მისთ*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ისინი ერთობ მძიმენი იყვნენ იმისთვისაც, რომ თავით ეტარებინა კაცს. ისინი არ შეესაბამებოდნენ იმას, რაც ირგვლივ ხდებოდა. ხოლო იმ წიგნების წაკითხვა კი, რომლებიც შეესაბამებოდნენ, რატომლაც არ გსურდა ადამიანს.

პოლმანმა ლამპის ნაზ მწვანე შუქს შეხედა.

— რატომ მოხვედით ჩემთან, გრებერ?

— ფრეზენბურგმა მითხრა, თქვენთან შემომეკლო.

— კარგად იცნობთ მას?

— ფრონტზე ერთადერთი ადამიანი იყო, რომელსაც სავსებით ვენდობოდი. მან მითხრა, რომ თქვენთან მოვსულიყავი და მესაუბრა; რომ თქვენ სიმართლეს მეტყოდით.

— სიმართლეს? რის შესახებ?

გრებერმა მოხუცს შეხედა: ეჰ, ერთ დროს მასთან სწავლობდა სკოლაში! მას ეჩვენებოდა, რომ ეს უსაზღვროდ დიდი ხნის წინათ იყო, მაგრამ ამისდა მიუხედავად, წამით მაინც ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს კვლავ მოწაფე იყო და მისი ცხოვრების შესახებ ეკითხებოდნენ — თითქოს მისი ბედ-იღბალი უნდა გადაწყვეტილიყო აქ, ამ პატარა, ნანგრევებში მოყოლილ სადგომში, რომელშიც ამდენი წიგნი ეწყო და მისი სიყრმის მასწავლებელი იდგა. ეს წიგნები და მასწავლებელი განასახიერებდნენ ყოველივე იმას, რაც ოდესღაც არსებობდა წარსულში — სიკეთეს, შემწყნარებლობას და ცოდნას, ხოლო ღორღი, რომლითაც ფანჯარა იყო ამოვსებული, — იმას, რადაც აქცია აწმყომ ეს წარსული.

— მინდა ვიცოდე, თუ რამდენად მიმიძღვის ბრალი ამ უკანასკნელი ათი წელიწადის განმავლობაში ჩადენილ დანაშაულებში, — თქვა მან, — და აგრეთვე მინდა ვიცოდე, თუ როგორ უნდა მოვიქცე მომავალში.

პოლმანი გაოცებული მიაჩერდა. შემდეგ წამოდგა, ოთახი გადაჭრა და ერთ-ერთი თაროდან წიგნი ჩამოიღო, მაგრამ შიგ არ ჩაუხედავს, ისევ თავის ადგილზე დადო. ბოლოს კვლავ გრებერს მიუბრუნდა.

— იცით კი, როგორ კითხვას მაძლევთ?

— დიახ!

— ახლა ამაზე ბევრად მცირე რამეც საკმარისია, რომ თავი გაგაგდებინონ.

— ხოლო ფრონტზე სულაც არაფრის გულისთვის ხოცავენ ადამიანებს, — უთხრა გრებერმა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პოლმანი ისევ თავის ადგილზე დაბრუნდა და დაჯდა.

— თქვენ დანაშაულში ომს გულისხმობთ?

— ყველაფერს, რამაც კი ომამდე მიგვიყვანა: სიცრუეს, დათრგუნვას, უსამართლობას, ძალმომრეობას. აგრეთვე თავად ომსაც და მისი წარმოების ჩვენ სტილსაც, რომლის ატრიბუტებიც მონათა ბანაკები, საკონცენტრაციო ბანაკები და სამოქალაქო მოსახლეობის მასობრივი ჟლეტაა.

პოლმანი დუმდა.

— მე ზოგი რამ საკუთარი თვალით ვნახე, — განაგრძობდა გრებერი, — და ბევრიც განაგონი მაქვს. ისიც ვიცი, რომ ომი წაგებულია, და ისიც, რომ ჩვენ მხოლოდ იმისთვის განვაგრძობთ ბრძოლას, რომ მთავრობა, პარტია და ის ადამიანები, რომლებმაც ეს ყოველივე ჩაიდინეს, ერთხანს კიდევ დარჩნენ ხელისუფლების სათავეში და ქვეყნად უფრო მეტი უბედურება დაატრიალონ.

პოლმანი კვლავ გაოცებული მისჩერებოდა გრებერს.

— მაშ, თქვენ იცით ეს ყოველივე? — შეეკითხა იგი.

— ახლა კი ვიცი, მაგრამ ყოველთვის როდი ვიცოდი.

— და ისევ ფრონტზე მოგელით გამგზავრება?

— დიახ!

— ეს საშინელებაა!

— მართლაც რომ საშინელია, როდესაც ისევ ფრონტზე გელის კაცს წასვლა, თანაც ეს ყველაფერი იცი და ამის გამო შეიძლება დანაშაულში მონაწილედაც კი ჩაითვალო. ჩავითვლები მე მონაწილედ?

პოლმანი დუმდა.

— რას გულისხმობთ ამაში? — ჩურჩულით შეეკითხა იგი ცოტა ხნის შემდეგ.

— თქვენ იცით, რასაც ვგულისხმობ. თქვენ რელიგიას გვასწავლიდით. რამდენად ვიქნები თანამონაწილე, თუკი ვიცი, რომ ომი არა მხოლოდ წაგებულია, არამედ საჭიროა კიდეც, რომ წავაგოთ, რათა მონობასა და მკვლელობას, საკონცენტრაციო ბანაკებს, ესესელებსა და მოიერიშეებს, მასობრივ ჟლეტასა და არაადამიანურ მეთოდებს ბოლო მოეღოს! თუკი ეს ყოველივე ვიცი და ორი კვირის შემდეგ მაინც დავბრუნდები ფრონტზე, რათა კვლავინდებურად ბრძოლა განვაგრძო?

პოლმანს ერთბაშად სახეზე სხივი ჩაუქრა და ნაცრისფერი დაედო. მხოლოდ თვალებსლა შერჩათ კიდეე ფერი, რაღაც საოცრად

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კამკამა ლურჯი ფერი. ისინი გრებერს ვიღაცის თვალებს აგონებდნენ, სადღაც ერთხელ უკვე ნახულს, მაგრამ ველარ გაეხსენებინა, თუ სად.

— აუცილებელია თქვენი ფრონტზე წასვლა? — შეეკითხა ბოლოს პოლმანი.

— თუ უარს განვაცხადებ, ამაზე დახვრეტა ან ჩამოხრჩობაა.

გრებერი ელოდა, რას იტყოდა მისი ყოფილი მასწავლებელი.

— ქრისტიანული ეპოქის მარტვილნი ქედს არ იხრიდნენ იძულების წინაშე, — თქვა ჭოჭმანით პოლმანმა.

— ჩვენ ხომ მარტვილნი არა ვართ. მაგრამ მითხარით ერთი, როდიდან ხდება კაცი დანაშაულის მონაწილე? — შეეკითხა გრებერი, — როდიდან იქცევა მკვლელობად ის, რასაც სხვაფრივ გმირობას უწოდებენ? როდესაც აღარ გჯერა მისი გამამართლებელი მიზეზებისა? ანდა მისი მიზნისა? სად არის აქ საზღვარი?

პოლმანი ტანჯვით აღსავსე სახით შეჰყურებდა გრებერს.

— განა შემიძლია ამაზე გიპასუხოთ? ეს ერთობ საპასუხისმგებლო კითხვაა. მე როგორ შემიძლია თქვენ მაგივრად გადაგწყვიტო?

— ესე იგი, ყოველმა ჩვენგანმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს?

— მე მგონი, რომ კი. მაშ, სხვაფრივ როგორ?

გრებერი დუმდა.

„რას ჩაცვიებივარ ნეტავი? — ფიქრობდა იგი, — რატომღაც მოსამართლესავით დავმჯდარვარ აქ და არა ბრალდებულივით. რას ვაწვალებ ამ ბერიკაცს და პასუხს ვთხოვ იმაზე, რასაც ოდესღაც მასწავლიდა და რაც მე უკვე შემდეგ, მისგან დამოუკიდებლად ვისწავლე? განა მე კიდევ პასუხი მესაჭიროება? განა პასუხი ეს-ეს არის, თვითონ არ გავეცი საკუთარ თავს?“

პოლმანს შეხედა და წარმოიდგინა, როგორ იჯდა მოხუცი მასწავლებელი ყოველდღე ამ ოთახში, ლამპის შუქზე ანდა სიბნელეში, როგორც ძველი რომის კატაკომბში, სკოლიდან გამოგდებული, ყოველ წუთს დაპატიმრების მომლოდინე და თავის წიგნებში ნუგეშის ამაოდ მაძიებელი.

— მართალი ხართ, — თქვა მან, — როდესაც სხვას ვეკითხები, ეს საბოლოო ჯამში მაინც გადაწყვეტილებიდან თავის არიდებაა. და მე სინამდვილეში ალბათ არც მოველოდი თქვენგან პასუხს. კაცმა რომ თქვას, მე მხოლოდ საკუთარ თავს ვეკითხებოდი. მაგრამ საკუთარ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავს რომ დაეკითხო, ეს ზოგჯერ მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ვინმეს მიმართავ.

პოლმანმა თავი გააქნია.

— უფლება გაქვთ შემეკითხოთ. დანაშაულში თანამონაწილეობაო? — თქვა მან ანაზდეულად, — რა იცით თქვენ ამის შესახებ? თქვენ ერთობ ახალგაზრდა იყავით და მათ სიცრუით მოგწამლეს, ვიდრე დამოუკიდებლად განსჯას შეიძლებდით. ჩვენ კი — ჩვენ ყველაფერს ვხედავდით და მაინც დავანებეთ, რომ ყოველივე ასე მომხდარიყო! რა იყო ამის მიზეზი? სულიერი სისუსტე? გულგრილობა? შეზღუდულობა? ეგოიზმი? სასოწარკვეთილება? კარგი, მაგრამ როგორ მოხდა, რომ ეს ასე შავი ჭირივით მოგვედო ყველას? ნუთუ ფიქრობთ, რომ მე ყოველდღე ამაზე ფიქრში არ ვიმტვრევ თავს?

გრებერს უეცრად გაახსენდა, თუ ვის თვალებს აგონებდნენ პოლმანის თვალები. ასეთივე თვალები ჰქონდა იმ რუსს, რომელიც მან დახვრიტა. ზეზე წამოდგა:

— უნდა წავიდე, — უთხრა პოლმანს, — გმადლობთ, რომ შემომიშვით და მესაუბრეთ.

ქუდი ხელში აიღო. პოლმანი გამოერკვა.

— წასვლას აპირებთ, გრებერ? რა განიზრახეთ?

— არ ვიცი. კიდევ ორი კვირა მაქვს დარჩენილი მოფიქრებისთვის. ეს კი ბევრია, როდესაც მიჩვეული ხარ სიცოცხლე წუთებით იანგარიშო.

— კიდევ გამოიარეთ! ერთხელ კიდევ მოდით, ვიდრე გაემგზავრებოდეთ. მაძლევთ პირობას?

— გაძლევთ.

— ჩემთან ახლა ცოტანი მოდიან, — წაიდუდუნა პოლმანმა.

გრებერმა თვალი მოჰკრა, რომ წიგნებს შორის, ღორღით ამოვსებული ფანჯრის მახლობლად, პატარა ფოტოსურათი იდო, რომელიც მისი ხნის ყმაწვილ კაცს გამოსახავდა სამხედრო ფორმაში. გაახსენდა, რომ პოლმანს ვაჟიშვილი ჰყავდა. მაგრამ უმჯობესი იყო ამნაირ დროში ვაჟიშვილებზე არაფერი ეკითხა კაცს.

— თუ წერილი მისწეროთ, მოკითხვა შეუთვალეთ ჩემგან ფრეზენბურგს, — უთხრა პოლმანმა.

— კარგი. თქვენ მასთანაც ისეთივე საუბარი გქონდათ, როგორიც ჩემთან, ხომ მართალია?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— კი.

— ნეტავი ადრე გელაპარაკათ ჩემთან ამნაირად!

— თქვენ ფიქრობთ, რომ ფრეიხენბურგს ამით ტვირთი შეუმსუბუქდა?

— არა, — მიუგო გრებერმა, — პირიქით.

პოლმანმა თავი დაუქნია.

— მე თქვენ ვერაფერი გითხარით, რადგან არ მსურდა დავკმაყოფილებულიყავი ერთ-ერთი იმ პასუხთაგანით, რომლებიც სხვას არაფერს წარმოადგენენ, თუ არა ცარიელ მობოდიშებას. ასეთი პასუხები უხვად მოიძებნება. ყველა ისინი ზედმიწევნით ზუსტი და დამაჯერებელია, მაგრამ თითოეული მათგანი არსებითად პასუხიდან თავის არიდებაა და სხვა არაფერი.

— ისინიც, რომლებსაც ეკლესია იძლევა?

პოლმანი ერთხანს ჭოჭმანობდა, შემდეგ კი მიუგო:

— ისინიც, რომლებსაც ეკლესია იძლევა. მაგრამ ეკლესიას ბედმა გაულიმა. ერთი მხრივ, იგი ამბობს: „გიყვარდეს მოყვასი შენი“ და „არა კაც ჰკლა“, ხოლო მეორე მხრივ: „მიეცით კეისარს კეისრისა, და ღმერთს ღვთისა“. აქ გასაქანი დიდია, როგორც ხედავთ.

გრებერს გაელიმა. პოლმანის ნათქვამში კვლავ იმ სარკაზმის ნატამალი შეიგრძნო, რაც მის ყოფილ მასწავლებელს წინათ ასე ახასიათებდა.

პოლმანმა შენიშნა ეს.

— თქვენ იღიმებით, — თქვა მან, — და ესოდენ მშვიდად ხართ. რატომ არ ყვირით?

— მე ვყვირი, — მიუგო გრებერმა, — ოღონდ თქვენ არ გესმით.

*

გრებერი კარის წინ იდგა. მზის სხივები ნათელი შუბებივით ესობოდნენ თვალებში. თეთრი ბათქაში ბრჭყვიალებდა. ნელა გაჰყვა მოედანს. თავს ისე გრძნობდა, თითქოს ხანგრძლივი და დახლართული სასამართლო პროცესის შემდეგ, როგორც იქნა, განაჩენი გამოუტანეს და მისთვის თითქმის სულერთია, გაამართლეს თუ დანაშაულში დასდეს ბრალი. ყველაფერი დასრულდა, მას თვითონ სურდა გაესამართლებინათ, ეს იყო ის, რაც შვებულების გან-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაკლობაში სურდა მოეფიქრებინა, და ახლა უკვე იცოდა, სადამ-დისაც მივიდა: სასოწარკვეთილებამდე და უკვე აღარ გაურბოდა მას.

ცოტა ხნით მერხზე ჩამოჯდა, რომელიც ზედ ყუმბარის მიერ ამოთხრილ ძაბრის პირას იდგა და უვნებლად კი გადარჩენილიყო. მთლიანად მოდუნებული და დაცარიელებული იყო და იმასაც ვერ იტყოდა ალბათ, საკსებით უნუგეშო იყო თუ არა. ერთბაშად ფიქრის სურვილი წაერთვა. და ან კი რაზე უნდა ეფიქრა კიდევ? თავი უკან გადაიგდო, თვალები მოლულა და სახეზე მზის სითბო იგრძნო. სხვას არაფერს გრძნობდა. გაუნძრევლად იჯდა, მშვიდად სუნთქავდა და ტკბებოდა უპიროვნო, მანუგეშებელი სითბოთი, რომელიც არ არჩევს, ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი.

ცოტა ხნის შემდეგ თვალი გაახილა. მზით განათებული და მკაფიოდ მოხაზული მოედანი გადაშლილიყო მის წინ. ვეება ცაცხვი დაინახა, რომელიც მიწასთან გასწორებული სახლის წინ იდგა. იგი უვნებლად გადარჩენილიყო და ტოტებგაფარჩხული ტანი ისე გაეწვდინა დედამიწიდან, როგორც ფართოდ გაშლილი გოლიათური ხელის მტევანი, რომელიც, მწვანედ შეფერილი, შუქისა და თეთრი ღრუბლებისკენ გაწვდილა. ცა ღრუბლებს მიღმა ხასხასა ლაჟვარდისფერი ჩანდა. ყველაფერი ისე ბრწყინავდა და ლიცლიცებდა, თითქოს ნაწვიმარი ყოფილიყოს. ყველაფერში სიღრმე და სიძლიერე იგრძნობოდა, ეს იყო ყოფიერება, ძალოვანი და სააშკარაოზე გამოტანილი ყოფიერება, თავისთავად გასაგები, კითხვების გარეშე, მწუხარებისა და სასოწარკვეთილების გარეშე. გრებერი თავს ისე გრძნობდა, თითქოს კოშმარული ძილისგან გამოღვიძებოდეს, ყოფიერება მთელი სისავსით ეფრქვეოდა თავზე, ყველაფერი ერწყმოდა მის წიალს, იგი უსიტყვო პასუხი იყო, ყოველგვარი კითხვისა და ყოველგვარი აზრის მიღმა იდგა — პასუხი, რომელსაც გრებერი ჯერ კიდევ იმ დღეებიდან და ღამეებიდან იცნობდა, როდესაც სიკვდილი ეხებოდა ხოლმე თავისი ფრთით და როცა კრუნჩხვების, გაშეშებისა და თითქოსდა აღსასრულის დადგომის შემდეგ სიცოცხლე ანაზდეულად კვლავ უკან იჭრებოდა მასში, როგორც ცხოველმყოფელი, მხსნელი ლტოლვა და რომელიც თავისი მღელვარე ზვირთებით წალეკავდა ხოლმე ტვინს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ზეზე წამოდგა და ცაცხვს წინ ჩაუარა. ნანგრევებსა და სახლებს შორის მიაბიჯებდა. ანაზდეულად იგრძნო, რომ ელოდა, ელოდა საღამოს, როგორც დაზავებას მოელიან ხოლმე.

XIV

— დღეს საუკეთესო ვენური შნიცელი გვაქვს, — თქვა მარაბუმ.

— კეთილი, — მიუგო გრებერმა, — მოგვიტანეთ. და ისიც მოაყოლეთ, რაც თქვენი აზრით, შნიცელს მოუხდება. მთლიანად თქვენთვის მოგვინდვია არჩევანი.

— ღვინო ისევ ის?

— ისევ ის ან სხვა რომელიმე, როგორც ამჯობინოთ. ესეც თქვენთვის მოგვინდვია.

კმაყოფილი კელნერი ადგილიდან მოსხლტა. გრებერი სკამის ზურგს მიეყრდნო და ელიზაბეტს შეხედა. თავს ისე გრძნობდა, თითქოს ნანგრევებად ქცეული ფრონტის მონაკვეთიდან ომისგან გადარჩენილ მშვიდობიან კუნჭულში გადაეშვას ვიღაცას. ყველაფერი, რაც დღისით განიცადა, შორეულ წარსულად ესახებოდა. მისგან მხოლოდ იმ წამის ათინათიღა შერჩენოდა, როცა სიცოცხლე ანაზდეულად ასე ახლო იყო მასთან, როცა ხეების სახით თითქოს მას ამოეხეთქა ქვაფენილი და ნანგრევები და ახლა მწვანე ხელებს იწვდიდა მზის შუქისკენ. „ორი კვირის სიცოცხლეღა დამრჩენია, — ფიქრობდა იგი, — ორი კვირისა. ისევე უნდა დავეწაფო მას, როგორც ცაცხვი ეწაფება სინათლეს“.

მარაბუ დაბრუნდა.

— რას იტყვით იოჰანისბერგულ კალენბერგზე, — შეეკითხა იგი, — ჩვენ გვაქვს ცოტაოდენი მარაგი. შამპანური ნამდვილი ზელტერის წყალია მასთან შედარებით. თუ...

— კალენბერგი მოგვიტანეთ, — გააწყვეტინა გრებერმა.

— კეთილი, ჰერ! თქვენ მართლაც კარგად ერკვევით ღვინოებში. კალენბერგი შნიცელს ძალიან უხდება. ამასთანავე, ახალთახალ მწვანე სალათასაც მოგართმევთ. ღვინის გემოსა და არომატს მთლიანად გამოაჟლენს. ისეთი ღვინოა, უკვდავების წყარო გეგონებათ.

„ეს სიკვდილმისჯილის სადილს ჰგავს, — გაიფიქრა გრებერმა, — კიდევ ორი კვირა გასტანს ასე“, — მაგრამ გაიფიქრა სიმწრის გარეშე. აქამდე არ ფიქრობდა ხოლმე, თუ რა იქნებოდა შვებულების შემდეგ. შვებულება უსასრულოდ ხანგრძლივი ეჩვენებოდა; ერთიბ ბევრი რამ იყო მომხდარი და წინ კიდევ ბევრი რამ მოელოდა. ახლა კი, მას შემდეგ, რაც მთავარსარდლობის ცნობა წაიკითხა და პოლმანს ესტუმრა, ერთბაშად იგრძნო, თუ რაოდენ ხანმოკლე იყო შვებულება.

ელიზაბეტმა მარაბუს თვალი გააყოლა.

— ღმერთმა დალოცოს შენი მეგობარი როიტერი, — წარმოთქვა მან, — როიტერმა გვაქცია დელიკატესთა დიდ მცოდნეებად!

— ჩვენ მცოდნეები არა ვართ, ელიზაბეტ. ჩვენ უფრო მეტი ვართ. ჩვენ თავგადასავალთა მაძიებელნი ვართ, მშვიდობიანი კუნჭულების მაძიებელნი. ომმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ის, რაც წინათ მტკიცე უშიშროებისა და აუმღვრეველი ბიურგერული[1] ყოფის სიმბოლოებს წარმოადგენდა, დღეს უჩვეულო თავგადასავლად იქცა.

ელიზაბეტს გაეცინა.

— ჩვენ გვეჩვენება ასე.

— დროების ბრალია. აი, ერთი რამ კი ნამდვილად არ შეგვიძლია დავიჩივლოთ — მოწყენილობა და ერთფეროვნება.

გრებერმა ელიზაბეტს შეხედა. ქალს ვიწრო კაბა ტანზე მოხდენილად შემოტმასნოდა და ისე იჯდა მის წინ დივანზე. თმა პაწია ბერეტის ქვეშ დაემალა და თითქმის სულ ბიჭს ჰგავდა.

— ერთფეროვნებაო, ასე არა თქვი? — უთხრა ელიზაბეტმა, — დღეს შენ, მგონი, სამოქალაქო ტანსაცმელში მოსვლას აპირებდი?

— ვერ შევძელი. ადგილი არ მქონდა, რომ ტანისამოსი გამომეცვალა, — გრებერი ალფონსთან აპირებდა ამის გაკეთებას, მაგრამ ნაშუადღევს საუბრის შემდეგ აღარ წავიდა მასთან.

— ჩემთან შეგეძლო, — უთხრა ელიზაბეტმა.

— შენთან? მერედა ფრაუ ლიზერი?

— ეშმაკსაც წაუღია ფრაუ ლიზერი. მე უკვე ვიფიქრე ამაზე.

---

[1] *ბიურგერული — აქ მოქალაქეობრივი. ბიურგერი (გერმ.) — გერმანიასა და ევროპის ზოგ ქვეყანაში: ქალაქის მცხოვრები, მოქალაქე.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ხსოვ ბევრი რაზე უნდა გავგზავნოთ ეშმაკთან. — მიუგო გრეგერმა. — მეც ვიფიქრე ამაზე.

ელენერმა ღვინო მოიტანა და გახსნა. მაგრამ ჭიქებში ალარ დაუხვამს. თავი გვერდზე გადახარა და ყური მიაპყრო.

— ახლა დაიწყო, — წარმოთქვა მან. — ძალიან ვწუხარ, ბატონო ჩემო.

მან არ დასჭირვებია განემარტა თავისი ხიტყვები. ერთი წამის შემდეგ ხორცთა ღმუილმა ლაპარაკის ხმა ჩაახშო დარბაზში.

ელიზაბეტის ჭიქამ დაიწკრიალა.

— სად არის უახლოესი თავშესაფარი? — შეკითხა გრებერი მარაბუს.

— ჩვენ საკუთარი გვაქვს, აქვე, ამ შენობაში.

— მერე ის ალბათ მხოლოდ სასტუმროს კლიენტებისთვის არის განკუთვნილი.

— თქვენც მისი კლიენტი ბრძანდებით, ბატონო ჩემო. ძალიან კარგი თავშესაფარია, ფრონტის ბევრ თავშესაფარსაც აჯობებს. ჩვენთან მაღალი ჩინის ოფიცრები ბინადრობენ.

— კეთილი, მაგრამ ვენურ შნიცელს რაღა ვუყოთ?

— ჯერ არ შეუდგამთ შესაწვავად. ახლავე გავაუქმებ შეკვეთას. ქვევით ვერ მოგართმევთ. გასაგებია, თუ რატომ.

— რასაკვირველია, — მიუგო გრებერმა. შემდეგ მარაბუს ბოთლი გამოართვა და ორივე ჭიქა აავსო. ერთი ელიზაბეტს გაუწოდა, — დალიე. ბოლომდე გამოცალე, იცოდე!

ქალმა თავი გააქნია.

— მგონი ის დროა, რომ მივდიოდეთ!

— ჯერ კიდევ ბევრი დრო გვაქვს. ეს მხოლოდ პირველი გაფრთხილება იყო. შეიძლება სულაც არაფერი მოხდეს. აი, ისე, როგორც ამას წინათ. გამოცალე ეს ჭიქა, ელიზაბეტ, შიშის პირველი შემოტევისგან კურნავს.

— ჩემი აზრით, ბატონი მართალს ბრძანებს, — თქვა მარაბუმ, — ასეთი ღვინის ნაჩქარევად სმა აფსუსია, მაგრამ ახლა განსაკუთრებული შემთხვევაა.

იგი გაფითრებულიყო და გაჭირვებით ილიმებოდა.

— ჰერ, — მიმართა მან გრებერს, — წინათ ჩვენ ზეცაში სალოცავად ვიხედებოდით, ახლა კი წყევლა-კრულვისთვის. აი, სადამდე მივედით.

გრეგერმა ელიზაბეტს მიაჩერდა.

— დალიე! ჯერ კიდევ ბევრი დრო გვაქვს. ჩვენ მთელი ბოთლის გამოცლას მოვასწრებთ.

ქალმა ჭიქა აიღო და ნელ-ნელა გამოცალა. ამას ისეთი ფესტით იქმოდა, რომელიც ერთიდროულად გადაწყვეტილებასაც გამოხატავდა და ერთგვარ ქარფეშეტულ უხროულოებასაც. შემდეგ ჭიქა უკან დადგა და გაიღიმა.

— ეშმაკსაც წაეღოთ პანიკა! — წარმოთქვა მან, — უნდა გადავეჩვეთ. ერთი შეხედე, როგორ ვკანკალებ.

— შენ კი არ კანკალებ, ეს სიცოცხლე ორთოს შენში. და ამას არაჟეთარი კაეშანი არა აქვს სიმამაცესთან. მამაცი ის არის, ვისაც თავდაცვა შეუძლია. სხვა ყველაფერი ბაქიათბაა და მეტი არაფერი. ჩვენი ცხოვრება უფრო გონიერია, ვიდრე ჩვენ თვითონ, ელიზაბეტ.

— კეთილი. ცოტა კიდევ დამალეთინე.

— ჩემი ცოლი... — დაიწყო მარიბეტ, — იცით, ბიჭი მყავს ჯარ. ჭლექიანია. ოერთიმეტი წლისაა. ჩვენი თავშესაფარი კარგი ვერ არის. ცოლს ძალიან უჭირს ბიჭის ხელით ჩაგვანა ქვეყით. სუსტი ქალია. ორმოცდაორ კილოს იწონის მხოლოდ. ჩვენ ხუთდმტრასეს 27-ში ვცხოვრობთ, მაგრამ მე არ შემიძლია დაეჯმარო, რადგან ვალდებული ვარ, აქ დავრჩე ხიდმე.

გრეგერმა მახლობელი მაგიდიდან ჭიქა აიღო, ააგსო და კელნერს გაუწოდა.

— აბა, თქვენც დალიეთ ერთი ჭიქა! ერთი ძველებური ჯარისკაცური წესი არსებობს: თუ არაფრის გაკეთება არ ძალგიძს, იმას მაინც ეცადე, არ იღელეთ. შეუძლია ამას რამით განუგეშოთ?

— სათქმელად ითლია, რასაკვირველია.

— სწორია. ჩვენ ხომ ქვისგან არა ვართ გამოთლილები. გამოცალეთ ჭიქა.

— ჩვენ გვეკრძალება სამსახურის დროს...

— ეს განსაკუთრებული შემთხვევა. თქვენ ხომ ეს-ეს-არის, თვით თქვით.

— რაც იყოს, იყოს, — თქვა კელნერმა. მერე აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა და ჭიქა აიღო, — მაშინ ნება მიბოძეთ, თქვენი დაწინაურებისა შეკსეკ.

— რისა?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— თქვენი უბედურებისა.

— გმადლობთ, ბატონო, თვალი გჭირთ!

გულისგრძა ჭიქა დალია.

— არ შეიძლება ერთი მოსმით გამოცალო, ბატონო ჩემო. მით უფრო, რომ ასეთი ფასეულობისა ღვინოა. თვით ასეთ განსაკუთრებულ შემთხვევაშიც კი არ შეიძლება.

— ეს პატარა გადებთ თან წასაღებად ეგ ჭიქა.

— გმადლობთ, ბატონო ჩემო!

გრეგორმა ისევ შეავსო ჭიქები. ელიზაბეტისთვისაც და თავისთვისაც.

— ამას იმიტომ კი არ ვიქმ, რომ ჩვენი გულადობა დავანახვო ვინმეს, — თქვა მან, — არამედ იმიტომ, რომ საჰაერო თავდასხმის დროის უმეტესობისა პირწმინდად დალიო, რაც კი რამ სასმელი გაგაჩნია, თორემ კაცმა არ იცი, ისევ იპოვი თუ არა მას განგაშის დამთავრების შემდეგ.

ელიზაბეტმა მის მუნდირს შეავლო თვალი.

— ხომ არ დაგიჭრეს, თუ თავშესაფარი მართლაც ოფიცრებით იქნება სავსე?

— არა, ელიზაბეტ!

— რატომ არა?

— იმიტომ, რომ ჩემთვის ეს სულერთია.

— რა, მაშინ ვერ იჭრეს კაცს, როცა ეს მისთვის სულერთია?

— მაშინ დაჭრის შანსი კლებულობს. შიში ანდამატივით მოქმედებს. ახლა კი წამოდი, შიშის პირველმა შემოტევამ გადაგვიარა.

*

ღვინის სარდაფის ნაწილი დაებეტონებინათ, ჭერი ფოლადის საბჯენებით გაემაგრებინათ და შიგ თავშესაფარი მოეწყოთ. ირგვლივ სკამები, საკარძლები, მაგიდები და დივნები იდგა. იატაკზე რამდენიმე გაქუცული ხალიჩა ეფინა. კედლები გულმოდგინედ გაეთეთრებინათ. აქ რადიოც ჰქონდათ და ჭურჭლის კარადაზე ჭიქები და ბოთლები იდგა. მოკლედ, ფეშენებელური თავშესაფარი იყო.

ქალ-ვაჟმა ადგილი თავშესაფრის ერთ-ერთ ბოლოში იპოვა, სადაც იგი ტიხრული კარით საკუთრივ ღვინის სარდაფისგან იყო გამოყოფილი. მათ კლიენტების მთელი გუნდი შემოჰყვა, მათ შორის

ერთი ძალიან ლამაზი ქალი, საღამოს თეთრ კაბაში გამოწყობილი. ზურგი გაეშიშვლებინა და მარცხენა ხელზე სამაჯურები უბრჭყიალებდა. მას მოჰყვა ქერათმიანი და ჭანარისსახიანი ჭყეტელა ქალი. შემდეგ — მთელი რიგი მამაკაცებისა, ორიოდე ხანში შესული ქალი და ოფიცერთა ჯგუფი. მერე კელნერიც გამოჩნდა თავის ყმაწვილ შეგირდთან ერთად და მათ ბოთლების გახსნა დაიწყეს.

— ჩვენც შეგვეძლო ღვინო თან წამოგველო, — თქვა გრებერმა.

ქალმა თავი გააქნია.

— თუმცა შენ მართალი ხარ, ელიზაბეტ. ეს თეატრალური გმირობაა და მეტი არაფერი.

— ასეთი რამის გაკეთება არ ვარგა, — თქვა ქალმა, — მას უბედურება მოაქვს.

„მართალს ამბობს, — გაიფიქრა გრებერმა და თან გაჯავრებით შეავლო თვალი კელნერს, რომელსაც სინი ეჭირა ხელში და აქეთ-იქით დადიოდა კლიენტებში, — ასეთი რამ ვაჟკაცობა არ არის, ეს ქარაფშუტობაა. საფრთხე საამისოდ ერთობ სერიოზული ამბავია. თუ რამდენად სერიოზული და დამაფიქრებელია იგი, ამას მხოლოდ მაშინ შეიტყობ, როცა სიკვდილის მრავალ მსხვერპლს ნახავ“.

— მეორედ გვაფრთხილებენ, — თქვა ვილაცამ მის გვერდით, — აქეთ მოდიან!

გრებერმა თავისი სკამი სულ ახლოს მიაჩოჩა ელიზაბეტის სკამთან.

— მეშინია, — უთხრა ქალმა, — მიუხედავად კარგი ღვინისა და მტკიცე გადაწყვეტილებისა.

— მეც.

ვაჟმა მხრებზე მოხვია ხელი და იგრძნო, როგორ დაძაბულიყო ქალის სხეული. ანაზდეულად სინაზის ტალღა მოედო. ქალი იმ შველს ჰგავდა, რომელმაც საფრთხე იგნოსა და გაირინდა. ქალი არ პოზიორობდა. რომ შესძლებოდა კიდეც, არც სურდა პოზიორობა. მისი სიმამაცე იმაში გამოიხატებოდა, რომ ცდილობდა გაეძლო საფრთხისთვის. სიცოცხლე იძაბებოდა მასში სირენათა ღმუილზე, რომელიც ახლა შეიცვალა და სიკვდილს ნიშნავდა, და იგი არ ცდილობდა ამის დამალვას.

გრებერმა შენიშნა, რომ მამაკაცი, რომელიც ქერათმიან ქალს ახლდა, მას მისჩერებოდა. ეს იყო გაჩხიკული უფროსი ლეიტენან-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტი, რომელსაც ძალზე პატარა ნიკაპი ჰქონდა. ქერათმიანი კისკისებდა და შეზობელი მაგიდიდან მას აღტაცებით უჭერეტდნენ.

თავშესაფარი ოდნავ შეზანზარდა. მერე აფეთქების ყრუ გრგვინვა მოისმა. ლაპარაკი წამით შეწყდა და შემდეგ კვლავ განახლდა. ახლა უფრო ხმამაღლა და განგებ არხეინი ტონით ლაპარაკობდნენ. შემდეგ კიდევ უფრო ახლოს ზედიზედ სამი აფეთქება გაისმა.

გრუბერს მაგრად ეჭირა ელიზაბეტი. შენიშნა, რომ ქერათმიანი უკვე აღარ იცინოდა. მოულოდნელად მძიმე დარტყმამ შეაზანზარა სარდაფი, კედლების შეგირდმა სინი დადგა და ბუფეტის დაგრეხილი ხის სვეტებს ჩააფრინდა.

— ნუ აღელდებით! — გაისმა ვიღაცის გამყინავი ხმა, — აქედან შორს არის!

უეცრად კედლებმა დგანდგარი და ჭრიალი იწყეს. სინათლემ ისე დაიწყო ციმციმი, როგორც ცუდად განათებულ ფილმში, რალაც გამაყრუებლად გასკდა, სიბნელე და სინათლე ერთმანეთში აირია ველური ფართხალით და შუქის ხანმოკლე გაელვებაში მაგიდებთან მსხდომთა ცალკეული ჯუფები დროის დიდ ინტერვალებში გადაღებულ კადრებს დაემსგავსნენ. შიშველზურგიანი ქალი თავდაპირველად ჯერ ისევ იჯდა; შემდეგი აფეთქებისა და გაელვების დროს ის ფეხზე ამდგარიყო; მესამე აფეთქების დროს კი უკვე წყვდიადით მოცული კუნჭულისკენ გარბოდა. მერე კი ვიღაცებს ეჭირათ, ის კი კიოდა. სინათლე საბოლოოდ ჩაქრა და გრუხუნში, რომელიც ასმაგ ექოს აღძრავდა, გეგონებდათ, დედამიწას მიზიდულობის ძალა დაჰკარგვია და სარდაფი ჰაერში დაცურავსო.

— ეს მხოლოდ სინათლე ჩაქრა, ელიზაბეტ! — ჩასძახა გრუბერმა, — აფეთქებით გამოწვეული ჰაერის ტალღა იყო, სხვა არაფერი. ელექტროგაყვანილობა დაზიანდა ალბათ სადმე. სასტუმროს არ მოხვედრია.

ქალი ეკვროდა ვაჟს.

— სანთლები მოიტანეთ! ასანთები მოიტანეთ! — ყვიროდა ვიღაც, — ხომ უნდა იყოს აქ სანთლები! დალახვროს ეშმაკმა, სად ჯანდაბაშია სანთლები? ან ჯიბის ფარნები?

რამდენგანმე ასანთი გაჰკრეს. მათი ალი ჰაწია ცდომილ სინათლეებივით ჩანდა ვეება მგრგვინავ სადგომში და მხოლოდ სახეებსა და ხელებს ანათებდა, თითქოს სხეულები ამ ზათქსა და გრიალში

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უკვე დაშლილიყვნენ და მარტოოდენ შიშველი ხელები და სახეები დარიალებდნენ ირგვლივ.

— დასწყევლოს ეშმაკმა, ნუთუ სასტუმროს სათადარიგო განათება არა აქვს? სად არის კელნერი?

სინათლის წრეები წინ და უკან დარიალებდნენ, ხან აქ, ხან იქ აშუქებდნენ კედლებს. წამით გამოჩნდა საღამოს კაბაში გამოწყობილი ქალის შიშველი ზურგი, გაიელვა მისმა სამკაულებმა და მრუმედ დაფჩენილმა პირმა — ყველა ესენი თითქოს შავ ქარში დანანაობდნენ, ხოლო ხმები კი ისე ისმოდა, როგორც მინდვრის თაგვების სუსტი წრიპინი, რომელთაც შიშის ზარსა სცემს დედამიწის ნგრევა და ახალწარმოქმნილ უფსკრულთა გრუხუნი, — შემდეგ ღმუილი მოისმა. მძვინვარე და აუტანელი, იგი სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა, თითქოს ფოლადის გიგანტური პლანეტა პირდაპირ თავშესაფრისკენ მოექანებოდა. ყველაფერი შეირყა. სინათლის წრეები ძირს დაცვივდა და ჩაქრა. თითქოსდა ყველაფერი დაამსხვრია და ზეაისროლა. გრებერს მოეჩვენა, რომ თავით ჭერისკენ გაფრინდა. ორივე ხელი მოხვია ელიზაბეტს. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ვიღაც ხელიდან ჰგლეჯდა ქალს. მაშინ ზევიდან გადააწვა, იატაკზე დააგდო, თავზე საკარძელი გადმოუჩოჩა და ელოდა, როდის ჩამოიქცეოდა ჭერი.

ირგვლივ ყველაფერს ლაწალუწი გაუდიოდა. გაისმა წკრიალი, ჯახუნი, შრიალი და ტკაცატკუცი, თითქოს გოლიათური თათი მოხვდა თავშესაფარს და სიცარიელეში გადაისროლა, რომელიც ადამიანებს სხეულიდან ფილტვებსა და კუჭს აცლიდა და ძარღვებიდან სისხლს უქაჩავდა. გეგონებოდათ, ეს-ესაა უკანასკნელად უნდა ჩამოდგეს მჭექარე წყვდიადი და ყველანი გაგუდოსო! მაგრამ წყვდიადი არ ჩამომდგარა. ნაცვლად ამისა, შუქი გამოკრთა. იგი მოულოდნელად აპრიალდა დაბლიდან, თითქოს ცეცხლის სვეტს ამოეხეთქოს დედამიწიდანო. უცებ თეთრი ჩირაღდანი აგიზგიზდა — ეს ქალი იყო, იგი ყვიროდა:

— ვიწვი! ვიწვი! მიშველეთ, მიშველეთ!

იგი ხტოდა და ტანზე ხელებს იცემდა. ყველა დარტყმაზე ნაპერწკლები იფრქვეოდა აქეთ-იქით, ბრჭყვიალებდა მისი სამკაულები, შეძრწუნებული სახე გაკაშკაშებოდა. შემდეგ მახლობლად შეძახილები გაისმა და მას მუნდირები დააყარეს, ვიღაცამ კი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იატაკზე წააქცია. ქალი იგრიხებოდა და გაჰკიოდა სირენების ღმუილში, საზენიტო არტილერიის ბათქაბუთქსა და ნგრევის გრიალში, გაჰკიოდა არაადამიანური გამყინავი ხმით, ხოლო შემდეგ კი — ყრუდ, თითქოს ტიხარს იქიდან, მუნდირების, სუფრების და ბალიშების ქვემოდან გაჰკივისო, ხოლო სარდაფში კი, კვლავ უკუნეთი გამეფდა, ეს ისე ისმოდა, თითქოს სამარიდან მოდიოდა ხმა.

გრებერს ქვეშ მოექცია ელიზაბეტი, ორივე ხელით მისი თავი ეჭირა, მკერდზე მიეკრა და ცალი მკლავით ყურებს უფარავდა; ვიდრე ხანძარი და ყვირილი არ შეწყდა და მოთქმით, წყვდიადითა და დამწვარი ტანისამოსის, ხორცისა და თმის სუნით არ შეიცვალა.

— ექიმი! ექიმი მოიყვანეთ! სად არის ექიმი?

— რაა?

— საავადმყოფოში უნდა წავიყვანოთ! დასწყევლოს ეშმაკმა, არაფერი ჩანს! უნდა როგორმე გავიყვანოთ ეს ქალი აქედან!

— ახლა? — შეეკითხა ვიღაც, — მერედა სად წავიყვანოთ?

ყველანი გაჩუმდნენ. ყურს უგდებდნენ. გარეთ საზენიტო ქვემეხები მძვინვარებდნენ. მაგრამ აფეთქებათა ხმა აღარ ისმოდა. მხოლოდ ქვემეხები ისროდნენ.

— გაფრინდნენ! თავდასხმა დამთავრდა!

— იწექი, — წასჩურჩულა გრებერმა ელიზაბეტს, — არ გაინძრე. დაბომბვა შეწყდა, მაგრამ ჯერ ნუ ადგები. აქ არავინ დაგადგამს ფეხს. არ გაინძრე.

— ჯერ უნდა დავიცადოთ. შეიძლება კიდევ ერთმა ტალღამ ჩამოიაროს, — განაცხადა ვიღაცამ დინჯი, დამრიგებლური ხმით, — გარეთ ჯერ კიდევ სახიფათოა გასვლა. ციდან ნამსხვრევები ცვივა.

კარში სინათლის სხივი გამოკრთა. ჯიბის ელექტროფარნიდან მოდიოდა. ქალი, რომელიც იატაკზე იწვა, ისევ აკივლდა:

— არა! არა! ჩააქრეთ! ჩააქრეთ ცეცხლი!

— ეს ცეცხლი არ არის. ეს ჯიბის ფარანია.

სიბნელეში მოძრავი სინათლის წრე სუსტად კიაფობდა. ერთობ პატარა ჯიბის ფარანი იყო.

— აქეთ, აქეთ მოდით რა, დაუყოვნებლივ! ვინა ხართ? ვინ არის, ხელში ფარანი რომ უჭირავს?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სინათლის ზოლმა სწრაფად მოხაზა რკალი, ჭერზე გასრიალდა, შემდეგ ისევ უკან დაბრუნდა და გახამებული საყელო, ფრაკის ნაწილი, შავი ჰალსტუხი და დაბნეული სახე გაანათა.

— მე ობერკელნერი ფრიცი გახლავართ. რესტორნის დარბაზი დაინგრა და ჩვენ აღარ შეგვიძლია მოგემსახუროთ. მაგრამ იქნებ ბატონებმა ინებონ და დანახარჯი...

— რაო?

ფრიცს ისევ თავის სახეზე ჰქონდა ფარანი მინათებული.

— საჰაერო თავდასხმა დამთავრდა. მე ჯიბის ფარანი და ანგარიშები მოვიტანე!..

— რაო? გაუგონარი ამბავია!

— ბატონო ჩემო, — მიუგო ფრიცმა უმწეოდ წყვდიადით მოცულ სივრცეს, — ობერკელნერი საკუთარი ჯიბით აგებს პასუხს რესტორნის წინაშე.

— გაუგონარი ამბავია, — დაუტატანა კაცმა სიბნელიდან, — განა ჩვენ თაღლითები ვართ? თანაც თქვენს ბრიყვულ ფიზიონომიას რაღას ანათებთ, არ ვიცი?! სასწრაფოდ აქ მოდით! ქალია დაშავებული!

ფრიცი ისევ გაუჩინარდა სიბნელეში. სინათლის წრემ განვლო კედლები, გადაიარა ელიზაბეტის თავზე, შემდეგ იატაკის გასწვრივ მოძრაობდა და მუნდირების გროვასთან გაჩერდა.

— ღმერთო ჩემო! — აღმოხდა კაცს, რომელსაც მუნდირი აღარ ეცვა და გაფითრებული ჩანდა.

მან უკან გადაიწია. მხოლოდ ხელებიღა უჩანდა შუქში. სინათლის წრე ცახცახით გასრიალდა მათზე. როგორც ჩანდა, ოპერკელნერიც ცახცახებდა. მუნდირები აქეთ-იქით გაიფანტნენ.

— ღმერთო ჩემო! — გაიმეორა კაცმა, რომელსაც მუნდირი აღარ ეცვა.

— არ გაიხედო იქით, — უთხრა გრებერმა ელიზაბეტს, — ასეთი რამ ხდება ხოლმე. ასეთ უბედურება ყველგან შეიძლება დატრიალდეს. აქ საჰაერო თავდასხმა არაფერ შუაშია. მაგრამ შენ აღარ უნდა დარჩე ქალაქში. სადმე ისეთი სოფელში წაგიყვან, რომელსაც არ ბომბავენ. მე ვიცი ერთი ასეთი სოფელი, ჰასტე. იქ ნაცნობები მყავს. უთუოდ შეგიფარებენ. ჩვენ შეგვიძლია იქ ვიცხოვროთ. იქ საშშვიდობოზე იქნები.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— საკაცეა საჭირო, — თქვა მუხლებზე დაჩოქილმა კაცმა, — სასტუმროში გაქვთ საკაცე?

— მე მგონი, რომ კი, ჰერ, ჰერ.. — ობერკელნერმა ფრიცმა არ იცოდა, რა ჩინით მიემართა ამ კაცისთვის. მისი მუნდირი საერთო გროვაში ედგო იატაკზე ქალის გვერდით და იგი ახლა რიგითი ადამიანი იყო, რომელსაც მხრებზე შარვლის აჭიმი ეკეთა, წელზე ხმალი ერტყა და მეთაურის ხმა ჰქონდა.

— მოიტანეთ, რომ დანახარჯზე დაიწყე ლაპარაკი, — თქვა ფრიცმა — არ ვიცოდი, თუ ვინმე იყო დაშავებული.

— აბა, მარდად! საკაცე მოიტანეთ ან არადა მოიცათ, მეც წამოვალ. გარეთ როგორ არის საქმე? გასვლას შევძლებთ?

— დიახ!

კაცი წამოდგა, მუნდირი გადაიცვა და ერთბაშად მაიორად იქცა. ხინათლის სხივი გაუჩინარდა და თითქოს იმედის სხივიც თან წაიღოლია. ქალის შესაბრალისი კვნესა გაისმა.

— ვანდა, — ბუტბუტებდა სასოწარკვეთილი კაცის ხმა, — ვანდა, რა უნდა ვქნათ ახლა ჩვენ? ვანდა!

— მოდი, გარეთ გავიდეთ, — განაცხადა ვილაცამ.

— განგაშის დამთავრების ნიშანი ჯერ არ ყოფილა, — მიუგო დამრიგებლურმა ხმამ.

— ეშმაკსაც წაულია თქვენი ნიშნები! სინათლეს რატომ არ ანთებენ?! აანთეთ სინათლე!

— ჩვენ ექიმი გვჭირდება... მორფიუმი...

— ვანდა, — დაიწყო ისევ სასოწარკვეთილმა ხმამ, — რა უნდა ვუთხრათ ახლა ებერჰარდს? რა...

— არა, არა, სინათლე არ აანთოთ! — დაიყვირა ქალმა, — სინათლე საჭირო არ არის...

მაგრამ სინათლე ისევ გამოჩნდა. ამჯერად ეს ნავთის ლამპა იყო. მაიორს მოჰქონდა. მას უკან ორი, ფრაკში გამოწყობილი კელნერი მოსდევდა, ხელში საკაცე ეჭირათ.

— ტელეფონი ალარ მუშაობს, — თქვა მაიორმა, — მავთულებია გაწყვეტილი. აბა, აქეთ მოიტათ საკაცე.

ლამპა იატაკზე დადგა.

— ვანდა! — დაიწყო ისევ იმ კაცმა სასოწარკვეთილი ხმით, — ვანდა!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— იქით წადით! — უთხრა მაორმა, — მერეც მოასწრებთ, — მან მუხლებზე დაიჩოქა ქალის გვერდით და ცოტა ხნის შემდეგ ისევ წამოდგა, — ესეც ასე! ახლა თქვენ მალე დაგეძინებათ. კიდევ მქონდა ერთი გაკეთება, ყოველი შემთხვევისთვის. ფრთხილად! ფრთხილად ასწიეთ და საკაცეზე დააწვინეთ! გარეთ მოგიხდება დაცდა, ვიდრე სანიტარიულ მანქანას ვიშოვიდეთ. თუკი, საერთოდ, ვიშოვით..

— მესმის, ჰერ მაიორო, — მიუგო მორჩილად ობერკელნერმა ფრიცმა.

საკაცე ქანაობით გაიტანეს თავშესაფრიდან. შავი, დამწვარი, უთმო თავი ხან აქეთ გორდებოდა და ხან იქით. სხეულზე სუფრა გადაეფარებინათ.

— მოკვდა? — შეეკითხა ელიზაბეტი.

— არა, — უთხრა გრებერმა, — მორჩება. თმაც ისევ ამოუვა.

— მერედა სახე?

— მხედველობა არ დაუკარგავს, თვალები არ დაზიანებია. ყველაფერი მოურჩება. მე ბევრი დამწვარი მინახავს. ეს მაინცდამაინც განსაკუთრებით მძიმე შემთხვევა არ ყოფილა.

— ნეტავ რამ გამოიწვია?

— კაბამ ცეცხლი მიიტაცა. გაკრული ასანთის ღერთან მივიდოდა ძალიან ახლო. სხვაფრივ არაფერი მომხდარა. სარდაფი მკვიდრი გამოდგა. პირდაპირ მოხვედრილ მძიმე ყუმბარის აფეთქებასაც კი გაუძლო.

გრებერმა საკარძელი გასწია, რომელიც წელან ელიზაბეტს თავზე გადმოუჩოჩდა. ამასთან ბოთლის ნამსხვრევებს დაადგა ფეხი და დაინახა, რომ ღვინის სარდაფში გამაკალი ფიცრული კარი ძირს ეგდო. სტელაჟები დაბრეცილიყვნენ, ბოთლები — ზოგი დამტვრეული, ზოგიც ისე — აქეთ-იქით გაბნეულიყო და იატაკზე ღვინო შავი ზეთივით მოედინებოდა.

— ერთ წამს მოიცა, დაებრუნდები, — უთხრა, შემდეგ ღვინის სარდაფში შევიდა და მაშინვე უკან გამოტრიალდა, — ასე, ახლა შეგვიძლია წავიდეთ.

*

გარეთ საკაცე იდგა და ზედ ქალი იწვა. ორივე კელნერს პირში თითები ჩაეყო და სტვენით უხმობდნენ მანქანას.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— რას იტყვის ახლა ებერჰარდი? — კვლავ კითხულობდა ქალის მხლებელი სასოწარკვეთილი ხმით, — ღმერთო ძლიერო, ეს რა საშინელი უბედურება შეგვემთხვა! როგორ უნდა ავუხსნათ ეს ყველაფერი?

„ებერჰარდი, ეტყობა, ქალის ქმარია“, — გაიფიქრა გრებერმა და სტვენით გართული კელნერებიდან ერთ-ერთი მოახედა:

— რესტორნის კელნერები სად არიან?

— თქვენ რომელი გინდათ? ოტო თუ კარლი?

— აი, რომელიც ჩია ტანისაა, მოხუცებული, ყარყატს ჰგავს.

— ოტო, — კელნერმა გრებერს შეხედა, — ოტო მოკვდა. დარბაზის ჭერი ჩამოინგრა და ჭალი დაეცა თავზე. ოტო მოკვდა, ბატონო ჩემო.

გრებერი ერთ წამს დუმდა.

— მე ფული არ მიმიცია მისთვის, — თქვა შემდეგ, — ერთი ბოთლი ღვინის ფული.

კელნერმა შუბლზე მოისვა ხელი.

— შეგიძლიათ მე მომცეთ, ბატონო ჩემო, რომელი ღვინო იყო?

— ერთი ბოთლი იოჰანისბერგული კალნებერგი.

— უმაღლესი ხარისხისა?

— არა.

კელნერმა ჯიბიდან პრეისკურანტი ამოიღო, ფარანი აანთო და გრებერს უჩვენა.

გრებერმა გადაიხადა. კელნერმა ჯიბეში ჩაიდო ფული. გრებერმა იცოდა, რომ ის არ ჩააბარებდა ამ ფულს.

— წამოდი, — უთხრა ელიზაბეტს.

ქალ-ვაჟი ნანგრევებში მიიკვლევდა გზას. ქალაქის სამხრეთი ნაწილი იწვოდა. ცა ნაცრისფრად და წითლად შეღებილიყო და ქარი კვამლის ფთილებს მოერეკებოდა.

— ჩვენ უნდა წავიდეთ და ვნახოთ, გადარჩა თუ არა შენი ბინა, ელიზაბეტ!

ქალმა თავი გააქნია.

— მაგას ყოველთვის მოვასწრებთ. მოდი, ლია ცის ქვეშ ჩამოვსხდეთ სადმე.

მათ მიაღწიეს მოედანს, სადაც იყო ის თავშესაფარი, რომელსაც პირველ საღამოს შეაფარეს თავი. შესასვლელი მრუმედ ხრჩოლავ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და. თითქოს მიწისქვეშეთში ჩახასვლელი ყოფილიყოს. ისინი მერხზე ჩამოსხდნენ სკამერში.

— გშია? — შეეკითხა გრებერი, — ამდენი ხანია არაფერი გიჭამია.

— ეგ არაფერი. ახლა მაინც ვერაფერს შევჭამ.

ვაჟმა ფარაჯა გახსნა. რალაცამ დაიწკრიალა და ჯიბეებიდან ორი ბოთლი ამოიღო.

— არც კი ვიცი, რას დავაკლე ხელი. აი ეს, მგონი, კონიაკი უნდა იყოს.

ელიზაბეტი განცვიფრებული მიშტვრებოდა.

— საიდან გაქვს ეგ ბოთლები?

— ღვინის სარდაფიდან. კარი ღია იყო. ათობით ბოთლი დამტვრეული ეყარა. ვითომ ესენიც დამტვრეულან.

— მაშ, უბრალოდ ხელს გამოაყოლე, არა?

— ჰო, რა თქმა უნდა! თუ ჯარისკაცი ღია ღვინის სარდაფს ხელუხლებლად დატოვებს, იგი მძიმე ავადმყოფი უნდა იყოს. ასე აღშფოთდეს, პრაქტიკულ აზროვნებასა და მოქმედებას მიმაჩვიეს. ათი მცნება სამხედროთათვის არ არსებობს!

— ნამდვილად არ არსებობს, — ელიზაბეტმა მას შეხედა, — და სხვაც ბევრი რამ არ არსებობს. საერთოდ განა იცის ვინმემ, რანი ხართ თქვენ? — გაიმეორა ქალმა, — თქვენ ხომ ის არა ხართ, რანიც აქა ხართ, თქვენ ისა ხართ, როგორებიც იქა ხართ. მაგრამ ამის შესახებ განა ვინმემ იცის რამე?

გრებერმა ახლა ფარაჯის მეორე მხრიდან ამოიღო კიდევ ორი ბოთლი.

— აი, აქ ერთი ისეთია, რომლის გახსნაც კორპსაძრობის გარეშეც შეიძლება. შამპანურია, — მან მაკთულს დაუწყო მოხსნა, — იმედია, მორალური თვალსაზრისით საწინააღმდეგო არაფერი გექნება და დალევ, არა?

— ჰო, ახლა უკვე არაფერი მაქვს საწინააღმდეგო.

— ამით ჩვენ რამეს კი არ ვდღესასწაულობთ. მაშასადამე, ღვინო უბედურებას არ მოგვიტანს. ამას იმიტომ ვსვამთ, რომ გვწყურია და სხვა არაფერი გვაქვს დასალევი და, ჩემი აზრით, იმიტომაც, რომ კვლავ ცოცხლები ვართ.

ელიზაბეტმა გაიღიმა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მეტი ახსნა-განმარტება ალარ არის საჭირო. ყველაფერი მეს-მის. მაგრამ ახლა სხვა რამეც გამაგებინე: რატომ გადაიხადე ამ ერთი ბოთლი ლვინის ფული, თუკი ოთხი ისე მოგეჭირდა?

— ეგ სხვა ამბავია. რომ არ გადამეხადა, ეს ყალიდან თითლიბაზური თავის არიდება იქნებოდა.

გრებერმა ფრთხილად ამოაძრო საცობი, გაწმა არ ამოაგდებინა.

— ბოთლიდან მოგვიხდება დალევა, ელიზაბეტ. მე გასწავლი, როგორ უნდა.

*

სიჩუმე ჩამოვარდა. მეწამული ბინდბუნდი უფრო და უფრო მოედო გარემოს. ამ უჩვეულო შუქზე ყველაფერს არარეალური ელფერი მიეცა.

— ერთი იმ ხეს შეხედე, — თქვა ელიზაბეტმა უცებ, — ყვავის.

გრებერმა იქით გაიხედა. ხე ყუმბარის აფეთქებისგან თითქის ამოვარდნილიყო მიწიდან. ფესვების ერთი ნაწილი ჰაერში ეკიდა გაშიშვლებული, ხეს ტანი გაპობოდა და ზოგი ტოტი მოჰგლეჯოდა, მაგრამ იგი მართლაც თეთრი ყვავილებით იყო დაფარული, რომელნიც მეწამულ არილში ვარდისფრად შეფერილიყვნენ.

— ხედავ, მის გვერდით მდგარი სახლი დაწვარა. შეიძლება ხალხმ გაფურჩნა ისინი, — თქვა გრებერმა, — ყველა ხეთვის მაგას გაუსწრია და ყველაზე დაშავებული კია.

ელიზაბეტი წამოდგა და ხესთან მივიდა. მერხი, რომელზეც ისხდნენ, ჩრდილში იდგა, და ქალიშვილი ხანძრისა მოკიაფე ათინათში ისე გავიდა, როგორც მოცეკვავე ქალი გაშუქებულ სცენაზე, ხანალე ძოწისფერი ყორიანტელივით მოედო ხილი მის უკან ისე კაშკაშებდა, როგორც შუა საუკუნეთა გოლიათური კუდიანი ვარსკვლავი, სამყაროს დალუპვის, ანდა მაცხოვრის დაბადების დაგვიანებული მაუწყებელი.

— ყვავის, — თქვა მან, — ხეებისთვის გაზაფხულია, მორჩა და გათავდა. სხვა დანარჩენი მათ არ ეხებათ

— ჰო, — მიუგო გრებერმა, — ისინი ჩვენ გვასწავლიან. გამუდმებით გვასწავლიან. დღეს ნაშუადღევს ცაცხვი, ახლა კი აი, ეს. ისინი იზრდებიან, გამოაქვთ ფოთლები, ყვავიან და თვით მაშინაც კი, როდესაც შუაზე არიან გაპობილნი, ის ნაწილი მაინც ხარობს კვლავ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომელსაც ცოტაოდენი ფესვები მაინცა აქვს მიწაში შერჩენილი. ისინი გამუდმებით გვასწავლიან. არ მოთქვამენ და არ ეცოდებათ თავი.

ელიზაბეტი ნელი ნაბიჯით წამოვიდა უკან. კანი უციაგებდა უცნაურ, უჩვეულო შუქში და მისი სახე წამით რაღაც თილისმით ანთებული ეჩვენა გრებერს — მასზედაც ათქვირებულ კოკორთა, ნგრევისა და ზრდის ურყევი მდგრადობის საიდუმლო ნიშანი ამოიკითხა. შემდეგ ქალიშვილი შუქიდან გამოვიდა, როგორც პროექექტორის სინათლის რკალიდან, და გრებერმა კვლავ შეიგრძნო იგი თავის გვერდით ჩრდილში, შეიგრძნო მისი სითბო, მისი ნაზი ფშვინვა და მჩქეფარე სიცოცხლით აღსავსე სხეული, თავისკენ მიიზიდა ქალი, დაბლა გადაზნიქა და ანაზდეულად ხე ერთობ გამაღლდა, მეწამულ ცას მისწვდა ტოტებით, ყვავილები კი სულ ახლოს იყო, ჯერ ხე იყო, მერე დედამიწა. იგი ამოიზნიქა, დამრგვალდა და იქცა ყანად, ზეცად, ელიზაბეტად... მან თავისი თავი აღიქვა ქალში და ქალსაც წინააღმდეგობა არ გაუწევია მისთვის.

XV

ორმოცდამერვე ნომრის ბინადარნი ღელავდნენ. კვერცხისთავა და სკატის ორი სხვა მოთამაშე სალაშქროდ აღჭურვილნი იდგნენ. მათ „სამწყობრო სამსახურისთვის ვარგისი“ ჩაუწერეს წიგნაკებში და ახლა ეშელონით ფრონტზე მიდიოდნენ.

კვერცხისთავა გაფითრებულიყო. იგი როიტერს მიაჩერდა:

— შენ შენი ბრიყვული ფეხით, შე სიმულანტო შენა, აქა რჩები, მე კი, ოჯახის მამას, მოწინავეზე მგზავნიან!

როიტერმა არაფერი უპასუხა. ფელდმანი საწოლიდან წამოიწია:

— ენა დააყენე, კვერცხისთავა! — უთხრა მან, — შენ იმიტომ კი არ მიდიხარ ფრონტზე, რომ ეგ აქ რჩება. არამედ იმიტომ, რომ სამწყობრო სამსახურისთვის ვარგისად მიგიჩნიეს. ეგეც რომ ვარგისად მიეჩნიათ და ფრონტზე გაეგზავნათ, შენ მაინც მოგიხდებოდა წასვლა, გასაგებია? ჰოდა, სისულელეს ნუ ლაპარაკობ!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— რასაც მინდა, იმას ვილაპარაკებ! — დაიყვირა კვერცხისთავამ გაშწარებით, — მე ფრონტზე მივდივარ და რასაც მინდა, იმას ვიტყვი! თქვენ კი აქ რჩებით! თქვენ აქ არხეინად სხედხართ, ჭამთ, ხვრინავთ! ჩვენ კი ფრონტზე უნდა წავიდეთ, მე — ოჯახის მამა, ეს კი, ეს მსუქანი სიმულანტი, არაყს ყლურწავს, რათა თავისი წყეული ფეხი არ მოურჩეს!

— განა შენც ასევე არ მოიქცეოდი, რომ შეგეძლოს? — შეეკითხა როიტერი.

— მე? მე არა! მე არასოდეს ვცდილვარ, თავი დამეძვრინა!

— მაშ, საქმე კარგად ყოფილა. მაშ, რაღა გაღრიალებს?

— როგორ თუ რა მაღრიალებს?! — წამოიძახა განცვიფრებულმა კვერცხისთავამ.

— შენ ხომ ამაყობ, თავის დაძვრენას არასოდეს ვცდილვარო. შემდგომშიც ასე განაგრძე, იამაყე ამით და ნულარ ყვირი.

— რაო? ხედავ, როგორ მოატრიალა სიტყვა ამ შეჩვენებულმა? მაგის მეტი რა შეგიძლია, შე მუცელღმერთა, შენა, რომ კაცს სიტყვა მოუგო! მოიცა, შენც ჩაგავლებენ! უთუოდ, თუნდაც ამისთვის მე თვითონ მომიხდეს შენი დაბეზღება!

— კარგი, ნუ სცოდავ, — უთხრა ერთ-ერთმა სკატის მოთამაშეთაგან, რომელნიც აგრეთვე სამწყობრო სამსახურისთვის ვარგისად მიიჩნიეს, — წამოდი, ქვევით საცაა დაეწყობიან!

— არაფერსაც არ ვცოდავ! ესენი სცოდავენ! განა სირცხვილი არ არის, რომ მე, ოჯახის მამა, ლოთისა და ღორმუცელას ნაცვლად მივდივარ ფრონტზე! მე მხოლოდ სამართლიანობას მოვითხოვ...

— ეჰ, კარგი ერთი, რის სამართლიანობა, რას ამბობ! განა სადმე არსებობს იგი ჯარში? წამო, დროა წავიდეთ! არავის არ დაა-ბეზღებს, ყასიდად ლაპარაკობს. მშვიდობით, მეგობრებო! ყოჩაღად იყავით! არ დათმოთ თქვენი პოზიცია!

სკატის მოთამაშეებმა ძალით წაიყოლიეს კვერცხისთავა, რომელმაც სიბრაზისგან აღარ იცოდა, რა ექნა. კართან ერთხელ კიდევ მოაბრუნა ფერწასული და გაოფლიანებული სახე და რაღაც სურდა დაეყვირა, მაგრამ გარეთ გაათრიეს.

— ხედავ, ამ ხეპრეს, — თქვა ფელდმანმა, — რა სცენები გაგვიმართა მსახიობივით?! გახსოვთ, რამდენს ქაქანებდა, რომ შვებულებას ძილში ვატარებდი.

— მაგან ფული წაგო, — თქვა რუმელმა ერთბაშად. იგი აქამდე გულგრილად იჯდა მაგიდასთან და საერთო ლაპარაკში არ მონაწილეობდა, — მან ბევრი ფული წაგო! ოცდასამი მარკა! ეს ხუმრობა საქმე არ არის! უკან უნდა მიმეცა ფული!

— ახლაც შეგიძლია. ჯერ არ წასულან, ქვევით დგანან.

— რაო?

— გარეთ დგას-მეთქი. ჩადი და დაუბრუნე, თუკი სინდისი გქონჯნის.

რუმელი წამოდგა და გარეთ გავიდა.

— აი, კიდევ ერთი ჭკუაზე შეშლილი! — თქვა ფელდმანმა, — აბა, რა უნდა უყოს კვერცხისთავამ ფულს მოწინავეზე?

— შეუძლია ერთხელ კიდევ წაგოს.

გრებერი ფანჯარასთან მივიდა და გადაიხედა. ეზოში ფრონტზე მიმავალნი იყრიდნენ თავს.

— სულ ყმაწვილები და მოხუცები არიან, — თქვა როიტერმა, — სტალინგრადის შემდეგ ყველანი მიჰყავთ.

— ჰო...

ფრონტზე მიმავალნი დაწყვნენ.

— რა მოუვიდა რუმელს? — იკითხა უცებ გაკვირვებულმა ფელდმანმა, — როგორც იქნა, ხმა ამოიღო.

— უკვე წელან ამოიდგა ენა, როცა შენ გეძინა.

ფელდმანი პერანგის ამარა მივიდა ფანჯარასთან.

— აგერ, კვერცხისთავა სად დგას, — თქვა მან, — ახლა მას საკუთარ თავზე შეუძლია გამოცადოს, სულერთია აქ გეძინოს და ფრონტს სიზმარში ხედავდე, თუ ფრონტზე იყო და საშობლო გეზმანებოდეს!

— მალე ჩვენც მოგველის მაგის გამოცდა, — განაცხადა როიტერმა, — ჩემი ექიმი, სამედიცინო სამსახურის კაპიტანი, მომდევნო სამედიცინო შემოწმებაზე სამწყობრო სამსახურისთვის ვარგისად მიჩნევას მიპირებს. თავი ვაჟკაცად მოაქვს და განმიცხადა, ფეხები მხოლოდ მხდლებს სჭირდებათ გასაქცევად, ნამდვილ გერმანელს კი მჯდომარესაც შეუძლია იბრძოლოსო.

გარეთ ბრძანება გაისმა. კოლონა დაიძრა. გრებერი ისე ხედავდა მას, როგორც დამაპატარავებელ შუშაში. ჯარისკაცები ცოცხალ თოჯინებს ჰგავდნენ, პაწია, საბავშვო შაშხანებით მხრებზე. ისინი სულ უფრო და უფრო შორდებოდნენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— საწყალი კვერცხისთავა, — თქვა როიტერმა, — ჩემზე კი არა, თავის ცოლზე იყო გაცოფებული. ჰგონია, მაშინვე ულალატებს, როგორც კი აქედან წავა, და ბრაზი მოსდის, რომ ის ჯარში წაყვანილი ქმრისთვის დახმარებას იღებს, რადგან ეჭვობს, ამ თანხით ჩემი ცოლი, ვინ იცის, საყვარელთან ატარებს დროსო.

— ეგ რა დახმარებაა? არსებობს ასეთი რამე? — იკითხა გრეგერმა

— კაცო, შენ რა, ციდან ხომ არა ხარ ჩამოფრენილი? — ფელდმანმა თავი გააქნ-გადმოაქნია, — ჯარისკაცის ცოლი ყოველთვიურად ორას მონეტას იღებს. ეს კი კარგი ფულია. ამის გამო ბევრი დაქორწინდა კიდეც. აბა, რატომ უნდა აჩუქო სახელმწიფოს ამდენი ფული?

როიტერი ფანჯარას მოშორდა.

— შენი მეგობარი ბინდინგი იყო აქ და გიკითხა, — უთხრა მან გრებერს.

— რა უნდოდა, არ გითხრა?

— პატარა წვეულებას მართავს სახლში და შენც დაგპატიჟა.

— სხვა არაფერი?

— არა, სხვა არაფერი.

რუმელი დაბრუნდა.

— რა ქენი, მოასწარი კვერცხისთავას ნახვა? — შეეკითხა ფელდმანი.

რუმელმა თავი დაუქნია. აღელვებული სახე ჰქონდა.

— მაგას ცოლი მაინც ჰყავს, — უეცრად დაიგმინა მან, — შენ ის იკითხე, რომ ისევ ფრონტზე უნდა დაბრუნდე და აღარაფერი გაგაჩნია ქვეყანაზე!..

მკვეთრად შეტრიალდა და საწოლზე დაეგდო. ყველამ თავი ისე დაიჭირა, თითქოს არაფერი გაეგონოთ.

— აფსუს, რომ კვერცხისთავა ვერ მოესწრო ამას! — წაიჩურჩულა ფელდმანმა, — ის სანაძლეოს დებდა, რომ რუმელი თავს ველარ შეიკავებდა და დღეს გატყდებოდა.

— თავი დაანებე, — უთხრა როიტერმა გაჯავრებით, — ვინ იცის, შენ თვითონ როდისღა ველარ შეიკავებ თავს. არავინ არის ამისგან დაზღვეული. თვით მთვარეულსაც შეიძლება დაუცდეს ფეხი, — იგი გრებერს მიუბრუნდა, — რამდენი ხანი დაგრჩა კიდევ?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— თერთმეტი დღე.

— თერთმეტი დღე? ეს ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრია.

— გუშინ ჯერ კიდევ ბევრი იყო, — უთხრა გრებერმა, — მაგრამ დღეს უკვე საშინლად ცოტაა.

*

— შინ არავინ არის, — თქვა ელიზაბეტმა, — არც ფრაუ ლიზერი და არც მისი შვილი. მთელი ბინა ჩვენ გვეკუთვნის.

— მადლობა ღმერთს! თორემ ალბათ შემომაკვდებოდა. დღეს თუნდაც ერთი სიტყვა რომ ეთქვა. რა, გუშინ კიდევ მოგიწყო სკანდალი?

— მეძავი ვგონივარ.

— რატომ? გუშინ საღამოს ხომ მხოლოდ ერთი საათი ვიყავი აქ.

— ამას უკვე გუშინწინს აქეთ მეძახის. გუშინწინ მთელი საღამო იყავი ჩემთან.

— კი, მაგრამ ჩვენ ხომ გასაღების ჭუჭრუტანა ამოვქოლეთ და პატეფონს ვუკრავდით განუწყვეტლივ. საიდან მოსდის თავში ასეთი აზრები?

— ჰო, საიდან... — წარმოთქვა ელიზაბეტმა და ვაჟს სწრაფად შეავლო თვალი.

გრებერმა შეხედა ქალს და ანაზდეულად თბილი ტალღა აუვარდა თავში. „ნეტავი თვალები სად მქონდა პირველ საღამოს?“ — გაიფიქრა მან.

— სად წავიდა ის ალქაჯი?

— სოფელ-სოფელ უნდა ჩამოიაროს, რომელიღაც საზამთრო თუ საზაფხულო დახმარების შესაგროვებლად. მხოლოდ ხვალღამ დაბრუნდება. ასე რომ, ჩვენს განკარგულებაშია დღევანდელი საღამო და მთელი ხვალინდელი დღე.

— როგორ, მთელი ხვალინდელი დღე? მერედა ფაბრიკაში არ მიდიხარ?

— ხვალ არა! ხვალ კვირაა. ჯერჯერობით კვირაობით არ ვმუშაობთ.

— კვირაა? — წარმოთქვა გრებერმა, – რა ბედნიერებაა! მე კი წარმოდგენაც არ მქონდა! მაშ, როგორც იქნა, ერთხელ მაინც გიხილავ დღისით. აქამდე მხოლოდ საღამოს ანდა ღამე გხედავდი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ნუთუ?

— კი. ორშაბათს პირველად წავედით სასეირნოდ. გახსოვს, ერთი ბოთლი არმანიაკი რომ წამოვიღეთ ყაზარმიდან.

— მართლა, იცი, — თქვა გაკვირვებულმა ელიზაბეტმა, — მეც არ მინახავხარ დღისით, — ქალი ერთ წამს დუმდა, შემდეგ ვაჟს შეხედა და ისევ განზე გაიხედა, — ჩვენ ცოტა არ იყოს, უწესო ცხოვრებას ვეწევით, არა?

— სხვა არაფერი დაგვრჩენია.

— ეგეც მართალია. რა იქნება, ჩვენ რომ ხვალ ერთმანეთის წინაშე გაჩახჩახებულ მზის შუქზე წარვდგებით?

— მოდი, ეგ ღვთიურ განგებას მივანდოთ და იმაზე ვიფიქროთ, დღევანდელი საღამო როგორ გავატაროთ. ისევ იმ რესტორანში წავიდეთ, რომელშიც გუშინ ვიყავით? მაგრამ იქ არაფერი ვარგოდა. „გერმანია“ კარგი იყო, მაგრამ სამწუხაროდ, დაკეტილია.

— აქ შეგვიძლია დავრჩეთ. დასალევი სამყოფად გვაქვს. მე კიდევ შევეცდები, რაიმე საჭმელი მოვამზადო.

— მერე შეგიძლია აქ გაძლო? განა სადმე წასვლა არ გირჩევნია?

— როცა ფრაუ ლიზერი შინ არ არის, მაშინ ჩემთვის აქ არდადეგებია.

— მაშ, აქ დავრჩეთ! შესანიშნავი იქნება. უპატეფონოდ გავატარებთ საღამოს და ყაზარმაში არ დამჭირდება წასვლა. მაგრამ საჭმელს რა ვუყოთ? შენ მართლა შეგიძლია კერძების კეთება? შენგან არ მოველოდი ამას!..

— ვცდი. თანაც ბევრი არაფერია გასაკეთებელი. მხოლოდ ის, რასაც წიგნაკებით ვიღებთ.

— მაშ, რასაკვირველია, ბევრი არ იქნება!

სამზარეულოში გავიდნენ. გრებერმა ელიზაბეტის მარაგი დაათვალიერა. არსებითად თითქმის არაფერი იყო. ცოტაოდენი პური, ხელოვნური თაფლი, მარგარინი, ორი კვერცხი და რამდენიმე მომჩვარული ვაშლი.

— მე სასურსათო ბარათები მაქვს, — თქვა ქალმა, — შეგვიძლია კიდევ რაიმე მოვიტანოთ. მე ვიცი მაღაზია, რომელიც საღამოობით ღიაა ხოლმე.

გრებერმა ბუფეტის უჯრა უკან შესწია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ბარათები შეინახე. დაგჭირდება. დღეს უნდა სხვა გზით ვიშოლოთ. რაშე უნდა გავშასოთ.

— აქ ვერაფერს მოვიპარავთ, ერნსტ, — თქვა შეშინებულმა ელიზაბეტმა, — ფრაუ ლიზერმა თავისი პროდუქტის ყოველი მისხალი ზეპირად იცის.

— წარმომიდგენია! მე არც ვაპირებ დღეს რამის მოპარვას. მე რეკვიზიცია[1] მინდა მოვახდინო, როგორც ჯარისკაცმა მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე. ვინმე ალფონს ბინდინგმა პატარა პურმარილზე მიმიპატიჟა. ჰოდა, მე ავიღებ ყველაფერ იმას, რასაც შევჭამდი, წვეულებაზე რომ დავრჩენილიყავი და აქ მოვიტან. მას სახლი სავსე აქვს სურსათის მარაგით. ნახევარ საათში აქ გავჩნდები.

*

ალფონსი გრებერს წამოწითლებული სახითა და გაშლილი ხელებით შეეგება.

— რა კარგია, რომ მოხვედი, ერნსტ! შემოდი! დღეს ჩემი დაბადების დღეა! ორიოდე ამხანაგი მეწვია...

სანადირო ოთახი თამბაქოს კვამლითა და ხალხით იყო სავსე.

— გამიგონე, ალფონს, — ნაჩქარევად უთხრა გრებერმა დერეფანში, — მე არ შემიძლია დარჩენა. მხოლოდ წამით შემოვირბინე და ახლავე უკან უნდა დავბრუნდე.

— უკან? კარგი ერთი, ერნსტ! ეგ არ გამაგონო!

— რა ვუყო, აბა? ვიდრე გადმომცემდნენ, რომ ჩემთან იყავი, პაემანი მქონდა დანიშნული.

— რა უშავს მერე! უთხარი, რომ მოულოდნელად ოფიციალურ სხდომაზე მოგიხდა წასვლა, ანდა დაკითხვაზე! — ალფონსმა ხმამაღლა გაიცინა, — იქ, შიგნით, ორი გესტაპოელი ოფიცერი ზის! ახლავე გაგაცნობ მათ. უთხარი, რომ გესტაპოში დაგიბარეს. ტყუილის თქმაც კი არ გამოგივა. ანდა აქ მოიყვანე ისინი, ვისაც უნდა შეხვდე, თუკი სასიამოვნო ხალხია.

---

[1] *რეკვიზიცია — კერძო პირთა ან საზოგადოებრივ ორგანიზაციათათვის სახელმწიფო ორგანოების (ომის დროს აგრეთვე სამხედრო ხელისუფალთა) მიერ ქონების სამუდამო ან დროებით ჩამორთმევა.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ეგ არ იქნება.

— რატომ? რატომ არ იქნება? ჩვენთან ვალალაკერი შეიძლება!

გრებერი მიხვდა, რომ ვალალაკერს სჯობდა, სიმართლე ეთქვა.

— შენ თვითონ წარმოიდგინე, ალფონს, — უთხრა მან, — მე არ ვიცოდი, რომ შენი დაბადების დღე იყო და შენთან მხოლოდ იმიტომ შემოვიარე, რომ ცოტაოდენი სასმელ-საჭმელი წამელო. მე ერთ ქალს უნდა შევხვდე, მაგრამ მას ვერაფითარ შეთხვევაში აქ ვერ მოვიყვან. მაშინ სიმდგომარეობა ვირი ვიქნები. გესმის ახლა?

ბინდინგი გაოცებულა.

— გასაგებია! — განაცხადა მან, — მაშ, მარად ქალური, არა? როგორც იქნა! ოიროკ ლამის უკვე ხელი ჩაიქნიე შენზე. გასაგებია, ერნსტ. რახან აგრეა, გეპატიება. თუმცა კი ჩვენც გვყავს აქ რამდენიმე ანცი გოგონა. თუ გინდა, ჯერ თავალი გადაავლე მათ. ირმა ისეთი შეჩვენებული ვინმეა, რომ ლამის ზედ შეაჯდეს კაცს, ხოლო გულრუნთან, თუ გინდა, დღესვე დაწვები. ფრონტელებს არასდროს ეუბნება უარს. სანგრების სუნი აღელვებს.

— მე არ მაღელვებს სანგრების სუნი.

ალფონსმა გაიცინა.

— ალბათ არც საკონცენტრაციო ბანაკის სუნი, რომლითაც ირმა ყარს, არა? შტაკელბერგს მისდის სული მაგნაირებზე. აგერ, იმ მსუქანს, დიკანზე რომ ზის. ეგ ჩემი საქმე არ არის. მე ნორმალური კაცი ვარ და მეუდროება მიყვარს. ხედავ, იმ პატარას კუთხეში... როგორ მოგწონს?

— უნაკლოა.

— გინდა დაგითმობ, თუკი დარჩები, ერნსტ!

გრებერმა თავი გააქნია.

— შეუძლებელია!

— მესმის! მაშ, ალბათ ძალიან მაგარი ვინმეა, ვისაც ჩანგალი მოსდე! ნუ გრცხვენია, ერნსტ. მეც რაინდული ხასიათი მაქვს. წამოდი საშხარეულოში, რამე შევარჩიოთ შენთვის და მერე ერთი ჭიქა დალიე ჩემი დაბადების დღის აღსანიშნავად. ყაბულს ხარ?

— ყაბულსა ვარ.

საშხარეულოში თეთრ წინსაფარში გამოწყობილი ფრაუ კლაინერტი დახვდათ.

— ჩვენ ცოვი ვახშამი გვაქვს, ერნსტ, — უთხრა ბინდინგმა. — ილბალი გქონია. აირჩიე, რაც გენებოს! ანდა რა სჯობია, იცი, ფრაუ კლაინერტ, თქვენ საუზმის კაი ლაზათიანი პაკეტი მოაშზადეთ ჩვენ კი, ორივენი, ჯერ სარდაფში ჩავალთ.

სარდაფი სავსე იყო სურსათით.

— ახლა ალფონსს მიანდე ყველაფერი, — უთხრა ბინდინგმა ლიმილით, — არ ინანებ. მაშ ასე, უწინარეს ყოვლისა, ეს ნამდვილი კუს კონსერვირებული წვნიანი. შეათბობ და უკვე შეგიძლია შექცევ. ჯერ კიდევ საფრანგეთიდან არის ჩამოტანილი. ორი ცალი აიღე.

გრებერმა ორი ქილა აიღო. ალფონსმა ძებნა განაგრძო.

— ჰოლანდიური სატაცური, ორი ქილა. შეგიძლია ცივად ჭამო ანდა შეათბო, როგორც გენებოს. ბევრი დავიდარაბა არ სჭირდება. აი, ეს კიდევ პრაღის დაკონსერვებული შაშხი. სატაცურს უხდება. ჩეხოსლოვაკიის წვლილი გახლავს, — იგი პატარა კიბეზე ავიდა, — დანიური ყველის ნაჭერი და კარაქი ქილაში — ეს ყველაფერი არ ფუჭდება. კონსერვების უპირატესობა ამაში მდგომარეობს. აი, კიდევ ატმის მურაბა. თუ შენს ქალბატონს ხენდროსი ურჩევნია?

გრებერი უჭვრეტდა მოკლე ფეხებს, გაპრიალებულ ჩექმებს ამ ფეხებზე, რომლებიც მის წინ იდგნენ კიბეზე, ხოლო მათ უკან მინისა და თუნუქის ქილების მწკრივები ბრჭყვიალებდნენ. ელიზაბეტის მწირი მარაგი გაახსენდა.

— ორივე მოიტა, — უთხრა მან, — ზედმეტი არ იქნება!

ალფონსს გაეცინა.

— მართალი ხარ. როგორც იქნა, კვლავ ძველ ერნსტს ვხედავ. მგლოვიარედ ყოფნას აზრი არა აქვს, ერნსტ! სულერთია, მაინც სიკვდილის შვილები ვართ! რაც შეიძლება მეტი უნდა გამოჰგლიჯო ცხოვრებას, ხოლო დანარჩენებზე დაე ხუცებმა იმტვრიონ თავი. ჩემი დევიზი ეს არის.

კიბიდან ჩამოვიდა და მეორე სარდაფში შევიდა, სადაც ბოთლები ელაგა.

— აქ ჩვენ ნადავლი დოვლათის საკმაოდ რიგიანი ასორტიმენტი გვაქვს. ჩვენი მტრები განთქმულნი არიან თავიანთი არყით. რომელი გინდა? რუსული არაყი? არმანიაკი? აგერ, პოლონური სლიბოვიციც.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კაცმა რომ თქვას, გრებერი არც აპირებდა სასმელი ეთხოვა. „გერმანიიდან“ წამოღებული მარაგი კიდევ ეყოფოდათ, მაგრამ ბინდინგი მართალი იყო: ნადავლი ნადავლია და იგი ყველგან უნდა იალაფო, სადაც კი წააწყდები.

— შამპანურიც არის აქ, — განაგრძობდა ალფონსი, — პირადად მე ვერ ვიტან მას, მაგრამ სატრფიალო ამბებში, ამბობენ, საარაკოდ კარგიაო. ჩაიდე ერთი ბოთლი. ეგებ მარიფათი მოგმატოს, — მან ხმამაღლა გადაიხარხარა, — იცი, ყველაზე ძალიან რომელი არაყი მიყვარს? კიუმელი! ესეც წაიღე ერთი ბოთლი და გაიხსენე ალფონსი, როცა გადახუხავ.

ბოთლები იღლიის ქვეშ ამოიდო და საშხარეულოში დაბრუნდა.

— ორი პაკეტი გააკეთეთ, ფრაუ კლაინერტ! ერთში საჭმელები ჩაალაგეთ, მეორეში — ბოთლები. ბოთლებს შორის ქაღალდი დაატანეთ, რომ არ დაიმტვრეს, და ერთი მეოთხედი გირვანქა დაუფქვავი ყავაც შეუხვიეთ. საკმარისია, ერნსტ?

— არ ვიცი, ამდენ რამეს როგორც წავიღებ.

ბინდინგს სახე უბრწყინავდა.

— ალფონსი ქვაწვია არ არის, არა? განსაკუთრებით, როცა მისი დაბადების დღეა! და მით უმეტეს თუ საქმე მის ძველ სკოლის ამხანაგს შეეხება!

იგი გრებერის წინ იდგა. თვალები უბრწყინავდა და სახე ანთებოდა. იმ ბიჭს წაგავდა, რომელმაც ჩიტის ბუდეები იპოვა. გრებერს გული მოუგო მისმა გულკეთილობამ. მაგრამ შემდეგ გაახსენდა, რომ ალფონსი ზუსტად ასევე გამოიყურებოდა, როდესაც ჰაინის ნალაპარაკევს ისმენდა.

ბინდინგმა თვალი ჩაუკრა გრებერს.

— ყავა ხვალ დილისთვის გამოგადგება. იმედია, კვირა დღეს რიგიანად გაატარებ და ყაზარმაში არ გააბამ ხვრინვას! ახლა კი წამო! მე ხელად გაგაცნობ ჩემს რამდენიმე მეგობარს, შმიტსა და ჰოფმანს — გესტაპოელებს. ასეთი ნაცნობობა კაცს ყოველთვის შეიძლება გამოადგეს. მხოლოდ ორიოდე წუთით შემოდი და ჩემი სადღეგრძელო დალიე! რომ ყველაფერი ასე დარჩეს, როგორც ამჟამად არის! სახლიცა და სხვა ყველაფერიც! — ბინდინგს თვალზე ცრემლი მოადგა, — რას იზამ, ჩვენ, გერმანელები, გამოუსწორებელი რომანტიკოსები ვართ!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

*

— ამდენ რამეს საშზარეულოში ვერ დავტოვებთ, — თქვა სახტად დარჩენილმა ელიზაბეტმა, — სადმე უნდა დავმალოთ როგორმე. ეს რომ ფრაუ ლიზერმა ნახოს, მაშინვე დამაბეზღებს, შავ ბაზარზე სპეკულაციას ეწევაო.

— დალახვროს ეშმაკმა! ეს კი სულ არ მიფიქრია! არ შეიძლება, რომ როგორმე მოვისყიდოთ? მოდი, მოვცეთ ისეთი რამ ამ ავლადიდებიდან, რაც ჩვენ არ გვჭირდება?

— მერედა არის კი ისეთი რამ, რაც ჩვენ არ გვჭირდება?

გრებერს გაეცინა.

— სულ ბევრი, ბევრი, შენი ხელოვნური თაფლი, ანდა მარგარინი. მაგრამ თვით ისინიც კი შეიძლება ძალიან გამოგვადგეს რამდენიმე დღეში.

— მისი მოსყიდვა არ შეიძლება, — თქვა ელიზაბეტმა, — ის ამაყობს იმით, რომ მხოლოდ სასურსათო ბარათებით ცხოვრობს.

გრებერი ჩაფიქრდა.

— ერთი ნაწილის შეჭმას ჩვენ ალბათ ხვალ საღამომდე შევძლებთ, — განაცხადა შემდეგ, — მაგრამ სულ მთელს ვერა, რა თქმა უნდა, რა ვუყოთ დანარჩენს?

— ჩემს ოთახში დავმალოთ, კაბებისა და წიგნების უკან.

— მერე სუნით რომ მიაგნოს?

— მე ყოველ დილით, წასვლის წინ ვკეტავ ჩემს ოთახს.

— მერე მას რომ მეორე გასაღები ჰქონდეს?

ელიზაბეტმა თავი ასწია:

— ეს არასოდეს არ მომსვლია აზრად. ადვილი შესაძლებელია.

გრებერმა ერთ-ერთი ბოთლი გახსნა.

— ხვალ ნაშუადღევს მოვიფიქროთ რამე. ჯერჯერობით კი იმდენი შევჭამოთ, რამდენიც შეგვიძლია. ყველაფერი ამოვალაგოთ. მოდი, ყველაფერი მაგიდაზე დავაწყოთ, როგორც დღეობაზეა ხოლმე, ყველაფერი ერთად და ყველაფერი ერთბაშად!

— კონსერვებიც?

— კონსერვებიც, როგორც დეკორაცია! მაგათ ხომ ჯერ არ გავხსნით. ჯერ ის შევჭამოთ, რაც მალე ფუჭდება. ბოთლებიც სულ ყველა დავაწყოთ. მთელი ჩვენი სიმდიდრე, რომელიც პატიოსნად მოვიპოვეთ ქურდობისა და კორუფციის მეშვეობით.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— „გერმანიიდან“ წამოღებულებიც?

— ჰო... ჩვენ ალალად დავიმსახურეთ ისინი მომაკვდინებელი შიშის ფასად.

მაგიდა ოთახის შუაგულში გადააჩოჩეს. შემდეგ ყველა პაკეტი გახსნეს და სლიბოვიცს, კონიაკსა და კიუმელს საცობები ამოაძვრეს. შამპანურს კი არა. იგი მაშინვე უნდა დაილიოს, არაყს კი შეიძლება ისევ დაუცო საცობი და შეინახო.

— რა დიდებულია! — თქვა ელიზაბეტმა, — რას ვდღესასწაულობთ?

გრებერმა ჭიქა მიაწოდა.

— ყველაფერს ერთად. ჩვენ დრო არა გვაქვს, რომ ცალ-ცალკე სხვადასხვა ზეიმი მოვაწყოთ და ისინი ერთმანეთისგან განვასხვაოთ. ჩვენ უბრალოდ ყველაფრისას ერთად ვსვამთ, სულერთია, რა იქნება ის, და უმთავრესად კი იმისას, რომ აქ ვიმყოფებით და მთელი ორი დღე ერთად შეგვიძლია გავატაროთ!

მაგიდას გარს შემოუარა და ელიზაბეტს ხელები მოხვია. ვაჟმა შეიგრძნო ქალი, შეიგრძნო, როგორც თავისი მეორე „მე“, რომელიც მასში უფრო ცხოველად, მდიდრულად, ნაირფეროვნად და იოლად იხსნებოდა, ვიდრე მისი საკუთარი რაობა, იხსნებოდა უსაზღვროდ და უწარსულოდ, როგორც ხალასი აწმყო და ცხოვრება, ბრალის თვით უმცირეს ხინჯს მოკლებული. ქალი მას მიეკრა. გაშლილი მაგიდა მათ წინ საზეიმოდ ბრწყინავდა.

— მერე ეს ერთობ ბევრი არ არის ერთადერთი სადღეგრძელოსთვის? — შეეკითხა ელიზაბეტი.

გრებერმა თავი გააქნია.

— ეს მე გამოვთქვი ასე ენაწყლიანად, თორემ არსებითად იგი ერთ რამეს გამოხატავს — სიხარულს, რომ კიდევ ცოცხლები ვართ.

ელიზაბეტმა ჭიქა გამოცალა.

— ზოგჯერ მგონია, რომ ურიგოდ არ გავატარებდით ჩვენს ცხოვრებას, თავს რომ დაგვანებებდნენ.

— ამჟამად სწორედ მაგას ვიქმთ, — მიუგო გრებერმა.

*

ფანჯრები გაღებული იყო. სახლს, რომელიც მოპირდაპირე მხარეს იდგა, წინა საღამოს ყუმბარა მოხვდა და ელიზაბეტის ოთახში

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შეკვეთა ჩაიმსხვრა. ელიზაბეტმა მათ მაგივრად ჩარჩოებზე შავი ქადალდი გააკრა, მაგრამ წინ ლია ფერის თხელი ფარდები ჩამოიფარა, რომელთაც ახლა ქარი აფრიალებდა. ოთახი ამის გამო უკვე ნაკლებად ბნელდა საჩარეს.

სანათლეს არ ანთებდნენ, რადგან მაშინ ფანჯრების დახურვა მოუხდებოდათ. დროდადრო ქუჩიდან გაჩვენელთა ნაბიჯის ხმა მოდიოდა, სადღაც რადიო უკრავდა. ისმოდა კარის ჯახუნი, ვიღაც ახველებდა, ფანჯრის დარაბებს ხურავდნენ.

— ქალაქი იძინებს, — წარმოთქვა ელიზაბეტმა, — მე კი თითქმის მთვრალი ვარ.

ერთიმეორის გვერდით იწვნენ საწოლზე. მაგიდაზე ვახშმის ნარჩენები და ბოთლები იდგა, გარდა რუსული არყისა, კონიაკისა და ერთი ბოთლი შამპანურისა.

სუფრა არ აელაგებინათ, იცდიდნენ, ვიდრე კიდევ ერთხელ მოშიოებოდათ. რუსული არაყი დაელიათ. კონიაკი იატაკზე იდგა საწოლის გვერდით და საწოლის უკან წყალი იღვრებოდა ონკანიდან ბირსაბანში, რომელშიც შამპანური იდო გასაცივებლად.

გრეტერმა თავისი ჭიქა საწოლის გვერდით პატარა მაგიდაზე დადგა. სიბნელეში იწვა და ეჩვენებოდა, რომ რომელიღაც პატარა ქალაქში იყო და ომი ჯერ არ დაწყებულიყო. შადრევანი ჩუხჩუხებდა, ცაცხვის ფოთლებში ფუტკრები ბზუოდნენ, ფანჯრებს ხურავდნენ და სადღაც ვიოლინოზე უკრავდა ვიღაც დაძინების წინ.

— მალე მთვარე ამოვა, — თქვა ელიზაბეტმა.

„მალე მთვარე ამოვა“, — გაიმეორა გრეტერმა გულში. მთვარე — ეს სულდგმულთა სინაზე და უბრალო ბედნიერება. სინაზე და ბედნიერება უკვე აქ იყვნენ — მისი სისხლის მთვლემარე მიმოქცევაში, მისი ახლოებების შშვიდ, წადილისგან თავისუფალ მსვლელობასა და წყნარ სუნთქვაში, რომელიც დაღლილ სიოსავით ქროდა მასში. ჰილმანთან საუბარი გაახსენდა. თითქოს საუკუნე გასულიყო მას შემდეგ. „რა უცნაურია, — ფიქრობდა იგი, — რომ ადამიანში ესოდენ ღრმა სასიწარკვეთილების გვერდით ამდენი ძლიერი გრძნობა შეიძლება ღეოდეს. თუმცა შეიძლება არც არის გასაკვირი. შეიძლება სხვაფერივ წარმოუდგენელიც კი იყოს. ვიდრე ადამიანს ათასგვარი კითხვა გაუჩენლებს, მანამდე ბევრი რამ არ ძალგიძს, და

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მხოლოდ მას შემდეგ, როცა უკვე არაფერს მოელი, შენი გული ლიაა ყველაფრისთვის და შიში რა არის — არ უწყი“.

სინათლის სხივი შეთამაშდა ფანჯარაზე, შემდეგ გაქრა, ისევ აკიაფდა და გაჩერდა.

— ეს რა, უკვე ამოვიდა მთვარე? — შეეკითხა გრებერი.

— არა, შეუძლებელია. მთვარის შუქი ასე თეთრი არ არის.

მათ ხმები გაიგონეს. ელიზაბეტი წამოდგა, ფეხები ქოშებში წაჰყო, ფანჯარასთან მივიდა და გარეთ გაიხედა. არაფერი მოუხურავს, არც დილის ხალათი გადაუცვამს. მშვენიერი იყო... იცოდა ეს და ამის გამო არ რცხვენოდა.

— ნანგრევების გამწმენდი რაზმია, — თქვა მან, — თან პროექტორი, ნიჩბები და წერაქვები აქვთ და დანგრეულ სახლთან დგანან ჩვენს პირდაპირ. როგორ ფიქრობ, კიდევ შეიძლება სარდაფში ქვეშმოყოლილნი იყვნენ?

— დღისით თხრიდნენ?

— არ ვიცი, სახლში არ ვიყავი.

— შეიძლება ელექტროგაყვანილობის შეკეთება უნდათ?

— ჰო, შეიძლება.

ელიზაბეტი უკან დაბრუნდა.

— ზოგჯერ საჰაერო თავდასხმის შემდეგ მინატრია, რომ უკან დაბრუნებისას ბინა დამწვარი დამხვედროდა. ბინა, ავეჯი, ტანისამოსი და მოგონებებიც — ყველაფერი. გასაგებია ეს შენთვის?

— კი.

— მე, რა თქმა უნდა, აქ არ ვგულისხმობ მამასთან დაკავშირებულ მოგონებებს. სხვას კი ყველაფერს — შიშს, უნუგეშობას, სიძულვილს. სახლი რომ დაიწვას, ეს ყველაფერიც დამთავრდება-მეთქი, მიფიქრია ხშირად; მაშინ თავიდან დავიწყებდი-მეთქი ცხოვრებას.

გრებერმა შეხედა მას. გარედან შემომავალი სინათლის მკრთალი სხივი ქალს მხრებზე ეცემოდა. წერაქვების ჯახაჯუხი და ნიჩბების ღრჭიალი ისმოდა ყრუდ.

— პირსაბანიდან ბოთლი მომაწოდე, — უთხრა ვაჟმა.

— „გერმანიიდან“ რომ წამოიღე?

— ჰო. მოვასწროთ დალევა, ვიდრე არ აფეთქებულა. ხოლო მეორე კი, ბინდინგისა, შიგ ჩადგი. ვინ იცის, როდის იქნება შემ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლეგი თავდასხმა. ნახშირორჟანგის შემცველი ბოთლები უკვე მარტოოდენ ხაპერო ტალღისგანაც კი ფეთქდებიან. მათი სახლში შენახვა ისევე საშიშია, როგორც ხელყუმბარებისა. ჭიქები კი გვაქვს?

— მხოლოდ ჩაის ჭიქები.

— ჩაის ჭიქები კარგია შამპანურისთვის. პარიზში სწორედ მაგეებით ვსვამდით.

— ფოფილხარ პარიზში?

— ჰო, ომის დასაწყისში ვიყავი.

ელიზაბეტმა ჭიქები მოიტანა და მის გვერდით ჩამოჯდა. გრეგერმა ფრთხილად გახსნა ბოთლი. ღვინო გადმოიღვარა ჭიქებში და აქაფდა.

— რამდენი ხანი იყავი პარიზში?

— რამდენიმე კვირა.

— ძალიან სძულდით იქაურებს?

— არ ვიცი. ალბათ... მე ბევრი არაფერი შემიმჩნევია. ჩვენ არც გვსურდა რაიმე შეგვენიშნა. ჯერ კიდევ გვჯეროდა მეტი წილი იმისა, რასაც გვაგონებდნენ, და გვინდოდა სწრაფად დაგვემთავრებინა ომი, მერე კაფეების წინ ვმსხდარიყავით ხოლმე ქუჩებში, მზისგულზე და ჩვენთვის უცნობი ღვინო გვესვა. ჩვენ ერთობ ახალგაზრდები ვიყავით.

— ახალგაზრდებიო... ისე ამბობ, თითქოს ეს მრავალი წლის წინათ ყოფილიყოს.

— ეს, როგორც ჩანს, მართლაც ასეა.

— მაშ, შენ ახლა უკვე ახალგაზრდა აღარ ხარ?

— კი, მაგრამ ის მაინც სულ სხვა იყო.

ელიზაბეტმა ჭიქა კარბიდის შუქზე დაიჭირა, რომელიც გარედან შემოდიოდა და ფანჯარაში კრთოდა. შემდეგ ოდნავ შეანჯღრია და უჭვრეტდა, როგორ აქაფდა ღვინო. გრეგერი ხედავდა მის მხრებს, თმის ტალღას, ზურგს და ხერხემლის ოდნავ შესამჩნევ გრეხილს მოგრძო და ნაზი ჩრდილებით. „მისთვის ზედმეტია იმაზე ფიქრი, რომ თავიდან დაიწყოს ყველაფერი, — ფიქრობდა იგი, — როცა ტანთ არ აცვია, საერთო არაფერი აქვს არც ამ ოთახთან, არც თავის პროფესიასთან და არც ლიზერთან“. იგი ეკუთვნოდა სინათლეს, რომელიც ფანჯარაში კრთოდა, და ამ მშფოთვარე ღამეს, სისხლის ბრმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ალლეგებას და უკნაურ განსხვისებულებას; შემდგომ ჩახლეჩილ ხმებსა და შეძახილებს, რომლებიც გარეგან ისმოდა, სიცოცხლეს და, შესაძლოა აგრეთვე იმ მკვდრებსაც კი, რომლებსაც გარეთ თხრიდნენ... მაგრამ არ ეკუთვნოდა შემთხვევითობას, სიცარიელესა და უაზრო დაბნეულობას. უკვე ალარ ეკუთვნოდა! თითქოს სხვისი ტანსაცმელი სცმოდა და ერთბაშად გაეძრო, რათა უყოყმანოდ გაჰყოლოდა იმ კანონებს, რომელთა შესახებ გუშინ ჯერ კიდევ არაფერი უწყოდა.

— ნეტავი შენთან ერთად მეც ვყოფილიყავი პარიზში, — წარმოთქვა ქალმა.

— ნეტავი ახლა შეგვეძლოს იქ გამგზავრება და ომი არ იყოს.

— მერე შეგვიშვებდნენ კი ისინი?

— მე მგონი. პარიზში არაფერი დაგვინგრევია.

— საფრანგეთში ხომ დაანგრიეთ.

— იმდენი არა, რამდენიც სხვა ქვეყნებში. იქ სწრაფად ჩატარდა ყველაფერი.

— ალბათ მაინც საკმაოდ ბევრი საიმისოდ, რომ ფრანგებს კიდევ მრავალი წელი ვძულდეთ.

— ჰო, ალბათ. როდესაც ომი დიდხანს გრძელდება, ბევრი რამ ავიწყდება ადამიანს. ალბათ ჩვენ ვძულვართ მათ.

— ნეტავ შეიძლებოდეს ისეთ ქვეყანაში გამგზავრება, სადაც არაფერი დანგრეულა.

— ახლა ცოტალა დარჩა ისეთი ქვეყანა, სადაც არაფერი დანგრეულა, — თქვა გრებერმა, — ბოთლში კიდევ დარჩა რამე?

— კი, სამყოფი. სად იყავი კიდევ?

— აფრიკაში.

— აფრიკაშიც? შენ ბევრი რამ გინახავს.

— ჰო, მაგრამ იმდენი არა, როგორც ამაზე ადრე ვოცნებობდი.

ელიზაბეტმა იატაკიდან ბოთლი აიღო და ჭიქები პირამდე შეავსო. გრებერი თვალს ადევნებდა. ყოველივე რაღაც არარეალური ეჩვენებოდა და არა მხოლოდ იმის გამო, რომ ღვინო დალიეს. სიტყვები აქეთ-იქით დარიალებდნენ მთრთოლვარე ბინდბუნდში, მათ მნიშვნელობა დაეკარგათ და ის, რასაც მნიშვნელობა კიდევ გააჩნდა, უსიტყვოდ იგრძნობოდა და მის შესახებ ლაპარაკი არ შეეძლოთ. ბინდბუნდი უსახელო მდინარის ტალღებს წაგავდა, რომლებიც ხან

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ზეკით იწვენენ და ხანაც დაბლა ეშვებიან, ხოლო სიტყვები აფრები იყო, რომლებიც აქეთ-იქით დასრიალებდნენ მათ ზედაპირზე.

— კიდევ სადმე თუ იყავი, ამას გარდა?

„აფრები, — ფიქრობდა გრებერი, — სად მინახავს აფრები მდინარეებზე?"

— ჰოლანდიაში, — თქვა მან, — მაშინ ომი ახალი დაწყებული იყო. იქ უამრავი ნავია, და ისინი არხებში დაცურავდნენ, ხოლო არხთა ნაპირები ისე ბრტყელი და დაბალია, იტყოდი, ნავები პირდაპირ მიწაზე მისრიალებენო. სრულიად უხმაუროდ დაცურავდნენ, დიდრონი აფრები ჰქონდათ და მართლაც საოცარი სანახავი იყო, როდესაც საღამოს მწუხრში ვეება თეთრ, ცისფერ და ვარდისფერ ჰეპლებივით მისრიალებდნენ ხმელეთზე.

— ო, ჰოლანდია, — თქვა ელიზაბეტმა, — ვინ იცის, იქნებ შევძლოთ ომის შემდეგ იქ წასვლა. კაკაოს დავლევდით და თეთრ პურს შევექცეოდით, აგრეთვე ნაირ-ნაირ ჰოლანდიურ ყველს და საღამოობით ნავების ცქერით დავტკბებოდით.

გრებერმა შეხედა ქალს. „ჰმ, საჭმელი, — გაიფიქრა მან, — ომის დროს ადამიანთა წარმოდგენა ბედნიერებაზე მუდამ საჭმელს უკავშირდება".

— თუ იქაც აღარ შეგვიშვებენ? — შეეკითხა ქალი.

— მე მგონი, არა. ჩვენ ჰოლანდიას თავს დავესხით და როტერდამი წინასწარი გაფრთხილების გარეშე დავანგრიეთ. მე ვნახე მისი ნანგრევები. თითქმის არც ერთი სახლი არ გადარჩენილა. ოცდაათი ათასი კაცი დაიხოცა. ვშიშობ, რომ იქაც არ შეგვიშვებენ, ელიზაბეტ!

ქალი ერთხანს დუმდა. შემდეგ უეცრად ჭიქა აიღო და იატაკზე დაანარცხა. ჭიქამ დაიწკრიალა და ნამსხვევებად იქცა.

— უკვე ველარსად ვერ წავალთ! — წამოიძახა მან, — ოცნებაც კი ზედმეტია! ველარსად! ჩვენ დატყვევებულნი ვართ. გარიყულნი და შეჩვენებულნი!

გრებერი წამოიწია ლოგინში. გარედან მომავალ თეთრად მოკიაფე შუქში ქალის თვალები ნაცრისფერ გამჭვირვალე შუშასავით ბრწყინავდნენ. გადაიხარა ქალზე და იატაკს დახედა. ნამსხვრევები მრუმედ ბრჭყვიალებდნენ, მხოლოდ კიდეები უჩანდათ თეთრად.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— უნდა სინათლე ავანთოთ და ავკრიფოთ ესენი, — თქვა მან, — თორემ ფეხებში შეგვერჭობა. მოიცა, ჯერ ფანჯრებს დავხურავ.

პირდაპირ საწოლის თავს გადაალაჯა. ელიზაბეტმა ამომრთველი გადაატრიალა და დილის ხალათს დაავლო ხელი. ნათურის შუქმა სირცხვილი მოჰგვარა.

— ნუ მიყურებ, — უთხრა ვაჟს, — არ ვიცი, რატომ გავტეხე. ასეთი რამ არ მახასიათებს.

— არა, გახასიათებს. და არც დამნაშავე ხარ ამაში. შენი ადგილი აქ არ არის. ამიტომ შეგიძლია ათასში ერთხელ ასეთი რამ მოიმოქმედო.

— ნეტავი მაცოდინა ერთი, მაშ, სად არის ჩემი ადგილი?

გრებერს გაეცინა.

— ეს მეც არ ვიცი. შეიძლება ცირკში ან ძველებურ საბატონო სახლში, ან ფოლადის ავეჯს შორის, ან კიდევ კარავში. მაგრამ არა ქალიშვილის ამ თეთრ ოთახში. მე კი პირველ საღამოს მეგონა, რომ უმწეო იყავი და დახმარებას საჭიროებდი.

— მე სწორედ ასეთი ვარ.

— ყველანი ასეთები ვართ, მაგრამ მაინც დაცვისა და დახმარების გარეშე მივდივართ იოლად.

გრებერმა გაზეთი აიღო, იატაკზე გაფინა და მეორე გაზეთით შუშის ნამსხვრევები გადახვეტა ზედ. თან სათაურებს კითხულობდა: ფრონტის ხაზის შემდგომი შემოკლება; მძიმე ბრძოლები ორიოლთან; ნამსხვრევებიანი გაზეთი დაკეცა და საქაღალდე კალათში ჩააგდო. ოთახის თბილი შუქი უეცრად ორმაგად თბილი ეჩვენა. გარედან ჩაქუჩის ცემისა და ბურღვის ხმა ისმოდა, — ეს ნანგრევთა გამწმენდი რაზმი მუშაობდა. მაგიდაზე ბინდინგის ძღვენი ელაგა. „თურმე ზოგჯერ მრავალ საგანზე ერთდროულად შეიძლება ფიქრი“, — გაუელვა გრებერს თავში.

— მე უცებ ავალაგებ მაგიდას, — თქვა ელიზაბეტმა, — ველარ ვიტან უკვე ამათ ცქერას.

— მერე სად გინდა წაიღო?

— საშხარეულოში. ხვალ საღამომდე დრო გვაქვს. მაშინ გადავმალოთ, რაც იმ დროისთვის გადაგვრჩება.

— ხვალ საღამოთი ბევრი არაფერი დაგვრჩება აქედან, მაგრამ მაშინ რას შვრები, თუ ფრაუ ლიზერი ადრე დაბრუნდება?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— რა ვუყო, დაბრუნდება და დაბრუნდეს.

გრებერი გაკვირვებული მიაჩერდა ელიზაბეტს.

— მე თვითონაც ძალიან მიკვირს, რომ ყოველდღე ვიცვლები, — თქვა ქალმა.

— ყოველდღე კი არა, ყოველ საათს.

— ხოლო შენ?

— მეც.

— კარგია მერე ეს?

— კი. და თუ კარგი არ არის, ეგეც არაფერი.

— არაფერიც რამეა, არა?

— ჰო, მაგრამ მაინც.

ელიზაბეტმა შუქი ჩააქრო.

— ახლა შეგვიძლია ჩვენი აკლდამა ისევ გავაღოთ, — თქვა მან.

გრებერმა ფანჯრები გააღო. უმალვე ქარი შემოიჭრა შიგნით. ფარდები აფრიალდნენ.

— აგერ, მთვარეც, — თქვა ელიზაბეტმა.

მოპირდაპირე მხარეს, დანგრეული სახურავის ზეგარდმო, მთვარის მეწამული ბირთვი მწევდა ზევით. იგი ურჩხულს წაგავდა, რომლის გავარვარებულ თავის ქალას კბილები ჩაევლო ქუჩისთვის. გრებერმა ორი ჩაის ჭიქა აიღო და ნახევრად შეავსო კონიაკით. ერთ-ერთი ჭიქა ელიზაბეტს გაუწოდა.

— ახლა ეს შევსვათ, — უთხრა მან, — სიბნელეს ღვინო არ უხდება.

მთვარე სულ უფრო და უფრო მაღლა იწევდა, უფრო საზეიმო შესახედაობა ეძლეოდა და ოქროსფერი ხდებოდა. ერთხანს ხმის ამოუღებლივ იწვნენ. შემდეგ ელიზაბეტმა ვაჟისკენ მოაბრუნა თავი.

— რანი ვართ ჩვენ ახლა, ბედნიერები თუ უბედურები? — შეეკითხა იგი.

გრებერი ჩაფიქრდა.

— ჩვენ ორივენი ვართ. და, მე მგონი, ეს ასეც უნდა იყოს. მხოლოდ ბედნიერები ამჟამად მარტოოდენ ძროხები შეიძლება იყვნენ. ანდა ალბათ აღარც ისინი. ალბათ მხოლოდ ქვები თუ არიან დღეს ბედნიერები.

ელიზაბეტმა გრებერს შეხედა.

— მაგრამ ამასაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, არა?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— არა, არა აქვს!

— განა რამეს კი აქვს მნიშვნელობა?

— კი, აქვს, — გრუბერი ცივ, ოქროსფერ შუქს მისჩერებოდა, რომელიც ნელინელ ავსებდა ოთახს, — იმას, რომ მკვდრები არა ვართ, — წარმოთქვა მან, — და იმას, რომ ჯერ კიდევ მკვდრები არა ვართ.

XVI

კვირა დილა იყო. გრუბერი ჰაკენშტრასეზე იდგა. მან ნანგრევებს რაღაც ცვლილება შენიშნა. აბაზანა სადღაც გამქრალიყო; აგრეთვე კიბის ნარჩენიც. ამას გარდა, ახლა ნანგრევებში ვიწრო გზა გაეთხარათ, რომელიც გარს უვლიდა კედელს, ეზოში შედიოდა და გვერდითი მხრიდან სახლის ნარჩენებისკენ მიემართებოდა. ყველაფერი ისე გამოიყურებოდა, თითქოს ნანგრევების გამწმენდ რაზმს დაეწყო აქ მუშაობა.

გრუბერი ამ გზამ ნანგრევებში გაწმენდილ შესასვლელამდე მიიყვანა. ძლივს გაეტია შიგ და ნახევრად ღორღით ამოვსებულ სადგომში აღმოჩნდა, რომელშიც მათი სახლის ყოფილი სამრეცხაო შეიცნო. აქედან კიდევ ბნელი და დაბალი დერეფანი მიემართებოდა. ასანთს გაჰკრა და დერეფანი გაანათა.

— რას აკეთებთ მანდ? — დაუყვირა უეცრად ვილაცამ უკნიდან, — ახლავე გარეთ გამოდით!

გრუბერი მიტრიალდა. სიბნელეში ვერავინ დაინახა და უკან წავიდა. გარეთ ვილაც ყავარჯნებიანი მამაკაცი იდგა. სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა, მაგრამ ზევიდან სამხედრო ფარაჯა წამოესხა.

— რას დაძვრებით აქ? — შეუტია გრუბერს.

— მე აქ ვცხოვრობ, თქვენ?

— ეს მე ვცხოვრობ აქ და სხვა არავინ, გასაგებია? თქვენ ხომ სულ არა და არა! რას დასუნსულებთ აქეთ-იქით? რამე გინდათ აწაპნოთ?

— ნუ ღელავ, — უთხრა გრუბერმა და მის ყავარჯნებსა და სამხედრო ფარაჯას შეავლო თვალი, — ჩემი შშობლები ცხოვრობდნენ აქ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და მეც აქ ვცხოვრობდი, ვიდრე ჯარში გამიწვევდნენ. დაკმაყოფილდი ახლა?

— ეგრე ყველას შეუძლია თქვას!

გრებერმა ხეიბარს ყავარჯნებში ჩაავლო ხელები, ფრთხილად გასწია განზე და შესავლელიდან გამოვიდა.

გარეთ დაინახა, რომ ვიღაც ბავშვიანი ქალი მოდიოდა მისკენ. შემდეგ ვიღაც კაციც გამოჩნდა. ხელში წერაქვი ეჭირა. ქალი ფარდულისმაგვარი ქოხმახიდან მოდიოდა, რომელიც სახლის უკან შეკოწიწებინათ, კაცი კი მოპირდაპირე მხრიდან. სამივენი გარს შემოეხვივნენ გრებერს.

— რა მოხდა, ოტო? — შეეკითხა წერაქვიანი კაცი ხეიბარს.

— აი, ამას წავასწარი. აქეთ-იქით დასუნსულებდა. ირწმუნება, რომ მისი მშობლები ცხოვრობდნენ აქ.

წერაქვიანმა კაცმა მტრულად ჩაიცინა.

— სხვა კიდევ რას იტყვი?

— მეტს არაფერს, — მიუგო გრებერმა, — ზუსტად მაგასვე.

— მეტი არაფერი მოგდის თავში, არა? — კაცმა წერაქვი შეათამაშა ხელში და მოიღერა, — აბა, მოუსვი აქედან, ვიდრე სამს დავითვლიდე! თორემ ოდნავ ჩაგიკაკუნებ კეფაში და მორჩა!.. ერთი...

გრებერი გვერდიდან დაეძგერა და გაარტყა. კაცი წაიქცა და გრებერმა წერაქვი გამოჰგლიჯა ხელიდან.

— აი, ასე სჯობია, — თქვა მან, — ახლა კი პოლიციას დაუძახეთ, თუ გინდათ! მაგრამ, მგონი, თქვენ ეს მაინცდამაინც არ გეჯალისებათ, არა?

კაცი, რომელსაც წერაქვი ეჭირა, მძიმედ წამოდგა. ცხვირიდან სისხლი მოსდიოდა.

— გირჩევნია, მეორეჯერ არ გაბედო, — უთხრა გრებერმა, — ხელჩართული ბრძოლა ჯარში კარგად შეგვასწავლეს. ხოლო ახლა კი ის მითხარით, აქ რას აკეთებთ?

ქალი წამოდგა წინ:

— ჩვენ აქ ვცხოვრობთ. განა ეს დანაშაულია?

— არა. მე კი იმიტომ მოვედი, რომ ჩემი მშობლები ცხოვრობდნენ აქ. იქნებ ეს არის დანაშაული?

— მერედა სიმართლეს ამბობ? — შეეკითხა ხეიბარი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— აბა, მაშ სხვა რა უნდა მინდოდეს? რა შეიძლება აქ მოიპაროს კაცმა?

— იმისთვის აქ მოიძებნება რამე, ვისაც არაფერი არა აქვს, — თქვა ქალმა.

— მე ეგენი არ მჭირდება. შვებულებით ვარ ჩამოსული და ისევ ფრონტზე უნდა დავბრუნდე. ვერ ნახეთ, ბარათი რომ არის დატოვებული სახლის კართან? აი, რომელზედაც წერია, რომ ვილაც თავის მშობლებს დაეძებს? ეს მე ვარ!

— შენ? — შეეკითხა ხეიბარი.

— ჰო, მე!

— ეს უკვე სხვა საქმეა. ხომ გესმის, ძმობილო, ახლა აღარავინ არის სანდო. ჩვენ დაგვბომბეს და აქ შევაფარეთ თავი. სადმე ხომ უნდა იცხოვრო კაცმა.

— ეს სულ მარტო თქვენ გათხარეთ?

— არა, მხოლოდ ნაწილი. სხვებიც დაგვეხმარნენ.

— ვინ სხვები?

— ნაცნობები, რომელთაც ხელსაწყო-იარაღები აქვთ.

— მკვდრები ხომ არ გიპოვიათ?

— არა.

— ნამდვილად არა?

— ნამდვილად არა. ჩვენ არა. შეიძლება ადრე იყვნენ აქ მკვდრები, მაგრამ ჩვენ არავინ გვიპოვია.

— კაცმა რომ თქვას, სულ ეს იყო, რისი გაგებაც მინდოდა, — თქვა გრებერმა.

— მერე ამისთვის აუცილებელი იყო, რომ ადამიანისთვის სახეში გაგერტყათ? — შეაგება ქალმა.

— თქვენი ქმარია?

— ეგ თქვენ არ გეკითხებათ. ქმარი არ არის, ძმაა. ხედავთ, სისხლი მოსდის.

— მხოლოდ ცხვირიდან.

— არა, კბილებიდანაც.

გრებერმა წერაქვი ასწია.

— ეს რაღა არის? რას მიპირებდა ამით?

— არ ვიცი, — უთხრა გრებერმა, — მე დაჩვეული არა ვარ ვუცადო, ვიდრე რამეს დამარტყამენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მან შორს გატყორცნა წერაქვი, რომელმაც მოზრდილი რკალი შემოხაზა და ღორღის გროვაზე დაეცა. ყველამ თვალი გააყოლა. ბალღმა დააპირა ღორღზე აბობღებულიყო მის მოსატანად, მაგრამ ქალმა არ გაუშვა. გრუბერმა ირგვლივ მიმოიხედა. ახლა აბაზანაც შენიშნა. ფარდულის გვერდით იდგა. კიბე ალბათ შეშად ეხმარათ. ღორღის ერთ-ერთ ზვინზე გახსნილი კონსერვის ქილები, უთოები, დაჭეჭყილი ჭურჭლეული, ჩვრები, ყუთები და ავეჯის ნამტვრევები ეყარა. ეს ოჯახი აქ დასახლებულიყო, ფარდული აეგო და ახლა, როგორც ჩანდა, ყველაფერი, რის ამოთხრასაც კი მოახერხებდა ღორღიდან, მისთვის მოვლენილ ღვთიურ მანანად მიაჩნდა. განა შეიძლებოდა ამის წინააღმდეგ რამის თქმა? ცხოვრება გრძელდებოდა. ბავშვი ჯანმრთელად გამოიყურებოდა. სიკედილი ძლეულიყო. ნანგრევები კვლავ ადამიანთა სადგომად გადაექციათ. განა შეიძლებოდა ამის წინააღმდეგ რამის თქმა?

— დიდი მარიფათი კი გამოგიჩენიათ, აი, — უთხრა გრუბერმა.

— მარიფათს გამოიჩენ, აბა, რას იზამ, — მიუგო ხეიბარმა, — როცა ღია ცის ქვეშ ხარ დარჩენილი.

გრუბერი წასასვლელად გატრიალდა.

— კატა ხომ არ გიპოვიათ აქ? — შეეკითხა იგი, — პატარა შავი კატა, რომელსაც მხოლოდ ერთი წინა თათი ჰქონდა თეთრი.

— ჩვენი როზა, — თქვა ბალღმა.

— არა, — მიუგო ქალმა ბუზღუნით, — ჩვენ არანაირი კატა არ გვიპოვია.

გრუბერი ქუჩაში ჩაბობღდა. ფარდულში ალბათ კიდევ სხვებიც ცხოვრობდნენ, თორემ მარტო ესენი ასე მოკლე დროში ამდენი რამის გაკეთებას ვერ შეძლებდნენ. მაგრამ შეიძლება ნანგრევების გამწმენდი რაზმიც დაეხმარათ. ღამღამობით ახლა ხშირად აქ მოჰყავდათ საკონცენტრაციო ბანაკებიდან პატიმრები ნანგრევების გასაწმენდად.

უკან გაბრუნდა. ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს უეცრად კიდევ უფრო გაღარიბებულიყო, მაგრამ არ უწყოდა, თუ რატომ.

*

იგი ერთ ქუჩაზე მოხვდა, რომელიც სრულიად უვნებლად გადარჩენილიყო. თვით მაღაზიათა დიდრონი ვიტრინებიც კი არ იყო

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩაბნელებული. გრეგერი უაზროდ განაგრძობდა გზას და უეცრად შეკრთა. ვიღაც მოდიოდა მისკენ და მხოლოდ ერთი წამის შემდეგ შენიშნა, რომ თვითონ იყო ის ვიღაც, რომელიც მისკენ მოაბიჯებდა შუა ტანსაცმლის ხავერდოს ვიტრინაში ირიბად დაყენებულ გვერდითა სარკეში. უცნაური გრძნობა აღეძრა. ასე ეგონა, თითქოს წამით თავის ორეულს მოჰკრა თვალი და თითქოს თვითონ უკვე თვითონ კი არ იყო, არამედ მხოლოდ მოგონება, რომელიც შეიძლებოდა ხულაც წაშლილიყო, ერთი ნაბიჯი კიდევ რომ გადადგა.

გაჩერდა და ბუნდოვან, მოყვითალო სარკეში მქრქალ გამოსახულებას მიაჩერდა. ხედავდა თვალის ბუდეებს და შიგ ჩაფენილ ჩრდილებს, რომლებიც თვალებს უფარავდნენ, თითქოს ისინი უკვე აღარ გააჩნდა. უეცრად ტანში გააცია, ისეთი უჩვეულო შიში შეეპარა, პანიკური და მღელვარე კი არა, ყოფიერების ნაჩქარევი და დამძაბავი ეკვირილი კი არა, რომელიც გაქცევისკენ, თავდაცვისა და სიფხიზლისკენ მოგიწოდებს, არამედ ჩუმი, შემპარავი, გამყინავი, თითქოს უპირველო შიში; შიში, რომელთანაც შებმა შეუძლებელია, რადგან ის უხილავია და უძლეველი. იგი თითქოს სიცარიელიდან მოდიოდა, რომელშიც ვეება ტუმბოები იდგა და ისინი უჩუმრად იწოვდნენ ძარღვებიდან სისხლს და ძვლებიდან სიცოცხლის ნიშატს. გრეგერი ჯერ კიდევ ხედავდა სარკეში თავის გამოსახულებას, მაგრამ მოეჩვენა, რომ თითქოს იგი სადაცაა უნდა გაბუნდოვანებულიყო, ტალლასავით გამქრალიყო, რომ მისი კონტურები დაიშლებოდა და დაიხსნებოდა, შეიწოვებოდა მდუმარე ტუმბოების მიერ, რომელნიც შეზღუდულ სამყაროსა და შემთხვევითი ფორმიდან, რაც ცოტა ხანს ერნსტ გრეგერად იწოდებოდა, დააბრუნებდნენ მას უსაზღვროებაში. ეს არა მხოლოდ სიკვდილს ნიშნავდა, არამედ შეშზარავად მეტს: გაქრობას, გახსნას, მისი მეობის აღსასრულს, ატომთა უაზრო კორიანტელს, არარაობას.

კარგა ხანს იდგა გაუნძრეველად. „რაღა დარჩება? — ფიქრობდა იგი თავზარდაცემული, — არარა დარჩება, ოდეს მე აღარ ვიქნები? არაფერი, გარდა წარმავალი მოგონებისა რამდენიმე ადამიანის ხსოვნაში: ჩემი შშობლებისა, უკეთუ კიდევ ცოცხლები არიან, რამდენიმე ამხანაგისა და ალბათ ელიზაბეტის მეხსიერებაშიც. და ისიც განა დიდი ხნით?“ სარკეში ჩაიხედა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თით-

ქოს უკვე ისე მსუბუქი იყო, როგორც ფარატინა ქალალდი, სიფრიფანა, ლანდისმაგვარი და სიოს მცირედი მონაბერიც კი წარიტაცებდა ტუმბოების მიერ გამოწურულს, ცარიელ გარსად გადაქცეულს. რაღა დარჩება? რას შეიძლებოდა ჩასჭიდებოდა? სად ჩაეშვა ღუზა? სად ეპოვა დასაყრდენი? რა დაეტოვებინა ქვეყნად ისეთი, რაც დაამაგრებდა, რათა მთლიანად არ აღგვილიყო.

— ერნსტ, — თქვა ვილაცამ მის ზურგს უკან.

გრებერი შეკრთა და ერთბაშად უკან მიბრუნდა. ვილაც ყავარჯნებიანი ცალფეხა კაცი იდგა მის წინ. წამით გრებერს ეგონა, ეს ჰაკენშტრასელი ხეიბარიაო, შემდეგ მუციგი შეიცნო, თავისი სკოლის ამხანაგი.

— კარლ, — წარმოთქვა მან, — ეს შენა ხარ?! არც კი ვიცოდი, რომ აქ იმყოფებოდი.

— უკვე დიდი ხანია. თითქმის ნახევარი წელიწადი.

მათ ერთმანეთს შეხედეს.

— ვინ იფიქრებდა ამას, არა? — თქვა მუციგმა.

— რას?

მუციგმა ყავარჯნები ასწია და მერე ისევ დაბლა დაუშვა.

— ამას!..

— შენ მაინც იოლად დაუძვერი იმ ორომტრიალს, მე კი ისევ უკან უნდა დავბრუნდე!..

— გააჩნია, შემდგომში როგორ წავა საქმე. თუ ომი კიდევ ორიოდე წელს გასტანს, მაშინ ბედი მქონია, ხოლო თუ თვე-ნახევარში დამთავრდა, მაშინ კი ძალზე უბედური ვყოფილვარ.

— მერე თვე-ნახევარში რატომ უნდა დამთავრდეს?

— არ ვიცი. ისე ვთქვი მხოლოდ, თუ-მეთქი...

— ჰო, ეს, რა თქმა უნდა!

— რატომ ერთხელ მაინც არ შემოივლი ჩვენთან? — თქვა მუციგმა, — ბერგმანიც აქ არის. ორივე ხელი იდაყვებამდე აქვს...

— მერედა სად ხართ თქვენ?

— ქალაქის საავადმყოფოში. ამპუტირებულთა განყოფილებაში. მთელი მარცხენა ფრთედი ჩვენ გვიჭირავს. ერთხელ შემოიარე.

— კარგი, მოვალ.

— ნამდვილად მოხვალ? ყველა გვპირდება და მერე ის პირშავები აღარ მოდიან.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— აუცილებლად მოვალ!

— კეთილი. თავს შეიქცევ ძალიან. სულ მხიარული ხალხი ვართ თავმოყრილი. ყოველ შემთხვევაში, ჩვმს პალატაში მაინც.

ისევ შეხედეს ერთმანეთს. სამი წელი არ ენახათ ერთიმეორე, მაგრამ ახლა უკვე ყველაფერი ამოწურეს, რაც სათქმელი ჰქონდათ.

— მაშ ასე, ყოველივე კეთილს გისურვებ, ერნსტ.

— მეც აგრეთვე.

ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს.

— იცი, რომ ზიბერი მოკვდა?

— არა.

— ამ თვე-ნახევრის წინათ დაილუპა ფრონტზე. ლაინერი?

— ლაინერი? არც ეგ ვიცი.

— ჰო. ლაინერი და ლინგენიც. ერთსა და იმავე დილით დაეცნენ ბრძოლის ველზე. ბრიუნინგი კი ჭკუიდან გადავიდა. პოლმანისა ხომ არაფერი იცი, მართლა, იმასაც რამე მოუვიდა?

— არა!

— ბერგმანს მოუკრავს ყური. აბა, კარგად იყავი, ერნსტ, და ჩვენთან შემოვლა არ დაგავიწყდეს.

მუციგი წაჩლახუნდა. „ეტყობა, ერთგვარ კმაყოფილებას ჰგვრის მოკლულთა შესახებ ლაპარაკი, — გაიფიქრა გრებერმა, — ალბათ ამით საკუთარი უბედურება უმსუბუქდება“. თეალი გააყოლა სკოლის ამხანაგს. ფეხი ძალიან მაღლა, შიგ ძირში ჰქონდა მოჭრილი. ერთ დროს კი მუციგი საუკეთესო მორბენალი იყო მათ ჯგუფში. გრებერმა ალარ იცოდა, შესცოდებოდა კარლი, თუ შეშურებოდა მისი ხვედრი. მუციგი მართალი იყო: ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რაც ჯერ კიდევ წინ არის.

ელიზაბეტი საწოლზე იჯდა, თეთრ საბანაო ხალათში გამოწყობილი, როცა გრებერი მასთან შევიდა. თავზე ხილაბანდი ჩალმასაჯით შემოეხვია და თავისთვის წყნარად იჯდა რუდუნებითა და მშვენებით ალსავსე, როგორც ღია ფერის დიდი ფრინველი, რომელიც თითქოს ფანჯრიდან შემოფრენილიყო და ახლა ისვენებდა, რათა მერე ისევ გაფრენილიყო.

— იმდენი ცხელი წყალი დავხარჯე, რამდენსაც ერთ კვირაში ვხარჯავთ ხოლმე. მიუტევებელი ფუფუნება იყო. ფრაუ ლიზერი ახლა ამაზე აჩხავლდება.

— იჩხაკლის, რამდენიც უნდა, წყალი მაინც რაში სჭირდება. ნამდვილი ნაციონალ-სოციალისტები ტანს ნაკლებად იბანენ. ხასიათიც ებრაული მანკია.

გრეგერი ფანჯარასთან მიეიდა და გარეთ გაიხედა. ცა ნაცრისფერი იყო, ხოლო ქუჩა გარინდებული. მოპირდაპირე მხარეს ვიღაც აჭიანი გაბანჯგვლული კაცი იდგა ფანჯარასთან და ამთქნარებდა. მეორე ფანჯრიდან კი რიიალის ჰანგები ისმოდა და ქალის მჭახე ხმა გაძეგს ძლერიდა. გრეგერი სარდაფის გაწმენდილ შესასვლელს მიაჩერდა და ის უცნაური და გამყინავი შიში გაახსენდა, რომელიც ქუჩაში, სარკეებიანი საჯიროს წინ განიცადა. ისევ გააჟრჟოლა. „რაღა დარჩება? ხომ უნდა დარჩეს რამე, — ფიქრობდა იგი, — რამე ღუზა, რომელზეც მიბმული იქნები, რათა უკვალოდ არ დაიკარგო და უკან დაბრუნდე".

მაგრამ რა შეიძლებოდა გამომდგარიყო ასეთ ღუზად? ელიზაბეტი? მერედა განა ეს ქალი მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა? სულ ცოტა ხანი იყო, რაც იცნობდა და მალე ისევ დატოვებდა რამდენიმე წლით და განა ქალი ეითომ არ დაიწყებდა? როგორ შეეძლო შეენარჩუნებინა ქალი და ქალში თავისი თავი?

გრეგერი მობრუნდა.

— ელიზაბეტ, — წარმოთქვა მან, — ურიგო არ იქნება, რომ დავქორწინდეთ.

— დაქორწინდეთ? მერედა რატომ?

— იმიტომ, რომ ეს უაზრობაა. იმიტომ, რომ ჩვენ ერთმანეთს სულ ორიოდე დღეა, რაც ვიცნობთ და მე რამდენიმე დღეში ისევ უნდა გავემგზავრო. იმიტომ, რომ ჩვენ ჯერ არა გვაქვს გადაწყვეტილი, ერთად ცხოვრება გვსურს თუ არა, და ასე ხანმოკლე დროის მონაკვეთში არც შეგვეძლო გადაგვეწყვიტა. აი, ამიტომ.

ქალმა ვაეს შეხედა.

— შენ გინდა თქვა, იმიტომ, რომ ჩვენ მარტოდმარტონი და სასომიხდილნი ვართ და სხვა არაფერი გაგვაჩნია?

— არა...

ქალი დუმდა.

— არა მხოლოდ ამის გამო, — დაუმატა გრეგერმა.

— მაშ, რილასთვის?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვაჟმა ქალს შეხედა. დაინახა, როგორ სუნთქავდა და ანაზდად ძლიერ უცხოდ მოეჩვენა. ქალის მკერდი ხან მაღლა იწევდა და ხანაც დაბლა ეშვებოდა, მისი მკლავები არ ჰგავდა გრებერისას, ხელებიც არ ჰგავდა, არც მისი აზრები და ცხოვრება... არა, ეს ქალი ვერ გაუგებს, ან კი როგორ უნდა გაუგოს, როცა თვითონ ნათლად არა აქვს წარმოდგენილი, ასე უეცრად რატომ მოუნდა დაქორწინება?

— თუ დაქორწინდებით, შენ აღარ გექნება ფრაუ ლიზერის შიში, — თქვა მან, — ჯარისკაცის ცოლი დაზღვეულია ამგვარი რამეებისგან.

— ვითომ?

— კი, — გრებერი დააბნია ქალის მზერამ, — ყოველ შემთხვევაში, ეს ამბავი ცოტაოდენს მაინც დაგეხმარება.

— ეს მიზეზი არ არის. ფრაუ ლიზერს როგორც იქნება, გავუძლებ. დაქორწინდეთ! აბა, ჩვენ ხომ ამას ვერც კი მოვასწრებთ.

— რატომ ვერ მოვასწრებთ?

— ამისთვის საბუთებია საჭირო, ნებართვები, მოწმობები არიული წარმოშობის შესახებ, ჯანმრთელობის შესახებ და რა ვიცი, კიდევ რა. მათ შეგროვებას რამდენიმე კვირა სჭირდება.

„რამდენიმე კვირაო, — გაიფიქრა გრებერმა, — რა იოლად თქვა! რამდენიმე კვირის შემდეგ, ვინ იცის, სად ვიქნები!“

— ჯარისკაცებისთვის ცოტა სხვაგვარადაა, — განუცხადა მან, — მათთვის დაქორწინება გაიოლებულია. სულ ორიოდე დღე სჭირდება. ეს მე ყაზარმაში მაქვს გაგონილი.

— იქ მოგვიდა თავში ეგ აზრი?

— არა! პირველად დღეს დილით გავიფლე გულში. მაგრამ ყაზარმაში ასეთ რამეებზე ხშირად ლაპარაკობენ. ბევრი ჯარისკაცი ირთავს ცოლს შვებულებაში ყოფნის დროს. და ან კი რატომ არ უნდა შეირთოს? თუ ფრონტელი ჯარისკაცი ირთავს ცოლს, მის მეუღლეს ყოველთვიურად დახმარება ეძლევა. მგონი, ორასი მარკა. რატომ უნდა აჩუქო კაცმა სახელმწიფოს ამოდენა თანხა, საკუთარ თავს სწირავ კაცი და რატომ ის მაინც არ უნდა მიიღო, რისი უფლებაც გაქვს? შენ ფული გამოგადგება, ისე კი სახელმწიფოს დარჩება. განა მართალს არ ვამბობ?

— თუ ამ მხრიდან შევხედავთ საკითხს, შენ შეიძლება მართალიც ხარ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მეც ასე ვფიქრობ, — თქვა გრებერმა და გულზე მოეშვა, — ამას გარდა, თვით საქორწინო სესხიც კი არსებობს. მგონი, ათასი მარკის ოდენობით. შეიძლება გათხოვების შემდეგ სამკერვალო ფაბრიკაშიც აღარ დაგჭირდეს სიარული.

— ეგ ვინ იცის. გათხოვებას მაგასთან არავითარი კავშირი არა აქვს. თანაც, რა უნდა გავაკეთო ხოლმე მაშინ მთელი დღის განმავლობაში მარტოდმარტომ?

— მართალი ხარ..

გრებერს წამით თავი სრულიად უმწეოდ მოეჩვენა. „მაინც რას გვიშვრებიან, — გაიფიქრა მან, — ჩვენ ახალგაზრდები ვართ, ბედნიერები უნდა ვიყოთ და ერთად დავრჩეთ. რა გვესაქმება ჩვენი მშობლების მიერ წამოწყებულ ომებთან?“

— ჩვენ ორივენი მალე მარტონი დავრჩებით, — წარმოთქვა მან, — მაგრამ თუ დავქორწინდით, მაშინ უფრო ნაკლებად ვიგრძნობთ მარტოობას.

ელიზაბეტმა თავი გააქნია.

— შენ არ გინდა? — შეეკითხა ვაჟი.

— ჩვენ უფრო ნაკლებად არ ვიგრძნობთ მაშინ მარტოობას, — წარმოთქვა ქალმა, — პირიქით, მარტოობას მაშინ უფრო ვიგრძნობთ.

გრებერმა ერთბაშად ისევ გაიგონა მომღერალი ქალის ხმა, რომელიც მოპირდაპირე მხრიდან მოდიოდა. გამებში ვარჯიში დაემთავრებინა და ახლა ოქტავებს მღეროდა. მისი ხმა გოდებასავით ისმოდა, რომელსაც მხოლოდ ექო აძლევდა პასუხს.

— ეს ხომ გამოუსწორებელი რამ არ არის, — უთხრა ვაჟმა, — ჩვენ ყოველთვის შეგვიძლია გავეყაროთ ერთმანეთს, თუკი ამისა სურვილი გვექნება.

— მაშ, დაქორწინება რაღა საჭიროა?

— რატომ უნდა ვაჩუქოთ სახელმწიფოს რამე?

ელიზაბეტი წამოდგა.

— გუშინ შენ სხვანაირი იყავი, — უთხრა მან.

— როგორ ვიყავი სხვანაირი?

ქალმა ოდნავ გაიღიმა.

— მოდი, ამაზე მეტს ნულარ ვილაპარაკებთ. ჩვენ ერთად ვართ და ეს საკმარისია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მაშ, შენ არ გსურს?

— არა!

ვაჟმა ქალს შეხედა, რაღაც დაიხურა ელიზაბეტში და სადღაც მისი სულის სიღრმეში მიიჩქმალა გრებერისთვის.

— დალახვროს ეშმაკმა, — წარმოთქვა მან, — მე სულითა და გულით შემოგთავაზე!

ელიზაბეტმა ისევ გაიღიმა.

— ზოგჯერ მთელი უბედურებაც მაგაშია. მთელი სული და გული არაფერში არ უნდა ჩააქსოვო. სასმელი დაგვრჩა კიდევ რამე?

— სლიბოვიცი გვაქვს კიდევ.

— ეგ პოლონეთიდან არის, არა?

— ჰო...

— ისეთი რამე არა გვაქვს, რაც ნადავლი არ იქნებოდა?

— ერთი ბოთლი კიუმელი უნდა გვქონდეს კიდევ. ის ჩვენშია დამზადებული.

— მაშინ კიუმელი მოიტა.

გრებერი სამზარეულოში წავიდა ბოთლის მოსატანად. ბრაზი მოსდიოდა საკუთარ თავზე. ერთხანს გაურეცხავი თეფშებისა და ბინდინგის საჩუქრების წინ გაჩერდა ჩაბნელებულ სამზარეულოში, რომელშიც ძველი საჭმლის სუნი იდგა. თავს გამოფიტულად გრძნობდა.

შემდეგ უკან დაბრუნდა.

ელიზაბეტი ფანჯარასთან მისულიყო.

— როგორ ნაცრისფრად ჩამოღამდა, — თქვა ქალმა, — იწვიმებს. აფსუს!

— აფსუსო? რატომ?

— ეს ჩვენი პირველი კვირა დღეა. სადმე შეგვეძლო გაგვესეირნა. ქალაქგარეთ გაზაფხულია ჩამომდგარი.

— შენ გინდა წასვლა?

— არა. ჩემთვის ისიც კმარა, რომ ფრაუ ლიზერი აქ არ არის. შენ კი გასეირნება უფრო გარგებდა, ვიდრე აქ ჯდომა.

— ჩემთვისაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მაგას. მე საკმაოდ დიდხანს ვიცხოვრე ბუნების წიაღში და კარგა ხანი იოლად წავალ უიმისოდ. ჩემი საოცნებო ბუნება არის დაუბომბავი თბილი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ოთახი, რომელშიც უვნებლად გადარჩენილი ავეჯი ალაგია. ეს ყოველივე კი აქ გვაქვს. ეს ყველაზე დიდი საოცრებაა, რომელიც კი ძალმიძს წარმოვიდგინო, და მისი ყურებით ვერ ვძღები. მაგრამ შენ კი შეიძლება ამან თავი მოგაბეზრა, მაშინ, თუ გინდა, კინოში წავიდეთ.

ელიზაბეტმა თავი გააქნია.

— მაშ, მოდი აქ დავრჩეთ და გარეთ ცხვირსაც ნუ გავყოფთ. თუ სადმე წავალთ, მაშინ დღე დანაწილდება და უფრო სწრაფად გავა, ვიდრე აქ რომ დავრჩეთ. ასე კი ერთი მთლიანი ხანგრძლივი დღე იქნება.

გრებერი ელიზაბეტთან მივიდა და მკლავები მოხვია. საბანაო ხალათის ხაოიანი ქსოვილი შეიგრძნო. შემდეგ დაინახა, რომ ქალს თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე.

— რამე სისულელე გითხარი? — შეეკითხა იგი.

— არა!

— მაშ, რატომ ტირი, თუ არაფერი გაწყენინე?

ვაჟმა მკერდზე მიიხუტა ქალი და მის მხრებს მილმა ქუჩა დაინახა. აჭიმიანი ბანჯგვლიანი კაცი ალარ ჩანდა. რამდენიმე ბავშვი ომობანას თამაშობდა და ძირს დამხობილი სახლის სარდაფისკენ გაყვანილ თხრილს სანგრად იყენებდა.

— ნუ მოვიწყენთ, — წარმოთქვა ვაჟმა.

ქუჩის გადალმა მომღერალმა ქალმა ხელახლა წამოიწყო. ამჯერად გრიგის[1] სიმღერას არაკრაკებდა. „მე შენ მიყვარხარ, მე შენ მიყვარხარ! — გაჰკიოდა გამყინავი ხმით, — მე შენ მიყვარხარ, ჟამთა სიავის მიუხედავად... მე შენ მიყვარხარ!“

— ნუ, ნუ მოვიწყენთ, — თქვა ელიზაბეტმაც.

*

ნასადილევს გაწვიმდა. ადრე დაბნელდა და ცა სულ უფრო და უფრო იღუშებოდა. საწოლზე იწვნენ, სინათლეს არ ანთებდნენ, ფანჯარა ღია ჰქონდათ და წვიმა ალმაცერ და გაცრეცილ ხაზებად ეშვებოდა მის წინ, თითქოს მონანავე თხიერი კედელი ყოფილიყოს.

---

[1] *გრიგი, ედვარდ (1843-1907) — ნორვეგიელი კომპოზიტორი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გრუბერი ყურს უგდებდა მონოტონურ ხმაურს და ფიქრობდა, რომ რუხეთში ახლა უკვე დაიწყებოდა უგზოობის პერიოდი, რომლის დროსაც გაუვალ ტალახში იფლობა ყველაფერი. და იგი ალბათ მაშინაც არ იქნება დამთავრებული, როცა გრუბერი უკან დაბრუნდება.

— არ წავიდე? — შეეკითხა იგი, — ფრაუ ლიზერი ალბათ სადაცაა დაბრუნდება.

— დაბრუნდება და დაბრუნდეს, — წაიდუდუნა ელიზაბეტმა ნამძინარევი ხმით, — ნუთუ უკვე ასე გვიან არის?

— ეგ არ ვიცი. მაგრამ ალბათ ადრე დაბრუნდება, რადგან წვიმს.

— რა იცი, იქნებ სწორედ ამის გამო უფრო დააგვიანოს კიდეც.

— ჰო, ეგეც შეიძლება.

— შეიძლება ამის გამო მხოლოდ ხვალ დილით დაბრუნდეს, — თქვა ელიზაბეტმა და ხახე ვაჟს მხარზე დაადო.

— შეიძლება საბარგო მანქანამაც კი გაიტანოს, ეს ერთობ დიდი ბედნიერება იქნებოდა.

— შენ მაინცდამაინც დიდი კაცთმოყვარე არა ხარ, — წაიდუდუნა ელიზაბეტმა.

გრუბერმა ნაცრისფერ თხიერ კედელს გახედა ფანჯარაში.

— დაქორწინებულნი რომ ვიყოთ, ახლა არ დამჭირდებოდა წასვლა, — წარმოთქვა მან.

ელიზაბეტი არ განძრეულა.

— რად გინდა, რომ დავქორწინდეთ? — წაიდუდუნა მან, — შენ ხომ თითქმის არ მიცნობ.

— მე საკმაოდ დიდი ხანია გიცნობ.

— დიდი ხანი? სულ ორიოდე დღეა გასული.

— ორიოდე დღე კი არა, ერთ წელიწადზე მეტია, რაც გიცნობ. ეს კი დროის საკმაოდ მოზრდილი მონაკვეთია.

— ერთ წელიწადზე მეტი რატომ არის? ბავშვობაში რომ ვიცნობდით ერთმანეთს, იმას ხომ არ თვლი? ვინ იცის, მას შემდეგ რამდენმა ხანმა განვლო.

— არა, მაგას არ ვთვლი. მაგრამ მე სამი კვირის შვებულება მივიღე ორი წლის განმავლობაში ფრონტზე ყოფნაში. ხოლო აქ უკვე თითქმის ორი კვირაა, რაც ვარ. ეს კი ფრონტზე ყოფნის თხუთმეტიოდე თვეს უდრის. მაშასადამე, მე შენ ერთი წელია გიცნობ, თუ

ორი კვირა შვებულების შესატყვისი დროის მონაკვეთით ვიანგარიშებთ.

ელიზაბეტმა თვალი გაახილა.

— ეგ მე აზრად არ მომსვლია.

— არც მე. მხოლოდ ცოტა ხნის წინათ მომაფიქრდა.

— როდის?

— ამ ცოტა ხნის წინათ, როცა შენ გეძინა. როცა წვიმს და თანაც ბნელა, ბევრი რამ მოსდის კაცს თავში.

— ამისთვის წვიმა და სიბნელე აუცილებელია?

— არა, მაგრამ მაშინ სხვაგვარად ფიქრობ.

— შენ კიდევ სხვა რამეც მოგვიდა თავში?

— კი. მე ვფიქრობდი, თუ რა საუცხოოა, კაცმა თავისი ხელები, თავისი მარჯვენა სროლისა და ყუმბარების ტყორცნის გარდა, კიდევ სხვა რამისთვისაც გამოიყენოს.

ქალმა ვაჟს შეხედა.

— რატომ შუადღისას არ მითხარი ეს?

— შუადღისას ასეთ რამეს ვერ იტყვი.

— განა ეს არ სჯობდა ყოველთვიურ დახმარებასა და საქორწინო სესხზე ლაპარაკს?

გრებერმა თავი ზეაიღო.

— ეს იგივეა, ელიზაბეტ, — წარმოთქვა მან, — მხოლოდ სხვა სიტყვებით არის ნათქვამი.

ქალმა რაღაც წაიდუდუნა გაურკვევლად.

— ზოგჯერ სიტყვებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს, — თქვა მან შემდეგ, — ყოველ შემთხვევაში, ასეთ საგანზე ლაპარაკის დროს მაინც.

— სიტყვების ამორჩევას დაჩვეული არა ვარ, მაგრამ ზოგს მაინც ვიპოვი კიდევ. ოღონდ ცოტაოდენი დრო მჭირდება ამისთვის.

— დრო, — ამოიოხრა ელიზაბეტმა, — ჩვენ ის ძალიან ცოტა გვაქვს, არა?

— ჰო, გუშინ ჯერ კიდევ ბევრი გვქონდა. ხოლო ხვალ ვიფიქრებთ, რომ დღეს გვქონდა ბევრი.

გრებერი გარინდებული იწვა. ელიზაბეტის თავი მის მკლავზე ესვენა. ქალის თმა მრუმედ იღვრებოდა ფერმკრთალ ბალიშზე და წვიმის ჩრდილები სახეს უსერავდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— შენ ჩემი შერთვა გინდა, — წაიდუდუნა ქალმა, — და არც კი იცი, გიყვარვარ თუ არა...

— ეგ საიდან უნდა ვიცოდეთ? განა ამისთვის ბევრად უფრო მეტი დრო და ერთად ყოფნა არ არის საჭირო?

— ალბათ, მაგრამ მაშინ რაღად გინდა ცოლად შემირთო?

— რადგან უშენოდ უკვე ველარ წარმომიდგენია სიცოცხლე.

ელიზაბეტი ერთხანს დუმდა.

— მერედა არ ფიქრობ, რომ ისეთივე რამ, რაც ჩემთან შეგემთხვა, სხვასთანაც შეიძლებოდა დაგმართოდა? — შეეკითხა იგი შემდეგ.

გრებერი ნაცრისფრად მოფარფატე ხალიჩას გასცქეროდა, რომელსაც ფანჯრის წინ ქსოვდა წვიმა.

— შეიძლება სხვა ვინმესთანაც შემმთხვეოდა ასეთი რამ, — წარმოთქვა მან, — ვის შეუძლია იყოს ამის თავდები? მაგრამ ახლა, მას შემდეგ, რაც ეს უკვე მოხდა ჩვენ შორის, ვერ წარმომიდგენია, რომ ოდესმე ვინმე სხვასთანაც შეიძლებოდა ასეთი რამ დამმართოდა.

ელიზაბეტმა თავი შეარხია მის მკლავზე.

— შენ პროტესტი გეტყობა. ახლა სხვანაირად ლაპარაკობ, ვიდრე დღისით ლაპარაკობდი. მაგრამ ახლა ხომ ღამეა. ნუთუ მთელი სიცოცხლე ნიადაგ ღამის დადგომას უნდა ველოდო?

— არა. მე გამოვსწორდები. აი, ჯერჯერობით პირობას ვდებ, რომ კრინტს აღარ დავძრავ ხოლმე ყოველთვიურ დახმარებაზე.

— მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ მას არ უგულებელვყოფთ.

— რას?

— ყოველთვიურ დახმარებას.

გრებერს წამით სუნთქვა შეეკრა.

— მაშ, თანახმა ხარ? — შეეკითხა იგი შემდეგ.

— რახან ერთმანეთს წელიწადზე მეტია, რაც ვიცნობთ, ეს თითქმის აუცილებელიც კია. და თანაც ხომ ყოველ წამს შეგვიძლია ისევ გავცილდეთ ერთმანეთს, თუ არა?

— არა!

ქალი ჩაეხუტა მას და ისევ ჩაიძინა. ვაჟი კი დიდხანს იწვა ასე, ძილი არ ეკარებოდა და წვიმას უგდებდა ყურს. ანაზდეულად სათქმელი მოაწვა. ელიზაბეტისთვის სათქმელი სიტყვები.

XVII

— ყველაფერი აიღე, რაც გენებოს, ერნსტ, — გამოსძახა კარში ბინდინგმა, — ისე მოიქეცი, როგორც საკუთარ სახლში.

— კარგი, ალფონს!

გრებერი აბაზანაში გაიშოტა. მისი სამხედრო ფორმა სკამზე ელაგა კუთხეში. ნაცრისფერი, მწვანე და შეუხედავი, იგი ძველ ძონძებს მოგაგონებდათ. იქვე გვერდით კი ლურჯი სამოქალაქო კოსტიუმი ეკიდა, რომელიც როიტერმა უშოვა.

ბინდინგის სააბაზანო მწვანე ფილებით მოპირკეთებული დიდი ოთახი იყო და შიგ ფაიფურსა და მონიკელებულ ონკანებს გაჰქონდათ ბრჭყვიალი. იგი ნამდვილ სამოთხეს წარმოადგენდა ყაზარმის შხაპებსა და სადეზინფექციო საშუალებებით აყროლებულ საშხაპეებთან შედარებით. საპონი ჯერ კიდევ ისევ ფრანგული იყო შემორჩენილი. საბანაო ზეწრები და პირსახოცები მაღალ დასტებად ელაგა, წყლის მილები დაშავებული არ იყო ყუმბარებისგან და იმდენი ცხელი წყალი მოდიოდა, რამდენიც გსურდათ. თვით არომატული საბანაო მარილიც კი იყო აქ — ამეთვისტოს კრისტალები, რომლებიც დიდ ბოთლში ეყარა.

გრებერი წყალში იწვა, ფიქრი არაფრისა ჰქონდა, ნებივრობდა და სანუკვარი სითბოთი ტკბებოდა. მან უკვე იცოდა, რომ მხოლოდ უმარტივესი საგნები არ უცრუებენ გულს ადამიანს — სითბო, ჭური, პური, მყუდროება და ნდობა საკუთარი სხეულისადმი, და სურდა შვებულების დარჩენილი ნაწილი ასე გაეტარებინა — ბევრი არ ეფიქრა, დაძაბული არ ყოფილიყო და რაც შეიძლება მეტი ბედნიერება განეცადა. როიტერი მართალი იყო, — ბევრი წყალი ჩაივლიდა, ვიდრე შვებულებას კიდევ მიიღებდა. განზე გასწია სკამი, რომელზედაც მისი ფორმა ელაგა, პეშვზე საბანაო მარილი დაიყარა და ნეტარი სახით წყალში მოაბნია. ეს ერთი პეშვი ფუფუნება იყო და, მაშასადამე, ერთი პეშვი მშვიდობაც — ისევე როგორც „გერმანიის“ თეთრსუფრაგადაფარებული მაგიდები, ღვინო და დელიკატესები ელიზაბეტთან ერთად იქ გატარებული საღამოების დროს.

ტანი შეიმშრალა და აუჩქარებლად იწყო ჩაცმა. მძიმე სამხედრო ფორმის შემდეგ სამოქალაქო ტანსაცმელი მსუბუქად და სიფრიფანად ეჩვენებოდა. თუმცა უკვე მთლიანად იყო ჩაცმული, მაინც ისეთი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გრძნობა ჰქონდა, თითქოს ისევ საცვლების ამარა იდგა, იმდენად უჩვეულო იყო მისთვის უჩექმოდ, უქამროდ და უიარაღოდ ყოფნა. სარკეში დაიწყო თვალიერება და ძლივს იცნო საკუთარი თავი. იქიდან გაოცებული მისჩერებოდა უმწიფარი ყმაწვილი კაცი — ასეთი ვინმე ქუჩაში რომ შეხვედროდა, ალბათ ჩირადაც არ ჩააგდებდა.

*

— შენ ზიარებაზე პირველად მიმავალ ყმაწვილს ჰგავხარ, — განუცხადა ალფონსმა, — და არა ჯარისკაცს. რაშია საქმე? ცოლის შერთვას ხომ არ აპირებ?

— ჰო, — მიუგო გაკვირვებულმა გრებერმა, — როგორ გამოიცანი?

ალფონსმა გაიცინა.

— განა ზედ არ გეტყობა?! წინათ სულ სხვანაირად გამოიყურებოდი. ახლა უკვე აღარ ჰგავხარ ძაღლს, რომელიც ძვალს ეძებს და ვერ გაუხსენებია, სად დამალა. მართლა ცოლის შერთვას აპირებ?

— ჰო...

— კეთილი, ერნსტ, მაგრამ კარგად კი აწონ-დაწონე ყველაფერი?

— არა...

ბინდინგი პირდაღებული მისჩერებოდა გრებერს.

— მე უკვე რამდენიმე წელია, დრო არ მქონია, რომ რაიმე კარგად ამეწონ-დამეწონა, — თქვა გრებერმა.

ალფონსი გაიღრიჭა. შემდეგ თავი ზეაიღო და ჰაერი დაყნოსა.

— მოიცა... — მან კიდევ დაყნოსა, — ეს შენ ჰყარხარ ასე, ერნსტ? დალახვროს ეშმაკმა, ალბათ საბანაო მარილია! ალბათ ის იხმარე, არა? ისეთი სურნელი აგდის, თითქოს იების ყვავილნარი იყო.

— მე ვერაფერს ვგრძნობ.

— შენ ვერა, მაგრამ მე კი. ეცადე, ცოტა განქარდეს, თორემ იცი, რა ვერაგული რამეა? პარიზიდან ჩამოიტანა ვიღაცამ. ჯერ ოდნავ აგდის სუნი და მერე კი მთელ აყვავებულ ბუჩქს დაემსგავსები. სხვა გზა არ არის, მისი სურნელი უნდა მაგარი კონიაკით ჩაკახშოთ.

ბინდინგმა ერთი ბოთლი და ორი ჭიქა მოიტანა.

— შენი სადღეგრძელო იყოს, ერნსტ! მაშ ასე, ცოლს ირთავ. სულით და გულით გილოცავ! მე კი, რასაკვირველია, მარტოხელა ვარ და მომავალშიც ასეთად დავრჩები. ვიცნობ შენს საცოლეს?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— არა, — გრებერმა კონიაკი დალია. ბრაზი მოსდიოდა თავის თავზე, რომ განზრახვა გაამხილა, მაგრამ ალფონსმა მოუმზადებელს წაასწრო.

— კიდევ ერთი, ერნსტ! კაცი ყოველდღე ხომ არ ირთავს ცოლს!

— კარგი.

ბინდინგმა თავისი ჭიქა ძირს დადგა. ოდნავ გულაჩუყებული იყო.

— თუ რაიმე დახმარება დაგჭირდეს, ხომ იცი, ალფონსის იმედი ყოველთვის შეგიძლია გქონდეს.

— რა დახმარება, ეს ხომ იოლი საქმეა.

— შენთვის კი. შენ ჯარისკაცი ხარ და რაიმე განსაკუთრებული საბუთები არ გჭირდება.

— ჩვენ არც ერთს არ გვჭირდება. ეს ხომ ფრონტელთან ქორწინებაა.

— ჩვეულებრივი საბუთები, მე მგონი, მაინც დასჭირდება შენს ცოლს. მაგრამ შენ ხომ დაინახავ. თუ საქმე გაჭიანურდება, ჩვენ ყოველთვის შეგვიძლია შევუჩიჩხინოთ. ჩვენ ხომ ძმაკაცები გვყავს გესტაპოში.

— გესტაპოში? მერე რა კავშირი აქვს გესტაპოს ფრონტელის დაქორწინებასთან? ეს ხომ სრულიად არ შეეხება მას.

ალფონსმა ჩაიხითხითა.

— ერნსტ, ქვეყნად არ არსებობს ისეთი რამ, რაც გესტაპოს არ ეხებოდეს! შენ ჯარისკაცი ხარ და ამას ნაკლებად გრძნობ. მაგრამ საშიში აქ არაფერია. შენ ხომ ებრაელ ან კომუნისტ ქალს არ ირთავ ცოლად. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ცნობებს ალბათ მაინც შეკრებენ. ზედმეტი ჯახირია, მაგრამ რას იზამ.

გრებერს არაფერი უპასუხია. ერთბაშად შიშმა მოიცვა. თუ გამოიძიებდნენ, ცხადია, გამოირკვეოდა, რომ ელიზაბეტის მამა საკონცენტრაციო ბანაკში იჯდა. აი, ეს კი არ უფიქრია და არც არსად უთქვამთ რამე ამის შესახებ.

— დარწმუნებული ხარ, რომ ასე ხდება ხოლმე, ალფონს?

ბინდინგმა ისევ შეავსო ჭიქები.

— ვფიქრობ, რომ კი. მაგრამ შენ ნურას ინაღვლი. შენ ხომ არ აპირებ, რომ შენი არიული სისხლი არასრულფასოვან ადამიანთა ან სახელმწიფოს მტერთა სისხლს შეურიო, — იგი გაიღრიჭა, — ნუ გეშინია, ერნსტ, მოესწრები ცოლის ვირად გახდომას.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— კი...

— ჰოდა, მაშ ასე! გაგიმარჯოს! შენ ხომ ამას წინათ ჩემთან რამდენიმე გესტაპოელი გაიცანი. თუ საქმე გაჭიანურდა, ისინი დაგვეხმარებიან, ერთს დააჭერენ, სადაც ჯერ არს და მორჩა. დიდრონი თავკაცები არიან. განსაკუთრებით რიხე, გახსოვს, პენსნეიანი...

გრებერი გაშტერებული იყურებოდა წინ. ელიზაბეტი დილით ქალაქის სამმართველოშო წავიდა საბუთებისთვის. თვითონ მან, გრებერმა, დაატანა ძალა. „დალახვროს ეშმაკმა, ეს რა ჩავიდინე, — ფიქრობდა იგი, — ვინმემ რომ ყურადღება მიაქციოს, მერე?! აქამდე ხელი არავის უხლია მისთვის, მაგრამ ტყუილად კი არ ამბობს ძველი ანდაზა: სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო. გესტაპოში რომ ვინმეს მოეპრიანოს, შეუძლიათ ელიზაბეტი საკონცენტრაციო ბანაკში უკვე მხოლოდ იმის გამო მოათავსონ, რომ მამამისი იქ ზის. გრებერმა იგრძნო, როგორ აიტანა ცივებ-ცხელებამ. ანდა მის შესახებ ცნობების შეკრება რომ დაიწყონ? აი, მაგალითად, თუნდაც პარტიის გამობრძმედილ წევრს, ფრაუ ლიზერს რომ შეეკითხონ?“ იგი წამოდგა.

— რა იყო, — შეეკითხა ბინდინგი, — ჭიქაც კი არ დაცალე ბოლომდე. რა, ბედნიერებამ გულმავიწყი ხომ არ გაგხადა?

ალფონსმა ხმამაღლა გადაიხარხარა თავის ნაოხუნჯევზე. გრებერმა შეხედა. ორიოდე წუთის წინ იგი მისთვის მხოლოდ გულკეთილი ნაცნობი იყო, რომელსაც ოდნავ თავი მოჰქონდა, და სხვა არაფერი, მაგრამ ახლა ანაზდეულად მრისხანე და შეუცნობელი ძალის წარმომადგენლად გადაიქცა.

— იცოცხლე, ერნსტ! — თქვა ბინდინგმა, — დალიე, კარგი კონიაკია — „ნაპოლეონი“!

— იცოცხლე, ალფონს!

გრებერმა ჭიქა უკან დადგა.

— ალფონს, — თქვა მან, — შეგიძლია ერთი თხოვნა ამისრულო?.. ორი გირვანქა შაქარი მომეცი შენი საკუჭნაოდან. ორად გახვეული. გირვანქა ერთ პარკში და გირვანქა მეორეში.

— ნატეხი შაქარი?

— სულერთია, შაქარი კი იყოს და...

— ინებე, მაგრამ რად გინდა? ახლა ხომ შენ თვითონაც შაქარივით უნდა იყო დამტკბარი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ერთი ვინმე უნდა მოვისყიდო.

— მოისყიდო? კი, მაგრამ, შე კაი კაცო, რაში გვჭირდება ასეთი რამეები? დამუქრება ბევრად იოლი ამბავია და თანაც უფრო ქმედითიც. შენი გულისთვის შემიძლია ეს გავაკეთო.

— ამ შემთხვევაში, არა. თანაც კაცმა რომ თქვას, ეს ნამდვილი მოსყიდვაც არ არის. უბრალოდ მინდა, პატივი ვცე ადამიანს, რომელმაც ერთი სამსახური უნდა გამიწიოს.

— კეთილი, ერნსტ. ხოლო ქორწილი ჩემთან გავმართოთ, კარგი? ალფონსის მაყრობით არას წააგებ.

გრებერმა სწრაფად აწონ-დაწონა ყველაფერი. მეოთხედი საათის წინ რაიმე საბაბით თავს დაიძვრენდა, მაგრამ ახლა უკვე ველარ გაებედა.

— მე მგონი, მაინცდამაინც დიდ წვეულებას არ გავმართავთ, — უთხრა მან.

— ეგ შენ მხოლოდ ალფონსს მიანდე. ამაღამ ხომ აქ დაიძინებ, არა? აბა, რიღასთვის უნდა დაბრუნდე აქ უკან, ისევ სამხედრო ფორმაში გამოეწყო და მერე ყაზარმისკენ გასწიო ძუნძულით? არა სჯობია, პირდაპირ აქ დარჩე? მე სახლის გასაღებს მოგცემ და როცა გინდა, მაშინ დაბრუნდი.

გრებერი ერთ წამს ჭოჭმანობდა.

— კარგი, ალფონს.

ბინდინგს სახე გაუბრწყინდა.

— აი, ეს ჭკვიანურია. მაშ, ჩვენ როგორც იქნა, შევძლებთ მყუდროდ ვისხდეთ ერთად და ვიჭუკჭუკოთ. აქამდე ეს რატომღაც ვერ მოვახერხეთ. წამო, შენი ოთახი გაჩვენო, — მან გრებერის სამხედრო ფორმას დაავლო ხელი და მუნდირზე ორდენებს მოჰკრა თვალი.

— აი, მაშინ ისიც უნდა მიამბო, თუ როგორ მიიღე ყველა ესენი. ალბათ რაღაც გააკეთე, თორემ ისე ხომ არ მოგცემდნენ!

გრებერმა ზეაიხედა. ბინდინგის სახეს ანაზდად ისეთივე გამომეტყველება ჰქონდა, როგორიც იმ დღეს, როცა ღვინით გამტყვრალი ესესელი ჰაინი უშიშროების სამსახურში ჩადენილ საგმირო საქმეებზე მოჰყვა ლაყბობას.

— აქ არაფერია მოსაყოლი, — თქვა მან, — ისინი ფრონტზე თანდათან გიგროვდება, დროთა ვითარებაში.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

*

ფრაუ ლიზერი გრებერის სამოქალაქო ტანსაცმელს ერთხანს გაკვირვებული მისჩერებოდა და ძლივს იცნო იგი.

— აჰა, ეს თქვენა ხართ? ფროილაინ კრუზე შინ არ არის. განა არ იცით?

— დიახ, ვიცი, ფრაუ ლიზერ.

— მაშ, რაღა გინდათ?

ქალი მტრულად მიაჩერდა გრებერს. მის მიხაკისფერ ბლუზაზე სვასტიკიანი ნიშანი გამოკრთოდა. მარჯვენა ხელში ყუმბარასავით ჩაებღუჯა მტვრის ტილო.

— მე რაღაც მინდოდა დამეტოვებინა ფროლაინ კრუზესთვის. იქნებ თქვენ გამომართვათ და მის ოთახში შეინახოთ?

ფრაუ ლიზერი ხელებში უყურებდა მოსულს და ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო. შემდეგ გამოართვა პარკი, რომელიც გრებერმა გაუწოდა.

— აი, მე კიდევ ერთი პარკიც მაქვს, — უთხრა გრებერმა, — ფროილაინ კრუზემ მიამბო, თუ როგორ სამაგალითოდ სწირავთ მთელ თქვენს დროს საერთო კეთილდღეობას. ამ პარკში ერთი გირვანქა შაქარია, რომელიც მე სრულებით არ მჭირდება. ვინაიდან თქვენ შვილი გყავთ, რომელსაც შაქარი ალბათ გამოადგება, გადავწყიტე თქვენ შემოგთავაზოთ.

ფრაუ ლიზერის სახემ ოფიციალური გამომეტყველება მიიღო.

— ჩვენ შავი ბაზრის საქონელი არ გვჭირდება. ვამაყობთ, რომ იოლად გავდივართ იმით, რასაც ფიურერი გვაძლევს.

— თქვენი შვილიც?

— დიახ, ჩემი შვილიც!

— აი, სულისკვეთებაც ასეთი უნდა, — წარმოთქვა გრებერმა და მიხაკისფერ ბლუზას დააცქერდა, — ჩვენს საშობლოში ყველანი რომ ასე ფიქრობდნენ, მაშინ ჯარისკაცები ფრონტზე ზოგჯერ უფრო მხნედ იგრძნობდნენ თავს. მაგრამ ეს შაქარი შავი ბაზრისა არ არის. ეს იმ პაკეტიდანაა, რომელსაც ფიურერი შვებულებაში მიმავალ ფრონტელ ჯარისკაცებს აძლევს, რათა მათ თავიანთ ახლობლებს სანოვაგე ჩაუტანონ. ჩემი ნათესავები უკვალოდ დაიკარგნენ. ასე რომ, თქვენ არხეინად შეგიძლიათ გამომართვათ.

ფრაუ ლიზერის სახეზე სიმკაცრემ იკლო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— თქვენ ფრონტიდან ხართ ჩამოსული?
— რასაკვირველია. მაშ საიდან?
— რუსეთიდან?
— დიახ!
— ჩემი ქმარიც რუსეთშია.
გრებერმა თავი მოაჩვენა, ვითომ ძალიან დააინტერესა ამ ამბავმა.
— სახელდობრ, სად?
— საარმიო დაჯგუფებაში — „ცენტრი“.
— მადლობა ღმერთს, იქ ამჟამად სიწყნარეა.
— სიწყნარე? სრულებითაც არა! საარმიო დაჯგუფება „ცენტრი“ გახურებულ ბრძოლებშია. ჩემი ქმარი მოწინავე ხაზზე იმყოფება.
„მოწინავე ხაზზეო, — გაიფიქრა გრებერმა, — თითქოს იქ კიდევ არსებობდეს მოწინავე ხაზი!“ წამით ცდუნება დაეუფლა, ფრაუ ლიზერისთვის განემარტა, თუ როგორი იყო სინამდვილეში ვითარება ღირსების, ფიურერისა და სამშობლოს შესახებ მყვირალა ფრაზების მიღმა, მაგრამ მაშინვე უკუაგდო ეს აზრი.
— იმედია, მალე ჩამოვა შვებულებით, არა? — შეეკითხა იგი.
— შვებულებით მაშინ ჩამოვა, როცა დრო მოუწევს. ჩვენ არავითარ პრივილეგიებს არ მოვითხოვთ!
— არც მე მომითხოვია, — მიუგო გრებერმა მშვიდად, — პირიქით, უკანასკნელად შვებულებაში ორი წლის წინათ ვიყავი.
— და მთელი ამ ხნის განმავლობაში ფრონტზე იყავით?
— დასაწყისიდანვე. როცა კი დაჭრილი არ ვიყავი.
გრებერმა შეხედა ამ ურყევ პარტიულ მებრძოლ ქალს. „ნეტავი რას დაუმდგარვარ აქ და თავს ვიმართლებ ამ ქალის წინაშე? — გაიფიქრა მან, — კაცმა არც უნდა აციო, არც აცხელო და იგი ადგილზევე დახვრიტო“.
ოთახიდან, რომელშიც საწერი მაგიდა იდგა, ბავშვი გამოვიდა, გამოხუნებულთმიანი გამხდარი გოგო, რომელიც ცხვირში ხელის ჩიჩქნას შეუდგა და ისე მიაჩერდა გრებერს.
— მაშ, ასე, ერთბაშად სამოქალაქო ტანსაცმელში რალას გამოწყობილხართ?
— მუნდირი გასაწმენდად მოვეცი.
— აი, თურმე რაში ყოფილა საქმე! მე კი უკვე ვიფიქრე...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გრებერმა ასეც ვერ შეიტყო, თუ რა იფიქრა ფრაუ ლიზერმა. უეცრად დაინახა, რომ ქალმა გაიღიმა და ყვითელი კბილები გამოაჩინა. გრებერს თითქმის შიში მოჰგვარა ამ სანახაობამ.

— კარგი, მაშ, — წარმოთქვა ქალმა, — გმადლობთ. მე ამ შაქარს ბავშვს მოვახმარ.

ქალმა ორივე პარკი გამოართვა და გრებერმა შენიშნა, თუ როგორ აწონ-დაწონა ისინი ხელში. გრებერი დარწმუნებული იყო, რომ მისი წასვლისთანავე ქალი ელიზაბეტისთვის განკუთვნილ პარკს დაუყოვნებლივ გახსნიდა, და მასაც სწორედ ეს უნდოდა. ფრაუ ლიზერი თავისდა გასაოცრად, იქაც ერთ გირვანქა შაქარს ნახავდა და სხვას არაფერს.

— აი, ეგ სწორია, ფრაუ ლიზერ. ნახვამდის.

— ჰაილ ჰიტლერ! — ქალი დააცქერდა მას.

— ჰაილ ჰიტლერ! — მიუგო გრებერმა.

*

იგი სახლიდან გამოვიდა. ქუჩაში კარის გვერდით კედელს მიჰყუდებოდა მეკარე, მოიერიშეთა შარვალსა და ჩექმაში გამოწყობილი კაცუნა, რომელსაც მრგვალი ღიპი და ქათმის მკერდი ჰქონდა. გრებერი გაჩერდა. ნუთუ ეს ჩიტების საფრთხობელაც რაიმე საშიშროებას წარმოადგენდა ახლა მისთვის?

— კარგი ამინდია, არა, დღეს? — უთხრა მან, ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო, ერთი თავისთვის აიღო და დანარჩენი კაცუნას გაუწოდა.

მეკარემ რაღაც ჩაიბურტყუნა და კოლოფიდან სიგარეტი ამოაძრო.

— ჯარიდან გაგათავისუფლეს? — შეეკითხა იგი და გრებერის კოსტიუმს გადახედა ალმაცერად.

გრებერმა თავი გააქნია. ერთი ხანობა დააპირა ორიოდე სიტყვა ეთქვა ელიზაბეტის შესახებ, მაგრამ არაფერი უთქვამს. ასე სჯობდა, რათა მეკარის ყურადღება არ გაემახვილებინა რამით.

— ერთ კვირაში ისევ უკან უნდა დავბრუნდე, — უთხრა მან, — ეს უკვე მეოთხედ.

მეკარემ ზანტად დაუქნია თავი. პირიდან სიგარეტი გამოიღო, შეათვალიერა და თამბაქოს რამდენიმე ნამუსრევი გამოაფურთხა.

— არ ვარგა? — შეეკითხა გრებერი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— რატომ, არა. მაგრამ მე სიგარას ვეწევი.

— სიგარაც ძალიან ჭირს, არა?

— ვგონებ, ამის გამხელა შეიძლება.

— მე ერთი ნაცნობი მყავს, რომელსაც კიდევ შემორჩა სიგარეებით სავსე ორიოდე მოზრდილი ყუთი. პირველი შეძთხვევისთანავე რამდენიმე ცალს დავავლებ ხელს და თქვენთვის წამოვიღებ. კარგი სიგარებია.

— იმპორტული?

— ჰო, მგონი. ამაში მაინცდამაინც ვერ ვერკვევი. ზედ ბანდეროლები აქვს.

— ბანდეროლები ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს. ისინი ყოველგვარ ბალახბულახსაც შეუძლიათ გაუკეთონ.

— ჩემი ნაცნობი კრაისლაიტერია. ის მხოლოდ კარგ თამბაქოს ეწევა.

— კრაისლაიტერი?

— კი. ალფონს ბინდინგი. ჩემი საუკეთესო მეგობარია.

— ბინდინგი თქვენი მეგობარია?

— დიახ, ჩემი ძველი მეგობარია სკოლიდან. ახლაც მისგან მოვდივარ. ისა და ესესელთა შტურმანფიურერი რიზეც ჩემი ძველი ძმაკაცები არიან. რიზესთან ახლა უნდა წავიდე.

მეკარემ გრებერს შეხედა და ეს უკანასკნელიც მიხვდა, რას ნიშნავდა მისი შემოხედვა: მეკარეს ვერ გაეგო, თუ რატომ იჯდა მედიცინის მრჩეველი კრუზე საკონცენტრაციო ბანაკში, თუკი ბინდინგი და რიზე ასე ახლო მეგობრები იყვნენ გრებერისა.

— იქ გამოირკვა, რომ გაუგებრობის ნიადაგზე პატარა შეცდომაა დაშვებული, — წარმოთქვა მან გულგრილად, — ახლო მომავალში ყველაფერი მოგვარდება. ზოგს ეს ალბათ უსიამოდ გააკვირვებს. რას იზამ, სულსწრაფობა არასოდეს ვარგა, ხომ მართალია?

— ჰო, არასოდეს, — დაბეჯითებით მიუგო მეკარემ.

გრებერმა საათზე დაიხედა.

— აბა, წავედი. იცოდე, სიგარები არ დამავიწყდება.

მან გზა განაგრძო. „ჯერჯერობით ქრთამის მიცემის საქმე ძალიან კარგად წარიმართა“, — გაიფიქრა მან. მაგრამ მალე ისევ მოუსვენრობამ შეიპყრო. ვინ იცის, იქნებ სწორედ ამაში დაუშვა შეცდომა? უეცრად თავისი საქციელი ბავშვურად მოეჩვენა. იქნებ ის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სჯობდა, რომ სულ არაფერი გაეკეთებინა? ერთ ადგილზე გაჩერდა და ტანთ დაიხედა. ეს წყეული სამოქალაქო ფალასფულასი! ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ყველაფერში ამას მიუძღოდა ბრალი. სამხედრო ყოფასა და იქ გამეფებულ ძალმომრეობას სურდა გაჰქცეოდა და თავისუფლად ეგრძნო თავი, მაგრამ მაშინვე შიშითა და საფრთხით აღსავსე სამყაროში აღმოჩნდა.

იგი ფიქრობდა, თუ რა შეეძლო კიდევ გაეკეთებინა. ელიზაბეტს საღამომდე ვერ ნახავდა. სწყეულიდა თავს, რომ ასე აჩქარდა და ჩააგონა ელიზაბეტს, დაუყოვნებლივ გამოეტანა საბუთები. „რა მფარველი გამოვუჩნდი! — ფიქრობდა იგი, — ჯერ კიდევ გუშინ დიდი ამბით ვარწმუნებდი, რომ გათხოვება მისთვის საფარი იქნებოდა. დღეს კი უკვე აღმოჩნდა, რომ, პირიქით, საფრთხეს უქადის“.

— მასხარად ვის იგდებთ? — დაუყვირა ვიღაცამ უხეშად.

გრებერმა ზეაიღო თავი. ერთი ტანდაბალი მაიორი იდგა მის წინ.

— ნუთუ არ გესმით, რა სერიოზული მომენტია ამჟამად, თქვე ხეპრევ, თქვენა?

გრებერი ერთხანს უაზროდ მისჩერებოდა. შემდეგ მიხვდა, რაშიც იყო საქმე: მაიორისთვის სამხედრო სალამი მიეცა, სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა. მოხუცმა კი ეს დაცინვად მიიღო.

— შემეშალა, — მიუგო გრებერმა, — უნებურად მომივიდა.

— რაო? თქვენ კიდევ ბედავთ განაგრძოთ თქვენი სულელური ოხუნჯობა? რატომ ჯარში არ ხართ?

გრებერმა უფრო დაკვირვებით შეათვალიერა მოხუცი. ეს სწორედ ის მაიორი იყო, რომელმაც ერთ საღამოს უკვე უყვირა, როცა ელიზაბეტი სახლამდე მიაცილა და კარის წინ გაჩერდნენ.

— თქვენისთანა სიმულანტი სირცხვილით მიწაში უნდა ძვრებოდე, თქვენ კი ნაცვლად ამისა, ოინბაზობასაც კი ბედავთ! — იყეფებოდა მაიორი.

— კარგი ერთი, ნუ ცხარობთ, თუ შეიძლება, — უთხრა გრებერმა გაჯავრებით, — მომცილდით თავიდან და საერთოდ, უმჯობესია, უკანვე შეძვრებოდეთ თქვენს ნაფტალინიან ზანდუკში!

მოხუცის თვალებმა თითქმის შეშლილის გამომეტყველება მიიღო. ნერწყვი ველარ გადაყლაპა და ჭარხალივით გაწითლდა.

— მე ჩაგასმევინებ თქვენს თავს! — დაიხროტინა მან.

— ეგ არ შეგიძლიათ, თქვენც კარგად იცით. ახლა კი თავი გამანებეთ, თქვენთვის არა მცხელა.

— ეს ხომ... — მაიორი ის იყო თავიდან აპირებდა ყვირილის ატეხას, მაგრამ უეცრად ერთი ნაბიჯი გადადგა გრებერისკენ და ფართოდ გაღებული, ბალნიანი ნესტოებით ჰაერს ყნოსვა დაუწყო. შემდეგ სახე დაღმიჭა, — აა, ახლა გასაგებია, — განაცხადა მან ზიზღით, — აი, თურმე რატომ არა ხართ ჯარში! მესამე სქესი! ფუი, დალახვროს ეშმაკმა! სუნამოდასხმული დიაცი! მამათმავალი ბოზი!

მან გადააფურთხა, მოიწმინდა თავისი ჯაგრისისმაგვარი თეთრი ულვაში, ერთხელ კიდევ ესროლა გრებერს უსაზღვრო ზიზღით აღსავსე მზერა და წავიდა. არომატული საბანაო მარილი იყო ამაში დამნაშავე. ახლა გრებერმაც იგრძნო სუნი. „ჰმ, ბოზიო, — ფიქრობდა იგი, — მაგრამ განა შორსა ვარ ამისგან? აი, რად შეუძლია იქცეს ადამიანი, როდესაც სხვას დაჰკანკალებს! ფრაუ ლიზერი, მეკარე — საქმე რომ იყოს, ალბათ ყველაფერს ვიკისრებდი! რა საშინელი სისწრაფით წამოვედი ყირა-ყირა ჩემს სიქველეთა მაღლობიდან“...

მისგან ოდნავ ირიბად, ქუჩის მოპირდაპირე მხარეს გესტაპოს შენობა იდგა. ალაყაფის კარში ახალგაზრდა ესესელი დადიოდა წინ და უკან და ამთქნარებდა. რამდენიმე ესესელი ოფიცერი გამოვიდა გარეთ. იცინოდნენ. შემდეგ ვიღაც ხანში შესული კაცი გამოჩნდა. ქურდულად მიუახლოვდა შენობას, რაღაცას ჭოჭმანობდა, ფანჯრებს მოავლო თვალი, გაჩერდა, ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო და კითხვა დაუწყო. მერე გაიხედ-გამოიხედა, ზეცას ახედა და აუჩქარებლად გაემართა გუშაგისაკენ. ესესელმა გულგრილად გაუსინჯა უწყება და შიგნით შეუშვა.

გრებერი ფანჯრებს მიაჩერდა. კვლავ შიშმა აიტანა, კიდევ უფრო სულშემხუთავმა, მძიმემ და წებოვანმა, ვიდრე მანამდე. ბევრნაირი შიში განეცადა, მწველიც და ბრმაც, გამთანგავიცა და მომდუნებელიც, და აგრეთვე უკანასკნელიც, ყველაზე დიდიც — შიში სულდგმულისა სიკვდილის წინაშე, მაგრამ ეს სხვა შიში, რომელიც თითქოს გსვრიდა, ლორწოიანი იყო და გამხრწნელი, მოუხელთებელი და უძლეველი — შიში უძლურებისა და მღრღნელი ეჭვებისა, გამრყვნელი შიში სხვისი გულისთვის, უდანაშაულო მძევლის გულისთვის, შიში თვითნებობის წინაშე, ძალაუფლებისა და ავტო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მატური არაადამიანობის წინაშე — ეს იყო შავბნელი შიში ჩვენი დროისა.

*

ცვლის გამოსვლას ჯერ კიდევ ბევრი აკლდა, როცა გრებერი უკვე ფაბრიკის წინ იცდიდა. კარგა ხანმა განვლო, ვიდრე ელიზაბეტი გამოჩნდებოდა. და როცა ბოლოს გამოვიდა, გრებერი უკვე შიშობდა, ალბათ ფაბრიკაში დააპატიმრესო. ქალს გაუკვირდა, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი რომ დაინახა, და გაიცინა.

— რა ახალგაზრდა ხარ, — უთხრა მან.

— მე სულაც არ ვგრძნობ თავს ახალგაზრდად. ასე მგონია, თითქოს ასი წლის ვიყო.

— რატომ? რა მოხდა? ვადამდე ადრე ხომ არ უნდა დაბრუნდე უკან?

— არა! ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა.

— იმიტომ ხომ არ გრძნობ თავს ასი წლის მოხუცად, რომ სამოქალაქო ტანსაცმელი გაცვია?

— არ ვიცი. მაგრამ ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ამ წყეულ კოსტიუმთან ერთად ყველა ამქვეყნიურ საზრუნავში გამეყოს თავი. საბუთებისა რა ქენი?

— გავაკეთე, რაც საჭირო იყო, — მიუგო სახეგაბრწყინებულმა ელიზაბეტმა, — შუადღის შესვენების დროს მოვასწარი განცხადების შეტანა.

— ყველაფერი? — წარმოთქვა გრებერმა, — მაშ, ახლა უკვე ვერაფერს იზამ კაცი.

— კი, მაგრამ რა უნდა გაგვეკეთებინა კიდევ?

— არაფერი. მე მხოლოდ შიშმა ამიტანა უეცრად. ვინ იცის, იქნებ სწორად არ ვიქცევით? იქნებ ამან ვნება მოგიტანოს?

— მე? როგორ?

გრებერმა ერთხანს დააყოვნა.

— ყური მოკარი, რომ ზოგჯერ ასეთ შემთხვევებში გესტაპოს ეკითხებიან ხოლმე. იქნებ ამის გამო სჯობდა, რომ ჩვენს ქერქში დავტეულიყავით?

ელიზაბეტი გაჩერდა.

— კიდევ რას მოჰკარი ყური?

— სხვას არაფერს. მე მხოლოდ შიშმა ამიტანა რატომღაც.

— შენ გგონია, მათ შეუძლიათ იმიტომ დამაპატიმრონ, რომ ჩვენ დაქორწინება გვინდა?

— არა, ეგ არა!

— მაშ, სხვა რაღა? გგონია, შეუძლიათ იმას მიაკვლიონ, რომ მამაჩემი საკონცენტრაციო ბანაკშია?

— არც ეგ, — გააწყვეტინა გრებერმა, — ეგ მათ უთუოდ ისედაც იციან. მაგრამ შეიძლება სჯობდეს, რომ არავის ყურადღება არ მიიქციოს კაცმა. გესტაპოსგან ყველაფერია მოსალოდნელი. ხომ შეიძლება იქ რომელიმე მათგანს იდიოტური აზრი დაებადოს თავში?.. განა არ იცი, როგორც ხდება ხოლმე ყველაფერი? კანონიერებაზე აქ ლაპარაკიც ზედმეტია.

ელიზაბეტი წამით ჩაფიქრდა.

— მაშ, როგორ მოვიქცეთ? — შეეკითხა შემდეგ.

— მთელი დღე ამაზე ვფიქრობდი. მაგრამ, მე მგონი, ახლა უკვე ვერაფერს იზამ კაცი. განცხადება უკან რომ გამოვიტანოთ, ალბათ ამით კიდევ უფრო მეტად მივიქცევთ ყურადღებას.

ქალმა თავი დაუქნია და რაღაც უცნაურად შეხედა.

— მიუხედავად ამისა, მაინც შეიძლება შევეცადოთ.

— უკვე გვიან არის, ელიზაბეტ! ახლა უნდა გამბედაობა მოვიკრიბოთ და დავიცადოთ.

გზა განაგრძეს. ფაბრიკა პატარა მოედანზე მდებარეობდა და ყოველი მხრიდან კარგად ჩანდა. გრებერი ყურადღებით უჭვრეტდა მას.

— თქვენ აქ არასოდეს არ დაუბომბიხართ?

— ჯერ არა.

— შენობა სულ მთლად გაშიშვლებულ ადგილზე დგას. მფრინავმა იოლად უნდა შენიშნოს, რომ აქ ფაბრიკაა.

— ჩვენ დიდი თავშესაფრები გვაქვს.

— საიმედონია?

— მე მგონი, რომ ცოტად თუ ბევრად კი.

გრებერმა ელიზაბეტს შეხედა. ქალი მის გვერდით მიდიოდა და მას არ უყურებდა.

— ღვთის გულისათვის, ცუდად არ გამიგო, — წარმოთქვა ვაჟმა, — ჩემი თავის ჯავრი კი არა მაქვს, მე მხოლოდ შენზე ვფიქრობ.

— ჩემზე ნურას ინაღვლი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— რატომ? შენ არ გეშინია?

— მე უკვე ყოველგვარი შიში გამოვცადე, რომელიც კი არსებობს და ახლის განცდის უნარი უკვე აღარ შემწევს.

— მე კი შემწევს, — უთხრა გრებერმა, — როდესაც ვინმე გიყვარს, ათასნაირი ახალი შიში გიჩნდება, რომელთა შესახებ წინათ არაფერი იცოდი.

ელიზაბეტი ვაჟს მიუბრუნდა. ანაზდეულად გაულიმა. ვაჟმა შეხედა და თავი დაუქნია.

— მე არ დამვიწყებია, რაც გუშინწინ ვილაპარაკე, — წარმოთქვა მან, — ნუთუ აუცილებელია, რომ ჯერ შიში განიცადო, რათა დარწმუნდე, რომ ვიღაც გიყვარს?

— არ ვიცი. მაგრამ, მე მგონი, ეს შველის.

— წყეული კოსტიუმი. ხვალ ისევ გავიძრობ. მე კი მეგონა, რომ სამოქალაქო პირებს სახარბიელო ცხოვრება ჰქონდათ.

ელიზაბეტმა გაიცინა.

— მაშ, მხოლოდ კოსტიუმის ბრალია ყველაფერი?

— არა, — მიუგო ვაჟმა და გულზე მოეშვა, — ეს იმის ბრალია, რომ მინდა კვლავ ვიცოცხლო. ამას კი, როგორც ჩანს, შიშიც მოსდევს. მთელი დღე მოშხამული ვიყავი. ახლა კი, მას შემდეგ, რაც შენ გნახე, უკეთესად ვარ. ცვლილება კი არავითარი არ მომხდარა. საკვირველია, რაოდენ ცოტაა საჭირო შიშისთვის.

— და სიყვარულისთვისაც, — თქვა ელიზაბეტმა, — მადლობა ღმერთს, რომ ეს ასეა.

გრებერმა შეხედა. ქალი თავისუფლად და უდარდელად მოაბიჯებდა მის გვერდით: „ახლა სულ სხვანაირია, — გაიფიქრა მან, — ყოველდღე იცვლება. წინათ მას ეშინოდა, ხოლო მე — არა; ამჟამად კი პირიქითაა საქმე“.

ჰიტლერპლაცს ჩაუარეს. ეკლესიის უკან ცისკიდური დაისის ბადახშით შელებილიყო.

— ნეტავ სად არის კიდევ ხანძარი? — შეეკითხა ელიზაბეტი.

— არსად. ეს მხოლოდ დაისია.

— დაისი! იგი უკვე აღარ ახსენდება ადამიანს, ასე არ არის?

— ჰო...

გზა განაგრძეს. დაისის სიწითლე გაძლიერდა და გამუქდა. იგი ანათებდა მათ სახეებსა და ხელებს. გრებერი უჭვრეტდა გამ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვლელ-გამომვლელთ და ანაზდეულად სულ სხვანაირები ეჩვენებო-და ისინი, ვიდრე წინათ ყოველი მათგანი ადამიანი იყო და საკუთარი სვე ჰქონდა. „რა იოლია სხვა გაჰკიცხო და მამაცი დარჩე, როდესაც არაფერი გაქვს, — გაიფიქრა მან, — მაგრამ როდესაც რამე გაგაჩ-ნია, მთელი სამყარო იცვლება. ყველაფერი იოლდება და ძნელდება კიდეც, ხოლო ზოგჯერ მთლად შეუძლებელიც კი ხდება. ამასაც სიმამაცე სჭირდება, მაგრამ იგი სულ სხვანაირად გამოიყურება, სულ სხვა სახელიც ჰქვია და არსებითად იგი ჯერ მხოლოდ იწყე-ბა“. გრებერმა ღრმად ამოისუნთქა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თით-ქოს მტრის ტერიტორიაზე სახიფათო დავალების შესრულების შემ-დეგ უკან დაბრუნებულიყოს ჯარის სადგომში: მართალია, საფრთხე არც აქ იყო ნაკლები, მაგრამ მაინც რამდენიმე ხნით თავშესაფარში იქნები კაცი.

— რა უცნაურია, — წარმოთქვა ელიზაბეტმა, — როგორც ჩანს, მართლაც უკვე გაზაფხულია. ეს ხომ მთლად დანგრეული ქუჩაა და საიდან უნდა იყოს... და მაინც, მიუხედავად ამისა, მგონი, იების სურნელი მომდის...

XVIII

ბოტჰერი თავის ნივთებს ალაგებდა. დანარჩენები გარს შემოხ-ვეოდნენ.

— მართლა იპოვე ცოლი? — შეეკითხა გრებერი.

— ჰო, მაგრამ...

— სად?

— ქუჩაში, — მიუგო ბოტჰერმა, — კელერშტრასესა და ბორშ-ტრასეს კუთხეში იდგა, აი იქ, სადაც წინათ ქოლგების მაღაზია იყო. პირველად ვერც კი ვიცანი.

— მერედა სად იყო მთელი ამ ხნის განმავლობაში?

— ერფურტთან მდებარე ბანაკში. ყური დამიგდეთ! აი, ასე იყო ყველაფერი: დგას იგი, ერთი სიტყვით, მაღაზიის გვერდით და მე ვერ ვამჩნევ. წინ ჩავუვლი და ის კი მეძახის: „ოტო! ველარა მცნობ?“ — ბოტჰერმა ცოტა ხნით შეისვენა და ყაზარმის ოთახს მოავლო

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თვალი, — აბა, ძმებო, როგორ შეიძლება იცნო ქალი, რომელსაც ორმოც კილომდე დაუკლია?

— რა ქნოდება ბანაკს, სადაც ის იყო?

— არ ვიცი. მგონი, „ძეირუ სატეკი ბანაკი". შემიძლია ცოლს ვკითხო. მაგრამ დამაცადეთ, ბოლომდე გიამბოთ! მიეჩერებიარ ამ ქალს და ვეუბნები: „ალმა, ეს შენა ხარ?" „მე ვარ, — ამბობს იგი, — იცი, ოტო, გული მითქვამდა, რომ შენ მეკუბულებაში ჩამოხვიდოდი და აი, ამის გამო უკან დაუბრუნდი კიდეც". მე კი ისევ და ისევ პირდაღებული მიეჩერებიარ. წარმოგიდგენიათ, ქალი, რომელიც საფორნე ცხენივით ზორბა იყო, ახლა ჩემ წინ საშინლად დამეჭლეკებული იდგა, სულ რაღაც ორმოცდახუთი კილო თუ გამოვიდოდა, მაშინ როდესაც წინათ ოთხმოც კილოზე მეტს იწონიდა, პირდაპირ ჩონჩხადღა ქცეულიყო, კაბაში ჩხირივით ეყუდა, აი, ლობიოს სარი ხო გინახავთ!

ბოტპერი აქშინდა.

— მერედა რამსიმაღლეა? — შეეკითხა დაინტერესებული ფელდმანი.

— რა თქვი?

— რამსიმაღლეა-მეთქი შენი ცოლი?

— დაახლოებით ერთი მეტრი და სამოცი სანტიმეტრი. რაზე მეკითხები?

— მაშ, ნორმალური წონა ჰქონია და ეგ არის.

— ნორმალური წონაო? აბა, რას ამბობ, კაცო? — ბოტპერი ფელდმანს მიაჩერდა, — ჩემთვის ეგ არ გამოდგება! ჩემთვის ის ქარივით მჩატეა! ფეხებზედაც არა მკიდია შენი წყეული ნორმალური წონა! მე მსურს ისევ ისეთი ცოლი მყავდეს, როგორიც მყავდა, გათქვირული და ისეთი გაკის მქონე, რომელზედაც თუ გინდა კაკლებს დაამტვრევდი, ნაცვლად ამისა კი ახლა ასე საშინლად არის ჩალასტული. რისთვის ვიბრძვი? ნუთუ ამისთვის?

— შენ იბრძვი ჩვენი ფეიურერისა და ჩვენი ძვირფასი სამშობლოსთვის და არა შენი ცოლის საკლავი წონისთვის, — უთხრა როიტერმა, — სამი წელიწადი ფრონტზე გაატარე და ეს არ იცი?

— საკლავი წონაო? მერედა ვინ ლაპარაკობს საკლავ წონაზე? — ბოტპერს გაბრაზებითა და უმწეოდ გადაჰქონდა მზერა ერთიდან მეორეზე, — ეს ცოცხალი წონა იყო! ხოლო ყოველივე დანარჩენთან ერთად შეგიძლიათ უკან შე...

— სდექ! — როიტერმა გამაფრთხილებლად ასწია ხელი, — გულში იფიქრე, რაც გსურს, მაგრამ ხმამაღლა ნუ იტყვი! და გიხაროდეს, რომ შენი ცოლი ცოცხალი მაინც არის!

— მერე მე განა არ მიხარია?! მაგრამ ნუთუ არ შეიძლებოდა, რომ ცოცხალი გადარჩენილიყო და ამავე დროს კვლავინდებურად ჩატუკნული ყოფილიყო?

— ბოტჰერ! — უთხრა ფელდმანმა, — ხომ შეიძლება, რომ ისევ გაასუქო.

— რას ამბობ, მართლა? მერე რით? იმ ერთი ციცქნა სანოვაგით, რასაც წიგნაკებზე იძლევიან?

— იქნებ ისე უშოვო რამე.

— ჰო, თქვენთვის იოლია რჩევა! სხვა სხვის ომში ბრძენიაო, ნათქვამია, — განაცხადა ბოტჰერმა მწარედ, — მაგრამ მე კი მხოლოდ სამი დღეღა დამრჩა შვებულებიდან. როგორ უნდა გავასუქო ჩემი ცოლი ამ სამ დღეში? თუნდაც რომ სულ თევზის ქონში იბანაოს და დღეში შვიდჯერ ჭამოს, სულ ბევრი-ბევრი, შეიძლება ერთი ან ორი კილო მოიმატოს, და ეს კი, აბა, რა არის? ეჰ, ძმობილო, უკულმართადაა ჩემი საქმე!

— როგორ? შენ ხომ შენი სქელი დიასახლისიც გყავს, თუ სიმსუქნეზე გწყდება მაინცდამაინც გული.

— მთელი უბედურებაც ეგაა. ვფიქრობდი, როცა ჩემი ცოლი დაბრუნდება, ალბათ დიასახლისის სახელსაც აღარ ვახსენებ-მეთქი. მე ოჯახის კაცი ვარ და აქეთ-იქით ქალებში წანწალი არ მიყვარს. და აი, ახლა კი დიასახლისი უფრო მომწონს.

— შენ გეტყობა, საშინლად ქარაფშუტა კაცი ხარ, — უთხრა როიტერმა.

— სულაც არა ვარ ქარაფშუტა! პირიქით, ერთობ ღრმად განვიცდი ყოველივეს და ეგ არის სწორედ ჩემი ნაკლი. წინაალმდეგ შემთხვევაში ხომ კმაყოფილი ვიქნებოდი. მაგრამ ეს თქვენ არ გესმით, თქვე ოხრებო!

ბოტჰერი თავის სანივთე კარადასთან მივიდა და ზურგჩანთაში უკანასკნელი ნივთები ჩაყარა.

— იცი კი, სად იცხოვრებ შენს ცოლთან ერთად? — შეეკითხა გრებერი, — თუ ძველი ბინა გადაგირჩა?

— რას ამბობ, რა გადამირჩა! დაბომბვაში მოყვა! მაგრამ მირჩევნია სადმე ნანგრევების ქვეშ ვიცხოვრო სარდაფში, ვიდრე თუნ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაც ერთი დღე კიდევ დავრჩე აქ. უბედურება იმაშია, რომ ცოლი აღარ მიზიდავს. მე, რა თქმა უნდა, კიდევ მიყვარს იგი, ტყუილად კი არ შევირთე, მაგრამ ისეთი, როგორიც ამჟამადაა, აღარ მომწონს. რა ვქნა, სხვაფრივ არ შემიძლია. რას გააწყობ აქ კაცი? ქალიც, რა თქმა უნდა, გრძნობს ამას.

— რამდენი ხანი დაგრჩა კიდევ შვებულებიდან?

— სამი დღე.

— არ შეგიძლია მერე, რომ ეს რამდენიმე დღე თავი როგორმე კვლავინდებურად მოაჩვენო?

— ძმობილო, იცი, რას გეტყვი, — მიუგო ბოტჰერმა დინჯად, — საწოლში შეიძლება ქალმა მოიკატუნოს თავი, კაცმა კი არა. დამიჯერე, ის სჯობდა, ცოლის უნახავი დავბრუნებულიყავი უკან, თორემ ერთმანეთს ვტანჯავთ და მეტი არაფერი.

თავის ბარგს დაავლო ხელი და წავიდა.

როიტერმა თვალი გააყოლა. მერე გრებერს მიუბრუნდა.

— შენ? შენ რალას აპირებ?

— სათადარიგო ბატალიონში მივდივარ. მინდა ყოველი შემთხვევისთვის კიდევ ერთხელ ვიკითხო, დამატებით რამე საბუთი ხომ არ დამჭირდება.

როიტერი გაიღრიჭა.

— შენი მეგობრის, ბოტჰერის ხვედრი არ გაშინებს მერე?

— არა, მე სულ სხვა ამბები მაშინებს.

*

— ძალიან დაძაბული მდგომარეობაა, — უთხრა სათადარიგო ბატალიონის კანცელარიის მწერალმა გრებერს, — ძალიან დაძაბული მდგომარეობაა ფრონტზე. იცი, ასეთი გაწამაწიის დროს რას აკეთებენ?

— ცდილობენ, სადმე შეაფარონ თავი, — მიუგო გრებერმა, — ეს ყოველმა ბავშვმაც კი იცის. მაგრამ მე რა! მე შვებულება მაქვს.

— ეს შენ მხოლოდ გგონია, რომ შვებულება გაქვს, — გაუსწორა მწერალმა, — რას იძლევი, მე რომ ერთი ბრძანება გაჩვენო, რომელიც დღეს მოვიდა?

— ეგ, რომ მაჩვენებ, მერე გამოჩნდება.

გრებერმა ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო და მაგიდაზე დადო. იგრძნო, როგორ შეეკუმშა გული.

— ჰო, დაძაბული მდგომარეობაა, — გაიმეორა მწერალმა, — მძიმე დანაკლისს იუწყებიან. სასწრაფოდ უნდა გაიგზავნოს შეკვეცა. ყველა შვებულებიანი, რომელსაც რაიმე საპატიო მიზეზი არ გააჩნია, დაუყოვნებლივ უკან უნდა დაბრუნდეს, მიხვდი?

— კი. საპატიო მიზეზად რა ითვლება?

— ახლობელთა სიკვდილი, გადაუდებელ საოჯახო საქმეთა მოწესრიგება, მძიმე ავადმყოფობა...

მწერალი სიგარეტს დასწვდა.

— ასე რომ, გაქრი, თვალით აღარ დაენახვო! თუ ვერ გიპოვიან, მაშინ ვერც უკან დაგაბრუნებენ. შავი ჭირივით უფრთხოდე ყაზარმას. სადმე შეაფარე თავი, ვიდრე შვებულება გაგითავდებოდეს და მერე გამოცხადდი. რას გიზამენ? დაგსჯიან იმისთვის, რომ დროულად არ მოახსენე მისამართის გამოცვლა? შენ ხომ ისედაც ფრონტზე მიდიხარ და სხვა რაღა უნდა გიყონ?

— მე ცოლს ვირთავ, — უთხრა გრებერმა, — ეს საპატიო მიზეზია?

— ცოლს ირთავ?

— კი, სწორედ ამის გამო მოვედი. მინდა გავიგო, ჯარისკაცის წიგნაკის გარდა, სხვა საბუთები ხომ არ დამჭირდება.

— ქორწინება! ეს შეიძლება საპატიო მიზეზი იყოს. შეიძლება-მეთქი, ვიმეორებ, — მწერალმა სიგარეტს მოუკიდა, — ჰო, მართლაც საპატიო მიზეზი უნდა იყოს, მაგრამ რად გინდა მანდამდე მიიყვანო საქმე? როგორც ფრონტელ კაცს, რაიმე განსაკუთრებული საბუთები შენ არ გჭირდება, ხოლო თუ მაინც რამე მოგთხოვეს, ჩემთან მოდი და მე გაგიჩარხავ საქმეს, ისე, რომ ძეხორციელმა ვერ გაიგოს. ხეირიანი ტანსაცმელი არა გაქვს? მაგ ძველმანებში ხომ ვერ იქორწინებ?

— აქ არ გამომიცვლიან?

— კაპტენარმუსთან[1] წადი, — უთხრა მწერალმა, — აუხსენი, რომ ცოლს ირთავ. უთხარი, რომ მე გაგგზავნე მასთან. კიდევ ხომ არა გაქვს ზედმეტი სიგარეტი?

— არა, მაგრამ, მგონი, შემიძლია კიდევ ერთი კოლოფი ვიშოვო.

---

[1] *კაპტენარმუსი — თანამდებობის პირი სერჟანტთა შემადგენლობაში, რომელსაც ევალება მიიღოს პოლკის საწყობიდან სურსათი, ტანისამოსი, იარაღი და შემდეგ დაურიგოს ასეულის სერჟანტებსა და ჯარისკაცებს.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ჩემთვის კი არა, ფელდფებელისთვის.

— ვნახოთ, არ ვიცი... ფრინტელიან შეულლების შემთხვევაში ქალს რაიმე დამატებითი საბუთები სჭირდება თუ არა?

— წარმოდგენა არა მაქვს. მაგრამ, მგონი, რომ არა. ასეთი ქორწინება ხომ სახელდახელოდ ხდება ხოლმე, — მწერალმა საათზე დაიხედა, — ახლაც გასწი საწყობისკენ. ფელდფებელი ამ დროს იქ არის ხოლმე.

*

გრებერი იმ ფრთედისკენ გაემართა, რომელშიც საწყობი განთავსებინათ. იგი სხვენზე მდებარეობდა. ფელდფებელი მსუქანი იყო და თვალები სხვადასხვა ფერისა ჰქონდა, ერთი არაბუნებრივად ლურჯი, თითქმის იისფერი, მეორე კი უფრო ღია, თაფლისფერი.

— რას მოძებრებიხართ? — დაუტია მან, — შუშის თვალი არ გინახავთ?

— როგორ არა, მაგრამ ეგრე განსხვავებული ფერისა კი არა.

— ეს ჩემი არ არის, შე რეგვენო! — ფელდფებელმა ლურჯ, გაცისკროვნებულ თვალზე დაიკაკუნა, — ერთი ჩემი ამხანაგისგან ვითხოვე. ჩემი გუშინ ძირს დამეცარდა. ის თაფლისფერი იყო. ეს ოხრები მაშინვე იმსხვრევიან. მათ ცელულოიდისგან უნდა აკეთებდნენ.

— მაშინ ცეცხლსაშიში იქნებოდნენ.

ფელდფებელმა ზეაიღო თავი. გრებერის ორდენები შეათვალიერა და მერე გაიღრიჭა:

— ესეც მართალია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, თქვენთვის ფორმა მაინც არა მაქვს. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ რაც კი გაგვაჩნია, ყველა უფრო ცუდია, ეიდრე თქვენი.

მან თავისი ლურჯი თვალის გამსჭვალავი მზერა მიაპყრო გრებერს. თაფლისფერი უფრო მქრქალი იყო. გრებერმა მაგიდაზე ბინდინგისეული სიგარეტის კოლოფი დადო. ფელდფებელმა თაფლისფერი თვალი გააპარა მისკენ, გატრიალდა და უკან მუნდირით ხელში დაბრუნდა.

— აი, ამის მეტი არაფერი მაქვს.

გრებერმა ხელი არ ახლო მუნდირს. ჯიბიდან კონიაკის პატარა, ბრტყელი ბოთლი ამოიღო, რომელიც ყოველი შემთხვევისთვის თან ჰქონდა, და სიგარეტის გვერდით დადგა. ფელდფებელი გაუჩინარდა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და უკან უკეთესი მუნდირითა და თითქმის სრულიად ახალი შარვლით დაბრუნდა. გრებერმა ჯერ შარვალს წაავლო ხელი, — მისი საკუთარი ბევრ ადგილას იყო დაკემსილი, — გაშალა და შენიშნა: კაპტენარმუსს შარვალი ისე დაეკეცა, რომ ხელისგულისოდენა ლაქა არ გამოჩენილიყო. გრებერმა უსიტყვოდ შეხედა ლაქას და შემდეგ ჯონიაკს.

— ეს სისხლი არ არის, — უთხრა ფელდფებელმა, — ეს საუკეთესო ზეითუნის ზეთია. მაგის პატრონი იტალიიდან ჩამოვიდა. ერთი ბჭო ბენზინი მაშინვე ამოიყვანს მაგ ლაქას.

— თუ ეგრე იოლი საქმეა, რატომ გამოცვალა მაგის პატრონმა და თვითონ არ გაწმინდა?

ფელდფებელმა კბილები გამოაჩინა.

— სწორი შეკითხვაა, მაგრამ იმ ჯარისკაცს ისეთი ფორმა უნდოდა, რომელიც ფრონტის სუნით იქნებოდა აყროლებული. აი, ისეთი, როგორიც თქვენ გაცვიათ ამჟამად. ორი წელი მილანში გაეტარებინა კანცელარიის მოხელედ და საცოლეს კი თურმე წერილებს ფრონტიდან სწერდა. აბა, სახლში როგორ ჩასულიყო ახალი შარვლით, რომელზედაც მხოლოდ ერთი ბადია სალათი გადასხმოდა. ეს მართლაც ყველაზე კარგი შარვალია, რომელიც კი მე გამაჩნია.

გრებერს არ სჯეროდა მისი, მაგრამ მეტი არაფერი ჰქონდა თან, რომ უფრო უკეთესი რამ ეკისრებინა ფელდფებელისთვის. მიუხედავად ამისა, მან თავი გააქნია.

— კარგი, მაშ, — თქვა ფელდფებელმა, — არის სხვა წინადადებაც: შეგიძლიათ კი არ გადაცვალოთ თქვენს ფორმაზე, არამედ ისე წაიღოთ. თქვენი ძველმანებიც ისევ თქვენ დაგრჩებათ და ამასთანავე გამოსასვლელი ფორმაც გექნებათ. თანახმა ხართ?

— მერე ძველი თქვენ განა არ გჭირდებათ, რომ ფორმათა საერთო სათვალავი არ აგერიოთ?

ფელდფებელმა უგულებელმყოფელი მოძრაობა გააკეთა. მის ლურჯ თვალში მზის მტვრიანი შუქი აირეკლა, რომელიც ფანჯრიდან ატანდა საწყობში.

— სათვალავი დიდი ხანია არეულია. და ან კი, საერთოდ, სხვა რა არის კიდევ რიგზე? შეგიძლიათ დამისახელოთ?

— არა!

— ჰოდა, მაშ ასე, — მიუგო ფელდფებელმა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

*

გრებერმა ქალაქის საკადმყოფოს წინ ჩაიარა და გაჩერდა, მუციგი გაახსენდა. მას ხომ დაპპირდა, გინახულებო. წამით ყოყმანობდა, მაგრამ შემდეგ შიგნით შევიდა. ანაზდად ცრუმორწმუნეობრივი გრძნობა აღეძრა, რომ კეთილი საქმით ბედს მოისყიდდა.

ამპუტირებულნი მეორე სართულზე იყვნენ. პირველზე კი მძიმედ დაჭრილნი და ახალნაოპერაციევნი იწვნენ; საჰაერო თავდასხმის დროს აქედან ყველაზე სწრაფად შეიძლებოდა თავშესაფარში მათი გადაყვანა. ამპუტირებულნი უმწეოებად არ ითვლებოდნენ; ამის გამო ისინი უფრო ზევით მოეთავსებინათ. საჰაერო განგაშის დროს მათ შეეძლოთ ერთმანეთს დახმარებოდნენ. იმას, ვისაც ორივე ფეხი ჰქონდა მოჭრილი, საჭიროების შემთხვევაში შეეძლო ხელებით კისერზე მოხვეოდა ორ ამხანაგს, რომელთაც ხელები ჰქონდათ ამპუტირებული, და ასე მიეღწია თავშესაფრამდე, ვიდრე საკადმყოფოს პერსონალი მწოლიარე კადმყოფების გადარჩენით იქნებოდა დაკავებული.

— შენა ხარ? — უთხრა მუციგმა გრებერს, — არ მეგონა თუ მოხვიდოდი.

— არც მე, მაგრამ, როგორც ხედავ, აქა ვარ.

— ეს შესანიშნავია, ერნსტ შტოკმანიც ჩვენთან არის. შენ, მგონი, მასთან ერთად იყავი აფრიკაში?

— კი.

შტოკმანს მარჯვენა მკლავი დაეკარგა. იგი სკატს ეთამაშებოდა ორ სხვა ხეიბარს.

— ერნსტ, — შეეკითხა იგი, — შენ რაღა დაგემართა? — და თან თვალი შეავლო გრებერს, — თავისდა უნებურად ჭრილობას დაუწყო ძებნა.

— არაფერი, — მიუგო გრებერმა. ყველა მას უყურებდა. ყველას მზერა იმასვე ამბობდა, რასაც შტოკმანისა, — მე შვებულებაში ვარ, — წარმოთქვა დარცხვენით. თავს თითქმის დამნაშავედ გრძნობდა, რომ საღ-სალამათი იყო.

— მეგონა, აფრიკაში საკმაო ამბები გადაგხდა იმისთვის, რომ სამუდამო პასპორტით მოყუჩებულიყავი სამშობლოში.

— მაშინ მე გამკერ-გამომკერეს და მერე რუსეთში გამგზავნეს.

— ბედს გაულიმია შენთვის და ეგ არის. კაცმა რომ თქვას, ჩემთვისაც. სხვები ტყვედ ჩაცვივდნენ. თვითმფრინავებით მათი გადმოყ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვანა ველარ მოასწრეს, — შტოკმანმა თავი გააქნ-გამოაქნია, — თუკი ამას ბედის გალიმება შეიძლება ეწოდოს.

შუაში მჯდომმა ბანქოს მოთამაშემ თავისი კარტები მაგიდაზე დაანარცხა.

— ვთამაშობთ, თუ ვლაყბობთ? — იკითხა მან უკმეხად.

გრუბერმა შენიშნა, რომ ამ კაცს არც ერთი ფეხი არ ჰქონდა. ზედ ძირში მოეჭრათ. მარჯვენა ხელზე კი ორი თითი აკლდა და აღარც წამწამები გააჩნდა. ქუთუთოებზე ახალი კანი გამოსვლოდა და წითლად ულაპლაპებდა, ეტყობა, თვალები დასწვოდა.

— განაგრძეთ თამაში, — თქვა გრუბერმა, — მე დრო მაქვს.

— მხოლოდ ეს ერთი ხელი, — უთხრა შტოკმანმა, — ახლავე მოვრჩებით.

გრუბერი მუციგის გვერდით დაჯდა ფანჯარასთან.

— არ გეწყინოს არნოლდისგან, — წასჩურჩულა მუციგმა, — დღეს გუნებაზე ვერ არის.

— იმაზე ამბობ არა, შუაში რომ ზის?

— ჰო! გუშინ მისი ცოლი იყო აქ. ამის შემდეგ ყოველთვის რამდენიმე დღე საშინელ ხასიათზეა ხოლმე.

— შენ ეი, რას ყბედობ მანდ? — დაუყვირა არნოლდმა.

— წარსულს ვიგონებთ, ამის უფლება გვაქვს, მე მგონი!..

არნოლდმა რაღაც ჩაიბურტყუნა და თამაში განაგრძო.

— საერთოდ კი ურიგოდ არა ვართ აქ, — წარმოთქვა მუციგმა სხაპასხუპით, — დროსაც კი ვატარებთ. არნოლდი კალატოზი იყო; ეს, როგორც იცი, იოლი საქმე არ არის. და წარმოგიდგენია, ცოლი ღალატობს; დედამ მოუტანა ამბავი.

შტოკმანმა მაგიდაზე დაანარცხა კარტები.

— დასწყევლოს, რა ჯანდაბა მომივიდა, როგორ დავინავსე! ჯერის ტუზის იმედზე ვიყავი. როგორ იფიქრებ კაცი, რომ ერთს უჭირავს სამი ვალეტი!

არნოლდმა რაღაც ჩაიკიკინა და ბანქოს არევა განაგრძო.

— ზოგჯერ კაცმა არ იცი, რა სჯობია, როცა ცოლის შერთვა გინდა, — თქვა მუციგმა, — ცალი ხელი არა გქონდეს თუ ცალი ფეხი. შტოკმანი ამბობს, ხელიო. კი მაგრამ, როგორ მოეხვევი ქალს ცალი ხელით ლოგინში, არადა, ხომ უნდა მოეხვიო?

— მაგას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, რომ ცოცხალი გადარჩი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ჰო, მაგრამ ამით ხომ ვერ ისულდგმულებ მთელი შენი სიცოცხლის განმავლობაში. ომის შემდეგ კიდევ არა უშავს, მაგრამ მერე უკვე გმირი კი აღარ იქნები, არამედ მხოლოდ სახიჩარი.

— არა მგონია. თანაც ხომ არსებობს შესანიშნავი პროთეზები.

— მე მაგას არ გეუბნები, — უთხრა მუციგმა, — მე მუშაობას არ ვგულისხმობ.

— ჩვენ უნდა ომი მოვიგოთ, — განაცხადა უეცრად არნოლდმა ხმამაღლა, რომელსაც ყური მიეგდო მათი საუბრისთვის, — დაე, ახლა სხვებმაც იწვნიონ. ჩვენგან კი კმარა, რაც გავაკეთეთ, — მან შულლით აღსავსე მზერა ესროლა გრებერს, — ზოგი სიმულანტი ფრონტს რომ არ არიდებდეს თავს, მაშინ ასე გამუდმებით აღარ მოგვიხდებოდა უკან დახევა!

გრებერს არაფერი უპასუხია. ამპუტირებულთან კამათი არ შეიძლებოდა. ვინც ხელი ან ფეხი დაკარგა, ის ყოველთვის მართალი იყო. კამათი შეიძლებოდა იმასთან, ვისაც ფილტვი ჰქონდა გახვრეტილი ტყვიით, ან ნამსხვრევი მოხვედროდა კუჭში და შეიძლება კიდევ უარესი რამეც იყო მის თავს, მაგრამ — უცნაურია — ამპუტირებულთან კი არა.

არნოლდმა თამაში განაგრძო.

— რას იტყვი, ერნსტ? — შეეკითხა ცოტა ხნის შემდეგ მუციგი, — მე მიუნსტერში ერთი გოგო მყავდა. ჩვენ ახლაც გვაქვს ერთმანეთთან მიმოწერა. მას ჰგონია, რომ ფეხში ვარ დაჭრილი და მეტი არაფერი. ხოლო აი, ამის შესახებ ჯერ არაფერი მიმიწერია.

— ჯერ დაიცადე. და გიხაროდეს, რომ ფრონტზე დაბრუნება არ მოგელის.

— ეგ ხომ მიხარია, ერნსტ! მაგრამ განა რამდენ ხანს შეიძლება ეს მიხაროდეს?

— პირდაპირ გულს მირევთ, — უთხრა მუციგს უეცრად ბანქოს მოთამაშეთა ირგვლივ მსხდომ გულშემატკივართაგან ერთ-ერთმა — დათვერით და ისე მაინც იყავით ვაჟკაცები!

შტოკმანმა გადაიხარხარა.

— რას იცინი? — შეეკითხა არნოლდი.

— რა და ეს-ეს არის გამიელვა თავში, თუ რა იქნებოდა, ამაღამ რომ მძიმე ყუმბარამ მოადინოს ტყაპანი ჩვენთან — ტყლაპ! შიგ

შუაში, ისე, რომ ქვა ქვაზე აღარ დარჩეს, — სულ ამაო არ იქნებოდა მაშინ მთელი ჩვენი დარდი და ვარამი?

გრებერი წამოდგა. მან დაინახა, რომ გულშემატკივარს ორივე ფეხი აკლდა. „ან ნალმმა მოსწყვიტა, ანდა მოეყინებოდა“, — გაიფიქრა ავტომატურად.

— მერედა სად არის ჩვენი საზენიტო არტილერია? — შეულრინა არნოლდმა, — ნუთუ სულ ერთიანად ფრონტზე სჭირდებათ იგი? აქ თითქმის აღარაფერი დარჩა.

— აღარც ფრონტზე!

— რაო?

გრებერი მიხვდა, რომ შეცდომა დაუშვა.

— ფრონტზე ჩვენ ახალ საიდუმლო იარაღებს ველით, — წარმოთქვა მან, — ამბობენ, ნამდვილი სასწაულებრივი ძალისანი არიანო.

არნოლდი მიაჩერდა მას:

— დალახვროს ეშმაკმა, როგორ ლაპარაკობ? შენ რომ ყური დაგიგდოს კაცმა, იფიქრებს, ომს ვაგებთო! არა, ეს არ შეიძლება მოხდეს! თუ გგონია, რომ მე მინდა პატარა ქეციან ურიკაში ვიჯდე და ასანთი გავყიდო ხოლმე, როგორც ამას პირველი მსოფლიო ომის შემდეგ იქმოდნენ ინვალიდები? ჩვენ უფლებები გვაქვს! ფიურერი დაგვპირდა ამას!

აღელვებულმა კარტები მაგიდაზე დაყარა.

— მიდი, რადიო ჩართე, — უთხრა გულშემატკივარმა მუციგს, — მუსიკა მოვისმინოთ!

მუციგმა სახელური დაატრიალა. რეპროდუქტორიდან მყვირალა ფრაზები გადმოიფრქვა. მან კიდევ გადაატრიალა სახელური.

— მოიცა, ეგ იყოს! — დაუყვირა არნოლდმა გაჯავრებით.

— რად გინდა? ისევ სიტყვას ამბობს ვიღაცა.

— მაგაზე დააყენე, გეუბნები! ეს პარტიული სიტყვაა. ყველა რომ უსმენდეს ხოლმე ასეთ რამეებს, ჩვენი საქმეები ბევრად უკეთ წარიმართებოდა!

მუციგმა ამოიოხრა და სახელური უკან გადაატრიალა. პალატაში ორატორის ბაქია და მყვირალა ხმა დაირხა. არნოლდი კრიჭაშეკრული უსმენდა. სტოკმანმა ხელით ანიშნა გრებერს და მხრები აიჩეჩა. გრებერი მასთან მივიდა.

— აბა, ყოჩაღად იყავ, შტოკმან, — წასჩურჩულა მან, — მე უნდა წავიდე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— უკეთეს ადგილზე ხარ წასასვლელი, არა?

— არა, მაგრამ უნდა წავიდე.

გასასვლელისკენ გაემართა. დანარჩენებმა თვალი გააყოლეს. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს შიშველი იყო. ნელა გაიარა დარბაზი, რადგან ფიქრობდა, რომ ასე უფრო ნაკლებად გამომწვევი იქნებოდა ამპუტირებულთათვის, მაგრამ ხედავდა, როგორი მზერით აცილებდნენ. მუციგი კარამდე გაჰყვა ჩლახუნით.

— კიდევ შემოიარე, — უთხრა მქრქალი შუქით განათებულ ნაცრისფერ დერეფანში, — დღეს ცუდ ფეხზე მოხვედი. სხვა დროს უფრო მხნედ ვართ ხოლმე.

გრებერი ქუჩაში გამოვიდა. გარეთ უკვე ბინდდებოდა და ანაზდეულად, კვლავ დაეუფლა შიში ელიზაბეტის გამო. მთელი დღის განმავლობაში ცდილობდა, როგორმე გაჰქცეოდა მას, მაგრამ ახლა მწუხრის უცნობ შუქში, თითქოს იგი ყოველი კუნჭულიდან მოძვრებოდა მისკენ.

*

პოლმანთან წავიდა. მოხუცმა მაშინვე გაულო კარი, თითქოს ვიღაც სხვას ელოდა.

— ეს თქვენ ხართ, გრებერ? — წარმოთქვა მან.

— დიახ, დიდი ხნით არ მოგაცდნეთ. მხოლოდ ერთი რაღაც მინდა გკითხოთ.

პოლმანმა კარი ყურთამდე გააღო.

— შიგნით შემოდით. გარეთ დგომა არ ეკარგებს. საჭირო არ არის, რომ მეზობლებმა იცოდნენ...

ისინი ლამპით განათებულ ოთახში შევიდნენ. გრებერს ახალმოწეული სიგარეტის კვამლის სუნი ეცა. პოლმანს ხელში სიგარეტი არ ეჭირა.

— აბა, რა გინდათ, რომ მკითხოთ, გრებერ?

გრებერმა მიიხედ-მოიხედა.

— ეს ერთადერთი ოთახი გაქვთ მხოლოდ?

— რატომ მეკითხებით?

— შეიძლება მე ერთი ვინმეს დამალვა დამჭირდეს რამდენიმე დღით. თქვენთან მოხერხდება?

პოლმანი დუმდა.

— მას კი არ ეძებენ, — თქვა გრებერმა, — არამედ მე მხოლოდ ყოველი შემთხვევისთვის მსურდა მცოდნოდა. შეიძლება არც კი გახდეს საჭირო. მე მხოლოდ ვშიშობ... შესაძლოა, ეს შიში ჩემი წარმოსახვის ნაყოფი იყოს და სხვა არაფერი.

— რატომ მაინცდამაინც მე მომმართეთ ამგვარი თხოვნით?

— მე სხვა არავის ვიცნობ...

გრებერმა თავადაც კარგად არ იცოდა, თუ რატომ მოვიდა. რაღაც ქვეშეცნეული გრძნობა უკარნახებდა, დასამალი კუნჭული მოეძებნა უკიდურესი შემთხვევისათვის.

— ვინ არის მერე იგი?

— ქალიშვილი, რომლის ცოლად შერთვასაც ვაპირებ. მამა საკონცენტრაციო ბანაკში ჰყავს. ჰოდა, ვშიშობ, რომ მის წასაყვანადაც მოვლენ. მას არაფერი ჩაუდენია და ეინ იცის, იქნებ მხოლოდ მეჩვენება ყველაფერი.

— არა, არ გეჩვენებათ, — უთხრა პოლმანმა, — ხომ იცით, თავს სიფრთხილე სჯობია, ბოლოს სინანულს. თუ დაგჭირდათ, ეს ოთახი თქვენს განკარგულებაში იგულეთ.

გრებერს გულზე მოეშვა და სითბოთი აღეესო სული.

— გმადლობთ, — წარმოთქვა მან, — დიდად გმადლობთ.

პოლმანმა გაიღიმა. იგი ახლა ისეთ მიხრწნილ ბერიკაცად აღარ გამოიყურებოდა, როგორც ჩვეულებრივ.

— გმადლობთ, — წარმოთქვა გრებერმა ერთხელ კიდევ, — იმედია, ოთახი არ დამჭირდება.

წიგნების მწკრივთა წინ იდგნენ.

— თან წაიღეთ, რომელიც გენებოთ, — უთხრა პოლმანმა ზრუნვით აღსავსე კილოთი, — ზოგჯერ წიგნი კაცს მძიმე წუთებს გადაატანინებს.

გრებერმა თავი გააქნია.

— მე არა. მაგრამ ერთი რამ მინდა ვიცოდე: როგორ ეთვისებიან ერთმანეთს ეს წიგნები, ლექსები, ფილოსოფია და მოიერიშეთა არაადამიანობა, საკონცენტრაციო ბანაკები და უდანაშაულო ადამიანთა მოსპობა?

— ისინი ვერ ეთვისებიან ერთმანეთს, ისინი მხოლოდ ერთდროულად არსებობენ. ახლა რომ ცოცხლები იყვნენ ამ წიგნების დამწერნი, მათგან მეტი წილი საკონცენტრაციო ბანაკში იჯდებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მართლაც ახე იქნებოდა, ალბათ.

პოლმანმა გრებერს შეხედა.

— ცოლს ირთავთ?

— დიახ...

მოხუცმა რომელილაც ტომი გადმოიღო ერთ-ერთი თაროდან.

— სხვა არაფერი შემიძლია შემოგთავაზოთ. გამომართვით. აქ წასაკითხი არაფერია; შიგ ნახატებია, მხოლოდ ნახატები. მე ზოგჯერ მთელი ღამეები გამითენებია ნახატების თვალიერებაში, როდესაც მეტი კითხვა აღარ შემეძლო ხოლმე. ნახატებითა და ლექსებით კი ყოველთვის შემიძლია დავტკბე, ვიდრე ნავთი გამითავდებოდეს, ხოლო მერე, სიბნელეში, ერთი რამელა გრჩება კაცს — ლოცვა.

— ჰო, — წარმოთქვა გრებერმა ურწმუნოდ.

— მე ბევრი ვიფიქრე თქვენ შესახებ, გრებერ! და აგრეთვე იმაზეც, რაც ამას წინათ მითხარით. მაგ კითხვაზე პასუხი არ მოიძებნება, — პოლმანს ხმა ჩაუწყდა და ცოტა ხნის შემდეგ ხმადაბლა განაგრძო, — მხოლოდ ერთი რამ შეიძლება ითქვას: უნდა გწამდეს კაცს. გწამდეს. აბა, მაშ სხვა რაღა დაგვრჩენია?

— რა უნდა გწამდეს?

— ღმერთი... და კეთილი საწყისის არსებობა ადამიანში.

— მერედა განა თქვენ არასოდეს შეგპარვიათ ამაში ეჭვი?

— როგორ არა, — მიუგო ბერიკაცმა, — ხშირად. მაშ, სხვაფრივ როგორ შეიძლება გწამდეს?

*

გრებერი ფაბრიკისკენ გაემართა. ქარი ამოვარდა და დაფხვეებულ ღრუბლებს ზედ სახურავებზემოთ დააქროლებდა. ბინდბუნდით მოცულ მოედანზე ჯარიკაცთა ოცეულმა ჩაიარა. მათ თან ბარგი მიჰქონდათ და სადგურისკენ მიემართებოდნენ, რათა პირდაპირ ფრონტზე გამგზავრებულიყვნენ. „მეც შეიძლება ახლა მათ შორის ვყოფილიყავი“, — გაიფიქრა გრებერმა. დანგრეული სახლის წინ მრუმედ ზეაწვდილი ცაცხვი დაინახა და ანაზდეულად კვლავ შეიგრძნო ტანზე მხარბეჭი, კუნთები და იგივე ძალოვანი შეგრძნება დაეუფლა სიცოცხლისა, რომელიც ამ ცაცხვის პირველად დანახვის დროს განიცადა. „საოცარია, — ფიქრობდა იგი, — მე პოლმანი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მებრალება, მას ჩემი შველა არ ძალუძს, მაგრამ მასთან ყოფნის შემდეგ ყოველთვის უფრო ღრმად და ძირფესვიანად შევიგრძნობ ხოლმე ცხოვრებას, ვიდრე მანამდე".

XIX

— თქვენი საბუთები? ერთ წამს მოიცადეთ.

მოხელემ სათვალე მოიხსნა და ელიზაბეტს შეხედა. შემდეგ მძიმედ წამოდგა და იმ ხის ტიხარს მიეფარა, რომელიც მის სამყოფელს დარბაზის უფრო მოზრდილი ნაწილისგან ჰყოფდა.

გრებერმა თვალი გააყოლა მას და მიიხედ-მოიხედა. გასასვლელში ხალხი ირეოდა.

— კართან მიდი, — უთხრა ხმადაბლა ელიზაბეტს, — იქ დაიცადე. თუ დაინახავ, რომ ქუდი მოვიხადე, მაშინვე პოლმანთან გასწი. არაფერზე იდარდო. დაუყოვნებლივ წადი. მეც თან მოგყვები.

ელიზაბეტი არ ჩქარობდა, შეყოყმანდა.

— მიდი-მეთქი! — გაუმეორა გრებერმა მოუთმენლად, — შეიძლება ამ ბებერმა ვაცმა ვინმე მოიყვანოს თან. სასწორზე რად უნდა შევაგდოთ ჩვენი ბედი. გარეთ დაიცადე.

— იქნებ მხოლოდ რაღაც უნდა ჩემ შესახებ დააზუსტოს.

— ეგ გამოჩნდება. მე ვეტყვი, რომ შეუძლოდ ხარ და წამით სუფთა ჰაერის ჩასაყლაპად გახვედი. წადი, ელიზაბეტ!

იგი სარკმელთან იდგა და მიმავალ ელიზაბეტს უმზერდა. ქალი უკან შემობრუნდა და გაუღიმა. შემდეგ ბრბოში გაუჩინარდა...

— რა იქნა ფროილაინ კრუზე?

გრებერი მობრუნდა; მოხელე დაბრუნებულიყო.

— ახლავე მოვა. ყველაფერი რიგზეა?

მოხელემ თავი დაუქნია.

— როდისთვის გინდათ დაქორწინდეთ?

— რაც შეიძლება მალე. მე უკვე ცოტა დრო დამრჩა. შვებულება სადაცაა გამითავდება.

— თუ გინდათ, ახლავე შეგიძლიათ დაქორწინდეთ. ჯარისკაცთათვის ეს ძალზე გაიოლებულია და ხელად შეიძლება გაკეთდეს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გრებერი საბუთებს უყურებდა, რომლებიც მოხელეს ეჭირა ხელში. მოხელე ილიმოდა. გრებერმა ანაზდეულად იგრძნო, როგორ მოუდუნდა ყველაფერი და სახეზეც ალმური მოედო.

— მაშ, ყველაფერი მზად არის? — შეეკითხა იგი და ქუდი მოიხადა, რათა ოფლი მოეწმინდა.

— ყველაფერი მზად არის, — დაუდასტურა მოხელემ, — სად არის ფროილაინ კრუზე?

გრებერმა ქუდი სარკმლის წინ დადო. თვალებით ელიზაბეტს ეძებდა. დარბაზი სავსე იყო ხალხით, მაგრამ მათ შორის ელიზაბეტი ვერ დაინახა. შემდეგ თავისი ქუდი შენიშნა სარკმლის წინ. სულ დაავიწყდა, რომ ეს პირობითი ნიშანი იყო.

— მოიცათ, — სწრაფად წარმოთქვა მან, — ახლავე მოვიყვან.

აჩქარებით გაარღვია ხალხის ბრბო; ეგებ ქუჩაში მაინც დაეწიოო, მაგრამ როდესაც გასასვლელს მიაღწია, დაინახა, რომ ქალი მშვიდად იდგა სვეტს უკან და იცდიდა.

— მადლობა ღმერთს, რომ არსად წასულხარ! — უთხრა ვაჟმა, — ყველაფერი რიგზეა. ყველაფერი რიგზეა, ელიზაბეტ!

უკან დაბრუნდნენ. მოხელემ ელიზაბეტს საბუთები გაუწოდა.

— თქვენ მედიცინის მრჩეველ კრუზეს ქალიშვილი ხართ? — შეეკითხა იგი.

— დიახ...

გრებერს სუნთქვა შეეკრა.

— მე ვიცნობ თქვენს მამას, — თქვა მოხელემ.

ელიზაბეტი დააცქერდა მას.

— რამე ხომ არ გაგიგიათ მის შესახებ? — შეეკითხა იგი ცოტა ხნის შემდეგ.

— იმაზე მეტი არა, რაც თქვენც იცით. თქვენ ხომ არ შეგიტყვიათ რამე ახალი?

— არა!

მოხელემ სათვალე მოიხსნა. ლია ცისფერი ბეცი თვალები ჰქონდა.

— იმედს ნუ დაკარგავთ, რომ ყოველივე კეთილად დაბოლოვდება, — მან ხელი ჩამოართვა ელიზაბეტს, — აბა, კარგად იყავით. თქვენი საქმე მე პირადად ვითავე და რაც საჭირო იყო, ყველაფერი გავაკეთე. თქვენ დღესვე შეგიძლიათ დაქორწინდეთ. მე მოგიწყობთ ყველაფერს. თუ გსურთ, ახლავე.

— ახლავე, — თქვა გრებერმა.

— არა, ნაშუადღევს მოვალთ, — მიუგო ელიზაბეტმა, — ორ საათზე შეიძლება?

— კარგი, მაგ დროისთვის ყველაფერი მზად იქნება. თქვენ საქალაქო სკოლის ტანჯარჯიშის დარბაზში უნდა გამოცხადდეთ. ქორწინებათა სარეგისტრაციო ბიურო ამჟამად იქ არის მოთავსებული.

— გმადლობთ.

ისინი გამოსასვლელთან გაჩერდნენ.

— ახლავე რატომ არ გინდა? — შეეკითხა გრებერი, — რა იცი, მანამდე რა გამოტყვრება?

ელიზაბეტს გაელიმა.

— მე ცოტაოდენი დრო მჭირდება, რომ მოვემზადო, ერნსტ! ხომ გასაგებია ეს შენთვის, არა?

— მხოლოდ ნახევრად!

— ნახევრადაც საკმარისია. ორს რომ თხუთმეტი დააკლდება, მაშინ მოდი ჩემს წასაყვანად.

გრებერი აყოვნებდა.

— რა იოლად გამოვიდა ყველაფერი, — თქვა მან შემდეგ, — მე კიდევ რა არ მეჩვენებოდა! არ ვიცი, თუ რატომ მეშინოდა ასე ძალიან. ალბათ მეტად სასაცილო ვიყავი, არა?

— არა.

— მე კი მგონია, რომ კი.

ელიზაბეტმა თავი გააქნია.

— მამასაც ეგრე ეგონა, რომ ადამიანები, რომლებიც მას აფრთხილებდნენ, სასაცილონი იყვნენ. ჩვენ ბედმა გაგვიღიმა და მეტი არაფერი, ერნსტ!

გრებერმა რამდენიმე ქუჩა გაიარა და სამკერვალო იპოვა. შიგ კენგურუს მსგავსი კაცი იჯდა და სამხედრო მუნდირს კერავდა.

— შეიძლება თქვენთან შარვალი გავაწმენდინო? — შეეკითხა გრებერი.

კაცმა თავი ზეაიღო.

— მე სამკერვალო მაქვს და არა ტანსაცმლის გასაწმენდი სახელოსნო.

— ვხედავ, მაგრამ მინდოდა, რომ დაგეუთოებინათ კიდეც ჩემი ტანისამოსი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ეგ, ახლა რომ ზედ გაცვიათ?

— დიახ!..

თერძმა რაღაც წაიბუტბუტა და წამოდგა. შარვალზე ლაქას დაუწყო თვალიერება.

— ეს სისხლი არ არის, — უთხრა გრებერმა, — ზეითუნის ზეთია. ბენზინით შეგიძლიათ ამოიყვანოთ.

— რატომ თქვენ თვითონ არ ამოიყვანეთ, თუკი ეგრე კარგად იცით? ბენზინი ამგვარ ლაქებს ვერაფერს აკლებს.

— შეიძლება. თქვენ, რა თქმა უნდა, უფრო იცით. რამე არა გაქვთ, რომ ჩავიცვა, ვიდრე ჩემი ფორმა მზად იქნება?

თერძი ფარდის უკან გავიდა და კუბოკრული შარვალი და თეთრი ქურთუკი გამოიტანა. გრებერმა გამოართვა.

— რამდენი ხანი მოუნდებით? — შეეკითხა იგი, — დღეს მე ცოლს ვირთავ.

— ერთი საათი.

გრებერმა ტანსაცმელი გამოიცვალა.

— მაშ ერთ საათში შემოვიღლი.

კენგურუმ უნდობლად შეხედა. იგი მოელოდა, რომ გრებერი სამკერვალოში დაიცდიდა.

— ჩემი ფორმა კარგი საწინდარია, — განუცხადა გრებერმა, — მე არსად გავიქცევი.

თერძი მოულოდნელად გაიღრიჭა.

— თქვენი ფორმა სახელმწიფოს ეკუთვნის, ყმაწვილო კაცო. მაგრამ, დაე, აგრე იყოს, წადით და თმა გაიკრიჭეთ. თქვენთვის ეს საჭიროა, თუკი ცოლს ირთავთ.

— მართალი ბრძანებაა.

გრებერი სადალაქოში წავიდა. კლიენტებს გაძვალტყავებული ქალი ემსახურებოდა.

— ჩემი ქმარი ფრონტზეა, — თქვა ქალმა, — მე ვცვლი მას, ვიდრე დაბრუნდებოდეს. დაჯექით. გაპარსვა გინდათ?

— გაკრეჭა. თქვენ ეგეც შეგიძლიათ?

— ღმერთო ჩემო! მე უკვე ისე კარგად ვისწავლე ხელობა, რომ ლამის დამავიწყდეს კიდეც. თავიც დაგბანოთ? მშვენიერი საპონი გვაქვს.

— კი. თავიც დამბანეთ.

ქალი საკმაოდ ენერგიული გამოდგა. თმა გაჰკრიჭა გრებერს, საფუძვლიანად დაუმუშავა თავი ჯერ საპნით, მერე კი ხაოიანი პირსახოცით.

— ბრილანტინი გნებავთ? — შეეკითხა ქალი, — ჩვენ ფრანგული ბრილანტინი გვაქვს.

გრებერს ოდნავ რული მოჰკიდებოდა და სარკეში რომ თავისი თავი დაინახა, შეეშინდა. ყურები თითქოს გაზრდოდა, ისე მოკლედ აეღო დალაქს მისთვის თმა საფეთქლებზე.

— ბრილანტინი? — ერთხელ კიდევ შეეკითხა ქალი ბრძანების კილოთი.

— როგორი სუნი აქვს? — გრებერს ალფონსის საბანაო მარილი გაახსენდა.

— როგორი და ბრილანტინისა. მაშ, სხვა რა სუნი ექნება? ფრანგულია.

გრებერმა ქილა აიღო და დაყნოსა. ბრილანტინს ძველი, ამძაღებული ცხიმის სუნი ჰქონდა. ჟამნი გამარჯვებათა მართლაც რომ დიდი ხანი იყო, რაც წარსულს ჩაჰბარდა. თავის თმას შეავლო თვალი. იქ, სადაც იგი უფრო გრძლად დაეტოვებინა დალაქს, ბღუჯა-ბღუჯად დამდგარიყო ყალყზე.

— კარგი, მოიტათ ბრილანტინი, — წარმოთქვა მან, — ოღონდ ძალიან ცოტა.

ფული გადაიხადა და თერძთან დაბრუნდა.

— ძალიან ადრე მოხვედით, — ჩაიბურტყუნა კენგურუმ.

გრებერი არ შესიტყვებია. ხმის ამოუღებლივ დაჯდა და თვალს ადევნებდა, როგორ აუთოებდა თერძი. თბილმა ჰაერმა ძილი მოჰგვარა. ომმა უეცრად სადღაც შორს დაიხია. ბუზები ზანტად ბზუოდნენ, უთო შიშინებდა და მთელი პაწია ოთახი გამსჭვალული იყო უჩვეულო, უკვე დავიწყებული მყუდროებითა და უშიშროებით.

— ამის მეტს ვერაფერს ვუშველი.

თერძმა შარვალი გაუწოდა. გრებერმა გასინჯა. ლაქა თითქმის ამოყვანილი იყო.

— დიდებულია, — წარმოთქვა მან.

შარვალს ბენზინის სუნი ასდიოდა, მაგრამ ამაზე არაფერი უთქვამს. სწრაფად გამოიცვალა ტანსაცმელი.

— ვინ გაგიკეთათ თავი? — შეეკითხა თერძი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ერთმა ქალმა, რომელსაც ქმარი ჯარში ჰყავს.

— კაცს ეგონება, თვითონ გაუკრეჭიაო. ერთ წამს არ გაინძრეთ. ყანგურუმ ბლუჯად გამოჩრილი თმა რამდენგანმე ააჭრა.

— ასე, ახლა არა უშავს.

— რამდენი უნდა მოგართვათ?

— ათასი მარკა ანდა არაფერი, მაშასადამე, არაფერი! საქორწინო საჩუქრად ჩათვალეთ.

— გმადლობთ. აქ სადმე ყვავილების მაღაზია არ იცით?

— როგორ არა, შპიჰერნშტრასეზეა.

მაღაზია ლია იყო. შიგ ორი ქალი იდგა და გამყიდველ ქალს გვირგვინს ეკაჭრებოდა.

— ხომ ხედავთ, ზედ ნამდვილი ნაძვის გირჩები აქვს, — ეუბნებოდა მათ გამყიდველი ქალი, — გირჩებიანი კი ყოველთვის უფრო ძვირი ღირს. ქალთაგან ერთ-ერთმა მას აღშფოთებით შეხედა, თან თონთლო, ნაოჭებიანი ლოყები აუთრთოლდა.

— ეს ხომ ნამდვილი სპეკულაციაა! — თქვა მან, — მამასისხლად აფასებენ! წამოდი, მინა! სხვაგან უფრო იაფად ვიშოვით.

— არ გინდათ და ნუ გინდათ, — განუცხადა მათ გესლიანად გამყიდველმა, — ნუ გეშინიათ, გაუყიდავი არ დამრჩება.

— მაგ ფასად?

— დიახ, სწორედ ამ ფასად! რამდენიც უნდა მოვიმარაგო, საღამოთი მაინც უკვე ყველა გაყიდული მაქვს ხოლმე, ფრაუ!

— მაშ თქვენ ომით სარგებლობთ და ფულს ხვეტთ!

ორივე ქალი პაკიპუკით გავიდა გარეთ. გამყიდველმა ქალმა პირი დააღო. თითქოს რაღაც უნდოდა მიეძახა მათთვის, მაგრამ შემდეგ გრებერს მიუბრუნდა. სახეზე ორი წითელი ტალი გამოსვლოდა.

— თქვენ რაღა გნებავთ? გვირგვინი თუ კუბოს მორთულობა? როგორც ხედავთ, არჩევანი დიდი არ არის, მაგრამ ჩვენ ძალიან ლამაზი ნაძვის რტოები გვაქვს.

— მე სამგლოვიარო არაფერი მჭირდება.

— მაშ რა? — შეეკითხა გაკვირვებული გამყიდველი ქალი.

— ყვავილები მინდოდა მეყიდა.

— ყვავილები? შროშანები მაქვს...

— არა, შროშანები არა. რაიმე ქორწინებისთვის შესაფერისი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— შროშანები სწორედ რომ შესაფერისია ქორწინებისთვის, ბატონო ჩემო! ისინი უმანკოებასა და სიწმინდეს განასახიერებენ.

— სწორია, მაგრამ ვარდები არ გაქვთ?

— ვარდები? ამ დროს? საიდან უნდა გვქონდეს? სათბურებში ახლა ბოსტნეული და მწვანილი მოჰყავთ. და საერთოდ, ერთობ ძნელია ახლა რაიმე იშოვო ადამიანმა.

გრებერმა დახლს ჩამოუარა და ბოლოს რომელიღაც გვირგვინის უკან, რომელსაც სვასტიკის მოყვანილობა ჰქონდა, ნარგიზების თაიგული აღმოაჩინა.

— აი, ესენი მომეცით.

გამყიდველმა თაიგული ლარნაკიდან ამოიღო და აცალა, ვიდრე წყალი ჩამოიწურებოდა.

— სამწუხაროდ, გაზეთში უნდა გაგიხვიოთ. სხვა ქაღალდი აღარ მაქვს.

— არა უშავს.

გრებერი გამყიდველს გაუსწორდა და წამოვიდა. მაშინვე თავი უხერხულად იგრძნო, რომ ხელში ყვავილები ეჭირა. ასე ეგონა, ყოველი გამვლელი მას უყურებდა. თაიგული ჯერ თავდაყირა ეჭირა; მერე იღლიის ქვეშ ამოიჩარა. ამასთან გაზეთს დახედა, რომელშიც თაიგული იყო გახვეული. ყვითელი ყვავილების გვერდით გაზეთზე ვიღაც პირდაღებული კაცის ფოტო იყო მოთავსებული. ეს იყო სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის სურათი. მან ტექსტი წაიკითხა. ოთხი კაცი სიკვდილით დაესაჯათ, რადგან მათ თურმე გერმანიის გამარჯვებისა უკვე აღარ სჯეროდათ. მათთვის ნაჯახით მოეკვეთათ თავი. გილიოტინა დიდი ხანია უკუაგდეს: იგი ერთობ ჰუმანურ საშუალებად მიიჩნიეს! გრებერმა თაიგულს გაზეთი შემოხსნა, დაჭმუჭნა და გადააგდო.

*

მოხელე მართალი გამოდგა — ქორწინებათა სარეგისტრაციო ბიურო საქალაქო სკოლის ტანვარჯიშის დარბაზში განეთავსებინათ. ბიუროს მოხელე მაღლა ასაცოცებელი თოკების მწკრივის წინ იჯდა, რომელთა ქვედა ბოლოები კედელზე იყო მიმაგრებული. თოკებს შორის ფორმაში გამოწყობილი ჰიტლერის პორტრეტი ეკი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და; ხოლო მის ქვევით — სვასტიკა გერმანული არწივით. მათ ცდა მოუხდათ. წინ ხანში შესული ჯარისკაცი იდგა, რომელსაც ქალი ახლდა. ქალს მკერდზე აფრებიანი ხომალდის გამოსახულების მქონე ოქროს ბროში ეკეთა. ჯარისკაცი ღელავდა, ქალი კი მშვიდად იყო. მან ელიზაბეტს ისე გაულიმა, თითქოს შეთქმულები ყოფილიყვნენ.

— მოწმეები? — უთხრა ბიუროს მოხელემ, — სად არიან თქვენი მოწმეები?

ჯარისკაცმა რალაც წაილულლულა. მოწმეები არ ჰყავდათ.

— მე მეგონა, რომ ფრონტელისთვის ისინი საჭირო არ იყო, — წარმოთქვა ბოლოს, როგორც იქნა.

— ეგლა გვაკლია, აი! ჩვენ წესებს ზედმიწევნით ვიცავთ!

ჯარისკაცი გრებერს მიუბრუნდა:

— იქნებ შენ დაგვეხმარო, ძმობილო? შენა და შენი ფროილაინი? მარტო ხელმოწერაა საჭირო.

— ცხადია. და მერე კი თქვენ მოაწერთ ჩვენთვის ხელს. მეც ასევე მეგონა, რომ მოწმეები საჭირო არ იყო.

— აბა, ვის ახსოვს ასეთი რამ!

— ყველას, ვინც კი თავის მოქალაქეობრივ მოვალეობებს იცნობს, — მოუჭრა ბიუროს მოხელემ. ეტყობა, ამგვარ დაუდევრობას პირად შეურაცხყოფად იღებდა, — თუ იქნებ თქვენ ბრძოლის ველზე უშაშხანოდ მიდიხართ?

ჯარისკაცი გაკვირვებული მიაჩერდა:

— ეს ხომ სულ სხვა რამეა. მოწმე ხომ იარალი არ არის!

— მე არც ვამტკიცებ ამას. მხოლოდ შედარებისთვის ვთქვი. ერთი სიტყვით, როგორ არის საქმე? გყავთ თუ არა მოწმეები?

— აი, ეს კაცი და ქალი.

ბიუროს მოხელემ უყმურად შეხედა გრებერს. აშკარა იყო, არ მოეწონა, რომ მოწმეების ამბავი ასე იოლად წყდებოდა.

— საბუთები გაქვთ? — შეეკითხა გრებერს ფარული იმედით.

— დიახ! ჩვენ თვითონაც დაქორწინებას ვაპირებთ.

მოხელემ რალაც ჩაიბურტყუნა და საბუთები გამოართვა. მან ელიზაბეტისა და გრებერის გვარები დავთარში შეიტანა.

— აი, აქ მოაწერეთ.

ოთხივემ მოაწერა ხელი.

— გილოცავთ ფიურერის სახელით, — ცივად მიმართა ბიუროს მოხელემ ჯარისკაცსა და მის ცოლს. შემდეგ გრებერს მიუბრუნდა:

— თქვენი მოწმეები?

— აი, — გრებერმა ახალ ცოლ-ქმარზე მიუთითა.

ბიუროს მოხელემ თავი გააქნია.

— მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი შემიძლია მოწმედ გავატარო, — განაცხადა მან.

— რატომ? ჩვენ ხომ ორივენი გაგვატარეთ მოწმეებად.

— თქვენ დაქორწინებულები არა ხართ. ესენი კი ახლა უკვე ცოლ-ქმარი არიან. თქვენ მოწმეებად ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი პიროვნება გჭირდებათ. მეუღლე კი ასეთად არ მიიჩნევა.

გრებერმა არ იცოდა, მართალი იყო მოხელე თუ მხოლოდ განგებ ართულებდა საქმეს.

— აქ არავინ არის ისეთი, რომელიც მოწმედ დამიდგებოდა? — შეეკითხა იგი, — იქნებ რომელიმე სხვა მოხელემ გამიწიოს ეს სამსახური?

— მე აქ იმიტომ კი არ ვზივარ, რომ თქვენ მოწმეები მოგიძებნოთ, — განუცხადა ბიუროს მოხელემ და თან იდუმალ ზეიმობდა, — თუ მოწმეები არა გყავთ, ვერ დაქორწინდებით.

გრებერმა უკან მიიხედა.

— რაო? — შეეკითხა ერთი ხანში შესული კაცი, რომლიც მათთან მისულიყო და ყურს უგდებდა, — მოწმე გჭირდებათ? მე ამიყვანეთ, — და ელიზაბეტს ამოუდგა გვერდში.

მოხელემ ცივად შეათვალიერა იგი.

— საბუთები გაქვთ?

— რასაკვირველია, — კაცმა დაუდევრად ამოიღო ჯიბიდან პასპორტი და მაგიდაზე დააგდო. ბიუროს მოხელემ ჩაიხედა შიგ. წამოხტა და დაირობრობა:

— ჰაილ ჰიტლერ, ჰერ ობერშტურმბანფიურერო!

— ჰაილ ჰიტლერ! — დაუდევრად მიუგო ობერშტურმბანფიურერმა, — და დაუყოვნებლივ შეწყვიტეთ ეს კომედია, გასაგებია? როგორ ბედავთ და ჯარისკაცებს ასე ეპყრობით!

— მესმის, ჰერ ობერშტურმბანფიურერო! თუ შეიძლება, აი, აქ მოაწერეთ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გრებერმა დაინახა, რომ მისი მეორე მოწმე ესესელთა ობერშტურმბანფიურერი ჰილდებრანტი იყო, პირველი კი — მესანგრე კლოცი. ჰილდებრანტმა ხელი ჩამოართვა ელიზაბეტსა და გრებერს, ხოლო შემდეგ კლოცსა და მის ცოლსაც.

ბიუროს მოხელემ მაღლა ასაცოცებელი ბაგირების უკნიდან, რომლებიც სახრჩობელას თოკებს ჰგავდა, ჰიტლერის „ჩემი ბრძოლის“ ორი ეგზემპლარი გადმოიღო.

— ეს სახელმწიფოსგან საჩუქრად, — მჟავედ განაცხადა მან და თან მიმავალ ჰილდებრანტს მისჩერებოდა, — სამოქალაქო ტანსაცმელი აცვია, — წარმოთქვა მან, — რას გაიგებ კაცი!

გასასვლელისკენ მიმავლებმა ტყავის ტაიჭსა და ორძელს ჩაუარეს.

— უკან როდის უნდა დაბრუნდე? — შეეკითხა გრებერი მესანგრეს.

— ხვალ, — კლოცმა თვალი ჩაუკრა, — ჩვენ უკვე დიდი ხანია გვინდოდა დავქორწინებულიყავით. რატომ უნდა შეაწიო ამდენი ფული სახელმწიფოს? მე რომ რამე დამემართოს, მარია უზრუნველყოფილი მაინც იქნება. შენ როგორ ფიქრობ?

— სწორია!

კლოცმა თავისი ზურგჩანთა გახსნა.

— შენ დახმარება გამიწიე, ძმობილო. თან მშვენიერი ძეხვი მაქვს წამოღებული. გასინჯეთ, როგორია. უარი არა თქვა, იცოდე. მე ფერმერი ვარ და ასეთი რამეები არ მაკლია. კაცმა რომ თქვას, ბიუროს მოხელისთვის მინდოდა მიმეცა. წარმოგიდგენია, ასეთი არაკაცისთვის!

— რას ლაპარაკობ, მაგას ძეხვს როგორ მისცემს კაცი! — გრებერმა ძეხვი გამოართვა, — შენ კი ამის სანაცვლოდ ეს წიგნი გამომართვი. სხვა არაფერი მაქვს თან, რომ საქორწინო საჩუქრად გითავაზო.

— კარგი, მაგრამ, ძმობილო, მეც ხომ მივიღე ეგეთი წიგნი.

— რა უშავს მერე, ერთის მაგივრად ორი გექნება. ერთი შეგიძლია ცოლს მისცე.

კლოცი „ჩემი ბრძოლის“ მორიგ გამოცემას ათვალიერებდა.

— მშვენიერ ყდაშია ჩასმული, — თქვა მან, — მართლა არ გინდა შენთვის დაიტოვო?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მე არ მჯირდება. სახლშიც გვაქვს ტყვავგადაკრული და ვერცხლის შესაკრავიანი.

— მაშინ, რა თქმა უნდა, სხვა საქმეა. აბა, კარგად იყავი.

— შენც კარგად იყავი.

გრებერი ელიზაბეტს წამოეწია.

— ალფონს ბინდინგს არაფერი ვუთხარი, რათა მოწმედ არ წამოგვყოლოდა, — უთხრა მან, — არ მინდოდა ჩვენი გვარების გვერდით კრაისლაიტერის გვარი წერებულიყო. და ხომ ხედავ, მის მაგივრად ესესელთა ობერშტურმბანფიურერი აგვეკიდა. კეთილი სურვილები მარად ასე გვირგვინდებიან.

ელიზაბეტმა გაიცინა.

— სამაგიეროდ, ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობის ბიბლია ძეხვზე გაცვალე. ერთი მეორეს ანაზღაურებს.

ბაზრის მოედანი გადასერეს. ბისმარკის ძეგლი, რომლისგანაც მხოლოდ ფეხებიღა იყო დარჩენილი, კელავ აღემართათ კვარცხლბეკზე. ღვთისმშობლის ეკლესიის თავზე მტრედები დაფარფატებდნენ.

გრებერმა ელიზაბეტს შეხედა. „კაცმა რომ თქვას, მე ახლა ძალიან ბედნიერი უნდა ვიყო“, — გაივლო გულში, მაგრამ არ კი განიცდიდა იმას, რასაც მოელოდა.

*

ისინი მდელოზე იწვნენ ტყეში, ქალაქგარეთ. ხეთა შორის მოიისფრო ანაორთქლი ჩაწოლილიყო. მდელოს კიდეებზე ფურისულები და იები ყვაოდნენ. ნაზმა სიომ წამოიქროლა. ელიზაბეტი ანაზდეულად წამოჯდა.

— ეს რა არის, იქ. ისე ჩანს, თითქოს ჯადოსნური ტყე იყოს, არა?! თუ სიზმარში ვარ? ხეები თითქოს ვერცხლით მოსირმულან. შენც ხედავ?

გრებერმა თავი დაუქნია.

— ვერცხლისმკედსა ჰგავს.

— მერედა რა არის?

— სტანიოლი, ანუ ძალიან თხელი ალუმინი, რომელიც ვიწრო ზოლებადაა დაჭრილი, იგი შოკოლადის გასახვევ ვერცხლის ქაღალდს ჰგავს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ჰო. მთელი ტყე მაგით არის სავსე! საიდან გაჩნდა აქ?

— თვითმფრინავები ყრიან ბლუჯა-ბლუჯა. რადიოკავშირს არღვევს. მგონი, მაშინ აღარ შეიძლება დაადგინო, სად იმყოფებიან ისინი, რაღაც ამდაგვარი რამ უნდა იყოს. წვრილად დაჭრილი სტანიოლის ზოლები მთლიანად წყვეტენ, ანდა აბრკოლებენ რადიოტალღების გავრცელებას, როდესაც ნელი ფრიალ-ფრიალით ეშვებიან დაბლა.

— აფსუს, — თქვა ელიზაბეტმა, — საშობაო ნაძვის ხეებით სავსე ტყე წარმომიდგა თვალწინ, მაგრამ თურმე ნუ იტყვი, აქაც ომია. მე კი მეგონა, როგორც იქნა, ერთხელ მაინც თავი დავაღწიეთ-მეთქი მას.

ორივენი ტყეს მისჩერებოდნენ. მდელობის შემოგარენში ხეები სულ ამ ვერცხლისფერი ბაფთების ქსელში იყვნენ გახვეული. ნიავი არხევდა ძირს ჩამოკიდებულ ბრჭყვიალა ბაფთებს. მზე მოზღვავებულ ღრუბლებს მსჭვალავდა და ტყეს სხივფენილ ზღაპრულ სანახაობად აქცევდა. ის, რაც მძვინვარე სიკვდილისა და ნგრევის გამაყრუებელ მოძახილში ჩამოეშვა დაბლა ფარფატით, ახლა უჩუმრად ეკიდა ხეებზე, ბრჭყვიალებდა და მოციაგე ვერცხლს, ბავშვობაში გაგონილ ზღაპრებს, ანდა მშვიდობიანი დროის ზეიმს მოგაგონებდათ.

ელიზაბეტი გრებერს მიეყრდნო.

— მოდი, ეს ტყე ისეთად მივიჩნიოთ, როგორადაც გვეჩვენება და არა ისეთად, როგორიც სინამდვილეშია.

— კარგი.

გრებერმა ფარაჯის ჯიბიდან პოლმანის ნაჩუქარი წიგნი ამოიღო.

— ჩვენ არ შეგვიძლია საქორწინო მოგზაურობაში გავემგზავროთ, ელიზაბეტ, მაგრამ პოლმანმა აი, ეს სურათებიანი წიგნი მომცა, რომელშიც შვეიცარიის ხედებია. ომის შემდეგ ოდესმე გავემგზავრებით იქ და ყველაფერს ავანაზღაურებთ.

— შვეიცარია! ეს იქ, სადაც ღამღამობით ჯერაც ანთია სინათლე?

გრებერმა წიგნი გადახსნა.

— არა, სინათლე უკვე შვეიცარიაშიც აღარ ანთია. ყაზარმაში ყური მოვკარი, რომ ჩვენ ულტიმატუმი წარვუდგინეთ და დაბნელება მოვთხოვეთ. შვეიცარია იძულებული გახდა, შეესრულებინა ჩვენი მოთხოვნა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— რატომ?

— ჩვენ საწინააღმდეგო არა გვქონდა რა, ვიდრე მხოლოდ ჩვენ დავფრინავდით შვეიცარიაზე გავლით. ახლა კი სხვებიც დაფრინავენ, გერმანიაში ჩამოსაყრელი ყუმბარებით დატვირთულნი. თუ სადმე ქალაქები განათებულია, მაშინ მფრინავებს გზის გაგნება უადვილდებათ. აი, რატომ.

— მაშასადამე, ამასაც ბოლო მოელო?

— ჰო. მაგრამ ჩვენ ერთ რამეში მაინც შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ: თუ ომის შემდეგ ოდესმე შვეიცარიაში გავემგზავრეთ, ყველაფერი ზუსტად ისევე დაგვხვდება, როგორც ამ წიგნშია. მაგრამ ჩვენ ამას ვერ ვიტყოდით იტალიის ან საფრანგეთის, ან კიდევ ინგლისის ხედების ალბომი რომ გვჭეროდა ხელში.

— და ვერც გერმანიისაზე ვიტყოდით.

— ჰო, გერმანიისაზეც ვერ ვიტყოდით.

მათ ფურცლები გადაშალეს.

— მთები, — წარმოთქვა ელიზაბეტმა, — ნუთუ მთების გარდა სხვა არა არის რა შვეიცარიაში? ნუთუ იქ სითბო არ არის, ნამდვილი სამხრეთული სითბო?

— როგორ არა! აი, იტალიური შვეიცარია.

— ლოკარნო... აქ არ გაიმართა დიდი საშშვიდობო კონფერენცია, რომელზედაც გადაწყვეტილება მიიღეს, რომ ომი აღარასოდეს ყოფილიყო?

— ჰო, მგონი...

— რა მცირე ხანს ასრულებდნენ ამ გადაწყვეტილებას!

— მართლაც მცირე ხანს. აი, ლოკარნო. შეხედე, პალმები, ძველი ეკლესიები, ეს კი ლაგო-მაჯორეა. აი, აქ კი კუნძულები, იელები, მიმოზები, მზე და მშვიდობა...

— ჰო, რა ეწოდება ამ ადგილს?

— პორტო რონკო.

— კეთილი, — თქვა ელიზაბეტმა და ისევ დაწვა, — დავიმახსოვროთ. შემდეგ ოდესმე გავემგზავროთ იქ. ახლა კი მეტი მოგზაურობა აღარ მსურს.

გრებერმა წიგნი დახურა. ხეებში მოციაგე ვერცხლს გახედა და მერე ელიზაბეტს მოხვია მხრებზე ხელი, შეიგრძნო ქალი და ერთბაშად ტყის ნიადაგი დაუდგა თვალწინ, ბალახით დაფარული და მცო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცუ მცენარეთა რქებით მოფენილი, და მის შუაგულში ვიწრო და ნაზფოთლებიანი მოწითალო ყვავილი, რომელიც სულ იზრდებოდა და იზრდებოდა, ვიდრე მთელი ჰორიზონტი არ დაფარა და გრეგერს თვალები არ დაეხუჭა.

ხიომ სული დალია. ანაზდეულად მწუხრი ჩამოდგა. შორეთიდან ძლივს გასაგონი გრუხუნი მოისმა. „არტილერიაა, — ფიქრობდა მთვლემარე გრეგერი, — მაგრამ საიდან? სად ვარ? ფრონტი საით არის? — და მერე, როდესაც ელიზაბეტი თავის გვერდით შეიგრძნო, შუბით ამოისუნთქა: — ნეტავი სად არის აქ არტილერია განლაგებული? ალბათ სამოსწავლო სროლა აქვთ“.

ელიზაბეტი შეირხა.

— სად არიან? — წაილულლულა მან, — ყუმბარებს ყრიან, თუ ხხეკან მიფრინავენ?

— არა, ეს თვითმფრინავები არ არის.

გრუხუნი განმეორდა. გრეგერი წამოიწია და ყური მიაპყრო.

— ეს არც ყუმბარებია, არც არტილერია ან თვითმფრინავები, ელიზაბეტ, — წარმოთქვა მან, — ეს ჭექა-ქუხილია.

— მერედა ნაადრევი არ არის ჭექა-ქუხილი?

— ჭექა-ქუხილმა დრო და ჟამი არ იცის.

ახლა პირველ გაელვებებს მოჰკრეს თვალი. ისინი უფერულნი და ხელოვნურნი ჩანდნენ იმ ელჭექებთან შედარებით, რაც მათ ადამიანის მიერ წარმოქმნილი ენახათ. და ვერც ქუხილი შეედრებოდა თვითმფრინავთა ესკადრილიის გუგუნს, რომ აღარაფერი ვთქვათ დაბომბვის ზათქსა და გრიალზე.

წვიმა დაიწყო. მდელობი გადაირბინეს და ნაძვის ხეებს შეერივნენ. ჩრდილები თითქოს მათთან ერთად გარბოდნენ. მერე კი წვიმის შხაპუნი ზეკით, კენწეროებში შორეული ბრბოს ტაშის ცემასავით ისმოდა და მქრქალ სინათლეზე გრეგერმა შენიშნა, რომ ელიზაბეტს თმა სავსე ჰქონდა რტოებიდან ჩამოცურებული ვერცხლის ძაფებით. თმა ბადეს უგავდა, რომელშიც ელვები გახირულიყვნენ.

ტყიდან გამოვიდნენ და ტრამვაის გაჩერებამდე მიაღწიეს. ფარდულის ქვეშ ხალხი შეგროვილიყო. მათ შორის რამდენიმე ესესელიც იდგა. ახალგაზრდები იყვნენ და ელიზაბეტს დაუწყეს ჭვრეტა.

ნახევარი საათის შემდეგ წვიმამ გადაიღო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— უკვე აღარ ვიცი, სად ვიმყოფებით, — თქვა გრებერმა. – რომელ მხარეს უნდა წავიდეთ?

— მარჯვნივ.

ქუჩა გადაჭრეს და ბინდით მოცულ ხეივანში შეუხვიეს, მათ წინ ბინდბუნდში ჩამწკრივებული ადამიანები მილებს აწყობდნენ მიწაში. ტანთ ყველას ერთნაირი, ზოლებიანი სამოსი ეცვა. ელიზაბეტი ერთბაშად მხრებში გაიმართა, ხეივნიდან გავიდა და იქით გაეშურა, სადაც მუშები იყვნენ. სულ ახლოს, ნელა ჩაუარა მათ წინ და ყველას სათითაოდ აცქერდებოდა, თითქოს ვიღაცას ეძებდა. გრებერმა შენიშნა, რომ ამ ადამიანებს ტანსაცმელზე ნომრები ჰქონდათ. ალბათ საკონცენტრაციო ბანაკის პატიმრები იყვნენ. მდუმარედ და გამალებით მუშაობდნენ, ზევით არ იხედებოდნენ. თავები მკვდრის თავის ქალებს მიუგავდათ და გაძვალტყავებულ სხეულებზე ტანისამოსი ჩამოლართხოდათ. ორი მათგანი, დაღლილობისგან ქანცგაწყვეტილი, ზელტერის წყლის კიოსკის წინ იწვა, რომელიც ფიცრებით იყო დაჭედილი.

— თქვენ, ეი! — დაუყვირა ვიღაც ესესელმა, — წადით მანდედან! მანდ სიარული აკრძალულია!

ელიზაბეტმა ყური მოიყრუა. მხოლოდ ნაბიჯს აუჩქარა და თან პატიმრების მკვდრულ სახეებს აცქერდებოდა.

— უკან დაბრუნდით! თქვენ ეი, ქალო! ახლავე უკან დაბრუნდით! დალახვროს ეშმაკმა, არ გესმით?

ესესელმა ლანძღვით მოირბინა.

— რა იყო? — შეეკითხა გრებერი.

— როგორ თუ რა იყო! ბომბა გაქვთ ყურებში? თუ სხვა რაღაც მიზეზია?

გრებერმა დაინახა, რომ მეორე ესესელიც წამოვიდა მათკენ, ობერშარფიურერი. ვერ გაებედა ელიზაბეტისთვის დაეძახა. იცოდა, რომ ის მაინც არ გამოტრიალდებოდა.

— ჩვენ ერთ რაღაცას ვეძებთ, — უთხრა მან ესესელს.

— რაო? აბა, ფიცხლად დაფქვი ყველაფერი!

— ჩვენ აქ ერთი ნივთი დავკარგეთ. ბროში. აფრებიანი ხომალდი, ბრილიანტებით მოოჭვილი. წუხელ გავიარეთ აქ და ალბათ დაგვივარდა. ვინმეს ხომ არ უპოვია?

— რაო?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გრებერმა გაიმეორა თავისი ტყუილი. იგი ხედავდა, რომ ელიზაბეტმა მწკრივის ნახევარი გაიარა უკვე.

— აქ არავის არაფერი უპოვია! — განუცხადა ობერშარფიურერმა.

— ეგ რალაცას გვატყუებს, — თქვა ესესელმა, — საბუთები გაქვთ?

გრებერი ერთ წამს მდუმარედ უყურებდა მას. სიამოვნებით მიბეგვავდა. ესესელი სულ ბევრი ოცი წლისა თუ იქნებოდა. „შტაინბრენერი, — გაიფიქრა მან, — ანდა ჰაინი. ზუსტად მათი ტიპისაა“.

— მე არა მხოლოდ მაქვს საბუთები, არამედ ძალიან კარგებიც, — წარმოთქვა მან შემდეგ, — ამას გარდა, თუ გაინტერესებთ, ობერშტურმბანფიურერი ჰილდებრანტი ჩემი ახლო მეგობარია.

ესესელმა ირონიულად გაიცინა.

— კიდევ რას იტყვით? ალბათ ფიურერიც, არა?

— არა, ფიურერი არა.

ელიზაბეტი მწკრივის ბოლოს უახლოვდებოდა. გრებერმა აუჩქარებლად ამოიღო ჯიბიდან ქორწინების მოწმობა.

— აი, ფარანთან მივიდეთ და წაიკითხეთ. არჩევთ ჩემი მოწმის ხელმოწერას და თარიღს? დღევანდელია, როგორც ხედავთ. კიდევ გაქვთ შეკითხვები?

ესესელი საბუთს მიშტერებოდა. მის ზურგს უკან მდგარი ობერშარფიურერიც ამასვე იქმდა.

— ეს ჰილდებრანტის ხელმოწერაა, — დაადასტურა მან, — მე ვიცნობ მის ხელმოწერას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, თქვენ აქ სიარულის უფლება მაინც არა გაქვთ. რას იზამ, აკრძალულია. ძალიან ვწუხვარ, რომ ბროში დაკარგეთ.

ელიზაბეტი მწკრივის ბოლოში გავიდა.

— მეც ვწუხვარ, — მიუგო გრებერმა, — რასაკვირველია, ჩვენ ძებნას თავს დავანებებთ, თუკი ეს აკრძალულია. ბრძანება ბრძანებაა.

იგი დაწინაურდა, რათა ელიზაბეტს დასწეოდა, მაგრამ ობერშარფიურერი ფეხდაფეხ მიჰყვა.

— ვინიცობაა ვიპოვოთ თქვენი ბროში, ვის გავუგზავნოთ მაშინ?

— ჰილდებრანტს. ასე ყველაზე იოლი იქნება.

— კეთილი, — თქვა ობერშარფიურერმა მოკრძალებით, — ვერაფერი იპოვეთ? — შეეკითხა მერე ელიზაბეტს.

ქალი ისე მიაჩერდა, თითქოს ის-ის იყო, ღრმა ძილიდან გამოეღვიძებინათ.

— მე ვუამბე ობერშარფიურერს, რომ აქ ბროში დაგვეკარგა, — უთხრა გრებერმა სწრაფად, — თუ იპოვიან, ჰილდებრანტთან გამოგზავნიან.

— გმადლობთ, — მიუგო გაკვირვებულმა ელიზაბეტმა.

ობერშარფიურერმა ქალს სახეში შეხედა და თავი დაუქნია.

— შეგიძლიათ, გვენდოთ! ესესელები ჭეშმარიტი რაინდები ვართ.

ელიზაბეტმა ტყვეებს გადახედა. ობერშარფიურერმა შენიშნა ეს.

— თუ ამ არამზადებიდან ვინძემ იპოვა და მალავს, მაშინაც ალმოვაჩენთ, — მოახსენა მან გალანტურად, — იმდენს გავჩხრეკთ, ვიდრე ღდინი არ გასძვრებათ.

ელიზაბეტი შეკრთა.

— იცით, მე დარწმუნებული არა ვარ, რომ ნამდვილად აქ დამეკარგა. შეიძლება ეს ზევითაც მოხდა, ტყეში. მე ისიც კი მგონია, რომ უფრო იქ შეიძლებოდა დამკარგოდა.

ობერშარფიურერი გაიღრიჭა. ქალი გაწითლდა.

— მე მგონი, უფრო ტყეში უნდა დამკარგოდა, — გაიმეორა მან.

ობერშარფიურერი კიდევ უფრო ძლიერ გაიღრიჭა და მოახსენა:

— იქ, რა თქმა უნდა, ჩვენ პასუხს არ ვაგებთ.

გრებერი სულ ახლო იდგა ერთ წელში მოხრილ პატიმრის გაძვალტყავებულ ქალასთან, ჯიბეში ხელი ჩაიყო, სიგარეტის კოლოფი ამოიღო, ტუსაღის გვერდით დააგდო და თან ზურგი შეაქცია მას.

— დიდად გმადლობთ, — უთხრა მან ობერშარფიურერს, — ხვალ ტყეში განაგრძობთ ძებნას. შეიძლება იქ დაგვიკარდა.

— რისი მადლობა, ჰაილ ჰიტლერ! გულითადად გილოცავთ დაქორწინებას.

— გმადლობთ.

*

მდუმარედ მიდიოდნენ ერთიმეორის გვერდით, ვიდრე პატიმრები სრულიად არ მიეფარნენ თვალს. ცა მოწმენდილიყო და სადაფისფერი და ვარდისფერი ღრუბლების ქარავანი ფლამინგოს გუნდივით მიცურავდა ზედ.

— არ უნდა მივსულიყავი ტყვეებთან, — თქვა ელიზაბეტმა, — მე ვიცი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— არაფერია. ასეთია ადამიანი. ვერ მოასწრებს ერთი საფრთხიდან თავის დაღწევას, რომ უკვე მეორეში ბედავს ჩაიგდოს თავი.

ქალმა თავი დაუქნია.

— შენ ბროშით და ჰილდებრანტით გამოასწორე საქმე. მართლაც კარგი მატყუარა ხარ.

— ეს არის ერთადერთი რამ, — თქვა გრებერმა, — რასაც ჩვენ უკანასკნელი ათი წელიწადის განმავლობაში მართლაც სრულყოფილად დავეუფლეთ. ახლა კი მოდი, სახლში წავიდეთ. ამჯერად მე უკვე მაქვს აბსოლუტური, წერილობით დადასტურებული უფლება შენს ბინაში დასახლებისა. ყაზარმაში ადგილი უკვე დავკარგე და დღეს ნაშუადღევს კი ალფონსისგანაც ავიკარი გუდა-ნაბადი. ახლა კი, მინდა შინ მივიდე. მინდა გავფოფინდე ლოგინში, როდესაც შენ ხვალ დილით ადრე საბუშაოზე გაიქცევი, რათა ოჯახისთვის ლუკმაპური იშოვო.

— მე ხვალ ფაბრიკაში არ მივდივარ. ორი დღე შვებულება მაქვს.

— და მხოლოდ ახლა მეუბნები ამას?

— სულაც ხვალ დილით ვაპირებდი თქმას.

გრებერმა თავი გააქნია.

— ძალიან გთხოვ, სიურპრიზები ნუ იქნება! ამის დრო სად გვაქვს. უნდა ყოველი წუთი გამოვიყენოთ, რათა, რაც შეიძლება გავიხაროთ. ახლაც უნდა შეუდგეთ ამას. საუზმისთვის ყველაფერი გვაქვს? თუ ისევ ალფონსთან უნდა წავიდე?

— არა, ყველაფერი გვაქვს.

— კეთილი. რაც შეიძლება გემოზე ვისაუზმოთ. თუ გინდა ჰოენფრიდბერგული მარმიც კი დავაქუხოთ და თუ ფრაუ ლიზერი, ჩვენი ამორალურობით გამძვინვარებული, ოთახში შემოგვეჭრება, ქორწინების მოწმობას მივაფარებთ იმ ჯაშუშს ცხვირ-პირში. როგორ დაჭყეტს თვალებს, როცა ჩვენი ესესელი მოწმის გვარს წაიკითხავს!

ელიზაბეტმა გაიღიმა.

— ის ალბათ ამდენ აურზაურს არ ატეხს. გუშინწინ, როცა შენი დატოვებული გირვანქა შაქარი გადმომცა, მოულოდნელად მითხრა, რომ წესიერი ადამიანი ჩანხარ. ღმერთმა უწყის, რამ გამოიწვია ასეთი ცვლილება! შენ ხომ არ იცი?

— წარმოდგენა არ მაქვს. ალბათ ვილაცამ მოისყიდა და ეგ არის. რადგან ეს ხომ ის მეორე რამ არის, რასაც ჩვენ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მართლაც სრულყოფილად დავეუფლეთ.

XX

დაბომბვა შუადღისას დაიწყო. ულიმღამო, მაგრამ თბილი დღე დადგა, სინოტივითა და გაზაფხულის ლორთქო ყლორტების სურნელებით აღსავსე. ლრუბლები დაბლა ჩამოწოლილიყვნენ და აფეთქებათა ალი მათკენ იტყორცნებოდა, თითქოს დედამიწა უკან ესროდა მათ უხილავ მოწინააღმდეგეს, რათა მისი საკუთარი იარაღითვე ძირს ჩამოეგდო იგი და ცეცხლისა და ნგრევის მორევში ჩაეთრია.

შუადღის შესვენებისა და ქუჩებში ყველაზე გაცხოველებული მოძრაობის დრო იყო. საჰაერო თავდაცვის ერთ-ერთი მორიგის მითითებით გრებერი უახლეს თავშესაფარში ჩავიდა. ეგონა, მხოლოდ განგაშით დასრულდებოდა საქმე, მაგრამ როდესაც პირველ აფეთქებათა ხმა გაიგონა, ხალხის ბრბოს გარღვევა იწყო, ვიდრე გასასვლელს არ გაუსწორდა და იმ წამს, როდესაც კარი ერთხელ კიდევ გააღეს, რათა ქუჩაში დარჩენილი ხალხი შიგნით შემოეშვათ, გარეთ გავარდა.

— უკან დაბრუნდით! — დაუყვირა საჰაერო თავდაცვის მორიგემ, — ქუჩაში დარჩენის უფლება არავის აქვს, გარდა მორიგეებისა!

— მე მორიგე ვარ!

და ფაბრიკის მიმართულებით გაიქცა. არ იცოდა, შეძლებდა თუ არა ელიზაბეტთან მისვლას, მაგრამ იცოდა, რომ ფაბრიკები საჰაერო თავდასხმათა მთავარი სამიზნეებია და სურდა ყოველ შემთხვევაში ეცადა მაინც მისი წამოყვანა.

ერთ კუთხეში შეუხვია. მის წინ, ქუჩის ბოლოში, ნელა აიწია სახლი და ჰაერში ნანგრევებად იქცა, რომლებიც აქეთ-იქით გაიფანტნენ და საერთო ოროომტრიალში, საკუთარი ხმაურის გარეშე, უჩუმრად და აუჩქარებლად ძირს ჩამოცვივდნენ. წყალსადინარში ჩაწვა და ყურებზე ხელები მიიჭირა. მომდევნო აფეთქებით გამოწვეულმა ჰაერის ტალღამ ისე აიტაცა, როგორც ბუმბერაზმა ხელმა და რამდენიმე მეტრით უკან გადაისროლა. ქვები სეტყვასავით ცვიოდა მის ირგვლივ. უხმაუროდ ეცემოდნენ საყოველთაო ზათქსა და გრიალში. წამოდგა, წაიბორძიკა, თავი ძალუმად გააქნ-გამოაქნია, ყურები მოისრისა და შუბლზე მიირტყა ხელი, რათა გამორკვეულიყო. წამში ქუჩას მძვინვარე ალის ქარტეხილი მოედო. წინ წასვლა აღარ შეიძლებოდა და უკან გამობრუნდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ადამიანები გამორბოდნენ მისკენ, პირი დაელოთ, თვალებში შიში ჩასდგომოდათ. ყვიროდნენ. მაგრამ გრებერს არ ესმოდა მათი. დამფრთხალ ყრუ-მუნჯებივით ჩაურბოდნენ გვერდით. შემდეგ ხისფეხა კაცი გამოჩნდა, ვეება გუგულის საათი მოჰქონდა, რომელსაც სიმძიმე ძირს დასთრევდა. მის უკან კი გერმანული ნაგაზი მოძუნძულებდა და თან მიწას ეკვროდა. ერთი სახლის კუთხეში ხუთი წლის გოგონა იდგა, მკერდზე ძუძუთა ბალლი მიეკრა. გრებერი გაჩერდა.

— ჩქარა თავშესაფარში გაიქეცი! — დაუყვირა მან, — სად არიან შენი შშობლები? რატომ დაგტოვეს აქ?

გოგონას არც კი შეუხედავს მისთვის. თავი ჩაქინდრა და კედელს ეკვროდა. გრებერმა უეცრად საჰაერო თავდაცვის მორიგე დაინახა, რომელიც უხმოდ უყიროდა რაღაცას. გრებერმაც დაუყვირა პასუხად, მაგრამ თვითონაც ვერ გაიგონა საკუთარი ხმა. მორიგე უხმოდ ყვირილს განაგრძობდა და რაღაცას ანიშნებდა. გრებერმა უარყოფის ნიშნად თავი გააქნია და ორივე ბავშვზე მიუთითა. ეს ნამდვილი მოჩვენებათა პანტომიმა იყო. მორიგე შეეცადა ცალი ხელით გრებერი დაეკავებინა, ხოლო მეორე ბავშვებისკენ გაიწოდა. გრებერი ხელიდან დაუსხლტა. ამ საყოველთაო ორომტრიალში წამით მოეჩვენა, რომ წონა აღარ გააჩნდა და თვალშეუდგამი ნახტომების გაკეთება ძალუძდა, მაგრამ უმალვე ისე იგრძნო თავი, თითქოს მთლიანად ბლანტი ტყვეისგან ყოფილიყო ჩამოსხმული და უზარმაზარი ურიებით აბრტყელებდნენ.

მის ზემოთ კარგალებულმა კარადამ გადაიფრინა, მოუხეშავი წინარეისტორიული ფრინველის მსგავსად. ძლიერმა ჰაერის ტალღამ აიტაცა გრებერი და დაატრიალა. მიწიდან ცეცხლის ენები ავარდნენ, კაშკაშა სიყვითლე მოედო ზეცას, თვალისმომჭრელ სითეთრემდე გავარვარდა და უკანვე დაეშვა კოკისპირულ წვიმასავით. გრებერი ცეცხლს ისუნთქავდა, ასე ეგონა, ფილტვები გამომეწვაო. მოცელილივით დაეცა, თავზე მკლავები შემოიჭდო და სუნთქვა ისე შეიკავა, კინაღამ თავი გაუსკდა. მერე თავი ასწია და გაიხედა. თვალები ეწვოდა და ცრემლით ჰქონდა სავსე, მაგრამ მათში ნელ-ნელა მაინც ამოიტივტივდა სურათი, რომელიც ჯერ ბუნდოვანი იყო, შემდეგ კი მკაფიოდ გამოჩნდა: დამსკდარი, ლაქებით დაფარული აგურის კედელი, კიბის ზეგარდმო გადაწოლილი, ხოლო კიბეზე კი დამსხვრეულ საფეხურებზე წამოგებული სხეული ხუთი წლის გოგონასი,

რომელსაც მოკლე კუბოკრული ბოლოკაბა ზეკით ასწეოდა, ფეხები გასჩაჩხოდა და გაშიშვლებოდა, ხოლო მკლავები ჯვარცმულივით განზე გადაეყარა, მკერდში რკინის მოაჯირის ღერი გაჰყროდა და მისი თავი ზურგიდან გამოჩროდა. გვერდით კი, თითქოს უფრო მეტი სახსრები შესძენოდა, ვიდრე სიცოცხლეში ჰქონდა, საჰაერო თავდაცვის მორიგე ეგდო, უთავოდ, მთლად მოკუნტული, და მხოლოდ ცოტაოდენი სისხლიღა გადმოსჩქეფდა მისგან, წელში მოხრილიყო და ფეხები აკრობატივით მხრებზე გადაედო. ძუძუთა ბალღი აღარსად ჩანდა. ეტყობა, სადღაც სხვაგან გადაისროლა მძვინვარე ბორიომ, რომელიც ახლა უკვე უკან იწევდა და, მცხუნვარედ მქშინავი, თავის წინ ცეცხლის მორევს მიერეკებოდა.

— არამზადებო! არამზადებო! წყეულო არამზადებო! — გაიგონა გრებერმა გვერდით ვიღაცის ყვირილი. ჯერ ზევით აღაპყრო თვალები, მერე მიიხედ-მოიხედა და მიხვდა, რომ თვითონ ყვიროდა.

ზეზე წამოვარდა და სირბილით განაგრძო გზა. არ იცოდა, როგორ მიაღწია იმ მოედნამდე, სადაც ფაბრიკა მდებარეობდა. როგორც ჩანდა, ეს უკანასკნელი უვნებლად გადარჩენილიყო. მხოლოდ მარჯვენა მხარეს ჩანდა ახალი ძაბრი. დაბალი რუხი შენობები არსად იყო დაზიანებული. ფაბრიკის საჰაერო თავდაცვის მორიგემ შეაჩერა.

— ჩემი ცოლია აქ! — დაიყვირა გრებერმა, — შემიშვით!

— აკრძალულია! უახლოესი თავშესაფარი აგერ იქ, მეორე მხარეზეა, სადაც მოედანი თავდება.

— დასწყევლოს ეშმაკმა! რაღა არ არის აკრძალული ამ ქვეყანაში! გზა მომეცით, თორემ...

მორიგემ უკანა ეზოსკენ მიუთითა, სადა რკინაბეტონის პატარა ბრტყელი ბლინდაჟი ჩანდა.

— იქ ტყვიამფრქვევებია, — უთხრა მან, — და მცველთა რაზმი! ისეთივე ჯარისკაცები, როგორიც შენა ხარ! მიდი, თუ გულით გინდა შე ბოთე, შენა!

მეტი ახსნა-განმარტება გრებერს აღარ სჭირდებოდა: ტყვიამფრქვევები მთელ ეზოზე ბატონობდნენ.

— მცველთა რაზმი! — წარმოთქვა მან გაკვირვებით, — მერედა რისთვის? მალე თქვენს საკუთარ კურკლსაც კი მცველებს მიუყე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნებთ! რა, შიგ ბოროტმოქმედნი გყავთ, თუ რა არის? ან იქნებ იმ წყეულ სამხედრო ფარაჯებს დარაჯობთ?

— თორემ არა, აი! მჭირდებად მიუგო მორიგემ, — ჩვენ აქ მხოლოდ სამხედრო ფარაჯებს კი არ ვკერავთ და მხოლოდ ქალებს კი არ ვამუშავებთ. სამხედრო საჭურვლის საამქროში საკონცენტრაციო ბანაკიდან მოყვანილი რამდენიმე ასეული პატიმარი მუშაობს. მიხვდი, ფრონტელო ჩოკინავ?

— ჰო... თავშესაფრები როგორი გაქვთ?

— მე რაში მეკითხება თავშესაფრები! მე მაინც გარეთ უნდა ვიყო. და თანაც ვინ იცის, რა ბედი ეწევა ჩემს ცოლს ქალაქში?

— საიმედო თავშესაფრებია აქ?

— რასაკვირველია. ხალხი ხომ საჭიროა ფაბრიკისთვის. ჰოდა, ახლა კი მოუსვი აქედან! ქუჩაში ყოფნის უფლება არავის აქვს! აგერ, იქიდან უკვე შეგვამჩნიეს. ძალიან ფხიზლობენ, რომ სადმე საბოტაჟი არ მოხდეს!

მძიმე აფეთქებებმა იკლო, მაგრამ საზენიტო არტილერია ისევ მძვინვარებდა. გრებერი უკან გამოიქცა, მაგრამ თავშესაფრისაკენ კი არა, ირიბად გადაჭრა მოედანი და მის ბოლოში ყუმბარის მიერ ამოთხრილ ახალთახალ ძაბრში ჩაიმალა. შიგ ისეთი მყრალი სუნი იდგა, რომ კინაღამ დაიხრჩო. მერე ზევით ამოცოცდა ძაბრის კიდემდე, იქ დაწვა და ფაბრიკას მიაშტერდა. „აქ ომი სულ სხვანაირია, — ფიქრობდა იგი, — ფრონტზე თითოეულს მხოლოდ საკუთარი თავის დაღუპვისა უნდა ეშინოდეს და თუ ვინმეს ძმა ჰყავს იმავე ასეულში, ესეც კი უკვე ბევრია; აქ კი ყველას ოჯახი ჰყავს და მხოლოდ მას კი არ ესვრიან, არამედ ეს ორმაგი, სამმაგი და ათმაგი ომიც კია“. ხუთი წლის გოგონას გვამი გაახსენდა და მერე სხვებიც, ურიცხვი გვამი, რომლებიც ნანახი ჰქონდა. მოაგონდა მშობლებიც, ელიზაბეტიც და კონვულსიასავით[1] დაუარა სიძულვილმა მათდამი, ვინც ეს ყოველივე წამოიწყო. ეს იყო სიძულვილი, რომელიც არ იფარგლებოდა თავისი ქვეყნის საზღვრებით და არაფერი ესაქმებოდა საკითხის აწონ-დაწონასა და სამართლიანობასთან.

წვიმა წამოვიდა. წვეთები ვერცხლისფერ ცრემლთა გუნდივით ლაპალუპით ცვიოდნენ ამყრალებული, წაბილწული ჰაერის გავლით

---

[1] *კონვულსია (ლათ.) — მთელი სხეულის ძლიერი კრუნჩხვა.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დედამიწაზე. ძირს დაცემისას აქეთ-იქით იფრქვეოდნენ და ნიადაგს მრუმედ ღებავდნენ. შემდეგ კი ყუმბარმშენთა ახალი ესკადრილიები გამოჩნდნენ.

*

გრებერი თავს ისე გრძნობდა, თითქოს ვიღაცა გულს ურღვევდა. გუგუნი ლითონისებურ გრგვინვად იქცა. მერე ფაბრიკის ერთი ნაწილი ალიმართა ჰაერში, შავად გამოჩნდა მარაოსებური გაკაშკაშებული ცეცხლის ალის ფონზე და ისე დაიშალა. თითქოს ვიღაც გოლიათი იქცევდა თავს მიწის ქვეშ და სათამაშოებს ზევით ისროდა.

გრებერი ერთხანს მონუსხულივით მისჩერებოდა ფანჯარას, რომელიც თეთრად, ყვითლად და მწვანედ აკიაფდა და აფეთქდა, შემდეგ კი ფაბრიკის ალაყაფის კარისკენ გაიქცა.

— კიდევ რა გამოგენასკვა? — დაუყვირა მორიგემ, — ვერ ხედავ, რომ პირდაპირ ჩვენ მოგვაკერა?

— ჰო, მაგრამ სად? რომელ ნაწილში? სადაც ფარაჯებს კერავენ?

— ფარაჯებს? სისულელეა! ფარაჯების საამქრო უფრო უკან არის.

— მართლა? ჩემი ცოლი...

— მოდით და უკან გამლოკეთ შენ და შენმა ცოლმა! არ გააჭირა საქმე! ყველანი თავშესაფარში არიან. ჩვენ კი აქ დაჭრილებისა და მოკლულების მთელი გროვა გვყავს! თავი გამანებე!

— დაჭრილები და მოკლულები როგორღა გყავთ, თუკი ყველანი თავშესაფარში არიან?

— ესენი სხვები არიან! საკონცენტრაციო ბანაკის ხალხია. მათ თავშესაფარში არ გზავნიან ხოლმე, მიხვდი? თუ ფიქრობ, რომ მათ საგანგებო თავშესაფრები აუშენეს?

— არა, — თქვა გრებერმა, — მე მაგას არ ვფიქრობ.

— ჰოდა, ასეა! როგორც იქნა, ჭკუა მოიკრიბე. ახლა კი თავი გამანებე! შენ ხომ ძველი მებრძოლი ხარ, ასე არ უნდა განერვიულდე, მით უმეტეს, რომ ამჯერად უკვე ყველაფერი დამთავრდა და დღეისთვის შესაძლოა საკვებითაც კი.

გრებერმა ზევით აიხედა, მხოლოდ საზენიტო ქვემეხებიღა იყეფებოდნენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ყური დამიგდე, ძმობილო, — უთხრა მან, — მე მხოლოდ ერთი რამ მინდა! მე მსურს გაჯიგო, ფარაჯების საამქრო გადარჩა თუ არა! ან მე შემიშვი, ანდა შენ თვითონ იკითხე. ნუთუ შენ ცოლი არა გყავს?

— მყავს, აბა რა! მე ხომ უკვე გითხარი. შენ გგონია, რომ მე არ მადარდებს მისი ბედი?

— მაშინ წადი და გამიგე! ქენი ეს და შენს ცოლს ნამდვილად არაფერი მოუვა.

მორიგემ გრებერს შეხედა და თავი გააქნია.

— კაცო, შენ ჭკუაზე ხომ არ შეიშალე. თავი უფალი ღმერთი გგონია?

იგი თავის ჯიხურში შეტრიალდა და ცოტა ხნის შემდეგ უკან დაბრუნდა.

— ტელეფონით ველაპარაკე. ფარაჯებს არაფერი მოსვლიათ. ესაა მხოლოდ: საკონცენტრაციო ბანაკიდან მოყვანილ ჩვენს ძმებს უგემიათ პირდაპირი მოხვედრა. ჰოდა, ახლა მოუსვი! რამდენი ხანია, რაც ცოლი გყავს?

— ხუთი დღეა!

საჰაერო თავდაცვის მორიგე უეცრად გაიღრიჭა.

— რატომ მაშინვე არ მითხარი! ეს უკვე სხვა საქმეა!

გრებერი უკან წამოვიდა. „მე მსურდა ისეთი რამ მქონოდა, რაც დასაყრდენს მომცემდა, — გაიფიქრა მან, — მაგრამ არ ვიცოდი, რომ როდესაც ასეთი რამ გაგაჩნია, ორჯერ უფრო იოლად შეიძლება შენი დალახვრა“.

*

საჰაერო თავდასხმა დამთავრდა. ქალაქში დამწვრისა და სიკვდილის სუნი ტრიალებდა. იგი ცეცხლის კერებით იყო სავსე. რანაირ ალს არ ნახავდით აქ! იყო წითელი, მწვანე, ყვითელი, თეთრი... იყო ისეთებიც, რომელთა ენებიც გველებივით მოძვრებოდნენ ძირს დამხობილი ნანგრევებიდან და ისეთებიც, რომლებიც წყნარად გიზგიზებდნენ სახურავებზე; იყო ცეცხლი, რომელიც თითქმის ნაზად ელამუნებოდა სახლის გადარჩენილ ფრონტონს, ზედ ეკვროდა მას, გაუბედავად და ფრთხილად ეხვეოდა და იყო სხვანაირიც, რომელიც ხახადაფჩენილი ფანჯრიდან გამოვარდებოდა ხოლმე ძალუმად. იყო

ცეცხლის მორეები, ცეცხლის კედლები და ცეცხლის ქარტეხილები. ნახავდით გვამებს, რომელთაც ცეცხლი ეკიდათ და ცეცხლწაკიდებულ ცოცხალ ადამიანებსაც, რომელნიც ყვირილით გამორბოდნენ სახლებიდან და გამწარებულნი აქეთ-იქით ეხეთქებოდნენ, წრიალებდნენ, ვიდრე ძირს არ განერთხმოდნენ, მერე ფორთხვას იწყებდნენ, ქოშინებდნენ, ხოლო მოგვიანებით კი მხოლოდ იკრუნჩხებოდნენ, ხრიალებდნენ და დამწვარი ხორცის სუნადღა ყარდნენ.

— მაშხალებს ჰგვანან! — წარმოთქვა ვიღაცამ გრებერის გვერდით, — საცოდავებს არაფერი ეშველებათ, ცოცხლად დაიწვებიან. ეს წყეული ცეცხლწამკიდი ყუმბარების შედგენილობა, სადაც კი მიესხურება ადამიანს, ყველგან ძირამდე ატანს — სწვავს კანს, ხორცს და ძვლებს.

— ნუთუ მისი ჩაქრობა არ შეიძლება?

— მაშინ თითოეული მათგანისთვის საგანგებო ცეცხლსაქრობი აპარატი იქნებოდა საჭირო და ისიც არ ვიცი, უშველიდა მათ რამეს, თუ არა. ეს ეშმაკის შეჭამანდი ხომ ყველაფერს ძირისძირობამდე ჰბუგავს. როგორ ყვირიან!

— თუკი მათი გადარჩენა არ შეიძლება, მაშინ უნდა დახვრიტონ, რომ ნაკლებად იწვალონ.

— აბა, მიდი, ესროლე, თუ ბიჭი ხარ. მაშინვე სახრჩობელაზე ჩამოგაკონწიალებენ, როგორც მკვლელს! თანაც არ გინდა, რომ მოახვედრო? შეშლილებივით დაპროწიალობენ! ის კი არ იციან, რომ მთელი უბედურებაც მაგ პროწიალშია! სწორედ ეს აქცევს მათ მაშხალებად! წარმოგიდგენია, სულ ქარის ბრალია! ისინი დარბიან, ქარს აყენებენ, ხოლო ქარი ცეცხლს აჩაღებს. ჰოდა, თვალის დახამხამებას ვერ მოასწრებ, რომ უკვე კვარივით აპრიალდებიან ხოლმე.

გრებერმა შეხედა ამ კაცს. მას თავზე მუზარადი ჩამოეფხატა და მის ქვეშ მოუჩანდა ღრმად ჩაცვენილი თვალის ბუდეები და პირი, რომელშიც ბევრი კბილი აკლდა.

— მაშ, შენი აზრით, უნდა ერთ ადგილზე გაჩერდნენ?

— თეორიულად ასე სჯობია. უნდა ერთ ადგილზე გაჩერდე, ანდა შეეცადო ალი საბნით ან სხვა რამით მოაშთო. მაგრამ ასე უცებ სად გააჩენ მაშინ საბანს? ან მოგივა კი აზრად ასეთი რამ? ან ვინ გაჩერდება ერთ ადგილზე, როცა ცეცხლი უკიდია?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— არავინ. შენ ვის ეკუთვნი? საპაერო თავდაცვას?

— აბა, რას ამბობ. მე დამკრძალავი რაზმიდან ვარ. დაჭრილებსაც ვკრეფთ, რა თქმა უნდა, თუკი შეგვხვდებიან. აგერ ჩვენი ოთხთვალაც. გამოჩნდა, როგორც იქნა!

გრებერმა დაინახა ოთხთვალა, რომელშიაც თეთრი ცხენი შეებათ და ნანგრევებს შორის მოგორავდა.

— მოიცა, გუსტავ! — დაუძახა კაცმა, რომელსაც გრებერი ელაპარაკებოდა, — იქით ოთხთვალათი ველარ გაივლი. ხელით მოგვიხდება მათი გადმოტანა. საკაცე გაქვს?

— ორი ცალი.

გრებერი გაჰყვა ამ კაცს. აგურის კედლის უკან მკვდრები დაინახა. „როგორც სასაკლაოზეა ხოლმე, — გაიფიქრა, — არა, როგორც სასაკლაოზე კი არა, სასაკლაოზე დადგენილი წესრიგი სუფევს. პირუტყვები, როგორც წესი და რიგია, ისე არიან ასო-ასად აჭრილნი, სისხლიდან დაწრეტილნი და გამოშიგნულნი. აქ კი მკვდრები დაგლეჯილნი, დაბეგვილნი, ნაფლეთებად ქცეულნი, დამწვრები და დანახშირებულნი არიან“. ტანისამოსის ნაკუწებილა ეკიდათ ტანზე. შალის სვიტერის მკლავი, წინწკლებიანი ბოლოკაბა, ყავისფერი მანჩესტერის შარვლის ცალი ტოტი, ახლუდი, რომლის ზორტებზე შავი, გასისხლიანებული ძუძუები ეკიდა. იქვე გვერდით ზედიზედ ეყარა ერთიმეორეში არეული მკვდარი ბავშვები. ისინი თავშესაფარში ყოფილიყვნენ, რომელიც საკმაოდ მტკიცე არ გამომდგარიყო. ჩანდა ცალკეული ხელი, ტერფი, გასრესილი თავი, ზედ კიდევ შერჩენილი მცირეოდენი თმით, დაგრეხილი ფეხები და მათ შორის სასკოლო ჩანთა, კალათა მკვდარი კატით და საშინლად ფერმკრთალი, ალბინოსავით თეთრი ბიჭი. ისიც მკვდარი იყო, თუმცა ზედ ერთი ბეწო განაფხაჭნიც არ ემჩნეოდა, თითქოს მისთვის სული ჯერ არ ჩაებერათ და ელოდა, როდის გააცოცხლებდნენ, ხოლო მის წინ კი გაშავებული გვამი ედგო, რომელიც ძალიან არა, მაგრამ სულ თანაბრად იყო დამწვარი, გარდა ერთი ტერფისა, რომელიც მხოლოდ გასწითლებოდა და ბუშტუკებს დაეფარა. ვერ გაიგებდით, კაცი იყო თუ ქალი, სასქესო ორგანოები და მკერდი დამწვარი ჰქონდა. ოქროს ბეჭედი უკაშკაშებდა შავად დაკრუნჩხულ თითზე.

— თვალები, — წარმოთქვა ვიღაცამ, — თვალებიც კი ეწვებათ თურმე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გვამები ოთხთვალაზე დაალაგეს.

— ლინდა, — გაიძახოდა ვიღაც ქალი და საკაცეს მოსდევდა, — ლინდა! ლინდა!

მზემ გამოიხედა. წვიმით დასველებული ქუჩები ალიცლიცდნენ. უვნებლად გადარჩენილ ხეებს ჯერ გაშრობა ვერ მოესწროთ და ღია მწვანედ ბრწყინავდნენ. სინათლე ნაწვიმარზე უფრო კამკამა და ძლიერი ჩანდა.

— ამის მიტევება არასოდეს შეიძლება, — წარმოთქვა ვიღაცამ გრებერის უკან. გრებერი მოტრიალდა. ვიღაც ქალი, რომელსაც წითელი შლაპა ეხურა, ბავშვებს დასცქეროდა.

— არასოდეს! — გაიმეორა მან, — არასოდეს! არც სააქაოს და არც საიქიოს!

მათთან პატრული მივიდა.

— ნუ გაჩერდებით! გზა განაგრძეთ! ნუ გაჩერდებით-მეთქი! აბა, გასწით!

*

გრებერმა გზა განაგრძო. „რისი მიტევება არ შეიძლება? — ფიქრობდა იგი, — ომის შემდგომ უსაზღვროდ ბევრი რამ იქნება მისატევებელიცა და მიუტევებელიც. ამას ერთი ადამიანის სიცოცხლე არ ეყოფა. მას ბევრად უფრო მეტი მკვდარი ბავშვი უნახავს, ვიდრე აქ იყო. ყველგან უნახავს: საფრანგეთში, ჰოლანდიაში, პოლონეთში, აფრიკაში, რუსეთში. ყველას, და არა მხოლოდ გერმანელებს ჰყავდათ დედები, რომლებიც მათ დასტიროდნენ. მაგრამ რატომ ფიქრობს ამას? განა ამ ერთი საათის წინ თვითონ არ ყვიროდა ზეცისკენ თავაღებული, სადაც თვითმფრინავები ეგულებოდა: არამზადებო, არამზადებოო?!“

*

ელიზაბეტის სახლს არ მოხვედროდა, მაგრამ მის მახლობელ შენობას ცეცხლწამკიდი ყუმბარა დასცემოდა, ქარს ცეცხლი ჯერ ელიზაბეტის სახლის მეზობელ ნაგებობაზე გადმოეტანა, ხოლო იქიდან კი ელიზაბეტის სახლის სახურავზე და ახლა სამივე შენობის სახურავი ცეცხლის ალში გახვეულიყო.

მეკარე ქუჩაში იდგა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— რატომ არავინ აქრობს? — შეეკითხა გრებერი.

ჯორტიემ ხელით ჰაერში რკალი მოხაზა, თითქოს მთელ ქალაქს მოავლო ხელი და კითხვითვე უპასუხა:

— რატომ არავინ აქრობს?

— რა, წყალი არ არის?

— ცოტაოდენი წყალი კი არის, მაგრამ წნევა არა აქვს. მხოლოდ ოდნავ მოწანწკარებს. და თანაც ცეცხლსაც ვერ მივდგომივართ. სახურავი ყოველ წამს შეიძლება ჩამოინგრეს.

ქუჩაში იდგა სავარძლები, ჩემოდნები, ჩიტის გალია, რომელშიც კატა ჩაემწყვდიათ, ეყარა ნახატები და ტანისამოსის ბოხჩები. ქვედა სართულის ფანჯრებიდან გაოფლიანებული და აღელვებული სახის მქონე ადამიანები საბნებსა და ბალიშებში გამოხვეულ ნივთებს ქუ-ჩაში ისროდნენ. ზოგი კიდევ არბოდ-ჩამორბოდა.

— როგორ ფიქრობთ, სახლი სულ ერთიანად დაიწვება?

— ალბათ, თუ მეხანძრეები დროზე არ მოვლენ. მადლობა ღმერთს, რომ ქარი ძლიერი არ არის. ზედა სართულზე წყლის ყველა ონკანი გაეღოთ და ყველაფერი, რასაც იოლად შეიძლება ცეცხლი წაეკი-დოს, წამოიღეთ. მეტი არაფერი შეგვიძლია გავაკეთოთ. მართლა, რა უყავით, სიგარას რომ დამპირდით? ერთ ცალს მოვწევდი ახლა.

— ხვალ, — უთხრა გრებერმა, — ხვალ აუცილებლად მოგიტანთ.

ელიზაბეტის ბინას ახედა. მას ცეცხლი ჯერ უშუალოდ არ ემუ-ქრებოდა. შუაში ორი სართული იყო კიდევ. ელიზაბეტის ოთახის მომიჯნავე ფანჯარაში აწრიალებულ ფრაუ ლიზერს მოჰკრა თვალი. იგი ვეება თეთრ ბოხჩას კრავდა. ეტყობა, ლოგინი იყო შიგ.

— წავალ, მეც შევკრავ ბარგს, — თქვა გრებერმა, — რას ვკარგავ.

— ჰო, რას კარგავ, — მიუგო მეკარემ.

ვილაც პენსნეიანი კაცი ჩამორბოდა კიბეზე მძიმე ჩემოდნით ხელ-ში და გრებერს იგი წვივში მოახვედრა.

— უკაცრავად, გეთაყვა, — წარმოთქვა მან ზრდილობიანად, მა-გრამ გრებერისათვის ზედაც არ შეუხედავს და სირბილითვე განა-გრძო გზა.

ბინის კარი გაღებული დახვდა. დერეფანი შეკრული ბარგით ჩახერგილიყო. ფრაუ ლიზერმა გაფაციცებით ჩაუარა გრებერს, ტუჩზე კბილი დაეჭირა და თვალი ცრემლით ავსებოდა. გრებერი ელიზაბეტის ოთახში შევიდა და კარი მიიხურა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფანჯარასთან მდგარ საჯარძელში ჩაჯდა და მიიხედ-მოიხედა. ოთახი ანაზღვეულად გარეთ გამეფებული ორიომტრიალთან შედარებით საოცარი მყუდროებით აღსავსე ეჩვენა. ერთხანს ასე გაუნძრეველად იჯდა და არაფერზე ფიქრობდა. მერე ჩემოდნებს დაეწყო ძებნა. ორი ცალი საწოლის ქვეშ იპოვა და დაფიქრდა, რა ჩაელაგებინა.

ელიზაბეტის კაბებით დაიწყო. კარადიდან რამდენიმე კაბა გადმოიღო, რომლებიც ყველაზე უფრო საჭიროდ მიიჩნია. შემდეგ კამოდი გამოიღო და თეთრეული და წინდები ამოალაგა. წერილების პაწია შეკვრა ტუფლებს შორის ჩატენა. ჩალაგებაში გართულს ქუჩიდან შეძახილები და ხმაური მოესმა. ფანჯრიდან გადაიხედა. მაგრამ ეს მეჯანიძეები კი არა, მობინადრეები იყვნენ, რომლებსაც თავ-თავიანთი ბარგი გამოექონდათ გარეთ. თვალი მოეკრა წაულას ქურქში გამოწყობილ ქალს, რომელიც ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მდგარ დანგრეული სახლის წინ წითელი ხავერდის საჯარძელში იჯდა და პატარა ჩემოდანი მაგრად მიეკრა გულზე. „ალბათ მისი სამკაულებია შიგ", — გაიფიქრა გრეებერმა და გადაწყვიტა ელიზაბეტის სამკაულები მოეძებნა უჯრებში. იპოვა კიდეც რამდენიმე პაწია ნივთი: ოქროს თხელი სამაჯური და ერთი ძველებური ამეთვისტომის ბრილი. ოქროსფერი კაბაც აიღო. ელიზაბეტის ნივთების ხელის ხლებაზე განსაკუთრებულ სინაზეს გრძნობდა, სინაზესა და სულ ოდნავ კდემას, თითქოს რაღაც ნებადაურთველს სჩადიოდა.

უკვე პირამდე საკსე მეორე ჩემოდანში ზევიდან ელიზაბეტის მამის ფოტოსურათი ჩადო და დაკეტა. მერე კვლავ საჯარძელში ჩაჯდა და ერთხელ კიდევ მიიხედ-მოიხედა. კვლავ ოთახის საოცარმა მყუდროებამ მოიცვა. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ გაახსენდა, რომ ლოგინიც უნდა წაელო. საბნები და ბალიშები ზეწრებში გაახვია და ისე გაკვანძა, როგორც ეს ფრაუ ლიზერს გაეკეთებინა. როცა ფუთა იატაკზე დადო, საწოლის უკან თავისი ზურგჩანთა დაინახა, რომელიც სულ აღარ ახსოვდა. გრეებერმა გამოათრია იგი. გამოთრევის დროს შიგნიდან ფოლადის მუზარადი გამოვარდა და ისეთი ბრახაბრუხით გაგორდა იატაკზე, თითქოს ქვევიდან ვილაც მაგრად აკაკუნებდა. გრეებერი დიდხანს მისჩერებოდა მას, მერე ფეხით მიაგორა კართან დალაგებულ ბარგთან და ქვევით ჩაზიდა ეს ყველაფერი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

*

სახლები ნელინელ იწვოდნენ. მეხანძრეები არ მოსულან: რამდენიმე საცხოვრებელი სახლი ბევრს არაფერს ნიშნავდა. პირველ ყოვლისა, ცეცხლწაკიდებულ ფაბრიკებს აქრობდნენ. თანაც ესეც არ იყოს, მეოთხედი ქალაქი ცეცხლის ალში გახვეულიყო.

სახლების ბინადართ იმდენი რამ გადაერჩინათ თავიანთი ქონებიდან, რამდენიც მოეხერხებინათ და ახლა აღარ იცოდნენ, სად წაელოთ. არც ტრანსპორტი იყო და არც თავშესაფარი. ცეცხლწაკიდებული სახლებიდან ოდნავ მოშორებით ქუჩა, როგორც ერთი მხრიდან, ისევე მეორიდანაც გადაეკეტათ და ალყის გვერდით ორივე მხარეს მობინადრეთა აკლადიდება იყო დახორავებული. გრებერს თვალში მოხვდა ხავერდის საკარძელი, ტყავის დივანი, სკამები, საწოლები და ბავშვის საწოლი. ერთ ოჯახს საშხარეულო მაგიდა და ოთხი სკამი გადაერჩინა და ახლა მისი წევრები მაგიდას უსხდნენ გარშემო. მეორეს თავისთვის კუნჭული შემოელობა და ისე იცავდა ყველასგან, ვინც კი შიგ შეჭრას დააპირებდა, როგორც საკუთარს. მეკარე თურქულ ყაიდაზე მოხატულ შეზლონგში იწვა და ეძინა. სახლის ერთ-ერთ კედელზე ჰიტლერის დიდი პორტრეტი მიეყუდებინათ, რომელიც ფრაუ ლიზერს ეკუთვნოდა. ფრაუ ლიზერს კი კალათში ბავშვი ჩაესვა და ლოგინზე იჯდა.

გრებერს ბიდერმაიერის სტილის საკარძელი ჩამოეტანა ელიზაბეტის ოთახიდან და შიგ იჯდა. ჩემოდნები, ზურგჩანთა და სხვა ნივთები გვერდით მოეწყო. იგი შეეცადა, ბარგი ერთ-ერთ დაუზიანებელ სახლში დაებინავებინა, მაგრამ ორ ბინაში არავინ გამოეხმაურა, როდესაც ზარი დარეკა, თუმცა კი ფანჯრებში მდგმურთა სახეებს მოჰკრა თვალი. სხვებში კიდევ არ შეუშვეს, რადგან შიგ უკვე ტევა აღარ იყო, უკანასკნელ ბინაში კი ვიღაც ქალმა ყვირილი აუტეხა:

— ჰო, რა თქმა უნდა, თქვენ არ გაწყენდათ ასეთი რამ! მერე აიღებთ და აქ დარჩებით საცხოვრებლად!

ამის შემდეგ გრებერმა ხელი აიღო განზრახვაზე. როცა თავის ბარგთან უკან დაბრუნდა, ნახა, რომ პურითა და სანოვაგით სავსე პარკი ვიღაცას მოეპარა. მოგვიანებით შენიშნა, რომ ოჯახი, რომელიც მაგიდას უჯდა გარშემო, ჩუმად რაღაცას ჭამდა. დროდადრო თავს მიაბრუნებდნენ ხოლმე და რაღაცას იტენიდნენ პირში, მაგრამ შეიძლება მათი საკუთარი საჭმელიც იყო, რომელიც არავისთვის სურდათ გაეზიარებინათ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უეცრად ელიზაბეტს მოეკრა თვალი. ალეკი გაერღვია, თავისუფალ ადგილზე იდგა და ცეცხლის ალინათი დასთამაშებდა.

— აქეთ, მოდი, ელიზაბეტ! — დაუძახა და წამოხტა.

ელიზაბეტი მისკენ მოტრიალდა, მაგრამ მაშინვე ვერ შენიშნა გრებერი. ქალის ტანი მრუმედ ჩანდა ცეცხლის ფონზე და მხოლოდ მისი თმა ანათებდა.

— აქეთ მოდი! — დაუყვირა ვაუმა ერთხელ კიდევ და ხელი დაუქნია.

ქალი მისკენ გამოქანდა.

— აი, თურმე სად ხარ! მადლობა ღმერთს!

ვაუმა გულში ჩაიკრა იგი.

— ფაბრიკაში ველარ მოვედი შენს წამოსაყვანად. ბარგს ხომ თავს ვერ დავანებებდი.

— მე კი მეგონა, რომ რაღაც დაგემართა.

— რატომ უნდა დამმართოდა რაში?

ქალი მძიმედ სუნთქავდა, მის მკერდზე მიყრდნობილი.

— დალახვრის ეშმაკმა, ეს ახრადაც არ მომსვლია, — ჩაილაპარაკა გაოგნებულმა ვაუმა, — მხოლოდ შენი დარდი მქონდა.

ელიზაბეტმა ზეკით აიხედა.

— რა ხდება აქ?

— რა და ჯერ სახურავს წაეკიდა ცეცხლი, მერე კი მთელ სახლს მოედო.

— მერედა შენ? მე შენი ჯავრი მქონდა.

— მე კი შენი. მოდი, დაჯექი აქ. დაისვენე.

ქალი კვლავ მძიმედ სუთქავდა. გრებერმა ფილაქნის პირას წყლით სავსე ვედრო შენიშნა, რომელსაც გვერდით ფინჯანი ედგა. მივიდა, წყალი ამოიღო და ელიზაბეტს გაუწოდა.

— აჰა, მოსვი ცოტაოდენი.

— თქვენ ეი! ეგ წყალი ჩვენია! — დაუყვირა ვიღაც ქალმა.

— და ფინჯანიც ჩვენია, — დაუმატა თორმეტი წლის ჭორფლიანმა ბიჭმა.

— დალიე, — უთხრა გრებერმა ელიზაბეტს და ქალსა და ბავშვს მიუბრუნდა, — ჰაერის საქმე როგორლაა? ისიც თქვენ ხომ არ გეკუთვნით?

— უკან მიეცი წყალიც და ფინჯანიც, — თქვა ელიზაბეტმა, — ანდა ვედრო დაამხე თავზე, ასე აჯობებს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გრუბერმა ფინჯანი პირთან მიუტანა.

— არა, დალიე. ირბინე?

— ჰო, მაგელი გზა მოკრბოდი.

გრუბერი ისევ მაგიდა ედლროსთან, ქალი, რომელმაც წყლის გამო გრუბერს დაუყვირა, საჭმარეულო მაგიდასთან მჯდომ ოჯახს ეკუთვნოდა. გრუბერმა ერთხელ კიდევ ამოიღო საკუსე ფინჯანი ედლროდან, გამოცალა და მერე ისევ ედლროს გვერდით დადგა. ხმა არაკის ამოულია, მაგრამ ვიდრე გრუბერი თავის ადგილზე დაბრუნდებოდა, ბიჭმა ედლროსთან მიირბინა, ფინჯანი აიღო და მაგიდაზე დადგა.

ამასობაში მეკარემ გამოიღვიძა, ერთი კი შესძახა მაგიდასთან მსხდომთ: პირწმინდა ლორები ხართო, მერე დაამთქნარა და ისევ მიწვა დასაძინებლად. პირველად შენობის სახურავი ჩამოინგრა.

— აი, აქ არის ყველაფერი, რაც შენთვის წამოვიღე, — უთხრა გრუბერმა, — თითქმის ყველა შენი კაბა. მამაშენის სურათიც. აგრეთვე შენი ლოგინი. ახლა მინდა ვცადო, ეგებ ავეჯიც გადავარჩინო. მე მგონია, ჯერ კიდევ მოესწრება.

— არ წახვიდე. დაე დაიწვას.

— რატომ? ჯერ კიდევ არის დრო.

— დაე, დაიწვას. მაშინ ყველაფერს ბოლო მოელება. ასეა საჭირო.

— რას მოელება ბოლო?

— წარსულს. ჩვენ იგი არაფერში გვარგია. გვამძიმებს მხოლოდ. ისიც კი, რაც კარგი იყო. ახლიდან უნდა დავიწყოთ ყველაფერი. ჩვენი წარსული გაკოტრდა. მას ველარ დავუბრუნდებით.

— ჰო, მაგრამ ავეჯი შეგეძლო გაგეყიდა.

— აქა? — ელიზაბეტმა მიიხედ-მოიხედა, — საჯარო ვაჭრობას ხომ ვერ მოვაწყობთ შუა ქუჩაში. აბა, შეხედე, რამდენი ავეჯია და რა ცოტა ბინები! და თანაც ასე ჯერ კიდევ დიდხანს გაგრძელდება.

ისევ წამოიწყო წვიმა. დიდრონი თბილი წვეთები ცვიოდა. ფრაუ ლიზერმა ქოლგა გაშალა. ერთმა ქალმა, რომელსაც ახალი ყვავილებიანი შლაპა გადაერჩინა და რადგან ასე უფრო მოსახერხებელი იყო, თავზე წამოედო, ახლა მოიხადა იგი და კაბის ქვეშ დამალა. პორტიეს ისევ გამოელვიძა და დააცემინა. ზეთის საღებავებით შესრულებულ სურათზე, რომელიც ფრაუ ლიზერს ეკუთვნოდა და რომელსაც ახლა აწვიმდა, ჰიტლერს თითქოს ცრემლები გადმოსდიოდა

თეალთაგან. გრეგერმა ხურგჩანთას ფარაჯა და საწვიმარ-მოსასხამი მოხსნა. ფარაჯა ელიზაბეტს მოახურა, ხოლო საწვიმარ-მოსასხამი ლოგინს გადააფარა.

— რაზე უნდა ვილონოთ, რომ სადმე გავათიოთ ეს ღამე, — თქვა ვაჟმა.

— იქნებ წვიმამ ჩააქროს ცეცხლი. ამათ სადღა უნდა გაათიონ?

— რა ვიცი, როგორც ჩანს, ეს ქუჩა ყველას დაავიწყდა.

— აქაც შეგვიძლია გავათენოთ ლოგინი, ფარაჯა და საწვიმარ-მოსასხამი გვაქვს.

— მერედა შეგიძლია აქ დაძინება?

— მე მგონი, ძილს ყველგან შეძლებ, როდესაც დაღლილი ხარ.

— ბინდინგს საკუთარი სახლი აქვს და ერთ ოთახს დაგვითმობდა, მაგრამ იქ შენ არ გინდა, არა?

ელიზაბეტმა თავი გააქნია.

— პოლმანთანაც შეიძლებოდა, ღამის გასათევი ადგილი მასაც მოეძებნა თავის კატაკომბში.[1] მე სწორედ ამ რამდენიმე დღის წინათ შევეკითხე ამის შესახებ. საჰაერო თავდასხმისგან დაზარალებულთა დროებითი საცხოვრებლები კი ნაღდად ბოლომდე იქნება გატენილი, თუკი ასეთი ბინები კიდევ არსებობენ.

— ჩვენ შეგვიძლია ცოტა კიდევ დავიცადოთ. ჩვენი სართული ჯერ არ იწვის.

საშხედრო ფარაჯაში გამოხვეულ ელიზაბეტს წვიმა დასდიოდა, მაგრამ უგუნებოდ არ ჩანდა.

— კარგი იქნებოდა რამე დასალევი გვქონოდა, — წარმოთქვა მან, — წყალს არ ვგულისხმობ, რა თქმა უნდა.

— ჩვენ გვაქვს სასმელი. ჩალაგების დროს ერთ ბოთლ რუსულ არაყს წაეწყდი წიგნებს შორის. ეტყობა, ორივეს გადაგვავიწყდა მისი არსებობა.

გრეგერმა ლოგინი გამოხსნა. ბოთლი ქვეშაგებში ჩაედო; ამიტომაც არ ჩაუვარდა იგი ქურდს ხელში. გრეგერს ბოთლთან ერთად ჭიქაც გაეხვია.

---

[1] *კატაკომბი — 1. ძველ რომსა და სხვა ქალაქებში: მიწის ქვეშ გაყვანილი ან ბუნებრივად გაჩენილი ერთელი გალერეები, დერეფნები, სადგომები, სადაც პირველ ხანებში თავს აფარებდნენ დევნილი ქრისტიანები; 2. საერთოდ, მიწისქვეშა გალერეები, სადგომები, მიტოვებული მაღაროები და მისთ.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— აი, გამომართვი. ოლონდ ფრთხილად უნდა დაკლიოთ, რომ სხვებმა ვერაფერი შეგვნიშნონ, თორემ ფრაუ ლიზერი ალბათ დაგვაბეზღებს, რომ აბუჩად ვიგდებთ ეროვნულ უბედურებას.

— თუ გინდა, რომ ვერავინ ვერაფერი შეგნიშნოს, არ უნდა ფრთხილობდე. ეს მე უკვე ვისწავლე, — ელიზაბეტმა ჭიქა აიღო და მოსვა, — რა დიდებულია! — წარმოთქვა მან, — სწორედ ისაა, რაც მე მჭირდება, ახლა თავს თითქმის ისე ვგრძნობ, თითქოს ღია ცის ქვეშ მოწყობილ კაფეში ვიჯდე. სიგარეტიც გაქვს?

— სულ ყველა წამოვიღე, რაც კი გაგვაჩნდა.

— ძალიან კარგი. მაშ ყველაფერი გვქონია, რაც გვჭირდება.

— იქნებ მაინც წავსულიყავი და აქედან რამე გადამერჩინა.

— სულერთია, ზევით უკვე აღარ აგიშვებენ. თანაც რა დროს აქეჯია! თან ხომ ვერ წავათრევთ, სადაც დასაძინებლად წავალთ?

— ერთ-ერთი ჩვენგანი უყარაულებდა მას, ვიდრე მეორე თავშესაფარებელ ადგილს მოძებნიდა.

ელიზაბეტმა თავი გააქნია და ჭიქა ბოლომდე გამოცალა. მისი სახლის სახურავი ჩამოინგრა. კედლებმა თითქოს რყევა იწყეს და შემდეგ ზედა სართულების იატაკებიც ჩაინგრა. მობინადრეებს გმინვა აღმოხდათ ქუჩაში. ფანჯრებიდან ნაპერწკლები გადმოიფრქვა და ალის ენები ფარდებს შეეხო.

— ჩვენი სართული ჯერ უვნებელია, — თქვა გრებერმა.

— ახლა უკვე ისიც ვერ გაძლებს დიდხანს, — მიუგო მის უკან მდგომმა ვიღაც კაცმა.

გრებერი მისკენ მიბრუნდა.

— რატომ ვერ გაძლებს?

— თქვენ უფრო უნდა გაგიღიმოთ ბედმა, ვიდრე ჩვენ? მე აგერ იმ სართულზე, იქ, მაღლა, ოცდასამი წელიწადი ვიცხოვრე, ყმაწვილო. ახლა კი ის იწვის. რატომ თქვენიც არ უნდა დაიწვას?

გრებერმა შეხედა ამ კაცს. ხმელ-ხმელი აგებულებისა იყო და მოტვლეპილი თავი ჰქონდა.

— მეგონა, რომ ეს შემთხვევის საქმე იყო და მორალთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა.

— რატომ, ეს სამართლიანობის საქმეა! თუკი თქვენ საერთოდ გესმით, რას ნიშნავს ეს სიტყვა.

— არცთუ საკმებით ზუსტად. მაგრამ ეს ჩემი ბრალი არ არის, — გრებერმა ჩაიცინა, — ალბათ ძალიან გაძნარებული გექნებათ ცხოვრება, თუ ჯერაც გწამთ იგი. ერთ ჭიქა არაყს არ დალევთ? ეგ არ სჯობია ყაყანს?

— გმადლობთ! თქვენთვის შეინახეთ არაყი! დაგჭირდებათ, როცა თქვენი საქათმე დაინგრევა.

გრებერმა უკან დადგა ბოთლი.

— გნებავთ, დავნაძლევდეთ, რომ არ დაინგრევა?

— რაო?

— მე გეკითხებით: არ გინდათ სანაძლეო დავდოთ-მეთქი?

ელიზაბეტს გაეცინა. თავმოტვლეპილი კაცი გაშტერებული უყურებდა ორივეს.

— სანაძლეოს დადება მოგინდათ, თავქარიანო ყმაწვილო! და თქვენ კი, ფროილაინ, იცინით კიდეც? ნამდვილად ძალიან დავკნინდით!

— რატომაც არ უნდა გაიცინოს? — უთხრა გრებერმა, — სიცილი სჯობია ტირილს. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ორივე ამაოა.

— თქვენ უნდა ლოცულობდეთ!

კედლის ზედა ნაწილი შიგნით გადაწვა და ელიზაბეტის სართულის ზემოთ იატაკი ჩაინგრა. ქოლგას ამოფარებულმა ფრაუ ლიზერმა გულამოსკვნით იწყო ქვითინი. საშზარულოს მაგიდასთან მჯდომი ოჯახი სპირტქურაზე ალაოს ყავას ადულებდა. ქალმა, რომელიც წითელი ხავერდის საკარძელში იჯდა, მის ზურგს გაზეთები გადააფარა, რათა წვიმისგან დაეცვა. ბავშვის საწოლში პატარა ტიროდა.

— ეჰ, ინგრევა ჩვენი ორკვირიანი მშობლიური კერა, — წარმოთქვა გრებერმა.

— სამართლიანობა იმარჯვებს! — განაცხადა კმაყოფილმა მელოტმა.

— უნდა დამნაძლევებოდით და მომიგებდით.

— მე მატერიალისტი არ გახლავართ, ყმაწვილო!

— მაშ, ამდენს რაღას გასჩხავით თქვენი ბინის გამო?

— ეს ჩემი ნაკსაყუდელი იყო. თქვენ ამას, რასაკვირველია, ვერ გაიგებთ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ვერა, ვერ გავიგებ! გერმანიის იმპერიამ ერთობ ადრე მაქცია მსოფლიო მასშტაბის ვაგაბუნდად.[1]

— ამისთვის თქვენ მისი მადლიერი უნდა იყოთ, — მელოტმა პირზე მოისვა ხელი და გაჭირვებით გადაყლაპა ნერწყვი, — კაცმა რომ თქვას, ახლა უარს არ ვიტყოდი ერთ ჭიქა არაყზე.

— ახლა უკვე ვერაფერს მიიღებთ. უმჯობესია ილოცოთ.

ფრაუ ლიზერის ოთახებიდან ალი გამოვარდა.

— საწერი მაგიდაც დაიწვება ალბათ, — წასჩურჩულა ელიზაბეტმა, — საწერი მაგიდა ჯაშუშისა და ყველაფერი, რაც შიგ არის.

— უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ ასე მოხდება. ზედ ერთი ბოთლი ნავთი გადავასხი. ახლა რა ვიღონოთ?

— უნდა ბინა მოვძებნოთ და თუ ვერ ვიპოვით, სადმე ქუჩაში გავათიოთ ღამე.

— ქუჩაში ან პარკში, — გრებერმა ცას ახედა, — წვიმის საწინააღმდეგოდ საწვიმარ-მოსასხამი მაქვს, თუმცა იგი მაინცდამაინც არ იფარავს; მაგრამ იქნებ სადმე გამოვნახოთ თავის შესაფარებელი ადგილი. ამ სავარძელსა და წიგნებს რა ვუყოთ?

— ეგენი აქ დავტოვოთ. თუ ხვალამდე არავინ წაიღო, მერე მოვიფიქრებთ რასმე.

გრებერმა ზურგჩანთა წამოიკიდა და მხარზე ლოგინი შეიგდო. ელიზაბეტმა ჩემოდნებს დაავლო ხელი.

— მომეცი, მაგასაც მე წამოვიღებ, — უთხრა ვაჟმა, — შეჩვეული ვარ ბევრი ტვირთის თრევას.

ორი მეზობელი სახლის ზედა სართულები გრიალით ჩაინგრა. ირგვლივ ცეცხლწაკიდებული ფიცრის ნაჭრები გაიფანტა. ფრაუ ლიზერმა შეჰკივლა და წამოხტა, ერთი მუგუზალი თავზე გადაევლო ქუჩის გადაკეტილ ნაწილს და შიგ სახეში მოხვდა მას. ახლა ელიზაბეტის ოთახიდანაც გამოვარდა ალი. შემდეგ კი ჭერიც ჩაინგრა.

— ახლა შეგვიძლია წავიდეთ, — თქვა ელიზაბეტმა.

გრებერმა ფანჯარას ახედა.

---

[1] *ვაგაბუნდი (იგივე ვაგანტი) — ვაგანტები ანუ მოხეტიალენი — შუა საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში მოხეტიალე პოეტ-სტუდენტები, რომლებიც თხზავდნენ და ასრულებდნენ ეკლესიის საწინააღმდეგო შინაარსის სიმღერებს (საფრანგეთში მათ ეძახდნენ გოლიარდებს).*

— კარგი დღეები გავატარეთ იქ, — წარმოთქვა მან, — საუკეთესო. წამო, წავიდეთ.

ელიზაბეტის სახე ხანძარს წითლად გაენათებინა. მათ საკარძლებს შორის გაიკვლიეს გზა. მობინადრეთა მეტი ნაწილი მდუმარედ და განწირული სახით იჯდა. ერთს გვერდით წიგნების მთელი დასტა ელაგა და კუთხულობდა. ორი ხანში შესული ადამიანი ერთმანეთზე მჭიდროდ მიკრული იჯდა ქვაფენილზე. ორივეს ტანზე პელერინა[1] მოეხურათ და ორთავიან მწუხარე ღამურებს ჰგავდნენ.

— საოცარია, რაოდენ იოლად ელევი ადამიანი იმას, რასაც ჯერ კიდევ გუშინ გეგონა, რომ ვერასოდეს განშორდებოდი, — თქვა ელიზაბეტმა.

გრებერმა ერთხელ კიდევ მიიხედა უკან. ჭორფლიანი ბიჭი, რომელმაც ფინჯანი წაიღო, უკვე ბიდერმაიერის სტილის საკარძელში მოკალათებულიყო.

— მე ფრაუ ლიზერს ჩანთა მოვპარე, ვიდრე ის აქეთ-იქით ეხეთქებოდა, — თქვა გრებერმა, — ქაღალდებით არის გატენილი. ცეცხლში ჩავაგდოთ სადმე. ვინ იცის, იქნებ ამან ვინმე იხსნას დაბეზღებისგან.

ელიზაბეტმა თავი დაუქნია. მას უკან არ მიუხედავს.

*

გრებერი დიდხანს აკაკუნებდა, შემდეგ ნჯღრევა დაუწყო კარს. მაინც არავინ აღებდა. იგი ელიზაბეტთან დაბრუნდა.

— პოლმანი შინ არ არის. ანდა არავის უღებს კარს.

— იქნებ აქ აღარ ცხოვრობს?

— მაშ, სხვაგან სად უნდა იცხოვროს? განა არის სადმე ადგილი? ამაში ხომ კარგად დავრწმუნდით უკანასკნელი სამი საათის განმავლობაში. მხოლოდ ერთი რამ არის შესაძლებელი, — გრებერი ერთხელ კიდევ მივიდა კართან, — არა, გესტაპო არ ყოფილა აქ, თორემ მაშინ სხვანაირი შესახედაობა ექნებოდა აქაურობას. როგორ მოვიქცეთ? გინდა თავშესაფარში წავიდეთ?

— არა! არ შეიძლება, რომ აქ სადმე დავრჩეთ?

---

[1] *პელერინა — მოკლე მოსასხამი, რომელიც ჩვეულებრივ, წელამდე არ სწვდებათ.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გრებერმა მუშტრის თვალით მიიხედ-მოიხედა. ღამე იყო და ცის კაბადონის მეწამულ ფონზე შავად აწვდილიყვნენ დაკბილული ნანგრევები.

— აი, აქ ოთახის ჭერის ერთი კუთხე გადარჩენილა, — თქვა მან, — მის ქვეშ სიმშრალეა. ერთ მხარეს საწვიმარ-მოსასხამს ამოვაფარებ, მეორე მხარეს — ჩემს ფარაჯას.

ხიმტი მიაკაკუნა ჭერზე. არ ჩამონგრეულა. ნანგრევებში მოძებნა და იპოვა კიდეც რამდენიმე რკინის ღერი, რომლებიც მიწაში ჩარჭო და ზედ საწვიმარ-მოსასხამი ჩამოჰკიდა.

— ეს ფარდა იქნება. ახლა ფარაჯას ჩამოვაფარებ მეორე მხრიდან და კარვის მსგავსი რამ გაკეთდება. ჰა, რას იტყვი?

— გინდა დაგეხმარო?

— არა, ბარგს ყური უგდე, მეტი არაფერი მინდა შენგან.

გრებერმა კუთხე ლორლისა და ქვებისგან გაწმინდა. შემდეგ ჩემოდნები შეიტანა და ლოგინი გაშალა. ზურგჩანთა სასთუმლად დაიდო.

— ახლა ჩვენ ღამის გასათევი ადგილი გვაქვს, — თქვა მან, — მე უარესშიც მიცხოვრია, მაგრამ შენ არა, რა თქმა უნდა.

— უკვე დროა, მეც შევეჩვიო.

გრებერმა ელიზაბეტის საწვიმარი, სპირტქურა და ერთი ბოთლი სპირტი ამოიღო.

— პური მომპარეს, მაგრამ ზურგჩანთაში რამდენიმე კონსერვი გვაქვს კიდევ.

— მერედა რაში უნდა მოვხარშოთ? ქვაბი რომ არა გვაქვს?

— ჩემი კარდალა აქ არ არის? წვიმის წყალი ხომ ირგვლივ იმდენია, რამდენიც გინდა, თანაც არაყიც გვაქვს ბოთლში ჩარჩენილი. მე შემიძლია ცხელ წყალში ავურიო და გროგის მაგვარი სასმელი დაგიმზადო. გაცივების წინააღმდეგ მისწრებაა.

— არა, ისევ მარტო არაყს დაგლევ.

გრებერმა სპირტქურა აანთო. მქრქალმა ცისფერმა ალმა კარავი გაანათა. მათ ლობიოს კონსერვი გახსნეს, გაათბეს და იმ ძეხვის ნარჩენებთან ერთად შეჭამეს, რომელიც მათ ქორწინების მოწმემ, კლოცმა აჩუქა.

— კიდევ დავუცადოთ პოლმანს, თუ დავიძინოთ? — შეეკითხა გრებერი.

— დავიძინოთ. დაღლილი ვარ.

— გაუხდელად უნდა დავწვეთ, შეძლებ ასე ძილს?

— ისეთი დაღლილი ვარ, რომ...

ელიზაბეტმა ფეხსაცმელი გაიხადა და ზურგჩანთის წინ დაალაგა, რათა ვინმეს არ მოეპარა. წინდები დაახვია და ჯიბეში ჩაიდო. გრებერმა ზევიდან დაახურა.

— როგორ მოეწყვე? — შეეკითხა იგი.

— როგორც სასტუმროში.

მერე გრებერი გვერდით მიუწვა.

— ბინა ხომ არ გადარდებს? — შეეკითხა იგი.

— არა. მე ამას უკვე მაშინ მოველოდი, როცა პირველი საჰაერო თავდასხმები დაიწყო, და მაშინვე გამოვიგლოვე კიდეც. მთელი დანარჩენი დრო ნაჩუქარივით იყო.

— ეგ სწორია, მაგრამ განა შეიძლება, რომ ყოველთვის ისევე ნათლად იცხოვრო, როგორც ფიქრობ?

— არ ვიცი, — წაიდუდუნა მის მხართან ელიზაბეტმა, — ალბათ, როცა უკვე იმედი აღარ გაქვს. მაგრამ ამჟამად ყველაფერი სხვანაირადაა.

მას ჩაეძინა, ნელა და მშვიდად სუნთქავდა. გრებერს ცოტა ხანს კიდევ ელვიძა და ფიქრობდა იმის შესახებ, რომ ზოგჯერ ფრონტზე, როცა აუხდენელ სურვილებზე ჩამოვარდებოდა ხოლმე ლაპარაკი, ერთადერთი ნატვრა სწორედ ეს იყო: მყუდრო სადგომი, საწოლი, ქალი და წყნარი ღამე.

XXI

გრებერს გამოელვიძა. ვილაცის ფრთხილი ნაბიჯის ხრაშუნი ისმოდა ღორღზე. ფრთხილად გამოძვრა საბნიდან. ელიზაბეტი ერთი შეირხა და ძილი განაგრძო. გრებერმა საწვიმარ-მოსასხამიდან გაიჭყიტა. ეს შეიძლება პოლმანი დაბრუნდა; მაგრამ შეიძლება ქურდებიც იყვნენ, ანდა გესტაპო, რომელიც მეტწილად ამ დროს ატარებდა ხოლმე ოპერაციებს. თუ მართლა გესტაპოელები იყვნენ, მაშინ პოლმანს წინ უნდა დახვედროდა და გაეფრთხილებინა, რომ სახლში არ შესულიყო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სიბნელეში ორი სილუეტი დაინახა. რაც შეიძლება ჩუმად აედევნა მათ უკან. ფეხსაცმელი არ ეცვა, მაგრამ რამდენიმე მეტრის გავლის შემდეგ კედლის ნარჩენს დაეჯახა, რომელიც ჰაერში იყო ჩამოკიდებული და მაშინვე ჩამოვარდა. გრებერი ჩაცუცქდა. ერთ-ერთი სილუეტი მოტრიალდა.

— რომელი ხარ? — შეეკითხა იგი. ეს პოლმანი იყო. გრებერი წამოდგა.

— მე ვარ, ჰერ პოლმან. ერნსტ გრებერი!

— გრებერი? რა მოხდა?

— არაფერი. სახლი დაგვეწვა თავდასხმის შემდეგ და აღარ ვიცოდით, სად წავსულიყავით. ჰოდა, ვიფიქრე, იქნებ თქვენ შეგეძლოთ შეგეფარებინეთ ერთ ან ორ ღამეს.

— ვინ და ვინ?

— მე და ჩემი ცოლი. ამ ორიოდე დღის წინათ მე დავქორწინდი.

— რასაკვირველია, რასაკვირველია, — პოლმანი მისკენ წამოვიდა. სიბნელეში ძალიან მკრთალად გამოკრთოდა მისი სახე.

— თქვენ მე გზადმომავალი დამინახეთ?

გრებერი წამით დაყოვნდა.

— დიახ, — მიუგო მან შემდეგ. ამის დაფარვას აზრი არ ჰქონდა. ეს არც ელიზაბეტის გამო იყო საჭირო და არც იმ კაცის გამო, რომელიც ამჟამად სადღაც ნანგრევებში ჩაწოლილიყო და ხმას არ იღებდა, — დიახ, — გაიმეორა მან, — და თქვენ შეგიძლიათ მენდოთ.

პოლმანმა შუბლზე ხელი მოისვა.

— რასაკვირველია... უეჭველად, — პოლმანს რაღაც ვერ გადაეწყვიტა, — და თქვენ დამინახეთ, რომ მარტო არ ვიყავი?

— დიახ.

პოლმანმა, ეტყობა, რაღაც გადაწყვეტილება მიიღო.

— მაშ, კარგი, წამოდით. ღამეს გავათევთო, ამბობთ თქვენ. ადგილი ბევრი არა მაქვს, მაგრამ... პირველ ყოვლისა, ჯერ აქედან წავიდეთ.

მათ კუთხეში შეუხვიეს.

— ყველაფერი რიგზეა! — გასძახა პოლმანმა ნანგრევებში ჩაფენილ ჩრდილებს.

ნანგრევებს ვიღაც კაცი გამოეყო. პოლმანმა კარი გააღო და გრებერი და ის კაცი წინ გაატარა. მერე შიგნიდან ჩაკეტა კარი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— თქვენ ცოლი სადღაა? — შეეკითხა გრებერს.

— გარეთ ხმინავს. ლოგინი თან გვქონდა წამოღებული და კარვის მაგვარი რამ მოვაწყეთ.

პოლმანი ხიბნელეში გაჩერდა.

— მე უნდა ერთი რამ გითხრათ. აქ რომ გიპოვონ, შეიძლება თქვენთვის ეს სახიფათო შეიქნეს.

— ეს მე ვიცი.

პოლმანმა ჩაახველა.

— ჩემ გამო შეიძლება საფრთხეში ჩაცვეოდეთ. ჩემზე ეჭვი აქვთ ალებული.

— მეც ასე ვფიქრობდი.

— თქვენი ცოლიც ამაკე აზრისა იქნება?

— დიახ, — წარმოთქვა გრებერმა მცირე დაყოვნების შემდეგ.

უცნობი კაცი ხმაამოუღებლივ იდგა გრებერის უკან. ახლა მისი სუნთქვა ისმოდა. პოლმანი წინ შეუძღვა. მას შემდეგ, რაც კარი დახურა და ფარდები ჩამოუშვა, ძალზე პატარა ლამპა აანთო.

— გვარების დასახელება საჭირო არ არის, — თქვა მან, — ასე სჯობია. რაც არ იცი, იმას ვერც იტყვი დაკითხვაზე. ერნსტი და იოზეფი — ეს საკმარისია.

იგი ძალიან დაღლილი ჩანდა. იოზეფი ორმოცი წლისა იქნებოდა. მას ვიწრო ებრაული სახე ჰქონდა და სრულიად მშვიდად ეჭირა თავი. გრებერს ლიმილი შეაგება და მერე კოსტიუმიდან ბათქაშის ნამუსრევი მოიცილა.

— ჩემთან უკვე საშიშია, — თქვა პოლმანმა და დაჯდა, — მაგრამ, მიუხედავად ამისა, იოზეფი მაინც იძულებულია, ამაღამ აქ დარჩეს. ის ბინა, რომელშიც გუშინ იყო შეფარებული, უკვე აღარ არსებობს. დღისით კი რამეს ეიღონებთ. ჩემთან უკვე საშიშია, იოზეფ, და მხოლოდ ამიტომ.

— ვიცი, — მიუგო იოზეფმა. მას უფრო ბოხი ხმა ჰქონდა, ეიდრე მოსალოდნელი იყო.

— თქვენ, ერნსტ? — შეეკითხა პოლმანი, — ჩემზე ეჭვი აქვთ ალებული, ეს თქვენ უკვე იცით და ისიც მოგეხსენებათ, თუ რას ნიშნავს ღამე გიპოვონ იმასთან, ვისზეც ეჭვი აქვთ მიტანილი და თანაც იმასთან ერთად, ვისაც დაეძებენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— დიახ.

— უნდა ვივარაუდოთ, რომ ამაღამ არაფერი მოხდება, ქალაქში ისე ალუფხულია ყველაფერი. მაგრამ რა იცი კაცმა, რა ხდება, თანახმა ხართ, გაბედოთ?

გრებერი დუმდა. პოლმანმა და იოზეფმა ერთმანეთს გადახედეს.

— მე რისი უნდა მეშინოდეს, — თქვა გრებერმა, — რამდენიმე დღის შემდეგ ფრონტზე უნდა დაბრუნდე. მაგრამ ჩემი ცოლი სხვა საქმეა. ის აქ რჩება. მე ამაზე არ მიფიქრია.

— ეს ამიტომ კი არ გითხარით, რომ თავიდან მომეშორებინეთ.

— ვიცი.

— შეგიძლიათ როგორმე გარეთ გაათიოთ ღამე? — შეეკითხა იოზეფი.

— კი. წვიმისგან დაცულნი ვართ.

— მაშინ იქ დარჩით და ჩვენთან საერთო არაფერი გექნებათ. ხვალ დილით ადრე კი აქ მოიტანეთ თქვენი ბარგი. თქვენ ხომ უმთავრესად ეგ გჭირდებათ, არა? მაგრამ ეს წმინდა კათარინას ეკლესიაშიც შეგიძლიათ გააკეთოთ. მედავითნე ამის ნებას იძლევა. ის პატიოსანი კაცია. ეკლესია ნაწილობრივ დანგრეულია, მაგრამ მისი მიწისქვეშა სადგომები ჯერ უენებლად არის გადარჩენილი. იქ წაიღეთ თქვენი ბარგი. მაშინ მთელი დღე თავისუფალი იქნებით და შეგეძლებათ ბინაზე იზრუნოთ.

— მე მგონი, იოზეფი მართალია, ერნსტ, — უთხრა პოლმანმა, — იგი ასეთ რამეებში უკეთ ერკვევა, ვიდრე ჩვენ.

გრებერმა უეცრად მოზღვავებული სინაზე იგრძნო ამ დაღლილი მოხუცი კაცისადმი, რომელიც მას ახლა, როგორც მრავალი წლის წინათ, სახელს ეძახდა.

— მეც ასევე მგონია, — მიუგო მან, — ძალიან ვწუხვარ, რომ შეგაშინეთ.

— ხვალ დილით ადრე მოდით, თუ რამე დაგჭირდეთ. ორჯერ ხანდაზმით დააკაკუნეთ და ორჯერაც ზედიზედ. ძალიან მაგრად ნუ დააბრახუნებთ, მე ისედაც გავიგონებ.

— კარგი. გმადლობთ.

გრებერი უკან დაბრუნდა. ელიზაბეტს ისევ ეძინა, ოდნავ გამოერკვა ბურანიდან, როცა გრებერი გვერდით მიუწვა, მაგრამ მაშინვე ჩაეძინა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ელიზაბეტს ექვს საათზე გამოელვიძა.

ქუჩაში მანქანა მიირახრახებდა. ქალი გაიზმორა:

— რა დიდებულად მეძინა! — წარმოთქვა მან, — სადა ვართ?

— იანპლაცზე.

— კარგი და ამალამ საღლა დაგიძინებთ?

— ეს ღლის განმავლობაში გამოჩნდება.

ელიზაბეტი ისევ დაწვა. სისხამ დილის შუქი ზოლად ატანდა საწვიმარ-მოსასხამსა და ფარაჯას შორის. ჩიტუნები ელურტულებდნენ. ქალმა ფარაჯა გადასწია. გარეთ განთიადით ოქროსფრად გაკაშკაშებული ზეცა დასცქეროდა ქალაქს.

— ნამდვილი ბოშური ცხოვრება გვაქვს, — წარმოთქვა მან, — ისე, რომ შეხედოს ადამიანმა, თავგადასავლებით სავსე.

— ჰო, — თქვა გრებერმა, — მოდი, ჩვენ ისე შევხედოთ. მე წუხელ პოლმანი ვნახე. ჩვენ შეგვიძლია ის გავალვიძოთ, თუ რამ დაგვჭირდა.

— ჩვენ არაფერი არ გვჭირდება. ყავა კიდევ გვაქვს? აქ ხომ შეგვიძლია მისი მოხარშვა, თუ არა?

— ეს უთუოდ აკრძალული იქნება, როგორც ყველაფერი ჭკვიანური. მაგრამ მერე რა? ჩვენ ხომ ბოშები ვართ.

ელიზაბეტი თმის დაკარცხნას შეუდგა.

— ამ სახლის უკან სუფთა წვიმის წყალია როფში, — უთხრა გრებერმა, — სწორედ საკმარისი იმისთვის, რომ პირი მოიბანოს კაცმა.

ელიზაბეტმა ჟაკეტი ჩაიცვა.

— წავალ იქ. ვითომ უწყალსადენო სოფელში ვარ. წინათ ამას რომანტიკას უწოდებდნენ, არა?

გრებერმა გაიცინა.

— მე კი ახლაც ასე ვეძახი, რუსეთის სიბინძურესთან შედარებით. ეს ყოველთვის იმაზეა დამოკიდებული, თუ რას შეადარებ.

მან ლოგინი შეკრა. შემდეგ სპირტქურა აანთო და ზედ კარდალა დადგა წყლით. უეცრად გაახსენდა, რომ ელიზაბეტის სასურსათო ბარათების წამოღება დავიწყებოდა. სწორედ ამ დროს ელიზაბეტიც დაბრუნდა. პირი უკვე დაებანა. სახე კრიალა და ახალგაზრდული ჰქონდა.

— სასურსათო ბარათები თან გაქვს?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— არა. ისინი საწერ მაგიდაში მეწყო ფანჯარასთან. პატარა უჯრაში.

— დალახვროს ეშმაკმა, მე დამავიწყდა წამოღება. ერთხელ მაინც როგორ არ გამახსენდა? დრო კი საკმაო მქონდა ამისთვის.

— სამაგიეროდ, ისეთი რამეები გაგახსენდა, რომლებიც უფრო მნიშვნელოვანია, მაგალითად, ჩემი ოქროსფერი კაბა. დღეს განცხადებას შეეიტანთ, რათა ახალი ბარათები მომცენ, მორჩა და გათავდა! ახლა ხშირად ეწვევათ ხოლმე ბარათები.

— ეს ხომ მთელი საუკუნე გასტანს. გერმანელ მოხელეს თვით მეორედ მოსვლაც კი ვერ ააღებინებს ხელს მისთვის დამახასიათებელ პედანტობაზე.

ელიზაბეტს გაეცინა.

— ერთი საათით გავითავისუფლებ თავს ფაბრიკიდან მათ მისაღებად. მეკარე მომცემს ცნობას, რომ ჩემი ბინა საჰაერო თავდასხმის შედეგად დაიწვა.

— მერედა დღეს ფაბრიკაში მიდიხარ? — შეეკითხა გრებერი.

— ვალდებული ვარ, წავიდე. მერე რა, რომ ბინა დამეწვა, დღეს ეს ჩვეულებრივი ამბავია.

— სიამოვნებით წავუკიდებდი ცეცხლს მაგ წყეულ ფაბრიკას.

— მეც აგრეთვე. მაგრამ მაშინ ჩვენ სადმე უარეს ადგილას გაგვგზავნიდნენ. მე სულაც არ მეპიტნავება სამხედრო საჭურვლის წარმოება.

— ნუთუ უბრალოდ არ შეგიძლია გააცდინო? არ იციან, გუშინ რა დაგემართა? ხომ შეიძლება გააცდინო? ხომ შეიძლება შენი ნივთების გადარჩენის დროს დაშავებულიყავი?

— ამას დამტკიცება უნდა. ჩვენ ფაბრიკის ექიმები გვყავს და ფაბრიკის პოლიციაც. თუ ისინი დაადგენენ, რომ რომელიმე ჩვენგანი სიმულანტობს, არსებობს სასჯელები: ზედმეტი მუშაობა, შვებულების აღკვეთა და თუ ამანაც არ გაჭრა, მაშინ ნაციონალური სულისკვეთებით აღზრდის სრული კურსის გავლა საკონცენტრაციო ბანაკში. იქიდან დაბრუნებული კი სამუშაოს აღარასოდეს აცდენს.

ელიზაბეტმა ცხელი წყალი გადმოდგა და კარდალის ხუფზე დაყრილ ერზაცყავის ფხვნილს დაასხა.

— თანაც არ დაგავიწყდეს, რომ მე სწორედ ახლა მქონდა სამდღიანი შვებულება, — თქვა მან, — მეტისმეტად ბევრი რომ მოითხოვო, არც ის ვარგა.

გრებერმა იცოდა, რომ მთავარი მიზეზი ელიზაბეტის მამა იყო. ქალს იმედი ჰქონდა, რომ ამით რამეს დაეხმარებოდა მას. ეს ერთგვარი ყულფი იყო, რომელიც ყოველ ადამიანს ჰქონდა კისერზე წამოცმული.

— ო, ეს ყაჩაღები! — წარმოთქვა გრებერმა, — მაინც რა დღეში ჩაგვყარეს!

— აი, შენი ყავა, და ნუ ბრაზობ. ჩვენ საამისო დრო აღარა გვაქვს.

— საქმეც სწორედ ეგაა, ელიზაბეტ!

ქალმა თავი დაუქნია.

— ვიცი. ჩვენ ასე ცოტა დროს გვაქვს და, მიუხედავად ამისა, ასე ცოტა ხანს ვართ ხოლმე ერთად. შენი შვებულება იწურება და მისგან მეტი წილი მოლოდინში გავიდა. მე უფრო მეტი გამბედაობა უნდა გამომეჩინა და ფაბრიკაში არ მევლო ხოლმე, ვიდრე შენ აქა ხარ.

— შენ ისედაც საკმაოდ გამბედავი ხარ. თანაც ლოდინი სჯობია იმას, ვიდრე სულ აღარაფერი გაგაჩნდეს, რასაც შეიძლება, რომ დაელოდო.

ქალმა აკოცა.

— შენ სწრაფად ისწავლე სწორი სიტყვების მოძებნა. ახლა კი უკვე დროა, წავიდე. საღამოთი სად შევხვდეთ ერთმანეთს?

— ჰო, მართლა, სად? იქ ხომ უკვე აღარაფერი აღარ არის. ჩვენ უნდა ყველაფერი თავიდან დავიწყოთ. მე ფაბრიკაში მოვალ შენს წამოსაყვანად.

— მერედა რამემ რომ შეგიშალოს ხელი? საჰაერო თავდასხმამ ან ალყამ?

გრებერი ჩაფიქრდა.

— მაშინ მე ბარგს შევკრავ და წმინდა კათარინას ეკლესიაში წავალ. დაე, ის იყოს ჩვენი შეხვედრის მეორე ადგილი.

— ღამე ღიაა?

— რატომ ღამე? შენ ხომ ღამე არ ბრუნდები?

— რა იცი, რა ხდება. ერთხელ ექვსი საათის განმავლობაში მოგვიხდა თავშესაფარში ჯდომა. ყველას ის აჯობებდა, ვინმე გვყოლოდა ისეთი, ვისთანაც, უკიდურეს შემთხვევაში, ამბავს დავტოვებდით. მარტო შეხვედრის ადგილები ახლა უკვე არ კმარა.

— შენ გინდა თქვა, რომ ერთ-ერთ ჩვენგანს რამე დაემართება?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ჰო...

გრებერმა თავი დაუქნია. იგრძნო, რაოდენ ადვილად შეიძლებოდა ერთმანეთი დაეკარგათ.

— დღეისთვის პოლმანი იყოს. ანდა არა, ეს არასაიმედოა, — იგი ჩაფიქრდა, — ბინდინგი! — უეცრად წარმოთქვა შეებით, — ეს საიმედოა. მე ხომ გაჩვენე მისი სახლი. მართალია, არ იცის, რომ დავქორწინდით, მაგრამ არა უშავს რა, წავალ და შეკატყობინებ.

— იმიტომ მიდიხარ, რომ ისევ გაძარცვო?

გრებერს გაეცინა.

— კაცმა რომ თქვას, ალარ მინდოდა ასეთი რაშის გაკეთება, მაგრამ სასმელი ხომ გვინდა. აი, ასე ირყვნება ადამიანი.

— ამალამაც აქ უნდა გავათიოთ?

— ვიმედოვნებ, რომ არა, მთელი დღე ჩემს განკარგულებაშია და რამეს გამოვძებნი.

ქალს წამიერად სახე მოელრუბლა:

— ჰო, ეს შენ. მე კი ახლა უნდა წავიდე.

— მე ხელად შევკრავ ბარგს, პოლმანთან დავტოვებ და ფაბრიკამდე გაგაცილებ.

— აბა, ეგ უკვე ველარ მოესწრება. მე უნდა გავიქცე. მაშ, ასე, სალამომდე. ფაბრიკა, წმინდა კათარინას ეკლესია ან ბინდინგი. რა საინტერესო ცხოვრება გვაქვს!

— ეშმაკსაც წაულია ამნაირი საინტერესო ცხოვრება! — თქვა გრებერმა.

ელიზაბეტს თვალი გააყოლა. ხედავდა, როგორ გადასერა მოედანი. ნათელი დილა იყო და ცა კამკამა ლაჟვარდისფერი გამხდარიყო. ნანგრევებზე სისველე ვერცხლის ბადესავით ბრჭყვიალებდა. ელიზაბეტი მოტრიალდა და ხელი დაუქნია, მერე სწრაფად განაგრძო გზა. გრებერს უყვარდა მისი სიარული. იგი ტერფებს თითქმის ერთიმეორის წინ ადგამდა. თითქოს ურმის თვლის ნაკვალევში მიდიოდა. მას აფრიკაში ენახა ასეთი სიარულის მანერა. ადგილობრივი ქალები დადიოდნენ იქ ამნაირად. ქალმა ერთხელ კიდევ დაუქნია ხელი და მოედნის ბოლოში სახლებს შორის გაუჩინარდა. „თითქმის ისევეა, როგორც ფრონტზე, — ფიქრობდა გრებერი, — გამოთხოვების წინ არასოდეს დარწმუნებული არა ხარ, რომ კიდევ შეხვდები ამ ადამიანს. ეშმაკსაც წაულია ასეთი საინტერესო ცხოვრება!“

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რვა საათზე პოლმანი გამოვიდა ქუჩაში.

— მინდოდა გამეგო, საჭმელი გაქვთ თუ არა. ცოტაოდენი პური შეგიძლია გიწილადოთ..

— გმადლობთ. ჩვენ ვიმყოფინეთ, რაც გვქონდა. შეიძლება, ლოგინი და ჩემოდნები თქვენთან დავტოვო, ვიდრე წმინდა კათარინას ეკლესიიდან უკან დაბრუნდებოდე?

— რასაკვირველია.

გრებერმა ბარგი პოლმანთან შეიტანა. იოზეფი არსად ჩანდა.

— შეიძლება სახლში არ დაგხვდეთ, როცა უკან დაბრუნდებით, — უთხრა პოლმანმა, — მაშინ ორჯერ ხანდაზმით დააკაკუნეთ და ორჯერ ზედიზედ. იოზეფი გაიგონებს.

გრებერმა ჩემოდანი გახსნა.

— ნამდვილი ბოშებივით გვიხდება ცხოვრება, — თქვა მან, — სიმართლე გითხრათ, არ მოველოდი.

პოლმანმა დალლილი სახით გაიღიმა.

— იოზეფი უკვე სამი წელია ასე ცხოვრობს. რამდენიმე თვის განმავლობაში ღამეს მხოლოდ ელექტრომატარებლებში ატარებდა. განუწყვეტლივ აქეთ-იქით მგზავრობდა. და თანაც ასე მგზავრობის დროს მხოლოდ მჯდომარეს შეეძლო დაძინება და ისიც მხოლოდ თხუთმეტი წუთით, ეს იმ დროს, როცა ჩვენთან ჯერ კიდევ არ იყო საჰაერო თავდასხმები.

გრებერმა ჩემოდნიდან ხორცის კონსერვი ამოიღო და პოლმანს გაუწოდა.

— აი, ეს დამრჩა და იოზეფს მიეცით.

— ხორცი? მერედა თქვენ თვითონ არ გჭირდებათ?

— არა. მას მიეცით. მაგისთანებმა ბოლომდე უნდა გაიტანონ თავი, თორემ, რა იქნება, როდესაც ეს ყოველივე დამთავრდება? რა იქნება საერთოდ? საკმაოდ გადარჩება მისებრი ხალხი, რომ ყოველივე თავიდან დაიწყონ?

ბერიკაცი ერთხანს დუმდა. შემდეგ კუთხეში მდგარ გლობუსთან მივიდა და შემოაბრუნა.

— ხედავთ, აი ამას, — შეეკითხა იგი, — მსოფლიოს ეს პატარა კუნჭული გერმანიაა. თითქმის ცერიც კი ჰფარავს მას. იგი მსოფლიოს ძალზე მცირე ნაწილია.

— შეიძლება. მაგრამ ამ მცირე ნაწილიდან დავიძარით და მსოფლიოს დიდი ნაწილი დავიპყარით.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ნაწილი — კი. და ისიც დავიჭარით, კი არ მივიმხრეთ.

— ჯერ არა. მაგრამ რა იქნებოდა, განსაზღვრული დროის განმავლობაში რომ შეგვეძლებოდა მისი შენარჩუნება? მაგალითად, ათი წელიწადი, ოცი, ორმოცდაათი? გამარჯვებებსა და წარმატებებს საბოლოოდ ჭეშმარიტი დამარწმუნებელი ძალა აქვთ. ეს ჩვენ საკუთარ ქვეყანაში დავინახეთ.

— ჩვენ არ გაგვიმარჯვია!

— ეს დამამტკიცებელი საბუთები არ არის!

— არა, საბუთია, — თქვა პოლმანმა, — თანაც მეტად არსებითი, — მისი ძარღვებდაბერილი ხელი გლობუსის ტრიალს განაგრძობდა, — მსოფლიო, — თქვა მან, — მსოფლიო ერთ ადგილზე არ დგას. და თუ საკუთარი ქვეყანა სასოებას წარგვიკვეთს, მსოფლიოსი უნდა ინახო მაშინ. მზის დაბნელება შესაძლებელია, მაგრამ მარადიული უკუნეთი კი არა. ყოველ შემთხვევაში, ამ პლანეტაზე არა. არ შეიძლება ასე ოლად ფარ-ხმლის დაყრა და მხნეობის დაკარგვა, — მან გლობუსი უკან გასწია, — თქვენ კითხულობთ, სამყოფი ხალხი გადარჩება თუ არა იმისთვის, რომ ყველაფერი ხელახლა დაიწყოს. ქრისტიანობა რამდენიმე მეთევზისგან, კატაკომბებში შეფარებული რამდენიმე მორწმუნისგან და რომის არენებზე ცოცხლად გადარჩენილთაგან დაიწყო.

— დიახ! ხოლო ნაცისტებმა რამდენიმე უმუშევარი ფანატიკოსისგან დაიწყეს მიუნხენის ერთ-ერთ ლუდხანაში.

პოლმანმა გაიღიმა.

— თქვენ მართალი ხართ. მაგრამ ქვეყნად ჯერ კიდევ არ ყოფილა ისეთი ტირანია, რომელსაც ბოლო არ მოღებოდეს, კაცობრიობა გლუვ გზაზე კი არ მიიწევდა წინ, არამედ ბიძგებით, ნახტომებით, უკან დახევებითა და კრუნჩხვებით უხდებოდა წინსვლა. ჩვენ ერთობ ქედმაღალნი ვიყავით; წარმოვიდგინეთ, რომ უკვე დაძლეული გექონდა ჩვენი სისხლიანი წარსული. ამჟამად კი ვიცით, რომ საკმარისია ერთი უკან მივიხედოთ და იგი კვლავ წამოგვეწევა.

მან შლაპას დააკლო ხელი.

— მე უნდა წავიდე.

— აი, თქვენი წიგნი შვეიცარიის შესახებ, — უთხრა გრებერმა, — წვიმაში დასველდა ცოტათი. დამეკარგა, მაგრამ ისევ ვიპოვე და გადავარჩინე.

— შეგეძლოთ, არც გადაგერჩინათ. ოცნებათა გადარჩენა საჭირო არ არის.

— როგორ არა, საჭიროა, — მიუგო გრებერმა, — მაშ, სხვა რაღა უნდა გადაარჩინო?

— რწმენა. ოცნებები ისევ გაიფურჩქნებიან.

— იმედი უნდა ვიქონიოთ, თორემ მაშინ უმჯობესია ახლავე თავი ჩამოიხრჩოს ადამიანმა.

— რაოდენ ახალგაზრდა ხართ ჯერ კიდევ! — თქვა პოლმანმა, — მაგრამ მე რაღას ვამბობ? თქვენ ხომ მართლაც ჯერ კიდევ ერთობ ახალგაზრდა ხართ! — მან პალტო ჩაიცვა, — უცნაურია, სიჭაბუკე ყოველთვის სულ სხვანაირად წარმომედგინა...

— მეც აგრეთვე, — თქვა გრებერმა.

*

იოზეფი სწორი გამოდგა. წმინდა კათარინას ეკლესიის მედავითნე მართლაც იბარებდა შესანახად ნივთებს. იქ დატოვა თავისი ზურგჩანთა. მერე საბინაო ბიუროში წავიდა, რომელიც სხვა ადგილას გადაეტანათ და ახლა ერთ-ერთი სკოლის ბუნებისმეტყველების კაბინეტში იყო მოთავსებული. ოთახში ძველი დროებიდან შემორჩენელიყო შტატივი, რომელზედაც რუკები ელაგა და მინის კარადა სპირტში ჩალაგებული პრეპარატებით. მოხელე ქალს მთელი რიგი მინის ქილები ქაღალდის დასტებზე დაელაგებინა სიმძიმედ. შიგ გველები, ხვლიკები და ბაყაყები იყვნენ მოთავსებულნი. ამას გარდა, აქ იყო აგრეთვე ციყვის ფიტულიც, რომელსაც შუშის თვალები ჰქონდა და თათებით კაკალი ეჭირა. ჭაღარათმიანი მოხელე ქალი ერთობ თავაზიანი გამოდგა.

— მე თქვენს გვარებს სიაში შევიტან, — უთხრა მან გრებერს, — მისამართი გაქვთ?

— არა.

— მაშინ დროდადრო უნდა შემოიაროთ და იკითხოთ ხოლმე.

— მერედა გამოვა აქედან რამე?

— აბსოლუტურად არაფერი. თქვენს წინ ექვსი ათასი განცხადება გვაქვს მიღებული. უმჯობესია, თვითონ შეეცადოთ, იქნებ გამონახოთ რამე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გრეგერი უკან დაბრუნდა იანპლაცზე და პოლმანის კარზე დააკაკუნა. არავის უპასუხია. ცოტა ხანს შეიცადა. მერე მარიენშტრასეზე წავიდა, რათა ენახა, გადარჩა თუ არა სახლი.

ელიზაბეტის სახლი მეკარის სართულამდე დამწვარიყო. მეზობლები ყოფილიყვნენ. ჯერაც წყალი წვეთავდა ყველგან. ელიზაბეტის ბინიდან ალარაფერი დარჩენილა. აღარც საკარძელი ჩანდა სადმე, რომელიც გარეთ იდგა. ერთი წყვილი ხელთათმანი ეყარა წყლისადინარში. ეს იყო და ეს. გრეგერმა მეკარეს მოჰკრა თვალი მისი ბინის ფანჯრების ძალმა. გაახსენდა, რომ სიგარეტს დაჰპირდა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მას აქეთ დიდი ხანი გავიდა და ახლა სიგარეტი სულაც არ იყო საჭირო; თუმცა რა იცი კაცმა. გადაწყვიტა ალფონსთან წასულიყო და სიგარეტი წამოელო. მაინც ხომ საჭელიც უნდა ეძიებინა საღამოსთვის.

*

ყუჩბარას, სახლის გარდა, არაფერი დაეზიანებინა. ბაღი დილის ნათელიკით იყო გაცისკროვნებული, არყის ხეებს სიო აშრიალებდა, ნარგიზები ოქროისფრად ელვარებდნენ და ხეხილი ისე ყვაოდა, თითქოს თეთრი და ვარდისფერი ფარვანები დაჰფარფატებდნენ ზედ. მხოლოდ ბინდინგის სახლი იყო ნაცარტუტად ქცეული და მისგან დარჩენილი ნანგრევები ბაღში ამოთხრილი ძაბრის პირას დახორაკებულიყო, რიმლის ფსკერზედაც მდგარ გამჭვირვალე წყალში ცა ირეკლებოდა. გრეგერი ერთ წამს გაშეშებული იდგა და ისე მისჩერებოდა ამ სანახაობას, თითქოს საკუთარ თვალებს არ უჯერებდა. თვითონაც არ იცოდა რატომ, მაგრამ ყოველთვის ეგონა, ალფონსს არაფერი შეეძლებოდა დამართოდა. ნელი ნაბიჯით წავიდა ნასახლარისკენ. ჩიტების საბანაო აუზი დანგრეული იყო და მისი ნამსხვრევები იქვე ეყარა. სახლის კარი იასამნის ბუჩქებში გახირულიყო. ირმის რქები მოლზე ეყარა, თითქოს მის ქვეშ თვითონ ეს ცხოველები იყვნენ დამარხულნი. ხეებში, მაღლა, ბარბაროსი დამპყრობლის ჭრელი ბაირაღივით ფრიალებდა ხალიჩა. კონიაკ „ნაპოლეონის“ ბოთლი თაუდაყირა დარჭობილიყო ყვავილნარში, თითქოს ძუძი ფერის აყირო გოგრა ამოზრდილიყო აქ ღამით. გრეგერმა ალი იგი, გასინჯა და ჯიბეში ჩაიდო. „ალბათ სარდაფმა გაუძლო და ვილაცებმა გაცალეს“, — გაიფიქრა მან. მერე ნასახლარს უკნი-

დან შემოუარა. სამზარეულოს შესასვლელი გადარჩენილიყო. კარი შეაღო. შიგ ვიღაც ფათურობდა.

— ფრაუ კლაინერტ! — დაიძახა მან.

პასუხად ხმამაღალი ქვითინი შემოესმა. ქალი წამოდგა და ნახევრად დანგრეული სამზარეულოდან გარეთ გამოვიდა.

— საბრალო ბატონი! ის ისეთი კეთილი იყო!

— რა მოხდა? დაჭრილია?

— მოკვდა, მოკვდა, ჰერ გრებერ! და როგორ იყო დაწაფებული ცხოვრებას!

— მოკვდა?

— დიახ! გაუგებარია, ხომ მართალია?

გრებერმა თავი დაუქნია. სიკვდილი ყოველთვის გაუგებარია, თვით მაშინაც კი, როდესაც ესოდენ ხშირად ეჩეხები.

— როგორ მოხდა ეს? — შეეკითხა იგი.

— სარდაფში იყო, მაგრამ სარდაფმა ვერ გაუძლო.

— თქვენი სარდაფი ერთობ სუსტი იყო მძიმე ყუმბარებისთვის. რატომ არ წავიდა ნამდვილ დიდ თავშესაფარში ზაიდელპლაცზე? იგი ხომ აქედან სულ რაღაც ორიოდე წუთის სავალზეა.

— ეგონა, რომ არაფერი მოხდებოდა. და თანაც, — ფრაუ კლაინერტი შეყოვნდა, — ქალი ჰყავდა.

— როგორ? შუადღისას?

— იგი წინა საღამოს დარჩა მასთან. ტანადი ქერათმიანი ქალი იყო. ჰერ კრაისლაიტერს ძალიან უყვარდა ტანადი ქერა ქალები. მე ის-ის იყო, ქათამი მივართვი მათ, როცა თავდასხმა დაიწყო.

— ქალიც მოკვდა?

— დიახ. ტანზე ხეირიანად არც კი ეცვათ. ჰერ ბინდინგი პიჟამაში იყო, ქალი კი აბრეშუმის თხელი დილის ხალათის ამარა. ასე იპოვეს ისინი. მაგრამ აბა რაღას ვიზამდი! ნუთუ ეს ეწერა! მუნდირი მაინც სცმოდა!

— არ ვიცი, სხვა რაღა შეიძლებოდა სწერებოდა უკეთესი, თუკი სიკვდილი ნამდვილად ეწერა, — უთხრა გრებერმა, — სადილობა მაინც მოასწრეს?

— დიახ, ძალიან მადიანად შეექცა. ღვინოს აყოლებდა ზედ და დესერტად თავისი საყვარელი ნუგბარი მიირთვა — ათქვეფილნალეგბიანი ვაშლის ტორტი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— აი, ხომ ხედავთ, ფრაუ კლაინერტ. მაშ, მშვენიერი სიკვდილით მომკვდარა. ნეტავი თავის დროზე მეც ასე მოკვდებოდე... ტირილიც კი არ გმართებთ.

— ასე უდროოდ რომ დაიღუპა!

— მე რომ მკითხოთ, სიკვდილი ყოველთვის უდროოა, თუნდაც ადამიანი ოთხმოცდაათისა იყოს. დაკრძალვა როდისაა?

— ზეგ, ცხრა საათზე. უკვე კუბოში ასვენია. ხომ არ გინდათ ნახოთ?

— მერედა სად არის?

— აქ. სურსათ-სანოვაგის სარდაფში. შიგ გრილა. კუბო უკვე დახურულია. სახლის ეს მხარე იმდენად არ დაზიანებულა, მხოლოდ წინა ნაწილი განადგურდა მთლიანად.

საშზარეულო გაიარეს და სარდაფში ჩავიდნენ. ნამსხვრევები კუთხეში მიეგავათ. დაღვრილი ღვინისა და მურაბების სუნი ტრიალებდა. შუაში, დაბლა, კუბო იდგა. კაკლის ხისფრად შეღებილი. ირგვლივ თაროებზე ერთიმეორეში არეული და წაქცეული ეყარა მურაბის ქილები და კონსერვები.

— სად იშოვეთ ასე უცებ კუბო? — შეეკითხა გრებერი.

— პარტიამ მოუტანა...

— აქედან გაასვენებენ?

— დიახ, ზეგ ცხრა საათზე.

— მე მოვალ.

— ჩემს ბატონს უთუოდ ძალიან გაუხარდება.

გრებერმა გაკვირვებით შეხედა ფრაუ კლაინერტს.

— საიქიოს, — დაუმატა ქალმა, — თქვენ ხომ ის დიდად გაფასებდათ.

— მაინც რატომ, კაცმა რომ თქვას?

— ამბობდა ხოლმე, თქვენ ერთადერთი ხართ, რომელიც არაფერს სთხოვთ. და იმიტომაც, რომ გამუდმებით ფრონტზე იყავით.

გრებერი ერთხანს იდგა კუბოსთან. ცოტათი ეცოდებოდა ალფონსი, მაგრამ მეტს არაფერს გრძნობდა და რცხვენოდა მოტირალი ქალისა, რომ უფრო ძალიან არ იყო დამწუხრებული.

— რას უზამთ ახლა მთელ ამ ქონებას? — შეეკითხა იგი და თაროებს შეხედა.

ფრაუ კლაინერტი გამოცოცხლდა.

— წაიღეთ, რამდენიც კი გენებოთ, ჰერ გრებერ! თორემ, სულერთია, ახლა სხვას ჩაუვარდება ხელში.

— არ სჯობია თქვენთვის შეინახოთ? მეტი წილი ხომ პირადად თქვენი დამზადებულია.

— უკვე შემოვინახე ჩემთვის ზოგი რამ. მე ამდენი რად მინდა. წაიღეთ, რაც გენებოთ, ჰერ გრებერ. პარტიულ მუშაკებს, რომლებიც აქ იყვნენ, ისედაც თვალები კინაღამ გადმოსცვივდათ ასეთი მარაგის დანახვაზე. რაც ცოტა დარჩება, ის სჯობია, თორემ ვინმეს ისიც კი შეიძლება ეგონოს, რომ შავ ბაზარზე ვსპეკულანტობდით.

— ჰო, მართლაც შეიძლება ასე ეგონოთ.

— სწორედ ამიტომ უნდა წაიღოთ. თორემ ისინი მოვლენ და მაშინ უკვე სხვას ჩაუვარდება ხელში. თქვენ ხომ ჰერ ბინდინგის ნამდვილი მეგობარი იყავით. ის უთუოდ თქვენთვის უფრო გაიმეტებდა, ვიდრე სხვებისთვის.

— მისიანებიდან აღარავინ არის?

— მამა ცოცხალია, მაგრამ ხომ იცით, როგორ დამოკიდებულებაში იყვნენ ერთმანეთთან. და თანაც მასაც საკმარისი დარჩება. მეორე სარდაფში უამრავი ბოთლი გადარჩა. წაიღეთ, რაც გენებოთ.

ქალმა თაროებს დაურბინა, ხელი დასტაცა რამდენიმე ქილას და გრებერთან მოიტანა. კუბოზე დაალაგა და სურდა ახლა სხვებიც მოეტანა, მაგრამ გონს მოვიდა, კუბოდან აალაგა და სამზარეულოში წაიღო.

— მოითმინეთ, ფრაუ კლაინერტ, — უთხრა გრებერმა, — თუ წაღებაა, ბარემ გონივრულად შევარჩიოთ, — მან ქილებს დაუწყო თვალიერება, — ეს სატაცურია. ჰოლანდიური სატაცური, ჩვენ არ გვჭირდება. ზეთში ჩაწყობილი სარდინები, ეს დავტოვოთ წასაღებად, აგრეთვე დაკონსერვებული ღორის ხორციც.

— სწორია. მე თავში ჭკუა აღარ შემრჩა.

ქალმა მთელი ზვინი დაახორავა სამზარეულოში სკამზე.

— ძალიან ბევრია, — უთხრა გრებერმა, — როგორ უნდა წავიღო ამდენი?

— ორჯერ მოდით ან სამჯერ. სხვებს რატომ უნდა ჩაუვარდეს ხელში, ჰერ გრებერ? თქვენ ჯარისკაცი ხართ, თქვენ უფრო მეტი უფლება გაქვთ ამაზე, ვიდრე იმ ნაცისტებს, რომლებიც თბილ ადგილებზე არიან აქ მოკალათებულნი!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„შეიძლება მართალსაც ამბობს, — გაიფიქრა გრებერმა, — და ელიზაბეტს, იოზეფს, პოლმანს ამდენიც უფლება აქვთ ასე რომ, დიდ ვირობას გამოვიჩენ, თუ არ წავიღებ. ალფონსს ამით არც არაფერი მოემატება და არც არაფერი მოაკლდება". მხოლოდ მოგვიანებით, როცა უკვე დაშორდა ბინდინგის სახლის ნანგრევებს, გაუელვა თავში, რომ არსებითად მხოლოდ შემთხვევის წყალობით იყო, რომ ალფონსთან აღარ დაბინავდა და მასთან ერთად დასამარხავი არ გახდა.

*

კარი იოზეფმა გაუღო.

— როგორ უცებ გამიღეთ, — უთხრა გრებერმა.

— დაგინახეთ და იმიტომ, — იოზეფმა პატარა ჭუჭრუტანა უჩვენა კარში, — მე თვითონ გავხვრიტე ამას წინათ. ძალიან მოსახერხებელია.

გრებერმა პაკეტი მაგიდაზე დადო.

— წმინდა კათარინას ეკლესიაში ვიყავი. მედავითნემ მითხრა, რომ შეგვიძლია ერთი ღამე იქ გავათიოთ. გმადლობთ რჩევისთვის.

— ახალგაზრდა მედავითნემ?

— არა, მოხუცმა.

— მოხუცი კარგი კაცია. მან ერთი კვირა შემიფარა. თავის თანაშემწედ მასაღებდა. მერე უცებ რეზიზია დაესხა თავს. მე ორგანში დავიმალე. ახალგაზრდა მედავითნემ გამცა. ის ანტისემიტია. ანტისემიტი რელიგიურ ნიადაგზე. არიან ასეთებიც. აქაოდა, თქვენ ორი ათასი წლის წინათ ქრისტე მოკალითო.

გრებერმა პაკეტი გახსნა. მერე სარდინისა და ქაშაყის კონსერვები ამოალაგა ჯიბეებიდან. იოზეფმა შეხედა მას. სახე არ შესცვლია.

— მთელი განძია, — თქვა მან.

— ორივემ გავიყოთ.

— განა თქვენ ზედმეტი გაქვთ?

— როგორც ხედავთ, ეს მე მემკვიდრეობად მივიღე, ერთი კრაისლაიტერისგან. თქვენ არ გსიამოვნებთ?

— პირიქით. ასეთი რამ ძღვენს ერთგვარ პიკანტურობას სძენს. მერე თქვენ ისე კარგად იცნობთ კრაისლაიტერს, რომ მისგან ასეთ საჩუქრებს იღებთ?

გრებერმა იოზეფს შეხედა.

— კი, — მიუგო მან, — ამ ერთს კი. იგი უწყინარი და გულკეთილი ადამიანი იყო.

იოზეფს არაფერი უპასუხია.

— თქვენ გგონიათ, რომ არ შეიძლება კაცი ერთდროულად კრაისლაიტერიც იყოს და ეს თვისებებიც ჰქონდეს?

— თქვენ როგორღა გგონიათ?

— მე შესაძლებლად მიმაჩნია. როცა ადამიანი უხასიათო ან მშიშარაა, ანდა სუსტი, ამის გამო შეიძლება თანამონაწილე გახდეს.

— და ასეთი ადამიანი შეიძლება კრაისლაიტერიც გახდეს?

— რატომ არა, ეგეც არ არის გამორიცხული.

იოზეფს გაელიმა.

— რასაკვირველია, — თქვა მან, — ხშირად მიაჩნიათ, რომ მკვლელი ყველგან და ყოველთვის მკვლელი უნდა იყოს და სხვა არაფერი. ამასთან კი ხომ სრულიად საკმარისია, რომ იგი ჟამიდან ჟამზე და თანაც მხოლოდ თავისი არსების მცირედი ნაწილით იყოს მკვლელი, რომ შემზარავი უბედურებები დაატრიალოს, ასე არ არის?

— ჰო, — მიუგო გრებერმა, — აფთარი ყოველთვის აფთარია, ადამიანი კი უფრო მრავალსახიერია.

იოზეფმა თავი დაუქნია.

— არიან საკონცენტრაციო ბანაკთა კომენდანტები, რომელთაც იუმორის გრძნობა აქვთ, ესესელი-მცველები, რომლებიც ერთმანეთს გულკეთილად და მეგობრულად ეპყრობიან, და არიან თანამგზავრნი, რომელთაც ყველაფერში მხოლოდ კარგი სურთ დაინახონ და შემაძრწუნებელს კი თვალს არიდებენ, ან აცხადებენ, ეს დროებითია და მკაცრი აუცილებლობით აიხსნებაო. ამ ადამიანებს ერთობ მოქნილი სინდისი აქვთ.

— და ლაჩრებიც არიან.

— და ლაჩრებიც არიან, — თავაზიანად დაეთანხმა იოზეფი.

გრებერი გაჩუმდა.

— ნეტავი რამით შემეძლოს დაგეხმაროთ, — უთხრა მან შემდეგ.

— აბა, რა უნდა დამეხმაროთ. მე მარტოდმარტო ვარ. ან ჩამავლებენ, ანდა ბოლომდე გავიტან თავს, — ისე გულგრილად თქვა იოზეფმა, თითქოს ვილაც სხვაზე ლაპარაკობდა.

— ნათესავები არა გყავთ?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მყავდა. ძმა, ორი და, მამა, ცოლი და შვილი, აღარც ერთი არ არის ცოცხალი. ორი მათგანი მოკლეს, ერთი გარდაიცვალა, დანარჩენები გაზით მოწამლეს.

გრუბერი გაშტერებული შეჰყურებდა.

— საკონცენტრაციო ბანაკში?

— საკონცენტრაციო ბანაკში, — მიუგო იოზეფმა თავაზიანად და ცივად, — იქ საამისოდ შესანიშნავი მოწყობილობანი აქვთ.

— და თქვენ კი ხელიდან დაუსხლტით?

— მე ხელიდან დავუსხლტი.

გრუბერი იოზეფს დააცქერდა.

— როგორი სიძულვილით უნდა იყოთ გამსჭვალული ჩვენდამი! — წარმოთქვა მან.

იოზეფმა მხრები აიჩეჩა.

— სიძულვილი! ვის შეუძლია თავის თავს ასეთი ფუფუნების ნება მისცეს?! სიძულვილი სიფრთხილეს აკარგვინებს ადამიანს.

გრუბერმა ფანჯარას შეხედა, რომლის მილმაც დანგრეული სახლისგან დარჩენილი ღორღის ზვინი აღმართულიყო. ოთახში პატარა ლამპის სუსტმა შუქმა თითქოს კიდევ უფრო იკლო. იგი იმ გლობუსზე ციალებდა, რომელიც პოლმანმა კუთხეში მიდგა.

— თქვენ უკან ბრუნდებით ფრონტზე? — შეეკითხა იოზეფი თანაგრძნობით.

— დიახ, ვბრუნდები, რათა იმისთვის ვიბრძოლო, რომ ბოროტმოქმედნი, რომლებიც თქვენ გდევნიან, კიდევ ერთხანს დარჩნენ ხელისუფლების სათავეში; შეიძლება სწორედ იმდენ ხანს, რამდენიც საჭიროა, რომ თქვენ დაგიჭირონ და ჩამოგახრჩონ.

იოზეფი დასტურის ნიშნად ოდნავ შესამჩნევად შეირხა, მაგრამ ხმა არ ამოულია.

— ვბრუნდები, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში დამხვრეტენ, — თქვა გრუბერმა.

იოზეფს არაფერი უპასუხია.

— და აგრეთვე იმიტომ, რომ თუ ვიდეზერტირებ, ჩემს მშობლებსა და ჩემს მეუღლეს დააპატიმრებენ, ბანაკში გაგზავნიან ანდა დახოცავენ.

იოზეფი დუმდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მე მივდიარ, თუმცა ვიცი, რომ ჩემი საბუთები გასამართლებლად არ გამოდგება, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც მილიონობით ადამიანის საბუთებია. როგორი ზიზღით უნდა იყოთ გამსჭვალული ჩვენდამი!

— ეგზომ პატივმოყვარე ნუ იქნებით, — უთხრა წყნარად იოზეფმა.

გრებერი განცვიფრებული მიაშტერდა. ვერ გაეგო, რას ეუბნებოდა იოზეფი.

— არავინ ლაპარაკობს ზიზღსა და მძულვარებაზე, — თქვა იოზეფმა, — ისევ მხოლოდ თქვენ თვითონ თუ ლაპარაკობთ მასზე. რატომ არის ეს თქვენთვის ასე მნიშვნელოვანი? განა მე მეზიზღება ან მძულს პოლმანი? განა მე მეზიზღება ის ადამიანები, რომლებიც მმალავენ და ამით ყოველლამ თავიანთ სიცოცხლეს აგდებენ საფრთხეში? განა მე ცოცხალი ვიქნებოდი, ისინი რომ არ იყვნენ? რა გულუბრყვილო ხართ!

ანაზდეულად მან კვლავ გაიღიმა. ეს იყო რაღაც ჩვენებისდარი გაღიმება, რომელიც მის სახეს მოეფინა, მაგრამ მასთან არა ესაქმებოდა რა.

— ჩვენ თემას ვშორდებით, — თქვა მან, — ბევრი ლაპარაკი და ფიქრი საჭირო არ არის. ჯერ კიდევ არა. ეს ადამიანს ასუსტებს. მოგონებებიც აგრეთვე. საამისოდ ჯერ კიდევ ძალიან ადრეა. საფრთხის დროს მხოლოდ იმაზე უნდა იფიქრო, თუ როგორ გადაირჩინო თავი, — მან კონსერვებზე მიუთითა, — აი, ეს დახმარებაა. მე მათ ვიღებ. გმადლობთ.

კონსერვის ქილები აიღო და წიგნების უკან დაალაგა. ამას საოცრად მოუქნელად იქმოდა. გრებერმა შენიშნა, რომ თითების ბოლო სახსრები დასახიჩრებული და ფრჩხილები დაძრობილი ჰქონდა. იოზეფმა დაიჭირა მისი მზერა.

— საკონცენტრაციო ბანაკის მცირედი სახსოვარი, — თქვა მან, — ერთი შარფიურერის გასართობი კვირა დღეებში. ამას იგი საშობაო სანთლების ანთებას უწოდებდა. ფრჩხილებქვეშ წაწვეტებულ ასანთის ღერებს მირჭობდა და ცეცხლს უკიდებდა. ფეხის თითებზე მაინც გაეკეთებინა ხოლმე, ნაკლებად გამოსაჩენ ადგილზე. თორემ ახლა მყისვე შეუძლიათ მიცნონ. ყველგან ხომ ხელთათმანი არ გეცმევა.

გრებერი წამოდგა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— რამეში გამოგადგებათ, ჩემი ძველი ფორმა და ჯარისკაცის წიგნაკი რომ მოგცეთ? თქვენ შიგ გადაასწორებთ ყველაფერს, რაც საჭირო აღმოჩნდება, მე კი ვიტყვი, რომ დამეწვა.

— გმადლობთ. საჭირო არ არის. ახლო მომავალში მე რუმინელი გავხდები. პოლმანმა მოიგონა ეს და კიდეც მომიწყო ყველაფერი. ასეთი რამეები ძალიან ემარჯვება. გარეგნულად კი არ ეტყობა, არა? მე რუმინელი გავხდები, „რკინის გვარდიის“ წევრი, ნაციონალ-სოციალისტური პარტიის მეგობარი. ჩემი გარეგნობა სწორედ შესაფერისია რუმინელისთვის. მაშინ იმის ახსნაც იოლი იქნება, თუ რატომ ვარ დასახიჩრებული. ვიტყვი, კომუნისტებმა მიყვეს-მეთქი. ახლავე გინდათ თქვენი ლოგინი და ჩემოდნები წაიღოთ?

გრებერმა იგრძნო, რომ იოზეფს სურდა თავიდან მოეშორებინა.

— თქვენ აქ დარჩებით? — შეეკითხა იგი.

— რატომ მეკითხებით?

გრებერმა მისკენ თავისი წილი კონსერვები გააჩოჩა.

— მე კიდევ შემიძლია ვიშოვო. წავალ და მოვიტან.

— ესეც ბევრია. მე ბევრი ბარგი არ შეიძლება მქონდეს. თანაც უკვე ჩემი წასვლის დროც მოვიდა. მეტს ველარ დავიცდი.

— სიგარეტი? სიგარეტი დამავიწყდა. იქ ბლომად არის. შემიძლია მოგიტანოთ.

იოზეფს სახე გამოეცვალა. მოულოდნელად შვება აღებეჭდა ზედ და თითქმის ნაზიც კი გაუხდა.

— სიგარეტი, — ისე წარმოთქვა, თითქოს ვიღაც მეგობარზე ლაპარაკობდა, — ეს სულ სხვა საქმეა. სიგარეტი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საჭმელი. მათ, რა თქმა უნდა, დაველოდები.

XXII

წმინდა კათარინას ეკლესიის გადახურულ გალერეაში უკვე საკმაოდ ბევრ ხალხს მოეყარა თავი. თითქმის ყველანი ჩემოდნებსა და კალათებზე ისხდნენ ანდა ბოხჩები და პარკები ელაგათ გარშემო. მათგან მეტი წილი ქალი და ბავშვი იყო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გრებერიც მათ შეუერთდა თავისი ლოგინის ბოხჩით და ჩემოდნებით. მის გვერდით ვიღაც ცხენისსახიანი დედაბერი იჯდა.

— ოღონდ ევაკუაციაში არ მოგვაყოლონ ლტოლვილებივით და... — თქვა მან, — ყველანი ბარაკებზე, საჭმლის ნაკლებობაზე, გლეხების სიძუნწესა და სიანჩხლეზე ლაპარაკობენ.

— ჩემთვის სულერთია! — მიუგო გამხდარმა ქალიშვილმა — მთავარია, როგორმე გავაღწიო აქედან! სიკვდილს ყველაფერი სჯობია. მთელი ქონება დავკარგეთ. ვალდებული არიან იზრუნონ ჩვენზე.

— ამ რამდენიმე დღის წინათ რაინის მხრიდან ლტოლვილებით სავსე მატარებელმა ჩაიარა. რა საშინელი სანახავნი იყვნენ! მეკლენბურგში მიემგზავრებოდნენ.

— მეკლენბურგში? იქ მდიდარი გლეხები ცხოვრობენ.

— მდიდარი გლეხები! — ცხენისსახიანმა დედაბერმა ბოროტად ჩაიცინა, — ისინი იმდენს ამუშავებენ ადამიანს, ვიდრე სული არ ამოსძვრება. საჭმელად კი რაღაც ნახორხლებს იძლევიან მხოლოდ. ერთი არაფერი მინდა, ფიურერი გაიგებდეს ამას!

გრებერმა ცხენისსახიან დედაბერსა და გამხდარ ქალიშვილს შეხედა. მათ უკან, რომანულსვეტებიანი ღია გასასვლელის მიღმა, ტაძრის ახალგაფოთლილი ბაღი ხასხასებდა. ქვის ქანდაკებათა ფერხთით, რომელნიც „გოლგოთაზე წარყვანებას“ გამოსახავდნენ, ნარგიზები ყვაოდნენ. „ქრისტეს წამების“ გამოსახულებაზე შაშვი იჯდა და გალობდა.

— მათ უფასოდ უნდა მოგვცენ ბინები, — განაცხადა გამხდარმა ქალიშვილმა, — და ისეთებთან უნდა შეგვასახლონ, რომელთაც ყველაფერი საკმაოდ აქვთ. ჩვენ ხომ ომის მსხვერპლნი ვართ.

მოვიდა მედავითნე, იგი ხმელ-ხმელი კაცი იყო, ჩამოგრძელებული წითელი ცხვირი და დაბლა ჩამოცვენილი მხრები ჰქონდა. გრებერს ვერ წარმოედგინა, რომ ამ კაცს ჰყოფნიდა სიმამაცე, გესტაპოს მიერ დევნილი ადამიანები შეეფარებინა.

მედავითნემ ხალხი შიგნით შეუშვა. ყოველ მათგანს ბარგის ნომერს აძლევდა, ხოლო ქაღალდის ნაგლეჯებს, რომლებზედაც იგივე ნომერი ეწერა, ბოხჩებსა და ჩემოდნებში ჩურთავდა.

— დღეს საღამოთი ძალიან გვიან არ მოხვიდეთ, — უთხრა მან გრებერს, — ადგილი არ გვყოფნის ეკლესიაში.

— არ გყოფნით?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წმინდა კათარინას ეკლესია ხალვათი შენობა იყო.

— დიახ, ნეფში ხალხს ღამის გათენების უფლებას არ ვაძლევთ. ამისთვის მხოლოდ მის ქვეშ მდებარე სადგომებს გვერდით გასასვლელებს ვიყენებთ.

— იმათ სად სძინავთ, ვინც იგვიანებს?

— გადახურულ გალერეაში, რომელიც ჯერ კიდევ უვნებლად არის გადარჩენილი. ხოლო ზოგს ბაღშიაც კი.

— მერე ნეფისქვეშა სადგომები საიძედოა საჰაერო თავდასხმის დროს?

მედავითნემ სათნო მზერა შეაგება.

— როცა ამ ეკლესიას აშენებდნენ, ასეთ რამეებზე ჯერ კიდევ არ ფიქრობდნენ, ეს შუა საუკუნეების ბნელი ხანა იყო.

ამ კაცის წითელცხვირიანი სახე სრულიად არაფერს გამოხატავდა. იოტისოდენა მოძრაობითაც კი არ გაუცია თავისი თავი. „როგორ გავიწაფეთ თავის მოკატუნებაში, — გაიფიქრა გრებერმა, — თითქმის ყოველი ჩვენგანი ამ საქმის თავისებური პატარა ოსტატია“.

ბაღი და დახურული გალერეა გამოიარა და ქუჩაში გავიდა. ეკლესია ძალიან იყო დაზიანებული; კოშკთაგან ერთი ჩამონგრეულიყო და დღის სინათლე ულმობლად აშუქებდა შიგნით, ფართო, ნათელ ზოლებად ჰკვეთდა ეკლესიის ბინდით მოცულ სივრცეს. სარკმელთა ნაწილიც ჩამტვრეული იყო, შიგ ბელურები ისხდნენ და ჭყიპინებდნენ. გვერდით მდგარი სასულიერო სემინარიის შენობა მიწასთან იყო გასწორებული. იქვე ახლოს იყო თავშესაფარიც. გრებერი შიგ ჩავიდა. ეს ღვინის ძველი სარდაფი იყო, რომელიც წინათ ეკლესიის ეკუთვნოდა და ახლა თავშესაფრად გადაეკეთებინათ. კასრების ქვესადგამები კიდევ ელაგა აქ. ჰაერი ტენიანი, გრილი და არომატული იყო. საუკუნეთა ღვინის სურნელი, ეტყობა, ჯერ კიდევ მძლავრობდა ღამეულ საჰაერო თავდასხმათა შემზარავ სუნზე. თავშესაფრის სილრმეში გრებერმა კვადრატული ქვის ფილებით მოპირკეთებულ ჭერზე რკინის მძიმე რგოლები დაინახა და გაახსენდა, რომ ეს სარდაფი, ვიდრე ღვინის საწყობი გახდებოდა, კუდიანებისა და ურწმუნოთა საწამებელ დილეგს წარმოადგენდა. ხელებზე ჩამოკონწიალებულთ, მათ მაღლა სწევდნენ, ფეხებზე რკინებს ჰკიდებდნენ და გავარვარებული მარწუხებით შანთავდნენ, ვიდრე არ გამოტყდებოდნენ. შემდეგ სიკვდილით სჯიდნენ სახელითა ღვთისათა და მოყვა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სისადმი ქრისტიანული სიყვარულის დეკლარაციის „რა ცოტა რამ შეიცვალა მას შემდეგ, — გაიფიქრა მან. – საკონსტრაციო ბანაკსა ჯალათებს შესანიშნავი წინამორბედნი ჰყავდათ, ხოლო ნახარჯელ დურგლის ვაჟს — საკვირველი მიმდევარნი“.

*

იგი ადლერშტრასეს მიპყვებოდა. საღამოს ექვსი საათი იქნებოდა. მთელი დღე ამაოდ დაეძებდა ოთახს და დაღლილ-დაქანცულმა გადაწყვიტა დღეისთვის ხელი აელო ძებნაზე. კვარტალი ძალიან განადგურებულიყო. ნანგრევებს ნანგრევები მოსდევდა. უგუნებოდ მიაბიჯებდა მათ შორის და უეცრად ისეთი რამ დაინახა, რომ პირველად არც კი დაიჯერა. ნანგრევებადქცეული უბნის შუაგულში პატარა ორსართულიანი სახლი იდგა. ძველი და ოდნავ დაბრეცილი, იგი სრულიად უვნებლად გადარჩენილიყო. გარშემო ბაღი ერტყა, რომელშიც რამდენიმე ხე და ბუჩქი მწვანედ ხასხასებდა. ეს ყოველივე უვნებლად გადარჩენოდა ომს და ოაზისს მოგაგონებდათ ამ ნანგრევების უდაბნოში. ღობის თავზე იასამნის ბუჩქები გაშლილიყვნენ და მესრის ერთი ფიცარიც კი არ გატეხილიყო, ხოლო ოცი ნაბიჯის შემდეგ ორივე მხარეს ისევ ქაოსური უდაბნო იწყებოდა. ეს პატარა ძველი ბაღი და ასევე პატარა ძველი სახლი კი რაღაც სასწაულით გადარჩენლიყო, ამგვარი რამ ხანდახან თან ახლავს ხოლმე ნგრევას. „ვიტეს სასტუმრო და რესტორანი“ — ეწერა სახლის კარს ზემოთ.

ბაღის ჭიშკარი ღია დახვდა. გრეხერი შიგ შევიდა. უკვე აღარ გაჰკვირვებია, რომ ფანჯრის არც მინა იყო ჩამტვრეული. თითქოს ეს ასეც უნდა ყოფილიყო. სასწაული ხომ მარად სასოწარკვეთილების მიჯნაზე გელის. დიდრონი თეთრხალებიანი თაფლისფერი მონადირე ძაღლი იწვა კარის გვერდით და ეძინა. ყვავილნარში ნარგიზები, იები და ტულიპები ყვაოდნენ. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ეს ყოველივე უკვე ერთხელ უკვე ენახა. მაგრამ თუ როდის, არ უწყოდა; ეს ერთობ დიდი ხნის წინათ უნდა ყოფილიყო, მაგრამ შეიძლება სულაც მხოლოდ სიზმარში ჰქონდა ნანახი. იგი შიგ შევიდა.

დახლი ცარიელი იყო. მხოლოდ რამდენიმე ჭიქა იდგა თაროებზე, ბოთლები კი არც ერთი. ლუდის ონკანს კრიალი გაუდიოდა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაგრამ ცხაკი მის ქვეშით მშრალი იყო. სამი მაგიდა თავ-თავიანთი ხაკებით კედლებთან მიედგათ.

შუა მაგიდის ზეშით ნახატი ეკიდა — ტიპური ტიროლური ლანდშაფტი, რომლის ფონზეც ქალიშვილი ციტრას[1] უკრავდა, ხოლო ქალიშვილისკენ კი მონადირე დახრილიყო. ჰიტლერის სურათი არ ეკიდა აქ. ამას არც მოელოდა გრებერი.

ხანში შესული ქალი გამოვიდა, ტანთ გახუნებული ცისფერი ბლუზა ეცვა, რომლის სახელოებიც მაღლა აეწია. მას არ უთქვამს: „ჰაილ ჰიტლერ", არამედ საღამო მშვიდობისა უსურვა გრებერს — და მართლაც ამ მისალმებაში იყო რაღაც საღამისებური. მთელი დღის განმავლობაში მშვიდობიანი შრომის შემდეგ, მშვიდობიანი საღამოს სურვილი. „ასე იყო ოდესღაც", — გაიფიქრა გრებერმა. მას მხოლოდ რამის დალევა სურდა. ნანგრევების მტვერმა წყურვილი აღუძრა, მაგრამ ახლა უეცრად ძალიან მნიშვნელოვნად მოეჩვენა, აქ ელიზაბეტთან ერთად საღამო გავტარებინა. გრძნობდა, რომ ეს მართლაც მშვიდობიანი საღამო იქნებოდა. ისინი აღმოჩნდებოდნენ იმ მრუმე წრის გარეთ, რომელიც გარს ერტყა მოჯადოებულ ბაღს, სადამდეც კი ადამიანს თვალი მიუწვდებოდა.

— შეიძლება თქვენთან ვიუახშმოთ? — შეეკითხა იგი.

ქალი შეჭოჭმანდა.

— მე წიგნაკები მაქვს, — საჩქაროდ უთხრა გრებერმა, — კარგი იქნებოდა აქ პურის ჭამა. იქნებ ბაღშიც მოხერხდეს. სულ ორიოდე დღეა დამრჩენია და მერე უნდა გავემგზავრო. მე ვიქნები და ჩემი ცოლი. ორივესთვის მაქვს ტალონები. თუ გნებავთ, შემიძლია კონსერვებიც მოვიტანო გადასაცვლელად.

— ჩვენ მხოლოდ ოსპის წვნიანი გვაქვს. ჩვენ უკვე აღარ ვემსახურებით კლიენტებს სადილებით.

— ო, ოსპის წვნიანი დიდებულია! რამდენი ხანია არ მიჭამია!

ქალს გაელიმა. ეს იყო მშვიდი ღიმილი, რომელიც თითქოს თავისით მოეფინა მის სახეს.

— თუკი ეს თქვენთვის საკმარისია, მაშინ მობრძანდით. შეგიძლიათ ბაღშიც დასხდეთ, თქვენი ნებაა. ან აქ, თუ ძალიან აგრილდება.

---

[1] *ციტრა (გერმ., ბერძნ.) — ხიმებიანი მომცრო მუსიკალური საკრავი; წარმოადგენს ბრტყელ ყუის, რომელზედაც გაჭიმულია 36-42 ხიმი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ბაღში გვირჩევნია. ახლა ხომ მაინც გვიან ბნელდება. შეიძლება რვაზე მოვიდეთ?

— ოსპის წვნიანი არსად გაიქცევა. როცა გენებოთ, მაშინ მობრძანდით.

*

მისი მშობლების სახლზე გაკრული აბრის ქვემოდან კონვერტი გამოჩრილიყო. წერილი დედისგან! ფრონტიდან უკან გადმოგზავნათ. მან კონვერტი გახია. ორიოდე სიტყვით დედა სწერდა, რომ ისინი მომდევნო დილით საევაკუაციო ეშელონით ქალაქს ტოვებდნენ. თუ სახელდობრ სად გზავნიდნენ, ჯერ კიდევ არ იცოდნენ. დაე, იგი ნუ იდარდებს. ეს მხოლოდ მოსახლეობის უშიშროების უზრუნველყოფისთვის კეთდება.

თარიღს დახედა. ბარათი ერთი კვირით ადრე იყო დაწერილი, ვიდრე შვებულებას მიიღებდა.

საჰაერო თავდასხმაზე შიგ არაფერი ეწერა; ეტყობა, დედამისი ფრთხილობდა, ცენზურის ეშინოდა. საეჭვო იყო, რომ მათი სახლი გამგზავრების წინალამეს დაებომბათ. ეს ალბათ უფრო ადრე მოხდა, თორემ სხვაფრივ მათ საევაკუაციოდ არ გაამწესებდნენ.

წერილი ნელა დაკეცა და ჯიბეში ჩაიდო. მაშ, მისი მშობლები ცოცხლები იყვნენ. ახლა ეს უტყუარი იყო, რამდენადაც შეიძლებოდა საერთოდ რაიმე ყოფილიყო უტყუარი ასეთ ვითარებაში. მიიხედ-მოიხედა. ტალლისებრი მინის კედლის მაგვარი რამ ჩამოეცალა თვალთახედვიდან და ჰაკენშტრასემ ანაზდეულად ისევ შესახედაობა მიიღო, როგორიც ყველა სხვა დაბომბილმა ქუჩამ. შიში და ტანჯვა, რომლითაც თვრამეტი ნომერი გარემოცულიყო, უჩუმრად განქარდა. სხვა აღარა იყო რა აქ, ღორღისა და ნანგრევთა გარდა. ეს როგორც ყველგან. ღრმად ამოისუნთქა. სიხარულს კი არ გრძნობდა, არამედ მხოლოდ შვებას გულის სიღრმეში. ერთბაშად გათავისუფლდა დარდისგან, რომელიც ყველგან და ყოველთვის ლოდივით აწვა მხრებზე. იმაზე არ ფიქრობდა, რომ შვებულების დროს ალბათ უკვე ველარ იხილავდა თავის დედ-მამას. ხანგრძლივმა გაურკვევლობამ ამის იმედი დიდი ხანია დაასამარა. ისიც კმაროდა მისთვის, რომ მშობლები ცოცხლები იყვნენ; ამით თითქოს რალაც დამთავრდა და ის თავისუფალი შეიქნა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამ ქუჩაზე უკანასკნელი თავდასხმის დროს კიდევ რამდენიმე ყუმბარა ჩამოვარდნილიყო. სახლი, რომლისაც მხოლოდ ფასადილა იდგა, ახლა სრულიად მიწასთან იყო გასწორებული. კარი, რომელზედაც ნანგრევების „გაზეთი“ იყო გაკრული, ახლა ძველი ადგილიდან ოდნავ მოშორებით, ნანგრევებს შორის, დაემაგრებინათ. როგორც კი გაიფიქრა გრებერმა, ნეტა შეშლილ კომენდანტს რალა მოუვიდაო, უმალვე თვალი მოჰკრა მას, მეორე მხრიდან მომავალს.

— ოჰო, ჯარისკაცო, — თქვა კომენდანტმა, — მაშ, თქვენ ისევ აქა ხართ?!

— დიახ. და თქვენც ისევ აქა ხართ, როგორც ჩანს.

— ნახეთ თქვენი წერილი?

— ვნახე.

— გუშინ მოვიდა ნაშუადღევს, შეიძლება ახლა კარიდან მოვხსნათ თქვენი ბარათი? ძალიან გვჭირდება ადგილი. უკვე ხუთი განცხადება გვაქვს მაგ ადგილზე მიღებული.

— ჯერ არა, — უთხრა გრებერმა, — ორიოდე დღე კიდევ მადროვეთ.

— უკვე დროა, — განუცხადა კომენდანტმა ისე მკვახედ და მკაცრად, თითქოს მასწავლებელი ყოფილიყო და ურჩ მოწაფეს ელაპარაკებოდა, — ჩვენ ისედაც ბევრი გიცადეთ.

— თქვენ რა, რედაქტორი ხართ ამ გაზეთისა?

— საჰაერო თავდაცვის კომენდანტი ყველაფერია. იგი ვალდებულია წესრიგისთვის იზრუნოს. ჩვენ ერთი ქვრივი გვყავს, რომელსაც სამი ბავშვი დაეკარგა უკანასკნელი თავდასხმის დროს. თქვენი ადგილი ამის გამოსაცხადებლად გვჭირდება.

— მაშინ ჩამოიღეთ. მე ალბათ ისედაც მომიკვა ფოსტა აგერ იქ, გადალმა ნანგრევებში.

კომენდანტმა გრებერის ბარათი კარიდან ჩამოხსნა და მას გაუწოდა. გრებერმა მისი დახევა დააპირა, მაგრამ კომენდანტმა ხელი დაუჭირა:

— ხომ არ შეიშალეთ, ჯარისკაცო! ასეთ რამეებს არ ხევენ. თორემ ამით შეიძლება ბედი გამოგეცვალოთ. რახან ერთხელ გადარჩით, ყოველთვის გადარჩებით, ვიდრე ამ ქაღალდს შეინახავთ. ნამდვილი ახალბედა ხართ, აი!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— პო, — მიუგო გრეებერმა. თან ფეურცელი დაკეცა და ჯიბეში ჩაიდო, — მე ეისურეებდი იქამდე დაურჩენილიყავი ასეთად, სადამდეც კი ეს შესაძლებელია. სად ცხოვრობთ ახლა?

— ბინის გამოცვლა მოუხდა. კომფორტული სორო მოეძებნე სარდაფში. თაგვების ოჯახთან ერთ მდგმურად მიკედლებული. ძალიან მარტობენ.

გრეებერმა შეხედა ამ კაცს. მისი ჩამოშდნარი სახე არაფერს გამოხატავდა.

— მე კაუშირის დაარსებას ვაპირებ, — განუცხადა მან გრეებერს, — იმ ადამიანთათვის, რომელთა ახლობლებიც ნანგრევებმა დაიტანა. ერთმანეთს უნდა ამოვუდგეთ მხარში, თორემ ისე ქალაქი არაფერს გააკეთებს ჩვენთვის. ყოველ შემთხვევაში, ის ადგილები, სადაც ნანგრევებში მოყოლილნი წვანან, უნდა მღვდლებმა აკურთხონ და წმინდა მიწად გამოაცხადონ. გასაგებია?

— დიახ, გასაგებია!

— კეთილი. თორემ არიან ადამიანები, რომლებსაც ეს სისულელედ მიაჩნიათ. თქვენ კი ახლა, აბა, რაღაში გჭირდებათ მისი წვერი გახდეთ. თქვენ ხომ მიიღეთ ის თქვენი წყეული წერილი.

ჩამოშდნარი სახე ანაზდეულად დაელრიჯა და ზედ დაუოკებელი ტკივილი და გაბოროტება აღებეჭდა. ეს კაცი მოსხლეტით შეტრიალდა და უკან წალავუნდა ქუჩის გაყოლებით. გრეებერმა თვალი გააყოლა, მერე გზა განაგრძო. გადაწყვიტა ელიზაბეტისთვის არ ეთქვა, რომ მისი შშობლები ცოცხლები იყვნენ.

ელიზაბეტი მარტო მიდიოდა ფაბრიკის წინ მდებარე მოედანზე. იგი სულ პაწაწკინტელა ჩანდა და თითქოს იკარგებოდა მოედნის სივრცეში, რომელიც ბინდბუნდში უფრო დიდად გეჩვენებოდათ, ვიდრე ჩვეულებრივ იყო. ხოლო დაბალი შენობები კი მის მიღმა კიდევ უფრო გაშიშვლებულნი და უნუგეშონი ჩანდნენ.

— შვებულებას მაძლევენ, — უთხრა მან სულმოუთქმელად, — წარმოგიდგენია, ისევ!

— რამდენ ხანს?

— სამ დღეს. სამ უკანასკნელ დღეს.

ქალი დადუმდა. თვალები აემღვრა და ცრემლით აევსო.

— მე ავუხსენი ჩემი მდგომარეობა, — წარმოთქვა მან, — და მათ მაშინვე მომცეს სამი დღე. ალბათ მერე მომიხდება გაცდენილის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ანაზღაურება, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს. შენი წასვლის შემდეგ ხომ სულ არ ექნება. სჯობია კიდეც, თუკი ძალიან ვიქნები დატვირთული...

გრებერს არაფერი უპასუხია. მერე მეტეორიკით დაატყდა უეცრად თავზე აზრი, რომ განშორება მოელოდათ. ეს ადრეც იცოდა, ისე, როგორც ბევრი რამ იცი, მაგრამ მაგალი რეალობით არ ალიქვამ და ბოლომდე არა გაქვს შეგრძნობილი. მაშინ წინ კიდევ იმდენი რამ იყო, ხოლო ახლა კი ერთბაშად მარტო ეს ფაქტიღა დარჩა, ყოველისმომცველი და გამყინავი საშინელებით ალსავსე ფაქტი, იგი მქრქალ, გამსჭვალავ შუქს გამოსცემდა და ყველაფერში ჩონჩხს აჩენდა მხოლოდ — რენტგენის სხივების დარად, რომელნიც სიცოცხლის ჯადოსნურ მომხიბლაობას ტოვებენ.

ერთმანეთს შეხედეს. ორივენი ერთსა და იმავეს განიცდიდნენ. იდგნენ უკაცრიელ მოედანზე, ერთიმეორეს უჭერეტდნენ და თითოეული მათგანი გრძნობდა, როგორ იტანჯებოდა მეორე. ეჩვენებოდათ, რომ ქარაშოტი აქეთ-იქით აქანავებდათ, მაგრამ სინამდვილეში კი უძრავად იდგნენ. სასოწარკვეთილებას, რომელსაც ყოველთვის გაურბოდნენ, ახლა როგორც იქნა, მოეხელთებინა ისინი და ქალ-ვაჟი ერთმანეთს ხედავდა ისეთებად, როგორებიც სინამდვილეში დარჩებოდნენ: გრებერი ხედავდა ელიზაბეტს, მარტოდმარტოს, ფაბრიკაში, თავშესაფარში ან სადმე სხვა რომელიმე ოთახში, მის მომლოდინეს, თითქმის სრულიად უიმედოდ. ელიზაბეტი კი ხედავდა, თუ როგორ უბრუნდებოდა გრებერი განსაცდელს, იბრძოდა საქმისთვის, რომლისაც უკვე აღარ სჯეროდა. სასოწარკვეთამ შეიპყრო ორივენი და როგორც წარლვნამ, ისე იქუხა მათ ზეგარდმო მომაკვდინებელმა სინაზემ, რომელსაც არ შეიძლებოდა დაპყოლოდნენ, რადგან გრძნობდნენ, რომ თუკი მას შიგნით შემოუშვებდნენ, გულები გაერღვეოდათ. უმწეონი იყვნენ. ვერაფერს გააწყობდნენ. მხოლოდ უნდა დაეცადათ, ვიდრე იგი გაივლიდა.

ასე ეგონათ, მთელი საუკუნე გავიდა, ვიდრე გრებერი ხმის ამოღებას შეძლებდა. მან დაინახა, რომ ელიზაბეტს თვალებში ცრემლი გაჰქრობოდა. ქალს არ მოუწმენდია ისინი; ცრემლები თითქოს უკანვე ჩაელვარნენ.

— მაშ, შეგვიძლია რამდენიმე დღის განმავლობაში სულ ერთად ვიყოთ, — წარმოთქვა ვაჟმა.

ქალმა გაჭირვებით გაიღიმა.

— ჰო, ხელ სალამოდან მოკიდებული.

— კარგი, მაშ, ჩვენ ისე გამოგვდის, თითქოს რამდენიმე კვირა გექონდეს კიდევ დარჩენილი, თუ ჩაუთვლით, რომ შენ მხოლოდ სალამოობით იქნებოდი თავისუფალი.

— ჰო...

გზა განაგრძეს, რომელიღაც სახლის კედელზე ხახადაფჩენილ ფანჯრებში დაკიწყებულ ყარდასაკით ეკიდა დაისის სიწითლე.

— სად მიგდიგართ? — შეკითხა ელიზაბეტი, — ან სად გაკათვეთ ღამეს?

— ეკლესიის დახურულ გალერეაში. ანდა ბაღში, თუკი საკმაოდ ეთბილება. ხოლო ახლა კი ოსპის წვნიანის საჭმელად მიგდიგართ.

ნანგრევებს შორის ვიტეს რესტორანი გამოკრთა. წამით გრებერს უცნაურად მოეჩვენა, რომ იგი ისევ იქ იდგა. ეს ისეთივე საოცრება იყო, როგორიც რომელიმე ფატა მორგანა.[1] ისინი ბაღის ჭიშკარში შევიდნენ.

— რას იტყვი აქაურობის შესახებ? — შეკითხა იგი.

— მშვიდობის ნაწილაკს წაგაკვს, რომელიც ომს გამოუჩენია.

— ჰოდა, ასეთადაც უნდა დარჩეს დღეს სალამოთი.

ყვავილნარს მიწის სუნი სდიოდა ჭარბად. ვილაცას მოერწყა იგი გრებერის ყოფნის შემდეგ. მონადირე ძაღლი კუდის ქიცინით ურბენდა სახლს გარშემო. დრუნჩს ილოკავდა, ეტყობოდა, საჭმელი ეჭმიათ.

ფრაუ ვიტე გამოეგებათ თეთრი წინსაფარი აეფარებინა.

— ბაღში გნებავთ დასხდეთ?

— კი, — უთხრა ელიზაბეტმა, — და თუ ამის შესაძლებლობა გაქვთ, ხელ-პირს დაიბანდი სიამოვნებით.

— რა თქმა უნდა!

ფრაუ ვიტემ ელიზაბეტი სახლში შეიპატიჟა და მეორე სართულზე აიყვანა. გრებერმა ბაღში საპნარეულოს ჩაუარა წინ. აქ უკვე დაედგათ მაგიდა, რომელსაც თეთრი წითელუჯრედებიანი სუფრა

---

[1] *ფატა-მორგანა (იტალ.) — მირაჟის ნაირსახეობა, რომლის დროსაც ჰორიზონტზე ჩნდება შორეული კუნძულების, მიების, ქალაქებისა და სხვა ობიექტების სწრაფად ცვალებადი და დამახინჯებული გამოსახულებანი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეფარა, და ორი სკამი. მიგიდაზე ჭიქები, თეფშები და ოდნავ დაორთ-ქლილი წყლიანი გრაფინი იდგა. მან ხარბად გამოცალა ერთი ჭიქა. წყალი ცივი იყო და ღვინოზე უფრო ეგემრიელა. ბალი უფრო დიდი იყო, ვიდრე ამას გარედან იფიქრებდა. აქ იყო პატარა მოლი, რო-მელიც მწვანედ ხასხასებდა, დიდგულასა და იასამნის ბუჩქები და ახალგაფოთლილი რამდენიმე ბებერი ხე.

ელიზაბეტი დაბრუნდა.

— როგორ აღმოაჩინე ასეთი ადგილი?

— სრულიად შემთხვევით. მაშ, სხვაფრივ როგორ იპოვი ასეთ რამეს?

ელიზაბეტმა მოლზე გაიარა და ბუჩქნარის კვირტებს შეახო ხელი.

— იასამანს უკვე კოკრებიც აქვს გამოტანილი, ჯერ მწვანეებია და მწარე. მაგრამ მალე აყვავდებიან.

— ჰო, — თქვა გრებერმა, — ისინი ორიოდე კვირაში აყვავდებიან.

ქალი ვაჟთან მივიდა. მას საპნის, ახალგადავლებული წყლისა და სიყმაწვილის სურნელი ასდიოდა..

— რა მშვენიერია აქაურობა! და წარმოგიდგენია — ასე მგონია, თითქოს ოდესღაც უკვე ვიყო აქ ნამყოფი.

— მეც ასე დამემართა, როცა ეს სახლი დავინახე.

— ასე მგონია, თითქოს ეს ყველაფერი ერთხელ უკვე იყო. შენცა და მეც, და აი, ეს ბალიც... და თითქოს მხოლოდ სულ რაღაც უმ-ნიშვნელო რამ აკლდეს, რომ ყველაფერი დაწვრილებით გავიხსენო, — მან თავი დაადო ვაჟს მხარზე, — მაგრამ არა, ეს შეუძლებელია, ასე არასოდეს ხდება. მარად ცოტა რამ მაინც აკლდება ამისათვის, რომ გაიხსენო. მაგრამ ვინ იცის, იქნებ ოდესღაც მართლაც განგ-ვიცდია ეს ყოველივე და ახლა ისევ და ისევ განვიცდით.

ფრაუ ვიტემ საწვნე ჯამი მოიტანა.

— მე ახლავე მინდა ჩვენი ბარათები მოგცეთ, — უთხრა გრებერ-მა, — ბევრი არა გვაქვს. ერთი ნაწილი დაგვეწვა. მაგრამ მგონი, ესეც საკმარისია.

— მე ყველა არ მჭირდება, — განაცხადა ფრაუ ვიტემ, — ოსპი ადრიდან გვაქვს შემორჩენილი. მხოლოდ ძეხვისთვის იქნება საჭი-რო რამდენიმე. რაც გადარჩება, შემდეგ უკანვე მოგართმევთ. სას-მელსაც ინებებთ? ორიოდე ბოთლი ლუდი გადაგვრჩა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— დიდებულია! სწორედ ლუდი თუ გაგვახარებდა ახლა.

დაისი მხოლოდ მქრქალ შუქსლა ჰფენდა არემარეს. შაშვმა სტვენა წამოიწყო. გრებერს გაახსენდა, რომ დილით უკვე მოისმინა სხვა შაშვის გალობაც. იგი გოლგოთაზე წარყვანების გამომსახველ ქანდაკებებიდან ერთ-ერთზე იჯდა. მას შემდეგ თითქოს ბევრი რამ მომხდარიყო. გრებერმა ხუფი ახადა საწვნე ჯამს.

— ძეხვი, კაი ღორის ძეხვი და ოსპის სქელი წვნიანი. საუცხოო საჭმელია!

მან მათლაფვებზე დაასხა წვნიანი და წამით ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ჰქონდა სახლი და ბაღი, სადაც გაშლილ სუფრას მყუდროებით გარემოცული უჯდა ცოლთან ერთად, და თითქოს უკვე მშვიდობა იყო.

— ელიზაბეტ, — წარმოთქვა მან, — ასეთი ხელშეკრულება რომ შემოგთავაზოს ვინმემ: მომავალი ათი წლის განმავლობაში ისე იცხოვრო, როგორც ამჟამად ვართ — ნანგრევებს შორის, ამ ბაღში ჩემთან ერთად, მოაწერდი ხელს?

— დაუყოვნებლივ. და თან უფრო ხანგრძლივი ვადითაც.

— მეც მოვაწერდი.

ფრაუ ვიტემ ლუდი მოიტანა. გრებერმა ბოთლი გახსნა და ჭიქები შეავსო. მათ დალიეს. ლუდი კარგად იყო ჩაცივებული. შემდეგ წვნიანს შეექცნენ, აუჩქარებლად, მშვიდად ჭამდნენ და ერთმანეთს შესცქეროდნენ.

დაბნელდა. პროექტორის სხივმა ზეცა გადასერა, ღრუბლებში ჩაესო და განზე გასრიალდა. შაშვმა გალობა შეწყვიტა. ღამე ჩამოდგა.

გამოჩნდა ფრაუ ვიტე წვნიანის დასამატებლად.

— არაფერი მიგირთმევიათ, — უთხრა მან ქალ-ვაჟს, — ახალგაზრდები მადიანად უნდა ჭამდნენ.

— ვჭამეთ, რამდენიც შეგვეძლო. ჯამი თითქმის დავაცარიელეთ.

— მე ახლა ცოტაოდენ სალათას მოგიტანთ კიდევ და ყველის ნაჭერს.

მთვარე ამოვიდა.

— ახლა ჩვენ აღარაფერი გვაკლია, — თქვა ელიზაბეტმა, — მთვარე ამოვიდა, ბაღში ვსხედვართ, კარგად დავნაყრდით და წინ კიდევ მთელი საღამო გვაქვს. ეს იმდენად დიდებულია, რომ ლამის ვერ გაუძლო ადამიანმა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ასე ცხოვრობდნენ ადამიანები წინათ და ამაში განსაკუთრებულს არაფერს ხედავდნენ.

ქალმა თავი დაუქნია და მიიხედ-მოიხედა.

— აქედან ნანგრევების ნასახიც კი არ ჩანს. ბალი ისეა განლაგებული, რომ მათ ვერ დაინახავ. ხეები ეყარებიან. წარმოგიდგენია, არსებობს ქვეყნები, სადაც სულ არ არის ნანგრევები!

— ომის შემდეგ გაუმგზავროთ იქ. ჩვენ ვნახავთ სრულიად დაუნგრეველ ქალაქებს. სალამოობით განათებული იქნებიან და არავის ექნება ყუმბარების შიში. ჩვენ ვისეირნებთ გაჩირალდნებული ვიტრინების წინ და იმდენი შუქი იქნება ირგელივ, რომ ბოლოს ველირსებით სალამოთიც ისევე კარგად დავინახოთ ხოლმე ერთმანეთი ქუჩაში, როგორც დღისით.

— მერედა შეგეიშვებენ იქ?

— საბოგზაურიდ? რატომაც არა? თუკი, მაგალითად, შვეიცარიაში გაუმგზავრებით?

— შვეიცარიაში შვეიცარიული ფრანკები დაგვჭირდება. სად ვიშოვით მათ?

— ჩვენ ფოტოაპარატებს წავიღებთ თან და იქ გავყიდით. იმ ფულით ორიოდე კვირა გაიტანთ თავს?

ელიზაბეტს გაეცინა.

— ანდა თვალ-მარგალიტს და ბეწვეულს, რომლებიც არ გაგვაჩნია.

ფრაუ ვიტემ სალათა და ყველი მოიტანა.

— მოგწონთ აქ ყოფნა?

— დიახ, ძალიან. შეიძლება ცოტა ხანს კიდევ დავრჩეთ?

— რამდენ ხანსაც გენებოთ. მე ახალ ყავას მოგიტანთ. ალაოს ყავას, რა თქმა უნდა.

— ბიჭოს, ყავაც? ჩვენ დღეს თავადიშვილებივით ვცხოვრობთ, — თქვა გრებერმა.

ელიზაბეტს ისევ გაეცინა.

— თავადიშვილურად ომის დასაწყისში ვცხოვრობდით. ბატის ღვიძლს, ხიზილალას და პფალცის ღვინოს მივირთმევდით. დღეს კი ჩვეულებრივი ადამიანებივით ვცხოვრობთ. აი, ისე, როგორც შემდგომშიც გვსურს ვიცხოვროთ. განა საამური არ არის ცხოვრება?

— კი, ელიზაბეტ!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გრებერმა ქალს შეხედა. როცა ფაბრიკიდან გამოვიდა, დაღლილი სახე ჰქონდა, ახლა კი სავსებით დაესვენა. ყოველთვის ასე სწრაფად გარდაიქმნებოდა ხოლმე; მისთვის საამისოდ ერთობ ცოტა იყო საჭირო.

— საამური იქნება ცხოვრება, — თქვა ქალმა, — ჩვენ ხომ ძალიან ნაკლებად ვართ განებივრებულნი. დუხჭირი ცხოვრების მეტი თითქმის არაფერი გვინახავს. ამიტომ წინ კიდევ ბევრი რამ მოგველის. რაც სხვებისათვის სრულიად ჩვეულებრივი რამ არის, ჩვენთვის დიდი ამბავი იქნება. მარტოოდენ ჰაერიც კი, რომელშიც ნახანძრალის სუნი არ ტრიალებს, ანდა ვახშამი უბარათებოდ. მაღაზიები, რომლებშიც ყველაფერი შეგიძლია იყიდო, რაც გსურს. დაუნგრეველი ქალაქები. ანდა შეგეძლოს ილაპარაკო ისე, რომ წინასწარ აქეთ-იქით არ მიიხედ-მოიხედო. არაფრის გეშინოდეს! ამას დიდი ხანი დასჭირდება, მაგრამ შიში თანდათანობით გაგვივლის და გინდაც ჟამიდან ჟამზე ისევ დაგვიბრუნდეს, ესეც კი ბედნიერება იქნება, რადგან მაშინვე გაგვახსენდება, რომ აღარაფრის შიში არ გვმართებს. არ გჯერა, რომ ასე იქნება?

— ჰო, — მიუგო გრებერმა ძალდატანებით, — მჯერა. თუ ასე შევხედავთ ყველაფერს, მაშინ წინ კიდევ ბევრი ბედნიერება მოგველის.

*

ბალში ჯდომით გული იჯერეს. გრებერმა ვახშმის ფული გადაიხადა, ფრაუ ვიტე დასაძინებლად წავიდა და ისინი მარტონი დარჩნენ.

მთვარე კიდევ უფრო მაღლა ამოვიდა ცაზე. ნიადაგისა და ლორთქო ყლორტების ღამეული სურნელი გამძაფრდა და ვინაიდან სიო არ ქროდა, იგი სდევნიდა მტვრისა და ღორღის სუნს, რომელიც გამუდმებით იდგა ქალაქში. ბუჩქებში რაღაცამ გაიფაჩუნა. ეს კატა ნადირობდა ვირთაგვებზე. ისინი ახლა გაცილებით მეტი იყვნენ, ვიდრე წინათ, რადგან ნანგრევების ქვეშ საჭმელს უხვად პოულობდნენ.

გრებერი და ელიზაბეტი თერთმეტ საათზე წავიდნენ. ასე ეგონათ, თითქოს რომელიღაც კუნძულს ტოვებდნენ.

— დაიგვიანეთ, — უთხრა მათ მისვლისთანავე მედავითნემ, — ყველა ადგილი დაკავებულია!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეს უკვე სხვა მედავითნე იყო. უფრო ახალგაზრდა, სუფთად წვერგაპარსული და გაბღენძილი. ალბათ სწორედ მან დააბეზღა იოზეფი.

— არ შეიძლება, რომ ბაღში გავათიოთ?

— ბაღში, სადაც კი გადახურული ადგილია, ყველგან წვანან უკვე. რატომ არ გინდათ დაზარალებულთა დახმარების ალმომჩენ ბიუროს მიაკითხოთ?

ღამის თორმეტ საათზე ასეთი კითხვის მიცემა მტკნარი იდიოტობა იყო.

— ჩვენ უფრო ღმერთის იმედი გვაქვს, — მიუგო გრებერმა.

მედავითნე ერთხანს დაკვირვებით უჭვრეტდა.

— თუ აქ დარჩენა გინდათ, მაშინ ლია ცის ქვეშ დაძინება მოგიწევთ.

— არა უშავს.

— დაქორწინებულნი ხართ?

— დიახ, რატომ მეკითხებით?

— ეს ღვთის სახლია. ადამიანებმა, რომლებიც შეუღლებულნი არ არიან, აქ ერთად არ შეიძლება დაიძინონ. გალერეაში ჩვენ გვაქვს ცალკე განყოფილება მამაკაცებისთვის და ცალკე — ქალებისთვის.

— მაშინაც, როცა დაქორწინებულნი არიან?

— დიახ, მაშინაც. გალერეა ეკლესიის ნაწილია. აქ ხორციელი ტკბობის ადგილი არ არის. თქვენ შეუღლებულთ არა ჰგავხართ.

გრებერმა ქორწინების მოწმობა ამოიღო. მედავითნემ ნიკელის სათვალე გაიკეთა და გულდასმით გადაიკითხა იგი კანდელის შუქზე.

— სულ ახლახან დაქორწინებულხართ, — წარმოთქვა შემდეგ.

— ამაზე კატეხიზმოში არაფერია ნათქვამი.

— ეკლესიაშიც დაიწერეთ ჯვარი?

— ყური მიგდეთ, — უთხრა გრებერმა, — დაღლილები ვართ. ჩემმა ცოლმა მთელი დღე მუშაობაში დააღამა. ჩვენ ახლა წავალთ და ბაღში დავიძინებთ. თუ თქვენ ამის საწინააღმდეგო გაქვთ რამე, სცადეთ ჩვენი იქიდან გამორეკვა, მაგრამ იცოდეთ, თან ბლომად წამოიყვანეთ ხალხი. თორემ ამის გაკეთება იოლი არ იქნება.

მოულოდნელად ვიღაც სამღვდელო პირი წამოადგათ თავს. იგი ჩქამის გაულებლად მიახლოებოდა მათ.

— რა ხდება აქ?

მედავითნემ აუხსნა, რაშიც იყო საქმე. ორიოდე წინადადების შემდეგ სამღვდელო პირმა გააწყვეტინა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ბომერ, უფალ ღმერთად ნუ მოგაქვთ თავი. ის უბედურება არ ეყოფათ განა ამ ადამიანებს, რომ აქ უხდებათ ღამის გათევა, — იგი გრებერს მიუბრუნდა, — თუ სხვა ბინას ვერსად იშოვით, მაშინ საღამოს ცხრა საათამდე ტაძრის ეზოში მოდით, სახლ №7-ში და პასტორი ბიდენდიკი იკითხეთ. ჩემი მნე ქალი სადმე მოგათავსებთ.

— დიდი მადლობა.

ბიდენდიკმა თავი დაუქნია და გაშორდა მათ.

— აბა, დაიძარით, უფლის უნტეროფიცერო! — უთხრა გრებერმა მედავითნეს, — თქვენ მაიორმა გიბრძანათ. უნდა დაემორჩილოთ. ეკლესია ერთადერთი დიქტატურაა, რომელმაც საუკუნეთა განმავლობაში გაძლო. გვიჩვენეთ, ბაღში როგორ გავიდეთ.

მედავითნემ ისინი ხალამბარში გაატარა. სიბნელეში საეკლესიო შესამოსელი ბრჭყვიალებდა. მერე რომელიღაც კარით ერთ ტალანში მოხვდნენ, რომელმაც ბაღამდე მიიყვანა ისინი.

— ტაძრის კანონიკოსთა საფლავებზე კი არ მოკალათდეთ, — ბუზღუნებდა ბომერი, — იქითა მხარეს დარჩით, გალერეის გვერდით. ერთად არ შეიძლება დაიძინოთ. მხოლოდ ერთიმეორის გვერდით, ცალ-ცალკე უნდა გაიშალოთ ლოგინი. და ტანისამოსის გახდაც აკრძალულია.

— ფეხსაცმლისაც?

— არა, ფეხსაცმლისა შეიძლება.

ქალ-ვაჟი ნაჩვენები ადგილისკენ გაემართა. გალერეაში სხვადასხვა ხმაზე ხვრინავდნენ მძინარენი. გრებერმა მოლზე გაშალა საწვიმარ-მოსასხამი და საბნები. მან ელიზაბეტს შეხედა. იგი იცინოდა.

— რა გაცინებს? — შეეკითხა გრებერი.

— მედავითნესა და შენზე მეცინება.

— ჰო, კარგი, — გრებერმა ჩემოდნები კედელთან მიდგა და ზურგჩანთით სასთუმლის მსგავსი რამ გააკეთა. ანაზდეულად რიტმული ხვრინვა ქალის კივილმა დაარღვია: „არა! არა! ოჰ, ოჰ...“ — რომელიც ლულლულში გადაიზარდა.

— წყნარად! — დასჭექა ვიღაცამ. ქალმა ისევ წამოიკივლა, — წყნარად.

— დალახვროს ეშმაკმა! — დაიყვირა ახლა მეორე ხმამ კიდევ უფრო ძლიერად. ქალმა ერთბაშად შეწყვიტა კივილი, თითქოს გაიგუდაო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— აი, ესა ვართ ბატონთა ერი! — თქვა გრეგერმა, — თვით ძილშიც ვემორჩილებით ყოველგვარ ბრძანებას.

დაწვნენ. თითქმის მარტონი იყვნენ კედელთან. მხოლოდ ორივე კუთხეში ჩანდა შავად შეშალლებული ადგილები, რაც იმაზე მეტყველებდა, რომ იქაც ეძინა ხალხს. მთვარე დანგრეულ სამრეკლოს მილმა იდგა. მისი შუქის ზოლი ტაძრის წინამძღვართა ძველ საფლავებს ეფინებოდა. ზოგიერთი მათგანი ძირს ჩაწეულიყო, მაგრამ ყუმბარებს კი არ მოემოქმედათ ეს, არამედ კუბოები დაშპალიყვნენ და ჩაწოლილიყვნენ. ბალის შუაგულში ველურ ვარდთა ბუჩქებს შორის ვეება ჯვარი იყო ალმართული. ირგვლივ, ბილიკის გასწვრივ ქვის ქანდაკებები იდგა, რომლებიც გოლგოთაზე წარყვანებას გამოსახავდნენ. ელიზაბეტი და გრეგერი „ქრისტეს წამებისა“ და „ეკლიანი გვირგვინის დადგმის“ ქანდაკებებს შორის იწვნენ. უკან კი გალერეის სვეტები და თაღები გამოკრთოდნენ, რომელიც ბალის მხრიდან ლია იყო.

— მოდი ჩემთან, — უთხრა გრეგერმა ელიზაბეტს, — ეშმაკსაც წაულია მაგ ასკეტი მედავითნის მითითებანი.

XXIII

დანგრეული სამრეკლოს ირგვლივ მერცხლები დაფრინავდნენ. მზის პირველი სხივები ბრჭყვიალებდნენ სახურავზე აგლეჯილ ფირფიტათა ნაწიბურებზე. გრეგერმა სპირტქურა ამოიღო. არ იცოდა, ნებადართული იყო თუ არა აქ მისი ანთება; ამიტომ სურდა იმ ძველ ჯარისკაცურ წესისამებრ მოქცეულიყო, რომელიც ამბობს: დაეშურე, ვიდრე ვინმე აგიკრძალავდესო. ხელი დაავლო კარდალას და წყლის ონკანს დაუწყო ძებნა, რომელიც იპოვა კიდეც ჯვარცმის ამსახველ ქანდაკებათა ჯგუფს უკან. იქ ვიღაც კაცს მხოლოდ ცალი ფეხი ჰქონდა, პროთეზი მოეხსნა და გვერდით მოედო. დილის მზის სხივებში მისი მონიკელებული ნაწილები ისე ბზინავდა, როგორც რაიმე მანქანა. გრეგერმა ღია კოლონადის მილმა, გალერეაში შეიხედა. მედავითნე მართალი გამოდგა: მამაკაცები და ქალები ცალ-ცალკე იწვნენ. სამხრეთის მხარეს მხოლოდ ქალებს ეძინათ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

როცა უკან დაბრუნდა. ელიზაბეტი გალვიძებული დახვდა. ქალი კარგად გამოძინებული და გახალისებული ჩანდა; იმ მიმქრალ სახეებივით არ გამოიყურებოდა, რომლებიც გრებერმა გალერეაში დაინახა.

— მე ვიცი, სადაც შეგიძლია დაიბანო, — უთხრა ვაუმა, — წადი, ვიდრე ყველა მიაწყდებოდეს. წმინდა დაწესებულებებს მუდამ ნაკლოვანი სანიტარიული მოწყობილობანი აქვთ. წამო, ტაძრის კანონიკოსთა სააბაზანოს გიჩვენებ.

ქალმა გაიცინა.

— სჯობია, აქ დარჩე და ყავას უყარაულო, თორემ ვინმე წააცუხცუხებს. სააბაზანოს მე თვითონ მივაგნებ როგორმე. აბა, მიმასწავლე.

ვაუმა გზა აუწერა და ქალიც ბაღს შეერია. მას ისე მშვიდად სძინებოდა, რომ კაბა თითქმის არ ჰქონდა დაჭმუჭნილი. გრებერმა თვალი გააყოლა. და ანაზდეულად მისდამი უსაზღვრო სიყვარულით აღევსო გული.

— მაშ ასე, თქვენ უფლის ბაღში საჭმელს ამზადებთ! — ვითომდა სათნო მედავითნე ნაბდის ჩუსტებით შეუმჩნევლად მოპარულიყო, — და თანაც იმ ქანდაკების ქვეშ, რომელიც ასახავს, თუ როგორ დაადგეს უფალს წამებულის ეკლიანი გვირგვინი!

— სანეტარო გვირგვინი სადღაა? მე შემიძლია იქ გადავიდე.

— აქ ყველგან წმინდა მიწაა. ვერ ხედავთ, რომ იქ ტაძრის კანონიკოსები მარხია?

— მე უკვე არაერთხელ ვმჯდარვარ საფლავებს შორის და საჭმელი მიმზადებია, — უთხრა გრებერმა წყნარად, — მაგრამ მითხარით ერთი, მაშ სხვაგან სად წავიდეთ? არის აქ სადმე სასადილო ან საველე საშზარეულო?

— სასადილო? — მედავითნემ ისე დაღეჭა ეს სიტყვა, როგორც დამპალი ნაყოფი, — აქა?

— რა, არ იქნებოდა ურიგო იდეა!

— შეიძლება, ისეთი წარმართისთვის, როგორიც თქვენა ხართ. მაგრამ, საბედნიეროდ, მოიპოვებიან ადამიანები, რომლებიც სხვაგვარად ფიქრობენ. სასაუზმე ქრისტეს მიწაზე! რა მკრეხელობაა!

— რის მკრეხელობა, რა მკრეხელობა. ქრისტემ ორიოდე პურითა და თევზით რამდენიმე ათასი ადამიანი განაძღო, ეს თქვენ კარგად

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უნდა მოგეხსენებოდეთ. მაგრამ ისე ნამდვილად თქვენებრ გაბლენძილი ყვავი არ იყო! ჰოდა, აბა ახლა მოუსვით აქედან! ახლა ომია, ან იქნებ ეს ახალი ამბავია თქვენთვის?

— მე მოვახსენებ ჰერ პასტორ ბიდენდიკს, რა მკრეხელურ სიტყვებსაც ამბობთ!

— აბა, თქვენ იცით! ის გარეთ გამოგაგდებთ, თქვე გაქნილო გაიძვერავ, თქვენა!

გაბლენძილი და ბრაზისგან გაფხორილი მედავითნე წავიდა თავისი ნაბდის ჩუსტებით. გრეტერმა ყავის პაკეტი გახსნა, რომელიც ბინდინგის მემკვიდრეობას ეკუთვნოდა, და დაყნოსა. ნამდვილი ყავა იყო! იგი ადუღებულ წყალში ჩაყარა. ყავის სუნი დატრიალდა და მაშინვე გამოიღო შედეგი. ტაძრის კანონიკოსთა საფლავის უკან ვიღაც კაცმა წამოყო გაჩეჩილთმიანი თავი და ჰაერი დაყნოსა. შემდეგ ცხვირი დააცემინა, წამოდგა და გრეტერთან მოვიდა.

— ერთი ფინჯანი არ მერგება?

— დაიკარგე აქედან, — უთხრა გრეტერმა, — ეს ღვთის სახლია, აქ მოწყალებას კი არ იძლევიან, არამედ იღებენ მხოლოდ.

ელიზაბეტი დაბრუნდა. მსუბუქად მოდიოდა, ისე რონინებდა, თითქოს სეირნობსო.

— საიდან გაქვს ყავა? — შეეკითხა იგი.

— ბინდინგისგან წამოვიღე. სწრაფად უნდა დავლიოთ, თორემ მთელი გალერეა თავს დაგვესხმება.

მზე ადგილს ინაცვლებდა ქრისტეს ვნებათა გამოსახულებებზე. წამების ძეგლის წინ იების ბუჩქი ყვაოდა. გრეტერმა ზურგჩანთიდან პური და კარაქი ამოიღო. მან ჯიბის დანით დაჭრა პური და ზედ კარაქი წაუსვა.

— ნამდვილი კარაქია, — თქვა ელიზაბეტმა, — ესეც ბინდინგისაა?

— ჰო, ყველაფერი იქიდან წამოვიღე. საოცარია, მისგან სიკეთის მეტი არაფერი მახსოვს და მე კი მაინც ვერ ვიტანდი.

— შეიძლება სწორედ მაგიტომაც გიკეთებდა სიკეთეს. ამბობენ, რომ ასეც ხდება ხოლმე.

ელიზაბეტი გრეტერის გვერდით იჯდა ზურგჩანთაზე.

— როცა შვიდი წლის ვიყავი, ვნატრობდი, ისე მეცხოვრა, როგორც აქ ვცხოვრობთ ამჟამად.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მე კი ხაბაზი მინდოდა გამოსულიყავი.

ქალს გაეცინა.

— საშაგიეროდ, მომმარაგებელი გახდი და თანაც საუკეთესო. რომელი საათია?

— ახლაც შეკვრავ ბარგს და ფაბრიკამდე გაგაცილებ.

— არა. მოდი, აქ ვისხდეთ მზეზე, ვიდრე ეს შესაძლებელია. ბარგის შეკვრა და წალება ერთობ ბევრ დროს წაგვართმევს. თანაც ჩაბარების დროს დიდხანს მოგვიწევს ცდა. გალერეა უკვე გაჭედილია ხალხით. შენ მერე გააკეთე ეს, როცა მე წავალ.

— კარგი. როგორ გგონია, აქ მოწყება შეიძლება?

— არა, მაგრამ შენ ხომ აინუნშიც არ აგდებ ამას.

— რასაკვირველია, მოდი, რაც მოგვინდება, ყველაფერი ვაკეთოთ, ვიდრე აქედან არ გაგვყრიან, რაზეც დიდხანს ლოდინი არ დაგვჭირდება. მე მინდა დღეს ისეთი ადგილი მოვძებნო, სადაც ჩაცმულებს არ მოგვიხდება ძილი. პასტორ ბიდენდიკთან არავითარ შეთხვევაში არ წავალთ, ასე არ არის?

— რა თქმა უნდა, არა! სჯობია, ისევ პოლმანთან წავიდეთ. მზე კიდევ უფრო ამოიწვერა, პორტიკი[1] გაანათა და სვეტების ჩრდილები კედლებზე გაწვნენ. ხალხი იქ ისე მიმოდიოდა, როგორც შუქ-ჩრდილის მოაჯირით შემოზღუდულ საპატიმროში. ბავშვები ტიროდნენ. ცალფეხამ ხელოვნური ფეხი მიიბა და შარვლის ტოტი ჩამოიწია. გრეგერმა პური, კარაქი და ყავა გადამალა.

— რვას ათი წუთი აკლია, — უთხრა მან ქალს, — შენი წასვლის დროა. მე შემოგივლი ფაბრიკაში წამოსაყვანად, ელიზაბეტ. თუ რამე მოხდება, ჩვენ შეხვედრის ორი ადგილი გვაქვს: პირველ რიგში — ფრაუ ვიტეს ბაღი, ხოლო თუ იქ არა, მაშინ აქ.

— ჰო, — ელიზაბეტი წამოდგა, — დღეს უკანასკნელად გტოვებ მთელი დღით.

— საშაგიეროდ, დღეს საღამოთი დიდხანს ვიყოთ ზეზე. სულ დიდხანს და დიდხანს, რათა დაკარგული დღე ავინაზღაუროთ.

ქალმა აკოცა და სწრაფად წავიდა. გრეგერმა ვიღაცის სიცილი გაიგონა. განაწყენებული მიბრუნდა და სვეტებს შორის მდგარი ყმაწვილი ქალი დაინახა. მას მოაჯირზე ბიჭუნა დაეყენებინა, რომელიც

[1] *პორტიკი — სვეტებისგან წარმოქმნილი დახურული გალერეა, რომელიც ხშირად შენობის შესასვლელს არის მიშენებული.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თმაში სწვდომოდა ხელებით, და ორივენი ერთად იცინოდნენ. გრეგერი და ელიზაბეტი არც კი შეემჩნია. გრეგერმა ბარგი შეკრა. მერე კარდალისთვის წყლის გამოსავლებად წავიდა. ცალფეხა აედევნა. მისი ხის ფეხი მიწაზე ბრაგუნობდა და ჭრიალებდა.

— ეი, ძმობილო!

გრეგერი გაჩერდა.

— თქვენ ის არა ხართ, ყავა რომ გქონდათ? — შეეკითხა ამპუტირებული.

— დიახ, ჩვენ უკვე დავლიეთ.

— ცხადია, დალევდით, — ამ კაცს ძალიან დიდრონი ცისფერი თვალები ჰქონდა, — მე ყავის ნახარშზე მოგახსენებთ. თუ თქვენ მის გადაქცევას აპირებთ, მაშინ სჯობს მე მომცეთ. ერთხელ კიდევ გამოსცემს.

— დიდი სიამოვნებით.

გრეგერმა ყავის ნალექი გამოუფხიკა. მერე ბარგს დაავლო ხელი და იმ ადგილას წაიღო, სადაც მათ შესანახად ალაგებდნენ. ჰირმოთნე მედავითნის ჩხუბს მოელოდა, მაგრამ მის ნაცვლად ახლა მეორე დახვდა, წითელცხვირა. მას ზედაშის სუნი ასდიოდა და არაფერი უთქვამს.

*

მეკარე თავისი ბინის ფანჯარასთან იჯდა ზედასართულებგადამწვარ სახლში. მან ხელი დაუქნია, როდესაც გრეგერი დაინახა. გრეგერი მასთან შევიდა.

— რა, წერილი ხომ არ მოსულა ჩვენს სახელზე?

— დიახ, მოვიდა. თქვენი მეუღლის სახელზე. კონვერტზე ჯერ კიდევ ფროილაინ კრუზე დაუწერიათ. მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს, ასე არ არის?

— დიახ.

გრეგერმა წერილი გამოართვა. შენიშნა, რომ მეკარე რაღაც უცნაურად უყურებდა. წერილს დახედა და გაშრა. გესტაპოდან იყო. კონვერტი გადმოაბრუნა, თავი ისე ჰქონდა დაწებებული, თითქოს ვილაცას გაეხსნა უკვე.

— როდის მოვიდა? — შეეკითხა მეკარეს.

— გუშინ საღამოს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გრეგერი კონვერტს დასცქეროდა. დარწმუნებული იყო, რომ მეკარეს წერილი წაკითხული ჰქონდა. ამის გამო კონვერტი გახსნა და ბარათი ამოიღო. ეს უწყება იყო. ელიზაბეტს დილის თერთმეტ საათსა და ოცდაათ წუთზე იბარებდნენ. საათზე დაიხედა. ათს რაღაც წუთები აკლდა.

— ძალიან კარგი, — წარმოთქვა მან, — როგორც იქნა! რამდენი ხანია ველოდი!

წერილი ჯიბეში ჩაიდო.

— სხვა არაფერი მოსულა?

— განა ეგ არ კმარა? — შეკითხა მეკარე და ცნობისმოყვარე შხეირა შეაჯვლო.

გრეგერმა გაიცინა.

— ბატონ ხომ არ იცით, ჩვენ რომ გამოგვადგებოდეს?

— არა. თქვენ განა კიდევ გჭირდებათ?

— მე არა, მაგრამ ჩემს ცოლს კი.

— ჰოო? — უნდობლად წარმოთქვა მეკარემ.

— დიახ, კარგ საფასურს გავიღებდი.

— ჰოო? — წარმოთქვა მეკარემ ერთხელ კიდევ

გრეგერი გაბიბრუნდა. გრძნობდა, როგორ უყურებდა მეკარე ფანჯრიდან. გაჩერდა და თავი ისე დაიჭირა, ვითომ სახურავთა ჩონჩხებს ათვალიერებდა ინტერესით. მერე აუჩქარებლად განაგრძო გზა.

ჰარველსაკენ შესახვევში ისევ ამოიღო წერილი. უწყება სტამბაში იყო დაბეჭდილი და მის მიხედვით ძნელი იყო რამის გარკვევა. თვით ხელნაწერიც კი ნაბეჭდი იყო. მხოლოდ ელიზაბეტის გვარი და თარიღი ჩაწერათ საწერი მანქანით, რომლის A ასო სტრიქონიდან ოდნავ ზევით ეკვეთოდა.

გრეგერი ქალალდს მისჩერებოდა. ეს იყო ნაცრისფერი, იაფფასიანი, ხისგან დაშზადებული ქალალდის ოთხკუთხედი ფარატინა, ზომით თაბახის მერვედი ნაწილი, მაგრამ ანაზდეულად მან მთელი საძყარი დაფარა: შეუცნობელი მუქარა მოდიოდა მისგან. იგი სიკვდილის სუნით ხრჩილავდა.

*

გრეგერი წმინდა კათარინას ეკლესიის წინ იდგა. თვითონაც არ იცოდა, როგორ მოხვდა აქ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ერნსტ, — წასჩურჩულა უკნიდან ვილაცამ.

გრებერი შეკრთა და მიტრიალდა. ეს იოზეფი იყო. ტანთ სამხედრო ყაიდაზე შეკერილი ფარაჯა ეცვა. ზედაც არ შეუხედავს გრებერისთვის, ისე შევიდა ეკლესიაში. გრებერმა მიიხედ-მოიხედა და წუთის შემდეგ ისიც უკან შეჰყვა. იოზეფი ცარიელ მერხზე დამჯდარიყო ხალამბრის მახლობლად. ფრთხილად იყავიო, ანიშნა გრებერს. ეს უკანასკნელიც საკურთხევლამდე მივიდა, მიიხედ-მოიხედა, უკან დაბრუნდა და იოზეფის გვერდით ჩაიჩოქა.

— პოლმანი დაიჭირეს, — წასჩურჩულა იოზეფმა.

— რაო?

— პოლმანი დაიჭირეს-მეთქი. გესტაპოელებმა წაიყვანეს დღეს დილით.

გრებერს ერთბაშად ვერ გადაეწყვიტა, ჰქონდა თუ არა პოლმანის დაპატიმრებას რაიმე კავშირი ელიზაბეტის გამოძახებასთან.

— მაშ, პოლმანიც, — წარმოთქვა ბოლოს.

იოზეფმა სწრაფად შეხედა:

— სხვა კიდევ ვინა?

— ჩემს ცოლს უწყება მოუვიდა გესტაპოდან.

— როდის უნდა გამოცხადდეს?

— დღეს, თერთმეტ საათსა და ოცდაათ წუთზე.

— უწყება თან გაქვთ?

— დიახ, აი...

გრებერმა იგი იოზეფს გაუწოდა.

— როგორ დაემართა ეს პოლმანს? — შეეკითხა შემდეგ.

— არ ვიცი. მე იქ არ ვიყავი. როცა დავბრუნდი, ქვაზე, რომელიც ისე აღარ იდო, როგორც ყოველთვის, მივხვდი, რაც მომხდარიყო. პოლმანს ის განზე გაეწია, როცა მიჰყავდათ. ეს ჩვენი ერთ-ერთი ნიშანი იყო. ერთი საათის შემდეგ დავინახე, როგორ ალაგებდნენ მის წიგნებს მანქანაზე.

— მერედა ჰქონდა ისეთი რამ, რაც დანაშაულად ჩაეთვლებოდა?

— არა მგონია. ყველაფერი, რაც ამ თვალსაზრისით საშიში შეიძლებოდა ყოფილიყო, სხვაგან არის ჩაფლული. თვით კონსერვებიც კი.

გრებერმა ქაღალდის ფურცელს დახედა, რომელიც იოზეფს ხელში ეჭირა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მე კი სწორედ მასთან ვაპირებდი მისვლას, — თქვა მან, — მინდოდა მეკითხა, როგორ მოექცეულიყავი.

— ამიტომაც მოვედი აქ. ახლა მის ბინაში ნაღდად გესტაპოს რომელიმე თანამშრომელი იცდის, — იოზეფმა გრებერს უწყება უკან დაუბრუნა, — რას აპირებთ?

— არ ვიცი. ეს-ეს არის გადმომცეს უწყება. თქვენ როგორ მოიქცეოდით ჩემს ადგილზე?

— გავიქცეოდი, — მიუგო იოზეფმა უყოყმანოდ.

გრებერი ბნელში იყურებოდა, სადაც საკურთხეველი ბრჭყვიალებდა.

— მე ჯერ მარტო მოვალ და ვიკითხავ, რა უნდათ, — თქვა მან.

— ისინი თქვენ არაფერს გეტყვიან, რახან თქვენი ცოლი უნდათ.

გრებერს ზურგზე ჭიანჭველებმა დაურბინეს, მაგრამ იოზეფი მხოლოდ საქმიანად ლაპარაკობდა და მეტი არაფერი.

— თუ მათ ჩემი ცოლი სჭირდებოდათ, მაშინ მასაც პოლმანივით დააპატიმრებდნენ. აქ რაღაც სხვა რამე უნდა იყოს. ამიტომაც მინდა წავიდე. იქნებ მნიშვნელოვანი არაფერია, — თქვა ჭოჭმანით გრებერმა, — მაშინ გაქცევა შეცდომა იქნებოდა.

— თქვენი ცოლი ებრაელია?

— არა!

— მაშინ სხვა საქმეა. ებრაელებმა ყოველთვის გაქცევით უნდა უშველონ თავს. არ შეიძლება უთხრათ, თითქოს ცოლი სადმე გაემგზავრა?

— არა. იგი ფაბრიკაში მუშაობს. ამას მაშინვე დაადგენენ.

იოზეფი ჩაფიქრდა.

— იქნებ არც უპირებენ დაჭერას. თქვენ მართალი ხართ, ეს მათ დაუყოვნებლივ შეეძლოთ გაეკეთებინათ. ეჭვი არა გაქვთ, რაზე შეიძლებოდა დაებარებინათ?

— მამა საკონცენტრაციო ბანაკში ჰყავს. შეიძლება რომელიმე მეზობელმა დააბეზღა. ან არადა შეიძლება ყურადღება იმიტომ მიაქციეს, რომ ჩვენ დავქორწინდით.

იოზეფი ისევ ჩაფიქრდა.

— ყველაფერი მოსპეთ, რაც დაკავშირებულია მამამისის სახელთან, წერილები, დღიურები და სხვა ამგვარი რამ. ჰოდა, მერე წადით და გამოცხადდით. მარტო თქვენ. ასეც აპირებდით, არა?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— კი. მე ვიტყვი, რომ წერილი მხოლოდ დღეს მოვიდა და რომ ჩემი ცოლი ფაბრიკაშია და ვერ მოვასწრებდი მის ნახვას.

— ყველაფერს ასე აჯობებს. ეცადეთ, გამოარკვიოთ, რაშია საქმე. თქვენ ვერაფერს გიზამენ. თქვენ ხომ ფრონტზე უნდა დაბრუნდეთ. ამაში ისინი ხელს არ შეგიშლიან. ხოლო თუ თქვენი ცოლისთვის დასამალი ადგილი დაგჭირდათ, მე შემიძლია ერთი მისამართი მოგცეთ. მაგრამ ჯერ წადით. მე ნასადილევამდე ვიქნები აქ, — იოზეფი წამით შეყოყმანდა, — პასტორ ბიდენდიკის საალსარებოში. აგერ, სადაც დაფაა გამოკიდული წარწერით: „აქ არ ვიმყოფები“. იქ შემიძლია ორიოდე საათი წავიძინო.

*

გრებერი წამოდგა. ეკლესიის გრილი ბინდბუნდის შემდგომ კარში ისე ეკვეთა თვალისმომჭრელი დღის შუქი, თითქოს ისიც გესტაპოს მსახური იყო და მის გულში ჩახედვა ეწადა. მშვიდად მიდიოდა ქუჩაში. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მინის ხუფის ქვეშ დადიოდა. ანაზდეულად ყოველივე მიუწვდომელი და უცხო შეიქნა მისთვის. ქალი, რომელსაც ბავშვი ჰყავდა ხელში ატატებული, ერთბაშად პირადი უშიშროების განსახიერებად წარმოუდგა და გულის მომწყველელი შური აღუძრა. კაცი, რომელიც მერხზე იჯდა და გაზეთს კითხულობდა, უზრუნველობის მიუწვდომელ ხატებად ეჩვენა. ხოლო რამდენიმე გამვლელი, რომელნიც სიცილით ესაუბრებოდნენ ერთმანეთს, მასზე რალაც სხვა, აწ უკვე დალუპული სამყაროს არსებათა დარად მოქმედებდნენ. მხოლოდ მას ადგა ზრუნვის მრუმე ჩრდილი და ისე მიჯნავდა ყველაფრისგან, თითქოს კეთროვანი ყოფილიყოს.

გესტაპოს შენობაში შევიდა და უწყება წარადგინა. ესესელმა გვერდითი ფლიგელისკენ მიუთითა. დერეფნებში საქმიანი ქალალდების, გაუნიავებელი ოთახებისა და ყაზარმის სუნი იდგა. მას ცდა მოუხდა ოთახში, რომელშიც უკვე სამი კაცი იყო. ერთ-ერთი მათგანი ეზოში გამავალ ფანჯარასთან იდგა. ხელები უკან ეწყო და მარცხენა ხელის ზურგზე მარჯვენის თითებს ისე ათამაშებდა, როგორც კლავიატურაზე. ორი დანარჩენი სკამებზე დაყუნცულიყო და გაშტერებულნი იცქირებოდნენ სივრცეში; ერთი მელოტი იყო და კურდღლის ტუჩი ჰქონდა, რომელსაც განუწყვეტლივ ხელით იფარავდა. მეორეს კი ჰიტლერისებური ულვაში და ფორებიანი ფერმკრთალი

სახე ჰქონდა. სამოვემ სწრაფად შეავლო თვალი გრებერს, როცა იგი შეავიდა, და იმწამსვე განზე გაიხედა.

ვიღაც სათვალიანი ესესელი შემოვიდა, ყველანი მაშინვე ზეზე წამოდგნენ. გრებერი ყველაზე ახლო იყო კართან.

— თქვენ რალა გინდათ აქ? — შეეკითხა ესესელი ოდნავ გაკვირვებით. ჯარისკაცები, ჩვეულებრივ, სამხედრო სასამართლოს ექვემდებარებოდნენ.

გრებერმა უწყება აჩვენა. ესესელმა წაიკითხა იგი.

— კი, მაგრამ ეს ხომ თქვენ არ ხართ. უწყება ვინმე ფროილაინ კრუზეს სახელზეა...

— ფროილაინ კრუზე ჩემი ცოლია. ჩვენ სულ რამდენიმე დღეა, რაც დავქორწინდით. ჩემი მეუღლე სახელმწიფო საწარმოში მუშაობს და ვიფიქრე, მე წავალ-მეთქი მის მაგივრად.

გრებერმა ქორწინების მოწმობა ამოიღო; წინდახედულობა გამოეჩინა და ეს საბუთი თან წამოეღო. ესესელს ვერ გადაეწყვიტა, რა ეთქვა და ყურს იჩიჩქნიდა.

— აგრე იყოს, ჩემი მხრივ საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ოთახი №72, სარდაფის სართული.

მან ქაღალდები უკან დაუბრუნა გრებერს. „სარდაფის სართული, — გაიფიქრა გრებერმა, — როგორც ამბობენ, გესტაპოს შენობაში ყველაზე საშინელია“.

კიბეზე დაეშვა. ვიღაც ორმა მამაკაცმა, რომლებიც ზევით ადიოდნენ, შურით შეხედეს. მათ ეგონათ, რომ იგი უკვე გამოეშვათ და გარეთ გადიოდა, მაშინ როცა თვითონ ყველაფერი ჯერ კიდევ წინ ჰქონდათ.

ოთახი №72 დიდი სადგომი გამოდგა, რომელშიც სტელაჟები იყო, ხოლო მისი ერთი ნაწილი კანცელარიად გადაეღობათ. უსაქმურობით მოწყენილმა მოხელემ გრებერს უწყება გამოართვა. გრებერმა აუხსნა, თუ რატომ სწორედ თვითონ გამოცხადდა და საბუთებიც უჩვენა.

მოხელემ თავი დაუქნია.

— შეგიძლიათ თქვენი ცოლის მაგივრად მოაწეროთ ხელი?

— დიახ...

მოხელემ მაგიდის მიღმიდან გრებერისკენ ორი ფურცელი გამოაცურა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— აი, აქ მოაწერეთ ხელი. ხოლო ქვეშ მოაწერეთ: ელიზაბეტ კრუზეს მეუღლე, აღნიშნეთ აგრეთვე თარიღი და ქორწინებათა ბიურო, სადაც თქვენა ხართ რეგისტრირებულნი. მეორე ფორმულარი შეგიძლიათ, თან წაიღოთ.

გრებერმა ნელა მოაწერა ხელი. არ უნდოდა ეჩვენებინა, რომ ფურცელზე დაბეჭდილს კითხულობდა, მაგრამ არც ბრმად სურდა ხელი მოეწერა. მოხელე ამასობაში რაღაცას ეძებდა ერთ-ერთ თაროზე.

— დალახვროს ეშმაკმა, ნეტა რა იქნა ფერფლი? — დაიყვირა მან ბოლოს, — ჰოლტმან, თქვენ ისევ აგირევიათ აქ ყველაფერი. მოიტანეთ კრუზეს პაკეტი.

ტიხარს უკან ვიღაცამ ჩაიდუდუნა. გრებერმა დაინახა, რომ ხელს აწერდა დოკუმენტს — პატიმარ ბერნჰარდ კრუზეს ფერფლი ჩაიბარეო. ამას გარდა, მან მეორე დოკუმენტშიც ჩაიხედა, რომელიც იუწყებოდა, რომ ბერნჰარდ კრუზე გულის სისუსტით გარდაიცვალაო.

მოხელე, რომელიც ტიხარს უკან გაიდა, ახლა უკან დაბრუნდა და თან სიგარის ყუთი გამოიტანა, რომელიც ყაისფერი გასახვევი ქაღალდის პატარა ნაგლეჯში იყო ნახევრად გახვეული და ზონრით შეკრული. ყუთის გვერდებზე ჯერაც ეწერა Claro[1] და ჭრელი იარლიყის ნაწილიც ჩანდა. ზედ წითელ და ოქროს ფერებში გერბი იყო გამოსახული, რომელიც ჩიბუხის მწეველ ინდიელს ეჭირა.

— აი, ფერფლი, — უთხრა მოხელემ და გრებერს ნამძინარევივით შეხედა, — თქვენ, როგორც ჯარისკაცს, მგონი, არც არის საჭირო გაგაფრთხილოთ, რომ ასეთ შემთხვევაში მკაცრი დუმილი მოგეთხოვებათ. არაკითარი შეტყობინებანი გარდაცვალების შესახებ — არც გაზეთის მეშვეობით და არც წერილების დაგზავნით. არაკითარი საზეიმო-სამგლოვიარო ღონისძიებანი. ხალხი არ უნდა შეძრათ. გასაგებია?

— დიახ!

გრებერმა სიგარის ყუთი აიღო და წამოვიდა.

*

მაშინვე გადაწყვიტა, ელიზაბეტისთვის არაფერი ეთქვა. უნდა ყველაფერი გაეკეთებინა იმისთვის, რომ მას რაც შეიძლება გვიან შეეტყო. გესტაპო, ცხადია, განმეორებით არ აცნობებდა. ამჟამად

[1] *Claro (გერმ.) — ფერფლი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ისიც კმაროდა, რომ გრუბერს მარტო უნდა დაეტოვებინა ელიზაბეტი და გაუმართლებელი ულმობლობა იქნებოდა.

იგი აუჩქარებლივ ბრუნდებოდა წმინდა კათარინას ეკლესიაში. ქუჩები ანაზდეულად ისევ გამოცოცხლდნენ. საშიშროებამ განელო. იგი სიკვდილში გადაიზარდა, მაგრამ ეს უცხოს სიკვდილი იყო და უცხოთა სიკვდილს კი იგი შეეჩვია. ელიზაბეტის მამა მხოლოდ ბავშვობაში ჰყავდა ნანახი.

სიგარის ყუთი იღლიის ქვეშ ამოეჩარა. შეიძლება შიგ კრუზეს ფერფლი არც კი იყო. ჰოლმანს სულ ადვილად შეიძლებოდა შეშლოდა. და თანაც ძალიან საეჭვო იყო, რომ საკონცენტრაციო ბანაკში ამგვარ რამეებზე მაინცდამაინც თავი ძალიან შეეწუხებინათ. მასობრივი კრემაციის დროს კი ეს საერთოდ შეუძლებელიც იყო. ალბათ რომელიმე ცეცხლფარეშმა ორიოდე მუჭა ფერფლი მოხვეტა, ყუთში ჩადო და ეს იყო და ეს. გრუბერს ვერ გაეგო, საერთოდ რისთვის კეთდებოდა ასეთი რამ. ეს იყო არაადამიანობისა და ბიუროკრატიზმის ნარევი, რომელიც ამ არაადამიანობას კიდევ უფრო არაადამიანურს ხდიდა.

იგი ფიქრობდა, რა ექნა ფერფლისთვის, სადმე ნანგრევებში ჩაეფლა, — საამისოდ სად გინდა, რომ ადგილი არ ყოფილიყო, — თუ ცდილიყო რომელიმე სასაფლაოზე დაემარხა? მაგრამ მაშინ ნებართვა და საფლავისთვის ადგილი გახდებოდა საჭირო და ელიზაბეტი შეიტყობდა ყველაფერს.

ეკლესიაში შევიდა და საკურთხევლისკენ გაიარა. პასტორ ბიდენდიკის საალსარებოსთან გაჩერდა. ზედ გამოკიდული იყო დაფა წარწერით: „აქ არ ვიმყოფები“. მწვანე კრეტსაბმელი განზე გასწია. იოზეფმა შეხედა. მას ელვიძა და ისე იჯდა, რომ შეეძლო წიხლი ჩაერტყა გრუბერისთვის მუცელში და დაუყოვნებლივ გაქცეულიყო. გრუბერმა გზა განაგრძო და ხალამბრის მახლობლად მერხზე ჩამოჯდა, ცოტა ხნის შემდეგ იოზეფიც მოვიდა. გრუბერმა სიგარის ყუთი უჩვენა.

— აი, რისთვის იბარებდნენ. მამამისის ფერფლია.

— მეტი არაფრისთვის?

— განა ეს არ კმარა? კიდევ რამე ხომ არ შეგიტყვიათ ჰოლმანის შესახებ?

— არა.

ორივემ პაკეტს დახედა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ეს სიგარების ყუთია, — თქვა იოზეფმა, — მეტწილად კი ისინი მუყაოს ან თუნუქის ძველ ყუთებს ანდა ქაღალდის პარკებს იყენებენ. სიგარის ყუთი უკვე თითქმის ნამდვილი კუბოა. სად აპირებთ მის დატოვებას? აქ, ეკლესიაში?

გრუბერმა თავი გააქნია. ერთბაშად თავში აზრმა გაუელვა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო.

— აქ კი არა, ეკლესიის ბაღში, — უთხრა მან, — კაცმა რომ თქვას, ისიც ხომ თავისებური სასაფლაოა.

იოზეფმა თავი დაუქნია.

— შემიძლია კიდევ რამე გავაკეთო თქვენთვის? — შეეკითხა გრუბერი.

— გვერდით კარიდან გადით და დაათვალიერეთ, საეჭვო რამ ხომ არ ხდება ქუჩაში, მე უნდა წავიდე; პირველი საათიდან ანტისემიტი მედავითნე იწყებს მორიგეობას. თუ ხუთ წუთში უკან არ დაბრუნდით, მაშინ ჩავთვლი, რომ ქუჩაში საფრთხე არ მემუქრება.

— კარგი...

*

გრუბერი ეზეში იდგა. ცოტა ხნის შემდეგ კარიდან იოზეფი გამოვიდა, სულ ახლოს ჩაუარა გრუბერს და კარგად იყავიო, — წაიდუდუნა.

— კარგად იყავი, — მიადევნა გრუბერმაც.

გრუბერი უკან დაბრუნდა. ეკლესიის ბაღი ცარიელი იყო, როგორც ყოველთვის ამ დროს. პაწია თუთრი ყვავილებით დაფარულ ბუჩქს ორი ყვითელი პეპელა დასთამაშებდა, რომელთაც ფრთები წითლად ჰქონდათ დაწინწკლული. ბუჩქი ტაძრის კანონიკოს ალოიზიუს ბლიუმერის საფლავის გვერდით იდგა. გრუბერი ახლოს მივიდა და სამარე დაათვალიერა. სამი საფლავი ჩაწოლილიყო, ხოლო ბლიუმერისეული იმდენადაც კი, რომ ბალახის საბურველქვეშ ხვრელს დაელო პირი. სწორედ შესაფერისი ადგილი იყო.

მან ქაღალდის ნაგლეჯზე დაწერა, რომ ეს იყო ფერფლი ვინმე კათოლიკე პატიმრისა საკონცენტრაციო ბანაკიდან, — ეს იმ შემთხვევისთვის მოიმოქმედა, თუ სიგარის ყუთს აღმოაჩენდნენ, — და ბარათი ყავისფერი ქაღალდის ქვეშ შეტენა. შემდეგ ხიშტით ჩამოჭრა ბალახით დაფარული ბელტი და ფრთხილად გააფართოვა მის ქვეშ არსებული ნაპრალი, ვიდრე შიგ ყუთი შეეტეოდა, რაც სულ იოლად

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოხერხდა. აბილებული მიწა ისევ უკან ჩატვინა ხვრელში და მერე ზედიდან ბალახით დაფარული ბელტი დაადგა. ახლა და ამგვარად, ბერნჰარდ კრუხეს, თუ ეს მართლაც ის იყო, ნაკურთხ მიწაში, მალალი საძღვლელი პირის ფერხთით პოვა საკანე.

გრეგერი გალერეისკენ გაძვერიალდა და მის მოაჯირზე ჩამოჯდა. მზისგან ლოდები თბილი იყო. „შეიძლება ეს მკრეხელობაა, — გაიფიქრა მან, — მაგრამ შეიძლება აგრეთვე მხოლოდ გადაჭარბებული სენტიმენტალობა იყოს. ბერნჰარდ კრუზე კათოლიკე იყო, ხოლო კათოლიკეთა კრემაცია აკრძალულია; მაგრამ ამაზე ალბათ ეკლესია თვალს დახუჭავდა განსაკუთრებულ გარემოებათა გამო. ხოლო თუ კოლოფში კრუხეს კი არა, არამედ მრავალ მსხვერპლთა ფერფლი იყო მოთავსებული, მათ შორის შესაძლოა პროტესტანტებისა და მართლმორწმუნე ებრაელებისაც, ამ შემთხვევაშიაც ალბათ მაინცდამაინც დიდი ბოროტება არ იქნებოდა. არც იელოვას და არც პროტესტანტთა ანდა კათოლიკეთა ღმერთს ამის საწინააღმდეგო ბევრი არაფერი ექნებოდათ“.

მან გახედა საფლავს, რომელშიც სიგარის ყუთი ისე შეაპარა, როგორც გუგულმა კვერცხი სხვის ბუდეში. მთელი გზა თითქმის არაფერი განუცდია, მაგრამ ახლა, როდესაც უკვე ყველაფერი დამთავრდა, გულზე ღრმა და უსაზღვრო ნაღველი შემოაწვა. ეს იყო რალაც უფრო მეტი, ვიდრე მხოლოდ ფიქრი მიცვალებულზე. აგონდებოდა პოლმანიც, იოზეფიც და ყველა ის საშინებლებანიც, რომლებიც მან იხილა, ომი, და აგრეთვე საკუთარი ხვედრიც.

წამოდგა. პარიზში ნანახი ჰქონდა უცნობი ჯარისკაცის ბრწყინვალე სამარე, ტრიუმფალური თაღის ქვეშ, რომელზედაც საფრანგეთის დიადი ბრძოლების ეპიზოდები იყო გამოკვეთილი და ახლა მოეჩვენა, რომ ეს ბალახით დაფარული ბელტი ტაძრის კანონიკოს ბლიუმერის საფლავზე და მის ქვეშ მოთავსებული სიგარის ყუთი რალაც მისი მსგავსი რამ იყო და შეიძლება უფრო მეტიც კი — მას სახელისა და ბრძოლათა შარავანდედი არ ადგა ზედ.

*

— ამაღამ სად უნდა გავათიოთ? — შეეკითხა ელიზაბეტი, — ეკლესიაში?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— არა. სასწაული მოხდა. ფრაუ ვიტლსთან ვიყავი. ერთი ოთახი გათავისუფლებია. მისი ქალიშვილი ამ რამდენიმე დღის წინ სოფელში გადასულა საცხოვრებლად. ჩვენ იქ შეგვიძლია დავბინავდეთ და მერე, როცა მე გავემგზავრები, იქნებ სულაც დარჩე. მე უკვე ძველი ჩვენი ბარგი გადავიტანე. მოგცეს უკვე შვებულება?

— კი. ამიერიდან აღარ დამჭირდება იქ სიარული, ხოდი შენ ჩემი ცდა აღარ მოგიწევს.

— მადლობა ღმერთს! ჩვენ დღეს საღამოს უნდა აღვნიშნოთ ეს! მთელი ღამე ზეზეულად გავატაროთ და მერე დილით შეადგენდე ვიძინოთ.

— ჰო, ბაღში ვისხდეთ, ვიდრე ყველა ბარსკელავი არ გამოეყენება ცაზე. ოღონდ მანამდე მე ცოტა ხნით წავალ და შლაპას ვიყიდი. ამნაირი დღისთვის ეს აუცილებელია.

— შლაპა რად გინდა? იმით აპირებ დღეს საღამოს ბაღში ჯდომას?

ელიზაბეტს გაეცინა.

— შეიძლება აგრეც იყოს, მაგრამ მთავარი ეგ არ არის. მთავარია, რომ მას ვყიდულობ. ეს სიმბოლური აქტია. შლაპა ბაირალის მსგავსი რამ არის. მას ან მაშინ ყიდულობენ, როცა ბედნიერნი არიან, ანდა მაშინ, როდესაც უბედურნი. გასაგებია შენთვის თუ არა?

— არა, მაგრამ, მოდი, მაინც ვიყიდოთ. ამით შენი გათავისუფლება აღვნიშნოთ. ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბახმარი. იქნება კი კიდევ ღია მაღაზიები? ან ამისთვის საამრეწველო საქონლის ტალონები ხომ არ არის საჭირო?

— ტალონები მაქვს და ისიც ვიცი, სად იყიდება შლაპები.

— კეთილი. შენი ოქროსფერი კაბის შესაფერისი შლაპა ვიყიდოთ.

— არა, მას შლაპა არ სჭირდება. ის ხომ საღამოს კაბაა. რომელიც მოგხვდება, ის ვიყიდოთ, მორჩა და გათავდა! ეს აუცილებლად საჭიროა. ამით აღვნიშნავთ, რომ ფაბრიკაში სიარულს მოვრჩი.

*

მაღაზიის ვიტრინის ერთი ნაწილი გადარჩენილიყო. დანარჩენებზე ფიცრები აეკრათ. შიგნით შეიჭყიტეს. ორი შლაპა გამოეყენებინათ. ერთი ხელოვნური ყვავილებით შემკული, მეორე კი ჭრელი ფრთებით

გაწყობილი. გრებერი მათ ეჭვიანად ათვალიერებდა: ვერ წარმოედგინა მათში ელიზაბეტი. შემდეგ შენიშნა, რომ ჭაღარათმიანი ქალი ის იყო მაღაზიის დაკეტვას აპირებდა.

— მიდი ჩქარა! — უთხრა მან ელიზაბეტს.

ქალმა ისინი მაღაზიის უკან მდებარე ჩაბნელებულ ოთახში გაიყვანა. მან მაშინვე გააბა ელიზაბეტთან საუბარი, საიდანაც გრებერმა ვერაფერი გაიგო. იგი კართანვე ჩამოჯდა დანჯღრეულ მოოქრულ სკამზე. მაღაზიის პატრონმა ქალმა სარკის წინ სინათლე ჩართო და მუყაოს კოლოფებიდან შლაპები და ქსოვილები ამოალაგა. პირქუში მაღაზია ერთბაშად ჯადოსნურ მღვიმედ იქცა. აკიაფდნენ ცისფერი, წითელი, ვარდისფერი და თეთრი შლაპები, ხოლო შიგადაშიგ ციაგობდა ფერად-ფერადი ფარჩეულიც, თითქოს ეს იყო გვირგვინები, რომელთაც იდუმალებით აღსავსე მეჯლისისთვის იზომავდნენ. ელიზაბეტი ისე მოძრაობდა აქეთ-იქით სარკის წინ დაფენილ სინათლის ზოლში, თითქოს ის-ის იყო, ნახატიდან გადმოსულიყო და მის უკან კვლავ შეიკვრებოდა უკუნეთი, რომელშიც ოთახის დანარჩენი ნაწილი ჩაძირულიყო. გრებერი გარინდებული იჯდა და უჭვრეტდა ამ სცენას, რომელიც მოჩვენებად ესახებოდა ყოველივე იმის შემდეგ, რაც დღის განმავლობაში მოხდა. იგი პირველად ხედავდა ელიზაბეტს მთლიანად თავისუფალს ჟამთა სიავისგან, ჩაძირულს ძალდაუტანებელსა და ღრმააზროვან თამაშში, გარემოცულს შუქით, სინაზითა და სიყვარულით, სერიოზულსა და დაძაბულს იმ ამორძალის დარად, რომელიც ბრძოლის წინ იარაღს არჩევს. მას ესმოდა ქალების ხმადაბალი საუბარი, მაგრამ ყურს არ უგდებდა. იგი წყაროს დუდუნივით ეღვრებოდა ყურებში. ხედავდა ნათელ წრეს, რომელიც ელიზაბეტს ერტყა ირგვლივ, და ეჩვენებოდა, თითქოს თვითონ ქალი ასხივებდა შუქს, და უყვარდა იგი, სწადდა იგი და სხვა ყველაფერი ავიწყდებოდა ამ უტყვი ბედნიერების წინაშე, რომლის მიღმაც განშორების მსახვრალი აჩრდილი იდგა, თითქოს მხოლოდ იმისთვის, რომ ეს ბედნიერება კიდევ უფრო ღრმა და სხივფენილი გაეხადა; კიდევ უფრო ძვირფასად და წარმავალად ექცია, ვიდრე შუქის ათინათი აბრეშუმისა და ფარჩის ნაჭრებზე.

— ქუდი მირჩევნია, — ამბობდა ელიზაბეტი, — ოქროსფერი ქსოვილის უბრალო ქუდი, რომელიც მჭიდროდ მომადგება თავზე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

XXIV

სარკმელში ჯარისკაცები იცქირიტებოდნენ. მის პაწია ოთხკუთხედს ირგვლივ უსურვებრა შეეხვეოდა, რამდენიმე რეა ზვიდან ეკიდა და სიო ისე არხევდა მათ, თითქოს უხმაურო საათის მრუმე ქანქარები ყოფილიყვნენ.

— მე ხომ მარილა არ ვტირი, — ეუბნებოდა ელიზაბეტი, — ხოლო თუ მაინც ვტირი, შენ ნურას ინალვლი. ეს მე კი არა, რალაცაა ჩემში, რომელიც გარეთ მოისწრაფვის. ზოგჯერ ადამიანს ტირილის გარდა სხვა არა დარჩენია რა, მაგრამ ეს არც მწუხარებაა. მე ბედნიერი ვარ!

ქალი ვაეის მკლავზე იწვა და თავი მის მხარზე ედო. საწოლი ფართო და სიძველისგან გამუქებული კაკლის ხისა იყო. თავი და ბოლო მაღალი და გარეთ გამოხნექილი ჰქონდა. კუთხეში კამოდი იდგა, აგრეთვე კაკლის ხისა, სარკმელთან კი — მაგიდა ორი სკამითურთ. კედელზე მინის ყუთი ეკიდა, რომელშიც ძველი, ხელოვნური ყვავილების საქორწინო გვირგვინი იდო, და სარკე, რომელშიაც უსურვებრის ყლორტები და გარედან მომაჯალი მქრქალი შუქის ათინათი მრუმედ და ნათლად დარიალებდა.

— მე ბედნიერი ვარ, — ამბობდა ელიზაბეტი, — ისე ბევრი რამ მოხდა ამ რამდენიმე კვირაში, რომ არ ძალმიძს ყველაფერი დავიტიო. ვცადე, მაგრამ არაფერი გამომიდა. ამიტომ მოთმინება უნდა მოიკრიბო ამალამ და როგორმე გამძლო! რა კარგი იქნებოდა, ქალაქიდან შენი გაყვანა და სადმე სოფელში დაბინავება რომ შეძეძლოს.

— უკვე სულერთია, სად ვიქნები, როცა შენ წახვალ.

— არა, სულერთი არ არის. სოფლებს არ ბომბავენ.

— ოდესმე ხომ აუცილებლად შეწყვეტენ ჩვენს დაბომბვას. ქალაქიდან თითქმის უკვე ალარაფერი დარჩა. მე არსად წასვლა არ შეშიძლია, ვიდრე ფაბრიკაში ვმუშაობ. როგორ მიხარია, რომ ეს ჯადოსნური ოთახი მაქვს. და ფრაუ ვიტეც... — ქალი ახლა მშვიდად სუნთქავდა, — ახლაც გამიკვლის, — წარმოთქვა მან, — ისტერიკიანი არ გეგონო. მე ბედნიერი ვარ. მაგრამ ეს ბედნიერება მერყევია და არა ერთფეროვანი, ცხოველური...

— ცხოველური ბედნიერება, — თქვა გრებერმა, — მერედა ვის სწადია იგი?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— არ ვიცი, ოლონდ მგონია, რომ საკმაოდ კარგა ხანს ავიტანდი ასეთ ბედნიერებას.

— მეც. მხოლოდ არ მსურს ეს ვალიარო, ვინაიდან ჩვენ ჯერჯერობით იგი არ შეიძლება გვქონდეს.

— ათი წლით მშვიდი, საამური, ერთფეროვანი, ბიურგერული ცხოველური ბედნიერება, — მე მგონი, ასეთი ბედნიერება მთელი სიცოცხლის განმავლობაშიც კი არ აწყენდა ადამიანს!

გრებერს გაეცინა.

— ეს იმის გამო გვემართება, რომ ესოდენ ჯოჯოხეთურად საინტერესო ცხოვრებას ვეწევით. ჩვენი წინაპრები სხვაგვარად ფიქრობდნენ, მათ სათავგადასავლო ამბები ხწყეროდათ და სძულდათ ცხოველური ბედნიერება.

— ჩვენ კი არა. ჩვენ კვლავ უბრალო სურვილების მქონე უბრალო ადამიანებად ვიქეცით, — ელიზაბეტმა ვაჟს შეხედა, — გინდა, დაიძინე. მთელი ღამე იძინე შეუწყვეტლივ. ვინ იცის, კიდევ როდის გექნება ამის შესაძლებლობა, როცა ხვალ საღამოს გაემგზავრები!

— მე გზაშიც შემიძლია საკმაოდ ვიძინო. რამდენიმე დღე გახტანს, ვიდრე ფრონტზე ჩავიდოდე.

— გექნება კი ოდესმე ნამდვილი საწოლი?

— არა, სულ ბევრი, რასაც ხვალინდელი დღიდან შეიძლება მოველოდე, ესაა საერთო ტახტი ანდა თივით გატენილი ტომარა და ისიც ყოველთვის არა. ამას მალე ეჩვევი კაცი. ეს არც ისე დიდი უბედურებაა. თანაც, ახლა ზაფხული დგება. რუსეთი ზამთარშია აუტანელი.

— შენ ალბათ კიდევ ერთი ზამთრის გატარება მოგიწევს იქ.

— თუ ასე განვაგრძეთ უკან დახევა, მაშინ ზამთარში უკვე პოლონეთში აღმოჩნდებით ან თვით გერმანიაშიც კი. აქ კი ისეთი სიცივეები არ იცის, და თანაც ამ სიცივეებს შეჩვეულნიც ვართ.

„ახლა იმას შემეკითხება, შვებულებით კიდევ როდის ჩამოხვალო, — გაიფიქრა, — ნეტავი უკვე დასრულებული გვქონდეს ამაზე ლაპარაკი. ის უნდა შემეკითხოს და მე კი უნდა ვუპასუხო... ნეტავი მალე მოვრჩებოდეთ. უკვე მხოლოდ ნაწილობრივლა ვარ აქ, მაგრამ იმ ნაწილს, რომელიც ჯერაც აქ იმყოფება, თითქოსდა კანი არ გააჩნია, და მაინც მისი ნამდვილი დაშავება არ შეიძლება. ესაა მხოლოდ: იგი ღია ჭრილობაზე კიდევ უფრო მგრძნობიარეა“.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მან უსურვაზის რქებს გახედა, რომლებიც ფანჯარაში ირხეოდნენ, და სარკეში მოცეაგე ცერცხლისფერ და ნაცრისფერ ლაქებს დააშტერდა. ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ყოველივე ამის უკან, სულ ახლოს მიჯრილი, რაღაც საიდუმლო იმალებოდა და თვალის დახამხამებაში ფარდა უნდა ახდოდა.

მერე მათ სირენათა ხმა გაიგონეს.

*

— მოდი, აქ დაერჩეთ, — უთხრა ელიზაბეტმა, — არ მინდა ჩაიცვა და თაშესაფარში გაიქცე.

— კარგი.

გრეგერი ფანჯარასთან მიეიდა, მაგიდა განზე გააჩოჩა და გარეთ გაიხედა. ნათელი და წყნარი ღამე იდგა. ბალი მთვარის შუქზე ბრჭყვიალებდა. რაღაც არარეალური ღამე იყო ოცნებათათვის და კარგი — საჰაერო თავდასხმებისთვის. მან დაინახა, როგორ გამოვიდა სახლის კარიდან ფრაუ ვიტე. სახე სულ ერთიანად გაჰფითრებოდა. გრეგერმა ფანჯარა გამოაღო.

— მე კი თქვენს გაღვიძებას ვაპირებდი! — დაუყვირა ქალმა ხმაურში.

გრეგერმა თავი დაუქნია.

— ლაიბნიცშტრასეზეა... თავშესაფარი... — გაიგონა ფრაუ ვიტეს ხმა.

მან ხელი დაუქნია. შემდეგ დაინახა, რომ ქალი სახლში შეტრიალდა. გრეგერმა კიდევ წუთით შეიცადა. ფრაუ ვიტე უკან არ გამოსულა, ისიც სახლში რჩებოდა. გრეგერს ეს არ გაჰკვირვებია.

თითქოს ეს ასეც უნდა მომხდარიყო და მისთვის საჭირო არ ყოფილიყო წასვლა; ბალსა და სახლს თითქოს რომელიღაც უცნობი მაგია მფარველობდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ერთიცა და მეორეც კვალავ ხელუხლებელი და მდუმარებით მოცული რჩებოდა სირენათა ღმუილში, რომელიც ველური ძახილით მათ ზეგარდმო დაგრიალებდა. ხეები წყნარად იდგნენ მქრქალ ვერცხლისფრად მბზინავი მოლის მიღმა. ბუჩქები არ ირხეოდნენ. თვით უსურვაზის რქებიც კი აღარ ქანაობდნენ სარკმლის წინ. მშვიდობის პაწია კუნძული ისე განრთხმულიყო მთვარის შუქზე, როგორც მიწის საფარველქვეშ, რომელიც ნგრევის ქარცეცხლს ისხლეტს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გრეგერი შოტრიალდა. ელიზაბეტი ლოგინში წამოჯდარიყო. მისი მხრები თეთრად მოკრთოდნენ და იქ, სადაც მრგვალდებოდნენ, ნაზი ჩრდილები ადგათ მკერდი და წინ თამამად წამოშვერილი ძუძუები უფრო დიდრონი უჩანდა, ვიდრე სინამდვილეში იყო. პირი ჩალაქებოდა, ხელი თეთრები ძალიან გამჭვირვალენი და თითქმის უფერულნი გახდომოდა. მკლავებით ბალიშებზე დაყრდნობილიყო და ისე იჯდა ლოგინში, თითქოს ანაზდეულად სადღაც შორეთიდან გაჩენილიყო აქ. ერთი წამის განმავლობაში ისევე უცხო, მწყაზარი და იდუმალებით მოცული იყო, როგორიც მთვარის შუქით განათებული და ქვეყნიერების დაქცევის წინაშე გარინდებული ბალი.

— ყრაუ ვიტეც აქ დარჩა, — უთხრა გრეგერმა.

— მოდი...

ვიდრე გრეგერი საწოლთან მიეფინოდა, მან თვის სახეს მოჰკრა თვალი ნაცრისფერსა და ვერცხლისფერ სარკეში და ველარ იცნო. ეს ვილაც სხვისი სახე იყო.

— მოდი, — ერთხელ კიდევ უთხრა ელიზაბეტმა.

ვაჟი ქალისკენ დაიხარა. ქალმა მკლავები შემოაჭდო.

— სულერთია, რაც გინდა მოხდეს, — უთხრა მან.

— არაფერიც არ მოხდება, — მიუგო ვაჟმა, — ამალამ არაფერი არ შეიძლება მოხდეს, — თვითონაც არ იცოდა, თუ რატომ იყო ამაში ასე დარწმუნებული. ეს რწმენა როგორლაც დაკავშირებული იყო ამ ბალთან, მთვარის შუქთან, სარკესთან, ელიზაბეტის მხრებთან და იმ ლრმა და ყოვლისმომცველ სიმშვიდესთან, რომელიც ანაზდად მისი სულის უკანასკნელ კუნჭულსაც კი დაეუფლა, — არაფერი არ მოხდება, — გაიმეორა მან.

ქალმა საბანი გადაიძრო და იატაკზე დააგდო. ასე იწვა შიშველი. კენარი გრძელი ფეხები მოხდენილად ბოლოვდებოდნენ თეძოებით ტანი, რომელიც მხრებიდან და ძუძუებიდან მოყოლებული მუცლის გლუვ ლრმულამდე და არცთუ ვიწრო თეძოებამდე მხრიდან მრგვალდებოდა და მისი სამკუთხოვანი წიაღისკენ მიექანებოდა. ეს უკვე ყმაწვილი ქალის სხეული იყო და არა ქალწულისა.

ვაჟმა თვის მკლავებში შეიგრძნო ქალი. ქალიც გასრიალდა მისკენ და გრეგერს მოეჩვენა, თითქოს ათასი ხელი შემოეჭდო, და თითქოს ამ ხელებმა აილეს და თან წარიტაცეს. მათ უკვე სიერცის ნატამალიც ალარ თიშავდათ, ერთმანეთს იყვნენ მიკრულნი და გა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაჭდობილნი. ეს უკვე პირველ დღეთა აღელვება კი არ იყო, არამედ ნელი განუწყვეტელი წარმადობა, რომელიც ბობოქრობდა და ყველაფერს ლეკავდა — სიტყვებს, მიჯნებს, ჰორიზონტს და მერე კი თვითონ მათაც...

ვაჟმა თავი აიღო. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს სადღაც შორეთიდან ბრუნდებოდა. ყური მიაპყრო. აღარ ახსოვდა, რამდენ ხანს იყო წასული. გარეთ სიწყნარე სუფევდა. ეგონა, მეჩვენებაო, იწვა და თან სმენად გადაქცეულიყო. არაფერი გაუგონია — არც აფეთქებათა ხმა ისმოდა და აღარც საზენიტო არტილერიის ცეცხლი. თვალი დახუჭა და კვლავ ბურანში ჩაიძირა. მერე ისევ გამოელვიძა.

— ისინი არ მოფრენილან, ელიზაბეტ, — წარმოთქვა მან.

— როგორ არა, — წაიდუდუნა ქალმა.

ისევ ერთიმეორის გვერდით იწვნენ. გრებერი ხედავდა იატაკზე დაგდებულ საბანს, სარკეს და ღია სარკმელს. ასე ეგონა, ეს ღამე არასოდეს გაილეოდა, მაგრამ ახლა იგრძნო, როგორ ხელახლა ჩამოიღვარა დრო სიწყნარეში. უსურვაზის რქებმა სარკმლის წინ კვლავ იწყეს ხიოზე ქანქარი. მათი ჩრდილები ათამაშდნენ სარკეში და შორეული ხმაურიც განახლდა. ელიზაბეტს გადახედა. ქალს თვალები დაეხუჭა, ბაგეები ოდნავ გაპობოდა, ღრმად და წყნარად სუნთქავდა. ის ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყო. გრებერი კი უკვე აქ იყო. უკვე ფიქრობდა. ქალი მუდამ უფრო დიდი ხნით იყო ხოლმე წასული. „ნეტავი მეც ასე შემეძლოს, — ფიქრობდა გრებერი, — ასე მთლიანად და ხანგრძლივად მივეცე თავდავიწყებას". ეს ის თეისება იყო, რომელიც ვაჟს შურდა, რომლისთვისაც უყვარდა ელიზაბეტი და რაც ოდნავ აშინებდა კიდეც. ქალი სადღაც იყო ხოლმე, სადაც იგი ვერ მისდევდა, ან თუ მისდევდა — დიდი ხნით ვერა. ალბათ სწორედ ეს აშინებდა კიდეც. ანაზდეულად იგრძნო, რომ მარტო იყო და ქალს რაღაცაში საოცრად ჩამორჩებოდა.

ელიზაბეტმა თვალები გაახილა.

— ნეტა რა იქნენ თვითმფრინავები?

— არ ვიცი.

ქალმა თმა უკან გადაიწია.

— შშია.

— მეც შშია. რა გინდა, სულო და გულო, რომ ჩვენ არ გვქონდეს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გრებერი ადგა და ბინდინგის სარდაფიდან წამოღებული კონსერვები ამოალაგა.

— აი, ქათამი, ხბოს ხორცი და ცოტაოდენი კურდღლისაც კი. ო, ესეც კიდევ კომპოტი დესერტად.

— მოდი, კურდღელს და კომპოტს შევექცეთ.

გრებერმა ქილები გახსნა. მოსწონდა, რომ ელიზაბეტი კი არ ეხმარებოდა, არამედ იწვა და ელოდა. ვერ იტანდა იმ ქალებს, რომლებიც ჯერ კიდევ იდუმალებით და სიბნელით გარემოვულნი, მაშინვე მოფუსფუსე დიასახლისებად გადაიქცევიან ხოლმე.

— ყოველთვის სირცხვილი მიჟერობს, როცა კ, ალფონსისგან წამოღებულ დოვლათს შევხედავ ხოლმე, — თქვა მან. — მე კარგად არ ვექცეოდი მას.

— სამაგიეროდ, იგი უთუოდ ვილაც სხვას არ ეცეოდა კარგად. ეს ერთმანეთს აბათილებს. იყავი მის დასაფლავებაზ?

— არა. იქ ერთობ ბევრი ნაცისტი იყო საპარადო ფორმაში გამოწყობილი. მე არ გავყოლივარ პროცესიას. მხოლოდ ობერშტურმბანფიურერ ჰილდებრანტის სიტყვა მოვისმინე. მან თქვა, ჩვენ ყველამ ალფონსს უნდა მივბაძოთ და მისი უკანასკნელი სურვილი აღვასრულოთო. ამაში იგი მტრებთან ულმობელ ბრძოლას გულისხმობდა. ბინდინგის უკანასკნელი სურვილი კი სულ სხვა იყო. იგი პიჟამის ამარა იპოვეს სარდაფში ქერა ქალთან ერთად, რომელსაც სალამური პერანგი ეცვა მხოლოდ.

გრებერმა ხორცი და კომპოტი ორ ლანგარზე გადმოიღო, რომლებიც ფრაუ ვიტემ მისცა მათ. შემდეგ პური დაჭრა და ერთი ბოთლი ღვინო გახსნა.

ელიზაბეტი წამოდგა. შიშველი იდგა კაკლის ხის ხაწოლის წინ.

— შენ მართლაც არ გამოიყურები იმ ადამიანივით, რომელიც მთელი თვეების განმავლობაში წელში ოთხად მოკაკული სამხედრო ფარაჯებს კერავს, — უთხრა გრებერმა, — შენ უფრო იმას ჰგავხარ, ვინც ყოველდღე ტანვარჯიშს მისდევს,

— ტანვარჯიშს? ტანვარჯიშს მხოლოდ მაშინ მისდევენ, როცა სასოწარკვეთილნი არიან.

— მართლა? ასეთი რამ არასოდეს მომივიდოდა თავში.

— დიახ, სწორედ ეგრეა, — მიუგო ელიზაბეტმა, — იჭაჭებიან, ვიდრე წელში გადაწყდებოდნენ; დარბიან, ვიდრე ქანცი გამოელეო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დეთ; ათჯერ ასუფთავებენ ოთახს; ჯაგრისით ივარცხნიან თმას, ვიდრე თავი ეტკინებოდეთ... და ვინ იცის, კიდევ რას არ აკეთებენ.

— შველით მერე ასეთი რამ?

— მხოლოდ უკიდურესი სასოწარკვეთილების მიჯნამდე მისულთ, როდესაც უკვე აღარ გსურს რამეზე იფიქრო. ხოლო თუ ამ მიჯნასაც გადასცდი, ველარაფერი გიშველის, მოცელილივით უნდა დაეგდო.

— და მერე?

— ელოდო, ვიდრე შენში სადმე ისევ სიცოცხლე აჩქეფდებოდეს. მე ვგულისხმობ სიცოცხლეს, როდესაც მხოლოდ არსებობენ, როდესაც მხოლოდ სუნთქავენ და არა იმას, როდესაც ცხოვრობენ.

გრებერმა ჭიქა აიღო ხელში.

— მე მგონი, ჩვენი ასაკისთვის ერთობ ბევრი რამ ვიცით სასოწარკვეთილების შესახებ. მოდი, დავივიწყოთ იგი.

— დავიწყების შესახებაც ერთობ ბევრი რამ ვიცით, — უთხრა ელიზაბეტმა, — დაე, ისიც ჩაჰბარდეს პატრონს.

— კეთილი, ფრაუ კლაინერტს გაუმარჯოს, რომელმაც ეს კურდღელი დააკონსერვა.

— და ფრაუ ვიტეს, რომელმაც ბალი და ეს ოთახი დაგვითმო.

ჭიქები ბოლომდე გამოცალეს. ღვინო ცივი, არომატული და ახალი იყო. გრებერმა ისევ შეავსო ჭიქები. მთვარე ოქროსფრად ლიცლიცებდა ღვინოში.

— ჩემო საყვარელო, — უთხრა ელიზაბეტმა, — რა საამოა ღამით ზეზე ყოფნა. ლაპარაკიც მაშინ ბევრად უფრო იოლია.

— მართლაც... ღამე შენ ჯანსაღი და ახალგაზრდა ქმნილება ხარ ღვთისა და არა სამხედრო ფარაჯების მკერავი ქალი. ხოლო მე ჯარისკაცი არა ვარ.

— ღამით ისეთია ადამიანი, როგორიც უნდა იყოს, და არა ისეთი, როგორადაც არის ქცეული.

— ჰო, შეიძლება, — გრებერმა კურდღლის ხორცს, კომპოტს და პურს გადახედა, — ამის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საკმაოდ ზედაპირული ადამიანები ვართ. ღამით ჭამისა და ძილის მეტს თითქმის არაფერს ვაკეთებთ.

— და ერთმანეთს ვესიყვარულებით. ეს კი უკვე ზედაპირულობა არ არის.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— და ვსვამთ..

— და ვსვამთ — გაიმეორა ელიზაბეტმაც და ეიფის ჭიქა გაუწოდა. გრებერს გაეცინა:

— კაცმა რომ თქვას, სენტიმენტალურები და დამწუხრებულნი უნდა ვიყოთ და ღრმააზრიანი საგნებზე ვსაუბრობდეთ ნაცვლად ამისა, ნახევარი კურდღელი გადაყლაპულეთ ცხოვრება საამურად მიგვაჩნია და ღვინის ძალლობას ვწირავთ.

— ასე სჯობია, თუ არა?

— ეს ერთადერთი გამოსავალია, როდესაც ცხოვრების პრეტენზიებს არ უყენებ, ყველაფერი დიდ წყალობად გეჩვენება.

— ეს ფრანტზე ისწავლე?

— არა, აქ.

— ჰოდა, ძალიან კარგი. კაცმა რომ თქვას, ეს არის კიდეც ყველაფერი ის, რაც საჭიროა, რომ ისწავლო. ასე არ არის?

— კი... და ამის შემდეგ კიდევ სულ მცირეოდენი ბედნიერებაა მხოლოდ საჭირო.

— ჩვენ გვქონდა მერე იგი?

— კი. ჩვენ ყველაფერი გვქონდა, რაც კი რამ არსებობს.

— შენ არ წუხხარ, რომ ეს ყველაფერი უკვე დამთავრდა?

— კი არ დამთავრდა, სახეს იცვლის მხოლოდ.

ქალმა შეხედა.

— და მაინც, — უთხრა ვაუმა, — მე დამწუხრებული ვარ, იმდენად დამწუხრებული, რომ ასე მგონია, ხვალ როცა დაგტოვებ, სულს გავაბნევ-მეთქი, მაგრამ როდესაც ეფიქრობ, თუ რა უნდა ძომხდარიყო, რომ დამწუხრებული არ ვყოფილიყავი, მხოლოდ ერთადერთ პასუხს ვპოულობ, — მაშინ არასოდეს არ უნდა შეგხვედროდი. მაშინ კი არ ვიდარდებდი, არამედ კვლავინდებურად ყოველგვარი გრძნობისგან დაცლილი გულგრილად გაგეგზავრებოდი უკან და როდესაც ამას ვფიქრობ, მაშინ ჩემი კაეშანი უკვე კაეშანი კი აღარ არის, არამედ მოლრუბლული ბედნიერება, ჩრდილოვანი მხარე ბედნიერებისა.

ელიზაბეტი წამოდგა.

— იქნებ მე სწორად ვერ გამოვთქვი აზრი, — უთხრა გრებერმა, — შენ ხომ გესმის, რასაც ვგულისხმობდი?

— მესმის. შენ სწორად გამოთქვი აზრი. უკეთესად არც შეიძლება. მე ვიცოდი, რომ ამას იტყოდი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ელიზაბეტი გრებერთან მივიდა... ვაჟმა შეიგრძნო იგი და ანაზღეულად ქალმა დაკარგა თავისი სახელი, ახლა მსოფლიოს ყველა სახელი ერქვა მას. წამით რაღაც აუტანლად კაშკაშა ალის მაგვარმა რამ დაუარა გრებერს და მან შეიცნო, რომ ყველაფერი ერთი იყო: განშორება და დაბრუნება, დაუფლება და დაკარგვა, სიცოცხლე და სიკვდილი, წარსული და მომავალი და რომ ყოველთვის და ყველაფრიდან მარადისობის გაქვავებული ხატები იმზირებოდა და ვერც ვერაფერი წაშლიდა მას... მერე მოეჩვენა, რომ მის ფერხთა ქვეშ დედამიწა გუმბათით ამოიზნიქა, თავისი კიდურებით შეიგრძნო მისი სიმრგვალე, რომლისგანაც თითქოს უნდა გადამხტარიყო, აი, გაქანდა კიდეც წინ, ელიზაბეტს მკლავები მოხვია და გადაეშვა მასთან ერთად და მასში...

*

უკანასკნელი საღამო იდგა. ისინი ბაღში ისხდნენ. მათ გვერდით კატამ გაირბინა შეფარვით. იგი მაკე იყო და, მთლიანად თავისი თავით გართული, არავის აქცევდა ყურადღებას.

— მე ალბათ ბავშვი მეყოლება, — თქვა ელიზაბეტმა უეცრად.

გრებერი გაკვირვებული მიაჩერდა.

— ბავშვი? რატომ?

— ვითომ რატომ არა?

— ბავშვი? ასეთ დროში? დარწმუნებული კი ხარ, რომ გეყოლება?

— იმედი მაქვს.

მან კვლავ შეხედა ქალს.

— ახლა ალბათ საჭიროა რაღაც გითხრა ან რაღაც მოვიმოქმედო, ელიზაბეტ. გაკოცო, განცვიფრება გამოვხატო, მოგეფერო, მაგრამ მე ეს არ შემიძლია, ისე ერთბაშად მოხდა ყოველივე. ბავშვზე აქამდე არ მიფიქრია.

— არც არის საჭირო, რომ იფიქრო. ეს ამბავი შენ არ შეგეხება. თანაც, მე თვითონაც ჯერ ხეირიანად არ ვიცი.

— ბავშვი! იგი სწორედ მომავალი ომისთვის გაიზრდებოდა, როგორც ჩვენ — ამ ომისთვის. წარმოიდგინე მთელი ის უბედურებანი, რომელთა გადატანაც მას მოუხდებოდა!

კატა ისევ გამოჩნდა. ბილიკის გასწვრივ მოიპარებოდა, საშხარეულოსკენ მიდიოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ყოველდღე იბადებიან ბავშვები, — თქვა ელიზაბეტმა.

გრებერს გაახსენდა ჰიტლერიუგენდი[1], გაახსენდა ბავშვები, რომლებიც საკუთარ მშობლებს აბეზღებდნენ.

— რატომ ვლაპარაკობთ ამაზე? — თქვა მან, — ეს ხომ ჯერჯერობით შენი სურვილია? თუ არა?

— შენ კი არ ისურვებდი, რომ ოდესმე შვილი გყოლოდა?

— არ ვიცი. მშვიდობიან დროს ალბათ მენდომებოდა. ამაზე ჯერ არ მიფიქრია. იმდენი რამ არის მოწამლული ჩვენ ირგვლივ, რომ დედამიწა წლების განმავლობაში იქნება კიდევ წაბილწული. როგორ შეიძლება ასეთ ვითარებაში შვილის ყოლა გინდოდეს ადამიანს?

— სწორედ ამიტომ უნდა გინდოდეს, — უთხრა ელიზაბეტმა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ყოველივე ამის საწინააღმდეგო სულისკვეთებით აღზარდო. რა მოხდებოდა, თუ ყველა ისინი, ვინც მიმდინარე ამბების წინააღმდეგნი არიან, შვილების გაჩენას აღარ მოინდომებდნენ? ნუთუ მხოლოდ ბარბაროსებს უნდა ჰყავდეთ შვილები? მაშინ ვილამ უნდა მოიყვანოს მსოფლიო წესრიგში?

— ამის გამო გინდა შვილი გყავდეს?

— არა. ეს მხოლოდ ახლა მომივიდა აზრად.

გრებერი დუმდა. ელიზაბეტის არგუმენტის წინააღმდეგ არაფრის თქმა აღარ შეიძლებოდა. ქალი მართალი იყო.

— ეს ყველაფერი ერთობ მოულოდნელია ჩემთვის, — უთხრა მან, — ჯერ იმას ვერ შევჩვეულვარ, რომ ცოლიანი ვარ, და ახლა უკვე ის უნდა გადავწყვიტო, შვილი მინდა თუ არა.

ელიზაბეტმა გაიცინა და წამოდგა.

— ამ ამბავში შენ ყველაზე უმარტივესი რამ ვერ შენიშნე. სახელდობრ ის, რომ მე საერთოდ შვილის ყოლა კი არ მინდა, არამედ შენგან მსურს ბავშვი მყავდეს. ხოლო ახლა ფრაუ ვიტესთან მივდივარ, რომ ვახშამზე მოვეთათბირო. კონსერვებიდან კულინარიის შედევრი უნდა შევქმნათ.

ბალში გრებერი მარტო იჯდა სკამზე. ცა სავსე იყო მოწითალოდ განათებული ღრუბლებით. დღე მიიწურა. ეს ნაქურდალი დღე იყო.

---

[1] *ჰიტლერიუგენდი — ახალგაზრდული სამხედრო ნაცისტური ორგანიზაცია გერმანიაში (დაარსდა 1926 წელს და მოქმედებდა მესამე რაიხის დამარცხებამდე), რომელსაც მეთაურობდა რაიხსიუგენდფიურერი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მან თავის შვებულებას ოცდაოთხი საათი გადააცდინა. აღრიცხვიდან კი მოეხსნა, მაგრამ არ გაემგზავრა. ახლა კი ისევ საღამო ჩამოდგა და ერთი საათის შემდეგ უნდა წავიდეს.

ერთხელ კიდევ შეიარა ბიუროში, მაგრამ მშობლებისგან მეტი აღარაფერი ცნობა არ მოსულიყო. მოაწესრიგა, რისი მოწესრიგებაც კი შეიძლებოდა. ფრაუ ვიტე დასთანხმდა თავისთან დაეტოვებინა ელიზაბეტი. გასინჯა სარდაფი. იგი საკმაოდ ღრმა არ იყო იმისთვის, რომ საიმედო ყოფილიყო, მაგრამ მკვიდრად კი იყო ნაგები. ინახულა აგრეთვე ლაიბნიცშტრასეზე მდებარე საზოგადოებრივი თავშესაფარი. იგი ისეთივე გამოდგა, როგორიც ამ ქალაქის ყველა სხვა თავშესაფარი.

სკამის ზურგს მიყრდნობილი წყნარად იჯდა. სამზარეულოდან ჭურჭლის წკრიალი ესმოდა. ხანგრძლივი შვებულება იყო ეს. სამი კვირა კი არა, სამი წელიწადი.

მართალია, დროის ეს მონაკვეთი ზოგჯერ არცთუ სავსებით ნამდვილად, სწრაფად მსრბოლად ესახებოდა და მერყევ ნიადაგს ეფუძნებოდა, მაგრამ სწადდა ერწმუნა, რომ იგი ნამდვილი იყო.

ელიზაბეტის ხმა გაიგონა და იმას ჩაუფიქრდა, რაც მან ბავშვის შესახებ უთხრა. მაშინ მეტი გრძნობა დაებადა გრებერს, თითქოს ანაზდეულად მის წინ რაღაც კედელი გაირღვა, — გაჩნდა გამონანგრევი და მის უკან ბაღვით ბუნდოვნად მომავლის მონაკვეთი აციაგდა. გრებერს მანამდე არასოდეს უფიქრია იმ კედლის მიღმა მიეწვდინა გონების თვალი. მართალია, როცა ჩამოვიდა, სურდა რაღაც მოეძია, ჩასჭიდებოდა, დაუფლებოდა, რათა წასვლის წინ რაიმე დაეტოვებინა, როგორც თავისი ნასახი, რასაც მისი სახელი ექნებოდა და, მაშასადამე, მისი მეობის მატარებელიც იქნებოდა, მაგრამ ამასთან დაკავშირებით ბავშვი არასოდეს აზრად არ მოსვლია. იგი უჭვრეტდა ბინდბუნდს, რომელიც იასამნის ბუჩქებს შორის ჩაღვრილიყო. რა უსაზღვროდ მოგეჩვენება სიცოცხლე, თუ მას ბოლომდე გაადევნებ თვალს და რა უცნაურია იმის შეგრძნება, რომ მას შეუძლია გაგრძელდეს იმ კედლის მიღმაც, რომლის წინაშეც აქამდე თითქოს წყდებოდა, და რომ ის, რასაც აქამდე თითქმის ნაჩქარევად წაგლეჯილ ნადავლად მიიჩნევდი, შეიძლება ერთხელ გადასცე შენთვის უცნობ, ჯერ დაუბადებელ არსებას, გადასცე ყოფიერების ჯაჭვს, რომელსაც ბოლო არა აქვს და იმ სინაზითაა აღსავსე, რომე-

ლიც არასოდეს გიგემია. რამხელა სარბიელს შლის იგი და რამდენ წინათგრძნობას აღვიძებს, რაოდენ ძლიერ სწადია ეს შენში რაღაცას და არცა სწადია და მაინც სწადია ეს საწყალობელი და მანუგეშებელი ილუზია უკვდავებისა.

*

— მატარებელი ექვს საათზე გადის, — უთხრა გრებერმა ელიზაბეტს, – მე ყველაფერს მოვრჩი. ჩემი წასვლის დროა. ნუ გამაცილებ სადგურზე. მინდა აქ გამოგეთხოვო, რათა აქაურობა ჩამრჩეს ხსოვნაში, და შენც ისეთად დაგიმახსოვრო, როგორიც აქ ხარ და არა სადგურის ჭეჭყვასა და არევ-დარევაში. უკანასკნელად დედაჩემმა გამაცილა. ვერაფრით ავაღებინე ხელი ამ განზრახვაზე. ეს საშინელება იყო მისთვისაც და ჩემთვისაც. კარგა ხანს თავიდან არ გამომდიოდა იგი და შემდეგშიც მუდამ ეს სურათი მიდგებოდა ხოლმე თვალწინ — ბაქანზე მდგომი, მტირალი, დაღლილ-დაქანცული და ოფლში გაღვრილი ქალი, და არა დედაჩემი, როგორიც სინამდვილეში იყო. გამიგე?

— კი...

— კეთილი. მაშ ისე მოვიქცეთ, როგორც გითხარი. თანაც შენც არ არის საჭირო, რომ მნახო, როცა ისევ მარტოოდენ ეს და ეს ნომერი ვიქნები, როცა ისევ ვირივით დაზურგული ჯარისკაცი გავხდები. იმ სახით მინდა ერთმანეთს განვშორდეთ, როგორებიც ამჟამად ვართ, ხოლო ახლა კი აი, ეს ფული გამომართვი. მე იგი დაუხარჯავი დამრჩა, ფრონტზე კი, არ დამჭირდება.

— რად მინდა ფული. მე საკმარისს ვიღებ.

— ფრონტზე აბა რაში უნდა დავხარჯო. გამომართვი და კაბა იყიდე. არასაჭირო, უსარგებლო ლამაზი კაბა, რომელიც იმ შენს პატარა, ოქროსფერ ქუდს მოუხდება.

— ამით ამანათებს გამოგიგზავნი ხოლმე.

— არ გამომიგზავნო. ფრონტზე ჩვენ უფრო მეტი საჭმელი გვაქვს, ვიდრე თქვენ აქ. ისევ კაბა იყიდე. მე ბევრი რამ ვისწავლე, როცა შენ შლაპას ყიდულობდი. პირობა მომეცი, რომ კაბას იყიდი. სრულიად უსარგებლოს, არაპრაქტიკულს. აღმითქვი. ან იქნებ ეს ფული საკმარისი არ არის?

— არა, საკმარისია. ერთი წყვილი ფეხაცმლისთვისაც კი დამრჩება.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ჰოდა, შესანიშნავია. ერთი წყვილი ოქროსფერი ფეხსაცმელიც იყიდე.

— კარგი, — უთხრა ელიზაბეტმა, — ოქროსფერ ფეხსაცმელს ვიყიდი, მაღალქუსლიანსა და ბუმბულივით მსუბუქს. ჩავიცვამ და ისე გამოგეგებები, როცა დაბრუნდები.

გრებერმა ზურგჩანთიდან ჩაშავებული ხატი ამოიღო, რომელიც დედისთვის უნდოდა ეჩუქებინა.

— აი, ეს მე რუსეთში ვიპოვე. შენ გქონდეს.

— არა, ერნსტ. ვინმე სხვას მიეცი, ანდა უკანვე წაიღე, ეს ერთობ... ერთობ საბოლოო იქნება. გამომართვი.

ვაჟი ხატს დააცქერდა.

— ეს მე ერთ დანგრეულ სახლში ვიპოვე, — წარმოთქვა მან, — შესაძლოა, მართლაც არ მოიტანოს ბედნიერება. არასოდეს მიფიქრია ამაზე.

და ხატი, რომელიც ოქროსფერ ფონზე ანგელოზთა დასით გარშემორტყმულ წმინდა ნიკოლოზს გამოსახავდა, ისევ უკან ჩადო.

— თუ გინდა, ეკლესიაში წავიღებ, — უთხრა ელიზაბეტმა, — აი, იქ, სადაც ჩვენ ღამე გავათიეთ, წმინდა კათარინას ეკლესიაში.

„აი, იქ, სადაც ჩვენ ღამე გავათიეთ, — გაიფიქრა ვაჟმა, — რა ახლოს იყო ის ჯერ კიდევ გუშინ, ახლა კი უკვე უსაზღვროდ შორს არის“.

— ისინი არ აიღებენ, — წარმოთქვა მან, — ეს სხვა რელიგიას განეკუთვნება. ყოვლად მოწყალე უფლის მესვეურნი მაინცდამაინც არ გამოირჩევიან შემწყნარებლობით.

მან გაიფიქრა, რომ ხატი კრუზეს ფერფლთან ერთად შეეძლო ჩაედო ტაძრის კანონიკოს ბლიუმერის საფლავში, მაგრამ ალბათ ესეც კიდევ ერთ შეცდომად ჩაეთვლებოდა.

*

უკან არ მოუხედავს. არც ერთობ ნელა მიდიოდა და არც ერთობ სწრაფად. ზურგჩანთა მძიმე იყო, ხოლო ქუჩა კი ძალიან გრძელი. როცა კუთხეში გაუხვია, თითქოს მრავალ კუთხეში გაეხვიოს უკვე. ერთ წამს კიდევ გრძნობდა ელიზაბეტის თმის სურნელს; მერე იგი განდევნა დამყაყებულმა ტრუსის სუნმა, შესაღამოვებულის შეხუთულმა ჰაერმა და ხრწნის მოტკბო, დამპალი ყროლის ოხშივარმა, რომელიც თბილი ამინდის დადგომიდან ასდიოდა ნანგრევებს.

მიწაყრილზე გადავიდა. ცაცხვების ხეების ცალი მხარე შავად იყო გადაბუგული, მეორე მხარე მწვანედ გაყვითლილიყო. მდინარე ნაგავს ამოევსო და ზანტად მიწანწკარებდა ღორღზე, ოჯახზე, ტომრებზე, მოაჯირის ნამსხვრევებსა და საწოლებზე. „ახლა რომ საჰაერო თავდასხმა დაიწყოს, — გაიფიქრა, — თაკშესაყარში ჩასვლა მომიწევდა და მატარებელზე დაგვიანების მიზეზი მექნებოდა. რას იტყოდა ელიზაბეტი, უეცრად მის წინ რომ ამოვყოფდი თავს?“ იგი შეიყოლია ამაზე ფიქრმა. ვინ იცის? მაგრამ ყველაფერი, რაც ამჟამად კარგი იყო, ალბათ ტკივილად გადაიქცეოდა. ისევე მოხდებოდა, როგორც სადგურზე ხდება ხოლმე, როდესაც მატარებელი დაგვიანებით გადის, წინ მთელი ნახევარი საათია კიდევ დარჩენილი და ეს დრო როგორმე უნდა გაიყვანო ნაძალადევი მასლაათით. და ესეც რომ არ იყოს, ვერაფერს მოიგებდა. საჰაერო თავდასხმის დროს მატარებელი კი არ გავიდოდა, არამედ დაუცდიდა მის დამთავრებას და გრებერს მერე სადგურზე უნდა მიესწრო მისთვის.

ბრამშეშტრასეზე მივიდა. აქედან განვლო ჩამოსვლის შემდეგ თავისი პირველი გზა ქალაქისკენ. ავტობუსი, რომელმაც მაშინ მოიყვანა, უკვე იდგა იქ და იცდიდა. გრებერი შიგ ჩაჯდა. ათი წუთის შემდეგ გაემგზავრნენ. სადგური მის აქ ყოფნაში კიდევ სადღაც სხვაგან გადაეტანათ. იგი ახლა გოფრირებული თუნუქით გადაეხურათ, რომელიც ისე შეელებათ, რომ მფრინავებს ვერ შეემჩნიათ. ცალ მხარეზე ნაცრისფერი ტილოები იყო დაჭიმული და იქვე გვერდით, აგრეთვე შენიღბვის მიზნით, ხელოვნური ხეები დაედგათ და ბოსელი აეგოთ, რომლიდანაც ხის ძროხას გამოეყო თავი. მდელოზე ორი ბებერი ცხენი ძოვდა ბალახს.

მატარებელი უკვე ჩამომდგარიყო. მთელ რიგ ვაგონებს წარწერა ჰქონდა გაკეთებული: „მხოლოდ სამხედროთათვის“. პატრული სინჯავდა საბუთებს, მაგრამ არაფერი უთქვამს გრებერისთვის იმის გამო, რომ ერთი დღით იგვიანებდა. იგი ვაგონში ავიდა და ფანჯარასთან დაჯდა. ცოტა ხნის შემდეგ კიდევ სამნი ამოვიდნენ; ერთი უნტეროფიცერი, ვილაც ეფრეიტორი ჭრილობის ნაკვალევით სახეზე და არტილერისტი, რომელიც მაშინვე ჭამას შეუდგა. ბაქანზე საველე სამზარეულო გამოაგორეს. ორი ახალგაზრდა მოწყალების და გამოჩნდა და ერთიც კიდევ, ხანში შესული, რომელსაც გულქანდის ადგილზე რკინის სვასტიკა ეკეთა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ყავას არიგებენ, — თქვა უნტეროფიცერმა, — ერთი უყურე!

— ეგ ჩვენთვის არ არის, — მიუგო ეფრეიტორმა, — ეგ ახალწვეულთათვისაა, რომლებიც პირველად მიემგზავრებიან ფრონტზე. მე უკვე ადრეე ვიკითხე. ყავასთან ერთად სიტყვითაც მიმართავენ მათ. ასეთ რამეებს ჩვენთვის უკვე აღარ აკეთებენ.

ლტოლვილთა ჯგუფი მოიყვანეს. გადათვალეს და ახლა ორმწკრივად იდგნენ თავიანთი მუყაოს ყუთებითა და ჩემოდნებით ხელში. თან ყავის ქვაბს მისჩერებოდნენ. რამდენიმე ესესელი ოფიცერი გაჩნდა საიდანლაც. ელეგანტური ჩექმები და გალიფეები ეცვათ და ბაქნის გასწვრივ ყანჩებივით მიმოდიოდნენ. კუპეში კიდევ სამი შვებულებიანი შემოვიდა. ერთ-ერთმა ფანჯარა გააღო და გარეთ გადაეყუდა. გარეთ ბავშვიანი ქალი იდგა. გრებერმა ჯერ ბავშვს შეხედა და მერე ქალს. ქალს დანაოჭებული ყელი, შეშუპებული ქუთუთოები, ჩამომჭკნარი მკერდი ჰქონდა და რეცხვისგან გახუნებული საზაფხულო კაბა ეცვა, რომელზედაც ცისფერი ქარის წისქვილები იყო გამოყვანილი. გრებერს ეჩვენებოდა, რომ ყველაფერს უფრო მკაფიოდ ხედავდა, ვიდრე სხვა დროს — შუქსაც და ყოველივე იმას, რასაც უმზერდა.

— აბა, მაშ ასე, ჰაინრიჰ, — წარმოთქვა ქალმა.

— ჰო, კარგად იყავი, მარი! ყველანი მომიკითხე.

— კარგი...

მათ ერთმანეთს შეხედეს და დადუმდნენ. ბაქნის შუაგულში რამდენიმე კაცი გაჩერდა მუსიკალური ინსტრუმენტებით ხელში.

— ხედავ, რა ფახიფუხია, — თქვა ეფრეიტორმა, — ქორფა საზარბაზნე ხორცი მუსიკით მიემგზავრება. მე კი მეგონა, რომ ასეთი რამეები დიდი ხანია პატრონს ჩაბარდა.

— არ შეეძლოთ, ცოტაოდენი ყავა ჩვენთვისაც მოეცათ? — მიუგო ამაზე უნტეროფიცერმა, — ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ძველი მებრძოლნი ვართ და ჩვენც ფრონტზე მივდიოართ!

— საღამომდე დაიცადე. მაშინ წვნიანის ნაცვლად მაგას მიიღებ.

სამწყობრო ნაბიჯები და ბრძანებები შემოესმათ. ახალწვეულნი მოვიდნენ. თითქმის ყველანი ძალზე ახალგაზრდები იყვნენ. მხოლოდ რამდენიმე მათგანი ჩანდა შედარებით ჯანღონიანი და ასაკოვანიც. ესენი ალბათ მოიერიშეთაგან და ესესელთაგან იყვნენ წამოყვანილნი.

— მათგან უმრავლესობას ჯერ წვერიც არ ამოსვლია, — თქვა ეფრეიტორმა, — ერთი შეხედეთ ამ ქორფა ჯეჯილს! სულ ბავშვები არიან! მოდი მერე და მაგათი იმედი გქონდეს ფრონტზე!

ახალწვეულნი ეწყობოდნენ, უნტეროფიცრები ღრიალებდნენ. მერე სიჩუმე გამეფდა. ვიღაცა სიტყვას ამბობდა.

— დახურე ფანჯარა, — უთხრა ეფრეიტორმა ჯარისკაცს, რომლის ცოლიც გარეთ იდგა.

ჯარისკაცმა არაფერი უპასუხა. ორატორის ხმა ისე როხროხებდა, თითქოს თუნუქის სახმო სიმებიდან ამოდიოდა. გრებერი ზურგით კუპეს კედელს მიეყრდნო და თვალები დახუჭა. ჰაინრიჰი ისევ ფანჯარასთან იდგა. მას არ გაუგონია ეფრეიტორის ნათქვამი. დაბნეული და მოწყენილი ბრიყვულად მისჩერებოდა მარის. ხოლო მარი ასევე უჭვრეტდა მას. „რა კარგია, რომ ელიზაბეტი აქ არ არის", — გაიფიქრა გრებერმა.

ხმა, როგორც იქნა, მიწყდა. ოთხმა მუსიკოსმა „გერმანია, გერმანია, უწინარეს ყოვლისა" და ჰორსტ ვესელის სიმღერა დაუკრა. ორივე სიმღერა ნაჩქარევად შეასრულეს, თითოეული მათგანიდან თითო სტროფი. არავინ განძრეულა კუპეში. ეფრეიტორი ცხვირს იჩიჩქნიდა და უინტერესოდ ათვალიერებდა თავისი გათხრების შედეგებს.

ახალწვეულნი ვაგონებში ჩასხდნენ. ყავით სავსე ქვაბი მათ გაჰყვა. ცოტა ხნის შემდეგ იგი უკან დაბრუნდა დაცლილი.

— ეს ბოზები, ესა! — თქვა უნტეროფიცერმა, — ძველ სამხედროებს კი წყურვილით ახრჩობენ!

კუთხეში მიმჯდარმა არტილერისტმა წამით შეწყვიტა ჭამა.

— რაა? — შეეკითხა იგი.

— ბოზები-მეთქი. შენ რას იღმურძლები მანდ? ხბოს ხორცს?

არტილერისტმა კბილები ჩაასო ბუტერბროდს.

— არა, ღორისას, — მიუგო მან.

— ღორისას...— უნტეროფიცერმა კუპეში მჯდომთ, ყველას, სათითაოდ შეხედა. იგი თანამგრძნობელთ ეძებდა, მაგრამ არტილერისტი ამას აინუნშიც არ აგდებდა.

ჰაინრიჰი ჯერაც ფანჯარასთან იდგა.

— დეიდა ბერტაც მომიკითხე, — უთხრა მან მარის.

— კარგი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შემდეგ წყვილი დუმდა.

— რატომ არ მიდიოართ? — იკითხა ვილაცამ, — უკვე ხომ ექვს საათზე მეტია.

— ალბათ რომელიმე გენერალს ვუცდით.

— გენერლები თვითმფრინავებით დაფრინავენ.

მათ კიდევ ნახევარი საათი მოუხდათ ცდა.

— ახლა კი წადი, მარი, — ეუბნებოდა ჰაინრიჰი დროდადრო.

— არა, დავიცდი.

— უკვე ბავშვის ჭამის დროა.

— მოასწრებს, მთელი საღამო ჯერ წინ არის.

ერთხანს ისევ დუმდნენ.

— იოზეფიც მომიკითხე, — უთხრა ჰაინრიჰმა ბოლოს.

— ჰო, კარგი. გადავცემ.

არტილერისტმა ერთი კარგისა დაიძახა, ღრმად ამოიოხრა და მაშინვე ჩაიძინა. გეგონებოდათ, მხოლოდ ამას ელოდაო, მატარებელი ნელა დაიძრა.

— მაშ ასე, ყველანი მომიკითხე, მარი!

— შენც მომიკითხე, ჰაინრიჰ!

მატარებელმა სვლას უმატა. მარი ვაგონის გვერდით მორბოდა.

— ჩვენს პატარას გაუფრთხილდი, მარი!

— ჰო, ჰო, ჰაინრიჰ! შენ კი თავს გაუფრთხილდი!

— რა თქმა უნდა! რა თქმა უნდა!

გრებერი ფანჯრის ქვედა ნაწილიდან ხედავდა მატარებელს ადევნებული ქალის დარცხვენილ სახეს. ისე გამორბოდა, თითქოს მისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხი იყო ჰაინრიჰისთვის კიდევ ათი წამის განმავლობაში ყურება.

და შემდეგ, უეცრად, ელიზაბეტი დაინახა. სადგურის ფარდულს ამოჰფარებოდა. ვიდრე მატარებელი იდგა, იგი არ ჩანდა, გრებერი მხოლოდ წამით დაეჭვდა, მერე კარგად გაარჩია მისი სახე, რომელზედაც ისეთი სრული დაბნეულება ალბეჭდილიყო, რომ გაქვავებული გეგონებოდათ. გრებერი წამოხტა და ჰაინრიჰს საყელოში ჩააფრინდა.

— მიმიშვი ფანჯარასთან!

ერთბაშად ყველაფერი დააგიწყდა. უკვე აღარ ესმოდა, თუ რატომ წამოვიდა სადგურზე მარტო. უკვე აღარაფერი ესმოდა. მხოლოდ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ელიზაბეტი უნდა დაენახა, უნდა დაეძახა მისთვის. მას ხომ ყველაზე მიუჯარი უთქვამს დარჩა.

ჰაინრიჰს ქეჩოში ეჯავაგურებოდა, მაგრამ იგი მჭიდროდ გადაეკუდებულიყო და იდაყვები გარეულან მიეჭირა ფანჯრის ჩარჩოზე.

— ლიზე მიმეკითხე, — უყვირიდა ცოლს ბორბლების რახრახში.

— მიმიშვი-მეთქი! მოსცილდი ფანჯრას! გარეთ ჩემი ცოლი დგას!

გრუბერმა ჰაინრიჰს ბეჭებზე მოხვია ხელები და გამოსწია. ჰაინრიჰმა ფეხების ქნევა დაიწყო და გრუბერს წვეტში მოარტყა წიხლი.

— ყველაფერზე თავალი გეჭიროს! — ყვირიდა იგი.

ქალის ხმა უკვე ალარ ისმოდა. გრუბერმა მუხლს უკან ჰკრა ჰაინრიჰს და მხრებიდან მოსწია, მაგრამ ჰაინრიჰი ადგილიდან არ იძროდა. ცალ ხელს ცოლს უქნევდა, ხოლო იდაყვით და მეორე ხელით ფანჯარასთან თავის ადგილს ინარჩუნებდა. მატარებელმა მოუხვია. გრუბერმა ჰაინრიჰის თავის ზემოდან ელიზაბეტი დაინახა. იგი უკვე ძალიან შორს იყო, სულ პატარად ჩანდა და მარტოდმარტო იდგა ფარდულის წინ. გრუბერმა ჰაინრიჰის ჩალისფერი ჯაგარა თმით დაფარული თავის ზემოდან დაუქნია ხელი. იქნებ ხელი მაინც შეენიშნა ელიზაბეტს, მაგრამ დანახვით კი არ შეეძლო დაენახა, თუ ვინ უქნევდა. სახლების გროვამ ჩაიქროლა და სადგური თვალს მიეფარა.

ჰაინრიჰი ნელა მოშორდა ფანჯარას.

— შე შეჩვენებულო... — დაიწყო გრუბერმა გააფთრებით, მაგრამ თავი შეიკავა. ჰაინრიჰი მისკენ მიბრუნდა. მსხვილი ცრემლები ლაპალუპით ჩამოსდიოდა სახეზე. გრუბერმა ხელები დაბლა დაუშვა.

— ეჰ, ეს ოხერი, ესა!

— აბა, აბა, — უთხრა ეფრეიტორმა.

XXV

თავისი პოლკი ორი დღის შემდეგ იპოვა და ასეულის კანცელარიაში გამოცხადდა. ფელდფებელი არ დახვდა. მხოლოდ მწერალი იყო იქ მოკალათებული. ეს სოფელი ას ოცი კილომეტრით დასავლეთით მდებარეობდა იმ ადგილიდან, სადაც ასეული გრუბერის გამგზავრების წინ იდგა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— როგორაა საქმე? — შეეკითხა იგი.

— ჭაკად! როგორ გაატარე შვებულება?

— ისე რა. ბევრი ბრძოლა გადაიტანეთ?

— რა ვიცი, რაღა არ გადავიტანეთ. ხომ ხედავ, ახლა სად ვიმყოფებით.

— ასეული სად არის?

— ერთი ოცეული სანგრებს თხრის, მეორე დახოცილებს მარხავს. შუადღისას დაბრუნდებიან.

— ბევრი რამ შეიცვალა?

— შენ თვითონ ნახავ. არ მახსოვს, შენსობას კიდევ ვინ იყო აქ დარჩენილი. ძალიან დიდი შეცვლა მივიღეთ. სულ ბავშვები არიან. მუსრი ეცლებათ, როგორც ბუზებს დაზამთრებულზე. ომისა არა გაეგებათ რა. ჩვენ ახალი ფელდფებელი გვყავს. ძველი დაიღუპა. პუტკუნა მაინერტი.

— რა, განა ისიც მოწინავეზე იყო?

— არა, ტუალეტში მოაყუჩა ყუმბარამ და ჰაერში ატყორცნა მთელ სალაფავთან ერთად, — მწერალმა დაამთქნარა, — შენ თვითონ ნახავ, რაც აქ ამბები ტრიალებს. შენ რა, სამშობლოში ყოფნისას ვერ მიირტყი უკანალში ერთი პატარა ნამსხვრევი?

— ჰო, — თქვა გრებერმა, — მართლაცდა, ასე რატომ არ მოვიქეცი? კარგი აზრი ხომ ყოველთვის მაშინ მოგდის კაცს თავში, როდესაც უკვე გვიან არის.

— მე შენს ადგილზე არხეინად ორიოდე დღეს კიდევ დავიგვიანებდი. ამ არევ-დარევაში არავინ მოგიკითხავდა.

— ასეთი რამეც ხომ მხოლოდ მაშინ მოსდის კაცს თავში, როცა უკვე უკან დაბრუნდება.

გრებერმა სოფელში გაიარა. იგი იმ სოფელს აგონებდა, რომელშიც უკანასკნელად იყო. ყველა ეს სოფელი ერთმანეთს ჰგავდა. ყველანი თანაბრად გაპარტახებულიყო. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ ახლა თოვლი თითქმის უკვალოდ გამქრალიყო. ყველაფერი სველი და ტალახიანი იყო. ჩექმა ღრმად ეფლობოდა ტალახში და ზედ მიწა ისე ეკვროდა, თითქოს მისი გაძრობა ეწადა. მთავარ ქუჩაზე ფიცრები გაედოთ, რათა გავლა ყოფილიყო შესაძლებელი. მათ წყალში ჭყაპაჭყუპი გაუდიოდათ, ხოლო როცა ვინმე ცალ ბოლოში დააბიჯებდა ფეხს, მეორე ბოლო მაღლა იწევდა და თან წურწურით იღვენთებოდა ლაფი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ზზე ანათებდა და საკმაოდ თბილოდა. გრებერს მოეჩვენა, რომ აქ გაცილებით უფრო თბილოდა, ვიდრე გერმანიაში. ფრონტიდან მომავალ გრუხუნს ყური მიუგდო. ძლიერი საარტილერიო ცეცხლი ტალღასავით ხან მომძლავრდებოდა და ხანაც კლებულობდა. მან მოძებნა სარდაფი, რომელიც მწერალმა მიასწავლა, და თავისი ნივთები თავისუფალ ადგილზე დაალაგა. უსაზღვროდ გაჯავრებული იყო თავის თავზე, რომ შვებულება კიდევ ერთი ან ორი დღით არ გადააცდინა. როგორც ჩანდა, აქ მართლაც არავის სჭირდებოდა იგი. ისევ გარეთ გამოვიდა. სოფლის წინ სანგრები ამოეთხარათ. ახლა ისინი პირამდე ავსო წყალს და კიდეები დაბლა დასწეოდათ. ზოგან ვიწრო ბეტონირებული საცეცხლე წერტები აეგოთ. სველ მიდამოში ისინი საფლავის ქვებივით იდგნენ.

გრებერი უკან დაბრუნდა. მთავარ ქუჩაზე ასეულის უფროსი რაე დაინახა. იგი წონასწორობას იცავდა და ისე მოაბიჯებდა ფიცრებზე, როგორც რქისსათვალიანი ყანჩა. გრებერმა თავისი ჩამოსვლის შესახებ მოახსენა.

— ბედი გქონიათ, — უთხრა რაემ, — თქვენი წასვლა და შვებულებათა გაუქმება ერთი იყო, — მან გრებერს შეხედა თავისი ნათელი თვალებით, — ხომ ღირდა წასვლა?

— დიახ, — მიუგო გრებერმა.

— აი, ეს კარგია! ჩვენ კი ამ ტლაპოში ვართ გახირულნი. მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი პოზიციაა. ალბათ უკან დავიხევთ სათადარიგო პოზიციაზე, რომელსაც ამჟამად ახლად ამაგრებენ. არ ნახეთ? თქვენ ხომ იქ გამოივლიდით.

— არა, არ მინახავს!

— არა?

— არა, ჰერ ლეიტენანტო, — უთხრა გრებერმა.

— დაახლოებით ორმოც კილომეტრზეა აქედან.

— ალბათ ღამე გამოვიარეთ ეგ ადგილი, მე გზაში ბევრი მეძინა.

— შეიძლება მართლაც ასე იყო, — რაემ კვლავ გამომცდელად შეხედა გრებერს, — თითქოს რაღაც სურდა კიდევ ეკითხა. მერე კი უთხრა, — თქვენი მეთაური ბრძოლის ველზე დაეცა, ლეიტენანტი მიულერი. ახალ თქვენ ლეიტენანტი მასი გყავთ.

— მესმის.

რაემ ხელჯოხით სველი თიხა ამოჩიჩქნა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ვიდრე ასეთი ტალახები იქნება, რუსებს არტილერიითა და ტანკებით წინსვლა გაუჭირდებათ. ამით კი ჩვენ დროს მოვიგებთ და ხელახლა მოვეწყობით. ყველაფერს აქვს თავისი კარგი და ცუდი მხარეები, არა? კარგია, რომ დაბრუნდით, გრებერ! ჩვენ ძველი ჯარისკაცები გვჭირდება ახალი შევსების გასაწვრთნელად, — მან კვლავ ამოჩიჩქნა თიხა, — რა ამბებია ზურგში?

— დაახლოებით ისეთივე, როგორიც აქ. ბევრი საჰაერო თავდასხმაა.

— მართლა? ასე ცუდად არის საქმე?

— არ ვიცი, რამდენად ცუდად იყო საქმე სხვა ქალაქებთან შედარებით, მაგრამ ყოველ ორ დღეში სულ მცირე ერთი თავდასხმა მაინც იყო.

რაემ ისე შეხედა გრებერს, თითქოს მოელოდა, რომ იგი კიდევ ეტყოდა რამეს.

მაგრამ გრებერი დუმდა.

*

დანარჩენები შუადღისას დაბრუნდნენ.

— ოჰო, შვებულებიანი! — თქვა იმერმანმა, — კაცო, მაინც რამ მოგიყვანა უკან ამ საოხროში? რატომ არ იდეზერტირე?

— მერე სად უნდა წავსულიყავი? — შეეკითხა გრებერი.

იმერმანმა თავი მოიფხანა.

— შვეიცარიაში, — მიუგო შემდეგ.

— ასეთი რამ არ მომსვლია თავში, შე ჭკუის კოლოფო, შენა! მერე დეზერტირთათვის ხომ ყოველდღიურად საგანგებო ფეშენებელური მატარებლები გადიან შვეიცარიისკენ. სახურავებზე წითელი ჯვრები ახატიათ და მათ არ ბომბავენ. ხოლო შვეიცარიის მთელი საზღვრის გაყოლებით ტრიუმფალური თაღებია აღმართული წარწერით: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“ სხვა კიდევ რა იცი, შე ბოთეკ, შენა? ან როდის აქეთ არის, რომ ასეთი რამეების ლაპარაკს ბედავ?

— ყოველთვისაც ვბედავდი. შენ ეს, ეტყობა, საშშობლოში ყოფნისას დაგავიწყდა, სადაც ყველანი მხოლოდ ჩუმად ტუტუნებენ. თანაც ჩვენ უკან ვიხევთ. თითქმის გავრბივართ. და ყოველი ასეული კილომეტრის უკან დახევის შემდეგ ტონი უფრო და უფრო თავისუფალი ხდება.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იმერმანმა თავისი მუნდირიდან ტალახის ფხეკა დაიწყო.

— მიულერი მოკლეს, — თქვა მან, — რაინეკე და შრიოდერი ჰოსპიტალში არიან. მიუკეს მუცელში მოხვდა ტყვია. როგორც ამბობენ, ვარშავაში გაჭიმა ფეხები. კიდევ ვინ იყო აქ ძველებიდან? ჰო, მართლა, ბერნინგი... მარჯვენა ფეხი დაკარგა და სისხლისგან დაიცალა.

— შტაინბრენერი?

— შტაინბრენერი ჯანზეა და მხნეობა არ აკლია. რაზე მეკითხები?

— ისე, სხვათა შორის...

გრებერი მას ნავახშმევს შეხვდა. შტაინბრენერი მზით გარუჯულ გოთურ ანგელოზს ჰგავდა.

— რა გუნებაზე არიან სამშობლოში? — შეეკითხა იგი.

გრებერმა ძირს დადგა თავისი კარდალა.

— როცა საზღვარზე მოვედით, — უთხრა მან, — ჩვენ ერთმა ესესელმა კაპიტანმა შეგვკრიბა და განგვიმარტა, რომ არც ერთმა ჩვენგანმა კრინტი არ უნდა დასძრას სამშობლოში არსებული სიტუაციის შესახებ, თორემ უმკაცრესი სასჯელით დაისჯება.

შტაინბრენერმა გაიცინა.

— მე არხეინად შეგიძლია მიამბო ყველაფერი.

— მაშინ ნამდვილი ვირი ვიქნებოდი. უმკაცრესი სასჯელი ნიშნავს დახვრეტას იმპერიის დაცვის საბოტაჟისთვის.

შტაინბრენერმა სიცილი შეწყვიტა.

— შენ ისე ამბობ, თითქოს ვინ იცის, რა იყოს მოსაყოლი. თითქოს იქ რაღაც კატასტროფები ხდებოდეს!

— მე არაფერს ვამბობ. მე მხოლოდ იმას ვიმეორებ, რაც ესესელმა კაპიტანმა გვაუწყა.

შტაინბრენერი გამომცდელად დააცქერდა გრებერს.

— ცოლი შეგირთავს, არა?

— შენ საიდან იცი?

— მე ყველაფერი ვიცი!

— კანცელარიაში შეიტყობდი. თავი ნუ მოგაქვს. ხშირად დადიხარ კანცელარიაში, არა?

— იმდენჯერ, რამდენიც საჭიროა. თუ შვებულებაში წავედი, მეც შევირთავ ცოლს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ჰოო? უკვე იცი, ვისაც?

— ჩემი ქალაქის ობერშტურმბანფიურერის ქალიშვილს.

— რაღა თქმა უნდა!

შტაინბრენერმა ვერ შენიშნა ირონია.

— სისხლის შერჩევა პირველი კლასისა გამოგვდის, — განაცხადა მან გატაცებით, — ჩრდილოფრიზული — ჩემი მხრიდან და რაინულ-სამხრეთსაქსონიური — მისი მხრიდან.

გრებერი რუსულ მეწამულ დაისს მისჩერებოდა. რამდენიმე ყვავი თალხი ჩვრებივით დაფარფატებდა მის ფონზე.

შტაინბრენერი სტვენით წავიდა. გრებერი უკან გამოტრიალდა. ფრონტი გრუხუნებდა, ყვავები დაფრინავდნენ. ანაზდეულად ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს არც წასულიყო ოდესმე აქედან.

*

ღამის თორმეტი საათიდან ორამდე ყარაულში იყო და სოფელს უვლიდა გარს. ნანგრევები შავად მოჩანდნენ ფრონტის ფეიერვერკში. ზეცა კრთოდა, ხან ნათდებოდა და ხანაც ბნელდებოდა ქვემეხთა ლულებიდან გამოვარდნილი ცეცხლის ენებისგან. ჩექმები შეჩვენებულთა სულებივით კვნესოდნენ ბლანტ ტალახში.

ტკივილი სწრაფად, მოულოდნელად დაეუფლა, ისე, რომ წინასწარ არაფერი უგრძნია. არაფერს ფიქრობდა და როგორღაც დაჩლუნგებული იყო მგზავრობის დღეებში. ახლა კი, ანაზდეულად და ყოველგვარი გადასვლის გარეშე, ისე დაჰკოდა ტკივილმა, თითქოს ასო-ასო ჰკუწავდნენ.

გაჩერდა და დაელოდა. გარინდებული იყო. ელოდა იმას, რომ დანებს დაეწყოთ შიგნეულში ტრიალი, რომ ისინი წამებად გადაქცეულიყვნენ, სახელები შეეძინათ და ამ სახელებით ლოკალიზებულიყვნენ, რათა ამით მისაწვდომი გამხდარიყვნენ გონებისა და ნუგეშისთვის ანდა, სულ მცირე, ფატალური აღიარებისთვის მაინც.

მაგრამ ეს არ მომხდარა. იგი სხვას არაფერს გრძნობდა, თუ არა მწველავ ტკივილს დანაკარგისა. სამუდამო დანაკარგისა. არსად იყო ხიდი. მას ყველაფერი ჰქონდა და ახლა ყველაფერი დაკარგული იყო. ყური მიაპყრო საკუთარ თავს. სადმე ხომ უნდა ყოფილიყო კიდევ მიმალული ჩქამი, გამოძახილი სასოებისა, მაგრამ ვერაფერი პოვა. მის სულში მხოლოდ სიცარიელე და ენით უთქმელი ტკივილი იყო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„ჯერ ადრეა, — გაიფიქრა, — იმედი კვლავ დამიბრუნდება, მოგვიანებით, როცა ტკივილი გამივლის“. და შეეცადა ხელოვნურად გამოეწვია იგი, არ სურდა, რომ ყველაფერი წართმეოდა, იმედის შენარჩუნება სწადდა, თუნდაც ტკივილი აუტანელი გამხდარიყო. „დამიბრუნდება, თუკი გავუძლებ“, — ფიქრობდა იგი. მერე სახელები ჩამოთვალა და შეეცადა, ყოველივე დაწვრილებით მოეგონებინა. ბურუსში ელიზაბეტის დაბნეული სახე ამოუტივტივდა. იგი ისეთი იყო, როგორიც უკანასკნელად ნახა. მისი ყველა დანარჩენი სახე, რომელიც ოდესმე ჰქონდა, წარიშალა. მარტო ეს ერთი გამოისახა მკაფიოდ. გრებერმა ბაღისა და ფრაუ ვიტეს სახლის წარმოდგენა სცადა. შეძლო კიდეც, მაგრამ ისე, თითქოს როიალი დაეკრა და ერთი ბგერაც კი არ გახმიანებულიყო. „რა მოხდა? — ფიქრობდა იგი, — იქნებ რამე მოუვიდა? იქნებ უგონოდ არის? იქნებ სწორედ ახლა სახლი დაექცა თავზე? იქნებ მკვდარია უკვე?!“

ტალახიდან ჩექმები ამოაძრო. სველმა მიწამ ამოიხვნეშა. გრებერმა იგრძნო, რომ ოფლმა დაასხა.

— ეგრე არაქათი გამოგეცლება, — უთხრა ვილაცამ.

ზაუერი გამოდგა. იგი დანგრეული ბოსლის კუთხეში იდგა.

— და ეგეც რომ არ იყოს, ისე ხმაურობ, რომ ერთ კილომეტრზე ისმის, — მოახსენა მან, — რას შვრები? თავისუფალ ვარჯიშს ხომ არ ასრულებ?

— შენ ცოლიანი ხარ, ზაუერ?

— რა თქმა უნდა. როცა კაცს ადგილ-მამული გაქვს, უნდა ცოლიც გყავდეს, თორემ უცოლოდ კარგ მეურნეობას ვერ შექმნი.

— დიდი ხანია, რაც შეირთე?

— თხუთმეტი წელიწადია. რაზე მეკითხები?

— ნეტა როგორ არის ხოლმე, როცა ამდენი ხანი ცოლიანია კაცი?

— ვერ გამიგია, რას მეკითხები? რა როგორ უნდა იყოს?

— აი, არის თუ არა იგი ღუზასავით, რომელიც გიმაგრებს? რაღაც ისეთი, რაზეც მარად ფიქრობ და მასთან დაბრუნება გწადია?

— რა ღუზა, რის ღუზა! რასაკვირველია, მე ვფიქრობ ამაზე. აი, თუნდაც მთელი დღევანდელი დღე. ახლა საგაზაფხულო თესვისა და რგვის დროა! პირდაპირ ჭკუას კარგავ კაცი ასეთი ფიქრებისგან.

— მე შენს მეურნეობას კი არ ვგულისხმობ, არამედ შენს ცოლს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მერედა, ეს ხომ განუყოფელია. განა ამ წუთში არ აგიხსენი? უცოლოდ კარგ მეურნეობას ვერ შექმნი-მეთქი. მაგრამ ფიქრით რას გააწყობ? თავს იტანჯავ და სხვა არაფერი. ახლა ეს იმერმანიც ხომ... დაუჩემებია, ყველა მარტოდ დარჩენილი ქალი სამხედრო ტყვესთან წევსო, — ზაუერმა ცხვირი მოიხოცა, — ჩვენ დიდი ორსაწოლიანი საწოლი გვაქვს, — დაუმატა მან რატომღაც.

— იმერმანი ყბედია!

— ის ამბობს, რომ თუ ქალმა ერთხელ უკვე შეიცნო, რა არის მამაკაცი, მერე უკვე დიდხანს ვერ გაძლებს მარტო და ვინმე სხვას მოძებნისო.

— ერთი უყურეთ იმ ნაძირალას! — თქვა გრებერმა, რომელიც უცებ ძალიან გაბრაზდა, — მაგ წყეულ მოლაყბეს ჰგონია, რომ ყველა ერთნაირია. ამაზე უფრო დიდი სისულელე ქვეყნად არ არსებობს!

XXVI

ერთიმეორეს ველარ ცნობდნენ. ერთმანეთის ფორმასაც კი ველარ არჩევდნენ. ხშირად მარტოოდენ მუზარადებს, ხმებსა და ლაპარაკზე ხვდებოდნენ, რომ თავისიანებთან ჰქონდათ საქმე. სანგრები დიდი ხანია ჩამოინგრა. ფრონტი ყუმბარათა მიერ ამოთხრილი ძაბრებისა და ბლინდაჟების ოკრობოკრო ხაზს წარმოადგენდა. თანაც იგი განუწყვეტლივ იცვლებოდა. სხვა აღარა იყო რა, თუ არა წვიმა, ღმუილი, წყვდიადი, აფეთქებათა შუქი და ტალახის შხეფები. ცა ჩამოიქცა. მოწინააღმდეგის მოიერიშეებმა ჩამოაქციეს იგი. კოკისპირული დელგმა მოდიოდა და მასთან ერთად ყუმბარათა და ჭურვთა მეტეორები.

პროჟექტორები თეთრი ნაგაზებივით დასუნსულებდნენ დაფხაჟებულ ღრუბლებში. აზანზარებულ ცისკიდურთა გრუხუნში საზენიტო არტილერიის ბათქაბუთქი გამოატანდა ხოლმე. ცეცხლწაკიდებული თვითმფრინავები ცვიოდნენ დაბლა და მათ კვალდაკვალ მგეზავ ტყვიათა ოქროს სეტყვა კონებად იფრქვეოდა და უსასრულობაში უჩინარდებოდა. ყვითელი და თეთრი გამანათებელი შუშხუნები პა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რაშუტებით ეკიდნენ გაურკვეველ სიმაღლეზე და ისე ქრებოდნენ, თითქოს ღრმა წყალში იძირებოდნენ. მერე კვლავ გრიგალისებური ცეცხლი იწყებოდა.

მეთორმეტე დღე დადგა. პირველი სამი დღის განმავლობაში ფრონტის ხაზი შეინარჩუნეს. გამაგრებულმა ბლინდაჟებმა, რომელთაც ჯაგარივით აესხათ ლულათა ტევრი, საარტილერიო ცეცხლს ერთობ მძიმე დაზიანებათა ფასად გაუძლეს. მერე ყველაზე წინწაწეული ხანგრძლივი საცეცხლე პუნქტები დაკარგეს. ფრონტის ხაზი ტანკებმა გაარღვიეს, მაგრამ ტანკსაწინააღმდეგო ქვემეჯებმა ისინი რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ გააჩერეს. იდგნენ ტანკები დილის ბინდბუნდში და იწვოდნენ. ზოგი მათგანი თავდაყირა გადმობრუნებული ეგდო და მათი მუხლუხები კიდევ კარგა ხანს მოძრაობდნენ, როგორც ზურგზე გადაბრუნებული ბუმბერაზი ხოჭოების ფეხები. საჯარიმო ბატალიონები გაგზავნეს, რათა მორებისგან ხეფენილი მოეწყოთ და სატელეფონო კავშირი აღედგინათ. თითქმის საფარგარეშე მოუხდათ მუშაობა და ორი საათის განმავლობაში პირადი შემადგენლობის ნახევარზე მეტი დაკარგეს. ნაცრისფერი ციდან ურიცხვი ყუმბარმშენი ეშვებოდა დაბლა მოუქნელად და იერიში მიჰქონდა ხანგრძლივ საცეცხლე წერტებზე. მეექვსე დღეს იერიშებმა საცეცხლე წერტების ნახევარი მწყობრიდან გამოიყვანეს. მათი გამოყენება მხოლოდ საფრებადღა შეიძლებოდა. მეშვიდე ღამეს რუსები შეტევაზე გადმოვიდნენ, მაგრამ უკუაქციეს. შემდეგ ისეთი წვიმა წამოიწყო, თითქოს წარღვნა ერთხელ კიდევ უნდა დასტყდომოდა ქვეყნიერებას. ჯარისკაცებს ველარ იცნობდით. ისე დაფოფხავდნენ წებოვან თიხნარ ძაბრებში, როგორც ერთი და იმავე დამცველი ფერის მქონე მწერები. ასეულს ორი საყრდენი პუნქტიღა შემორჩენოდა — ორი დანგრეული ბლინდაჟი, რომლებშიც ტყვიამფრქვევები იყო, ხოლო მათ უკან რამდენიმე ნალმსატყორცნი იდგა. პირადი შემადგენლობის ნაშთები ძაბრებში ან გადარჩენილი ქვის კედლების უკან იმალებოდნენ. ერთ ბლინდაჟს რაე იმაგრებდა, მეორეს — მასი.

სამი დღე გაძლეს ასე. უკვე მეორე დღესვე თითქმის აღარ ჰქონდათ საჭურველი. რუსებს მათი პოზიციები უომრად შეეძლოთ დაეკავებინათ, მაგრამ შეტევაზე აღარ გადმოსულან. მოგვიანებით, როცა ბინდი ჩამოწვა, რამდენიმე გერმანული თვითმფრინავი გამოი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჭრა მათკენ და საჭურველი და სანოვაგე ჩამოყარა. ჯარისკაცებმა აქედან ერთი ნაწილი ბლინდაჟებში შეიტანეს და დანაყრდნენ. ღამით მაშველი ძალა მოვიდა. მუშათა ბატალიონებმა ხეფენილი დააგეს. ქვემეხები და ტყვიამფრქვევებიც მოიტანეს. ერთი საათის შემდეგ შეტევა დაიწყო, სრულიად მოულოდნელად, საარტილერიო მომზადების გარეშე. რუსებმა ანაზდეულად მოწინავე ხაზიდან ორმოცდაათი მეტრის მოშორებით ამოყვეს თავი. ხელყუმბარათა ერთი ნაწილი არ აფეთქდა. რუსებმა ფრონტი გაარღვიეს. აფეთქებათა კიაფში გრებერმა თავის წინ მუზარადი, თეთრი თვალები და ფართოდ გაღებული პირი დაინახა, ხოლო მის უკან კი — ცოცხალი ტოტის დარად მოღერებული ხელი. მან ესროლა. მერე გვერდით მყოფ ახალწვეულს ხელყუმბარა გამოჰგლიჯა, რომლისთვისაც ამ უკანასკნელს ვერაფერი მოეხერხებინა, და გაისროლა — სირბილით მიმავალს უკან დაადევნა. ხელყუმბარა აფეთქდა.

— კაფსულები ამოხრახნე, იდიოტო! — დაუყვირა მან ახალწვეულს, — აქ მოიტა! არ გამოაძრო!

მომდევნო არ აფეთქდა. „საბოტაჟი, — გაუელვა თავში, — სამხედრო ტყვეების საბოტაჟი, რომელიც ახლა საგრძნობი ხდება!“ ახლა მეორე ყუმბარა მოისროლა, თვითონ კი დაბლა დაიღო თავი. მერე დაინახა, რომ რუსული ხელყუმბარა მოფრინავდა მისკენ, ტალახში ჩაეფლო და მაშინვე აფეთქებით გამოწვეული ჰაერის ტალღა იგრძნო, რაღაცამ შოლტივით გადაუჭირა, რაღაცამ ტყაპანი მოადინა და ტალახი შეასხა. ხელი უკან გაიწოდა და დაუყვირა:

— აბა, ჰა! სწრაფად! მოიტა! — და მხოლოდ მაშინ, როცა ხელში ხელყუმბარა არ მიაწოდეს, მიაბრუნა თავი და დაინახა, რომ ახალწვეული აღარსად ჩანდა და რომ ჭუჭყი მის ხელისგულზე ხორცი იყო. ქვევით ჩასრიალდა, მოძებნა და იპოვა კიდეც თასმა, ჩამოჰგლიჯა ორი უკანასკნელი ხელყუმბარა და დაინახა, რომ ძაბრის კიდეზე ჩრდილები მიბობღავდნენ, ხტებოდნენ ზედ და სირბილს განაგრძობდნენ, იგი მოიკუნტა...

„ტყვედ ჩავვარდი, — გაიფიქრა მან, — ტყვედ! გადამთელეს“. ფრთხილად აცოცდა ძაბრის კიდემდე. ტალახი იფარავდა, ვიდრე გაუნძრევლად იწვა. გამანათებელი რაკეტის შუქზე დაინახა, რომ ახალწვეული ნაფლეთებად იყო ქცეული და აქეთ-იქით გაფანტული: სად ფეხი ეგდო, სად გაშიშვლებული ხელი, სად კიდევ დაგლეჯი-

ლი სხეული. ხელყუმბარა პირდაპირ მუცელში მოხვედროდა. მისმა სხეულმა მიიღო აფეთქების მთელი ძალა და დაიცვა გრებერი.

ასე იწვა და თავს ძაბრის კიდეზე მალლა აღარ სწევდა. დაინახა, რომ მარჯვენა ბლინდაჟიდან ტყვიამფრქვევი ისროდა, მერე მარცხენაც ამოქმედდა. ვიდრე ისინი ისროდნენ, გრებერის საქმე უიმედო არ იყო. მათ ფრონტის ეს მონაკვეთი ჯვარედინი ცეცხლის ქვეშ მოექციათ. თანაც რუსებიც აღარ ჩანდნენ. როგორც ჩანდა, მხოლოდ ერთი რომელიღაც ნაწილი გამოიჭრა. „მე უნდა უკნიდან მოვუარო ბლინდაჟს“, — გაიფიქრა მან. თავი სტკიოდა, ნახევრად დაყრუებულიყო, მაგრამ თავის ქალის შიგნით რაღაც აზროვნებდა ძალზე ნათლად, გარკვევით, მკაფიოდ. ეს იყო სწორედ ის, რაც გამოცდილ ჯარისკაცს ახალწვეულისგან განასხვავებდა. ახალწვეულს მაშინვე პანიკა იპყრობდა და ამის გამო უფრო ადვილად იღუპებოდა. გრებერმა იცოდა, რომ შეეძლო მოკლულად გაესაღებინა თავი, თუ რუსები დაბრუნდებოდნენ. ძნელი იყო მისი ტალახში აღმოჩენა. მაგრამ რაც უფრო ახლოს მისვლას შეძლებდა ბლინდაჟთან ცეცხლის საფარქვეშ, მით უფრო კარგი იქნებოდა მისთვის შემდგომ.

იგი მოსწყდა ძაბრის კიდეს და უახლოეს ორმოში გადასრიალდა, შიგ ჩავარდა და პირი წყლით აევსო. ცოტა ხნის შემდეგ კვლავ განაგრძო ცოცვა. მომდევნო ძაბრში ორი მოკლული დახვდა. გაჩერდა და იცდიდა. მერე ხელყუმბარების ხმა გაიგონა და მარცხენა ბლინდაჟის მახლობლად აფეთქებანი დაინახა. რუსები იქით გაჭრილიყვნენ და ოროვე მხრიდან უტევდნენ. ტყვიამფრქვევები აკაკანდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ ხელყუმბარის აფეთქებანი შეწყდა, მაგრამ ბლინდაჟიდან მაინც განაგრძობდნენ სროლას. გრებერი ცოცვას განაგრძობდა. მან იცოდა, რომ რუსები დაბრუნდებოდნენ. ისინი ალბათ დიდ ძაბრებში გერმანელთა ქვეგანაყოფების ნაშთებს დაუწყებდნენ ძებნას, ამიტომ პატარებში თავის შეფარება უფრო საიმედო იყო. მან მიაღწია ერთ-ერთ მათგანს და შიგ ჩაწვა. კოკისპირული წვიმა წამოვიდა, ტყვიამფრქვევის ცეცხლი მიყუჩდა. მერე არტილერიამ წამოიწყო ისევ. ერთი ყუმბარა პირდაპირ მარჯვენა ბლინდაჟს მოხვდა. გეგონებოდათ, ჰაერში აფრინდაო. სველი და ნაგვიანევი დილა ჩამოდგა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

*

გრებერმა გათენებამდე მოახერხა თავისიანებთან შეერთება. ერთი ტანკის უკან, რომელსაც ყუმბარა მოხვედროდა, ზაუერსა და ორ ახალწვეულს წააწყდა. ზაუერს ცხვირიდან სისხლი მოსდიოდა. მათთან სულ ახლოს გამსკდარიყო ხელყუმბარა. ახალწვეულთაგან ერთს მუცელი ჰქონდა გაფატრული. შიგნეული გარეთ გადმოჰყროდა და შიგ წვიმა ჩასდიოდა. არაფერი გააჩნდათ, რომ მისთვის ჭრილობა შეეხვიათ. და არც აზრი ჰქონდა ამას. რაც უფრო მალე მოკვდებოდა, ის სჯობდა. მეორე ახალწვეულს ფეხი მოეტეხა. ძაბრში ჩავარდნილიყო, პირდაპირ საკვირველი იყო, როგორ მოეხერხებინა ფეხის მოტეხა ასეთ ფაფუკ ტალახში. დამწვარ ტანკში, რომელსაც შუაში მოხვედროდა ყუმბარა, ეკიპაჟის წევრთა დანახშირებული ჩონჩხები ჩანდა. ერთ-ერთი მათგანი ზედა ტანით გარეთ გადმოკიდებულიყო. სახე მხოლოდ ნახევრად დასწვოდა, მეორე ნახევარი კი ძალზე შეშუპებოდა. წითელი და იისფერი იყო და დამსკდარი, კბილები ჩამქრალი კირივით მოუჩანდა.

მარცხენა ბლინდაჟიდან მათთან მეკავშირე მოვიდა.

— თავი ბლინდაჟთან მოიყარეთ, — ჩახლეჩილი ხმით წარმოთქვა მან, — არის კიდევ ვინმე ძაბრებში?

— წარმოდგენა არა მაქვს. რა, სანიტრები აღარ არიან?

— ყველა ან მოკლულია, ან დაჭრილი.

მეკავშირემ ცოცვით განაგრძო გზა.

— შენ სანიტარს გამოგიგზავნით, — უთხრა გრებერმა ახალწვეულს, რომელსაც მუცელში წვიმა ჩასდიოდა, — ანდა თვითონ წამოგიღებთ სახვევებს. ჩვენ უკან დაბრუნდებით.

ახალწვეულს არაფერი უპასუხია. ტუჩები გაჰფითრებოდა და თიხნარში მწოლიარე სულ მთლად პატარა ჩანდა, — საწვიმარ-მოსასხამით ვერ წაგიღებთ, — უთხრა გრებერმა ფეხმოტეხილს, — მით უმეტეს, რომ ასეთი ტალახია. დაგვეყრდენი და შეეცადე, საღ ფეხზე ხტუნვით წამოხვიდე.

ფეხმოტეხილი შუაში ჩაიყენეს და ბორძიკით მიდიოდნენ ორმოდან ორმომდე. ამან დიდხანს გასტანა. ახალწვეული გმინავდა, როდესაც ძირს გაწვებოდნენ ხოლმე. ფეხი მოეღრიცა. წამოსვლა აღარ შეეძლო. ბლინდაჟის მახლობლად დატოვეს იგი ქვის კედლის ნანგრევებს ამოფარებული და მისი მუზარადი კედლის თავზე და-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დეს, რათა სანიტრებს მიეგნოთ მისთვის. მის გვერდით ორი რუსი ეგდო, ერთს თავი აღარ ჰქონდა, მეორე პირქვე ჩამხობილიყო მისივე სისხლით გაწითლებულ თიხაში.

მათ კიდევ მრავალი რუსი ნახეს. მერე თავიანთ დახოცილებს ხვდებოდნენ, რაე დაჭრილი იყო. მარცხენა მკლავი სახელდახელოდ ჰქონდა შეხვეული. სამი მძიმედ დაჭრილი იწვა წვიმაში, ზედ საწვიმარ-მოსასხამი ეფარათ. ჭრილობების შესახვევად აღარაფერი გააჩნდათ. ერთი საათის შემდეგ „იუნკერსი“ მოფრინდა და რამდენიმე პაკეტი ჩამოაგდო, მაგრამ ისინი ერთობ შორს, რუსებთან ჩამოცვივდნენ.

კიდევ შვიდი კაცი მოვიდა. დანარჩენები მარჯვენა ბლინდაჟში იყრიდნენ თავს. ლეიტენანტი მასი მოკლეს, მეთაურობა ფელდფებელმა რაინკემ იკისრა. საჭურველი ცოტალა ჰქონდათ. ნალმსატყორცნები მწყობრიდან იყო გამოყვანილი, მაგრამ ორი დაზგის და ორიც ხელის ტყვიამფრქვევი კიდევ მოქმედებდა.

საჯარიმო ასეულიდან მათთან ათი კაცი გამოიჭრა. საჭურველი და კონსერვები მოიტანეს და დაჭრილები წაიყვანეს. საკაცეები ჰქონდათ თან. ბლინდაჟიდან დაინახეს, როგორ აიტაცა აფეთქების ტალღამ ორი მათგანი ჰაერში ასიოდე მეტრის მოშორებით. არტილერიის ცეცხლმა შუალამემდე თითქმის სრულიად მოწყვიტა ისინი ზურგს.

შუადღისას წვიმა შეწყდა. მზე გამოვიდა და მაშინვე ჩამოცხა. ტალახი ქერქით დაიფარა.

— ახლა მსუბუქი ტანკებით შემოგვიტევენ, — თქვა რაემ, — დალახვროს ეშმაკმა, სად არიან ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხები? კიდევ ხომ უნდა გაგვაჩნდეს ისინი, თორემ ისე ჩვენი საქმე წასულია.

ცეცხლი შეწყდა. ნაშუადღევს კიდევ ერთი სატრანსპორტო თვითმფრინავი მოფრინდა, „იუნკერსის“ ტიპისა. თან „მესერშმიტები“ ახლდა. რუსების „მოიერიშეები“ გამოჩნდნენ და შეუტიეს მათ. ორი მათგანი ჩამოაგდეს. მერე ორი „მესერშმიტი“ ჩამოვარდა. „იუნკერსი“ ვერ გამოიჭრა და თავისი ტვირთი ფრონტის ხაზიდან ბევრად უკან ჩამოყარა. „მესერშმიტები“ ბრძოლას განაგრძობდნენ. ისინი უფრო სწრაფმავალნი იყვნენ, ვიდრე რუსების მოიერიშეები, მაგრამ რუსების თვითმფრინავები რაოდენობით სამჯერ აღემატებოდნენ გერმანელებისას. „მესერშმიტებს“ უკან გატრიალება მოუხდათ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მიმდინარე დღეს გვამებმა სუნი გაუშვეს. გრებერი ბლინდაჟში იჯდა. ქათგან მხოლოდ ოცდაორი კაცილა გადარჩა. დაახლოებით ამდენივეს მოუყარა თავი რაინეკენ მეორე მხარეს. დანარჩენები დაიხოცნენ ანდა დაიჭრნენ. ადრე კი სულ ას ოცნი იყვნენ. გრებერი იჯდა და თავის იარაღს წმენდდა, რომელიც ტალახით იყო სავსე. არაფერზე ფიქრობდა. ქანქანად იქცა. წარსულიდან არაფერი ახსოვდა. ასე იჯდა მხოლოდ და ელოდა, ჩაყვინთავდა და გამოელეიძებოდა, და ძნად იყო თავი დაეცვა.

*

ტანკები მეორე დილით გამოჩნდნენ. მთელი ღამის განმავლობაში, არტილერიას, ნაღმსატყორცნებს და ტყვიამფრქვევებს განმხოლოებული ჰქონდათ ფრონტის ეს უბანი. სატელეფონო გაყვანილობანი რამდენჯერმე შეაკეთეს, მაგრამ ისინი კვლავ დაუყოვნებლივ გამოდიოდნენ მწყობრიდან. აღთქმული მაშველი ძალები ვერ გამოიჭრნენ. გერმანელთა არტილერია სუსტადღა ისროდა. რუსების ცეცხლი კი მომაკვდინებელი იყო. ბლინდაჟს კიდევ ორჯერ მოხვდა, მაგრამ ორჯერვე გაუძლო. ეს, კაცმა რომ თქვას, უკვე ბლინდაჟი კი არ იყო, არამედ ბეტონის ბელტი, რომელიც ტალახში ისე ქანაობდა აქეთ-იქით, როგორც გემი ქარიშხლის დროს. მის ახლომახლო ჩამოყარდნილმა ექვსიოდე ყუმბარამ იგი მიწიდან ამოაგდო და ყველა შიგ მყოფი კედლებს აწყდებოდა, როდესაც ის მაღლა იწევდა.

გრებერმა ვერ შეძლო მხარი შეეხვია, რომელზედაც ტყვიამ გაჰკრა. ცოტაოდენ კონიაკს წააწყდა და ის გადაისხა ჭრილობაზე. ბლინდაჟი კი ისევ ირყეოდა და გრუხუნებდა. ახლა იგი ქარიშხალში მოყოლილი გემი კი აღარ იყო, არამედ წყალქვეშა ნავი, რომელიც მწყობრიდან გამოსული მანქანებით მიექანება ზღვის ფსკერზე. დროც აღარ არსებობდა. ისიც განგმირეს. ყველანი სიბნელეში გასუსულიყვნენ და იცდიდნენ. ქალაქი გერმანიაში, რომელშიც იგი ამ ორიოდე კვირის წინ ცხოვრობდა, აღარ არსებობდა, არც შვებულება ჰქონია ოდესმე და არც ელიზაბეტი არსებობდა. ეს ყოველივე მხოლოდ შლეგური ზმანება იყო სიკვდილსა და სიკვდილს შორის — ნახევარსაათიანი კოშმარული ძილი, რომელშიც შუშხუნა აიტყორცნა ზევით და ჩაქრა. მხოლოდ ბლინდაჟილა არსებობდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მსუბუქი რუსული ტანკები გამოიჭრნენ. მათ ქვეითი ჯარი მოსდევდა. ასეულმა ტანკები გაატარა და ქვეით ჯარს ჯვარედინი ცეცხლი დაუშინა. ტყვიამფრქვევთა გაჯარჯარებული ლულები ხელებს სწვავდა ჯარისკაცებს, მაგრამ მაინც განაგრძობდნენ სროლას. რუსების არტილერიას უკვე აღარ შეეძლო მათთვის დაეშინა. ორმა ტანკმა წამოუარა მათ, მიუახლოვდა და სროლა აუტეხა. მათთვის ეს იოლი საქმე იყო, რადგან მოწინააღმდეგეს ტანკსაწინააღმდეგო საშუალება არ გააჩნდა. ტყვიამფრქვევები კი ვერაფერს აკლებდნენ. მაშინ საჭვრეტ დარანებში დაუწყეს დამიზნება, მაგრამ იქ შემთხვევით თუ მოახვედრებდა კაცი. ტანკები ცეცხლის ზონიდან გამოვიდნენ და სროლას განაგრძობდნენ. ბლინდაჟი დგანდგარებდა. ბეტონის ნამსხვრევები ცვიოდა.

— ხელყუმბარები! — დაიყვირა რაინეკემ. მან ერთად შეკრა მთელი გროვა ხელყუმბარებისა, ზურგზე გადაიკიდა და გასასვლელისკენ გაცოცდა. მორიგი ბათქის შემდეგ გარეთ გაფოფხდა. საფრად თავისსავე ბლინდაჟს იყენებდა.

— ტანკებს ორივე ტყვიამფრქვევის ცეცხლი! — გასცა ბრძანება რაემ. ისინი შეეცადნენ, რაინეკე დაეფარათ, რომელსაც სურდა გარს შემოვლო და ერთად შეკრულ ხელყუმბარათა გროვით ტანკის მუხლუხები აეფეთქებინა. ეს თითქმის უიმედო რამ იყო. რუსებმა მედგარი ცეცხლი გააჩაღეს ტყვიამფრქვევებიდან.

ცოტა ხნის შემდეგ ერთ-ერთმა ტანკმა სროლა შეწყვიტა. აფეთქება არავის დაუნახავს.

— მოვაყუჩეთ! — დაიღრიალა იმერმანმა.

ტანკი აღარ ისროდა. ტყვიამფრქვევებმა ცეცხლი მეორეზე გადაიტანეს, მაგრამ ის უკან გატრიალდა და გაუჩინარდა.

— ექვსი ტანკი გამოიჭრა! — დაიყვირა რაემ, — ისინი კიდევ დაბრუნდებიან. ჯვარედინი ცეცხლი ყველა ტყვიამფრქვევიდან! ჩვენ უნდა ქვეითი ჯარი დავაკავოთ!.

— რაინეკე რა იქნა? — იკითხრა იმერმანმა, როდესაც მათ კვლავ შეძლეს აზროვნება. არავინ არაფერი იცოდა. რაინეკე აღარ დაბრუნებულა.

დღის მთელი მეორე ნახევარი გაუძლეს. ბლინდაჟები თანდათანობით იმუსრებოდნენ, მაგრამ ორივე ისროდა კიდევ. ისინი ადრინდელზე უფრო სუსტად ისროდნენ. საჭურველი მხოლოდ ცოტაღა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დარჩენოდათ. კონსერვებს ჭამდნენ და წყალს ყუმბარების მიერ ამოთხრილი ძარებიდან სვამდნენ. ჰირშმანს ხელი გაუხვრიტა ტყვიამ.

მზე აცხუნებდა. ცა დიდრონი, მოლაპლაპე ღრუბლებით გაჭედილიყო. ბლინდაჟში სისხლისა და დენთის სუნი იდგა. გარეთ გვამები იბერებოდნენ. ვისაც შეეძლო, ეძინა. კაცმა არ იცოდა, მთლიანად გარშემორტყმული იყვნენ უკვე, თუ კიდევ ჰქონდათ გასასვლელი.

საღამოთი ცეცხლი გაძლიერდა, მერე უეცრად სრულიად შეწყდა. გარეთ გამოცვივდნენ და შეტევას მოელოდნენ, მაგრამ ამას შეტევა არ მოჰყოლია. მთელი ორი საათის განმავლობაში არაფერი მომხდარა. ამ ორსაათიანმა სიმშვიდემ უფრო გაუწყვიტათ ილაჯი, ვიდრე ბრძოლამ.

დილის სამი საათისთვის გამაგრებული ბლინდაჟებიდან ფოლადისა და ბეტონის ალუფხული მასაღა დარჩა. იძულებული გახდნენ გარეთ გამოსულიყვნენ. ექვსი მოკლული და სამი დაჭრილი აღმოაჩნდათ. უკან დახევა იყო საჭირო. დაჭრილი, რომელსაც მუცელში მოხვედროდა ტყვია, ორიოდე ასეული მეტრი ატარეს, მერე მოკვდა.

რუსებმა ისევ შემოუტიეს. ასეულს მხოლოდ ორი ტყვიამფრქვევილა გააჩნდა. იგი ერთ-ერთ ძაბრში განლაგდა სახელდახელოდ და თავს იცავდა. მერე ისევ უკან დაიხია. რუსებს ასეული უფრო ძლიერი ეგონათ, ვიდრე სინამდვილეში იყო; ამან იხსნა კიდეც იგი. როცა მეორეჯერ გაჩერდნენ, ზაუერი დაეცა. თავში მოხვდა ტყვია და მაშინვე მოკვდა. ოდნავ მოშორებით ჰირშმანი წაიქცა, რომელიც ის იყო, წელში მოხრილი ახალი საფრისკენ გადარბოდა. მერე ნელ-ნელა ამოტრიალდა და გაშეშდა. გრებერმა იგი ძაბრში ჩაითრია. ჰირშმანის სხეული ძაბრის ფერდობზე ჩასრიალდა და ფსკერისკენ დაგორდა. მკერდი ტყვიებს დაეცხრილა. როცა გრებერი გვამს ხელით სინჯავდა, გასისხლიანებულ საბუთებს წააწყდა და ჯიბეში ჩაიდო. მათ თავდაცვის მეორე ხაზს მიაღწიეს. მერე ბრძანება მოვიდა, კიდევ უფრო უკან დაეხიათ. ასეული ბრძოლიდან გამოიყვანეს. სათადარიგო პოზიცია მოწინავე ხაზად იქცა. კიდევ რამდენიმე კილომეტრი დაიხიეს უკან და იქ ყველამ ერთად მოიყარა თავი. ასეულში მარტოოდენ ოცდაათი კაცილა დარჩენილიყო. მეორე დღეს იგი ას ოც კაცამდე შეავსეს.

*

გრეგერმა ფრეზენბურგი საველე ჰოსპიტალში იპოვა, რომელიც სახელგახელოდ მოეწყოთ ბარაკში. ფრეზენბურგს მარცხენა ფეხი მოეტეხოდა.

— მოეჭრას მიპირებენ, — თქვა მან, — ერთი ვიღაც ქეციანი სამედიცინო საქსახურის ლეიტენანტია. სხვა არაფერი იცის. მე კი ჩემი გუიტანე და ხელ ზურგში გადაგზავნიან. სჯობია, ჯერ რომელიმე გამოცდილმა ექიმმა გამოსინჯოს ფეხი.

იგი სალაშქრო საწოლზე იწვა და მუხლზე მავთულის ბადე ეკეთა. საწოლი ლია ფანჯარასთან იდგა. გარეთ ტრამალის ნაწილი ჩანდა, მდელოები, რომელიც წითელ, ყვითელ და ლურჯ ფერებად ყოფილა. ოთახში მყრალი ხუნი ტრიალებდა. აქ კიდევ სამი საწოლი იდგა.

— რაე რიგორ არის? — შეკითხა ფრეზენბურგი.

— მკლავში დაეჭრა. რბილში აქვს მოხვედრილი.

— ლაზარეთშია?

— არა. ასეულთან დარჩა.

— ასეც ვფიქრობდი. — ფრეზენბურგს სახე დაეძანჭა. ცალი ყბით გაიღიმა, მეორე კი, ნაჭრილობევიანი, გაშეშებული დარჩა, — ბევრს ალარ უნდა ზურგში დაბრუნება. აი, რაესაც არ სურს.

— რატომ?

— ყველაფერზე ხელი ჩაქნია. სასოწარკვეთილია და ალარაფერი არა სწამს.

გრეგერმა მის პერგამენტისფერ სახეს შეხედა.

— შენ?

— არ ვიცი... ჯერ აი, ეს უნდა მოეწესრიგო, — მან მავთულბადეზე მიუთითა.

ფანჯარაში მდელოდან თბილმა სიომ დაუბერა.

— უცნაურია, არა? — თქვა ფრეზენბურგმა, — როცა თოფი იდო, ვფიქრობდით, რომ ამ ქვეყანაში ზაფხული არასოდეს დადგებოდა. ახლა კი უეცრად მოვიდა, და თანაც ერთობ მცხუნვარეც კი.

— ჰო...

— შინ რიგორი ამბები დაგხვდა?

— რა ვიცი. ორიოვს ერთად ველარ ვათავსებ: შვებულებასა და აქაურობას. წინათ ამას ვახერხებდი, მაგრამ ახლა უკვე ალარ ძალ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მიძს. ერთობ დიდი უფსკრულია მათ შორის და უკვე ველარ გამიგია, რომელია მათგან სინამდვილე.

— ეგ ვინ იცის...

— მეგონა, რომ ვიცოდი. იქ, შინ, თითქოს ყველაფერი სწორად მესმოდა. ახლა კი აღარაფერი არ ვიცი. ძალიან ხანმოკლე იყო ჩემი იქ ყოფნა და ძალიან დაშორებული ყოველივე იმისგან, რაც აქ ხდება. შინ ისიც კი მეგონა, რომ მეტს აღარ მოვკლავდი.

— ბევრს ეგონა ასე.

— ჰო... ძლიერი ტკივილები გაქვს?

ფრეზენბურგმა თავი გააქნია.

— ამ საშინელებაში ისეთი რამ აღმოაჩნდათ, რასაც ძნელად იფიქრებდა კაცი, — მორფიუმი! მე რამდენჯერმე შემიშხაპუნეს და ის ჯერაც მოქმედებს. ტკივილები მაქვს, მაგრამ ისე ყრუ, თითქოს სხვას სტკიოდეს. კიდევ ერთი-ორი საათია ჩემს განკარგულებაში ფიქრისთვის.

— სანიტარიული მატარებელი უნდა მოვიდეს?

— არა, ჰოსპიტალს მანქანა ჰყავს და ის წაგვიყვანს რკინიგზის უახლოეს სადგურამდე.

— მალე ჩვენებიდან აქ აღარავინ დარჩება, — თქვა გრებერმა, — აი, ახლა შენც მიდიხარ.

— იქნებ ერთხელ კიდევ შემაკეთონ ისე, რომ უკან დავბრუნდე.

მათ ერთმანეთს შეხედეს. ორივემ იცოდა, რომ ეს არ მოხდებოდა.

— მე მინდა, რომ ეს მჯეროდეს, — თქვა გრეზენბურგმა, — ყოველ შემთხვევაში, იმ ერთი-ორი საათის განმავლობაში მაინც, ვიდრე მორფიუმი მოქმედებს. რა საშინლად ხანმოკლე შეიძლება იყოს ზოგჯერ სიცოცხლის მონაკვეთი, არა? და მერე იწყება მეორე. რომლის შესახებაც წარმოდგენა არა გაქვს. ეს უკვე მეორე ომი გადავიტანე.

— შემდგომ რას აპირებ? უკვე არ გადაგიწყვეტია რამე?

ფრეზენბურგმა ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა.

— ჯერ მე ისიც არ ვიცი, თუ რას დამიპირებენ სხვები. ვნახოთ, რა იქნება. არასოდეს ვიფიქრებდი, რომ აქედან ცოცხალი დავაღწევდი თავს. ყოველთვის მეგონა, რომ ერთი ისეთი მომხვდება, ბოლო მომეღება-მეთქი, ახლა კი უნდა შევეჩვიოთ იმ აზრს, რომ მხოლოდ ნახევრად მომეღო ბოლო. არ ვიცი, ასე სჯობდა თუ არა. პირველი ვარიანტი უფრო იოლად მეჩვენებოდა. ყველაფერს მორჩებოდი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კაცი და ამ ბინძურ ამბებს შენთან აღარაკითარი კავშირი არ ექნებოდა. ხარკს ბოიხდიდი და გათავდა. ახლა კი კვლავ ამ სიბინძურის ბორკილში ხარ მოქცეული. ჩვენ ჩვენს თავს ჩავაგონეთ, რომ სიკვდილი ყველაფერს გამოისყიდის და ასე შემდეგ. ეს ასე არ ყოფილა. მე დავიალე. ერნსტ! ეკეს დამეძინოს, ვიდრე ვიგრძნობდე, რომ ხეიბარი ვარ ამა, ყოჩაღად იყავი.

მან ხელი გაუწოდა გრებერს.

— შენც ყოჩაღად იყავი, ლუდვიგ, — უთხრა გრებერმა.

— რასაკვირველია, მე ხომ ახლა მდინარებას მივყვები. სიცოცხლის პრიმიტიული წყურვილი მამოძრავებს. აქამდე კი სხვაფრივ იყო საქმე, მაგრამ ალბათ მაშინაც ვტყუვდებოდი. რაღაც იდუმალი იმედის ნასახი მაინც რჩებოდა ჩემში. მაგრამ ეს არაფერი. ყოველთვის გავიწყდება კაცს, რომ თვითონაც შეგიძლია შენს თავს ბოლო მოულო. ჩვენ ეს შესაძლებლობა ძლვნად მივიღეთ ჩვენს ეგრეთ წოდებულ გონებასთან ერთად.

გრებერმა თავი გააქნია.

ფრეზენბურგმა სალი ცალი ყბით გაიღიმა.

— შენ მართალი ხარ, — თქვა მან, — ამას ჩვენ არ გავაკეთებთ. სჯობია იმაზე ვიზრუნოთ, რომ ეს ყველაფერი აღარასოდეს განმეორდეს.

ფრეზენბურგი თავით უკან გადაესვენა. ერთბაშად ძალზე ლონემიხდილი გამოჩნდა. როცა გრებერი კართან მივიდა, მას უკვე დაეხუჭა თვალები.

გრებერმა სოფლისკენ გასწია. დაისის სხივებს ცა ოდნავ შეეფერა. აღარ წვიმდა. ტალახი შრებოდა. მიტოვებულ ყანებზე ყვავილები და სარეველა მცენარეები ამოზრდილიყვნენ. ფრონტი გრუხუნებდა. ანაზდეულად ირგვლივ ყოველივე ძალზე უცხოდ მოეჩვენა, თითქოს ერთბაშად ჩაწყდა ყველა დამაკავშირებელი ძაფი. გრებერი იცნობდა ამ გრძნობას. ხშირად დაუფლებია იგი, როდესაც ღამე გამოლვიძებულს ვერ გაეგო, თუ სად იმყოფებოდა. ასე ეგონა, თითქოს სამყაროს მოწყვეტილი უკუნეთში სულ მარტოდმარტო დანანაობდა. ასეთი რამ დიდხანს არ გასტანდა ხოლმე და მალე ისევ პოულობდა თავის ადგილს, მაგრამ ყოველთვის რჩებოდა უცნაური იდუმალი გრძნობა, რომ ერთხელაც იქნებოდა და ველარ პოვებდა უკან დასაბრუნებელ გზას.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეს შიშს კი არ ჰგვრიდა, არამედ მხოლოდ თავით ყველაზე იკუნტებოდა, თითქოს ბალღიკით პატარა ყოყოლიყო, დაგლეჯილი უკიდეგანო ტრამალზე, რომელიც ყოველი გზიდან ასი ფლის სიყალით იყო დაშორებული. ხელები ჯიბეებში ჩაიყო და ძაძოიხედა. გარშემო ნაცნობი სურათი გადაშლილიყო: ნანგრევები, დაუძეძავებლი მინდვრები, რუსული დაისი, ხოლო მიპირდაპირე ძხარეს კი ფრონტის ჯერ კიდევ მქრქალი გაელვებანი, — ჩვეულებრივი სანახაობა, რომლის ჭვრეტისას მიუსაფრობის სუსხი მსჭალავდა გულს.

ჯიბეში ელიზაბეტის წერილები მოსინჯა ხელით. ძალიან იყო სითბო, სინაზე და უტკბესი ჩქროლვა სიყვარულისა. მაგრამ ისინი არ წარმოადგენდა მშვიდ ლამპარს, რომელიც მყუდრო სახლში ანათებს; ისინი ჭაობის ზეგარდმო ანთებულ მაცდურ ჩირაღდნებს წააგავდნენ და რაც უფრო ცდილობდა გრეგერი მათ გამოდევნებას, ძით უფრო ღრმად იფლობოდა ჭანჭოში. იგი შეეცადა აღენთო ლამპარი, რომ შინ დასაბრუნებელი გზა მოეძებნა, მაგრამ ის უყრო ადრე აღანთო, ვიდრე სახლი აშენდებოდა და ნანგრევებში დადგა. ლამპარი ამ ნანგრევებს კი არ ამკობდა, არამედ კიდევ უფრო უნუგეშოს ხდიდა. იქ, საშობლოში, მას არ ესმოდა ეს. სინათლეს დაედევნა და არაფერს დაგიდევდათ, მხოლოდ თავი სურდა დაეჯერებინა, რომ მისი დადევნება კმაროდა. მაგრამ თურმე არ კმაროდა.

რაც შეეძლო დიდხანს არიდებდა თვალს საშინელ სინამდვილეს. ოღონ საქმე როდი იყო იმის დანახვა, რომ ის, რასაც თანახმად მისი წადილისა უნდა დაყრდნობოდა და რასაც უნდა შეეშაგრებინა, მას მხოლოდ კიდევ უფრო ამხოლოებდა, მხოლოდ ვიწრო სფეროში მოქმედებდა. გულს უჩქროლებდა, მაგრამ ვერ იმაგრებდა. იგი პატარა პირადული ბედნიერება იყო და საყოველთაო გაჭირვებისა და სასოწარკვეთილების უკიდეგანო ჭანჭოში ინთქმებოდა. ელიზაბეტის წერილები ამოიღო და კითხვას შეუდგა. დაისის მეწამული არილი ესვენა ფურცლებზე. წერილები უკვე ზეპირად იცოდა, მაგრამ ერთხელ კიდევ გადაიკითხა და ამან ამჯერადაც ადრინდელზე მარტოსულად აგრძნობინა თავი. ბედნიერება ხანმოკლე იყო, ეს კი, მეორე, ერთობ დიდხანს გრძელდებოდა. პირველი იყო შვებულება; ჯარისკაცის ცხოვრება კი ფრონტზე გატარებული დროით განიზომება და არა შვებულებით.

ისევ შეინახა წერილები, თავისი მშობლების ბარათებს შეუერთა, რომლებიც კანცელარიაში მიიღო. აზრი არ ჰქონდა ამაზე თავის

მტვრევას. ფრეზენბურგი მართალი იყო, თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა გააკეთო ყველაფერი. მსოფლიო პრობლემის უცებ გადაჭრა არ უნდა მოინდომო, როცა საფრთხეში იმყოფები. „ელიზაბეტი, — გაიფიქრა მან, — რატომ ვფიქრობ მასზე, როგორც დაკარგულზე? განა მისი წერილები აქ არა მაქვს?! ის ცოცხალია!“

გრებერი სოფელს მიუახლოვდა, რომელიც პირქუშად და მიტოვებულად გამოიყურებოდა. ყველა აქაურ სოფელს ისეთი შესახედაობა ჰქონდა, თითქოს მათ აღარასოდეს ააშენებდნენ. არყის ხეების ხეივანი რომელიღაც თეთრი სახლის ნანგრევებისკენ მიემართებოდა. იქ, ეტყობა, წინათ ბაღი იყო: აქა-იქ ახლაც ყვაოდნენ ყვავილები და დანაგვიანებულ გუბურასთან ქანდაკება იდგა. ეს პანი იყო. იგი ფლეიტას უკრავდა, მაგრამ არავინ მიდიოდა მის შუადღის ნადიმზე. მხოლოდ რამდენიმე ახალწვეული უვლიდა გარს ხეხილს და შემოუსვლელ ალუბლებს დაეძებდა.

XXVII

— პარტიზანები!

შტაინბრენერმა ტუჩები გაილოკა და რუსებს გადახედა. ისინი სოფლის მოედანზე იდგნენ. ორი მამაკაცი და ორიც ქალი. ქალთაგან ერთი ახალგაზრდა იყო. მრგვალი სახე და მაღალი ღაწვები ჰქონდა. ოთხივენი დილით მოიყვანეს.

— ესენი პარტიზანებს არ ჰგვანან, — თქვა გრებერმა.

— და მაინც ისინი ბრძანდებიან. რაზე ატყობ ვითომ, რომ პარტიზანები არ არიან?

— პარტიზანებს არ ჰგვანან და იმიტომ. ღარიბი გლეხების გარეგნობა არა აქვთ!

— მარტო გარეგნობის მიხედით თუ ვიმსჯელებდით, მაშინ აღარავინ იქნებოდა ბოროტმოქმედი.

„ეს მართალია, — გაიფიქრა გრებერმა, — და შენ თვითონაც ამისი საუკეთესო მაგალითი ხარ“. მან დაინახა, რომ რაე მოდიოდა მათკენ!

— რა უნდა ვუყოთ მათ? — იკითხა ასეულის მეთაურმა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ისინი აქ ახლომახლო დაიჭირეს, — უთხრა ფელდფებელმა, — სადმე უნდა ჩაკეტოთ, ვიდრე სათანადო ბრძანებას მიიღებდეთ.

— ჩვენ ისედაც, ღმერთმა იცის, რა ხარახურა ალარ გვაკიდია კისერზე. რატომ პოლკის შტაბში არ ვგზავნით?

რაეს პასუხისთვის არ დაუცდია. პოლკის შტაბის სალგომი განუწყვეტლივ იცვლებოდა. თანაც იქიდან უკეთეს შემთხვევაში ვინმეს გამოგზავნიდნენ რუსების დასაკითხად და შემდეგ აუწყებდნენ, თუ რა ბედი უნდა სწვეოდათ მათ.

— ვიდრე სოფელში შემოხვიდოდე, ყოფილი მემამულის სახლი დგას, — მოახსენა შტაინბრენერმა, — რომელსაც სარდაფი აქვს, რკინისმოაჯირიანი სარკმლებით, რკინის კარითა და საკეტით.

რაემ გამომცდელად შეხედა შტაინბრენერს. იცოდა, რასაც ეს უკანასკნელი ფიქრობდა. მის ხელში რუსები, როგორც წესი, გაქცევას შეეცდებოდნენ და ეს მათი აღსასრულით დამთავრდებოდა. სოფლის გარეთ ამის მოწყობა იოლი იყო.

რაემ მიიხედ-მოიხედა.

— გრებერ, — წარმოთქვა მან, — თქვენ ჩაიბარეთ ეს ხალხი. შტაინბრენერი გიჩვენებთ, სადაც არის ის სარდაფი. გასინჯეთ, ჯარგა თუ არა და შემდეგ მე მომახსენეთ, იქ კი მცველები მიუჩინეთ. თქვენი ათეულიდან გამოჰყავით ჯარისკაცები. პასუხისმგებლობა თქვენ გეკისრებათ. მარტო თქვენ, — დაუმატა მან.

ტყვეთაგან ერთი კოჭლობდა. ხნიერ ქალს ფეხებზე დაკორძებული ძარღვები აჩნდა. ახალგაზრდა ფეხშიშველა მიდიოდა. სოფლის ბოლოში შტაინბრენერმა ხელი წაპკრა ტყვე მამაკაცთაგან უფრო ახალგაზრდას.

— შენ ეი! გაიქეცი!

ტყვე უკან მოტრიალდა, შტაინბრენერმა გაიცინა და ხელით ანიშნა.

— გაიქეცი! გაიქეცი-მეთქი! აბა, მიდი! თავისუფალი ხარ!

უფროსმა რუსმა რაღაც უთხრა ახალგაზრდას რუსულად. ახალგაზრდა არ გაქცეულა. შტაინბრენერმა მას ჩექმა დაადგა ქუსლზე.

— გაიქეცი-მეთქი, შე ძძორო, შენა!

— გაანებე თავი, — უთხრა გრებერმა, — ხომ გაიგონე რაეს ბრძანება.

— აქ ჩვენ შეგვიძლია გაჯაქციოთ ისინი, — წასჩურჩულა შტაინ-ბრენერმა, — მე, რა თქმა უნდა, კაცებს ვგულისხმობ. ათ ნაბიჯზე გავუშვებთ და მერე ვესვრით. ქალები კი ჩაჯამწყვდიოთ. ღამე ახალ-გაზრდა გარეთ გამოვიყვანოთ...

— მოეშვი-შეთქი და საერთოდ მოუსვი აქედან. აქ მე ვარ უფრო-სი!

შტაინბრენერი ახალგაზრდა ქალის კანჭებს უჭვრეტდა. ქალს მოკლე ბოლოკაბა ეცვა და შუით გარეულული ღონიერი ფეხები ჰქონდა.

— სულერთია, მაინც ხომ დახვრეტენ, — განაცხადა მან, — ან ჩვენ, ანდა უშიშროების საშსახური. ახალგაზრდა ქალით კი ჩვენ მა-ნამდე თავი შეგვიძლია შევიქციოთ. შენთვის იოლია ეგრე ლაპარაკი. ეს-ეს არის, შვებულებიდან დაბრუნდი.

— მოკეტე და შენს საცოლეზე იფიქრე! — უთხრა გრებერმა, — რაემ შენ გიბრძანა მხოლოდ სარდაფი გვიჩვენო, ეს არის და ეს.

ისინი ხეივნის გაყოლებით თეთრი სახლისკენ მიდიოდნენ.

— აი, აქ, — განაცხადა შტაინბრენერმა ბუზღუნით და პატარა, კარგად შენახულ ნაგებობაზე მიუთითა. იგი ქვისგან იყო ნაგები, მკვიდრი ჩანდა და რკინის კარი ჰქონდა, რომელიც გარედან ბო-ქლომით იკეტებოდა.

გრებერმა დაათვალიერა ნაგებობა. ეტყობა, წინათ ბოსლად ან საწყობად ხმარობდნენ. იატაკი მოცემენტებული იყო. ტყვეები აქე-დან რაიმე ხელსაწყოების გარეშე გარეთ ვერ გამოვიდოდნენ. ისინი კი უკვე გაჩხრიკეს და შეამოწმეს, რომ თან არაფერი ჰქონდათ.

კარი გააღო და ტყვეები შიგნით შეუშვა. ორი ახალწვეული, რომლებიც მცველებად წამოიყვანეს, შაშხანამომარჯვებულნი იდგ-ნენ. ტყვეები ერთიმეორის მიყოლებით შევიდნენ შიგნით. გრებერმა კარი დაკეტა და ბოქლომი მოსინჯა. არ გაღებულა.

— გალიაში ჩასმულ მაიმუნებს არ ჰგვანან! — გაიღრიჯა შტაინ-ბრენერი, — აბა, ბანანები! ბანანები! თქვენ ეი, მაიმუნებო, არ გინ-დათ ბანანები?!

გრებერი ახალწვეულებს მიუბრუნდა:

— თქვენ აქ დარჩებით მცველებად და პასუხს აგებთ, თუ რამე მოხდა. შემდეგ თქვენ შეგცვლიან. გერმანული იცის თქვენგან რო-მელიმემ? — ჰკითხა მან რუსებს.

არავის უპასუხია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— შემდეგ ვნახოთ, იქნებ ცოტაოდენი თოვა აღმოჩნდეს თქვენთვის. წამო, — უთხრა შტაინბრენერს.

— არა, ბარემ ბუმბულის ქვეშაგები უშოვე!..

— წამო! თქვენ კი ყურადღებით იყავით!

*

გრებერი რაესთან გამოცხადდა და მოახსენა, რომ ციხე საიმედო იყო.

— თქვენ ჩაიბარეთ მისი დაცვა. რამდენიმე ჯარისკაცი იქნება თქვენს განკარგულებაში, — უთხრა რაემ, — ორიოდე დღეში, თუ მდგომარეობა ცოტათი მაინც მოწესრიგდება, იმედია თავიდან მოვიშორებთ მაგ ტყვეებს.

— არის!

— ორ კაცზე მეტი დაგჭირდებათ?

— არა. ბოსელი საიმედოა. მე თითქმის მარტოკაც გავუძღებოდი, ღამე იქ რომ დამეძინა ხოლმე. ძეხორციელი ვერ გამოვა გარეთ.

— კეთილი. ასე მოვიქცეთ. თორემ ახალწვეულნი ჩვენ იმისთვის გვჭირდება, რომ სახელდახელოდ ცოტაოდენი საბრძოლო ილეთები მაინც შევასწავლოთ. უკანასკნელი ცნობები... — რაემ სიტყვა გაწყვიტა. იგი ცუდად გამოიყურებოდა, — თქვენ თვითონაც ხომ იცით, რაც ხდება. მაშ ასე, წადით.

გრებერი თავისი ნივთების წამოსაღებად გაემართა. მის ოცეულში თითქმის სულ ახლები იყვნენ.

— სატუსაღოს დარაჯი გახდი? — ჰკითხა იმერმანმა.

— ჰო. იქ ცოტას მაინც გამოვიძინებ. ეს სჯობია უნდილი აღუების წვრთნას.

— ნუ გეშინია, დიდხანს არ დაგაცლიან ძილს. არ იცი, ფრონტზე რაც ხდება?

— რაღაც იმას ჰგავს, რომ ჭაკობას უნდა ჰქონდეს ადგილი.

— ისევ ბრძოლით ვიხევთ უკან, რუსები ყველგან იჭრებიან. ეს ერთი საათია, სანაგვე ყუთში ჩასაყრელ მოწოდებებს ვიღებთ ბღუჯა-ბღუჯად. ფართო ფრონტით გვიტევენ. აქ კი ტრიალი დაბლობია. ვერსად ფეხს ვერ მოიკიდებ კაცი. ამჯერად ალბათ შორს მოგვიხდება უკან დახევა.

— როგორ ფიქრობ, დავამთავრებთ ომს, როცა გერმანიის საზღვრებამდე მივალთ?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— შენ როგორ ფიქრობ?

— არა მგონია!

— არც მე! აბა, ვის შეუძლია ჩვენებიდან ომს მორჩეს? გენერალურ შტაბს ნამდვილად არა. იგი ვერ იკისრებს ასეთ პასუხისმგებლობას, — იმერმანმა ჩაიცინა, — წინა ომში მან ეს ამოცანა ახალ დროებით მთავრობას აჰკიდა, რომელიც წინასწარ სასწრაფოდ ჩამოაყალიბეს. იმ პირლია ბრიყვებმაც ყულფში გაყვეს თავი, ხელი მოაწერეს დაზავებას და რვა დღის შემდეგ მათ სამშობლოს ღალატში დასდეს ბრალი. დღეს ასეთი რამ შეუძლებელია. ტოტალური მთავრობაა და დამარცხებაც ტოტალური უნდა მოხდეს. არ არსებობს მეორე პარტია, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებდა.

— კომუნისტების გარდა, — თქვა გრებერმა მწარედ, — მათაც ტოტალური მთავრობა ჰყავთ და იმავე მეთოდებს იყენებენ. მე მივდივარ დასაძინებლად. ერთადერთი, რასაც ცხოვრებაში ვინატრებდი, არის ის, რომ შემეძლოს ვიფიქრო, რაც მსურს; ვთქვა, რაც მსურს და გავაკეთო, რაც მსურს, მაგრამ მას შემდეგ, რაც მესიები გვყვანან მარჯვნივ და მარცხნივ, ეს ბევრად უფრო დიდი დანაშაულია, ვიდრე, რომელიც გნებავს, მკვლელობა.

გრებერმა ზურგჩანთას დააკლო ხელი და საველე საშხარეულოსკენ გასწია. იქ ერთი ჩამჩა მუხუდოს წვნიანი, პური და ძეხვის ულუფა მიიღო ვახშმად. ახლა აღარ დასჭირდებოდა სოფელში ხელმეორედ დაბრუნება.

საოცრად წყნარი დღე იდგა. შუადღე კარგა ხნის გადასული იყო. ახალწვეულებმა თოვა მოიტანეს და წავიდნენ. ფრონტი გრუხუნებდა, მაგრამ თითქოს ამით ირგვლივ გამეფებული სიმშვიდე არ ირღვეოდა. ნაგებობის წინ გავერანებული გაზონი გადაჭიმულიყო, რომელიც გადაეთელათ და ყუმბარათა ნაკვალევი აჩნდა. მიუხედავად ამისა, მწვანედ ხასხასებდა და ყოფილი გზის პირას რამდენიმე ყვავილის ბუჩქიც კი ამოსულიყო.

გრებერმა ბაღში, არყის ხეების ხეივნის მიღმა, ნახევრად დანგრეული პატარა ფანჩატური იპოვა, საიდანაც ბოსლისთვის თვალყურის დევნება შეიძლებოდა. შიგ რამდენიმე წიგნსაც წააწყდა. ტყავის ყდაში ჩასმულთ გადახუნებული ოქროსვარაყიანი შემონაჭერი ჰქონდათ. წვიმასა და თოვლს ისე დაეშავებინათ, რომ მხოლოდ ერთის წაკითხვაღა თუ შეიძლებოდა. ეს იყო იდეალურ პეიჟაზთა რომანტი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კული გრავიურების ტომი. ტექსტი ფრანგული იყო. ნელინელ ფურ-ცლავდა წიგნს. თანდათანობით სურათებმა დაატყვევეს. მათ რაღაც მტანჯველი და უსასოო კაეშნიანი ლტოლვა მოჰგვარეს, რომელიც წიგნის დაკეცვის შემდეგაც კიდევ დიდხანს შემორჩა. არყის ხეების ხეივანს გაჰყვა გუბურისკენ. იქ, ჭუჭყსა და წყალმცენარეთა შორის, პანი იჯდა და ფლეიტაზე უკრავდა. ცალი რქა აკლდა, სხვაფრივ კი გაეძლო რევოლუციის, კომუნიზმისა და ომისთვის. იგი, ისევე როგორც წიგნებიც, ლეგენდარულ ხანას ეკუთვნოდა — პირველი მსოფლიო ომისწინარე ხანას. ეს ის დრო იყო, როცა გრებერი ჯერ კიდევ არ იყო დაბადებული. იგი პირველი მსოფლიო ომის შემდ-გომ გაჩნდა, ინფლაციის, სიდუხჭირისა და ომის შემდგომი წლების ორომტრიალში გაიზარდა და მხოლოდ ახალ ომში აეხილა თვალი. გუბურას ირგვლივ შემოუარა, განვლო ფანჩატური და ტყვეებთან დაბრუნდა. რკინის კარი შეათვალიერა. იგი ყოველთვის არ უნდა ჰქონოდა ამ ბოსელს. ალბათ მერე შეაბეს. ვინ იცის, ის კაციც, რომელსაც ეს სახლი და პარკი ეკუთვნოდა, ერთ დროს თავადაც ამ კარის უკან ელოდა სიკვდილს.

ხანში შესულ ქალს ეძინა, ახალგაზრდა კუთხეში მიმჯდარიყო. კაცები კი ორივენი ფეხზე იდგნენ და დღის მიწურულს გასცქეროდ-ნენ. მათ გრებერს შეხედეს. ქალიშვილი ერთ წერტილს მისჩერებო-და სივრცეში. ყველაზე ხნიერი რუსი კი თვალს ადევნებდა გრებერს. გრებერი გამობრუნდა და გაზონზე დაწვა.

ცაზე ღრუბლები მოცურავდნენ. არყის ხეებზე ჩიტუნები ჟღურ-ტულებდნენ. ცისფერი ფარვანა დაფარფატებდა ყუმბარებით ამო-თხრილი ორმოების ზეგარდმო, ყვავილიდან ყვავილისკენ. ცოტა ხნის შემდეგ მეორეც გამოჩნდა. ისინი თამაშობდნენ და ერთმანეთს დასდევდნენ. გრუხუნმა, რომელიც ფრონტიდან ისმოდა, იმატა. ფარვანები დაწყვილდნენ და ასე გადაბმულნი გაფრინდნენ მცხუნვა-რე, მზიან ჰაერში. გრებერს ჩაეძინა.

*

საღამოს ერთ-ერთმა ახალწვეულმა ცოტაოდენი საჭმელი მოუ-ტანა ტყვეებს. ეს იყო სადილიდან დარჩენილი მუხუდოს წვნიანი, რომელიც წყლით გაეზავებინათ. ახალწვეულმა დაიცადა, ვიდრე ტყვეები შეჭამდნენ და ჯამები უკან წაიღო. მან გრებერსაც მოუტანა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მისი წილი სიგარეტი. ჩვეულებრივზე ბევრი გაეცათ. ეს ცუდი ნიშანი იყო. საჭმლის გაუმჯობესება და სიგარეტების მომატება მხოლოდ მაშინ ხდებოდა ხოლმე, როცა მძიმე დღეები მოელოდათ.

— ჩვენ დღეს საღამოთი ორი საათი დამატებით ვარჯიში მოგვარტყეს, — უთხრა ახალწვეულმა. მან სერიოზული სახით შეხედა გრებერს, — საბრძოლო ტაქტიკური სწავლება, ხელყუმბარათა ტყორცნა და ხიშტით ბრძოლა გვაქვს.

— ასეულის მეთაურმა იცის, რასაც აკეთებს. მას თქვენი ტყუილუბრალოდ წვალება როდი უნდა.

ახალწვეულმა თავი დაუქნია. იგი ისე ათვალიერებდა რუსებს, თითქოს ზოოპარკის მხეცები ყოფლიყვნენ.

— ეგენიც ადამიანები არიან, — უთხრა გრებერმა.

— ჰო, რუსები.

— კარგი, რუსები იყვნენ. აიღე შენი შაშხანა და გამზადებული გეჭიროს. ჯერ ქალები გამოუშვათ გარეთ რიგრიგობით, — გრებერმა კარის რიკულებში შესძახა ტყვეებს, — ყველანი მარცხენა კუთხეში დადექით! მოხუცი ქალი აქ მოვიდეს. შემდეგ დანარჩენებსაც გავიყვანთ გარეთ.

უფროსმა რუსმა რაღაც უთხრა დანარჩენებს. ისინი დაემორჩილნენ. ახალწვეულს შაშხანა გამზადებული ეჭირა. ხნიერი ქალი კართან მივიდა. გრებერმა კარი გაიღო, გარეთ გამოუშვა და ისევ დაკეტა. ქალმა ტირილი მორთო. ეგონა, დასახვრეტად მიჰყავდათ.

— უთხარი, რომ არაფერს არ ვუზამთ. მან მხოლოდ უნდა მოისაქმოს, — მიმართა გრებერმა მოხუც რუსს.

ბერიკაცი დაელაპარაკა ქალს და მანაც ტირილი შეწყვიტა. გრებერმა და ახალწვეულმა იგი სახლის კუთხემდე მიიყვანეს, სადაც ორი კედელი იდგა. გრებერმა დაიცადა, ვიდრე ქალი გამოვიდოდა იქიდან და მერე ახალგაზრდა ქალი გამოუშვა. იგი სწრაფი და მოქნილი ნაბიჯით დაწინაურდა. კაცების გამოყვანა უფრო იოლი იყო. ისინი, იქვე, ნაგებობის უკან, გაჰყავდა და მხედველობის არედან არ უშვებდა. ჭაბუკ ახალწვეულს დიდი ამბით მოემარჯვებინა შაშხანა, სახე დასძაბოდა, ქვედა ტუჩი ძირს ჩამოშვებოდა და განსახიერებულ მონდომებასა და სიფხიზლეს წარმოადგენდა. მან ბოლო ტყვეც მიიყვანა უკან და კარი ჩაკეტა.

— როგორ ვღელავდი! — თქვა მან.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მართლა? — გრუბერმა შაშხანა გვერდზე მიაყუდა, — ახლა შეგიძლია წახვიდე.

მან დაიცადა, ვიდრე ახალწვეული წავიდოდა. მერე სიგარეტი ამოიღო და ბერიკაცს გაუწოდა, თითო-თითო ყველასთვის. გაჰკრა ასანთს და რიკულებში მიაწოდა. ყველამ გააბოლა. სიგარეტები ღვიოდნენ ნახევრად წყვდიადში და სახეებს ანათებდნენ. გრუბერმა შეხედა რუს ახალგაზრდა ქალს და ანაზდეულად გაუსაძლისი კაეშნიანი ლტოლვა იგრძნო ელიზაბეტისადმი.

— თქვენ... კეთილი, — უთხრა მოხუცმა რუსმა, რომელმაც გრუბერის მზერას თვალი მიადევნა და სახით რკინის რიკულებს მიეყრდნო, — ომი წაგებულია... გერმანელებისთვის... თქვენ კეთილი კაცი... — ამბობდა იგი ხმადაბლა.

— სისულელეა.

— რატომ არა... ჩვენი გამოშვება... ჩვენთან ერთად წამოსვლა? — მან დანაოჭებული სახე წამით ახალგაზრდა ქალისკენ მიაბრუნა და მერე ისევ გრუბერს შეხედა, — წამოდით ჩვენთან... და მარუსიაც... დამალვა... კარგ ადგილზე... სიცოცხლე, სიცოცხლე... — გაიმეორა მან დაჟინებით.

გრუბერმა თავი გააქნია. „ეს გამოსავალი არ არის, — გაიფიქრა მან, – ეს არა, მაგრამ სად არის იგი?“

— ცოცხალი... მკვდარი არა... მხოლოდ ტყვე... — ჩურჩულებდა რუსი, — თქვენც... მკვდარი არა... ჩვენთან კარგი... ჩვენ უდანაშაულო...

ეს მარტივად ჟღერდა. გრუბერმა პირი იბრუნა. მართლაც მარტივად ჟღერდა მწუხრის უკანასკნელ, ნაზ შუქში. „იქნებ მართლაც უდანაშაულონი არიან? იარაღი არ აღმოსჩენიათ და არც ისე ჰგვანან პარტიზანებს, ყოველ შემთხვევაში, ორივე ხანში შესული რუსი მაინც ნამდვილად არა. მე რომ ისინი გამოვუშვა, — ფიქრობდა გრუბერი, — მაშინ რაღაცას მაინც გავაკეთებ, რაღაცას მაინც. რამდენიმე უდანაშაულო ადამიანს გადავარჩენ, მაგრამ თან ვერ წავყვები. იქ ვერა, ვერ დავუბრუნდები იმას, რისი დატოვებაც მწადია“. იგი პარკში დაეხეტებოდა. ისევ შადრევანს მიადგა. არყის ხეები ახლა შავად ჩანდნენ ცის ფონზე. უკან გამობრუნდა. ბოსლის წყვდიადში ერთი სიგარეტი კიდევ ღვიოდა. რიკულებს მიღმა მოხუცი რუსის სახე გამოკრთა:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— სიცოცხლე... — თქვა მან, — ჩვენთან კარგი...

გრუბერმა ამოიღო, რაც სიგარეტი ჰქონდა დარჩენილი და მას ხელში ჩაუდო. მერე რამდენიმე ასანთის ღერიც გაუწოდა.

— აჰა... მოსწიეთ.. ღამისთვის გქონდეთ..

— სიცოცხლე... თქვენ ახალგაზრდა.. მაშინ ომი თქვენთვის უკვე მორჩენილი... თქვენ კეთილი კაცი... ჩვენ უდანაშაულო.. სიცოცხლე... თქვენ... ჩვენ... ყველანი...

ეს იყო ჩუმი, დაბალი ხმა. იგი ისე წარმოთქვამდა სიტყვა „სიცოცხლეს“, როგორც შავ ბაზარზე მოვაჭრე ჩურჩულებს „კარაქს“, როგორც როსკიპი ამბობს ხოლმე „სიყვარულს“. შემპარავად, გამომწვევად, მაცდურად და ყალბად. თითქოს სიცოცხლის ყიდვა შეიძლებოდეს. გრუბერმა იგრძნო, როგორ სჯიჯგნიდა ეს ხმა.

— მოკეტე! — დაუყვირა მოხუცს, — მორჩი მაგ ყბედობას, თორემ ყველაფვრს მოვახსენებ და მაშინ ველარაფერი გიშველით!

ისევ დაიწყო შემოვლა, ფრონტი კიდევ უფრო გაშმაგებით გრგვინავდა. ცაზე ვარსკვლავები გამოეფინენ. ანაზდად თავი სულ მარტო იგრძნო და ინატრა, ისევ ბლინდაჟში წოლილიყო ამხანაგების ხვრინვითა და მყრალი სუნით გარემოცული. ასე ეგონა, თითქოს ყველამ მიატოვა და მარტოდმარტოს უნდა მიეღო რაღაც გადაწყვეტილება.

დაძინება სცადა და ფანჩატურში მისთვის დაგებულ თივაზე დაწვა. „იქნებ თვითონ შეძლონ ჩემს შეუმჩნევლად გარეთ გამოსვლა“, — გაიფიქრა მან. არა, ამაო იყო ამაზე ფიქრი. იცოდა, ტყვეებს ეს არ შეეძლოთ. ადამიანებმა, რომელთაც ეს სადგომი გადააკეთეს, ამაზეც იზრუნეს.

ფრონტი სულ უფრო და უფრო მეტს ბობოქრობდა. თვითმფრინავები გუგუნებდნენ ღამეში. ტყვიამფრქვევები კაკანებდნენ. მერე მოისმა ყუმბარათა ყრუ აფეთქებანი. გრუბერმა სმენა მიაპყრო. ხმაური მატულობდა. „ნეტავი შეძლებდნენ გაქცევას“, — გაიფიქრა მან ისევ. ადგა და სადგომთან მივიდა. იქ სიწყნარე სუფევდა. ეგონა, ტყვეებს სძინავთ. მაგრამ მერე ბუნდოვნად გაარჩია მოხუცი რუსის სახე და უკან გატრიალდა.

ნაშუალამევს დარწმუნდა, რომ ფრონტზე საშინელი ბრძოლა მძვინვარებდა. მოწინააღმდეგის მძიმე არტილერია მოწინავე ხაზიდან შორს, ზურგში უშენდა. ყუმბარები უკვე სულ ახლოს ცვიოდა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სოფელთან. გრებერმა იცოდა, რამდენად სუსტი იყო მათი პოზიცია. მას შეეძლო ბრძოლის ცალკეული მონაკვეთი გაერჩია. მალე ტანკები გადმოვიდნენ შეტევაზე. ამჟამად კი დედამიწა უკვე ირყეოდა გრიგალისებური ცეცხლისგან. ჭექა-ქუხილი ცისკიდურის ერთი ბოლოდან მეორეს აწყდებოდა. გრებერი მას სხეულის ყოველი ნაკვთით გრძნობდა, გრძნობდა, რომ იგი საცაა მასაც მისწვდებოდა და მაინც, მიუხედავად ამისა, ეჩვენებოდა, რომ იგი რაღაც საკვირველად, მეხთა კორიანტელივით ტრიალებდა მასსა და ვიწრო, თეთრი ნაგებობის ირგვლივ, რომელშიც რამდენიმე რუსი იჯდა. თითქოს ისინი ამ საყოველთაო ნგრევასა და ხოცვა-ჟლეტაში ანაზდეულად შუა წერტილად გადაქცეულიყვნენ და ყველაფერი ამაზე იყო დამოკიდებული, თუ რა დაემართებოდა მათ.

გრებერი წინ და უკან დადიოდა, მიუახლოვდებოდა ბოსელს და გატრიალდებოდა, თან ჯიბეში გასაღებს აწვალებდა, მერე თავზე დაეგდო, ბორგავდა, და მხოლოდ დილისთვის დაიძინა მძიმე და შშფოთვარე ძილით.

*

ის იყო ირიჟრაჟა, როცა ფეხზე წამოხტა. ფრონტზე ნამდვილი ჯოჯოხეთი მძვინვარებდა. საარტილერიო ცეცხლი უკვე სოფელზე და მის უკან მიმართულიყო. ბოსელს გახედა. რიკულები ხელუხლებელი იყო. მის უკან რუსები მოძრაობდნენ. შემდეგ დაინახა, რომ შტაინბრენერი მორბოდა მათკენ.

— უკან ვიხევთ! — უყვიროდა იგი, — რუსები გამოიჭრნენ. შეკრების ადგილი სოფელია. ჩქარა! ყველაფერი ყირამალაა დამდგარი! აიკიდე შენი ბარგი-ბარხანა! — შტაინბრენერი ახლა უკვე მიიჭრა მასთან, — ამათ ჩვენ სწრაფად მოვულებთ ბოლოს.

გრებერმა იგრძნო, როგორ დაუწყო გულმა ბაგაბუგი.

— სად არის მერე ბრძანება? — შეეკითხა იგი.

— ბრძანება?! შენ არ გინახავს სოფელში რაც ხდება, თორემ ბრძანებას ალარ მოითხოვდი. აქ რა, არ გესმოდა, როგორი შემოტევაა?

— კი...

— მაშ, გცოდნია და ეგ არი. აბა, მოდი! ხომ არ გგონია, რომ შეგვიძლია თან წავათრიოთ ეგ ბანდა? ჩვენ მათ კარის რიკულებიდან დავხვრეტთ.

შტაინბრენერს მუქ ცისფრად უელავდა თვალები, სახე დაძაბოდა და ხელით რევოლვერის ბუდეს აწკალებდა.

— აქ მე ვარ პასუხისმგებელი, — უთხრა გრებერმა, — თუ ბრძანება არა გაქვს, მაშინ სჯობია, წახვიდე აქედან.

შტაინბრენერმა გაიცინა.

— კარგი, მაშინ შენ თვითონ დახვრიტე.

— არა! — მიუგო გრებერმა.

— ვინმემ ხომ უნდა გაასაღოს ისინი. თან მაგათი თრევა არ შეგვიძლია. აითესე, რახან ეგეთი ნაზი ნერვები გაქვს. დაწინაურდი და ახლავე დაგეწევი.

— არა, — უთხრა გრებერმა, — შენ მათ არ დახვრეტ!

— არა? — შტაინბრენერმა შეხედა მას, — არა? — გაიმეორა მან მძიმედ. – მერედა გესმის, რასაც ამბობ?

— დიახ, ვიცი!

— ჰოო? იცი? მაშინ ისიც იცი, რომ შენ...

შტაინბრენერს სახე აემღვრა. ხელი რევოლვერზე იტაცა. გრებერმა ასწია თავისი შაშხანა და გაისროლა. შტაინბრენერი დაბარბაცდა და წაიქცა. ბალღვით ამოიოხრა. რევოლვერი ხელიდან გაუვარდა. გრებერი მის გვამს დააცქერდა. „მკვლელობა თავდაცვის მიზნით“, — გაიფიქრა რალაცამ მასში. საარტილერიო ყუმბარამ გადაუქროლა ბაღს წუილით.

გრებერი გამოფხიზლდა, მივიდა ბოსელთან, ჯიბიდან გასაღები ამოიღო და კარი გააღო.

— წადით, — უთხრა მან.

რუსები მისჩერებოდნენ. არ სჯეროდათ მისი. მან შაშხანა განზე გადააგდო.

— წადით, წადით, — მოუთმენლად თქვა მან და დაანახვა, რომ ხელში არაფერი ეჭირა.

ახალგაზრდა რუსმა ფრთხილად გამოდგა ფეხი. გრებერმა ზურგი აქცია, უკან გამობრუნდა, იქ, სადაც შტაინბრენერი ეგდო.

— მკვლელო! — წარმოთქვა მან და თვითონაც არ უწყოდა, ვის გულისხმობდა. შტაინბრენერის ცხედარს მიაჩერდა. არაფერს გრძნობდა.

მერე ერთბაშად მოაწვნენ ფიქრები. ისინი წინ უსწრებდნენ ერთიმეორეს. გეგონებოდათ, მთიდან ქვა დაგორდაო. რალაც გადაწყ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და სამუდამოდ. სიმძიმეს აღარ გრძნობდა, თითქოს წონა სულ არ გააჩნდა. იცოდა, რომ რაღაც უნდა გაეკეთებინა, მაგრამ ამასთანავე ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს რაიმეს უნდა ჩასჭიდებოდა, რომ არ გაფრენილიყო. თავბრუ ეხვეოდა. ფრთხილად მიჰყვა ხეივანს. რაღაც უსაზღვროდ მნიშვნელოვანი იყო გასაკეთებელი, მაგრამ არ ძალუძდა ხელი ჩაევლო მისთვის, ჯერ არა. იგი კიდევ ერთობ შორეული, ახალი და იმდენად ნათელი იყო, რომ ტკივილს აყენებდა.

მან რუსები დაინახა. წელში მოხრილნი მირბოდნენ ერთად შექუჩულნი, ქალები — წინ. მოხუცმა უკან მოიხედა და გრებერი დაინახა, ხელში რუსს უეცრად შაშხანა აღმოაჩნდა, ასწია და დაუმიზნა. „მაშ, მაინც პარტიზანები ყოფილან", — გაიფიქრა გრებერმა. იგი ლულის შავ ტუჩს ხედავდა, რომელიც სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. ხმამაღლა დაყვირება სურდა. ბევრი რამ ჰქონდა სწრაფად და ხმამაღლა სათქმელი...

ტყვიის მოხვედრა არ უგრძნია. მხოლოდ ანაზდეულად ბალახი დაინახა თავის წინ, სულ ახლოს თვალებთან კი ნახევრად გადათელილი, მოყვითალო ყვავილთა კუნწულებითა და ვიწრო, ნაზი ფოთლებით შემკული რომელიღაც მცენარე, რომელიც სულ იზრდებოდა და იზრდებოდა. ასე იყო უკვე ერთხელაც, მაგრამ აღარ ახსოვდა, თუ როდის. მცენარე ირხეოდა და რადგან გრებერის თავი ბალახებში იძირებოდა, იგი მარტოდმარტო გამოისახა დავიწროებულ ჰორიზონტზე. გამოისახა უჩუმრად, ბუნებრივად, ჰაწია ქმნილებათათვის დამახასიათებელი რუდუნებითა და სიმშვიდით აღსავსე. და იგი სულ უფრო იზრდებოდა და იზრდებოდა, მერე მთელ ზეცას გადაეფარა, და გრებერს თვალები დაეხუჭა.

წიგნის ელექტრონული ვერსია მოამზადა
საიტმა: www.PDF.ChiaturaINFO.GE